

გივი ლოგუანიძე

**რომის  
სახელმწიფო  
და სამართალი**

საგარეო ურთიერთობების ცენტრი  
თბილისი  
2009

პროფ. გ. ლობჯანიძის ნაშრომი „რომის სახელმწიფო და სამართალი“ შექმნილია რომის სამართლის წყაროებსა და უახლოეს პერიოდში გამოცემულ რუსულ და ევროპულ ლიტერატურაზე დაყრდნობით. გარდა ამისა, შეფასება აქვს მიცემული მანამდე ქართულად გამოქვეყნებულ მასალებს. კელევის შედარებითი მეთოდის გამოყენებით ჩამოყალიბებულია ახალი მიდგომები იმ საკითხების წარმოსაჩენად, რომელიც რომაული სამართლის რეცეფციამ განაპირობა ქართული სამოქალაქო სამართლის ინსტიტუტების ფორმირების პროცესში. ნაშრომი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველ წიგნში „რომის სახელმწიფო და სამართალი“ – განხილულია სახელმწიფოს ფორმირების პროცესი, სისხლის, სამხედრო, საფინანსო, სპროცესო, სასტატუსო სამართალი და ეძღვნება პროფ. ლ. სანიკიძის ხსოვნას.

ნაშრომი განკუთვნილია იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისა და რომის სახელმწიფოსა და სამართლით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორი: **რომან შენგელია**, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

რეცენზენტები: **ბუბაზ სანიკიძე**, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი  
**შალვა შურაბაძე**, სამართლის დოქტორი, პროფესორი

წიგნი სახელმძღვანელოდ და გამოსაცემად რეკომენდებულია საქართველოს საეიაციო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ.

## შესავალი

ძველი რომის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისადმი ინტერესი დღემდე არ განელეხულა. ამის მიზეზად მიგვაჩნია არა მარტო საქართველოს უძველესი კავშირები ელინურ და ძველ რომაულ კულტურასთან, არამედ რომის სამოქალაქო სამართლის დიდი დამსახურება შემდგომი პერიოდის მსოფლიო სამართლებრივი აზროვნების ფორმირება- ჩამოყალიბების პროცესში.

მრავალი ქვეყნის მეცნიერ-იურისტი დღემდე იკვლევს ძველი რომის სამართალს და ბოლომდე ყველაფერი მაინც არაა გაანალიზებული. არც ისაა შემთხვევითი, რომ მსოფლიოს ყველა უმაღლეს იურიდიულ სასწავლებელსა თუ სამართლის ფაკულტეტზე რომის სამართალი ისწავლება, როგორც სავალდებულო საგანი.

ისიც ცნობილი ფაქტია, რომ ქართველური მოდგმის ხალხები თავიდანვე იყვნენ ჩართულნი ანტიკური სამყაროს განვითარების ისტორიულ პროცესებში, სავაჭრო და კულტურულ ცხოვრებაში. ამის ნათელი დასტურია ბერძნული ახალშენები შავი ზღვის სანაპიროებზე. საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ქალაქები, ფაზისი, დიოსკურია (სებასტოპოლისი), ბიჭვინთა (პიცუნდა), სარაპანი, სკანდა, ვარდციხე (როდოპოლისი), უქიმერიონი, აქტიურ როლს თამაშობდნენ მაშინდელი სამყაროს პოლიტიკურ-ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. ამის მაჩვენებელია არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალები. კერძოდ, ძვ. წ. აღ. II-I საუკუნეებით დათარიღებული ათი დასახელების მონეტა, რომელთა უმრავლესობა რომაული წარმომავლობისაა და ძირითადად სოხუმის ტერიტორიაზეა ნაპოვნი. მსგავსი და სხვა სახის მონეტები ნაპოვნი ვანის ნაქალაქარში, ქუთაისში, აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და ა.შ. ეს კი უტყუარი დასტურია საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხების მაშინდელ ცივილიზებულ სამყაროში აქტიური ცხოვრების წესისა.

ჩვ. წ. IV საუკუნეში საქართველოში კულტურის ერთ-ერთ უძველესი კერის, ფაზისის აკადემიის არსებობა თავისთავად დიდი განაცხადი იყო იმდროინდელ მსოფლიო საგანმანათლებლო სისტემაში.

ამ აკადემიაში ბიზანტიური უმაღლესი სკოლის მსგავსად ასწავლიდნენ გრამატიკას, ფილოსოფიას, რიტორიკას, ეარსკვლავთმცოდნეობას, არითმეტიკას. ისიც ცნობილია, რომ ფაზისის აკადემიაში განათლებას ეუფლებოდნენ ბიზანტიელი მოქალაქეები. წყაროებით მტკიცდება ცნობილი ბერძენი რიტორების, მამა-შვილის, ევგენიოსისა და თემისტოისის ფაზისის აკადემიაში სწავლის ფაქტი.

იმდროინდელი ცივილიზებული მსოფლიოს ყურადღების ცენტრში იყო საზღვარგარეთ არსებული ქართული უძველესი კულტურის კერები, როგორც იყო ივერიის მონასტერი ათონის მთაზე, ანტიოქიის მახლობლად „შავი მთა“ სირიაში, ჯერის მონასტერი პალესტინაში, პეტრიწის მონასტერი ბულგარეთში, სინას მთის მონასტერი და ა.შ. რომლებიც მართო რელიგიური ცენტრები კი არ იყო, არამედ იქ მიმდინარეობდა უდიდესი საგანმანათლებლო საქმიანობა და ქართველ სწავლულებს თავისი წვლილი შექქონდათ საკაცობრიო კულტურის საგანძურში.

არც ის არის შემთხვევითი, რომ საქართველოს შესახებ უამრავი წყარო და ლიტერატურა ბერძნულ-ბიზანტიურია, რომელთა მიხედვითაც მე-10 საუკუნის პირველ ნახევარში სავაჭრო-კულტურული ურთიერთობები აღდგა ჩინეთთან, ეგვიპტესთან, ირანთან, საკუთრივ ბიზანტიასთან, ძველ რუსეთთან, მეზობელ სომხეთთან და ა.შ. ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ბიზანტიასთან ურთიერთობა იყო, საიდანაც ხდებოდა სამართლის რეცეფცია საქართველოში.

საქართველოში უმაღლესი იურიდიული განათლების სისტემა თავიდანვე პასუხისმგებლობით მოეყიდა რომის სამართლის სწავლების საკითხს.<sup>1</sup>

ქართველ იურისტთა შორის მშობლიურ ენაზე პირველი სისტემატიზირებული ნაშრომი რომის სამართალში გამოაქვეყნა პროფესორმა ვალერიან მეტრეველმა. როგორც ავტორი აღნიშნავს: „წიგნი არ წარმოადგენს რომის სამართლის ფუნდამენტალურ გამოკვლევას, რომლის მიზანია იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებსა და რომის სამართლით

<sup>1</sup> რომის ისტორია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო გეგმაში 1918 წლიდან ფიქსირდება. იხ. (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საიუბილეო კრებული თბ. 1998წ. გვ. 20)

დანიტერესებულ მკითხველებს გააცნოს რომის სამართლის წყაროები და რომის სამართლის ყველა დარგი: სახელმწიფო სამართალი, სამოქალაქო, საოჯახო, სამემკვიდრეო, სისხლის, ასევე რომის სასამართლო და პროცესი.<sup>1</sup> იგი საკითხთა ფართო წრეს მოიცავს, მაგრამ მოკლედ. ამიტომ ავტორმა „საფუძვლები“ უწოდა. 2001 წელს პროფესორმა გიორგი ნადარეიშვილმა გამოსცა წიგნი სახელწოდებით „რომის სამოქალაქო სამართალი“, რომელიც „პანდექტური სისტემის მიხედვით იქნა დალაგებული. რაც შეეხება ინსტიტუციურ სისტემას, აღნიშნავს ავტორი, ის გამოყენებული იყო რომაელი იურისტის გაიუსის ინსტიტუციებში, მისთვის უცნობია ე.წ. ზოგადი ნაწილი, ამასთან კერძო სამართლებრივი მასალები დალაგებულია პირების, ნივთების და სარჩელების სახით“.<sup>2</sup>

წინამდებარე ნაშრომი დიდი ხნის ფიქრის, მასალების მოძიების, წაკითხული ლექციების და სტუდენტებთან სასწავლო პროცესში წამოწეული ახალი საკითხების შედეგია და ბოლოს გადაეწყვიტეთ, ამით ჩვენული ვალი მოვიხადოთ ძველი რომის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის წინაშე, თუმც, თავის დროზე მრავალმა ისტორიკოსმა და იურისტმა იმუშავა ამ თემაზე. მათ შორის აღსანიშნავია ლ. პეტრაჟიციუსი, შ. მონტესკიეს, რ. დავიდის, თ. მომზენის, ბარონის, რ. იერიנגის, მილან ბარტოშეკის, ზ. ჩერნილოვსკის, ი. პერეტერსკის, ე. შტაერმანის, გ. დიოშდის, პ. დერნბურგის, ი. პოკროვსკის, ვ. რიაზენცევის პ. კასკის, დ. დოჟდევის, მ. კაზერის, მ. ანდრეევის, ბონფანტეს, რ. მონეის, პ. ლევი-ბრიულის, ვ. ხვოსტოვის, კ. კრასნოკუტსკის, ე. ფლეიშიცის, პ. გალანზას, ი. როზენტალის, მ. კოშაკერის, მ. ანდრეევის, ი. ნოვიცკის, ზ. უდალცოვას, თ. კუდინოვის, ნ. ბონდარენკოს, რ. საფაროვის, თ. ომელჩენკოს, ს. გულიაევის, მ. მორევის და სხვათა ნაშრომები.

ქართველ მეცნიერთა შორის ცალკეულ საკითხებს შეეხნენ პროფესორები: ივ. სურგულაძე, ი. დოლიძე, ვ. აბაშმაძე, დ. ფურცელაძე, ი. ფუტყარაძე ბ. ზოიძე, ლ. ჭანტურია, მ. ცაცანაშვილი, და სხვები.

დასახელებული ავტორების წიგნები და სხვათა ნაშრომები, თავის დროზე ძველი რომის ისტორიაში პროფესორ ლ. სანიკიძის მიერ წაკითხული ლექციები,<sup>3</sup> საფუძველი გახდა ძველი რომის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის წინამდებარე კურსის გამოცემისათვის.

1 იხ. ე. მეტრეელი, რომის სამართალი (საფუძვლები 135 გვერდზე) თბ. 2005წ.

2 გ. ნადარეიშვილი, რომი სამოქალაქო სამართალი თბ. 2001 წ. (162 გვერდზე)

3 იხ. ლ. სანიკიძე, რომის იმპერია, (345 გვ) თბ. 1984წ.

რომის სამართალს ყოველთვის ეკავა სათანადო ადგილი სასწავლო პროგრამაში. მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორმა ს.ე. დესნიციმ (1740-1789), რომელმაც იურიდიულ ფაკულტეტზე პირველი ლექცია წაიკითხა, აღნიშნა; რომ იურისტისათვის აუცილებელია იცოდეს მეცნიერების ოთხი დარგი: ფილოსოფია, ბუნებითი სამართალი (სამართლის თეორია), რომის სამართალი და მშობლიური სამართალი.

დიდი ფრანგი იურისტი და მოაზროვნე რ. დავიდი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა რომაული სამართლის სრულყოფილი სწავლების საკითხს უმაღლეს სასწავლებლებში, მისი აზრით, „იურისტი ისაა, ვინც გონის ნიმუში—რომაული სამართალი შეისწავლა. ამით განსხვავდება იგი პრაქტიკოსისაგან, ვინც სამართალწარმოების წესები, ადგილობრივი აქტები იცის.“<sup>1</sup>

რომაული სამართალი მსოფლიო ცივილიზაციის ერთ-ერთი მონაპოვარია. მისი სიდიადე უნივერსალობასა და მოქნილობაშია. დღეს, როცა თვალნათლივია საკაცობრიო ღირებულებებისაკენ სწრაფვა, რომელ იურისტთა ნააზრევს თანამედროვე იურიდიულ ცნობიერებაში ალბათ კუთვნილი ადგილი მიეჩინება.<sup>2</sup> – წერდა ჟურნალი „სამართალი“ ჯერ კიდევ 1990 წელს.

რომის სამოქალაქო სამართლის მკვლევარს, პროფ. გ. ნადარეიშვილს მიაჩნია, რომ „ქართულ ენაზე არსებული ნათარგმნი ლიტერატურით ძნელია სრული წარმოდგენის შექმნა რომის სამართლის, როგორც ანტიკური სამყაროს წიაღში შექმნილი სიბრძნის ერთი დარგის შესახებ. ამასთან ქართული სპეციალური ლიტერატურაა მიძღვნილი საერთოდ რომის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისადმი, მეტისმეტად ღარიბია. ასევე ღარიბი ვართ რომის სამოქალაქო სამართლის საკითხებისადმი მიძღვნილი ლიტერატურით.

გ. ნადარეიშვილი იმედს გამოთქვამს, რომ მომავალში ჩვენთანაც გამოჩნდებიან არა მარტო რომის სამოქალაქო სამართლის პოპულარიზატორები, არამედ მკვლევარებიც.“<sup>3</sup>

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ამ ნაშრომის მიზანია ამ კუთხით არსებული ხარვეზის ნაწილობრივად მაინც შევსება, რადგან იგივე აზრს ავითარებს რომის სამართლის მკვლევარი პროფ. ვ. მეტრეველი, რომე-

1 იხ. რ. დავიდი „თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები“. თბ. 1993წ. გვ. 252

2 იხ. ჟურ. სამართალი 1990წ. №5, მაისი. გვ. 80

3 იხ. გ. ნადარეიშვილი, რომის სამოქალაქო სამართალი, თბ. 2001წ. გვ. 5

ლიც თავისი წიგნის შესავალში აღნიშნავს, რომ სამწუხაროდ, ქართულ ენაზე რომის სამართლის თარგმნაც არ მოგვეპოვება.<sup>1</sup> თუმცა, არც წინამდებარე ნაშრომს გააჩნია აბსოლუტური სრულყოფილების პრეტენზია, მაგრამ წიგნში ბევრი ახალი მასალაა შეტანილი, რომელიც სტუდენტებისათვის ინტერესმოკლებული არ იქნება. აქვე მინდა აღვნიშნო პროფ. ვ. მეტრეველის დეაწლი, რომელმაც იტალიიდან ჩამოიტანა იუსტიციანეს სამოქალაქო სამართლის კრებული, (ცივილური სამართლის კორპუსი, Corpus iuris civilis) და ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის პროფ. ნ. სურგულაძის დამსახურება, რომელიც თარგმნის და წიგნებად აქვეყნებს „რომის სამართლის ტაძარს.“ ასავე გამოქვეყნდა იმპერატორ იუსტინიანეს „დიკესტების“ პირველი და ოცდამეექვსე წიგნი და მისივე „ინსტიტუციები.“ დასახელებული ლიტერატურის გარდა მნიშვნელოვანი სამსახური გაგვიწია 1999 წელს მოსკოვში გამოცემულმა წიგნმა „რომის სამართლის ძეგლები“. წიგნზე მუშაობის პროცესმა ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა იმ აზრის სისწორეში, რომ „რომის სახელმწიფო და სამოქალაქო (კერძო) სამართალი,“ მართალია, ისტორიულ-იურიდიულ დისციპლინათა რიცხვს მიეკუთნება, მაგრამ იგი უდიდეს სამსახურს გაუწევს სტუდენტებს, მომავალში გაცილებით ადვილად დაძლიონ ტერმინოლოგიური ბარიერები და აითვისონ სამოქალაქო კანონმდებლობა. გარდა ამისა, როგორც დიდი ილია ბრძანებდა, „შვილმა უნდა იცოდეს მამა სად და რაზედ გაჩერდა, რომ იქედან დაიწყოს ცხოვრების უღლის წევა.“<sup>2</sup>

ნაშრომში საკითხთა ფართო სპექტრია წარმოდგენილი, განხილულია ისეთი პრობლემები, რაზედაც მანამდე ყურადღება არ გამახვილებულა. ამან გამოიწვია ნაშრომის მოცულობის ზრდა და იგი ორ წიგნად დაიბეჭდა, დანართად წიგნებს ახლავს ბიბლიოგრაფია და ლათინურ სიტყვათა განმარტებითი ლექსიკონი.

მიუხედავად აღნიშნულისა, ჩვენს შემდეგაც ბევრი დარჩება სათქმელი, წიგნში ავტორი არ გამორიცხავს გარკვეულ შეცდომებს, მაგრამ სწამს მკითხველების და სპეციალისტების სულგრძობისა და ყველა საქმიან შენიშვნას გაითვალისწინებს მომავალში.

<sup>1</sup> იგულისხმება პეროდი, სანამ მისი წიგნი, „რომის სამართალი“, გამოვიდოდა.

<sup>2</sup> ი. ჭავჭავაძე თხ. ტ. IV გვ. 201

## ზოგადი ნაწილი

### §1. კველი რომის სახელმწიფოსა და სამართლის საბანი და მეთოდი

წინამედროვე იურისპრუდენცია სასწავლო დისციპლინებს სამ ნაწილად ყოფს: 1) ზოგად-იურიდიული, ანუ ზოგად იურიდიულ-ისტორიული დისციპლინები, 2) დარგობრივი მეცნიერებანი, 3) დამხმარე იურიდიული და არაიურიდიული დისციპლინები, რომის სახელმწიფო და სამართალი ზოგად იურიდიულ მეცნიერებათა რიგს მიეკუთვნება, რომელსაც სამართლის ფაკულტეტის სტუდენტებს პირველ კურსზე ასწავლიან. გარდა ამისა სტუდენტები ეუფლებიან სახელმწიფოსა და სამართლის ზოგად ისტორიასაც.<sup>1</sup> სადაც გარკვეული ადგილი აქვს დათმობილი სხვა უძველეს სახელმწიფოთა შორის (ძველი ჩინეთი, ინდოეთი, ეგვიპტე, ბაბილონი, საბერძნეთი, ფრანკთა სახელმწიფო) ძველი რომის სახელმწიფოსა და სამართალს, მაგრამ იმდენად დიდია რომის სახელმწიფოსა და სამართლის როლი ადრეული და შემდგომი ხანის სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი სისტემების განვითარება-ჩამოყალიბების საქმეში, რომ მას ცალკე დისციპლინადაც ასწავლიან. ჩვენის მხრივ კი საჭიროდ ჩავთვალეთ სტუდენტებისათვის მიგვეწოდებინა შედარებით სრულყოფილი მასალა იმ უძველესი, უძლიერესი და უძლიერესი სახელმწიფოს შესახებ, რომელიც ნამდვილად იმსახურებს მეტ ყურადღებას ქართველ იურისტთა მხრიდან.<sup>2</sup>

სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის მკვლევარები ზმირად სვამდნენ კითხვას, რას წარმოადგენდა ევროპული სამართალი XII საუკუნებდე? პასუხი ცალსახაა – „რომის იმპერიამ ბრწყინვალე ცივილიზაცია

1 იხ. მ. ცაცანაშვილი. სახელმწიფოს და სამართლის ზოგადი ისტორია I ნაწ. თბ. 1995წ. თბ. 1998წ. გ. ნადარეიშვილი, სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია, თბ. 2002წ.

2 ტექსტში გამოყენებული წყაროების დასახელების პირობითი შემცირება შემდეგნაირად უნდა გაეკეთოს: მაგ. ოუსტინიანეს „დეკრეტები“ 4,8,9, 2. ე. ი. „დეკრეტების“ მე-4 წიგნი, მე-8 ტიტული, მე-9 ფრაგმენტი და ა.შ.



იგემა და რომის გენმა შექმნა მსოფლიოში უპრეცედენტო სისტემა<sup>1</sup>

გარდა ამისა, „ადგილობრივი ჩვეულებების სიჭრელის და არასრულყოფილების საპირისპიროდ, არსებობდა შესასწავლად გამოსადეგი სამართალი, რომელსაც ყველა – პროფესორიც და სტუდენტიც, ალტაცებაში მოჰყავდა. ეს რომაული სამართალი იყო, იმავე დროს რომაული სამართლის გაცნობა დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა.“<sup>2</sup>

რომის სამართალმა თავისი განვითარების გზაზე ყველა წინააღმდეგობა დაძლია და ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა თანამედროვე მსოფლიოში – აი, რა არის ჩემთვის მთავარი,<sup>3</sup> – წერდა რ. იერინგი, დიდი გერმანელი მოაზროვნე.

გარდა ამისა, სამართლის დაყოფას ინსტიტუციურად და პოზიტიურად, ოფიციალურად და არაოფიციალურად, კერძოდ და საჯაროდ, გააჩნია ორიათასი წლის ისტორია და მათ რომაელ იურისტებს უნდა ვუმაღლოდეთ<sup>4</sup> – წერდა თავის დროზე პროფ. ლ.ი. პეტრაჟიციკი.

ლათინურ ენაზე სიტყვა „სამოქალაქოს“ შეესაბამება ტერმინი „Civilis“, ხოლო „სამოქალაქო სამართალი“ აღინიშნებოდა სიტყვებით „*ius civile*“, ეს ტერმინები, უპირველეს ყოვლისა ძველი რომის სამართლით ნიშნავდა სასარჩელო ურთიერთობებს, რომელიც ვრცელდებოდა რომის მოქალაქეებზე-კვირიტებზე, ამიტომ მას კვირიტულ სამართლადაც მოიხსენიებენ. „იუს“ ცივილეს უპირისპირდებოდა სახალხო სამართალი („*ius gentium*“) ასევე იურისტები ასახელებდნენ ბუნებით სამართალს „*ius naturale*“. ასე, რომ სამოქალაქო სამართალი აერთიანებდა ამ სამ სისტემას, რომელთა ურთიერთობა ქმნიდა ცივილურ სამართალს. რომის სამართლის მკვლევარებს მიაჩნიათ, რომ ამ სისტემათა ერთიანობის გამომხატველი ტერმინია „კერძო სამართალი“ – „*ius privatum*.“<sup>5</sup>

რომის სამართალი გამოირჩევა რიგი ინსტიტუტების ღრმა და მაღალ დონეზე დამუშავებით. ზუსტი ფორმულირებით, მაღალი იურიდიული ტექნიკით, ასე, რომ რომის სამოქალაქო სამართალმა პრიმიტივიზმიდან

1 იხ. რ. დავიდი, თანამედროვეობის საერთაშორისო სამართლებრივი სისტემები, თბ. 1993წ. გვ. 41.

2 იქვე, 47- 48

3 Иеринг Р. Дух Римского право, СПб 1875 ж. 14 პარაგრაფი 2, იუსტინიანეს კოდექსი 4.30. 5 მე-4 წიგნი, 30-ე ტიტული მე-5 კანონი. გაიუსი-გაიუსის ინსტიტუციები 3.1. მე-3 წიგნი პარაგრაფი 1. და ა.შ.

4 Л.И. Петражицкий, Теория право и государства, Санкт-Петербург 1910 გვ. 510

5. С. А. Гуляев, римское гражданское право м 2007 г. გვ. 4

განვითარების მაღალ კლასიკურ დონეს მიაღწია (ჩვენი მთავარი ამოცანაა, სისტემურ ჭრილში წარმოვიდგინოთ ძველი რომის სახელმწიფოსა და სამართლის განვითარების ზოგადი კანონზომიერებანი, რადგანაც არ არსებობს სახელმწიფო სამართლის გარეშე და პირიქით, ეს ძალიან კარგად ესმოდათ ძველ რომაელებს, „სახელმწიფო სამართლიანობის გარეშე სხვა არაფერია, თუ არა – ყაჩაღთა ბანდა,“ თავის დროზე აღნიშნავდა ავეგუსტინე. ამასთან დაკავშირებით, ყურადღება გადატანილია იმ კონკრეტულ მახასიათებლებზე, რაც გააჩნია რომის პოლიტიკურ და სამართლებრივ აზროვნებას და განვითარებას. ასეთი მიდგომის პირობებში ძველი რომის სახელმწიფოსა და სამართლის კვლევის საგანია სახელმწიფო და სამართალი იმ ძირითადი ნიშნებისა და თვისებების გათვალისწინებით, რაც დამახასიათებელი იყო ძველი რომისთვის და რაც მას განასხვავებდა იმ პერიოდის სხვა ქვეყნების სახელმწიფოსა და სამართლისაგან.

ამ მიზნების მიღწევა შეუძლებელია იმ მეთოდებისა და ხერხების გამოყენების გარეშე, რაც საერთო კანონზომიერებას წარმოადგენს ზოგად-ისტორიული დისციპლინების შესწავლისათვის, რა თქმა უნდა, ძველი რომის სახელმწიფო და სამართალი განყენებულად არ განიხილება იმ ისტორიულ-სამართლებრივი დისციპლინებისაგან, რომლებიც ერთ ბლოკში მოიაზრება, ესენია: სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია, პოლიტიკურ და სამართლებრივი მოძღვრებათა ისტორია, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, სამართლის ფილოსოფია, ჩვეულებითი სამართალი და ა.შ. თუნდაც იმიტომ, რომ თითოეული დასახელებული დისციპლინა და საკანი იყენებს საერთო და ძირითად მეთოდებს, რომლებიც შეიძლება პირობითად ასე დავყოთ: ზოგადმეცნიერული, მეცნიერული და კერძო კვლევის მეთოდები.

ამ შემთხვევაში ყურადღება გავამახვილეთ მხოლოდ იმ მეთოდებზე, რომელიც ამ საგნის შესწავლის დროს გამოიყენება. უპირველეს ყოვლისა, განსასაზღვრია მეთოდის ცნება, თუმცა მას იურიდიულ ლიტერატურაში სხვადასხვა ინტერპრეტაციით ვხვდებით.

ზოგადად, იგი არის „მიზნის მიღწევის ხერხი და საშუალება“<sup>1</sup> საგნის კვლევისას გვერდს ვერ ავუვლით დიალექტიკურ მეთოდს, რადგანაც ამ მეთოდს, ერთი, რომ კარგად იცნობდნენ ძველი ბერძენი და რომაელი ფილოსოფოსები და მეორეც, მისთვის მნიშვნელობა აქვს სამყაროს შე-

მეცნიერების და მისგან მომდინარე პროცესების ურთიერთკავშირს, საყოველთაო ცვალებადობისა და ისტორიული განვითარების, საზოგადოებრივი წინააღმდეგობების და მისი წინსვლის ზოგად პრინციპებს.

ფორმალურ-იურიდიული მეთოდი, რომელიც გვეხმარება სახელმწიფოს მოწყობის, სამართლებრივი ნორმებისა და მთლიანად სამართლის შიდა აგებულების გარკვევაში, რაც დამახასიათებელი იყო ძველი რომის სახელმწიფოსა და სამართლისათვის.

ისტორიულ-შედარებითი მეთოდი, მას დარგის სპეციალისტები მიიჩნევენ ზოგადად სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის კონკრეტულად დასაყრდენ მეთოდად. იგი საშუალებას იძლევა ყურადღება გამახვილდეს სამართლის განსაზღვრულ „მოდელზე“, განსაკუთრებულ ტიპზე, როგორც იყო რომის სამოქალაქო კანონმდებლობა. უცხოური სამართლებრივი სისტემების შესწავლა შედარებითი მეთოდის გამოყენებით ხდებოდა, ისტორია მოწმობს, რომ სოლონისა და XII ტაბულის კანონთა ტექსტები შედარებითი სამართლის მეთოდების გამოყენებით მომზადდა,<sup>1</sup> შედარებითმა სამართალმა შემდგომში ხელი შეუწყო სამართლებრივი სისტემის ოჯახის შექმნას და სწორედ ასეთად მოიაზრება რომანულ-გერმანული სამართლის სისტემა და ბოლოს, სისტემური მეთოდის გარეშე არ ხდება იმ უზღვავი მასალის დაწყობა-დალაგება, რომელიც ქმნის საფუძველს სახელმწიფოსა და სამოქალაქო სამართალთან დაკავშირებული მოვლენების შესწავლისთვის.)

სამართლებრივ სფეროში კვლევის მეთოდოლოგია ცალკე მეცნიერებად ყალიბდება, რადგანაც მას გააჩნია მდიდარი მემკვიდრეობა, ამიტომ კვლევის რომელიმე მეთოდისათვის უპირატესობის მინიჭება, დღეს მიუღებელია. მკვლევარმა თვითონ უნდა განსაზღვროს რომელი მეთოდის გამოყენება უფრო ეფექტური იქნება მიზნის მიღწევისათვის, ამ პრინციპის დამკვიდრებით კი ხელს შეეუწყობთ ნებისმიერი დარგის განვითარებას.

<sup>1</sup> იხ. რ. დავიდი, თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები თბ. 1993წ. გვ. 18 იხ. გ. ლობჯანიძე, სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია. თბ. 2003წ. გვ. 367

## §2. რომის სახელმწიფოსა და სამართლის წყაროები, კურსის სისტემა

ტერმინი „სამართლის წყარო“, სათავეს იღებს ძველი რომიდან, იგი პირველად დიდმა მოაზროვნემ ტიტუს ლივიუსმა XII ტაბულის კანონის შესაფასებლად გამოიყენა. „წყარო ყოველი საჯარო და კერძო სამართლისა“ (fons omnis publici privatique juris) – აღნიშნავდა იგი. სწორედ რომაელების დამსახურებაა სამართლის წყაროდ „სახელმწიფოს ძალის აღიარება, რასაც არ იზიარებდა საბჭოური მეცნიერება“.<sup>2</sup>

ტრადიციული იურისპრუდენცია კი სამართლის წყაროდ მიიჩნევს ყველა ძალას და საშუალებას, საიდანაც საზრდოობს ესა თუ ეს მოვლენა.

იურიდიულ და სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია სხვადასხვა მოსაზრება წყაროთა შესახებ. თუკი სახელმწიფოს განვიხილავთ სამართლის წყაროდ, ამ შემთხვევაში თვითონ სახელმწიფოს და ხელისუფლების წყაროა ხალხი, რომელიც თავის ძალაუფლებას ახორციელებს რეფერენდუმის, უშუალო დემოკრატიისა და თავისი წარმომადგენლების მეშვეობით.<sup>3</sup>

პირობითად სამართლის წყაროებს ორ ნაწილად ყოფენ: სამართლის წყარო მატერიალური გაგებით და სამართლის წყარო ფორმალური გაგებით.

ძირველში მოიაზრება საზოგადოების წარმოებითი და მატერიალური მდგომარეობა, რომელიც თავისთავად სახელმწიფოს უკავშირდება, მეორეში კი განიხილება სამართლის მთელი ბაზა.<sup>4</sup>

მკვლევართა აზრით, თანამედროვე რომანულ-გერმანული სამართლებრივი სისტემა არა მარტო მატერიალური და პროცესუალური ნორმებით, არამედ სამართლისა და სამართლებრივი ნორმების კონცეფციებით, ახლოს დგას ავგუსტუტისა და იუსტინიანეს დროს აღიარებულ პრინციპებთან, ამის გამოა, რომ რომანულ-გერმანული სამართალი რომის ყოფილი იმპერიის საზღვრებს გარდა გავრცელდა ლათინურ ამერიკაში, აფრიკის დიდ ნაწილში, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში, იაპონიასა და

1 იხ. Н.Бондаренко, Рамское частное право, М. 2008г. გვ. 11

2 იხ. გ. ლობჯინძე, სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია. თბ. 2003წ. გვ. 367

3 იხ. საქართველოს კონსტიტუცია, თბ. 1995 წ. გვ. 6

ინდოეზიაში.<sup>1</sup> რომანულ-გერმანული სამართლის რეცეფცია განაპირობა მისმა სიცოცხლისუნარიანობამ.

(ძველი რომის სამართლის წყაროთა შორის აღსანიშნავია ადათი, ადათი სამართლის უძველესი წყარო იყო რომშიც. სერვიუს ტულიუსის ცნობილმა რეფორმებმა ბევრი რამ ისესხა რექსების ხანის რომის ადათ-ჩვეულებების სფეროდან.) წინაპართა ადათ-ჩვეულებები აღინიშნებოდა ტერმინებით: *mores majorum* და *usus*.<sup>2</sup>

„მორეს მაიორუმ“, წინაპართა წეს-ჩვეულებებს, ადათობრივ სამართალს, რომის ისტორიის მთელ მანძილზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რასაც ადასტურებს ჩვენამდე მოღწეული სამართლის ძეგლები.

(რომაელი იურისტი ულპიანე ადათსა და კანონს თანაბარ ძალას და მნიშვნელობას ანიჭებდა. მისი აზრით, „ძველთაგან დამკვიდრებული ადათი ღირსეულად სრულდება, როგორც კანონი და ეს არის სამართალი, რომლის შესახებ ამბობენ, რომ იგი დადგენილია ჩვეულებებით“. ციცირონს ადათები და კანონები *mores* და *leges* მოქმედი სამართლის ცალკეულ ფორმებად მიაჩნდა.<sup>3</sup> ის ამბობდა, „სამართლის წყაროს წარმოადგენს ბუნება“)

მოდესტინიუსი სამართლის წყაროთა შესახებ წერდა, „ნებისმიერი სამართალი აღწევს შეთანხმებას, ან აწესებს აუცილებლობებს, ან განამტკიცებს წესებს.“<sup>4</sup>

ცნობილი რომაელი იურისტი გაიუსი ძველ სახელმძღვანელოებში წყაროთა შესახებ მიუთითებდა, ესენია: კანონები (*leges*), პლებისციტები (*plebisciti*), სენატუს გადაწყვეტილებები (*senatus consultum*). პრინციპსების კონსტიტუციები (*Constitutones principum*), თანამდებობის პირთა ედიქტები (*edicta magistratuum*) ცნობილი იურისტების პასუხები (*respondere, carere, agere*)<sup>5</sup>

(კანონი რომაელებისათვის თავიდანვე სამართლის მნიშვნელოვან წყაროდ იქცა. მართალია, მრავლად არ მოიპოვება ძველრომაულ კანონთა კრებულები, მაგრამ მათზე საერთო წარმოდგენას ქმნის 12 ტაბულის კანონები, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა რომის სამართლის ისტორიის შექმნაში)

1 იხ. მ. ცაცანაშვილი, სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია I თბ. 1995წ. გვ 88

2 იხ. ი. დოლიძე, საქართველოს ჩვეულებითი სჯული, თბ. 1960წ. გვ.16

3 იხ. ი. დოლიძე, საქართველოს ჩვეულებითი სჯული, თბ. 1960 გვ. 172.

4 ლიგესტები I.3. 40

5 იხ. Н. Бондаренко Римское право часнос М 2008 გვ 10-12

(სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, ძველ რომში დიდად აფასებდნენ სწავლულ ადამიანებს, ამიტომაც იურისტების მოღვაწეობამ მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრა რომის სამართლის სრულყოფასა და განვითარებაში. იურისტები ძირითადად კანონების ახსნა – გამმარტებას ეწეოდნენ და პასუხს სცემდნენ კაზუსებს.)

თანამედროვე კონტინენტური ევროპის სამართლის მეცნიერებაში, საყოველთაოდ აღიარებული შეხედულების თანახმად, „სამართლის წყაროდ“ მიიჩნევა, როგორც ცალკეული სამართლის შექმნის პროცესი და საფუძვლები, ასევე ამ საფუძვლებისა და პროცესის შედეგად შექმნილი სამართლის ნორმათა გამოხატვის ფორმები.<sup>1</sup>

იხილავს რა ევროპელ იურისტთა დამოკიდებულებას სამართლის წყაროთა მიმართ, პროფ. ლ. ჭანტურია თვლის, რომ კონტინენტური ევროპის სამართალი სამოქალაქო სამართლის წყაროთა ორ სახეს განამტკიცებს – სახელმწიფოს მიერ მიღებულ კანონს და ჩვეულებებს, რომელსაც სჭირდება სისტემაში მოყვანა, ანუ მათი იერარქიულად დალაგება. ეს კი სტაბილური სამართლებრივი საფუძვლების შენარჩუნების გარანტიაა. სამართლის წყაროთა იერარქია დამოკიდებულია სახელმწიფოს ორგანოთა ლეგიტიმაციის დონეზე, ე.ი. მათი კომპეტენციის მოცულობაზე, რომელიც განსაზღვრავს ამა თუ იმ აქტის იურიდიულ ძალას.

(სასამართლო პრეცედენტი (judicatum), როგორც სამართლის წყარო გაგებულია, არა როგორც სასამართლო გადაწყვეტილება, რომელიც ღებულობს სავალდებულო ძალას ყველა თანაბარ და ქვემდგომ სასამართლოთა მიმართ, არამედ როგორც ჩამოყალიბებული სტერეოტიპი, რომელსაც მხარს უჭერს ყველა თუ არა, ნაწილი სასამართლოებისა განსაზღვრული საქმეების მიმართ.

სასამართლო პრეცედენტის არსებობაზე რომის სამართალში, ლაპარაკობს იურისტი კალისტრატუსის სიტყვა, რომლის დიგესტებშია დაფიქსირებული „ჩვენმა იმპერატორმა სევერიუსმა გამოსცა რესკრიპტი, როდესაც კანონის ტექსტი იწვევს ეჭვს, ამ შემთხვევაში გამოვიყენოთ ადათ-წესი, ან მსგავს საქმეზე ავტორიტეტული სასამართლოს გადაწყვეტილება.“<sup>2</sup>

სამართლის წყაროთა შორის თავისი ადგილი დაიკავა იმპერატორების საკანონმდებლო მოღვაწეობამ. აღსანიშნავია იმპერატორების თე-

1 ლ. ჭანტურია, „შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში“ თბ.2000. გვ.73

2 იხ. P.A. Сафаров римское право Р-наД М. 2008. გვ. 25

ოდოს II-ისა და იუსტინიანეს საკოდიფიკაციო საქმიანობა, რომელთა დამსახურება ძალზე დიდია არა მარტო რომაული სამართლის, არამედ შემდგომი პერიოდის სხვა ქვეყნების სამართალგანვითარებისთვისაც.

რაც შეეხება სისტემას, ნებისმიერ სასწავლო დისციპლინას, და მათ შორის რომის სახელმწიფოს და სამართალს, თავისი პერიოდიზაცია და განვითარების კანონზომიერებები გააჩნია.

რომაელი იურისტები ერთმანეთისაგან განასხვავებდნენ საჯარო და კერძო სამართალს, *Publicum ius est quod ad statum rei Romanae spectat. privatum quod ad singulorum utilitatem*"-საჯარო სამართალია ის, რაც დაკავშირებულია რომის სახელმწიფოსთან, კერძო სამართალია ის, რაც მიმართულია ერთეული ინდივიდის საჭიროებისაკენ.<sup>1</sup>

წინამდებარე ნაშრომშიც შესწავლილი საკითხები ძირითადი მიმართულებების გათვალისწინებითაა დალაგებული, პირველი ნაწილი მოიცავს შესავალსა და ზოგად საკითხებს, იგი სამ წიგნადაა გაყოფილი. პირველი წიგნი ეხება სახელმწიფოს და სამართლის წარმოშობას, მათი განვითარების პერიოდიზაციას, საზოგადოებრივ – სოციალურ სტრუქტურას და ა.შ. მეორე წიგნი ეძღვნება სამოქალაქო სამართალს, სადაც მოცემულია ფიზიკური და იურიდიული პირების სამართლებრივი სტატუსი, სამართალგანვითარება, წყაროები. განსაკუთრებული ადგილი ეთმობა საკუთრების, სანიუთო, მფლობელობის, ვალდებულების, საოჯახო, მემკვიდრეობითი სამართლის ინსტიტუტებს. სისხლის სამართლისა და სასამართლო პროცესთან დაკავშირებულ სხვა მნიშვნელოვან საკითხებს, ხაზგასმითაა მითითებული საქართველო რომისა და ბიზანტიის საზოგადოებრივი ურთიერთობების და სამართლის რეცეფციის ძირითად მიმართულებათა შესახებ, ასევე განხილულია სამხედრო და საფინანსო სამართალი.

---

<sup>1</sup> იხ. გ. ხუბუა, სამართლის თეორია თბ. 2004 გვ. 206

### §3. რომის სახელმწიფოსა და სამართლის პერიოდიზაცია

(ისტორიული წყაროების მიხედვით, რომის სახელმწიფომ და სამართალმა შემდეგი ეტაპები განვლო:

1. რექსების ხანაში (მეფეთა პერიოდი) რომმა დაახლოებით ორი საუკუნე გაატარა (ძვ. წ. VIII-VI სს), რასაც შემდეგ მოჰყვა

2. რესპუბლიკის პერიოდი, ის გაცილებით ხანგრძლივი დროა რომის ისტორიაში (V-I სს ძვ.წ.აღ) და რამდენიმე ეტაპად იყოფა: ადრინდელ რესპუბლიკად (ძვ.წ.V-IV სს), და გვიანდელი რესპუბლიკის პერიოდად (II-I სს), რომლის დამთავრების შემდეგ დადგა

3. იმპერიის ხანა, რომელიც ახალი წელთაღრიცხვის I-V საუკუნეებს მოიცავდა და იყოფოდა ორ, პრინციპატის (ახ. წ. I-III) და დომინანტის (ახ. წ. IV-V სს) პერიოდებად.<sup>1</sup>

(იურიდიულ ლიტერატურაში რომის სამართლის განვითარების ისტორიას სამ ნაწილად ყოფენ. პირველ პერიოდს მიაკუთვნებენ ე.წ. „ცივილიურ“, „ქვირიტულ“, ანუ სამოქალაქო სამართლის შექმნას, მეორე ნაწილს უკავშირებენ დიოკლეთიანეს გამეფებას (ახ.წ. 284), როდესაც ძველი სამართლის გვერდით ჩნდება პრეტორიული სამართალი, მესამე პერიოდი კი ვრცელდება რომის მონათმფლობელური სახელმწიფოს დაცემამდე. ეს პერიოდი იწყება იმპერატორ იუსტინიანეს მიერ მთელი რომაული სამართლის სისტემატიზაციით და მისი კოდექსის (corpus juris civilis) შექმნით. ამ პრობლემასთან დაკავშირებით გაჩნდა სხვა კრიტიკული მოსაზრებაც.

(თანამედროვე რომანისტიკა, რომის სამართლის შესახებ გამოყოფს სამართლის განვითარების ხუთ პერიოდს: 1. არქაული პერიოდი ჩვ. წ. აღ-მდე 753-367 წ.წ.). 2. წინაკლასიკური პერიოდი ჩვ. წ. აღ-მდე 367-17 წ.წ.). 3. კლასიკური პერიოდი (ჩვ.წ.აღ-მდე 17 წ. (ჩვ. წ. აღ-მდე-235 წ.). 4. პოსტკლასიკური პერიოდი (IV-V სს. ჩვ.წ.აღ-ით.). 5. იუსტინიანეს პერიოდი (527-565 წ.წ.).<sup>2</sup>

წყაროებში ვხვდებით შემდეგ პერიოდიზაციას:

1. პატრიციულ-პლებური ძველი რომის სახელმწიფო და სამართალი მაგისტრატურებისა და პერეგრინების პრეტორიის ჩამოყალიბებამდე, 754 წლიდან 242 წლამდე ჩვენს ერამდე.

1 იხ. მ. ცაცანაშვილი, სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია, თბ. 1995წ. გვ. 73

2 იხ. P.A. Сафаров, Римское право Р-на-Д 2008 გვ/6



2. კლასიკური მონათმფლობელური სახელმწიფოს და კლასიკური პრეტორიული სამართლის პერიოდი, პერეგრინების პრეტორების მაგისტრატურების შემოღების პერიოდიდან იმპერატორ კარაკალას ედიქტამდე 242 წლიდან ძვ. წ. აღ. 212 წლამდე ახ. წ. აღ.

3. ცენტრალიზებულ – ბიუროკრატიული, აბსოლუტური იმპერიისა და რომის ერთიანი საიმპერატორო სამართლის პერიოდი, კარაკალას ედიქტიდან დასავლეთ რომის იმპერიის დაცემამდე, ანუ იმპერატორ იუსტინიანეს გარდაცვალებამდე. ახ. წ.აღ. 212 წლიდან 565 წლამდე.<sup>1</sup>

სასწავლო ლიტერატურაში ვხვდებით შემდეგ პერიოდიზაციას: 1) VII-IV საუკუნეები ჩვ.წ.აღ-მდე, პერიოდი როდესაც მოქმედებდა *jus civilis* ნორმები, რომელსაც დაემატა ცოტა მოვიანებით *jus gentium* წესები, მათი მოდერნიზაციით და სრულყოფით. 2) კერძო სამართლის პრინციპებისა და ძირითადი დებულებების ფორმირების პერიოდი (დაახ. IV-IX სს. ჩვ.ერამდე). 3) პრინციპატის პერიოდი (I საუკ. ჩვ.წ.აღ და II ს. ჩვ.წ.აღ) ანუ ე.წ. რომის კერძო სამართლის აყვავების ხანა, (კლასიკური პერიოდი). 4) II-V სს. ჩვ.წ.აღ. კერძო სამართლის სისტემატიზაციისა და კოდოფიკაციის ხანა. 5) რომის კერძო სამართლის, როგორც დარგის ჩამოყალიბება, რაც შეიძლება პრინციპატის პერიოდს დაეკავშიროთ.<sup>2</sup>

(მკვლევართა ერთი ნაწილი სამართლის განვითარებას სამ ნაწილად ყოფს. პირველი ესაა ძველი რომაული სამართალი, რომელიც სახელმწიფოს ფორმირების პროცესებს უკავშირდება. მეორე ნაწილს კლასიკური პერიოდის სამართალს უწოდებენ, მესამე ნაწილს კი პოსტკლასიკურ პერიოდად მოიხსენიებენ.)

ძველი რომელი იურისტები სახელმწიფოს მიიჩნევენ „*res publica* -დ“, როგორც „ყველა მცხოვრების დამკველ ორგანიზაციად“. ხოლო სამართალს „*ars boni et aequi*“ „სიკეთისა და სამართლიანობის ხელოვნებას“ უწოდებდნენ. სამართლიანობა არის სიქველე, მისწრაფება სამართლის განხორციელებისაკენ, – წერდა ულპიანე, – სამართლიანობა მართლწესრიგის იდეალური მდგომარეობაა, სამართლიანობა განსაზღვრავს სამართლის შინაარსს და პირიქით. სამართლიანობა არის უცვლელი და მუდ-

1 Римское право под ред. В. Томсинова м.1999г.с.5

2 С.А. Гуляев. Римское Гражданское право м. 2007г. гл. 8

მივი ნება თითოეულისათვის თავისი უფლების მინიჭებისა. სამართლის დანაწესებია პატიოსნად ცხოვრება, სხვისთვის ზიანის არ მიყენება, თითოეულისათვის თავისის მიზღვა.<sup>1</sup> ასე სწამდათ ძველ რომაელ იურისტებს. მაგრამ რომის სახელმწიფოსა და სამართალს ასეთი ფუნქცია თავის თავზე არც ერთ ეპოქაში არ აუღია იგი, მოჭარბებული კლასობრიობით ხასიათდებოდა. მათ შესახებ უფრო დაწვრილებით ქვემოთ გვექნება მსჯელობა.

---

<sup>1</sup> იხ. რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს ინსტიტუციები თბ. 2002წ. გვ. 12-მ

## ნიბნი პირველი

# რომის სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობა და მისი განვითარების ეტაპები

### თავი პირველი

## რომის სახელმწიფოს ჩამოყალიბება

### § 1. იტალია რომის დაარსების პერიოდში

(ტრადიციის თანახმად, რომის დაარსებამდე, ძვ. წ აღ-ით მერვე საუკუნეში იტალიაში იდგა ხანა, რომელსაც ლუის მორგანმა ბარბაროსობის პერიოდი უწოდა; ე.წ. „რკინის ეპოქიდან“ იტალიის მცხოვრებთა წარმოშობის პრობლემისადმი მიძღვნილი გამოკვლევები მათ ეთნიკურ სხვადასხვაობას ამტკიცებს. მაშინდელი საზოგადოების ძირითად მასას შეადგენდნენ იტალიელთა მოდგმის ტომები—საბინები, სამნიტები, პაციენები, უმბრები და ლათინები. იტალიის სამხრეთ აღმოსავლეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში ცხოვრობდნენ ილირიელები-იაპიგები და ვენეტები, ხოლო ჩრდილო-დასავლეთით-გალები.

იმდროინდელი იტალიის მოსახლეობასთან შედარებით უფრო მაღალ კულტურულ დონეზე იმყოფებოდნენ მოსული ეთნიკური ჯგუფები - ბერძნები და ეტრუსკები, რომლებმაც უდიდესი როლი ითამაშეს იტალიის მოსახლეობის კულტურული და საზოგადოებრივი ცხოვრების დონის ამაღლებაში.<sup>1</sup>

ბერძნებმა მოახდინეს იტალიის სამხრეთის და სიცილიის კოლონიზაცია, იქ შექმნეს ახალშენი Graecia Magna. მათზე უფრო დიდი გავლენა ჰქონდათ ეტრუსკებს, რომლებმაც შეძლეს შეექმნათ ძლიერი მონათმფლობელური სახელმწიფო და დაეპყროთ რომი. ასე რომ, უკანასკნელი რომაელი მეფეები ეტრუსკულ სახელებს ატარებდნენ.)

1 იხ. Моргань Первбымное обшество С.петербурґ 1934г. с.15

რომის დაარსების თარიღად კატონი ასახელებს 751 წელს ჩვ. წ. აღმდე, ვარონი 763 წელს,<sup>1</sup> ხოლო სხვა ავტორები ეთანხმებიან ლივიუსის ცნობას,<sup>2</sup> რომ რომი დაარსდა 754წ. ჩვ.წ. აღ -მდე.<sup>3</sup> მის დაარსებასთან დაკავშირებით არსებობს ლეგენდა, იტალიაში ოდისეუსის მოგზაურობის შესახებ, ასევე დიდი პოპულარობით სარგებლობდა იტალიაში ენეას ეტლით მოგზაურობის შესახებ მეორე ლეგენდა,<sup>4</sup> რაც ძველ ბერძნულ წყაროებში დაფიქსირებულია V საუკუნეში-ჩვენს წელთ აღმდე, რომელიც რომის შექმნის შესახებ გვამცნობს შემდეგს: ენეას ერთ-ერთი შთამომავალი, მეფე ნუმიტორი ტახტიდან ჩამოაგდო მისმა ძმამ ამულიუსმა. მისი ვაჟი, რომელიც საშიში იყო როგორც ტახტის მემკვიდრე, სიკვდილით დასაჯა, ხოლო ქალიშვილი რეი სილვია ცოცხალი დატოვა იმ მიზნით, რომ მისთვის გაეჩინა კანონიერი მემკვიდრე, მაგრამ სილვიას თვით ღმერთ მარსისაგან ჩაესახა ტყუპები და დაიბადნენ რომული და რეში. ამულიუსმა ბრძანა მათი თავიდან მოცილება და ორივე მდ. ტიბრში გადაყარეს, მაგრამ ისინი სიკვდილს გადაურჩნენ, მდინარემ ნაპირზე გამოორიყა და მათი კეება ძუ მგელმა შეძლო, შემდეგ ისინი იპოვა სამეფო მწყემსმა და გაზარდა. როდესაც წამოიზარდნენ, მწყემსმა მათ სიმართლე უამბო, ძმებმა დასაჯეს ამულიუსი და აღიდგინეს საკუთარი უფლებები, რაც მათ ბაბუსაგან ეკუთვნოდათ.<sup>3</sup>

ლეგენდის მიხედვით სწორედ მათ მოღვაწეობასთანაა დაკავშირებული ახალწი ქალაქის დაარსება, რომელსაც ეწოდა (Roma) რომი, უფროსი ძმის რომულის საპატივცემულოდ. სამწუხაროდ, ძმებს შორისაც ჩამოვარდა მტრობა და რომულმა მოკლა რემი.<sup>4</sup>

ტრადიციებისა და ლეგენდების შინაარსი შესაბამეა არქეოლოგიური გათხრების მონაცემებს. სულ ახლახანს არქეოლოგებმა კვლავ დაადასტურეს რომის დამაარსებელი ტყუპი ძმების, რომულისა და რემის თავშესაფრის არსებობა, სადაც მწყემსი ტყუპებს ზრდიდა და ლეგენდა ამით სინამდვილედ იქცა. რომის სიმბოლო ძუ მგელი კი რეალური ცხოველი ყოფილა, რითაც მგლების დაუნდობლობის მითიც დაიმსხვრა.

ძველი რომაული გამოთქმაა, „კომო კომინუს ლუპუს ესტ“, – ადამიანი ადამიანისათვის მგელია. ციცერონი წერდა: „ადამიანებს ადამიანების-

1 იხ. О.А. Кудинюв, Римское право, М 2007г. გვ. 169

2 Тит ливий, История рима от основания города. Т-1 м.1989г. გვ. 15

3 იხ Н.А. Машкин, История Древнего рима М. 1947г. გვ. 83

4 იხ. Тит ливий, История рима от основания города. Т-1 м.1989г. გვ 13-14

თვის მოაქვთ უდიდესი სიკეთე და ამავე დროს უდიდესი უბედურება.“  
სამწუხაროდ, რომაელებს ეს აზრი შემთხვევით არ გამოუთქვამთ, იგი  
დღესაც ხშირად გვახსენებს თავს.

ახალ ერამდე პირველი ასწლეულის დასაწყისში დღევანდელი რომის  
გარეუბნებში მართლაც არსებობდა ლათინების და საბინების მულმივი  
დასახლებები, ისინი მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობას მისდევდნენ.  
გაჩნდა ტომთაშორისი ურთიერთობის მოწესრიგების საჭიროება და ამ-  
გვარად შეიქმნა Septimonium კავშირი შვიდ ბორცვზე. „სენტიმონციუმი“  
(ავანტინი, ესკვიდინი, ვიმინალი, კაპიტოლი, კვირინალი, პელატინი, ცე-  
დიუმი).<sup>1</sup> მეზობელი ტომების, განსაკუთრებით, ეტრუსკებისაგან თავის  
დაცვის მიზნით აღმართეს კედელი, რომლის ციხე სიმაგრესაც უწო-  
დეს Roma quadrata. – ოთკუთხედი რომი.<sup>2</sup> ლაციუმის მაშინდელმა მო-  
სახლეობამ დაიწყო თავისი სახელმწიფოსა და სამართლის შექმნა.<sup>3</sup>

## §2. საზოგადოებრივ-პატრიარქალური ურთიერთობები ადრეულ რომში

რომის დაარსების პერიოდში მოხდა შრომის პირველი საზოგადოებრი-  
ვი დანაწილება, მიწათმოქმედება გამოეყო მეცხოველეობას, რასაც მოჰყვა  
ხელოსნობის გამოიჯენა სასოფლო – სამეურნეო საქმიანობისაგან, შემ-  
დეგ კი მოხდა ვაჭრობის, როგორც დამოუკიდებელი საზოგადოებრივი  
საქმიანობის გამოყოფა.

მესაქონლეობა იყო რომის მოსახლეობის უძველესი საქმიანობა. ტიგ-  
როსის ჭაობიანი ნაპირები ხელს უწყობდა მის განვითარებას. მეცხოვე-  
ლეობის პროდუქტები იყო სიმდიდრე, რომელიც ემსახურებოდა მეზობელ  
ტომებთან-ბერძნებთან და ეტრუსკებთან გაცვლა-გამოცვლის საქმეს.

ლაციუმში მიწათმოქმედებამ წარმატებით განვითარება მას შემდეგ  
დაიწყო, რაც ისწავლეს მიწათხრილების გაკეთება, სადრენაჟო სისტე-  
მის (cuniculi) ნაშთები დღესაცაა შემორჩენილი რომის მიდამოებში. მაშინ

1 ლივიუსი 1,176

2 Roma quadrata- ოთკუთხედი, რომი ეს იყო უძველესი სიმაგრე, შეუქმნილი და აუღებელი  
კედლით, რომელიც მტკიცედ იცავდა მტრებისაგან.

3 ლევენდის ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, ძველი რომაელები ტროელების შთამომავლები  
არიან, ამიტომაც პირველადვე ბერძნები დაიპყრეს და გაანადგურეს. Тут ливоний. История  
рима от основания города. Т-1 м.1989г.г. 504-506

დაიწყო ლაციუმის მოსახლეობამ მარცვლეულისა და ბალის კულტურების მოყვანა. ლითონის იარაღებზე გადასვლასა და მიწის მუდმივი დამუშავების აუცილებლობას მოჰყვა მესაქონლე და მიწათმოქმედი ტომების გამიჯვნა. იქმნებოდა მუდმივი დასახლებები. ხელოსნობას ადამიანთა იმ ჯგუფმა მიჰყო ხელი, რომლისთვისაც იგი ძირითად საქმიანობად იქცა. ლაციუმი სახელოსნო ცენტრად ჩამოყალიბდა განსაკუთრებით მოხეხებულ ადგილმდებარეობის და Via Salaria –ს სავაჭრო გზის წყალობით, მარილი და სხვა პროდუქტები გადაჰქონდათ ზღვის სანაპიროებიდან ქვეყნის სიღრმეში.

ლაციუმის მოსახლეობის მეურნეობის ერთობლივ აღმავლობას მოჰყვანატურალური ურთიერთობების შემცირება და სპილენძის როგორც ღირებულებათა საყოველთაო საზომის გაჩენა. შემდგომში აასი იყო ფულის ერთეული, რომელიც ერთ გირანქა სპილენძს უდრიდა, მას მასწუნდინადაც<sup>1</sup> მოიხსენებდნენ. მაშინდელი ფულის ერთეულზე შეიძლებოდა სხვადასხვა სახის პროდუქტის შეძენა.

საქონლის გაცვლით დაკავებული იყო ის ხალხი, ვინც ამ პროდუქტს არ აწარმოებდა. რომის ბაზრებზე საქონლის შეტანა-გამოტანას ძირითადად, უცხოელებმა მიჰყვეს ხელი. ესენი იყვნენ ბერძნები და ეტრუსკები, ე.ი ყალიბდებოდა ვაჭრების ფენაც.

უძველეს პერიოდში რომში წარმოების იარაღებსა და საშუალებებზე არსებობდა რომაულ გვართა საზოგადოებრივი საკუთრება. არ იყო ექსპლუატაცია, ზოლო საწარმოო ურთიერთობები ასახავდა გვართა საერთო სოლიდარულ ინტერესებს.

წარმოების საშუალებათა განვითარებასთან ერთად, საბერძნეთიდან და ეტრუსკიიდან საქონლის შეტანამ უზრუნველყოფილი გახადა საზოგადოებრივი ჯგუფების მუდმივი ფორმირება. ეს იყო კონსორციუმები, რომაული ოჯახები, რომლებსაც 5 წლით გადაეცემოდათ დროებით სარგებლობაში მიწები და წარმოების სხვა საშუალებები.

იმის შემდეგ, რაც ისწავლეს მიწაზე კულტურული მცენარეების მოყვანა, შეწყდა გვარის მიწების გამოყოფა ყოველ ხუთ წელიწადში და საბოლოოდ გადავიდა ის ჯერ კონსორციუმის საკუთრებაში, ზოლო შემდეგ ნათესავთა უფრო მცირე ჯგუფების მფლობელობაში, რომლებსაც ეწოდებოდათ Familia peviniaque, ისინი იქცნენ საგვარეულო ქონების კერძო მესაკუთრებად.

<sup>1</sup> Nuainae იყო წმინდა დღეები, რომელიც ეძღვნებოდა რელიგიურ დღესასწაულებს და მაშინ ზღებოდა საქონლის გაცვლა ყოველი თვის მეცხრე დღეს.

რომაულ საზოგადოებაში კერძო საკუთრების გაჩენასთან ერთად წარმოიშვა და დამკვიდრდა ექსპლუატაციის სხვადასხვა ფორმა, როგორცაა იაფი მუშახელის დაქირავება, თანამოქალაქეთა სხვადასხვა გზით დამონება და ა.შ.

### §3. გვაროვნული წყობილება

რომის დაარსების შესახებ არსებული თქმულებიდან გამომდინარე, პირველად იქ დასახლებულა ერთ ტომად გაერთიანებული ლათინური მოდგმის 100 გვარი, მალე ლათინების გვარს მიერთებულან უმბრები და საბელების (საბინები) ასგვარიანი ტომი, შემდეგ კი ამ ორ ტომს მიუერთდა ეკვების, გერნიკების და ვოლიკების 100 გვარისაგან შემდგარი მესამე ტომი. არსებობს მოსაზრება, რომ ეს უკანასკნელი ხალხი ძველი დედისეული გვარის განშტოება იყო. ამ გზით ჩამოყალიბდა ადრეულ რომში 300 გვარი. ყოველი გვარი წარმოადგენდა მის შიგნით რომელიმე ლეგენდალური გმირის (heros epominos) და სხვა პირთა შთამომავლობის ჩაკეტილ საზოგადოებას და ნეიტრალურ გაერთიანებას. გვარის სათავეში იდგა უხუცესი (pater gentes), რომელიც მამაკაცთა საბჭოსთან ერთად ახორციელებდა გვარის მართვას.

გვარში არ არსებობდა ექსპლუატაცია მისი ყველა წევრის სოლიდარობის წყალობით. გვარები ერთიანდებოდნენ 30 კურიაში. ყოველი კურია წარმოადგენდა 10 გვარის კავშირს, ამ გაერთიანების მიზნები უკავშირდებოდა ერთობლივი ცხოვრების, თავდაცვის და გვართაშორისი დაკების მოწესრიგების ამოცანებს. კურიას მართავდა კრება, რომელიც ირჩევდა უხუცესს - curio.

გართიანების უფრო მაღალი საფეხური იყო ტრიბა, ანუ ტომთა გაერთიანება. ყოველი ტომი შედგებოდა 10 კურისაგან, 100 გვარისაგან. რომში არსებობდა სამი ტრიბა-Ramnenses, Titienses და Luceres. თითოეულ მათგანს შეეძლო შეეიარაღებინა 100 მხედარი და 1000 ქვეითი.

ეს იყო ტომთა ფედერაციის უმაღლესი საფეხური, რომელზედაც ამაღლებულა საგვარეულო წყობილება. ხოლო ამ ევოლუციის დროს ძირითადი საფუძველი საგვარეულო წყობილებებისა არ შეცვლილა.

ამას უზრუნველყოფდა მიწის საერთო მფლობელობა და გვარი, როგორც საზოგადოებრივი შენობის ერთეული. აქ არ ქონდა ადგილი კერძო საკუთრებას, და არც ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულს.<sup>1</sup>

რომაულ გვარს ადრეული ქალაქის არსებობის ხანაში შემდეგი წესწვობილება გააჩნდა: 1) გვარის წევრებს შორის ურთიერთმემკვიდრეობის უფლება, ე.ი. ქონება გვარის შიგნით რჩებოდა. XII ტაბულის კანონების მიხედვით, მემკვიდრეობას პირველ რიგში ღებულობდნენ შვილები, თუ ისინი არ იყვნენ აგნატები, ხოლო თუ არც ისინი იყვნენ, მემკვიდრეობა რჩებოდა გვარში.

2) გვარს ქონდა საერთო სასაფლაო: მაგ. კლავდიუსების პატრიციულ გვარს ქ. რეგილიდან რომში გადმოსახლების შემდეგ გამოუყვეს მიწის ნაკვეთი სასაფლაოს მოსაწყობად.

3) საერთო რელიგიური დღესასწაულები (sacra gentilitia)

4) გვარის შიგნით ქორწინების დაუშვებლობა, გვარისთვის ეს წესი დაუწერელ კანონად იქცა, ამ წესის დარღვევის შემთხვევას მაშინდელი წყაროები არ აფიქსირებენ.

5) საერთო მიწათმფლობელობა, რასაც დიდხანს ინარჩუნებდა რომაული გვარი, თუმცა მიწის ცალკეულ პირთა შორის დაყოფის პროცესი რომაულიდან იწყება, მაგრამ შემდგომ ეპოქებში სახელმწიფო მიწაზე არც ერთ ხელისუფლებას უარი არ უთქვამს.

6) გვარის წევრთა მთლიანობა ჭირისა და ლხინის დროს. ეს ნიშნავდა გვარის წევრთა ვალდებულებას, ერთმანეთისათვის მფარველობა და დახმარება გაეწიათ. ტყვედ ჩაყარდნისას მთელი გვარი ცდილობდა მის დახსნას, როცა აპიუს კლავდიუსი დააპატიმრეს, მთელმა მისმა გვარმა სამგლოვიარო ტანსაცმელი ჩაიცვა.

7) საგვარეულო სახელის ტარების უფლება, მაგ. განსაკუთრებულ მონას შეეძლო ყოფილი ბატონის საგვარეულო სახელი მიიედო, მაგრამ არ ენიჭებოდა გვარის უფლებები.

8) შვილად აყვანის გზით უცხოელების გვარში მიღების უფლება.

9) გვარში არსებული ყველა თანამდებობის პირთა არჩევითობის პრინციპი.

1 იხ. არჩ. ჯორჯაძე, თხზულებანი, წიგნი პირველი, თბ. 1911წ. გვ. 190



10) სამი ტრიბის კავშირის შექმნა, მას ეწოდებოდა *Populus romanus quiritorium* (ან კვირიტების<sup>1</sup> რომაული კავშირი), რომლის სათავეში იდგა არჩეული *Rex*, აგრეთვე სენატი, ყველა გვარის კრება და კურიის უხუცესობა.

#### §4. გვაროვნული წყობის მოხლა

რომაული გვაროვნულ-ტომობრივი მოწყობა, სადაც გაბატონებული იყო მის-თავისუფალ წევრთა შორის სოლიდარობა, მალე დასრულდა. ამის მიზეზთა შორის შეიძლება დასახელდეს; ა) გვარის დაშლა ოჯახებად — წარმოების საშუალებათა განვითარების პარალელურად შესაძლებელი გახდა გვარიდან წერილ მწარმოებელად გასვლა. ეს იყო კონსორციუმი და აგნატური ოჯახები, რომელთა სათავეში იდგა ყველა უფლებით აღჭურვილი *pater Familias*, (პატერ ფამილია) ოჯახის მამა. ოჯახის სხვა ყველა დანარჩენი თავისუფალი წევრი—*alieni juris*—იმყოფებოდა ოჯახის უფროსის ძალაუფლების ქვეშ. ოჯახის უფროსის გარდაცვალების შემთხვევაში, ქონება იყოფოდა რომაული მემკვიდრეობითი სამართლის ნორმათა მიხედვით. პატრონები და კლიენტები — უკვე გვაროვნული ორგანიზაციის პირობებში სიმდიდრის დონის მიხედვით იყოფოდნენ მდიდრებად და ღარიბებად.

მდიდარი ოჯახები ამით სარგებლობდნენ და გვევლინებოდნენ ღარიბთა პროტექტორებად, როგორც კლიენტთა პატრონებად, მათ მფარველებად. ამგვარად, პატრონები იყვნენ გამოჩენილნი და მდიდარნი, ხოლო კლიენტები — უსახსრონი და ღარიბნი. მათ შორის ურთიერთობები წესრიგდებოდა ე. წ. პატრონატული სამართლით, რომელიც ხაზს უსვამდა რომაული საზოგადოების დიფერენციაციას ქონებრივი ცენზის მიხედვით, ე.ი. კლიენტები იძულებულნი იყვნენ, მოეთხოვათ მატერიალური მხარდაჭერა პატრონებისაგან, შესაბამისად კი ასრულებდნენ ამ უკანასკნელთა მითითებებს კრებაზე.

პატრიციები და პლებები; პატრიციები იყვნენ უწარჩინებულესი რომაული გვარის შთამომავლები და ეკავათ მნიშვნელოვანი სახელმწიფო თანამდებობები, ხოლო პლებები (სიტყვისაგან *pleo*-სრულად; უმრავლე-

<sup>1</sup> რომის მოქალაქეები თავიანთ თავს „კვირიტებს“ უწოდებდნენ „პოპულუს რომანუს კვირიტუს.“ აქედან გამომდინარე, წყაროები ცივილურ სამართალს კვირიტულ სამართალად მოიხსენიებდნენ.

სობა) – ეს იყო თავისუფალი ღარიბი რომაელი მოსახლეობის მასა.

მონებს - ტყვეებს, როგორც წესი, ომში ხოცავდნენ. შემდეგ ამ ჩვეულებებზე უარი თქვეს და დაიწყეს მათი ჩართვა მეურნეობაში. ეს იყო პატრიარქალური მონობა, როდესაც მონები მონაწილეობდნენ შრომაში პატრონებთან ერთად და ოჯახის წევრებად ითვლებოდნენ.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ რომის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის ყველა მკვლევარი მოსახლეობის ამგვარ დიფერენციაციას არ იზიარებს.

მონის ოჯახის წევრად მიჩნევის საკითხს შეცდომას უწოდებს პროფ. მ. ალექსიშვილი, ანალიზებს რა სენეკას შეხედულებას ამ პრობლემასთან დაკავშირებით, რომელსაც მიაჩნდა, რომ მის დროს ოჯახის აღსანიშნავად იხმარებოდა სიტყვა familia. ამასთანავე, მონასაც მოიხსენებდნენ ტერმინით familus (მონა). მკვლევარი აქედან აკეთებდა დასკვნას, რომ იმ პერიოდში მონაც ოჯახის წევრად ითვლებოდაო.<sup>1</sup> სინამდვილეში familia ლათინურში ოსკური ენიდან (famel) გადმოსულა და ადრეულ ლათინურში იგი ნიშნავდა ყველაფერ იმას, რაც ოჯახს ეკუთვნოდა და datri familias (ოჯახის უფროსის) განკარგულებაში იყო.<sup>2</sup> ასეთი იყო როგორც ყველა ნივთი, ისე ადამიანები: ცოლი, შვილები და მონები.<sup>3</sup>

ამ და სხვა პროცესებმა გამოიწვია ძველი საზოგადოებრივი წესწყობილების დაშლა, რომელიც დაფუძნებული იყო პირადი სისხლით ნათესაობის კავშირზე და მის ნაცვლად შეიქმნა სრულიად ახალი სახელმწიფოებრივი წესწყობილება, რომელიც აღმოცენდა ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფის და ქონებრივი ცენზის სხვადასხვაობის პრინციპებზე. სახელმწიფო ხელისუფლება სამხედრო -ვალდებულ მოქალაქეთა ხელში აღმოჩნდა.

1 О. А. Омельский. Римское право М. 2008г. стр. 46-47

2 იხ. მ. ალექსიშვილი, მონობა ანტიკურ ქვეყნებში, თბილისი, 1971 წ. გვ. 192-193

3 Ф.Р. Любкер Реальный словарь классической древности 1882 гв 401-402

## თავი მეორე

# რომაული სახელმწიფოს ჩამოყალიბება

### §1. მეფეთა (რექსების) ხანის ხელისუფლების ორგანოები

(მეფეთა პერიოდი (ანუ სამხედრო დემოკრატიის ხანა) გამოირჩეოდა ურთიერთდაპირისპირებით, რასაც შედეგად მოჰყვა რომაული საზოგადოების გვაროვნულ-ტომობრივი ორგანიზაციის მოსპობა და მისი სახელმწიფოდ გადაქცევა.)

„ძველ რომში, წერს არჩ. ჯორჯაძე, სახელმწიფოს წარმოშობისთანავე გვარის ადგილი კლასებმა დაიჭირეს, რომელთა ურთიერთობა ქონებრივ უთანასწორობაზე დამყარდა. ძველმა საერო კრებამ, რომელიც გვართა კავშირი იყო (comitia curiata) ადგილი დაუთმო ახალ კრებას, რომელიც ეკონომიკური უთანასწორობის წარმომადგენლად ჩაითვლებოდა (comitia Centuriata) თვითონ რომი ოთხ ოლქად დაიყო. მცხოვრებლები თავიანთი ქონებით ამ ოლქებზე იყვნენ მიწერილნი. სახელმწიფომ ახალი ელემენტი შემოიტანა – ეს იყო ტერიტორია და საკუთრება.<sup>1</sup> ამ პროცესის თანმდევი მოვლენა იყო სახელისუფლო ორგანოების ჩამოყალიბება.

მაშინდელი საზოგადოების სათავეში იდგა მეფე, რომელიც ითვლებოდა მხედარმთავრად, უმაღლეს ქურუმად და ზოგიერთ საქმეთა მოსამართლედ. საზოგადოების სხვა წევრებისაგან განსხვავებით, მას ეცვა მეწამულის მანტია, თავი შემოსილი ჰქონდა ოქროს დიადემით, ხელში ეკავა არწივის-თავიანი სკიპტრა, იჯდა სპილოს ძვლისაგან დამზადებულ სავარძელში, სამეფო ატრიბუტიკა გადმოღებული იყო ეტრუსკებისაგან, მათგანვე იყო ნასესხები ხელისუფლებისა და ძალაუფლების განხორციელების მეთოდები, რომელსაც იყენებდნენ რომაელი მეფეები. წყაროებით ცნობილია, რომ მეფის არჩევა ხდებოდა კურიის კრებაზე და სწორედ სახალხო კრებით იყო შეზღუდული მეფის ხელისუფლება. თ. მომზენის<sup>2</sup>

<sup>1</sup> იხ. არჩ. ჯორჯაძე, წიგნი პირელი, თბილისი, 1991წ. გვ. 22

<sup>2</sup> თეოდორ მომზენი (1817-1903) ცნობილი იურისტი „რომის სახელმწიფო სამართალი“-ის ავტორი (romisches Staatsrecht) I-II ტ. 1887წ. III ტ. 1888წ

მიხედვით, იგი არ იყო აღჭურვილი ტრადიციული სამეფო ძალაუფლებით, რამდენადაც იგი არჩეული იყო კრების მიერ.<sup>1</sup>

ღივი იყო გვაროვნულ-ტომობრივი მმართველობის ტიპიური წარმომადგენელი. ის იყო სიცოცხლის ბოლომდე არჩეული ტომობრივი კავშირის ბელადი, რაზედაც კვლავ გვექნება მსჯელობა, როგორც ცალკე ინსტიტუტზე.

კურიის კრება, Comitia curiat, „კომიცია, კურიატა“ იყო რომაულ სახალხო კრების სახე, გვაროვნულ – ტომობრივი მმართველობის ერთ – ერთი უძველესი ინსტიტუტი და ხელისუფლების უმაღლესი ორგანო, მართვა-გამგეობისა და მართლმსაჯულების სფეროში. ხმის უფლება ჰქონდა ყოველ კურიას, რომელსაც საკუთარ წევრთა შორის კენჭისყრის შემდეგ კომიციაზე ჰქონდა ერთი ხმა. კრების ასეთ სახეს იწვევდა მეფე (Rex) – ხოლო იმ პერიოდში, როდესაც ტახტი თავისუფალი იყო-intertex-, იწვევდნენ რომელიმე სენატორს თავისივე რიგებიდან. (კომიცია კურიატა) სახალხო კრებაზე წყვეტდნენ როგორც მთელი რომაული საზოგადოების უმნიშვნელოვანეს საკითხებს, ისე ცალკეული მოქალაქეების პრობლემებს.

სენატი. – სენატი (senatus-სენატუსი) იყო გვაროვნულ-ტომობრივი მმართველობის ტიპიური ორგანო, რომლის შემადგენლობა 100 და შემდგომ 300 წევრით განისაზღვრებოდა. სენატის წევრები უხუცესები იყვნენ. სენატის მოვალეობაში შედიოდა მეფისათვის რჩევების მიცემა, კრების გადაწყვეტილების რატიფიცირება, ხოლო უმეფობის დროს-მმართველობის განხორციელება და ახალი მეფის არჩევნების მომზადება.

სახალხო კრება მას არჩევისთანავე აღჭურავდა უმაღლესი იმპერიუმის უფლებით, მაგრამ როდესაც ეტრუსკებმა დაიპყრეს რომი, მეფე აირჩიეს საკუთარი რიგებიდან. ეტრუსკული წარმოშობის მეფე ბატონობდა არა მარტო პლებეებზე, არამედ პატრიციებზეც<sup>2</sup> და ახორციელებდა მმართველობას სენატისა და სახალხო კრებებისაგან დამოუკიდებლად, რამაც ერთის მხრივ განაპირობა მეფეთა პერიოდის დასასრული.

1 იხ. Н.А. Машкин, история Древнего рима, М. 1947г.г. 91-92

2 ლიეუსი, 1,49

## §2. სარკინუს ტულიუსის რეფორმები

ძველ რომში პატრიციებსა და პლებებს შორის ბრძოლა და პრობლემის მოგვარების მცდელობა სერვიუს ტულიუსის რეფორმების საფუძველი გახდა (VII ს. ჩვ.წ. აღ-მდე).

იმდროინდელ რომაულ წყაროებში არსებული ინფორმაციის საფუძველზე მეექვსე რექსი (მეფე) სერვიუს ტულიუსი იყო მონა ქალის ოკრიზიას შვილი (Sera), რომელიც მეფე ტარკინიუსს პრისკას ცოლს ემსახურებოდა. სერვიუს ტულიუსი ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა ღირსეული თვისებების გამო. იგი სამეფო კარზე იზრდებოდა და ღმერთებისაგან განსაკუთრებული წყალობით სარგებლობდა. სერვიუსი ახალგაზრდობიდანვე მონაწილეობდა საბრძოლო ლაშქრობებში. კარგი ცხენოსანი და მეომარი ყოფილა. მეფის გარდაცვალების შემდეგ ქურუმთა მხარდაჭერით სერვიუს ტულიუსი მეფედ აირჩიეს. მან „მისი წარმომავლობის უხერხულობა ჭკუით და რეფორმებით გამოისყიდა.“<sup>1</sup>

სერვიუს ტულიუსმა 193 ცენტურიის შემადგენლობაში გააერთიანა 19 300 ჯარისკაცი და ოფიცერი.

გარდა ქონებრივი ცენზისა, მან შემოიღო ასაკობრივი ცენზიც, თითოეულ ლეგიონში შედიოდა ახალგაზრდათა ცენტურია (Centuriae iuniorum) 17 დან 46 წლამდე ასაკის ადამიანებისაგან შემდგარი, რომლებიც ეწეოდნენ საყარაულო სამსახურს და მოხსუცების ცენტურია (centuriae seniores), რომლებიც ეწეოდნენ გარნიზონის შიდა სამსახურს.<sup>2</sup>

იმ მიზნით, რომ შესაძლებელი ყოფილიყო შეიარაღებულ ძალებში გვარის გარეშე მყოფი მოსახლეობის-პლებების ჩართვა, მეფე სერვიუს ტულიუსის (578-533 წ.ჩვ. აღ-დე) მიერ ჩატარდა სახელმწიფო სისტემის რეფორმა, ეს რეფორმა აისახებოდა რომის მთელ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ წყობაზე რესპუბლიკის არსებობის ბოლომდე.

ეყრდნობოდა რა მოქალაქეთა ქონებრივ მდგომარეობას, სერვიუს ტულიუსმა რომის მოსახლეობა დაყო ექვს ქონებრივ ჯგუფად, ყოველი მათგანი იყო მეომართა-ცენტურიონთა-განსაზღვრული რაოდენობა გარკვეული წესით. პირველ ქონებრივ კლასს შეადგენდნენ ის ადამიანები, რომელთა ქონება 100000 შეადგენდა, მეორე ჯგუფს შეადგენდნენ ის ადამიანები, რომელთა ქონება 75000 იყო, მესამე ჯგუფში შევიდა 50000

1 იხ. В. С. Сергеев, Очерки по истории древнего мира, м. 1938г. გვ. 45

2 იქვე გვ. 43

აასის მქონებელნი, მეოთხეში 25000 აასი, მეხუთეში 11000 და მეექვსეში 10000 აასის მქონებელნი,<sup>1</sup> რომელთაც შეეძლოთ საკუთარი ხარჯით შეიარაღებულყვნენ როგორც მძიმედ აღჭურვილი ქვეითები. ეს მხოლოდ მეტად მდიდრებისთვის იყო ხელმისაწვდომი. მოქალაქეები დაყოფილნი იყვნენ 80 ცენტურიად. პირველი რიგი მოიცავდა აგრეთვე ცხენოსან ცენტურიებს, რაც დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული – ცხენი ძვირი ღირდა. ჰყავდათ 18 ცხენოსანი ცენტურია. მეორე, მესამე და მეოთხე რანგის მოქალაქეები დაყოფილნი იყვნენ 20 ცენტურიად. უკანასკნელი ფენა შედგებოდა 30 ცენტურიისაგან, მისი წევრები შეიარაღებულნი იყვნენ მსუბუქად ქვისა და ისრის სასროლი საშუალებებით.

ისინი, ვისაც შემოსავლის მინიმუმიც არ გააჩნდა, არ იყვნენ ვალდებულნი ემსახურათ ჯარში, მონაწილეობდნენ მხოლოდ დამხმარე ქვედანაყოფებში, ტყვეების განაწილებაში და ა.შ.

ამგვარად, სერვიუს ტულიუსის რეფორმის მიხედვით, რომის მთელი მოსახლეობა ქონებრივი ცენზით დაყოფილი იყო 193 ცენტურიად. ამ გზით შეიარაღებულ რომაელთა რიგები გაიზარდა და საარჩევნო სისტემის ინტერესებში მოექცა. Komitatus maximus.<sup>2</sup> სახალხო საბჭოში კენჭისყრა იწყებოდა უმდიდრესი ცენტურიებიდან და ასე შემდეგ, რაც დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. არც თუ ისე იშვიათად, ყველაზე

მდიდარი ფენები დამოუკიდებლად წყვეტდნენ ყველა საკითხს. გარდა ამისა, დაიწყო მიწის კონცენტრაციის პროცესი. ისტორიოგრაფიაში ჩამოყალიბდა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სერვიუს ტულიუსის მიერ მოსახლეობის დაყოფას უნდა მოჰყოლოდა მიწის სხვადასხვა რაოდენობით განაწილება. ასე მაგ. პირველ კლასს (Clasii) სრული ნადელი 20 იუგერი უნდა ჰქონოდა, მეორე კლასს - 15. მესამეს -10, მეოთხეს და მეხუთეს -2,5 იუგერი. ამგვარად, ძველ რომში, მეფეთა პერიოდში ადგილი აქვს მიწის არათანაბარ განაწილებას.<sup>3</sup>

„სერვიუს ტულიუსი კლასების შედგენისას არისტოკრატიის სულისკვეთებით ხელმძღვანელობდა, – წერს შ.ლ. მონტესკიე. ტიტუს ლივიუსთან და დიონისე პალიკარნასელთან ვკითხულობთ, თუ როგორ მოაქცია მან ხმის მიცემის უფლება მთავარ მოქალაქეთა ხელში. რომაელი მოსახლეობა მან ასოთხმოცდაცამეტ ცენტურიად დაყო, რომლებიც ექვს

1 დიურო დელა მალიუსის გამოანგარიშებით, სერვიუს ტულიუსის მიერ განსაზღვრული თანხები შესაბამისობაში დაახლოებით უდრიდა 14000, 10500, 7000, 3600 და 1570 გერმანულ მარკას.

2 Ciceron „De republica 2,22, „De legibus“ 3,4,19,44

3 იხ. მ. ალექსიშვილი, მონობა ანტიკურ ხანაში, თბ. 19 გვ. 28

კლასს შეადგენდნენ. შედარებით მცირე რაოდენობის მდიდრები პირველ ცენტურიაში მოათავსა, ნაკლებ მდიდრები, შედარებით უფრო დიდი რაოდენობისა, შემდეგ ცენტურიებში. თითოეულ ცენტურიას თითო ხმა ჰქონდა. ამგვარად, ხმის მიცემის უფლება ჰქონდა არა პიროვნებას, არამედ სახსრებსა და სიმდიდრეებს.<sup>11</sup>

ამ პრობლემასთან დაკავშირებით არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც „საკითხის გადასაწყვეტად პირველი და მეექვსე ჯგუფის ხალხს იმაზე მეტი ხმა ჰქონდა, რამდენიც დანარჩენ ოთხ კატეგორიას, ანუ ოთხი ჯგუფის ხალხს და თუ თითოეულ ცენტურიას ერთი ხმა ჰქონდა, პირველ და მეექვსე კატეგორიების ხალხს, ანუ მდიდრებს და ცხენოსნებს ყოველთვის შეეძლოთ საკითხი სახალხო კრებაზე თავის სასარგებლოდ გადაეწყვიტათ, რადგან ისინი ხმების უმრავლესობას ფლობდნენ.“<sup>12</sup>

ასე თუ ისე სერვიუს ტულიუსის რეფორმამ შესაძლებელი გახადა რომაული საზოგადოების გარდაქმნა. თუ გვაროვნულ-ტომობრივი ერთობის დროს დამახასიათებელი იყო სოლიდარობა, კერძო საკუთრების გაჩენასთან ერთად შემოღებულ იქნა ქლებრივი ცენზი, რომელიც განსაზღვრავდა პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობას. სამხედრო დემოკრატიის პერიოდის ბოლოს შემოღებულ იქნა რომაელ მოქალაქეთა დაყოფა მუდმივი საცხოვრებლის, ან დომიციების მიხედვით. ძველი გვაროვნულ-ტომობრივი ტრიბების მსგავსად შემოღებულ იქნა ტერიტორიული ტრიბები, რომელიც წარმოადგენდა სამხედრო პოლიტიკურ და საგადასახადო ერთეულს. ეს ადმინისტრაციულ – ტერიტორიული ერთეულები იმყოფებოდნენ ტრიბუნების ხელმძღვანელობის ქვეშ, რომლებიც ვალდებულნი იყვნენ აეკრიბათ გადასახადი ტრიბებიდან. კრებებს იწვევდნენ ცენტურიების მიხედვით, ამიტომ ლიტერატურაში ვხვდებით ცენტურიას, როგორც სახალხო კრებას. თითო კრებას თითო ხმა ჰქონდა, თუმცა შემდგომ რესპუბლიკის პერიოდში მისი ფუნქციები საგრძნობლად გაიზარდა. ამას მოჰყვა რომის საზოგადოების დაყოფა ოთხ საქალაქო ტრიბად, მოგვიანებით გაჩნდა 17 სასოფლო ტრიბაც.

სერვიუს ტულიუსის რეფორმები თავისი შინაარსით იყო, როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური, სამხედრო და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ხასიათის. ფაქტობრივად, მისი მეშვეობით მოხდა რეალურ

1 იხ. შდ. მონტესკიე, კანონთა გონი, თბ. 1994წ. გვ. 40

2 იხ. ვ. მეტრეველი, რომის სამართალი. თბ. 2005წ. გვ. 27

სახელმწიფოებრიობაზე გადასვლა,<sup>1</sup> რადგანაც მაშინდელმა რომმა შეიძინა სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი ნიშნები.

არისტოტელე აღნიშნავდა, „სახელმწიფო მრავალელებნტიანი ორგანიზაციაა და ცხადია, რომ ამ ელემენტთა ნაწილის დაბადება, ისევე არ ნიშნავს მთელი ორგანიზმის დაბადებას, როგორც მარტოოდენ კედლების აგება არ ნიშნავს სახლს, რადგანაც ჯერ კიდევ არა აქვს სახურავი.“<sup>2</sup>

ისტორიულად ცნობილია, რომ რეალური სახელმწიფოებრიობის ფორმირება ხანგრძლივ დროს მოითხოვს და ამ პროცესმა რომის სინამდვილეშიც დიდხანს გასტანა.➤

### §3. სამხედრო დემოკრატიის დასასრული

სამხედრო დემოკრატიის პერიოდი რომის სახელმწიფოს ისტორიაში გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. იგი არც კლასიკური მონათმფლობელური სახელმწიფოა და არც აღმოსავლური ტიპის დესპოტური მონარქია, სახელმწიფოს მექანიზმის ჩამოყალიბება საზოგადოებრივი მმართველობის ორგანოთა საფუძველზე მოხდა.<sup>3</sup>

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია რომ სამხედრო დემოკრატიის ხანას, პირობითად ვუწოდოთ პოტესტარული მმართველობა (Potestus-ძალაუფლება). რომელიც ატარებს ანონიმურ ხასიათს, რადგან ძალაუფლება თავმოყრილია გარკვეული ჯგუფისა და პირის ხელში, სადაც ხელისუფლება ხორციელდება არა სპეციალურად შექმნილი სახელმწიფო ორგანოების მიერ, არამედ მთელი სოციალური საზოგადოების მიერ, რომელიც ეყრდნობა ცალკეული ინდივიდის თვისებებს, (ავტორიტეტს, სიძლიერეს, ქარიზმატიზმს, გონებას და ა.შ).

ეს პერიოდი წინასახელმწიფოებრივი ეპოქაა და პოტესტარული მმართველობა უფრო იოლად იკვეთება სწორედ სამხედრო დემოკრატიის პერიოდში. ასეთ საზოგადოებაზე ანუ სამხედრო დემოკრატიაზე პირველად საუბარი დაიწყო პენრი ლუის მორგანმა, როდესაც დაახასიათა ძველი ბერძნულ-რომაული საზოგადოება.<sup>4</sup>

სამხედრო დემოკრატიის დასასრული ნიშნავს სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებას.

1 Н. А. Машкин, История древнего рима М. 1947г. გვ. 95

2 В. С. Сергеев История древних Греции, 1939 г. გვ. 96-100

3 იხ. მ. ცაცანელი, სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია თბ. 1995წ. გვ. 74

4 იხ. JI. Морган. Первоистинная общество М. 1889г. გვ. 15-25



ტარკვინიუს ამაყის დროს დამყარდა აუტანელი ტირანია, მან ხელში ჩაიგდო მთელი საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება. მისი შემზღვეველი ღონისძიებებით და მიტაცებული ძალაუფლებით რომი აღშფოთებული იყო.

შ.ლ. მონტესკიეს აზრით „როგორი იყო იმ ადამიანთა მიერ შექმნილი ტირანიის სისტემა, რომელთაც პოლიტიკური და სამხედრო ძალაუფლება მხოლოდ სამოქალაქო საქმეთა ცოდნით ჰქონდათ მოპოვებული.“<sup>1</sup>

მას მხედველობაში ჰქონდა დეცემვირთა მიერ დამყარებული რეჟიმი, რომელთა დამხობის მიზეზი შეიქნა 449 წელს ცენტურიონ ვირგინიუსის მიერ საკუთარი ქალიშვილის მოკვდინება, რათა იგი დეცემვირ აპიუს კლავდიუსს მონად არ გაეყიდა. ამ ტრაგიკულმა სიკვდილმა დეცემვირთა ხელისუფლების დამხობა გამოიწვია.

გვაროვნულ-ტომობრივი მოწყობის ორგანოები-„კომიცია კურიატა,“ სენატი და მეფე სამხედრო დემოკრატიის განვითარების კვალდაკვალ გვარის თანასწორუფლებიანი წევრების ორგანოებიდან გარდაიქმნენ გვარის უქონელი წევრების და გვარის გარეშე მასების ექსპლუატაციის ორგანოებად. ეს პრინციპები ახსნიათებდა ადამიანთა შორის ანტაგონისტური ურთიერთობების გაჩენას, ძლიერდებოდა კერძო საკუთრების სექტორი ცენტურიის კრებების მიერ მათი გაფორმებით. იმ პერიოდში სიმდიდრის მქონე პატრიციებსა და პლებებს ერთნაირი უფლებები ჰქონდათ. მოსახლეობის დაყოფა განსაზღვრულ ტერიტორიებზე, ისევე, როგორც ეტრუსკული წარმოშობის მეფეების სიმკაცრე ხელს უწყობდა პატრიციებისა და პლებების შეკავშირებას, რასაც მოჰყვა უკანასკნელი ეტრუსკელი მეფის განდევნა 510 წელს. ეს ნიშნავდა რომის გვაროვნულ-ტომობრივი მოწყობის და რექსების ხანის დასასრულს.

სახელმწიფო წყობის შეცვლა ორი გზით შეიძლება, – წერს შ.ლ. მონტესკიე, – იგი ან უმჯობესდება, ან იხრწნება. თუ სახელმწიფოს წყობა იცვლება ისე, რომ ინარჩუნებს თავის პრინციპებს, მაშინ იგი უმჯობესდება; მაგრამ თუ შეცვლისას იგი თავის პრინციპებს კარგავს, მაშინ საქმე გვაქვს ამ წყობის ხრწნასთან.<sup>2</sup> რომში მეფეთა გაძევების შემდეგ დემოკრატია უნდა დამყარებულიყო. ხალხს უკვე ჰყავდა კანონმდებელი ხელისუფლება; მისმა ერთსულოვანმა გადაწყვეტილებამ განდევნა მეფე-

1 იხ. შ.ლ. მონტესკიე, კანონთა გონი, თბ. 1947. გვ. 199

2 იქვე.

ნი და იგი რომ პრინციპული არ ყოფილიყო ამ სურვილში, ტარკვინი-უსებს ყოველ წუთს შეეძლებოდა დაბრუნება. არაგონიერული იქნება მტკიცება: ხალხს მეფეთა გაძევება იმიტომ ჰსურდათ, რომ რამდენიმე ოჯახის მონად არ ქცეულიყო. მაშასადამე, საქმის ვითარება მოითხოვდა, რომ რომი დემოკრატიული გამხდარიყო, თუმცა იგი არ იყო დემოკრა-ტია. საჭირო იყო პრინციპალთა ძალაუფლების გაზომიერება და კანონთა გადახრა დემოკრატიისაკენ.<sup>1</sup>

ამის შემდეგ აირჩიეს თორმეტი პრეტორი და კონსული, რომელებიც სათავეში ჩაუდგნენ რომის სახელმწიფოს, და რომის ისტორიაში იწყება რესპუბლიკის ხანა. წყაროებმა შემოგვინახა 7 რექსის სახელი. 1. რომუ-ლუსი, 2. პომპილიუსი, 3. პოსტილიუსი, 4. მარცუსი, 5. ტარკვინიუსი, 6. სერვიუს ტულიუსი, 7. ტარკვინიუს ამაყი, მათ შორის ბოლო სამი რექსი ეტრუსკული წარმომავლობის იყო.<sup>2</sup>

#### §4. ძველი რომაულ-ბერძნული მეფობის ინსტიტუტი და სამართლებლო

სახელმწიფოს და სამართლის ისტორიის მკვლევარები ბევრს მსჯელობენ ადრეული პერიოდის მეფობის ინსტიტუტზე, რომელსაც სხვადასხვა ხალხებში სხვადასხვა ტერმინით მოიხსენიებდნენ, მათი ნაწილის აზრი, ლეხ (რექს) იგივე ტომის ბელადი და წინამძღოლია, პროფ. პერეტერსკის მიხედვით, მაშინდელი რექსი მთლიანად არ ემთხვე-ვა მეფის ცნებას.<sup>3</sup> რექსი ბელადია, იგი ჯარის წინამძღოლი, უმაღლესი მსაჯული და ქურუმია, მას ხალხი ირჩევდა და ხელისუფლება იზღუ-დებოდა სახალხო კრების და სენატის მიერ, რომელსაც მისი გადაყე-ნება შეეძლო.<sup>4</sup> რომის მეფეთა მმართველობა ერთგვარად, გმირთა ეპოქის ბერძენ მეფეთა მმართველობის მსგავსია. იგი სხვებივით დაემხო მათი საერთო ნაკლის გამო, თუმცა თავისთავად და თავისი განსაკუთრებული ბუნებით, იგი ძალზე კარგი და მისაღები იყო.

1 იხ. შ. ლ. მონტესკიე, კანონთა გონი, თბ. 1994 წ. გვ. 199

2 წყაროების თანახმად, მეფეთა ხანა ანუ სამხედრო დემოკრატიის პერიოდი გრძელდებოდა რომის დაარსებიდან, უკანასკნელი ეტრუსკული წარმოშობის მეფის ტარკვინიუს ამაყის განდევნამდე.

3 იხ. ი. პერეტერსკი, სახელმწიფოთა და სამართლის ზოგადი ისტორია, თბ. 1947წ. გვ. 19

4 იხ. ე. მეტრეველი, რომის სამართლის (საფუძვლები) თბ. 2005წ. გვ. 24

შ.ლ. მონტესკიე ცალკე განიხილავს ამ ინსტიტუტის პირველი ხუთი მეფის მმართველობას და მათგან გამოყოფს სერვიუს ტულიუსისა და ტარკვინიუს ამაყს.

რომში მეფის გვირგვინი არჩევითი იყო და პირველი ხუთი მეფის დროს სენატს ყველაზე დიდი როლი ენიჭებოდა მათ არჩევაში.

მეფის სიკვდილის შემდეგ სენატი იხილავდა საკითხებს, შეენარჩუნებინათ თუ არა მმართველობის არსებული ფორმა. თუ სცნობდა მეფობის ინსტიტუტის საჭიროებას, იგი ასახელებდა მაგისტრატს თავისი კორპუსიდან, რომელიც ირჩევდა მეფეს; სენატს უნდა მოეწონებინა არჩევანი, ხალხს უნდა დაემტკიცებინა იგი, ნიშებს კი (*les auspices*)<sup>1</sup> მისი ჭეშმარიტების გარანტია უნდა მიეცათ. თუ ამ სამ პირობას ერთ-ერთი აკლდა, ხელახლი არჩევა უნდა მომხდარიყო.

მაშინდელი რომის სახელმწიფო წყობა იყო მონარქიული, არისტოკრატიული და სახალხო. ხელისუფლებაში ისეთი პარმონია სუფევდა, რომ პირველ მეფეთა დროს ვერც შურს ეხედავთ, ვერც დავას. მეფე სარდლობდა არმიებს და მეთვალყურეობდა მსხვერპლშეწირვას, მას სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა გარჩევის უფლება ჰქონდა; იგი იწვევდა სენატს, კრებდა ხალხს; ზოგ საქმეებს ხალხს ანდობდა, სხვებს კი სენატთან ერთად წყვეტდა.

სენატს დიდი ავტორიტეტი ჰქონდა. მეფეები ხშირად იწვევდნენ სენატორებს, რათა მათთან ერთად გაეწიათ მოსამართლეობა. ხალხის სამსაჯავროზე არც ერთი საქმე არ გაჰქონდათ, რომელიც გადაწყვეტილი არ იქნებოდა სენატში.

ხალხს უფლება ჰქონდა, აერჩია მაგისტრები, მხარი დაეჭირა ახალი კანონებისათვის და მეფის თანხმობის შემთხვევაში, ომი გამოეცხადებინა ან ზავი დაედო. მას არ ჰქონდა გასამართლების უფლება და თუ ულუს პოსტილიუსმა ხალხის სამსაჯავროს გადასცა ჰორაციუსი, ამისათვის მას განსაკუთრებული მიზეზი ჰქონდა, რასაც დიონისე ჰალიკარნასელი მოგვითხრობს.

სახელმწიფო წყობა შეიცვალა სერვიუს ტულიუსის დროს. სენატს არავითარი მონაწილეობა არ მიუღია მის არჩევაში, მან თავის თავი ხალხს დაასახელებინა. მოიცილა სამოქალაქო საქმეთა განსჯა და მხოლოდ სისხლის სამართლისა დატოვა. უშუალოდ, ხალხის წინაშე გამოჰქონდა

<sup>1</sup> ნიში-ნიშანი, იგივე სასწაული (რაც აგრეთვე ნიშნის სინონიმი) ფრინველთა გაფრენის მიმართულება, სამსხვერპლო ცხოველებიდან ასული კვამლის მიმართულება და სხვა ამგვარი, რაც ღმერთთა ნებისა და მომავლის მომსწავლეებად ითვლებოდა იხ. შ. ლ. მონტესკიე კანონთა გონი, თბ. 1994წ. გვ 197

ყველა საქმე. მან ხალხს შეუმსუბუქა გადასახადები და ამ უკანასკნელის მთელი სიმძიმე პატრიციებზე გადაიტანა. ამგვარად, ასუსტებდა რა მეფის ძალაუფლებას და სენატის ავტორიტეტს, იგი ზრდიდა ხალხის ძალაუფლებას.

მკვლევართა აზრით ტარკვინიუსი არც სენატის მიერ ყოფილა არჩეული და არც ხალხის მიერ. იგი სერვიუს ტულიუსს უზურპატორად თვლიდა და გვირგვინი მიიღო, როგორც მემკვიდრეობითი უფლებით კუთვნილი; მან მოსპო სენატორთა დიდი ნაწილი, დარჩენილთ კი რჩევას არ ეკითხებოდა, იგი მათ არ უხმობდა თავის სასამართლოშიც კი. მისი ძალაუფლება გაიზარდა, მაგრამ ის, რაც ამ ძალაუფლებაში აუტანელი

შეიქნა, კიდევ უფრო მიუღებელი გახდა. მან ხალხის ძალაუფლება მიიტაცა; კანონებს აღგენდა ხალხის გარეშე და ხალხის საწინააღმდეგოდაც კი; მან თავის პიროვნებაში გააერთიანა სამივე საკანონმდებლო და აღმასრულებელი სასამართლო ხელისუფლება. მაგრამ ხალხმა გაიხსენა ის დრო, როცა თვით იყო კანონმდებელი და ტარკვინიუსი დაამხო.<sup>1</sup>

საბერძნეთში კომეროსის დროიდან დაიწყო გვაროვნული საზოგადოების რღვევის ნიშნები. მიხედავად იმისა, რომ ბერძნები ცივილიზაციის ზღურბლთან იდგნენ და სახელმწიფოს ჩამოყალიბებისათვის უკვე მზად იყვნენ, ლ. მორგანი ჯერ კიდევ გვაროვნულ წყობილებას ხედავს შემდეგი ძირითადი ნიშნების არსებობის გამო: 1. საბჭო, ბულე, რომლებიც გვარის წევრებისაგან შედგებოდა. შემდეგ სახელმწიფოს წარმოშობასთან ერთად იგი სენატად იქცა. 2. სახალხო კრება („აგორა“), როგორც სუვერენული ორგანო, ხალხის მიერ ირჩეოდა, ამდენად, არ არსებობდა ხალხისაგან გამოთიშული საჯარო ხელისუფლება. 3. მხედარმთავარი ბასილევსი, რომელსაც საბჭო ირჩევდა და საერთო კრება ამტკიცებდა. მემკვიდრეობით არ გადადიოდა მართლაც, გმირულ ეპოქაში, რომელმაც ასახვა კპოვა კომეროსის „ილიადასა“ და „ოდისეაში“, ბასილევსი მეფეს არ ნიშნავდა.<sup>2</sup> „კომეროსის პოემებში ბასილევსს ისეთი ძალაუფლება არა აქვს, როგორც მეფეს სახელმწიფოდ ორგანიზებულ საზოგადოებაში, – წერს პროფ. გ. ნადარეიშვილი. – ბასილევსი-მეფე ისევე მალლა არ დგას ხალხზე, როგორც უკვე საბოლოოდ ჩამოყალიბებული კლასობრივი საზოგადოების მეფე. გვაროვნულ – პატრიარქალურ საზოგადოებაში ბასილევსი დიდ როლს თამაშობს, განსაკუთრებით, ომიანობის დროს, მაგრამ მშვიდობიანობის ხანაშიც მისი როლი არ მცირდება, მას დაკისრებული

1 იხ. შლ. მონტესკიე, კანონთა გონი, თბ. 1994წ.გვ 197-198

2 იხ. გ. ლობჯანიძე, ნარკვევები არჩ. ჯორჯაძის მსოფლმხედველობრივ სამართლებრივ ნააზრევიდან, თბ. 1992წ.გვ 192-193

აქვს მოსამართლის როლი“, მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ სიტყვა ბასილევსი მოგვიანებით იცვლის შინაარსს. ბერძნულ ენაში იგი იქცა ერთადერთ სიტყვად „მეფის“ ცნების გამოსახატავად. მკვლევართა შრომიდან სჩანს, რომ თუკიდიდე და არისტოტელე ერთმანეთისაგან ანსხვავებდნენ „ძველი“ და „გმირული პერიოდის“ და მომდევნო პერიოდის ბასილევსს, პერიოდიტე ფარაონებს და მეფეებს ეძახის ბასილევსს. აგრეთვე, სტრაბონისეული იბერიის ბასილევსი არა მარტო ეტიმოლოგიურად ქართულ „მეფეს“ უდრის.<sup>1</sup>

იბერიაში მეფის ხელისუფლების დამყარების წესს სტრაბონი მკაფიოდ აღწერს.

მეფედ იმასა სვამდენ, ვინც საგვარეულოში წინანდელი მეფის ყველაზე მახლობელი იყო ნათესაობითა და წლოვანებით კიდევ, უხუცესი. მამასადამე, წერს ივ. ჯავახიშვილი, მეფის ხელისფულება არ შეიძლება, რომ მამის შემდგომ მის უფროს, ან რომელიმე სხვა შეიღს მიეღო, რადგან ის საგვარეულოში ყველაზე უფროსი არ იქნებოდა. ამგვარად, მეფის ხელისუფლების შემკვიდრების წესი აღმოსავლეთ საქართველოში პირდაპირი მემკვიდრების წესი კი არ ყოფილა და პირმსობის კანონზე კი არა, არამედ უხუცესობის კანონზე ყოფილა დამყარებული.

რა წოდებულება უნდა ჰქონოდა საქართველოს მეფეს? ივ. ჯავახიშვილს მიაჩნდა, რომ მეფე საგვარეულოს უხუცესი იყო, საფიქრებელია, რომ მას იგივე სახელი უნდა ჰქმეოდა, რომელიც გვარის უფროსს ეწოდებოდა, ე.ი. მამასახლისი. რასაკვირველია, ჩვეულებრივ, გვარის უფროსთა და სხვა ხელისუფალთაგან განსარჩევად მის წოდებულებას ამას გარდა რაიმე განმასხვავებელი დანართი სახელის უნდა ჰქონოდა.

მცხეთის მამასახლისი, როგორც ვითარცა ქვეყნის უზენაესი ბატონ-პატრონი, ლეონტი მროველს მოხსენებული ჰყავს თხზულებაში თორქთა აღმოსავლეთ საქართველოში დასახლების შესახებ ისინი „მოვიდეს მცხეთას სახლი რვა და ეზრახნეს მამასახლისსა მცხეთისასა, აღუთქუეს შეწვენა სპარსთა ზედა. ხოლო მამასახლისმა მცხეთელმან აუწყა ყოველთა ქართუელთა და ინებეს მეგობრობა მათ თორქათა“-ო.

მაგრამ, როგორც ივ. ჯავახიშვილს მიაჩნია და ლ. მროველის ცნობიდან ჩანს, მამასახლისი მარტო მეფეს კი არა, არამედ თემისა და თემის, ქალაქისა, დაბისა და საგვარეულოს მმართველსაც ეწოდებოდა სახელად. ბუნებრივად იბადება კითხვა, თუ როგორ უნდა გაერჩიათ ქვეყნისა და სამეფოს უზენაესი გამგე საქვეყნოდ გამრიგე მოხელეებისაგან. ლ. მრო-

1 ს. ჯანაშია, საქართველო ადრინდელი ისტორიიდან, 1986წ. გვ 9

ველის სიტყვით, საქართველოს სამეფოს საჭეთმპყრობელს „მცხეთის მამასახლისი“ უნდა პრქმეოდა და თითქოს სწორედ ეს უნდა ყოფილიყო მისი სხეებისაგან გამარჩეველი წოდება. ამ ცნობის მიხედვით, იბერიის მეფეს თავდაპირველად საქვეყნოდ გამრიგე მოხელისა და გვარის უფროსი მამასახლისებისაგან გასარჩევად ალბათ „მეუფეი მამასახლისი“ ერქმეოდა, რომლითაგანაც შემდეგში მარტივად „მეუფეი“ და შემდეგ „მეფე“ წარმოსდგა,<sup>1</sup> – ასკენის ივ. ჯავახიშვილი, მის ამ მოსაზრებას იზიარებს ს. ჯანაშიაც.<sup>2</sup>

მოკლედ, ასეთი იყო ძველ რომაულ-ბერძნული მეფობის ინსტიტუტის დამახასიათებელი თავისებურებანი, რომლის ანალოგიებსაც ვხვდებით იმ ეპოქისა და მომდევნო პერიოდის ფეოდალური საქართველოს მეფობის სახელოში.

---

1 იხ. ივ. ჯავახიშვილი, თხ. ტ. VI თბ. 1982წ. გვ. 154-157

2 იხ. ს. ჯანაშია, დას. ნაშ. გვ. 26

## თავი მესამე

# ადრეული რესპუბლიკის საშინაო და საგარეო პოლიტიკა

### §1. ბრძოლა პატრიციებსა და პლებებს შორის

მეფის ხელისუფლების დამხობის შემდეგ (509წ. ჩ.წ.ად) რომში მყარდება რესპუბლიკა. ხელისუფლების სათავეში მოდის ერთი წლით არჩეული ორი კონსული. განსხვავებით მეფეთა პერიოდისა, რესპუბლიკური მმართველობისათვის დამახასიათებელი იყო კოლეგიალობა, მოკლევადიანობა და არჩევითობა. იმის გამო, რომ ხელისუფლების არც ერთ ღონეზე ძალაუფლება ერთ პიროვნებას არ ჩაეარდნოდა ხელში, მაგისტრატებისა და ცენტურიების მართვაში დამკვიდრდა კოლეგიურობა და ერთწლიანი მოღვაწეობის დრო. კონსულები მეთაურობენ საჯარისო ნაწილებს, აწყობენ სადღესასწაულო ღონისძიებებს. იწვევენ სენატს და სახალხო კრებებს, თავმჯდომარეობენ სასამართლოებს, რაზედაც ქვემოთ გვექნება მსჯელობა.

ეტრუსკ მეფეთა განდევნის შემდეგ დაიწყო სასტიკი ბრძოლა პატრიციებსა და პლებებს შორის. ადრეულ რესპუბლიკაში პატრიციათა პოლიტიკურმა მონოპოლიამ წარმოშვა პლებების ეკონომიკური დამორჩილებაც. პატრიციების დიქტატურამ მოახდინა პლებების პროტესტის პროვოცირება და ამ უკანასკნელთა მიერ პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნა,<sup>1</sup> თუმცა პატრიციებსა და პლებებს შორის დაპირისპირება უფრო ადრე დაიწყო. სალუსტიუსის გადმოცემით, „ძლიერ ადამიანთა უკანონობა და მათი გულისათვის განხეთქილება პატრიციებსა და პლებებს შორის და სხვა უთანხმოებანი სახელმწიფოს შიგნით, გეხვდება უკვე თვით ქალაქის არსებობიდან,“<sup>2</sup> რამაც გამოიწვია:

1 ლივიუსი

2 იხ. Саплиустин, История, I, II

ა) ბრძოლა ეკონომიკური უფლებებისთვის - ეტრუსკ მეფეთა გაძევების შემდეგ რომი შიმშილმა მოიცვა. მაშინ პლებეები პატრიციების ვალებში მოექცნენ. ის, ვინც დროულად ვერ დაფარავდა ვალს, მკაცრად ისჯებოდა: შეიძლებოდა მისი წამება, მოკვლა ან მონად ქცევა –trans Tiberium., 2.3

პლებეების უკმაყოფილო მასები აწყობდნენ აჯანყებას და იმუქრებოდნენ საპროტესტო აქციებით.

(პლებეების ვალების პრობლემა კონსენსუსით გვარდებოდა. თავიდან კრედიტორებს ზღუდადნენ პროცენტების დაწესების დროს. დაწესდა მორატორიუმი ვალის გადახდაზე, ბოლოს კი ვალების გადახდას სახელმწიფო კისრულობდა.

შემდგომ ეტაპზე შესაძლებელი გახდა მოვალეთა გათავისუფლება სავალო მონობისაგან რომაულ ლეგიონში ჩაწერის და რომის დამპყრობელ ომებში მონაწილეობის გზით.) და ბოლოს, მიღებულ იქნა Lex Poetelia (325 წ. წ. აღ –მდე), რომლის მიხედვითაც გაუქმდა nexum-ი, როგორც პირადი პასუხისმგებლობის საფუძვლის ჩამყრელი პრიმიტიული სახის საკრედიტო ხელშეკრულება.

(მეორე პრობლემა, რომელიც პლებეების უკმაყოფილებას იწვევდა, იყო მათთვის დაწესებული აკრძალვა, გამხდარიყვნენ სასოფლო-სამეურნეო მიწების მესაკუთრენი.) ეს პრობლემა გადაიჭრა იმ მიწების დანაწილებით, რომლებიც შედიოდნენ ager publicus-ში და რომის მოქალაქეთა სარგებლობაში კოლონიების დაფუძნებით.

ბ) ბრძოლა პოლიტიკური და სხვა უფლებებისათვის. – ადრეული რესპუბლიკის დასაწყისში პლებეებს ერთადერთი პოლიტიკური შეზღუდვა ჰქონდათ – ხმის უფლება ცენტურიის კრებებში. პლებეების პირველი სეცესია აღნიშნავდა, რომ ისინი გამოდიან როგორც პოლიტიკურად ორგანიზებული ძალა. „ცნობილია, რომ რომში ხალხს უფლება ჰქონდა პლებეები დაენიშნა თანამდებობაზე, მაგრამ იგი ვერ ბედავდა მათ არჩევას.“<sup>1</sup>

(პატრიციები იძულებულნი გახდნენ დათმობებზე წასულიყვნენ. უპირველეს ყოვლისა, პლებეების პოლიტიკურმა გაერთიანებებმა შეძლეს მიეღოთ სახელმწიფო ორგანოების სტატუსი. შედგენილ იქნა XII ტაბულის კანონები.) ხოლო Lex canuelia –ს მიხედვით, პლებეები მთლიანად გაუთა-

<sup>1</sup> იხ. მ. ცაცანაშვილი, სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია თბ. 1975წ. გვ. 86



ნაბრდნენ პატრიციებს ქონებრივი და საოჯახო სამართლის სფეროში. შემდეგ დაიწყო პლებეების ბრძოლა სენატში და მაგისტრატურაში არჩევისთვის. მათ მიადწიეს უფლებას, ყოფილიყვნენ არჩეულნი კვესტორებად, შემდეგ – კონსულებად, აგრეთვე თავიდან შექმნილ მაგისტრატურებში და წ. ჩვ. წ. –მდე პლებისციის შედეგად, ნორმად იქცა პლებეების არჩევა ცენტუნორებად და კონსულებად.<sup>1</sup>

300 წლის ბრძოლის შედეგად პლებეებმა საკუთარი თავი უზრუნველყვეს ქურუმთა თანამდებობების დასაკავებლად, ხოლო იმ პლებეი მაგისტრატებს, რომლებმაც სამხედრო სამსახური მოიხადეს, პატრიციებთან ერთად შეეძლოთ, სენატში სენატორის თანამდებობაზე მიეღოთ არჩევნებში მონაწილეობა.) დაახლოებით ძვ. წ. III საუკუნიდან, პლებეებსა და პატრიციებს შორის უფლებრივი განსხვავება ისპობა, ისინი გაითქვიფნენ ერთმანეთში და მათი შერწყმის საფუძველზე შეიქმნა ახალი წოდება ნობილების (ნობილიტეტი) სახით.<sup>2</sup>

პატრიციების წინააღმდეგ პლებეების ბრძოლის განსაკუთრებულ წარმატებად შეიძლება ჩაითვალოს 287 წ. (ძვ. წ) მიღებული კანონი, რომლის მიხედვით, პლებეების კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილება პატრიციებისთვის სავალდებულო ხდებოდა.

ეკონომიკური, პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებებისათვის პლებეების წარმატებული ბრძოლის შედეგს წარმოადგენს პატრიციებისა და პლებეების შერეული ოჯახების შექმნა, რომლებიც ეყრდნობოდნენ რა საკუთარ ქონებას, ახდენდნენ სახელმწიფო სამსახურის მონაპოვობას. შემდგომში პატრიციულ – პლებეური ოჯახები ჩამოყალიბდნენ მსხვილ მიწათმფლობელებად.

## §2. დაპყრობითი ომები და პოქალაქითა ახალი კატეგორიები

(სამხედრო დემოკრატიიდან მოყოლებული, რესპუბლიკისა და შემდგომ პერიოდშიც ომი და საომარი მდგომარეობა იქცა სახელმწიფოსა და საზოგადოების „ძირითად საქმიანობად“ და ერთ-ერთ ფუნქციად.)

„რომის იმპერიის უმთავრესი იარაღი იყო დაპყრობა ქვეყანათა და

1 იხ. Римское право. под ред. В. Томсинова М. 1999г. გვ. 14

2 იხ. მ. ცაცანაშვილი, სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია, თბ. 1995წ. გვ. 86

შექმნეს დიდი იმპერია, იტალია, საბერძნეთი, მთელი წინა-აზია, აფრიკის ჩრდილო ნაპირები, გალია, ესპანეთი, ბრიტანია და სხვა ქვეყნები—რომის იმპერიის კუთვნილება იყო.”<sup>1</sup>

(რომი ამ გზით აწარმოებდა მეზობელი ხალხების დამონებას. მეთოდები, რომლითაც რომი მოწინააღმდეგეს ებრძოდა, იყო სხვადასხვაგვარი: პოლიტიკური და სამეურნეო შანტაჟი, მუქარა, მაგრამ შეიარაღებული ძალა გამოიყენებოდა მხოლოდ მაშინ, როდესაც საკუთარი ექსპანსიონისტური მიზნების მიღწევა სხვაგვარად შეუძლებელი ხდებოდა. დაარსებიდან პირველი საუკუნის ბოლომდე რომმა მოახდინა ანექსირება და დაიპყრო მთელი იტალია სიცილიის ჩათვლით. დაპყრობილი მიწები იქცეოდა პროვინციებად, დატყვევებული მეომრები ხდებოდნენ მონები, დაპყრობილი ხალხები კი იღებდნენ ლათინების ან პერეგრინების სტატუსს. დაპყრობითი ომების შედეგად რომში უზარმაზარი სიმდიდრე და მონათნაკადი მიედინებოდა თავიდანაც და შემდგომ პერიოდებშიც. 177 წელს სემპრონიუს გრაკხუსმა სარდინიიდან წამოიყვანა 80 ათასი მონა. 167 წელს ემილიუს პაულემ მაკედონიის მეფის — პერსეუსის დამარცხების დროს წამოიყვანა 150 ათასი მონა. მთელი საბერძნეთის, მცირე აზიის და პონტოს სამეფოს დაპყრობის დროს რომაელებმა დიდძალი მონა იგდეს ხელთ. 58-50 წლების გალიის ომებიდან კი, პლუტარქეს მონაცემებით, ცეზერმა ერთი მილიონი მონა წამოიყვანა, ამასვე ადასტურებს აპიანე კელტებთან ომის შესამე წიგნში.<sup>2</sup>

ადრეულ რომში ძალა შენობული იყო „ხალხთა უფლების“ სამოსით. იუსტინიანეს ინსტიტუტებში აღნიშნულია, რომ „ის, რასაც ჩვენ ხელთ ვიგდებთ მტრისაგან, ხალხთა უფლებით მაშინვე ჩვენი ხდება იმ ზომამდე, რომ თვით თავისუფალი ადამიანიც კი ჩვენს მონად იქცევა“<sup>3</sup>

(რომის იმპერია დაპყრობილი ქვეყნების მიმართ თავიდანვე წარმოადგენდა ახორციელებდა პოლიტიკურ ფორმულას „გათიშე და იბატონე“ „Diviae et impera“.

1 იხ. მ. წერეთელი, ერი და კაცობრიობა თბ. 1990წ. გვ. 187

2 იხ. მ. ალექსიშვილი, მონობა ანტიკურ ქვეყნებში თბ. 1971 გვ. 19

3 იხ. Алпнан. Римская история III. 2

ადრეული რესპუბლიკის სახელმწიფო მოწყობის ძირითად ნიშნად ითვლება სახალხო კრების დაფუძნება და ფუნქციონირება. სამხედრო დემოკრატიის პერიოდიდან იქმნებოდა კურიის, ცენტურიის და ტრიბის სახალხო კრებები, ხალხის მოთხოვნების შესაბამისად ჩამოყალიბდა პატრიციებისა და პლებების კრებები, რომლებსაც მინიჭებული ჰქონდათ საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ფუნქციები. გარდა ამისა, არსებობდა აგრეთვე ცალკე პლებების კრებები, რომლებსაც უწოდებდნენ Concilia Plebis, გარდა კომიციებისა და კონცილიებისა, მოქმედებდა contiones – მოქალაქეების არაფორმალური კრებები, რომლებსაც არ ჰქონდათ გადაწყვეტილებების მიღების უფლება, ისინი მხოლოდ პოლიტიკურ აგიტაციას ეწეოდნენ, განიხილავდნენ მაგისტრატურების დადგენილებებს.

ა) კურიის სახალხო კრება, „კომიცია-კურიატა“ – იყო გვაროვნულ-ტომობრივი მოწყობის რელიქტი. უპირველეს ყოვლისა, განიხილავდნენ საოჯახო და მემკვიდრეობით სამართლებრივ ურთიერთობებს, როგორც ამას მოითხოვდა lex kuriata de imperio.

ბ) ცენტურიის სახალხო კრება „კომიცია ცენტურია“, გამოდიოდა ხალხის-სახელით „Komitiatus maximus“ მათი მოწვევა ხდებოდა უმაღლესი მაგისტრატების კრებამდე სამი კვირით ადრე.

ამ მომენტიდან სამი contiones –ის მანძილზე იცვლებოდა დღის წესრიგი. ტარდებოდა აუცილებელი ფორმალური პროცედურები.

კრება იწყებოდა ღმერთებისადმი მიმართულით „აკურთხე თავყრილობა ჩენი.“<sup>1</sup> ხმის მიცემა მიმდინარეობდა ისევე, როგორც წინა პერიოდში. ცენტურიების მიხედვით, ნახევარზე მეტი ხმის მიცემის შემთხვევაში კენჭისყრა წყდებოდა. ცენტურიის სახალხო კრება, როგორც რომაელი ხალხის მთავარი თავყრილობა, პასუხს აგებდა ყველა მნიშვნელოვან და საჭირობო საკითხზე. მისი გადაწყვეტილებების რატიფიცირებას ახდენდა სენატი, არსებული წესის შესაბამისად.

გ) ტრიბის სახალხო კრება, „კომიცია ტრიბიტა“ წარმოადგენდა რომაელი-ხალხის კრებას, რომლის სტრუქტურა და საქმიანობა ეფუძნებოდა რომის მმართველობით-ტერიტორიულ ერთეულებად ანუ ტრიბებად და-

<sup>1</sup> ბარონ „დე ლინქუა ლატინა“, 6,88 (Baron „De linua Latina“)

ყოფას. არსებობდა 4 საქალაქო და 31 სასოფლო ტრიბა. ცალკეულ ტრიბაში ჩაწერა იმის მიხედვით ხდებოდა, ჰქონდა თუ არა სუბიექტს მიწა. მოქალაქეები ეწერებოდნენ საქალაქო ტრიბაში, ხოლო მდიდარი ფენა-სასოფლოში.)

მოწვევის პროცედურა იყო ისეთივე, როგორც ცენტურიის კრების დროს. ხმის მიცემა ხდებოდა ტრიბების მიხედვით. ტრიბის სახალხო კრებებზე ასეთ საკითხებს განიხილავდნენ, რომლებიც არ შედიოდა ცენტურიის კრების კომპეტენციაში.)

დ) Concilia plebis tributa – ეს იყო (პლებეების კრება. ამ კრებებზე ხმის უფლება მხოლოდ პლებეებს ჰქონდათ. კენჭისყრა მიმდინარეობდა ტრიბების მიხედვით. პლებეურ კრებებს იწვევდნენ პლებეების ტრიბუნის, და ედილების ასარჩევად. Concilia plebiis –ის გადაწყვეტილებას ეწოდებოდა plebiscita და სავალდებულო იყო მხოლოდ პლებეებისთვის, ხოლო ცოტა მოგვიანებით, Lex Hortensia-ს შესაბამისად-მთელი რომაელი ხალხისათვის.

#### §4. აღრეული რესპუბლიკის სენატი

(აღრეულ რესპუბლიკაში სენატი წარმოადგენდა სახელმწიფო ორგანოს, რომელიც შედგებოდა 300 უწარჩინებულესი პატრიციისაგან. პატრიციების წინააღმდეგ წარმატებული ბრძოლის შემდეგ პლებეებმაც მიიღეს სენატში არჩევის უფლება და სენატორთა რიცხვი ცოტა მოგვიანებით 600-მდე გაიზარდა. ამგვარად, სენატი გახდა წარჩინებულ პატრიციულ-პლებეური მაგისტრატების ორგანოდ, მისი წევრები შედიოდნენ სენატორთა სიაში. (318 და 312 წ. ძვ. წ.) კანონის მიხედვით, სენატორთა სიაში ჩარიცხვას ახდენდნენ ცენზორები. სენატორებად არჩევდნენ პირებს ვალმოხდილი მაგისტრატებისაგან, რომლებიც თავიანთი მორალური ქცევით, ქონებრივი მდგომარეობით, და სახელმწიფო ინტერესებისადმი დამოკიდებულებით, აღიარებულნი იყვნენ უწარჩინებულეს რომაელებად. სენატის წევრები იყოფოდნენ გარკვეულ ჯგუფებად: საკონსულო, საპრეტორო, საცენზორო, საედილო რანგად, ყველა დანარჩენი იყო Senatores Peditarii. რიგითი სენატორი, რომელსაც არ ჰქონდა სენატში დასაჯდომი ადგილი და ვერ მონაწილეობდა დისკუსიებში. არსებობდა პირველი სენატორიც, „პრინციპს-სენატუს“, იგი იყო თანასწორთა შორის პირველი.)

სენატის სხდომა ტარდებოდა ტაძარში. შემოტანილი წინადადების კენჭისყრა ისე ხდებოდა, რომ ერთი აზრის მქონენი იკავებდნენ ტაძრის ერთ მხარეს, სენატის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები ან ამტკიცებდა კრების მიერ მიღებულ კანონებს და სხვა გადაწყვეტილებებს, ან არ ეთანხმებოდა მათ. სენატი რესპუბლიკის პერიოდში, განსაკუთრებით პუნიკური ომების დროს, იყო დომინირებული ორგანო, რომაული წესრიგის უმნიშვნელოვანესი დაწესებულება. საშინაო პოლიტიკაში სენატი იყო მაგისტრატების სათათბირო ორგანო, ამლევა მიმართულებას მათ მუშაობას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს მიხედვით, როგორცაა რელიგია, მორალი, საზოგადოებრივი მშენებლობა და სხვა.

რომაული სახელმწიფოსათვის განსაკუთრებული საშიშროების შემთხვევაში, აცხადებდა საგანგებო მდომარეობას სახელმწიფო წესრიგის აღსადგენად. რაც შეეხება საგარეო ურთიერთობებს, სენატი ატარებდა ერთიან პოლიტიკას, ვინაიდან მაგისტრატები ვალდებული იყვნენ ემოქმედათ სენატის გადაწყვეტილების თანახმად.

გარდა ორი კონსულისა, არსებობდა სხვა სახელმწიფო ორგანოები, რომელთა წევრებს მინდობილი ჰქონდათ ზრუნვა სახელმწიფოებრივი საქმიანობის სხვადასხვა სექტორში, რომელსაც ახორციელებდნენ ეს პირნი, ამ ორგანოებს ეწოდებოდა მაგისტრატურა<sup>1</sup> ხოლო აღნიშნულ თანამდებობის პირთ — მაგისტრატი ან გონორესი.

## §5. რომაული მაგისტრატურები და მაგისტრატები, ნიშნები და პრინციპები (MAGISTRATUS — მაგისტრატუს)

სახელმწიფო ხელისუფლების საქმიანობის რეალიზაციის საქმეს რომაელი ხალხის სახელით, ეწეოდნენ თანამდებობის პირები, მაგისტრები. საჯარო სამართლის წესების თანახმად ისინი ითვლებოდნენ არა სახელმწიფო ჩინოვნიკებად, არამედ რომაელი ხალხის ნაწილად, რომლებიც იცავდნენ მათ უფლებებს და ინტერესებს.

ყველა მაგისტრატურა და მაგისტრატი, რომის საჯარო სამართლის ტრადიციის თანახმად, იყო არჩევითი და მკაცრად განსაზღვრული.

მაგისტრატურის ინსტიტუტი რომში შემდეგი ნიშნებით ხასიათდებოდა:

1 წყაროების მიხედვით, ტერმინი magistratus ლათინურ ენაზე ნიშნავდა ოფიციალურ თანამდებობას და პირს, ვინც ამ თანამდებობას იკავებდა.

1. მართალია, მაგისტრატურები შედიოდა სახელმწიფო ორგანოთა სისტემაში და სამოხელეო აპარატს წარმოადგენდა, მაგრამ ითვლებოდა დროებით სტრუქტურებად, რომლებსაც ირჩევდნენ, როგორც წესი, 1 წლის ვადით, გამონაკლისის სახით კი – წლინახევრით, ზოგიერთ მაგისტრატურას ნახევარი წლით. ე.ი მისი ერთ-ერთი პრინციპი იყო ვადიანობა.

2. მაგისტრატები გარკვეულწილად შეზღუდულნი იყვნენ უფლებამოსილებათა განხორციელებაში ინტერცესიის წესით, რომლის მიხედვით, უფრო მაღალი ან თანაბარი დონის მქონე მაგისტრატურას შეეძლო მის მიერ მიღებული აქტის შეჩერება მათთან შეუთანხმებლობის შემთხვევაში. ეს ეხებოდა დიქტატორების აქტებსაც, რამდენადაც ცენზორების და ტრიბუნების აქტები ექვემდებარებოდნენ ინტერცესიას მხოლოდ თავიანთი კოლეგების – ცენზორების და ტრიბუნების დონეზე. მისი ნიშანი კოლეგიურობითაა ცნობილი.

3. მაგისტრატებს ეკისრებოდათ პასუხისმგებლობა შესრულებული სამუშაოსათვის. ეს პასუხისმგებლობა შეიძლება ყოფილიყო სამოქალაქო – სამართლებრივი, სისხლისსამართლებრივი ან პოლიტიკურ სამართლებრივი ხასიათის, რაც ანგარიშვალდებულების პრინციპში აისახებოდა.

4. მაგისტრატები თავიანთ მოვალეობას ასრულებდნენ ანაზღაურების გარეშე. იყო honor-ი,<sup>1</sup> ღირსება, საპატიო მოვალეობა სახელმწიფო სამსახურის შესრულებისა, ამიტომ ის მხოლოდ მდიდრებისთვის იყო ხელმისაწვდომი. ე.ი უსასყიდლოების ნიშანი.

არსებობდა მაგისტრატურის სხვადასხვა სახე. შესაძლებელია მათი შემდეგნაირი კლასიფიკაცია:

1. პატრიციული (პატრიციულ-პლებეური) და პლებეური მაგისტრატურები. პატრიციული მაგისტრატურა, ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ პატრიციებისათვის. პლებეურში კი ირჩეოდნენ მხოლოდ პლებეები, რომლებიც ხდებოდნენ პლებეურ ტრიბუნებად და პლებეურ ედილებად.

2. უმაღლესი და უდაბლესი მაგისტრატურები. უმაღლესი მაგისტრატურები- იმპერიუმები, მაგისტრატურა cum imperio – განაგებდა ყველა სახელმწიფო საქმეს მშვიდობიანი (imperium domi) და საომარი (imperium militiae) მოქმედების დროს.

მაგისტრატურა-პოტესტასი, ნაკლები ძალაუფლების მქონე მაგისტრა-

<sup>1</sup> სიტყვა honor-დან მოდის მაგისტრატეს მეორე სახელი პონორიუსი

ტი cum patestate იყო ორგანო, რომელიც განაგებდა ზუსტად განსაზღვრული საქმეების, მაგალითად, დადგენილებების, ედიქტების და ა.შ. აღსრულებას.

ორდინალური და ექსტრაორდინარული მაგისტრატურები—ორდინალური მაგისტრატურები აწარმოებდნენ მუდმივ და მიმდინარე სახელმწიფო საქმიანობას და, როგორც წესი, მათ ირჩევდნენ სახალხო კრებებზე, ან concilia plebiis —ზე. ექსტრაორდინარული მაგისტრატურები ასრულებდნენ განსაკუთრებული ხასიათის საქმეებს. უმეტეს შემთხვევაში მასნიშნავდა სენატი, ან რომელიმე სხვა მაგისტრატი საგანგებო შემთხვევაში.

3. კოლეგიური და ინდივიდუალური მაგისტრატურები—კოლეგიურ მაგისტრატურაში ირჩეოდა ძალაუფლების მატარებელი ორი ან მეტი სუბიექტი, რომლებიც მოქმედებდნენ როგორც კოლეგიური ორგანო, მაგრამ თითოეული მათგანი ძალაუფლებას ახორციელებდა დროის გარკვეულ პერიოდში, მაგალითად, ერთი დღით, თვით, კვირით, წლით. ინდივიდუალურ მაგისტრატურაში ძალაუფლების მატარებელი იყო მუდმივად ერთი და იგივე პირი.

4. კურულიური და არაკურულიური მაგისტრატურები—კურულიურ მაგისტრატურებს ჰქონდათ უფლება სახელმწიფო საქმეების წარმოებისას ესარგებლათ წმინდა კურულიური სავარძლით (Sella curulis), ხოლო არაკურულიურებს ეს უფლება არ ჰქონდათ.

გარდა ზემოაღნიშნულისა, მაგისტრატების არჩევის დროს მათ მიმართ წაყენებული იყო სხვა დამატებითი მოთხოვნებიც, ასე მაგ. დაცული უნდა ყოფილიყო იერარქიული თანმიმდევრობა. ე.ი. თუ მაგისტრის პირველი საფეხური არ ჰქონდა გავლილი, მეორეზე პრეტენზიას ვერ განაცხადებდა და ა.შ. ერთი საფეხურის გავლის შემდეგ შუალედი 2 წელი უნდა ყოფილიყო. გარდა ამისა დაწესებული იყო ასაკობრივი ცენზი — კონსულის თანამდებობაზე—42 წელი, პრეტორის—40, კვესტორების — 30.<sup>1</sup>

(თითოეული პიროვნება, ვისაც პრეტენზია ჰქონდა მაგისტრატურაზე, თვითონ უნდა დაეყენებინა საკუთარი კანდიდატურა გარკვეულ დროში, რათა ამა თუ იმ სახალხო კრებას სხდომის მოწვევისათვის საშუალება მისცემოდა.

1 იხ. О.А. Омельченко, Римское право, М. 2008г გვ.68

მაგისტრატები

ა) ორდინალური პატრიციული (პატრიციულ-პლებეური) მაგისტრატები.

1. კონსულები. – უწინდელი რექსები (მეფეები) შეიცვალა ცენტურიის სახალხო კრებების, კომიციების მიერ არჩეული ორი კონსულით. დასაწყისში კონსულებს ირჩევდნენ მხოლოდ პატრიციების რიგებიდან, ხოლო სპეციალური კანონის *lex licinia Sextia*-ს მიღების შემდეგ კონსულებად პლებეების არჩევა დაიწყო და შემდგომში ერთერთი კონსული აუცილებლად პლებეი უნდა ყოფილიყო.

კონსულთა უფლებამოსილება უტოლდებოდა იმ ძალაუფლებას, რომელიც მეფეებს გააჩნდათ. კონსულები იყვნენ ადმინისტრაციული, სასამართლო და განმკარგულებელი თანამდებობის პირები. მათ გააჩნდათ რელიგიური ხელისუფლება, ვინაიდან ეს სფერო გამოყოფილი არ იყო საეროსაგან.

2. პრეტორი. – რომაული ტრადიციების თანახმად, შემოღებულ იქნა ახალი პატრიციული მაგისტრატურა – პრეტორი, რომელსაც ძვ.წ. 367 წლიდან ირჩევდა ცენტურიის სახალხო კრება. პრეტორი ახორციელებდა ქალაქის მართვას კონსულის არყოფნის პერიოდში, მოგვინებით კი მიენიჭა შესაძლებლობა, განეხორციელებინა ე.წ. სადავო მართლმსაჯულება – *iurisdiitio contensiosa*, მაშინ, როდესაც კონსულები ახორციელებდნენ უდავო მართლმსაჯულებას – *iurisdicatio voluntaria*.

337 წელს პრეტურია გარდაიქმნა (პატრიციულ-პლებეურ) მაგისტრატურად, რომელმაც 242 წელს აირჩია ორი პრეტორი, რამაც იგი კოლეგიურ მაგისტრატურად გადააქცია. პირველი პრეტორი – რომელსაც ევალებოდა მართლმსაჯულების განხორციელება რომაელ მოქალაქეთა შორის, ხოლო მეორე პრეტორი – ახორციელებდა მართლმსაჯულებას რომაელ მოქალაქეებსა და პერეგრინებს შორის.

პრეტორი გამოსცემდა ედიქტებს, რომლებითაც კანონების ახსნა-განმარტებას იძლეოდა. პრეტორების მიერ გამოცემულმა ედიქტებმა ჩამოაყალიბეს სამართლის მიმართულება რომში „პრეტორიული სამართლის“ სახელწოდებით.

პრეტორთა ედიქტებსაც სამართალში არცთუ მცირე მნიშვნელობა აქვთ. ინსტიტუციებში აღნიშნულია რომ მათ ჩვენ, ჩვეულებრივ, „საპატიო სამართალსაც“ ვუწოდებთ, ვინაიდან ამ სამართალს ავტორიტეტი



საპატიო თანამდებობის მფლობელებმა, ე.ი. მაგისტრატებმა შეუქმნეს. ზოგიერთ შემთხვევასთან დაკავშირებით კურიის ედილებიც გამოსცემდნენ ედიქტს, რომელიც ასევე „საპატიო სამართლის“ ნაწილია.<sup>1</sup>

მკვლევართა აზრით, „პრეტორიული სამართალი“ ხელს უწყობდა ტრადიციის ფარგლებში მოძველებული ჩვევების ადგილზე ჩანაცვლებით სამართალგანვითარებას. „ჩვეულებით სამართალთან“ შედარებით „პრეტორიული სამართალი“ ნაკლებად კონსერვატიული და განვითარების უნარიანი იყო.“<sup>2</sup>

ბ) ორდინალურ პატრიციულ ( პატრიციულ-პლებეური) მაგისტრატებს (cum potestate) მიეკუთვნებოდა:

1) ცენზორი. – 443 წლიდან (ყოველი ხუთი წელი) ცენტურიის სახალხო კრებაზე ირჩევდნენ მაგისტრატებს, რომლებსაც ცენზორებს უწოდებდნენ. მათ მოვალეობას შეადგენდა მოქალაქეთა ქონებრივი ცენზის, ასაკის და სოციალური კუთვნილების გათვალისწინებით ცენტურიებსა და ტრიბებში განაწილება, სამოქალაქო და სამხედრო სიების შედგენა. 351 წლიდან ცენზორებად ირჩევდნენ პლებეებსაც. ცენზორების მიმართ ინტერესი მას შემდეგ გაიზარდა, რაც ამ თანამდებობაზე დაიწყო ყოფილი კონსულების არჩევა. ცენზორი ირჩეოდა 5 წლის ვადით და მეორედ ერთი და იგივე პიროვნების არჩევა აკრძალული იყო.<sup>3</sup>

2. კურიის ედილები. – ეს იყო ერთგვარი პოლიტიკური ორგანო, რომლის მოვალეობას შეადგენდა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა. დავების მოგვარება საქონლითა და მონებით ვაჭრობის დროს. თავიანთი ედიქტებით მათ ხელი შეუწყვეს ყიდვა-გაყიდვის თაობაზე დადებული ხელშეკრულებების და მთელი ვალდებულებითი სამართლის განვითარებას. ისინი ზრუნავდნენ აგრეთვე საჯარო თამაშების განვითარებაზე. ამ მაგისტრატებს ირჩევდნენ ტრიბის კრებაზე, ჯერ პატრიციათა წრიდან, მოგვიანებით კი (365წ). კურიის ედილები იქცნენ პატრიციულ-პლებეურ მაგისტრატებად.

3. ქვესტორი. – თავიდან, ქვესტორი იყო კონსულის მცველი და დამხმარე პირი. ქვესტორთა რიცხვი მუდმივად იზრდებოდა. 241 წლიდან ქვესტორებს ირჩევდნენ ხაზინადარებად, სახელმწიფო არქივის მცველებად და კონსულთა ინტერესების დამცველად პროვინციებში.

4. ქურუმთა კოლეგიები. – რელიგიური წესების შესრულებაზე და

1 იხ. რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს ინსტიტუციები, თბ. 2002წ. გვ. 15

2 О.А. Омельченко, Римское право М. 2008г. гв 69

3 იხ. Н. Л. Бондаренко, Римское частное право. М. 2008. гв. 5

მათთან დაკავშირებულ საკითხებზე ზრუნავდნენ ქურუმები, რომლებიც იმყოფებოდნენ პირველი კონსულის იურისდიქციაში. ქურუმები დაკავებულნი იყვნენ, აგრეთვე, იმ საკითხებით, რომლებიც ატარებდნენ საკულტო ხასიათს, მონაწილეობდნენ სახალხო კრებებში და ადრეულ რესპუბლიკის მართლმსაჯულების განხორციელებაში.

5. დამხმარე კოლეგიები. – ცალკეული ადმინისტრაციული სამუშაოების ჩატარებისთვის ირჩევდნენ დაბალ სახელმწიფო თანამდებობებზე – პირთ, რომლებიც პასუხს აგებდნენ მონეტების მოჭრაზე, რომის სისუფთავეზე, რომის გარეთ გზების მდგომარეობაზე და ა. შ.

## §7. მესტრაორდინალური კატრიციული (პატრიციულ-პლენიური) მაგისტრატები

დიქტატორი. – როდესაც რომის სახელმწიფოს მძიმე დრო დაუდგებოდა, ეს შეიძლება ყოფილიყო ომის შემთხვევა, კლასობრივი ბრძოლის გამწვავება, ქვეყნის შიგნით წესრიგის მოშლა, სენატის ინიციატივით ინიშნებოდა დიქტატორი, როგორც წესი, ის იყო ერთ-ერთი კონსული, ხოლო 357 წლიდან კი პლებეების რიგებიდანაც შეიძლება ყოფილიყო არჩეული პირი დიქტატორის თანამდებობაზე. დიქტატორის ინსტიტუტი არსებობდა იმ დრომდე, სანამ საფრთხე არ გაივლიდა, იგი ასრულებდა დაკისრებულ უფლებამოსილებას არა უმეტეს 6 თვისა, მაგრამ შეიძლებოდა მისი უფლებამოსილების გაგრძელება.<sup>1</sup> დიქტატორად წოდებული პირი იღებდა *summa impetium* უმაღლეს ძალაუფლებას მთელ სახელმწიფოში, ე. ი. ყველა ორდინალური მაგისტრატურის გაერთიანებულ ძალაუფლებას. დიქტატორის ძალაუფლება შეუზღუდავი იყო. მის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებანი (სიკვდილის დასჯის განაჩენიც) აპელაციას არ ექვემდებარებოდა. იგი თვითონ ნიშნავდა მოხელეებს, რომლებიც ქვეყნის მართვაში ეხმარებოდნენ, მათ შორის:

*Magister equitum*.-ეს იყო ცხენოსანი ჯარის უფროსი, რომელიც ემორჩილებოდა დიქტატორს. დიქტატორის ფუნქციის გაუქმებასთან ერთად წყდებოდა მისი უფლებამოსილებაც.

*Puaefectus urbi*.-კონსულს, რომელიც უკანასკნელი დატოვებდა რომს, უწოდებდნენ ქალაქის მმართველს, რომლის ძირითად მოვალეობას შეად-

1 იხ. О.А.Омельченко, *Риское право* М.2008г. გვ. 69

გენდა ქალაქის ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველყოფა. რომაელების მიერ შექმნილი დიქტატორის თანამდებობას და მასთან დაკავშირებულ რეჟიმს, მალე თვითონ რომაელებმა გამოუცხადეს ბრძოლა. რიგ ქვეყნებში კი ეს პრობლემა დღემდე დარჩა.

**პლებსის ტრიბუნები.** – იყვნენ იგივე პლებების ბელადები და სახელმწიფო ორგანოს რანგში აყვანილი თანამდებობის პირები, მათი დანიშვნა მოხდა პატრიციებსა და პლებებს შორის გამწვავებული ბრძოლისა და პლებების უფლებათა სეცესიის წყალობით.

პლებებმა უფლებებისათვის ბრძოლაში ხშირად გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს; 409 წელს მათ მიეცათ უფლება კვესტორის თანამდებობის დასაკავებლად, 367 წლიდან კი სპეციალური კანონით ერთი კონსული პლებები უნდა ყოფილიყო. 364 წლიდან მათ შეეძლოთ კონსულის ედილის თანამდებობა დაეკავებინათ, 356 წლიდან კი დიქტატორისა და 351 წლიდან – ცენზორისა, 337 წლიდან – პრეტორისა, ხოლო 445 წლიდან დაკანონდა პატრიციებთან ქორწინების იურიდიული უფლება.<sup>1</sup> უფრო კონკრეტულად, ტრიბუნებს პქონდათ ვეტოს უფლება – შეეძლოთ კომიციის, სენატის ან სხვა ორგანოს ნებისმიერი გადაწყვეტილების შეჩერება, რომელსაც, მათი აზრით, ზიანი უნდა მოეტანა პლებების ინტერესებისათვის. პლებსის ტრიბუნის ხელყოფა სიკვდილით ისჯებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ პლებსის ტრიბუნები არ იღებდნენ აქტიურ მონაწილეობას სახელმწიფოს ცხოვრებაში, ასეთი პასიური დამოკიდებულებითაც კი შეეძლოთ პატრიციული სახელმწიფო აპარატისათვის პრობლემები შეექმნათ. თავიდან ირჩევდნენ ორ ტრიბუნს concilisa plebis ერთი წლით. ხოლო მოგვიანებით 10 ტრიბუნს.-----

**კურიის ედილები.** – ეს იყო ტრიბუნის დამხმარე ორგანოები, ირჩევდნენ ორ ედილს, რომლებიც პასუხს აგებდნენ საჯარო თამაშების მოწყობის, წესრიგის დაცვის, ქალაქის მომარაგების, ბაზრებისთვის თვალყურის დევნების და სხვა საკითხებზე.

<sup>1</sup> იხ. ვ. მეტრეველი, დას. ნაშ. გვ. 37

## §8. გვაროვნული სამართალი ზოგადი პრინციპები

„გვაროვნული სამართალი“ ძირითადადში აერთიანებდა მორალურ, ჩვეულებით და რელიგიურ ნორმებს, რადგანაც იმ დროისათვის სამართლებრივი ინსტიტუტები ჩანასახის პროცესშია, ხოლო მეცნიერება – აკვანში, ამიტომაც მკვლევარები საუბრობენ პირველყოფილი თვითმმართველობის „ნორმატიულ ბაზაზე“, სადაც მოქმედებდა გვაროვნული ნორმები, ანუ მოგვარეთა ქცევის სავალდებულო, საზოგადოებრივად დაცული წესები. ეს ნორმები – ერთმანეთის დახმარების, ერთმანეთის დაცვის, ეგზოგამიის და სხვა წესები-შეესაბამებოდა კოლექტივის საარსებო მნიშვნელობის ინტერესებს და როგორც წესი, ყველანი განუხრელად ასრულებდნენ მას.

გვაროვნული ადათ-წესები შინაარსით იყო მკაცრად განსაზღვრული რიტუალური მოქმედებითა და გარეგნული ქესტებით, ისინი ანგარიშს არ უწევდნენ მოვლენათა მიზეზებსა და შედეგებს. ამგვარად მკაცრი ფორმალიზმი იწვევდა საქმეთა აბსტრაქციას.<sup>1</sup> გვაროვნული წეს - ჩვეულებების კონსერვატიზმი მჟღავნებოდა ძველი ტრადიციების შენარჩუნებაში. ფაქტობრივად ეს გარდამავალი პერიოდი სოციალურ ნორმათა ერთობლიობიდან სამართლებრივი ნორმების გამიჯვნისა და განცალკავების პერიოდი, რასაც ზოგიერთი მკვლევარი არ იზიარებს და არ უშვებს გვაროვნული „სამართლის პირობით არსებობასაც კი.

„ძველი „სამართალი“ წერს არჩ. ჯორჯაძე-ადათ-წესებისაგან შემდგარი და საგვარეულო წყობილებასთან იყო შეთვისებულ-შეგუებული.“<sup>2</sup>

მაქსიმ კოვალევსკი ზნე-ჩვეულებას, ადათს და კანონს ერთმანეთისაგან მკაცრად არ საზღვრავდა. მისი აზრით, ისინი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ისე ენაცვლებოდნენ ერთმანეთს, რომ წმინდა ადათის აღმოჩენა ძნელია,<sup>3</sup> აქ ერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება, მართლაც არსებობს გარდამავალი პერიოდი, რომელსაც შეიძლება პირობითად ვუწოდოთ „გვაროვნული სამართალი“. მიუხედავად იმისა, რომ გვაროვნული „სამართალი“ არეგულირებდა რომაულ საზოგადოებაში პრიმიტიულ ურთიერთობებს გვაროვნულ – ტომობრივი მოწყობიდან რომის სახელმწიფომ-

1 (ლათ. abstractio – მარტივი (განუვითარებელი)

2 იხ. არჩ. ჯორჯაძე, თხზულებანი, წიგნი პირველი, თბ. 1911წ. გვ. 4

3 იხ. М. Ковалевский, Закон и обычай кавказс Т. I. 1890г. 829

დე და შემდგომ პერიოდშიც. (რომი ზომ 300 გვარისაგან შედგებოდა) ამ პრიმიტიული წესრიგისათვის დამახასიათებელი იყო შემდეგი ნიშნები: პრივიტიზმი აისახებოდა, უპირველსა ყოვლისა, ფორმაში. ხანგრძლივი დროის მანძილზე არ არსებობდა წერილობითი სამართალი. XII ტაბულის კანონთა მიღებით ფაქტობრივად აღინიშნა ჩვეულებითი სამართლის ფორმირება, ე.ი გვაროვნული „სამართალი“ შუამავლის როლს თამაშობდა პირველყოფილი საზოგადოების ადათ-წესებსა და ჩვეულებით სამართალს შორის. გარდა ამისა, დიდი დროის მანძილზე თანამშრომლობდნენ გვაროვნული წყობილება და თავდაპირველი პრიმიტიული სახელმწიფოებრივი წარმონაქმები. შემდგომში კი როდესაც პირობითად „გვაროვნულ სამართალზე“ ვმსჯელობთ, პირველ რიგში მოიაზრება ეტრუსკული პერიოდის რომის მმართველობა და საერთოდ, რექსების ხანაში წარმოშობილი რომის სამართალი, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო სრულყოფილი. მასში ერთმანეთს ებრძოდა გვაროვნული წეს-ჩვეულებები და მონათმფლობელური წყობილებისათვის დამახასიათებელი სამართლის საწყისები. მკვლევართა აზრით, ეს ის პერიოდია, როდესაც გვაროვნული წესები და ადათები თავის უკანასკნელ დღეებს ითვლის. სამართალი ჯერ კიდევ სრულყოფილი სახით ჩამოყალიბებული არ არის.

გვარი კარჩაკეტილ საზოგადოებრივ ერთეულს წარმოადგენდა, სადაც დროთა ვითარებაში ყალიბდებოდა ქცევის ნებადართული წესები.

ეს ის პერიოდია, როდესაც გვარებისა და ტომების გაერთიანების პერიოდში პოლიტიკური სტრუქტურები იქმნება. იგივე პროცესებს აქვს ადგილი სამართლის სფეროშიც. „ჩვეულებითი სამართლის უძველესი სახეობა იყო ე.წ. „იუს გენციუმ“, რომელსაც მაშინ ჰქონდა სულ სხვა მნიშვნელობა, ვიდრე კლასიკურ ხანაში. რომის იმპერიის ეპოქაში „იუს გენციუმ“ ნიშნავდა „ხალხთა სამართალს,“ ხოლო არქაულ ხანაში „იუს გენციუმის“ ქვეშ იგულისხმებოდა ის სამართალი, ის ჩვეულებითი სამართლის ნორმები, რომელიც გვარის-გენეზის წიაღში იყო აღმოცენებული და ჩამოყალიბებული მანამ, სანამ ჩამოყალიბდებოდა სრულიად რომაული ჩვეულებითი სამართლის ნორმები. პროფ. გ. ნადარეიშვილი ამ აზრის დასადასტურებლად იშველიებს საერთაშორისო სამართლის ისტორიკოსის ვ. გრაბარის კონცეფციას, რომელიც ამტკიცებს, რომ „იუს გენციუმ“ თავდაპირველად სწორედ განცალკავებული გვარის ან ტომისათვის დამახასიათებელი ჩვეულებით სჯულს, ჩვეულებით სამართალს, წეს-ჩვეულებას ნიშნავდა, სადაც ყალიბდებოდა შედარებით განკერძოებული

დაუწერელი სამართალი „დეკრეტა გენცილიცია“. ე.ი ცალკეული გვარების გენების დაღგენილებები და წესები, რომლებსაც ძალა გააჩნდათ მხოლოდ ამ გვარის მიმართ.<sup>1</sup>

ეს იყო ადათობრივი სამართლის ფორმირების ხანა ძველ რომში. რომაელთა მოხდენილი გამოთქმა – *mos legem regit* – „ჩვეულება წარმართავს კანონს“, სწორედ ამ პერიოდის ვითარებას ასახავს.<sup>2</sup>

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იურიდიული მეცნიერების წინაშე საკვებით კანონზომიერად დგას საკითხი: სოციალური რეგულაციის რომელი კატეგორიის ნორმებს მიეკუთნება პირველყოფილი ნორმები? პროფ ბ. ნაკაშიძეს მიაჩნია, რომ ერთი მხრივ, მათ საზოგადოებრივ ნორმებად ვერ ჩავთვლით, რამდენადაც საქმე ეხება საზოგადოებრივი განვითარების სახელმწიფოებამდე სტადიას, სამართალი, კი როგორც ცნობილია, ისეთი ელემენტია, რომ ატრიბუტულად უკავშირდება სახელმწიფოს არსებობას. მეორე მხრივ, ისინი არც ჩვეულებრივი, ზნეობრივი ნორმები იყო, რადგან საზოგადოება არანაკლებ მკაცრი იძულებით ავალებდა თავის წევრებს მის ასრულებას, ვიდრე შემდგომში სახელმწიფო სამართლის ნორმების დაცვას. არსებითად, სოციალური რეგულირების ეს გარდამავალი ფორმა უახლოვდება სამართალს, რომელსაც ა.ი. პერშიცი „მონონორმებს“ უწოდებს. რადგანაც გვარის თვითმმართველობის ორგანიზაციაში განსაკუთრებულ როლს ასრულებდა გვარის წევრთა კრება. იგი წყვეტდა ცხოვრების უმნიშვნელოვანეს საკითხებს: ომისა და მშვიდობის, სამომთაბარეო სადგომების შერჩევის, დიდი სამეურნეო პროექტების განხორციელების, უხუცესებისა და სამხედრო ბელადების არჩევის, განსაკუთრებით მძიმე „დანაშაულისათვის“ დასჯის საკითხებს. კრების გადაწყვეტილებებს პროგრამულ-მიზნობრივი ხასიათი ჰქონდა და ამ თვალსაზრისით, შეიძლება გვაროვნული ორგანიზაციის სტადიაში ხელისუფლების ელემენტარულ დაყოფაზე ვილაპარაკოთ.<sup>3</sup>

კანონები კი ითვლებოდა ძველი პერიოდის უმნიშვნელოვანეს სამართლებრივ ძეგლებად. ფაქტობრივად, ისინი წარმოადგენდნენ არასრულ და პრიმიტიულ „კოდიფიკაციას.“ ძველი რომაული სამართლის განსაკუთრებული პრიმიტივიზმი აისახება საკუთარი თავის დაცვის მიზნით თვითნებობის დაშვებაში, რამდენადაც სახელმწიფოებრივი ორგანიზაციებისთვის ეს ფუნქცია გამონაკლისს წარმოადგენდა.

1 იხ. გ. ნადარეიშვილი, რომის სამოქალაქო სამართალი, თბ. 2001წ. გვ. 13

2 იხ. ი.დოლიძე, ქართული ჩვეულებითი სჯული, თბ. 1960წ. გვ. 16

3 იხ. ბ. ნაკაშიძე, თვითმმართველობა საქართველოში, თბ. 1994წ. გვ. 12

თავი მეოთხე

## ფორმალური სამართლის წარმოშობა

### §1. ჩვეულებითი სამართლის ჩამოყალიბება

(ძვ. წ. აღ. II საუკუნის იურისტი პომპონუსი<sup>1</sup> მიუთითებს ქცევის წესების განვითარების სამ უძველეს ეტაპზე. პირველი გულისხმობს პერიოდს სახელმწიფოს გაჩენამდე, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო რომაული საზოგადოება კლასებად დაყოფილი. მაშინ ქცევის წესებს არ ჰქონდათ სამართლებრივი მნიშვნელობა და წარმოადგენდნენ ქცევის ჩვეულებრივ ნორმებს) ამ ნორმების რომაული გამოხატულება იყო *mos, mores maiorum*. როდესაც არსებობდა ჯერ კიდევ გვაროვნული ორგანიზაცია, მოქმედებდა ადამ-წესები, რომლებიც ჩამოყალიბდა ცხოვრებაში მათი მრავალგზის გამოყენების შედეგად და რომელსაც ემორჩილებოდა გვარის ყველა წევრი.

(მეორე ეტაპად მიიჩნეოდა „გვაროვნული სამართლის“ არსებობა, როდესაც ადამ-წესების დამრღვევ პირთა მიმართ გამოიყენებოდა საზოგადოებრივი ზემოქმედების სხვადასხვა ზომები, რომელთა შორის უმძიმესი იყო გვარიდან გაძევება და მესამე ეტაპი, ე.წ. „გვაროვნული სამართლიდან“ (სამართლებრივი) დაიწყო საზოგადოების კლასობრივ ფენებად დაყოფა, სახელმწიფოსა და რომაული ჩვეულებითი სამართლის ჩამოყალიბება.

მკვლევართა ნაწილი თვლის, რომ ადათს დამოუკიდებელი განვითარების უნარი აქვს, რადგანაც ადამ-წესების ნაწილს კანონის თვისებები გააჩნია. მაგ. გვაროვნული წყობილების დროს არსებული სისხლის აღების წესი მოგვიანებით შეიცვალა ფულადი ჯარიმით, ანუ დაურევით. ფულადი ჯარიმის დროს გათვალისწინებული იყო სოციალური მდგომარეობა.

<sup>1</sup> ლივსტები 1,2,2

2 იხ. М.Ковалевский „Законы и обычаи на кавказе | 1890. გვ 50

ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისისათვის რომში ადათის ძველი სახელწოდება *mos* შეიცვალა *consuetudo*-თი.

ძველი რომის იურისპრუდენციის მიხედვით, ადათი არის „დაუწერელი სამართალი“-*jus non scriptum*, კანონი კი დაწერილი სამართალია.

ციცერონს ადათები და კანონები –*mores* და *leges* – მოქმედი სამართლის ცალკეულ ფორმებად მიაჩნია. (II საუკუნის ცნობილი რომელი იურისტი იულიანე ადათსა და კანონს თანაბარ ძალასა და მნიშვნელობას ანიჭებს) იგი წერს: „*In veterata consuetudeo pro lege non immerito custoditur et hoc est jus quod dicitur moribus esse constitutum*” (D.1.3.32.1). „ძველთაგან დამკვიდრებული ადათი ღირსეულად სრულდება, როგორც კანონი და ეს არის სამართალი, რომლის შესახებ ამბობენ, რომ იგი დადგენილია ჩვეულებებით.“

რომაული ჩვეულებითი სამართლის ჩამოყალიბება დაკავშირებულია საზოგადოების პატრონებად და კლიენტებად, პატრიციებად და პლებებად, თავისუფალ ადამიანებად და მონებად დაყოფასთან, რომელიც დაემთხვა პატრიციულ გარემოში არსებული ქცევის ნორმების სხვა საზოგადოებრივ ჯგუფებზე ზემოქმედების დასაწყისს. ყველაზე ურთულეს პერიოდში *ius* –ის სამართლებრივი ნორმები არ განსხვავდებოდნენ რელიგიური ხასიათის (*fas*) წესებისაგან, რამდენადაც ყველა ჩვეულებითი და სამართლებრივი ნორმა ატარებდა საკრალურ ხასიათს და თავსდებოდა ჩარჩოში, სამართალში – *fas*, მოგვიანებით გაჩნდა „*ius*“ ანუ საჯარო სამართალი. ამ დროიდან იწყება „სამეფო კანონების“ (*Leges regiae*), შეკრება.<sup>1</sup> ეს კრებული შეიცავდა რელიგიური და საოჯახო სამართლებრივი ხასიათის არქაულ წესებს, აგრეთვე პირველ *nepheucarus* –სამოქალაქო და სისხლის სამართლის ნორმებს. ამას ეწოდება წერილობითი სამართლის ჩამოყალიბების პერიოდი –*ius scriptum*, როდესაც პლებებმა პატრიციებთან შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ მიღწიეს პრაქტიკაში გამოყენებული ჩვეულებითი სამართლის წესების ჩაწერას.

(ძველ რომში ადათი სამართლის უძველესი წყარო იყო, სერვიუს ტულიუსის რეფორმებმა ბევრი რამ ისესხა რექსების ხანის რომის ადათ-ჩვეულებებიდან.) ეს იყო ჩვეულებითი სამართლის ბატონობის ხანა ძველ

<sup>1</sup> რომაული წყაროების მიხედვით პაპინიუსმა შეკრიბა მეფეთა პერიოდის სამართლებრივი აქტები და გამოსცა კრებული სახელწოდებით „*jus papirianum*“ ანუ „*bubdi leges regiae*“ (ლიგესტები I,3 -32.1)



რომში, *mos legem regit* „ჩვეულება წარმართავს კანონს“ რომელიც კარგად ასახავდა მაშინდელ მდგომარეობას.

„დაწერილი სამართლიდან წარმოიშვა ის სამართალი, რომელიც ჩვეულებით იქნა დამტკიცებული. დიდი ხნის (ხანგრძლივი) ჩვეულებები, იმ პირთა შეთანხმებით მიღებული, რომლებიც მათ იყენებენ, კანონს უტოლდება“<sup>1</sup> – ვკითხულობთ იუსტინიანეს ინსტიტუციებში.

(ილია ჭავჭავაძეს მიაჩნია, რომ ჩვეულებას ის უპირატესობა აქვს დაწერილი კანონის წინაშე, რომ ყოველთვის ცხოვრების ჭეშმარიტების საჭიროების დანაბადია და ყოველთვის უტყუარი წამალიც არის ამ საჭიროებისა თუ ყოველივე დროს არა, პირველ ხანებში მაინც.<sup>2</sup>)

ძველი რომის იურისპრუდენციის მიხედვით, ჩვეულებითი სამართალი დაუწერელია – *jus non scriptum*, კანონი კი დაწერილი სამართალია. XII ტაბულის კანონების მთავარ წყაროს ადათობრივი სამართალი შეადგენდა. კრებული წარმოადგენს დეცემვირების მიერ შეკრებილი ადათების ჩანაწერებს.<sup>3</sup> ასე გაჩნდა XII ტაბულის კანონები – *Lex - XII tabularum*.

## §2. XII ტაბულის კანონები

ძველი რომის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის შემსწავლელ წყაროებში მოცემულია, რომ დაწერილი კანონების შედგენა პატრიციებსა და პლებებს შორის კლასობრივი ბრძოლის უკიდურესად გამწვავებასთან იყო დაკავშირებული. პლებების მოთხოვნამ, ჩვეულებითი სამართლის გაურკვეველი და ბუნდოვანი ნორმების ნაცვლად შემოღებულიყო წერილობითი, ანუ ფორმალურად განსაზღვრული კანონები, რომელიც აღკვეთდა პატრიციულ მოსამართლეთა თვითნებობას, შედეგი გამოიღო.<sup>4</sup> ჭბასთან დაკავშირებით შეიქმნა სამი კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელიც გაიგზავნა საბერძნეთში სოლონის კანონების შესასწავლად<sup>5</sup>

1 იხ. ი. დოლიძე, ქართული ჩვეულებითი სჯული. თბ. 1960წ. გვ. 16

2 იხ. რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს კონსტიტუციები, თბ. 2002წ. გვ. 14

3 იხ. ი. ჭავჭავაძე, თხზ. VI გვ. 154

4 იხ. З.М. Черниловский, Всеобщая история государства и права м. 2002г. пм. 95

5 მეცნიერთა ნაწილი ამ ევრისას არ იზიარებს, იმის გამო, რომ „თორმეტი ტაბულის კანონები განსხვავდებოდნენ ძველი ბერძნული კანონმდებლობისაგან“ იხ. გ. ნადარეიშვილი, რომის სამოქალაქო სამართალი თბ. 2001 წ. გვ. 16

(რომში კომისიის დაბრუნების შემდეგ გაუქმდა კონსულატი და აირჩიეს ათი კაცი კანონების დასაწერად) – decemviri legibus scribendis. კომისიის შემადგენლობაში შევიდნენ გამოჩენილი პატრიციები – აპიუს კლავდიუსი, პოსტუმუს ალბა, სულპიტუს კამერინი, მანილიუსი და სხვები. კომისიამ გამოიყენა (ათენის) სალონის კანონები, რომელსაც ისინი გაეცნენ იტალიაში მცხოვრები ბერძნების მეშვეობით. არსებობს აზრი, თითქოს კანონების მნიშვნელოვანი რედაქტირება მოახდინა ბერძენმა გერმოდოროსმა, რომელიც მეგზურობას უწევდა რომაელებს საბერძნეთში ყოფნის დროს.<sup>1</sup>

ღრთი წლის განმავლობაში 451 წ. მათ დაწერეს ათი ტაბულა და გამოიტანეს ცენტურიულ კრებაზე განსახილველად, მაგრამ რამდენადაც ტაბულები არ წარმოადგენდა ჩვეულებითი სამართლის სრულ კრებულს, მომავალ წელს ახალმა დეცემვირებმა გამოიტანეს კიდევ ორი ტაბულა ცენტურიის სახალხო კრებაზე დასამტკიცებლად. ასე შეიქმნა XII ტაბულის კანონების კრებული, რომელიც წარმოადგენდა რომაული ცივილური სამართლის მნიშვნელოვან „კოდიფიკაციას.“

ძველი რომაელი ორატორი, ფილოსოფოსი და პოლიტიკური მოღვაწე მარკუს ტულიუს ციკერონი (106-43 ძვ.წ.) ამბობდა, „ახალგაზრდობაში, ისევე, როგორც სხვა ჩემმა ამხანაგებმა, თორმეტი ტაბულის კანონები შევისწავლეთ ვითარცა „აუცილებელი სიმღერა“.

წყაროების მიხედვით, ყველა ახალგაზრდას, რომელიც ღებულობდა მოქალაქეობას, ზეპირად უნდა ცოდნოდა XII ტაბულის კანონები, რადგანაც რომაელებს მიაჩნდათ, რომ ამის გარეშე არავის შეეძლო თავისი მოქალაქეობრივი ვალდებულებების შესრულება, განსაკუთრებით კი სამართლოში.<sup>2</sup>

XII ტაბულის კანონების ორიგინალური ტექსტი მთლიანად არ არის შემონახული. სავარაუდოდ, ისინი ჩაწერილი იყო სპილენძის ფილებზე და დაიკარგა ძვ. წ. აღ. 387 წელს, გალებთან ომის დროს.<sup>3</sup>

მკვლევართა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ XII ტაბულის კანონები შედგენილი უნდა იყოს 451-450 წლებში ძველი წელთაღრიცხვით. მის შემდგენელ კომისიას „დეცემვირების კოლეგიას“ უწოდებენ. ამ კანო-

1 იხ. В. С. Сергеев, Очерки истории Древнего Рима М1938г. გვ 56

2 З. М. Черниловский, Всеобщая история государства и права М. 2002г. გვ95

3 სხვადასხვა წყაროებში მითითებულია, რომ XII ტაბულის კანონები დაწერილი უნდა ყოფილიყო ხის, სპილოს ძეღის, თიხის ფილებზე და ა.შ.

ნების ჩვენამდე მოღწევა მოხერხდა ნარატიული წყაროების მეშვეობით.<sup>1</sup> მართალია, XII ტაბულის კანონი ერთმანეთისგან არ მიჯნავდა სისხლის, სამოქალაქო და პროცესუალურ ნორმებს, მაგრამ მის შინაარსში ისინი ნათლად არიან ასახული, თუმცა უპირველესი ადგილი საოჯახო, მემკვიდრეობით და სამეზობლო სამართლის ნორმებს უჭირავს.)

## ტაბულა I

1. არ (ვინმეს) უძახებენ სასამართლო განხილვაზე, დაე წაეიდეს (გამოძახებული). თუ (ის) არ მიდის, მაშინ (იმან, რომელმაც გამოიძახა) დაადასტუროს (თავისი გამოძახება) თანდასწრებით, და შემდეგ წაიყვანოს ის ძალით.<sup>2</sup>

2. თუ (გამოძახებული) იგონებს მიზეზებს (რათა არ გამოცხადდეს), ან ცდილობს მიიმალოს, მაშინ (იმან, ვინც ის გამოიძახა) დაალოს მას ხელი.

3. თუ წინააღმდეგობა (გამოძახებულის გამოცხადებაზე სასამართლო განხილვაზე) იქნება მისი ავადმყოფობა ან სიბერე, მაშინ (იმან, ვინც გააკეთა გამოძახება) მისცეს მას სახედარი-ცხოველი. ორთვალა (ან ცხენის ოთხთვალა) თუ არ ენდობება, არაა ვალდებული მისცეს.

4. თავლებში დაუდგეს (სასამართლო განხილვაზე) იმას, რომელიც ცხოვრობს თავისი მეურნეობით, ის, ვისაც აქვს თავისი მეურნეობა. უმეურნეობო მოქალაქის თავმდებელი იყოს ის, ვინც ისურვებს.

5. რაზეც მოილაპარაკეს, (მოსარჩელემ) ის ითხოვოს (სასამართლო განხილვაზე).

6. თუ (მოდავე მხარეები) ვერ თანხმდებიან, მაშინ (ისინი) ნაშუადღევამდე შეხვდნენ დავისათვის ფორუმზე ან კომიციუმზე. დაე ორივე დამსწრე მხარემ რიგ რიგობით დაიცვან (თავისი საქმე).

7. ნაშუადღევის შემდეგ (მაგისტრატი) დაადასტურებს მოთხოვნას იმ მხარისას, რომელიც ესწრება (სასამართლო განხილვას).

<sup>1</sup> O. A. Кудинов, Римское право, М. 2007 გვ. 57

<sup>2</sup> შემოთავაზებული ტექსტი სისტემატიზირებულია XIX საუკუნეში, შედგენილი ნაწყვეტებიდან, რომლებიც შესულია უძველესი რომაელი და ბერძენი ავტორების ნაშრომებში. სიტყვები, რომელიც გამოყოფილია ბრჭყალებში ( ), ემსახურებიან აზრის უკეთ გაგებას, რომელიც ლაკონურად გამოხატულია ღელანში.

8. თუ (სასამართლო განხილვას) ესწრებიან ორივე მხარე, დაე მზის ჩასვლა იყოს ბოლო ვადა (სასამართლო განხილვის).

## ტაბულა II

1. (გაიუსი, ინსტიტუციები. IV.V) ათასი ან მეტი ასსის სარჩელების გადახდევინება (პონტიფიკების სალაროში) სასამართლო გირაოსი (500 ასსის ოდენობით), სარჩელების კი უფრო პატარა თანხის – 50 ასსის, ასე იყო დადგენილი XII ტაბ-ის კანონით. თუ კამათი მიდიოდა რომელიმე ადამიანის თავისუფლების შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ მისი ფასი უმაღლესი იქნებოდა, იმავე კანონით იყო გაწერილი, რომ დაეა მიმდინარეობდეს გირაოზე (როგორც ადამიანის, რომლის თავისუფლება იყო კამათის საგანი) სულ რაღაც (50 ასსის ოდენობის).

2. თუ ერთ-ერთი ისეთი მიზეზთაგანი, როგორც არის ვთქვათ მძიმე ავადმყოფობა ან (დამთხვევა სასამართლო განხილვას) იმ დღესთან, რომელიც დათქმული იყო (ვილაციის) ბრალდებისა ლალატში, და (გაუწევს წინააღმდეგობას) მოსამართლეს, ან მესამე პირის შუამდგომლობით, ან მოდავე მხარეს.

3. (გამოცხადდეს სასამართლო გარჩევაზე), მაშინ (ასეთი რამ) გადატანილი იქნას სხვა დღეს.

4. დაე (მოდავე), რომელსაც არ ყოფნის მოწმის ჩვენებები, წავიდეს სახლის ჭიშკართან (სასამართლო გარჩევაზე გამოუცხადებელ მოწმესთან) და სამი დღის განმავლობაში ყველას გასაგონად შეევედროს (მას).

## ტაბულა III

1. დაე (მიეცეს მოვალეს) 30 შეღავათიანი დღე მის მიერ ვალის აღიარების შემდეგ ან (მის საწინააღმდეგოდ) გამოტანილ სასამართლო გადაწყვეტილების შემდეგ.

2. (დადგენილი ვადის ამოწურვის შემდეგ) (მოსარჩელემ დაადოს ხელი (მოვალეს). წაიყვანოს ის სასამართლო შეთანხმებაზე (გადაწყვეტილების შესასრულებლად).

3. (მოვალემ არ შეასრულა (ნებაყოფლობით) სასამართლო გადაწყვეტილება და არავენ არ გაათავისუფლა იგი პასუხისმგებლობისგან სასამართლოს შეთანხმებისას, დაე მოსარჩელემ წაიყვანოს იგი თავისთან

და დაადოს მას ხელბორკილები, ან ხუნდები წონით არანაკლებ, და თუ მოისურვებს, 15 ფუნტზე მეტიც.

4. (პატიმრობაში ყოფნისას მოვალე), თუ სურს, იკეებოს საკუთარი ხარჯებით, და თუ იგი არ იმყოფება საკუთარ კმაყოფაზე, მაშინ მან (ეინც მას ამყოფებს პატიმრობაში) მისცეს მას დღეში თითო ფუნტი ფქვილი, და სურვილისამებრ შეუძლია გასცეს მეტიც.

5. (ავლ. გელიუსი. ატიკური ლამეები. XX 146) იმ დროს, (მანამ მოვალე იმყოფება პატიმრობაში) მას აქვს უფლება შეურიგდეს (მოსარჩელეს), მაგრამ თუ (მხარეები) არ შერიგდნენ, მაშინ (ასეთი მოვალეები) რჩებოდნენ საპყრობილეში 60 დღე. ამ ვადის განმავლობაში ისინი 3-ჯერ ზედიზედ საბაზრო დღეებში მიყავდათ პრეტორთან კომიციუმზე და (ამასთან) ცხადდებოდა მათზე დაკისრებული თანხის ოდენობა. მე-3 საბაზრო დღეს ისინი სიკვდილით ისჯებოდნენ, იყიდებოდნენ საზღვარგარეთ, ტიბროსის იქით.

6. მე-3 საბაზრო დღეს მოვალე დაიჩეხოს ნაწილებად, თუ მოჰკვეთენ მეტს ან ნაკლებს ეს არ დაედებათ მათ ბრალად.

7. დაე, სამუდამოდ შეინარჩუნოს თავისი ძალა სარჩელმა მოღალატის წინააღმდეგ.

#### ტაბულა IV

1. (ციცერონი. კანონების შესახებ. III. 8.19.)

1. ასევე ადვილად წაერთვა სიცოცხლე, როგორც XII ტაბულაში, ჩვილს, რომელიც გამოირჩეოდა განსაკუთრებული სიმახინჯით.

2. თუ მამა სამჯერ გაყიდის ვაჟიშვილს, დაე იყოს ვაჟიშვილი თავისუფალი მამის ძალაუფლებისაგან.

3. (ციცერონი. ფილიფიკები II 28,69).

XII ტაბულის დადგენილების გამოყენებით უბრძანა თავის ცოლს აიღოს მისი კუთვნილი ნივთები და გამოართვა რა მას გასაღები, განდევნა იგი.

4. (ავლ. გელიუსი ანტიკური ლამეები III. 16.12)

ჩემთვის ცნობილია, რომ როდესაც ქალმა გააჩინა მე-11 თვეს ქმრის გარდაცვალების შემდეგ, აქედან აღიძრა საქმე, ვითომ და ის დაფუძმძიმდა იმის შემდეგ, რაც გარდაიცვალა მისი ქმარი, რათა დეცემვირებმა დაწერეს, რომ ადამიანი იბადება მე-10 და არა მე-11 თვეს.

1. (გაიუსი. ინსტიტუციები. I. 144-145). ჩვენი წინაპრები ამტკიცებდნენ, რომ სრულწლოვანი ქალებიც კი მათი ქარაფშუტობიდან გამომდინარე, უნდა იმყოფებოდნენ მეურვეობის ქვეშ. გამონაკლისი დაიშვებოდა მხოლოდ ქალწულ-ვესტალიკებისათვის, რომლებსაც ძველი რომაელები პატივს სცემდნენ როგორც ქურუმებს და ათავისუფლებდნენ მეურვეობისაგან. ასე იყო დადგენილი XII ტაბულის კანონით.

2. (გაიუსი. ინსტიტუციები. II. 47). XII ტაბულის კანონით იყო განსაზღვრული, რომ რეს მანციპი, რომელიც ეკუთვნოდა ქალს, მყოფს აგნატების მეურვეობის ქვეშ, არ ექვემდებარებოდნენ ხანდაზმულობის მხოლოდ იმ შემთხვევის გამონაკლისით, როდესაც ქალი თვითონ გადასცემდა ამ ნივთებს მეურვის თანხმობით.

3. ვინც როგორ განკარგულებას მიიღებს იმ შემთხვევაში თუ მოკვდება, თავისი საოჯახო ქონების ან მისი მეურვეობის ქვეშ მყოფ პირთა მიმართ და ეს იყოს ურღვევი.

4. თუ ვინმე, ვისაც არ ყავს ქვეშევრდომი პირები, მოკვდება, და არ დატოვებს განკარგულებას მემკვიდრის შესახებ, დაე აიღოს მისი მეურნეობა მისმა უახლოესმა აგნატმა.

5. თუ გარდაცვლილს არ ყავს აგნატები, მაშინ მის შემდეგ დარჩენილი მეურნეობა აიღონ მისმა ნათესაებმა.

6. (გაიუსი. ინსტიტუციები. I 155). XII ტაბულის კანონით მეურვეებად პირებზე, ვისაც არ ყავთ დანიშნული მეურვე ანდერძით, იქნებიან მათი აგნატები.

7.<sup>ა</sup> თუ ადამიანი ჩავარდა უგუნურებაში, დაე ძალაუფლება თვით მასზე და მის ქონებაზე აიღონ მისმა აგნატებმა ან მისმა ნათესაებმა.

7.<sup>ბ</sup> XII ტაბულის კანონის მიხედვით მფლანგველს ეკრძალება მისი კუთვნილი ქონების მმართველობა.

8.<sup>ა</sup> XII ტაბულის კანონი გადასცემდა პატრონს მემკვიდრეობას დარჩენილს თავისუფლებამიღებული რომის მოქალაქის შემდეგ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უკანასკნელს არ ჰყავდა ქვეშევრდომები და კვდებოდა ანდერძის დაუტოვებლად.

9.<sup>ა</sup> XII ტაბულის კანონით ქონება, რომელიც შედგებოდა გარდაცვლილის სავალო მოთხოვნებისაგან სხვა პირთა მიმართ, უშუალოდ ანუ

რაიმე იურიდიული ფორმალობის შესრულების გარეშე, ნაწილდება მემკვიდრეებს შორის მათი სამემკვიდრეო წილის შესაბამისად.

9.<sup>ა</sup> XII ტაბულის კანონის თანახმად, გარდაცვლილის ვალები უშუალოდ ნაწილდება მის მემკვიდრეებს შორის მათ მიერ მიღებული მემკვიდრეობის ნაწილების თანაზომიერად.

## ტაბულა VI

✓ თუ ვინმე დებს გარიგებას ნივთის გირავნობის ან გასხვისების შესახებ 5 მოწმისა და ამწონის თანდასწრებით, სიტყვები, რომელიც ამასთან წარმოითქმება, ჩაითვალოს ურღვევად.

2. (ციცერონი. მოვალეობების შესახებ III. 16). XII ტაბულით ითვლებოდა საკმარისად წარგედგინა მტკიცებულება იმისა, თუ რა იყო წარმოთქმული გარიგების დადების დროს. ვინც უარყოფდა თავის სიტყვებს, ორმაგად ჯარიმდებოდა.

3. მფლობელობის ხანდაზმულობა მიწის ნაკვეთის მიმართ დგინდებოდა 2 წ. და სხვა ნივთების მიმართ—1 წელი.

4. XII ტაბულის კანონით იყო განსაზღვრული, რომ ქალი, რომელსაც არ სურდა ქმრის ძალაუფლების თავის თავზე დადგენა, მასთან ხანგრძლივი თანაცხოვრობის ფაქტიდან გამომდინარე, ვალდებული იყო ყოველწლიურად გარიდებულიყო თავისი სახლიდან 3 ღამით და ამდაგვარად, მისით წყდებოდა 1 წლიანი მფლობელობის ხანდაზმულობის ვადა.

5.<sup>ა</sup> (ავლ. გელიუსი ანტიკური ღამეები XX. 17. 7.8) საკუთარი ხელით დაიცვა შენი ნივთი სასამართლო პაექრობის დროს — ეს ნიშნავს, დაადო ხელი იმ ნივთს, რომელზეც მიდის კამათი... დროს ან სხვა სიტყვებით, მოწინააღმდეგესთან შეჯიბრებისას ჩაავლო ხელი სადავო ნივთს და საზეიმო გამოსაქმებით დაიცვა უფლება მასზე. ხელის დადება ნივთზე წარმოებდა განსაზღვრულ ადგილას პრეტორის თანდასწრებით XII ტაბულის საფუძველზე, სადაც ეწერა: „თუ ვინმე საკუთარი ხელით დაიცავს საკუთარ ნივთს სასამართლო პაექრობის დროს“.

5.<sup>ბ</sup> (პავლიუსი) ფრაგმენტები. 50) XII ტაბულის კანონმა დაამტკიცა ნივთის გასხვისება გარიგების გზით, რომელიც შედგა 5 მოწმისა და ამწონის თანდასწრებით, და აგრეთვე ამ ნივთზე საკუთრების უფლებაზე უარის თქმის გზით პრეტორის წინაშე სასამართლო მოსმენის დროს.

7. მესაკუთრემ ხელი არ ახლოს და არ წაართვას მისი კუთვნილი

ისარები და ქანდარები, რომელიც გამოყენებული აქვს სხვა ადამიანს შენობის ასაშენებლად ან ვენახის დასარგავად.

8. XII ტაბულის კანონი ნებას არ რთავდა არც წაგერთვა და არც მოგეთხოვა, როგორც თავისი საკუთრება, მოპარული მორები და ქანდარები, რომელიც გამოყენებული იყო ასაშენებლად ან ვენახის დასარგავად, მაგრამ ამასთან, წარადგენდა სარჩელს იმის წინააღმდეგ, ვინც ბრალდებული იყო მათ გამოყენებაში, ამ მასალების ორმაგი ღირებულების ოდენობით.

## ტაბულა VII

1. შემოსავლელი, ანუ გაუშენებელი ადგილი შენობის გარშემო, უნდა იყოს სიგანეში 2,5 ფუტი.

2. უნდა აღინიშნოს, რომ საზღვრების გამიჯვნის შესახებ სარჩელი-სას უნდა იყოს დაცული XII ტაბულის კანონის მითითება, რომელიც დადგენილი იყო შემდეგი საკანონმდებლო განკარგულების მაგალითზე, რომელიც, როგორც ამბობენ, იყო გატარებული ათენში სოლონის მიერ: თუ მეზობელი ნაკვეთის გასწვრივ ითხრებოდა თხრილი, არ შეიძლებოდა საზღვრის გადალახვა, თუ (იღებოდა) ღობე, მაშინ უნდა უკან დაგეწია მეზობელი ნაკვეთისგან 1 ფუტზე, თუ იღებოდა საცხოვრებელი სახლი, უნდა დაგეწია 2 ფუტით; თუ თხრიან ორმოს ან საფლავს, უნდა უკან დაგეწია იმდენით, რამდენადაც ღრმად არის ამოთხრილი ორმო, თუ თხრიან ჭას, უკან უნდა დაგეწია 6 ფუტით, თუ რგავენ ზეთის ხეს ან ლეღვის ხეს, უნდა დაგეწია უკან 9 ფუტით, და სხვა ხეებს – 5 ფუტით.

3. (პლინიუსი. ბუნებრივი ისტორია. 19.4.50) XII ტაბულაში სრულიად არ გამოიყენებოდა სიტყვა „ხუტორი“, მის აღსანიშნავად კი ხშირად იყენებდნენ სიტყვას ჰორტუსს – შემოღობილი ადგილი, და ანიჭებდნენ ამას მამის ქონების მნიშვნელობას.

4. (ციცერონი. კანონების შესახებ. I.21.55). XII ტაბულის კანონი კრძალავდა დროგადასულობით 5 ფუტი სიგანის მიჯნის შექმნას.

5. (ციცერონი. კანონების შესახებ. I.21.55). XII ტაბულის დადგენილების თანახმად, როდესაც წარმოიშვება დავა საზღვრებთან დაკავშირებით, მაშინ ჩვენ ვაწარმოებთ გამიჯვნას 3 შუამავლის მონაწილეობით.

6. (გაიუსი. დიგესტები. 8.3). XII ტაბულის კანონის პირდაპირი მიმართულების გზის სიგანე განისაზღვრებოდა 8 ფუტით, და მოსახვევში – 16 ფუტით.



7. დაე, გზის ნაპირას მდებარე მიწის ნაკვეთების შესაკუთრებმა შედობონ გზა, თუ ისინი მას არ ფარავენ ქვით, დაე იმგზავრონ სადაც სურთ სასაპალნე ცხოველით.

8. (პავლიუსი დიგესტები 43.8) თუ საზოგადოებრივ მიწებზე ჩამომდინარე ნაკადული ან წყალსადენი მიაყენებდა ზარალს კერძო მფლობელობას, ამ უკანასკნელის მფლობელს მიეცემოდა სარჩელი XII ტაბულის კანონის საფუძველზე ზარალის ანაზღაურების შესახებ.

9. XII ტაბულის კანონის ბრძანებით მიღებული ყოფილიყო ზომები, რათა ხეები 15 ფუტის სიმაღლეზე ირგვლივ შეჭრილიყო იმისთვის, რომ მათ ჩრდილს არ მიეყენებინა ზიანი მეზობელი ნაკვეთისათვის.

9. თუ მეზობელი ნაკვეთიდან ქარის გამო ხე გადმოიხარა შენ ნაკვეთზე, მაშინ XII ტაბულის კანონის საფუძველზე შეგიძლია წარადგინოთ სარჩელი მისი მოვლის შესახებ.

10. (პლინიუსი, ბუნებრივი ისტორია. XVI. 5.15). XII ტაბულის კანონით, ნებადართული იყო რკოს მოგროვება, რომელიც ცვიოდა მეზობელი ნაკვეთიდან.

11. გაყიდული და გადაცემული ნივთები ხდება მყიდველის საკუთრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის გამყიდველს გადაუხდის მყიდველობით ფასს, ან უზრუნველყოფს მისი მოთხოვნილებების რაიმენაირად დაკმაყოფილებას, მაგალითად, წარადგენს თავდებ პირს ან მისცემს რაიმეს გირაოს სახით. ეს იყო დადგენილი XII ტაბულის კანონით.

12. თუ მემკვიდრეობის დამტოვებელი აკეთებს შემდეგ განკარგულებას: ვუშვებ მონას თავისუფლებაზე იმ პირობით, რომ ის გადაუხდის ჩემს მემკვიდრეს 10000 სესტერციას, და თუნდაც ეს მონა გასხვისებული ყოფილიყოს მემკვიდრისგან, მან მაინც უნდა მიიღოს თავისუფლება, თუ გადაუხდის მყიდველს მითითებულ თანხას. ეს იყო დადგენილი XII ტაბულის კანონში.

## ტაბულა VIII

1. (ციცერონი. რესპუბლიკის შესახებ, IV.10.12). XII ტაბულამ დაადგინა სიკვდილით დასჯა ზოგიერთი დანაშაულებრივი მოქმედებებისათვის და ამავე რიცხვში თვლიდნენ აუცილებლად მის გამოყენებას იმ შემთხვევაში, როდესაც ვინმემ შეთხზა ან იმღერებს სიმღერას, რომელიც შეიცავს ცილისწამებას ან არცხვენს სხვას.

2. თუ მიაყენებს სხეულის ნაწილის დაზიანებას და არ შეურიგდება დაზარალებულს, დაე, მას თვითონ მიაყენოს იგივე.

3. თუ ხელით ან ჯოხით გადაუტეხს ძვალს თავისუფალ ადამიანს, გადაიხადოს ჯარიმა 300 ასსის რაოდენობით, თუ მონას - 150-ასს.

4. თუ მიაყენებს წყენას, ჯარიმა იყოს 25.

5. დაამტკრევს, დაე აანაზღაუროს.

6. თუ ვინმე იჩივლებს, რომ შინაურმა ცხოველმა მიაყენა ზარალი, XII ტაბულის კანონი ბრძანებდა ან მიეცათ დაზარალებულისათვის ცხოველი, რომელმაც ზიანი მიაყენა, ან აანაზღაუროს მიყენებული ზარალის ღირებულება.

7. თუ რკოები შენი ხიდან დაეცემა ჩემ ნაკვეთზე, მე კი, გავაგდებ რა საქონელს და ვაჭმევ რკოს მას, მაშინ XII ტაბულის კანონით, შენ არ შეგეძლო სარჩელის წარდგენა არც გამოძოვებაზე „რათა საქონელი შენ ნაკვეთზე არ მოვდა, არც ცხოველისთვის მიყენებულ ზიანზე. არც არაკანონზომიერი ქმედებით მიყენებულ ზარალზე.“

8. ვინც მოაჯადოებს ნათესებს.

8. ნუ გადაიბირებს თავის ნაკვეთზე სხვის მოსავალს.

9. XII ტაბულით, სასიკვდილო ცოდვად ჩაითვალოს ადამიანის მიერ გუთნით დამუშავებული მიწიდან ღამით მოსავლის დაწვა, საქონლის მეშვეობით მოძოვება და მკა. XII ტაბულა აწესებდა ქალღმერთ ცერერასთვის ასეთი განწირული ადამიანი დაესაჯათ სიკვდილით. არასრულწლოვან, რომელიც დამნაშავეა ამდაგვარ დანაშაულში, პრეტორის შეხედულებისამებრ, ან გაამათრახებდნენ ან მიუსჯიდნენ ზარალის ანაზღაურებას ორმაგად.

10. (გაიუსი. დიგესტები. 47.9) XII ტაბულის კანონები ბრძანებდნენ, დაედოთ ბორკილები და გამათრახების შემდეგ სიკვდილით დაესაჯათ ის, ვინც ცეცხლს უკიდებდა ნაკეთობებს ან სახლის გვერდით დაწყობილ პურის ზვინებს, თუ დამნაშავემ ჩაიდინა ეს განზრახვა, თუ ხანძარი გაჩნდა შემთხვევით ანუ გაუფრთხილებლობით, კანონი ადგენდა, რომ დამნაშავეს აენაზღაურებინა ზარალი, მაგრამ გადახდის უუნარობის გამო იგი იყოს უფრო მსუბუქად დასჯილი.

11. XII ტაბულაში იყო გაწერილი, რომ სხვისი ხეების ბოროტულად გაჩეხვაში დამნაშავემ უნდა გადაიხადოს ყოველ ხეში 25 ასსი.

12. თუ ღამის დროს ქურდობის ჩამდენი მოკლული იქნა, დაე, მისი მკვლელობა ჩაითვალოს კანონზომიერად.

13. დღის შუქზე, თუ შეეწინააღმდეგება იარაღით ხელში, დაუძახებ ხალხს.

14. დეცემირები – მიუთითებენ თავისუფალი ადამიანები, თუ დაჭერილები იყვნენ ქურდობის ფაქტზე, დაესაჯად გაჯოხვით, ან გადაეცათ იმისთვის, ვისთანაც ჩადენილია ქურდობა. მონები კი დასჯილიყვნენ გამათრახებით და გადაგდებულყვნენ კლდიდან. ხოლო არასრულწლოვანთა მიმართ იყო დადგენილი: ან დაესაჯათ ისინი პრეტორის შეხედულებისამებრ გაჯოხვით, ან ეზღვევინებინათ ზარალი.

15. XII ტაბ. კანონით იყო დადგენილი ნივთების სამმაგი ღირებულების ოდენობის ჯარიმა იმ შემთხვევაში, როდესაც ნივთი ნაპოვნი იყო ვინმესთან ფორმალური ჩხრეკისას, ან როდესაც ის იყო მიტანილი დამძალავთან და მასთან ნაპოვნი.

15. XII ტაბულის კანონი მიუთითებდა, რომ ჩხრეკისას მჩხრეკელს არ სცმოდა არანაირი ტანსაცმელი გარდა ტილოს შემოსაკრავისა და ხელში უნდა სჭეროდა ფიალა.

16. თუ წარდგენილია სარჩელი ქურდობაზე, სადაც ქურდი არ იყო დაჭერილი ქურდობის ადგილზე, სასამართლომ გადაწყვიტოს კამათი ნივთის ორმაგი ღირებულების მინიჭებით.

17. XII ტაბულის კანონი კრძალავს ნაქურდალი ნივთის შექმნას ვადაგასულობით.

18. (ტაციტუსი ანალები 16). XII ტაბულით პირველად იყო დადგენილი, რომ არავის არ აედო თვეში ერთ პროცენტზე მეტი, მაშინ, როცა მანამდე პროცენტი აიღებოდა მდიდრების სურვილისამებრ.

18. (კატონი, მიწათმოქმედების შესახებ. წინასიტყვაობა). ჩვენს წინაპრებს ჰქონდათ ჩვეულება და ჩადეს კანონში მიესაჯათ ქურდისთვის მოპარული ნივთის ორმაგი ღირებულების გადახდა, მევახშისთვის კი მიღებული პროცენტის ოთხმაგი რაოდენობის გადახდა.

19. (პავლიუსი) XII ტაბულის კანონით ნივთზე, რომელიც ჩაბარებულია შესანახად, მიეცემა სარჩელი ამ ნივთის ორმაგი ღირებულების.

20. (ტრიფონიუსი) დიგესტები. 26.7) იმ შემთხვევაში თუ მეურვეებმა დაიტაცეს ქვეშეურდომის ქონება, უნდა დადგინდეს, დასაშვებია თუ არა თითოეული მეურვის მიმართ ის სარჩელი ორმაგი ზომისა, რომელიც იყო დადგენილი XII ტაბულაში მეურვეობის საწინააღმდეგოდ.

21. მიეცეს მიწისქვეშა ღმერთებს ანუ დაწყევლილი იყოს ის პატრონი, რომელიც აყენებს ზიანს თავის კლიენტს.

22. თუ ვინმე მონაწილეობდა გარიგებაში მოწმის ან ამწონის სახით

და შემდეგ უარს ამბობს დაამოწმოს ეს, დაე, იყოს იგი აღიარებული უსინდისოდ და დაკარგოს უფლება იყოს მოწმე.

23. XII ტაბულის მიხედვით, ცრუმოწმეობაში მხილებული ჩამოგდებული იყო ტარპეის კლდიდან.

24<sup>ა</sup> (პლინიუსი, ბუნებრივი ისტორია. XVIII.3.12.—8—9). XII ტაბულის მიხედვით, მოსავლის ფარულად განადგურებისთვის ინიშნებოდა სიკვდილით დასჯა უფრო მძიმე, ვიდრე ადამიანის მკვლევლობისთვის.

26. XII ტაბულაში გაწერილი იყო, რომ არავის არ მოეწყო ქალაქში ღამის შეკრებები.

27. XII ტაბულის კანონი ანიჭებდა კოლეგიების (გაერთიანებების) წევრებს უფლებას, დაედოთ ერთმანეთს შორის ნებისმიერი შეთანხმება, მხოლოდ ამით არ დარღვეულიყო რომელიმე დადგენილება, რომელიც ეხებოდა საზოგადოებრივ წესრიგს. ეს კანონი, ეტყობა, იყო გადმოღებული სოლონის კანონმდებლობიდან.

## ტაბულა IX

1-2 (ციცერონი. კანონების შესახებ. III. 4: II.19.44). პრივილეგიებს, ანუ კანონიდან გადახვევას თავის სასარგებლოდ, ნუ მოითხოვენ განაჩენებს რომის მოქალაქის სიკვდილით დასჯის შესახებ, ნუ გამოიტანენ სხვაგვარად, ვიდრე ცენტურიულ კომიციებში.

XII ტაბულის კანონები შეიცავდა ორ დადგენილებას, რომელთაგანაც ერთი ანადგურებდა ყოველგვარ გადახვევას კანონიდან ცალკეული პირების სასარგებლოდ, მეორე კი კრძალავდა სიკვდილის დასჯის შესახებ განაჩენის გამოტანას რომის მოქალაქის მიმართ სხვაგვარად, ვიდრე ცენტურიულ კომიციებში.

3. (ავლ. გელიუსი. ატიკური ღამეები. XX.17). შენ სასტიკად ჩათვლი კანონის დადგენილებას, რომელიც სიკვდილით დასჯის იმ მოსამართლეს ან შუამავალს, რომელიც სასამართლოში საქმის განხილვის დროს იყო მხილებული იმაში, რომ მიიღო ფულადი სახდელი ამ საქმეში.

4. (პროპონიუსი. დიგესტები. 1.2) კვესტორებს, რომლებიც ესწრებოდნენ სიკვდილით დასჯას, ეწოდებოდათ სისხლის სამართლის კვესტორები, მათ შესახებ ხსენებულია XII ტაბულის კანონშიც კი.

5. (მარციანე. დიგესტები. 48.4) XII ტაბულის კანონი ბრძანებს, სიკვდილით დაისაჯოს ის, ვინც წააქეზებს რომაელი ხალხის მტრებს რომის სახელმწიფოზე თავდასხმაში ან ის, ვინც გადასცემს მტერს რომის მოქალაქეს.

6. (სალვიანე. ღვთის მმართველობაჲ. VII.5) XII ტაბულის დაგენილებით კრძალავდნენ სასამართლოს გარეშე წაგერთვა სიცოცხლე ადამიანისთვის, ვინც არ უნდა ყოფილიყო იგი.

## ტაბულა XI

1. (ციცერონი. რესპუბლიკის შესახებ. II.37). მეორე მოწვევის დეცემბერებმა მიამატეს სასამართლო კანონების ორი ტაბულა, სხვათა შორის, ყველაზე არაადამიანური კანონით სანქციონირებდნენ პლებებსა და პატრიციებს შორის ქორწინების აკრძალვას)

## ტაბულა XII

1. კანონით დაშვებული იყო ნივთის მიტაცება ვალის უზრუნველყოფის მიზნით და XII ტაბულის კანონით ეს დაშვებული იყო იმის წინააღმდეგ, ვინც შეიძინა ცხოველი მსხვერპლშეწირვისათვის და არ გადაიხადა მასში ფასი, და აგრეთვე იმის წინააღმდეგ, ვინც არ წარმოადგინა გასამრჯელო მისთვის ქირით ჩაბარებულ საპალნე ცხოველზე, იმ პირობით, რომ გადასახადი სარგებლობისათვის იყო გამოყენებული მის მიერ სამსხვერპლო ქეიფზე.

2.<sup>1</sup> დანაშაული, ჩადენილი ქვეშევრდომი პირებისა ან მონების მიერ, წარმოშობდა სარჩელებს ზარალის შესაბამისობის მიხედვით. მონის მესაკუთრეს ან სახლთმფლობელს ეძლეოდა უფლება ან აენაზღაურებინა მიყენებული ზიანის ღირებულება, ან გაეცა დამნაშავე... ეს სარჩელები დადგენილია ან კანონებით, ან პრეტორის ედიქტებით... კანონით დადგენილ სარჩელებს მიეკუთვნება, მაგალითად, სარჩელი ქურდობის შესახებ, შექმნილი XII ტაბულის კანონით.

3. თუ მოაქვს სასამართლოზე ნაყალბევი ნივთი ან უარყოფს სასამართლო გადაწყვეტილებას; თვითონ ფაქტს, დაე, პრეტორმა დანიშნოს სამი შუამავალი და მათი გადაწყვეტილებით აანაზღაუროს ზარალი სადავო ნივთის ორმაგი შემოსავლის ოდენობით.

4. XII ტაბულის კანონით აკრძალული იყო შეეწირა ტაძრისთვის ის ნივთი, რომელიც წარმოადგენდა სასამართლო განხილვის საგანს, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ვჯარიმდებით ნივთის ორმაგი ღირებულების ოდენობით, მაგრამ არსად არ არის გარკვეული, უნდა გადაეხადოს ის ჯარიმა სახელმწიფოს, თუ იმ პირს, რომელმაც განაცხადა პრეტენზია ამ ნივთზე.

5. (XII ტაბულაში იყო დადგენილება იმის შესახებ, რომ მომავალში სახალხო კრების ყოველგვარ გადაწყვეტილებას უნდა ჰქონდეს კანონის ძალა.)

სქეციალიტები თორმეტი ტაბულის კანონებს ეპოქასთან მიმართებაში განვითარებულ სამართლის ძეგლად აღიარებდნენ.

მის ღირსებას წარმოადგენდა, ის, რომ გარკვევით ჩამოყალიბდა ნიუ-თების ორი კატეგორია პირველს მიაკუთნა მიწა, მონები, მუშა პირუტყვი, მეორე კატეგორიას კი ყველა დანარჩენი.

„XII ტაბულის კანონებისათვის ესოდენ დიდი მნიშვნელობის მინიჭება უნდა აიხსნას იმით, რომ კლასობრივი ბრძოლის გამწვავების პერიოდში მონათმფლობელთა კლასი კანონების მეშვეობით ცდილობდა თავისი ხელშეუხებლობისა და საკუთარი ინტერესების დაცვას.“<sup>2</sup>

XII ტაბულის კანონებმა ასახვა ჰპოვა რომის შემდგომი პერიოდის კანონმდებლობაში და მისი მუხლების კომენტირებას ცნობილ იურისტთა უამრავი ნაშრომი მიუძღვნა.

XII ტაბულის კანონების მიხედვით, ჩვენს წინაშე წარმოდგება პატრიარქალური საზოგადოება. სადაც ოჯახი სასოფლო სამეურნეო საწარმოს მოგვაგონებს და სადაც ოჯახის უფროსი ანუ „სახლის უფალი“ (პატერ ფამილია) უდიდესი ძალაუფლებით სარგებლობდა. ამავე კანონების მიხედვით, დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა აქვთ წარმოდგენა შეიქმნან საოჯახო საკუთრების მიმართ, რომელიც თანდათანობით კერძო საკუთრებად გადაიქცევა. ზოგან უკვე ჩანს, ეს კერძო საკუთრება უკვე ჩამოყალიბებულია და მისი ანდერძით გასხვისება ნებადართულია.“<sup>3</sup>

თუმცა სავარაუდოა, რომ ნაწილობრივ იგი სახე-შეცვლილი შემორჩა მრავალგზის გამოყენების, ციტირების, კომენტირების გამო.

საბოლოოდ, XII ტაბულის კანონები რომაული სამოქალაქო სამართლის საძირკველია. სიტყვა „ცივიტასი“ ნიშნავდა „ქალაქს“ ქალაქის მცხოვრებნი“ XII ტაბულის კანონებს უწოდებდნენ „ცივილურს“, ანუ ქალაქის მცხოვრებთა კუთვნილებას. ტერმინიდან „ცივიტა“ მოდის „ცივილისტიკა“, რაც ნიშნავდა სამოქალაქო სამართალს, რომლის ინსტიტუტების ერთობლიობა აწესრიგებდა ქონებრივ ურთიერთობებს ძველ რომში. ამიტომაც აძლევენ დიდ შეფასებას რომის სამართლის მკვლევარები XII ტაბულის კანონებს.

1 იხ. О.А. Кудринов, римское право М 2007г. გვ/57-69

2 იხ. ვ. მეტერეველის დას. ნაშ. გვ. 15

3 იხ. З.М. Черниловский, Всеобщая История Государства и права М 2002г. გვ 95-96

(ტერმინი (Leges) „კანონი“ სხვადასხვა დროს სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებული მნიშვნელობით გამოიყენებოდა, ძველ რომში „კანონი“ ბერძნულიდან არის შესული. თვით ბერძნულში კი სიტყვა შეხიზნულია ძველბერძნულ დროსვე, პომპროსის წინათ, ერთ-ერთი სემიური ენისაგან, სადაც იგი ლერწამს ნიშნავდა, „ბერძნულად“ კანონს) თავდაპირველად ხუროს ხის იარაღს ეძახდნენ, რომელსაც ოსტატები მუშაობის დროს თარაზოს მაგიერ სისწორის გასაგებად ხმარობდნენ ხოლმე, შემდეგ საბერძნეთშიაც სამართლის წიგნებსაც „კანონს“ ეძახდნენ, იმიტომ, რომ იგი სათნოებისა და ბოროტების საზომად ითვლებოდა.<sup>1</sup>

ციცერონი ტრაქტატში „კანონთა შესახებ“, რომის კანონებს ყოველი კანონმდებლობის ნიმუშად მიიჩნევდა.<sup>2</sup>

ქართულში „კანონი“ ბერძნულიდან შემოვიდა, მანამდე ქართველები „კანონის“ შესატყვისად ხმარობდნენ „წესს“, „განგებას“ ხანაც „რიგს“.<sup>3</sup> შემდგომში, ისე როგორც რომში, რეალურად ჩამოყალიბდა „კანონის“ ცნება და იგი იქცა სამართლის ძირითად წყაროდ.

რომში კანონები საყოველთაო საეკლესიო სასიათისა იყო, რომელთაც დადგენილი წესით იღებდნენ სახალხო კრებები (კომიციები). აქედან მოყოლებული, მათ ზოგად და აბსტრაქტული შინაარსის გადაწყვეტილებებს უწოდებდნენ leges-ს, ანუ კანონებს) კონსტიტუციების მიხედვით, კანონი არის ის, რაც რომაელმა ხალხმა სენატეს მაგისტრატეს, მაგ. კონსულის წინადადებით დაადგინა.<sup>4</sup>

(კანონი სამი ნაწილისგან შედგებოდა, პირველი ნაწილი იყო praescriptio – შესავალი, რომელიც შეიცავდა ამ კანონის ინიციატორთა და კრების თავმჯდომარის სახელებს. აგრეთვე სხდომისა და კენჭისყრის დღეს და თვეს.

მეორე ნაწილი –rogatio – წარმოადგენდა მაგისტრატის წინადადებას./ სწორედ კანონი, შემოთავაზებული მაგისტრატის მიერ როგორც პირველადი ინიციატივა, იგზავნებოდა ფორუმზე, სადაც იმართებოდა დისკუსია, ამის შემდეგ კრება მას კენჭს უყრიდა. გადაწყვეტილება ასეთი იყო:

1 იხ. ს. ჯორბენაძე, ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა, თბ. 1984წ. გვ. 431-432

2 იხ. შ.ლ. მონტესკიე, კანონთა გონი, თბ. 1994წ. გვ. 368

3 იხ. გ. ლობჯანიძე, სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია, თბ. 2003წ. გვ. 386-387

4 იხ. რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს ინსტიტუციები, თბ. 2002წ. გვ.14

მხარს ვუჭერ „uti rogas“, წინააღმდეგი ვარ“- antiquo. ლივიუსის მიხედვით, შემოთავაზებული ნორმა ჩაითვლებოდა კანონად, თუ ტრიბების ან ცენტურიების უმრავლესობა მხარს დაუჭერდა მაგისტრატის რიგაციას. იგი სავალდებულო ხდებოდა მთელი რომაელი ხალხისთვის სენატის მიერ მისი რატიფიკაციის შემდეგ.

(მესამე ნაწილში lex Publīa Philonis მოცემული იყო შედეგი, ანუ კანონის დამრღვევის მიმართ გასატარებელი ზომები) Concilia plebis გადაწყვეტილებები. Plebiscita იურისტ გაიუსის „ინსტიტუტებში“ ნათქვამი იყო, რომ კანონი არის ის, რასაც ხალხი ბრძანებს და აწესებსო.“<sup>1</sup>

Plebiscita – პლებების კრების მიერ გამოცხადებული ქცევის – პრაქტიკული და საყოველთაო სავალდებულო წესები თავიდან plebiscita სავალდებულო იყო მხოლოდ პლებებისთვის, ხოლო შემდეგ სავალდებულო ხდებოდა მთელი რომაელი ხალხისათვის. მაშინ Plebiscita ერთიანდებოდა leges-თან კრებების მიერ მიღებულ კანონებთან.

XII ტაბულის კანონებთან ერთად თავისი მნიშვნელობის მიხედვით ცნობილი იყო სხვა კანონებიც, კერძოდ, პეტელიუსის კანონი, (Lex Poetelia IV ს. ჩვ.წ. აღ.) რომელიც ეხებოდა მოვალის მონად ქცევისა და გაყიდვის აკრძალვას. აკვილიუსის კანონი (Lex Aquilia II ს. ჩვ.წ. აღ.) რომელიც ეხება სხვისი ქონების განგებ დაზიანებასა და განადგურებას. ფალციდიუსის კანონი (Lex Falcida II ს. ჩვ.წ. აღ.), რომელიც ეხებოდა მემკვიდრეობის სამართლის პრობლემას. აებტუტიუსის კანონი (Lex Aebutia II ს. ჩვ.წ. აღ.), რომელიც ეხებოდა ფორმულიარულ სასამართლო პროცესს და ა.შ.

ზემოაღნიშნულ და სხვა კანონებთან მიმართებაში XII ტაბულის კანონებს მაშინაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. მარკუს ტულიუს ციკერონი ამბობდა, „ყველასათვის, ვინც ეძებს სამართლის წყაროს და საფუძველს, ერთი XII ტაბულის პატარა წიგნის ძალა და ავტორიტეტი ეყოფა, რომელიც გადაწონის ზოგიერთი ფილოსოფოსის მთელ ბიბლიოთეკასო.“<sup>2</sup>

იმპერატორ კონსტანტინეს (IV) დროიდან მოყოლებული, რომაელ მაგისტრატებს უფლება ჰქონდათ ხალხისთვის დადგენილებების ზეპირი სახით გამოცემის, ხოლო მოგვიანებით კი წერილობით. ამ

<sup>1</sup> გაიუსი 1,1,3

<sup>2</sup> იხ. С.А.Гуляев, Римское Гражданское право М. 2007г.გვ 12



დადგენილებას ედიქტებს უწოდებდნენ.<sup>1</sup> მათი მეშვეობით მაგისტრატები იყენებდნენ, ასწორებდნენ და ავსებდნენ სამართლებრივ ნორმებს, ამყარებდნენ ახალ წესრიგს, რომელიც ცნობილი იყო სამაგისტრო სამართლის სახელწოდებით.

#### §4. იურიდიული გაცნობის დასაწყისი

(თავდაპირველი ჩვეულებითი სამართლის ნორმები რელიგიასთან იყო დაკავშირებული, რაც ერთი სიტყვით „Fas“-ით გამოიხატებოდა. ამიტომაც სამართალწარმოშობაში დიდ როლს ქურუმები თამაშობდნენ. ადამიანის დაწერილი სამართალი „იუს“-ით აღინიშნებოდა.

Jus legitimum –ის (leges და Plebiscita) –სამართლებრივი ნორმების გამოყენებისა და განმარტების მიზნით ქურუმები, როგორც სამართლის ერთადერთი მცოდნეები, აქტიურად იყვნენ ჩაბმული მისი რეალიზაციის პროცესში. გარდა ამისა, ისინი ქმნიდნენ ახალ სამართლებრივ ნორმებს.

ქურუმები ცალკეულ პირებს დახმარებას უწევდნენ ხელშეკრულებების დადებაში და დავების მოგვარებაში.<sup>2</sup> სახელმწიფო ორგანოები – მაგისტრატები, რომლებიც ახდენდნენ სამართლის აღსრულებას, არც თუ ისე იშვიათად იყენებდნენ ქურუმ ინტერპრეტატორებს.

პატრიციული საქურუმო კოლეგიების განმარტებები საიდუმლოდ იყო დაცული და ბოლოს სასამართლო კრებულებში შევიდა. ასე დაიწყო რომში სამართლის სეკულარიზაცია. ე. ი. ქურუმები, სასულიერო პირები იყვნენ პირველი იურისტები. რომის საზოგადოების სოციალურ – ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ განვითარებასთან ერთად ხდებოდა სამართლისა და რელიგიის ერთმანეთისაგან გამიჯვნა. „იუს“ და „ფას“ დამოკიდებულება ცნებებად ჩამოყალიბდნენ და ქურუმებიც თანდათან ჩამოშორდნენ სამართალწარმოებას.<sup>3</sup>

სამართლის განვითარებაში პირველი ნაბიჯი გადადგა რომელმაც იურისტმა ტიბერიუს კორუნკანიუსმა, რომელმაც პირველად დაიწყო ღიად სამართლის სწავლება და ამით დასაბამი მიეცა იურიდიული მეცნიერების აღმავლობას.

უმაღლესი იურიდიული სასწავლებლები ხელს უწყობდნენ ქვეყანაში სა-

1 ედიქტი წარმოსდგება სიტყვისაგან „dico“, რაც ნიშნავს „ვაპრობ“

2 Цицерон „De oratore“ I, 17, 51

3 იხ. გ. ნაღარეიშვილი დას. ნაშ. გვ. 15

მართლებრივი აზროვნების გავრცელება-განვითარებას. მკვლევართა აზრით, მართალია თავდაპირველად იურისტების საქმიანობას წმინდა პრაქტიკული მიმართულება ჰქონდა, მაგრამ მალე დაიწყო თეორიული საკითხების მიმართაც დაინტერესება. იურისტები იძლეოდნენ სასარგებლო რჩევებს, რაც აღინიშნებოდა ტერმინით „რესპონდერე.“ ისინი პასუხობდნენ შეკითხვებს, ადგენდნენ სხვადასხვა ხელშეკრულებებს და ა.შ.)

ასე რომ, ძველ რომში იურიდიული მეცნიერების, მისი სწავლების და პრაქტიკაში დანერგვის საქმეში უდიდესი წვლილი პირველ რიგში ქურუმებს მიუძღვის, რამაც შემდგომში საერო ხასიათი შეიძინა. იურიდიულ ლიტერატურაში რომაელ იურისტთა ფლაგმანად მართალია მოიხსენიება კორუნკანუსი, რომელიც ცნობილია, როგორც კერძო სამართლის მასწავლებელი და რომის სამართლის კონსულტანტი, მაგრამ რომის სამართლის მკვლევარები არ გამორიცხავენ, რომ შეიძლება მასაც ჰყოლოდა წინამორბედები ისევე, როგორც ჰყავდა მოსწავლეები და მიმდევრები! ამ აზრს ეთანხმება პროფ. მეტრეველიც.

რაც შეეხება ძველ რომაულ სამართალს, მკვლევარების აზრით, იგი იყო მკაცრად ფორმალიზებული და ახასიათებდა კონსერვატიზმი, რაც შენარჩუნებული იყო მის შინაგან ფორმაში) ხოლო ძველი სამართლის სიმკაცრე აისახებოდა როგორც სამოქალაქო, ასევე საჯარო სასჯელებში.

(ძველრომაული სამართალი იყო მკაცრად პერსონიფიცირებულიც, რადგან მისი გავლენა ვრცელდებოდა მხოლოდ რომაელ მოქალაქეებზე)

## თავი მეხუთე

# საზოგადოებრივ-ეკონომიკური მოწყობა და სამართლის წყაროები კლასიკურ მონათმფლობელური რომის სახელმწიფოში

## (მეორე პერიოდი)

### §1. კლასიკური პერიოდის მონათმფლობელური გეურნეობა

(კლასიკურ მონათმფლობელურ ეპოქაში ძირითადი მწარმოებლები იყვნენ მონები, ისინი მუშაობდნენ მონათმფლობელთა მამულებში და სამეურნეო საწარმოებში.

მართალია, იურიდიული თვალსაზრისით, საკუთრების რაიმე უფლება მონას არ ჰქონდა და პატრონს შეეძლო ყოველ წუთს პრეტენზია განეცხადებინა ღალატზე გაშვებული მონის მთელ ქონებაზე და თვითონ მიეთვისებინა იგი, მაგრამ ამ უფლების რეალიზაციისაგან რიგ შემთხვევებში მონათმფლობელები თავს იკავებდნენ. ისინი უკვე აღარ მონაწილეობდნენ საწარმოო პროცესებში.<sup>1</sup> მონათმფლობელებმა სახელმწიფო მიწების მიტაცების, საგვარეულო მიწების ოკუპაციის, მცირე ნაკვეთების შესყიდვისა და ზოგჯერ ძალით წართმევის გზით შეძლეს მიწების კონცენტრირება საკუთარ ხელში და მასობრივი მონური შრომის წარმატებული ფართო ექსპლოატაციის ორგანიზება. იაფი მუშახელის შევსების წყაროს მეკობრული გზით დამონებულებიც შეადგენდნენ. მათ ხელი მიჰყვეს მონათა შრომაზე მალლა მდგომ, ინტელექტუალურ საქმიანობას (ხელოვნება, ფილოსოფია, სამართალი).

ა) მონათმფლობელობა და მეცხოველეობა იყო საკუთრების უპირველესი წყარო. მეორე პერიოდში მიწა დაყოფილი იყო მსხვილ მამულებად ლატიფუნდიებად, ეს მამულები იქმნებოდა მაშინ, როდესაც რომმა დაიწყო დაპყრობითი ომები.

<sup>1</sup> ი. ბ. მ. ალექსიშვილი, მონობა ანტიკურ ქვეყნებში, გვ. 263-264

წერილი მიწათმფლობელები არ იყვნენ დაინტერესებულნი არარენტაბელური მიწის ნაკვეთების დამუშავებით და ამის გამო არ გამოხატავდნენ პროტესტს მიმდინარე პროცესების მიმართ.

ისინი ამჯობინებდნენ სოფლის მიტოვებას და რომში უქონელთა ფენის შევსებას, რომლებსაც არ გააჩნდათ კონკრეტული საქმე და მდიდრებისა და სახელმწიფოსაგან გაღებული მოწყალებით არსებობდნენ.

ამ პერიოდში გაჩნდა მონათა მასობრივი დასაქმების მოხერხებული გზა – მონათა უბრალო კოოპერაცია და შრომის პრიმიტიული დანაწილება. გარდამავალ პერიოდში მწარმოებლები შედგებოდნენ ჯგუფებისაგან – ოჯახის მამა მთელი მისი ოჯახით, იქვე შედიოდნენ ოჯახის მონები. მათი რიცხვი არ იყო განუსაზღვრელი, რაც იძლეოდა ლატიფუნდიების სივრცობრივი გაფართოების და ათვისების შესაძლებლობას. (მოსახლეობის მცირე ნაწილის ხელში თავმოყრილი ლატიფუნდიები, ანუ ვრცელი მიწები (latus ვრცელი fundus-მიწა) დაახლოებით 200 იუგერი (50 ჰექტ.) იყო. შემდგომ პერიოდში მათმა სიდიდემ 1000-იუმს მიაღწია.)<sup>1</sup>

მონებს აიძულებდნენ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას ზედამხედველის მეშვეობით, მაშინ, როდესაც საქალაქო ოჯახები შედგებოდა თავისუფალი ადამიანებისაგან და ქალაქში მცხოვრები შინაური მონებისაგან.

გარდამავალ პერიოდში სოფლის მეურნეობა იყო პრიმიტიული, ხოლო კლასიკური პერიოდის მეორე საფეხურზე ლატიფუნდიები გახდნენ ორიენტირებული სასაქონლო წარმოებაზე.<sup>2</sup>

ბ) ხელოსნობა – ხელოსნობის აქტიურ აღმავლობას კლასიკური ხანის მეორე პერიოდში ხელს უწყობდა მხოლოდ წვრილსაქონლური ნაწარმის მიმართ მოთხოვნილების ზრდა.

სხვადასხვა სპეციალობის მრავალრიცხოვანი ხელოსანი ერთიანდებოდა წვრილ სახელოსნოში, რომლებშიც მრავალი მონა მუშაობდა, ხოლო მესაკუთრე არ მონაწილეობდა წარმოების პროცესში.

ორგანიზებული იყო აგრეთვე კიდევ უფრო მსხვილი საწარმოები ცალკეული სამუშაოების ჩატარებისათვის, რომელთა შორის ძირითად მასას შეადგენდა მალაროები, რომლებშიც თავმოყრილი იყო 40 000-მდე მონა.

გ) ვაჭრობა და მევახშეობა. – რომაელთა სოციალური ცხოვრების გართულებამ და სამეურნეო სტრუქტურის შეცვლამ ხელი შეუწყო ვაჭრობისა და მევახშეობის განვითარებას. წვრილ მოვაჭრეთა პარალელუ-

1 მ. ალექსიშვილი, მონობა ანტიკურ ხანაში, თბ. 19 გვ. 286  
2 იხ. Katon, De agricultura 136, 144

რად მოქმედებდნენ მსხვილი ვაჭრები, რომლებიც თავიანთ საქმიანობას ახორციელებდნენ იმ დროისთვის ცნობილ მთელ ცივილიზებულ სამყაროსთან. მსხვილი მოვაჭრეები ერთიანდებოდნენ ვაჭართა თანამეგობრობაში (societas negotiatorum), რომლებიც მისდევდნენ საზღვაო ვაჭრობას. ამავე დროს რომში განვითარდა მევახშეობა. რომაელი მდიდრები – აგრეტარები – ითვისებდნენ სულ უფრო ახალ საკრედიტო ფორმებს როგორც ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, ისე რომის იმპერიაში შემავალ და მის ფარგლებს გარეთ ცალკეულ სახელმწიფოებთან.

## §2. საზოგადოებრივი ფუნქციონება კლასიკური პერიოდის მონათფლობელურ რომში

რომაულ სახელმწიფოს საკმაოდ ძვირი უჯდებოდა ჯარის შენახვა, საზოგადოებრივი საქმეების წარმოება, ღარიბთა უფასო საკვებით უზრუნველყოფა, აგრეთვე რომაელთა და სხვა თავისუფალ მოქალაქეთა გართობა.

შედარებით ნაკლები ხარჯები მოდიოდა სახელმწიფო მოსამსახურეთა ხელფასებზე, სახელმწიფო მონების შენახვასა და სხვადასხვა საზოგადოებრივ ღონისძიებათა ჩატარებაზე.)

სახელმწიფო ხაზინა ივსებოდა სხვადასხვა წყაროებით-უპირველეს ყოვლისა, სამხედრო გზით: ძარცვითა და დაპყრობილ ხალხებზე სამხედრო კონტრიბუციის დაკისრებით. ხაზინის შევსების კიდევ ერთი გზა იყო რომის სახელმწიფოს მოქალაქეთა საქალაქო და სასოფლო გადასახადები, აგრეთვე შემოსავლები სახელმწიფო მდაროებიდან და სახელმწიფო სახელოსნოებიდან.<sup>1</sup>

ახალი ტერიტორიების ათვისებას და ეკონომიკურ აყვავებას შედეგად მოჰყვა განსხვავებული საზოგადოებრივი ფენების ჩამოყალიბება. პატრიციებსა და პლებებს, მდიდარ და ღარიბ მოქალაქეთა შორის კლასობრივი ბრძოლა წარმოადგენდა იმ პერიოდში საზოგადოების მთავარ მამოძრავებელ ძალას, რომელსაც მოჰყვა პლებების გადაქცევა უმუშევარ ფენად, ისინი ცხოვრობდნენ „panem et circenses“-პურითა და სანახაობით, ე.ი. რომის სახელმწიფოსა და მდიდარ მოქალაქეთა მიერ გაღებული შემოწირულობით.

კლასიკურ მონათფლობელურ რომში მოსახლეობა სამართლებრივი სტატუსის მიხედვით სამ ჯგუფად იყოფოდა.

<sup>1</sup> იხ. P.A. Сафаров, Римское право Р-на-Д 2008г. გვ 45

1) რომის სახელმწიფოს მოქალაქენი, რომლებიც (cives romani) ეკონომიკური მდგომარეობის, უფლებების და თანამდებობების მიხედვით იყოფოდნენ: ა) ნობილები. - ანუ უწარჩინებულეს პატრიციულ - პლებურ ოჯახთა შთამომავლები, რომელთა წინაპრებს უკვე ჰქონდათ დაკავებული უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო მაგისტრატურები, და დიდი საზოგადოებრივი - პოლიტიკური გავლენა ჰქონდათ, რაც მათ ხელში მოქცეული დიდი სიმდიდრით იყო განპირობებული - ისინი დიდი მიწათმფლობელები იყვნენ.<sup>1</sup>

მათი გავლენა ხორციელდება სენატისა და ოპტიმატების მეშვეობით, რომელთა წყალობით დროებით რომის სახელმწიფომ შეიძინა არისტოკრატიული რესპუბლიკის ან ნობილების ოლიგარქიის სახელწოდება.

ბ) ექვესტორები. - ექვესტორები იყვნენ დიდი სიმდიდრის მფლობელები, მაგრამ მათი წინაპრები არ იყვნენ განსაკუთრებული პატივისცემით გარემოსილნი რომაულ სახელმწიფოში. გ) პლებები ანუ სხვადასვა კატეგორიების ღარიბები: წვრილი მიწათმფლობელები და ხელოსნები, რომლებმაც სამხედრო სამსახური მოიხადეს. ესენი იყვნენ „turpes perzonas“ - არაპრესტიჟული საქმიანობის პირები, რომლებიც არ შეიძლებოდა ყოფილიყვნენ არჩეულნი მაღალ მაგისტრატურაში. პლებსი ფლობდა აქტიურ საარჩევნო ხმას, რის გამოც ისინი ამყობდნენ თავისი მდგომარეობით, რამდენადაც კენჭისყრის შემთხვევაში ოპტიმატებსა და პოპულარებს შორის აზრთა სხვადასხვაობის დროს, ირჩევდნენ მათთვის სასურველ პარტიას.

2) თავისუფალი მცხოვრებნი - მოქალაქეობის უფლების გარეშე მოქალაქეობის არმქონე თავისუფალ მცხოვრებლებს, უწინარეს ყოვლისა, მიეკუთვნებოდნენ ლათინები (ლათინცები) და პერეგრინები. ამ მოსახლეობას ჰქონდა გარკვეული ავტონომიები გარეუბნებში, ოღონდ რომის სახელმწიფო ორგანიზაციის ზედამხედველობით. რომის ისტორიისთვის დამახასიათებელია ამ ხალხის საკუთარი მდგომარეობით მუდმივი უკმაყოფილება და მისწრაფება რომაელებთან გათანაბრებისაკენ.

3) მონები - მონები (servi) იყვნენ ძირითადი მწარმოებლები რომის სახელმწიფოში. ეს იყო ხალხის დიდი მასა, რომელსაც არ გააჩნდა არც თავისუფლება, არც მოქალაქეობა. მონათა უმოწყალო ექსპლუატაცია იყო მათი უფრო ხშირად სპონტანური და ზოგ შემთხვევაში, ორგანიზებული გამოსვლების და აჯანყებების, აგრეთვე ცალკეული გადატრიალებების მცდელობების მიზეზი, რაც სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენდა რომის სახელმწიფოსთვის.

<sup>1</sup> იხ. Цицерон De Offe I, 42

## თავი მეექვსე

# საგარეო და საშინაო პოლიტიკა კლასიკური ხანის მეორე პერიოდში

### § 1. დაპყრობითი ომები და შიდა პრობლემები

კლასიკური პერიოდის რომის სახელმწიფოს განვითარების უკვე პირველ ეტაპზე ომები თავისუფალი მოსახლეობის უდიდესი ნაწილის ძირითად „პროფესიად“ იქცა. ახალი ტერიტორიების დაპყრობა, ძარცვა, კონტრიბუციები, მოსახლეობის დამონება გრძელდებოდა მეორე პერიოდშიც.

„რომმა უდიდესი და უძლიერესი სამფლობელო შექმნა. მაგრამ მისი ჯარი იშვიათად გასცილებია ოთხს ლეგიონს. ე.ი. თექვსმეტიათას კაცს. მეორე პუნიკურ ომში (პუნიკური ომი გ.ლ). კართაგენის წინააღმდეგ სამოცდაათი ათასი რომაელი იბრძოდა. ეს ძლიერ დიდი არმია იყო რომაული საზომის მიხედვით.“<sup>1</sup>

კართაგენის დაცემის შემდეგ დაიწყო რომის ლეგიონების ძლევამოსილი მარში იმპერიის შექმნის გზაზე, რომელმაც მოგვიანებით იგი აქცია ანტიკური სამყაროს უძლიერეს სახელმწიფოდ.

შ.ლ. მონტესკიე იმ პერიოდისათვის დამახასიათებელ კითხვას სვამს: „როგორ უნდა შეენარჩუნებინა თავი კართაგენს? როდესაც ჰანიბალი პრეტორი გახდა და გადაწყვიტა, ხელი შეეშალა ხელისუფლებისათვის რესპუბლიკის ძარცვაში, განა ამ უკანასკნელებმა მას რომალებთან არ უჩივლეს? ამ უბედურებს მოქალაქეობა უნდოდათ ქალაქის გარეშე და სიმდიდრის მიღება თავის დამტკიცება ხელიდან, მალე რომმა მათ მძევლად მოსთხოვა სამასი გამოჩენილი მოქალაქე, აიძულა ისინი იარაღი და გემები მისთვის ჩაებარებინათ, რამაც სასოწარკვეთილება გამოიწვია უიარაღო კართაგენში.“<sup>2</sup> ანალოგიურ პროცესებს ჰქონდა ადგილი სხვა-

1 იხ. გ. ქიქოძე, ეროვნული ენერჯია, თბ. 1919წ. გვ. 6

2 იხ. შ.ლ. მონტესკიე, კანონთა გონი, თბ. 1994წ. გვ.51

განაც, თუმცა წარმატებულ ომებს თან ახლდა რომის შიდა პოლიტიკაში მთელ რიგ წინააღმდეგობათა დაგროვება, რაც საფუძვლემდე არყევდა მის ფუნდამენტს.

მეორე პერიოდის რომის სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი იყო შეჯახებები და დაპირისპირება საზოგადოებრივ ფენებს შორის, რომლებსაც სხვადასხვა ინტერესი ამოძრავებდა.)

მონათა აჯანყებებს იწვევდა მონათმფლობელთა მხრივ სასტიკი ექსპლუატაცია. მონები მათ საქციელს პასუხობდნენ საბოტაჟით, შეპატრონეთა მკვლელობით, სპონტანური აქციებით და ორგანიზებული აჯანყებებით.

მონათა პირველ აჯანყებებს ადგილი ჰქონდა უკვე პირველ პერიოდში, ხოლო მეორე პერიოდში მან უკვე მასობრივი ხასიათი მიიღო, რომი მონათა აღშფოთების ნამდვილი კერა გახდა. აჯანყებებს შორის გამოირჩეოდა პირველი და მეორე აჯანყება სიცილიაზე, არისტონიკესა და სპარტაკის აჯანყებები, რომლებიც ყველაზე საშიში იყო რომის იმპერიისთვის.

მონათა ყველა აჯანყება წარუმატებლად მთავრდებოდა იმის გამო, რომ აჯანყებულებს არ ჰქონდა ერთიანი მიზანი, ისინი ცდილობდნენ თავი დაეღწიათ მონობისათვის და დაბრუნებულიყვნენ სამშობლოში.

პერეგრინების ბრძოლა მოქალაქეობის მოპოვებისა და რომის ძალაუფლებისაგან გათავისუფლებისათვის ქვეყანაში სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა, რომლებიც თავისუფალი მოქალაქეობის უფლების მოპოვებისათვისა და მათთან გათანაბრებისათვის იბრძოდნენ. ამ ბრძოლაში აქტიურობით გამოირჩეოდნენ იტალიელები, რომლებიც რომაელებთან ერთად მონაწილეობდნენ იმპერიის შექმნაში.

რომაელები ხანგრძლივ ბრძოლებს აწარმოებდნენ პროვინციებში აჯანყებულებთან და მათ აქაც მოიპოვეს გამარჯვება.

წინააღმდეგობები რომის მოქალაქეთა შორის კიდევ უფრო მეტად იზრდებოდა რეფორმების ჩატარების დროს. ეს რეფორმები მიმართული იყო პირველ რიგში მსხვილი ლატიფუნდიების წინააღმდეგ. ჩვ.წ.აღ 367წ. მიღებული კანონით არც ერთ რომაელ მოქალაქეს არ ჰქონდა უფლება, მის საკუთრებაში ყოფილიყო 500 იურგერზე მეტი მიწა.

1. სპარტაკის აჯანყების ჩაქრობის შემდეგ კაპუიდან დაიწყო და რომამდე ჯვარზე მიაკრეს 6000 მონა, მაგრამ ამ კანონმა ვერ შეძლო ხელი შეეშალა მსხვილი ლატიფუნდიების წარმოშობისათვის.

მას შემდეგ 232 წელს ჩვ.წ. აღ.-მდე ტრიბუნ ფლამინტიუსის მიერ



კვლავ იყო მცდელობა რეფორმების ჩატარებისა, მაგრამ უშედეგოდ. ძმები გრაკხუსების რეფორმებიც სწორედ ლათიფუნდიების წინააღმდეგ იყო მიმართული, მიუხედავად მათი დიდი მცდელობისა, აგრარული რეფორმა ვერ განხორციელდა. ტიბირიუს გრაკხუსი მოითხოვდა მდიდრებისათვის მიტაცებული მიწების ერთი ნაწილის ჩამორთმევას და მათ განაწილებას უმიწაწყლო გლეხებზე, რომელთაც ამავე დროს იაფი სახელმწიფო კრედიტებიც უნდა მისცემოდათ, ეს დიდი დარტყმა იყო ოპტიმატებისათვის, ამიტომ მათ მოაწყვეს თავდასხმა და ტიბერიუსი და მისი 300 მომხრე ძვ. წ. 133 წელს კაპიტალიუმზე ამოხოცეს.<sup>1</sup> მოგვიანებით მთელი დაპყრობილი მიწები გადავიდა ლეგიონერების ხელში.)

სამოქალაქო დაპირისპირება-ევესტორებს შორის არსებული განხეთქილება, რომელსაც მხარს უჭერდნენ პოპულარები, ნობილები, ოპტიმატები, გადაიზარდა შეიარაღებულ ბრძოლასა და სამოქალაქო ომებში, სადაც ხან ერთი მხარე იმარჯვებდა, ხან-მეორე. პირველი ტრიუმვირატი იყო ნობილების და ევესტორების კავშირი, გამარჯვება კი კეისარმა, ექვესტორების წარმომადგენელმა მოიპოვა. პოპულიარების მეორე ტრიუმვირატი დამთავრდა ოქტივიატენეს გამარჯვებით, რომელმაც გააკეთა დასკვნა, რომ მხოლოდ მონათმფლობელთა კავშირს შეუძლია გადაარჩინოს რომის სახელმწიფო. იყო რა ძალაუფლება ნობილებსა და ქვესტორებს შორის, მან, ფაქტობრივად, დიქტატურა დაამყარა. რესპუბლიკური პერიოდის ბოლომდე რომის სახელმწიფოებრივი მოწყობა გარეგნულად თითქმის არ განიცდიდა ცვლილებას, მაგრამ, თავისი არსით, მნიშვნელოვნად შეიცვალა. რომის სახელმწიფო ორგანიზაცია მხარს უჭერდა ოპტიმატებს - ნობილებს: მაგრამ ნობილების ოლიგარქიას არ შეეძლო დიდხანს გაეძლო და ჩაეცხრო მღელვარებები სახელმწიფოში, რომელიც გამოიხატებოდა სამოქალაქო ომებით, მონებისა და დაპყრობილი ხალხების აჯანყებებით. სწორედ ეს გახდა სახელმწიფოს გადარჩენისთვის მონათმფლობელთა გაერთიანების მიზეზი. ასე შეიქმნა პრინციპატი, რომელიც არსობრივად წარმოადგენდა დიქტატურის ფარულ ფორმას.)

---

<sup>1</sup> კლუტარქე ტ. გრაკხუსი 20

## §2. სახელმწიფო წყობილება ოლიგარქიის პერიოდში

ქველ რომში ჯერ კიდევ სენატი შედგებოდა სამსახურგამოვლილი პატრიციულ-პლებური 300 მაგისტრისაგან, რომელთა ძალაუფლების ევოლუციას აფერხებდა ერთმანეთთან მათი განუწყვეტელი კონფლიქტები, ხოლო როდესაც მათი დაპირისპირება შეწყდა, სენატი იქცა არისტოკრატიის ოლიგარქიულ ორგანოდ, რადგან მას შეეძლო სხვა სახელმწიფო ორგანოების (კრებისა და მაგისტრატურის) მუშაობის პარალიზება საკუთარი ინტერესების დასაცავად. იმ დროს (ეკვესტორები ცდილობდნენ შეეკვეცათ სენატის უფლებამოსილება, რასაც აღწევდნენ კიდევაც კეისრის ძალაუფლების დამყარებამდე. მას შემდეგ სენატი გაერთიანებულ მონათმფლობელთა – ნობილებისა და კვესტორების – ორგანოდ იქცა.

სენატმა რესპუბლიკის პერიოდში დაიბრუნა თავისი ტრადიციული მნიშვნელობა. რომლის კომპეტენცია გაგრძელდა ოლიგარქიის პერიოდშიც მნიშვნელოვანი ცვლილებების გარეშე. ჩამოყალიბდა ფორმულა „სენატი და ხალხი“<sup>1</sup> (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ცენტურიული სისტემების რეფორმას, ფარული კენჭისყრის შემოღებას და პეტეროგენული შინაარსის მქონე კანონების მიღების აკრძალვას).

ცენტურიის კრებების რეორგანიზაცია განხორციელდა ცენზის შემოღებასთან ერთად, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ მათ უმრავლესობას იგივე ხალხი შეადგენდა, ვინც ტრიბის კრებებში მონაწილეობდა. ისინი ჩაწერილი იყვნენ სასოფლო ტრიბებში. ცენტურიული სისტემის რეორგანიზაციამ საშუალება მისცა ცენტურიის კრებებს, მიეღოთ რომელიც ხალხის „comitatus maximus“ –ის წარმომადგენლის სტატუსი რომაული სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაწყვეტისას.

ტრიბის სახალხო კრებამ შეინარჩუნა იგივე სახე, რაც წინა პერიოდში ჰქონდა თავისი შემადგენლობისა და მდგომარეობის თვალსაზრისით, ოღონდ მოსახლეობის ქალაქებში კონცენტრაციასთან დაკავშირებით, შემცირდა ხმის მიძემთა რიცხვი სასოფლო ტრიბებში და გაიზარდა მათი რაოდენობა საქალაქოებში. ტრიბის სახალხო კრება ნობილების ხელში გადავიდა. ეს შესაძლებელი გახდა აგრეთვე კრებების ზაფხულის თვეებში ჩატარების წყალობით, როდესაც წერილ მიწათმფლობელებს არ შეეძლოთ მიეტოვებინათ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები და კენჭისყრაში მიეღოთ მონაწილეობა.

პლების კრებები კანონშემოქმედებითი საქმიანობისათვის ერთიანდებოდნენ სხვა სახის კრებებთან.

<sup>1</sup> იხ. О.А. Куринов, Римское право, М.2008г. გვ36

იუსტინიანეს ინსტიტუციებში პლების შესახებ შემდეგ ჩანაწერს ეხვდებით; „პლებსი ხალხისაგან ისევე განსხვავდება, როგორც სახეობა გეარისაგან. ვინაიდან სახელწოდება „ხალხი“ აღნიშნავს მოქალაქეთა მთელ ერთობლიობას, პატრიციების და სენატორების ჩათვლით, ხოლო სახელწოდება „პლებსი“ აღნიშნავს (ყველა) დანარჩენ მოქალაქეს, პატრიციებისა და სენატორების გამოკლებით. მაგრამ პორტენსიუსის კანონის გამოცემის შემდეგ პლებისციტებსაც ისეთივე ძალა მიანიჭეს, როგორც კანონს ჰქონდა.“

რომის ისტორიიდან ცნობილია პლებების სახალხო კრებების მუდმივი ცვლილებები. მათი შემადგენლობის სხვადასხვაგვარობის გამო, ისინი კენჭისყრისას ნობილების წინადადებებსაც ითვალისწინებდნენ, მაგრამ უფრო ხშირად მათ მხარდაჭერას პოპულარობის პროგრამა იწვევდა.

**comitia curiata** – კურიის სახალხო კრება, როგორც წარსულის რელიქტი, დაკავებული იყო ოჯახური ურთიერთობების, აგრეთვე რომის კულტურისა და რელიგიის საკითხებით.

**Contiones** – ეს იყო დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის მქონე რომაელ მოქალაქეთა არაფორმალური გაერთიანება.

მაგისტრატურები - „სანამ რომი არისტოკრატიული მმართველობისაკენ იხრებოდა, იგი საკმაოდ წარმატებით ართმევდა თავს ყველა ამ უხერხულობას: მისი მაგისტრატები არასოდეს ღებულობდნენ ხელფასს. თავიანთი მაგისტრატობით. რესპუბლიკის პირველი ადამიანები ექვემდებარებოდნენ გადასახადებს, როგორც სხვები და სხვებზე უფრო მეტადაც, ზოგ შემთხვევაში კი მხოლოდ ისინი იხდიდნენ გადასახადს და ბოლოს, ძალიან შორს იყვნენ რა სახელმწიფო შემოსავლების მითვისებისაგან, ისინი ყოველივე იმას, რისი მიღებაც შეეძლოთ სახალხო განდიდან და ყოველივე იმ სიმდიდრეს, რასაც ბედი არგუნებდათ, ხალხს უნაწილებდნენ იმ პატივისცემის სანაცვლოდ, რომელიც მისგან ჰქონდათ“.<sup>2</sup> ამ პერიოდში მაგისტრატურები ხელმისაწვდომი მხოლოდ ნობილებისთვის იყო. მაგისტრატურებში არასასურველ პირთა არჩევის გამორიცხვის მიზნით ნობილებმა სხვადასხვა სახის შეზღუდვა შემოიღეს. მათ მიზანს შეადგენდა ყველაზე უფრო ხელსაყრელ თანამდებობებზე მხოლოდ იმ პირთ მისცემოდათ არჩევის შესაძლებლობა, რომლებმაც მთელი ცხოვრება ამ სამსახურში გაატარეს და ერთგულებით გამოირჩეოდნენ.

ამ მიზნის მისაღწევად მიღებულ იქნა (180 წ. ძვ. წ.) კანონი *Lex Villia annalis*, რომლის საფუძველზეც დაწესდა *certo ordo magistratum*, რომე-

1 იხ. რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს კონსტიტუციები, თბ. 2002წ. გვ. 14

2 იხ. შლ. მონტესკიე, კანონთა გონი, თბ. 19 გვ. 81

ლიც ცნობილია, როგორც მაგისტრატურაში არჩევის წესი და *aetas legitima* – მინიმუმ 1 წელი, რომელიც აუცილებელი იყო ცალკეულ თანამდებობაზე კანდიდატურის წამოყენებისათვის.

რომის სახელმწიფოს განვითარებამ ამ პერიოდში განაპირობა ზოგიერთი მაგისტრატურული სამსახურის ჩამოყალიბება.

**პრეტორები.** – სამეურნეო კავშირების განვითარებამ რომის მოქალაქეებსა და ასევე სხვადასხვა ეროვნების პერეგრინებს შორის, აგრეთვე სამართლის გამოყენების პერსონალურმა პრინციპმა გამოიწვია 242 წელს მეორე პრეტორის არჩევის საჭიროება. აქედან მოყოლებული, პრეტორია გახდა კოლეგიური ორგანო, რომელიც წყვეტდა სამართლებრივ დავებს რომის მოქალაქეთა და პერეგრინებს შორის, ასევე სხვადასხვა ეროვნების პერეგრინებს შორის წარმოშობილ ურთიერთობებსაც. ეს მაგისტრატები ეწეოდნენ აქტიურ სამართალ შემოქმედებას. ამათ გარდა, იყვნენ სხვა პრეტორებიც, თუმცა მათი წვლილი სამართლის განვითარებაში უმნიშვნელო იყო.

**დიქტატორები.** – ძველი დიქტატორები თავიდან იყვნენ დროებითი სახელმწიფო ორგანოები, მაგრამ სამოქალაქო ომების გაჩაღება იწვევდა დიქტატორის მუდმივ მაგისტრატად გადაქცევას.<sup>1</sup>

**ტრიუმვირი.** – პირველი ტრიუმვირატი გაფორმდა კეისარ პომპეუსსა და კრასუს შორის, როგორც პოლიტიკური ხელშეკრულება ოპტიმატებისა და პოპულარების ბელადებს შორის ძალაუფლების განაწილების მიზნით. მეორე ტრიუმვირატი შეიქმნა ანტონინუსის, ოქტავიანეს და ლეპიდუსის შემადგენლობით, რომელიც დაამტკიცა სახალხო კრებამ მას, როგორც კოლექტიურ ორგანოს, ხელთ ეპყრა ძალაუფლება.

**პლებების ტრიბუნები.** – პლების ტრიბუნებს ირჩევდნენ პლებების კრებები. მათი რიცხვი 16 კაცამდე გაიზარდა. ტრიბუნების კოლეგიათა წარმომადგენლები არაერთგზის გამოსულან, როგორც ნობილების ოპოზიცია. თავიანთი საქმიანობით ისინი ხელს უშლიდნენ არასასურველი ღონისძიებების განხორციელებას.

**ქვესტორები.** – ქვესტორთა რიცხვი მუდმივად იზრდებოდა, ისინი ხელმძღვანელობდნენ სახელმწიფო ხაზინას რომში, განაგებდნენ სახელმწიფო სახსრებს, ინაწილებდნენ ხაზინადრების და ინტედანტების თანამდებობებს.

1 იხ. О.А. Кудиннов, Римское право, М. 2008г. გვ/ 37

პრომაგისტრატები. – რომში სამსახურის დასრულების შემდეგ მაგისტრატები (კონსულები, პრეტორები და კვესტორები) იღებდნენ პროვინციების მმართველის თანამდებობას. მათ უწოდებდნენ პრომაგისტრატებს. მაღალი მდგომარეობის წყალობით პრომაგისტრატები ძალაუფლებას აგრძელებდნენ აგრეთვე ჯარის მეთაურებზე, რაც ზოგიერთ მხედართმთავარს საშუალებას აძლევდა ჩამოეყალიბებინა თავისი ერთგული ძალა, ამით კი შეეძლო ხელისუფლების ხელში ჩაგდება მთელი სახელმწიფოს მასშტაბით. ამას იულიუს კეისრის მაგალითი ამტკიცებს, რომელიც გალიის პროკონსული იყო.

იგივე პროცესებს ჰქონდა ადგილი რესპუბლიკური პერიოდის რომში, მაგრამ რომაელები უფრო გონივრულად იქცეოდნენ, როდესაც კასიუსი სიკვდილით დასაჯეს ტირანიისკენ ლტოლვისათვის, დასვეს საკითხი იმის შესახებ, უნდა დაესაჯათ თუ არა სიკვდილით მისი შვილები. დიონისე ჰადიკარნასელი ამბობს, რომ ისინი, ვინც მარსებთან<sup>1</sup> ომის და სამოქალაქო ომის შემდეგ მოისურვეს ამ კანონის შეცვლა და სულას მიერ განდევნილთა შვილებისათვის თანამდებობის არმიცემა, ნამდვილი დამნაშავენი იყვნენ.<sup>2</sup>

რესპუბლიკური პერიოდის დასასრული უკავშირდებოდა ტირანიისაკენ ლტოლვის სურვილით შეპყრობილ მმართველთა მიმართ ბრძოლას. შ.ლ. მონტესკიეს აზრით, ბერძნებმა არავითარი ზღვარი არ იცოდნენ შურისძიებაში ტირანთა მიმართ, ან იმ პირთა მიმართ, ვისზედაც ეჭვი ჰქონდათ, რომ ტირანობა ეწადათ. ისინი მათ შვილებსაც სიკვდილით სჯიდნენ, ხშირად ხუთ უახლოეს ნათესავსაც კი. მათ განდევნეს უთვალავი ოჯახი. ამან შეარყია მათი რესპუბლიკა; გაძევება ან გაძევებიდან დაბრუნება ყოველთვის ის ეპოქები იყო, რომლებიც სახელმწიფოს წყობის შეცვლას მოასწავებდნენ.

ციცერონი ტრაქტატში „რესპუბლიკა“, იხილავს სახელმწიფო წყობის საუკეთესო ფორმების საკითხს. რომის რესპუბლიკის კონსტიტუციას ციცერონი დემოკრატიის, არისტოკრატიისა და მონარქიის კარგ შეხამებად თვლიდა.<sup>3</sup>

რომის ისტორიაში მყარდება მონარქიის (იმპერიის) პერიოდი, რომელიც მოიცავს ახ. წ. აღ. I-V საუკუნეებს, იმპერიის ხანა ორ პერიოდად იყოფა, რაზედაც ადრეც გვქონდა მსჯელობა, ეს არის I-III საუკუნეების პრინციპატი და IV-V საუკუნეების დომინანტი, განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე.

1 მარსები – ერთ-ერთი ძველი იტალიელი ხალხი

2 იხ. შ. ლ. მონტესკიე, კანონთა გონი, თბ. 1994წ. გვ. 228

3 იხ. ე. აბაშმაძე, ნარკვევები პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, თბ. 1977წ. გვ. 442

## იმპერიის პერიოდის დასაწყისი რომში

### §1. პრინციპატის ხანა

იმპერიის ისტორია რომში პრინციპატით იწყება, რომელმაც გარკვეული ისტორიული გზა გამოიარა, ვიდრე იმპერიად ჩამოყალიბდებოდა. ამ პროცესების განვითარებას ხელი შეუწყო პროვინციებში მდიდარი, გავლენიანი ჯგუფების შექმნამ, რომლებიც უკვე აღარ ემორჩილებოდნენ რომის ხელისუფლებას, ამ დროისათვის არაეფექტური გახდა სახალხო კრებები, სენატი და მაგისტრატურები. რომის გადასვლა დიქტატურაზე ფაქტობრივად დაიწყო 82 წელს, ჩვენს წელთაღრიცხვამდე კორნელიუს სულას მიერ მოწყობილი სახელმწიფო გადატრიალებით, რაც შეძლო ჯარზე დაყრდნობით და ხელში აიღო საკანონმდებლო უფლებაც. ნობილიტუტის სასარგებლოდ დაიწყო კანონების გამოცემა. სახალხო კრების გვერდის ავლით, მის მიერ, როგორც დიქტატორის, გამოტანილი განაჩენი აპელაციას არ ექვემდებარებოდა. შემდგომში განვითარებულმა მოვლენებმა სულა აიძულა ჩვ.წ.აღ 79-წელს გადამდგარიყო.<sup>1</sup> 67 წელს ჩვ.წ.აღ-მდე დიქტატორად აირჩიეს პომპეუს დიდი, გამოჩენილი მხედარ-მთავარი და სახელმწიფო მოღვაწე, რომელმაც ქვეყანაში სერიოზული რეფორმები გაატარა და მიიღო კანონები საჯარო სამართალში.

არისტოკრატიული ოლიგარქიის პერიოდს ახასიათებდა სასტიკი დაპირისპირება ოპტიმატების ბანაკსა, (რომელშიც ნობილებიც შედიოდნენ) და პოპულარების ბანაკს შორის, რომელსაც ქვესტორები ხელმძღვანელობდნენ. სამოქალაქო ომები, მონათა აჯანყებები და დაპყრობილი ხალხების გამათვისსუფლებელი მოძრაობა რომის სახელმწიფოს სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა. რომაელები ამოსავალს მონათმფლობელთა გაერთიანებასა და ნობილებსა და ქვესტორებს შორის ძალაუფლების განაწილებაში ხედავდნენ. ეს იდეა განახორციელა ოქტავიანემ, სახალხო კრების მიერ დამტკიცებულმა ერთ-ერთმა ტრიუვირმა, კეისრის ნათესავმა.<sup>2</sup>

1 იხ. ი. იხ. О.А. Кудинюв, Римское право, М. 2008г: გვ. 38

2 ოქტავიანეს, წყაროთა ნაწილი კეისრის ღისშვილად მოიხსენებს, ნაწილი კი—მერად.

ოქტავიანემ გამარჯვების შემდეგ თავიდან უარი თქვა შეუზღუდავ ძალაუფლებაზე და სახელმწიფოს მართვა გაუნაწილა სენატსა და რომაელ ხალხს<sup>1</sup>. მადლიერმა სენატმა მას უწოდა ავგუსტუსი (ამაღლებული, ღვთაებრივი). იგი აირჩიეს კონსულად, საზღვრისპირა პროვინციების პროკონსულად, პლებების ტრიბუნად, რომელიც ატარებდა ტიტულებს: კეისარი Caesar იმპერატორი, ოქტავიანე იყო სენატის პირველი წევრი – princeps senatus, მოგვიანებით არჩეულ იქნა pontifex maximus – ად. ფაქტობრივად იყო რა რომის სახელმწიფოს მხოლოდ მაგისტრარტი, სინამდვილეში გახდა მისი ბატონ-პატრონი. სახელმწიფო წყობა ფორმით ითვლებოდა დიარქიად ძალაუფლების ფორმალური განაწილებით სენატსა და პრინცეს შორის, ფაქტობრივად კი შინაარსით – მონოკრატიულ სახელმწიფო წყობად: ავგუსტუსის პრინციპატი გულისხმობდა კლასიკური რესპუბლიკის დროინდელი ცალკე მაგისტრატურების თავის მოყრას ერთი კაცის (პრინციპატის) ხელში. უპირველეს ყოვლისა, მას ეკუთვნოდა უმაღლესი სამხედრო ძალაუფლება – imperium, ამას ერთვოდა უმაღლესი სამოქალაქო ხელისუფლებაც, რადგან ის სიკვდილამდე შეუცვლელ კონსულად დარჩა.<sup>2</sup> პრინციპატად გადაიქცა, რომელიც მოიცავდა I-III საუკუნეებს ჩვენი წელთაღრიცხვით, უფრო ზუსტად, წყაროებში დასახელებულია თარიღები ჩვ. წაღ-მდე 27 წლიდან, ჩვენი წელთაღრიცხვის 284 წლამდე. ეს პერიოდი იყო, შეზღუდული მონარქიის ხანა.

## § 2. რესპუბლიკური ორგანოების ფუნქციონირება დაქვეითება

პრინციპატის პერიოდი ფაქტობრივად იყო საიმპერატორო ხელისუფლების დამკვიდრებისა და განვითარების დრო, როდესაც მთავრობა იძულებული იყო ამოფარებოდა რესპუბლიკური ხანის დაწესებულებებს. ე.ი. ერთდროულად ორი სისტემა არსებობდა მმართველობაში. ერთ მხარეზე ეხედავთ სენატს, არჩეულ მაგისტრებს, კონსულებს, პრეტორებს და ა.შ. პარალელურად ფუნქციონირებს პრინციპატის ხელისუფლება და მის მიერ შექმნილი ახალი სახელმწიფო აპარატი.<sup>3</sup> მსგავს მდგომარეობაში

1 Momentum Ancuranum 6,12

2 იხ. ლ. სანიკიძე, რომის იმპერია, თბ. 1984წ. გვ. 11

3 იხ. О.А. Кудинов, Римское право, М. 2008г. გვ. 38

ქვეყანა დიდხანს არსებობას ვერ გააგრძელებდა, ამიტომ დაიწყო რესპუბლიკის პერიოდისათვის დამახასიათებელი სახელმწიფო ორგანოების ფუნქციათა შეკვეცა.

პრინციპატის პირველ წლებში იწვევდნენ სახალხო კრებებს, რომელთა აქტიურობა შესამჩნევი იყო. მოგვიანებით რომის სახელმწიფოს ბევრმა მცხოვრებმა მოქალაქეობა მოიპოვა და ისინი უკვე აღარ წარმოადგენდნენ ერთიან ხმისმიმცემ ორგანიზმს. უკანასკნელ პერიოდში „კომიცია“ სახალხო კრება, როგორც საკანონმდებლო ორგანო, მოიწვიეს მხოლოდ 98 წელს.

ბ) სენატი. პრინციპატის დროს სენატის ძალაუფლება გაიზარდა, მისი გადაწყვეტილებები იქცა სამართლის წყაროდ და მიენიჭათ კანონის ძალა. სენატმა, როგორც სახელმწიფო ორგანომ, კრების ფუნქციებიც მიიერთა.

სენატი პრინციპატის მორჩილი ორგანო იყო. პრინციპსი ნიშნავდა სენატორებს მათი ასაკისა და ცენზის გათვალისწინებით. მოგვიანებით, პრინციპსის მდგომარეობის განმტკიცებით და სენატის შესუსტებით *senatus consulta*, მისმა გადაწყვეტილებამ სამართლის წყაროს მნიშვნელობა დაკარგა, რამდენადაც პრინციპსის წინადადებებს ულაპარაკოდ იღებდა სენატი. ფორმალური დიარქია გადაიზარდა პრიციპსის ღია დიქტატურაში. სენატი გახდა ქალაქ რომის კომუნალური მართვის ორგანო.

რამდენადაც ძალაუფლება აკუმულირებული იყო პრინციპსის ხელში, მაგისტრატებმა დაკარგეს მნიშვნელობა, რადგანაც პრინციპსს მინიჭებული ჰქონდა სხვა მაგისტრატების დადგენილებების გაუქმების უფლება, რასაც მოკლებული იყო ნებისმიერი სხვა მაგისტრატი პრინციპსის გადაწყვეტილების მიმართ. დროთა განმავლობაში მაგისტრატურები გადაიქცნენ საპატიო ფუნქციების და წოდებების მატარებლად. გარკვეული სიცოცხლისუნარიანობა შეინარჩუნა მხოლოდ პრეტორის ინსტიტუტმა. რომელიც სამართალშემოქმედებით მუშაობასაც ეწეოდა. ადრიანეს კანონის წყალობით, ის წარმოადგენდა პრეტორთა ედიქტების კოდიფიკაციას. მის შემდეგ აირჩიეს ახალი პრეტორები, რომლებიც უმნიშვნელო სახელმწიფო საქმეებით იყვნენ დაკავებულნი.



როგორც ცნობილია, I-III საუკუნეები რომის ისტორიაში იწოდება პრინციპატის პერიოდად, სახელწოდებაც პრინციპსიდან მოდის ანუ პირველი სენატორი იყო პრინციპს-სენატუს. თუ რესპუბლიკის ხანაში სენატორთა სიების შედგენა ცენზორს ევალებოდა, ეს ფუნქცია პრინციპსმა შეიერთა. ის ფაქტობრივად რესპუბლიკის პერიოდში არსებული ყველა სახელმწიფო სტრუქტურის უფლება-მოხილებებს დაეპატრონა. კეისრისაგან განსხვავებით, რომელიც ყოველწლიურად, თუმცა ფორმალურად, მაგრამ მაინც ახდენდა გარკვეული რესპუბლიკური მაგისტრატურების განახლებას, ოქტავიანე აევუსტუსი, რომელიც აღიჭურვა იმპერიუმით, არად აგდებდა მაგისტრატების ფუნქციებს.<sup>1</sup>

Lex de imperio-ს მიხედვით, პრინციპს ჰქონდა განუსაზღვრელი უფლება, ძალაში შევიდა ორი ძირითადი წესი: 1. ყველაფერს, რაც პრინციპსის მიერაა დადგენილი, კანონის ძალა აქვს. 2. პრინციპსი არ უნდა დაემორჩილოს სამართლებრივ ნორმებს.

1. პრინციპსები ტახტის მემკვიდრეობის საკითხსაც წყვეტდნენ. სენატი იძულებული იყო ინვესტიტურა (თანხმობა) მიეცა პრეტორთა ჯარის მიერ წამოყენებული კანდიდატისთვის.

პრინციპსის დადგენილებასაც კანონის ძალა ჰქონდა, რადგან „მეფის კანონით“, რომელიც მისი (ე.ი პრინციპსის) ხელისუფლების შესახებ გამოცა, ხალხმა მთელი თავისი ძალა და უფლება მას დაუთმო, ასე რომ ყველაფერი ის, რასაც კი იმპერატორი წერილობით („ეპისტულა“) ან გამოძიების შემდეგ დაადგენს ან ედიქტით ბრძანებს, კანონად ითვლება, ვინაიდან, თუ მან რამე დამსახურების გამო ვინმე დააჯილდოვა, ან, თუ ვინმეს სასჯელი დაადო და ან, თუ ვინმეს დაეხმარა ისე, რომ ამით პრეცედენტი არ შეუქმნია, მაშინ (ეს დადგენილება) ამ პირის გარდა, სხვებზე არ ვრცელდება. ხოლო სხვა (დადგენილებები), რამდენადაც ისინი ზოგადი (ხასიათის) არიან, უეჭველად, ყველასათვის სავალდებულოა.<sup>2</sup>

პრინციპსს ფართო უფლებები გააჩნდა. იგი ითვლებოდა ქვეყნის შეიარაღებული ძალების მხედართმთავრად. წყვეტდა ომისა და ზავის საკითხებს, უცხო ქვეყნებთან დებდა ხელშეკრულებებს, პირადად აკონტროლებდა პროვინციების მართვა-გამგეობას, არამარტო ესწრებოდა სენატის

1 იხ. О.А. Кудинов, Римское право, М. 2008г. გვ/ 38-39

2 იხ. რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს ინსტიტუციები, თბ. 2002წ. გვ. 15

სხლომებს, არამედ თავმჯდომარეობდა, მასვე ეკისრებოდა ცენზორის ფუნქციებიც, ითვლებოდა ქურუმთუხუცესად.

პრინცეპსი თავის შეუზღუდავ უფლებამოსილებას ახორციელებდა მასთან მოქმედი დამხმარე ორგანოებისა და დაწესებულებების მეშვეობით. იგი ეყრდნობოდა იმ პირებს, რომლებიც ხელფასზე მუშაობდნენ, ანუ მის მიერვე დაქირავებულ მოხელეებს.

ა) Concilium principis. პრინცეპსის სათათბირო საბჭო— მასში შედიოდნენ უფრო მეტად გამოცდილი სენატორები და კვესტორები, რომლებსაც ჰქონდათ ცოდნა და უნარ-ჩვევები სამართლის სფეროში და შეეძლოთ რჩევა მიეცათ პრინცეპსისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებისას. ამ საქმიანობისათვის ისინი ხელფასს იღებდნენ.

ბ) Fiscus caesaris — არსებობდა პრინცეპსის ხაზინა, რომელშიც თავს იყრიდა ფულადი სახსრები პროვინციებიდან, აგრეთვე შემოსავლები სამხედრო ტყვეების გაყიდვიდან და კონტრიბუციისაგან. ეს სახსრები გამოიყენებოდა პრინცეპსის პოლიტიკის განხორციელებისთვის.

გ) Praefectus praetorio — პრეტორიული პრეფექტები იყვნენ ჯარის ცხრა კოპორტის — ქალაქ რომის ერთადერთი სამხედრო ძალის — მეთაურები. რომლებსაც ძალიან დიდი გავლენა ჰქონდათ, განსაკუთრებით ტახტის მემკვიდრის შეცვლისას. მათ გადაწყვეტილებას ისეთივე ძალა ჰქონდა, როგორც პრინცეპსისას.

დ) პრინცეპსის კანცელარია. — რომელიც სხვადასხვა განყოფილებისაგან შედგებოდა. ძირითადად ამზადებდა პრინცეპსის განკარგულებებს სხვადასხვა სფეროში. ასეთი იყო პრინცეპსის მიერ შექმნილი სახელმწიფო აპარატის-სტრუქტურა.

#### § 4. ქალაქ რომის, იტალიისა და პროვინციების მართვა

1) ქალაქ რომის მართვა. — პრინციპატის პერიოდში. ისტორიკოსები შეეცადნენ განესაზღვრათ რომის მოსახლეობა, მაგრამ მცხოვრებთა ზუსტი დასახელება ძალზე გართულდა ახ. წ. აღ. I საუკუნეში რომის მოსახლეობა დაახლოებით 1 მილიონი კაცით განისაზღვრებოდა, სხვა წყაროების მიხედვით 1,5 მილიონით, ან 2,8 მილიონით, ან 4 მილიონით.<sup>1</sup> რომში მონათა რიცხვს 900 ათას კაცს ასახელებდნენ.<sup>2</sup>

<sup>1</sup> იხ. А. Бокшанин Социальный кризис Римской империи в I веке 1954г. с.52

<sup>2</sup> ე. სერგაევი. ძველი რომის ისტორიის ნარკვევები, ნაწ. II 1941 გვ. 819

ასეა თუ ისე, რომი საკმაო ჭარბმოსახლეობით ხასიათდებოდა, რომელთა სოციალური მდგომარეობა ძალიან განსხვავებული იყო და მისი მართვაც ბევრ პრობლემასთან იყო დაკავშირებული. რომს მთელს იმპერიაში 102 ქალაქი ემორჩილებოდა, რომლებიც განთავსებული იყო 51 ოლქში 14 კოლონიასა და 64 პროვინციაში.<sup>1</sup>

ქალაქ რომს მართავდა praefectus urbi- მოხელე, რომელიც ზრუნავდა ქალაქის ნორმალურ ფუნქციონირებაზე. ამ ამოცანათა წარმატებით შესრულებისათვის მის განკარგულებაში იყო შეიარაღებულ პირთა გარკვეული რაოდენობა.

2) მმართველობა იტალიაში. – რომაული საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაზე გადასვლა პირველ რექსს რომულს უკავშირდებოდა. ამ პრობლემაზე თავისი მოსაზრება ჩამოაყალიბა გერმანელმა-ისტორიკოსმა ბ. ნიბურმა (1776-1831). მისი აზრით, რომში უზენაესი ხელისუფლება ხალხს ეკუთვნოდა. მაშინდელ რექსებს ძალაუფლებას ხალხი ანიჭებდა, სენატი წარმომადგენლობის პრინციპს ეყრდნობოდა, რადგანაც ყოველ გვარს ერთი წარმომადგენელი ჰყავდა სენატში.<sup>2</sup>

რომულამდე მაშინდელი საზოგადოების (რომელიც 10 კურიისაგან და 100 გვარისაგან შედგებოდა) ტომთა ორგანიზაცია სამი ელემენტისაგან შედგებოდა: ა) საბჭო, ბ) ტომის ბელადი გ) ტომთა კრება, რომლებიც შემდგომში გარდაიქმნა ა) სენატად, ბ) მეფის ხელისუფლებად გ) სახალხო კრებად.

ხელისუფლების ორგანიზაციის თვალსაზრისით, საბოლოოდ ჩამოყალიბდა ოთხდონიანი სისტემა: ა) გვარი, ბ) კურია, გ) ტომი, დ) ხალხი, რომლებიც წარმოდგენილი იყო სენატით, სახალხო კრებით, რექსით, საქალაქო ხელისუფლებით, ჯარებით და სხვადასხვა დონის საერთო-ეროვნული ქურუმების ინსტიტუტით. თვითმმართველობის არსებობას ყველაზე მეტად პასუხობდა სახალხო კრება,<sup>3</sup> რომლის ფესვები პირველყოფილ თემურ წყობილებაში უნდა ვეძებოთ, მან საზოგადოების სოციალურ ფენებად დაყოფის შემდეგ პოლიტიკური მნიშვნელობა შეიძინა.

იტალიაში ავტონომიის უფლებით მოქმედებდა ადგილობრივი თვითმმართველობითი სტრუქტურები. აგრეთვე რომის მიერ დანიშნული პირები, რომლებსაც ეწოდებოდა juridici და ფლობდნენ სასამართლო და ადმინისტრაციულ უფლებებს.

1 მოტიანილ ციფრებს აბსოლუტური სიზუსტის პრეტენზია არ გააჩნია.

2 იხ. Niebuhr B. G. store Rome I p.224

3 ხ. ლ. მორგანი, ძველი საზოგადოება, ლენინგ. 1934წ. გვ. 181

ტრაციულ ხელისუფლებას. ამ ტერიტორიაზე მცხოვრებნი იწოდებოდნენ რომის მოქალაქეებად, მაგრამ მათ არ ჰქონდათ რომის სახალხო კრებაში მონაწილეობის უფლება.

3) პროვინციების მმართველობა – რომის მიერ იტალიის ფარგლებს გარეთ დაპყრობილი ან შემოერთებული ტერიტორიები პროვინციებად (Provincere) იყოფოდა. პროვინციები რომში გაჩნდნენ პირველი პუნიკური ომის დროს 227 წელს. ესენი იყო: სიცილია, კორსიკა და სარდინია. ცეზარის მმართველობის დროს მათი რიცხვი 18-მდე გაიზარდა და სახელმწიფოს ზრუნვის საგნად გადაიქცა.<sup>1</sup> პროვინციებში ადმინისტრაციის ხელმძღვანელ თანამდებობის პირებს რომის ცენტრალური ხელისუფლება ნიშნავდა. პროვინციული მაგისტრატების ხელში გაერთიანებული იყო ადმინისტრაციული, სამხედრო და სასამართლო ძალაუფლება, რომელსაც კონტროლს რომის ცენტრალური ხელისუფლება უწევდა.

პროვინციული ტერიტორიული მოწყობის მარტივი სისტემა შეცვალა რომის იმპერატორის, დიოკლეტიანეს რეფორმამ. ამ რეფორმის შედეგად, პროვინციების რაოდენობა ძველის დაშლისა და უფრო მცირე, ახალი პროვინციების ფორმირების გზით 120-მდე გაიზარდა. შემდგომში ისინი გაერთიანდა 12 მსხვილ ტერიტორიულ წარმონაქმნად—დიოცეზად. დიოკლეტიანეს რეფორმით, პრივილეგირებული მდგომარეობა დაკარგა იტალიამაც, რომელიც სხვა ტერიტორიების მსგავსად პროვინციებად და დიოცეზებად დაიყო.

რომის სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობის ქვედა დონეს ქალაქები შეადგენდნენ და თვითმმართველობის ფართო უფლებებით სარგებლობდნენ. აქ ირჩეოდა საქალაქო მმართველობის თანამდებობის პირები და საქალაქო საჭიროებების დასაკმაყოფილებლად აუცილებელი ფულადი სახსრები იკრიბებოდა, წყდებოდა ღვთისმსახურებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხები.

მაგრამ ქალაქებს არ ჰყავდა უზენაესი ხელისუფლება— imperium, რომელიც ომისა და ზავის, უმაღლესი ადმინისტრირებისა და სამართალწარმოების სფეროებს მოიცავდა.

პროვინციებსა და დიოცეზებში ცენტრალური ხელისუფლების მიერ დანიშნული აგენტები—მმართველები, კონსულები, პრეტორები, პრეფექტები თუ სხვანი, სამსახურებრივ მოვალეობებს მხოლოდ განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში ცენტრის მკაცრი ზედამხედველობით ასრუ-

1 იხ. М. П. Морев, Римское право, М. 2008г. гл. 59

ლებდნენ. შემოღებული კანონის საფუძველზე, ვისაც დაუმთავრებოდა პროვინციის მართვის ვადა, შეეძლო დარჩენილიყო ადგილზე პროკონსულად, პროპრეფექტად, პროპრეტორად და დაწესებული კომპეტენციის ფარგლებში განაგრძობდა საქმიანობას. ისინი არ იყვნენ დამოუკიდებელი მმართველები, არამედ იმპერატორის რწმუნებით ცენტრალური ხელისუფლების ინტერესებს წარმოადგენდნენ ტერიტორიულ ერთეულებში. მათთვის დაწესებული იყო შესაბამისი გასამრჯელო.

გარდა ამისა, პროვინციებში მოქმედებდა სახალხო წარმომადგენლობითი ინსტიტუტი—პროვინციული კრება. მიუხედავად იმისა, რომ მათ ფართო უფლებამოსილებები არ გააჩნდათ, სათათბირო და საკონსულტაციო ფუნქციების განხორციელებისას, გარკვეულ დემოკრატიულ ელფერს აძლევდნენ რომის ბატონობას შესაბამის ტერიტორიებზე. პროვინციული კრებების მსგავსად, ზოგიერთ რომაულ პროვინციაში სხვადასხვა დროს ორგანიზებული იყო ქალაქების კონფედერაციები, რომელთა წარმომადგენლებიც ერთობლივად წყვეტდნენ მათ კომპეტენციაში შემავალ საკითხებს.<sup>1</sup> რომის იმპერიის უზარმაზარი ტერიტორია ხომ მრავალრიცხოვან პროვინციებად იყოფოდა.

პრინციპატის პერიოდში პროვინციების მართვა-გამგეობაზე კონტროლი ჰქონდათ სენატსა და პრინცეპსს. ნაწილი პროვინციების მართვა-გამგეობის პასუხისმგებლობა ეკისრებოდა პრინცეპსს, ხოლო მეორე ნაწილისა — სენატს და რომაელ ხალხს.

იმპერიის ადმინისტრაციული მოწყობის შესასწავლად (V ს.) უპირველეს ისტორიულ წყაროდ ითვლება. ანონიმურ ავტორის მიერ შედგენილი ტრაქტატი „მონაცემები ოლქებში, სრულიად აღმოსავლეთსა და დასავლეთში, როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო თანამდებობების და დაწესებულებების შესახებ“, სადაც დაწვრილებითაა ჩამოთვლილი სახელმწიფო თანამდებობები, ცენტრალური და პროვინციული მმართველობის და თვითმმართველობის ორგანოები, ინსიგნიები (განმასხვავებელი ნიშნები) რომლებიც ენიჭებოდათ თანამდებობის პირებს იმპერიის მთელ ტერიტორიაზე.<sup>2</sup>

ასეთი იყო ქ. რომის, იტალიისა და პროვინციების მართვის ძირითადი მექანიზმები, ხერხები და საშუალებანი, რომელიც იქმნებოდა, იგეგმებოდა და იმართებოდა ცენტრალური ხელისუფლების მიერ.

1 იხ. ო. მელქაძე, ზ. ეზუგბია, მუნიციპალური სამართალი, თბ. 2002წ. გვ.2  
2 იხ. История Византии Т.I М 1967 г.გვ. 55

## თავი მერვე

# იურიდიული მეცნიერების განვითარება და სამართლის წყაროები კლასიკურ ხანაში

## § 1. იურიდიული მეცნიერების განვითარება კლასიკური პერიოდის რომში

კლასიკური პერიოდის რომში შრომის ფიზიკურ (მონები) და ინტელექტუალურ (მონათმფლობელები) სახეებად დაყოფამ ხელი შეუწყო ლიტერატურის, ფილოსოფიის, არქიტექტურის, ხელოვნების, განსაკუთრებით, სამართლებრივი და სამხედრო მეცნიერების განვითარებას. წარმატებები სამართლებრივ და სამხედრო სფეროში ემყარებოდა ადამიანურ რესურსებს, უდავო რომაულ გენიას და იმ გარემოებათა ერთობლიობას, რომლებსაც შედეგად მოჰყვა რომის სახელმწიფოს შექმნა. ამან თავის მხრივ განაპირობა იურიდიული სფეროს წარმომადგენლების ბრწყინვალე პოლიტიკური კარიერა.

*jurisprudencia* – იურისპრუდენციის განვითარება რომში იწყება ტიბერიუს კორუნკანიუსიდან. მის შემდეგ ბევრი სამართალმცოდნეა ცნობილი, რომლებიც მოღვაწეობდნენ და ქმნიდნენ ამ მეცნიერებას.

კლასიკური რომის იურიდიული აზროვნება კონცენტრირებული იყო დავის სამართლებრივი გადაწყვეტის შესაძლებლობებზე და ნაკლებად ეხებოდა ზოგად წესებსა და პრინციპებს. იგი ასევე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ცალკეულ საკითხებზე მიღებულ კონკრეტულ გადაწყვეტილებებსა და იურისტთა შეხედულებებს. იურიდიული აზროვნება მთლიანად ორიენტირებული იყო სუბიექტის ქცევაზე და აინტერესებდა, თუ არსებული მართლწესრიგი რამდენად იძლეოდა ინდივიდუალური ინტერესების განხორციელების შესაძლებლობას.<sup>1</sup>

რომაელი სამართალმცოდნეების შრომები შეიცავდნენ სამართლებრივ დებულებებს, სადაც ზუსტად იყო გამოხატული და დაწვრილებით დამუშავებული კონკრეტული ან აბსტრაქტული სამართლებრივი ფაქტები (*responsa, epistolae*).

<sup>1</sup> იხ. გ. ხუბუა, სამართლის თეორია, თბ. 2002წ. გვ.85

სამართალმცოდნეები ქმნიდნენ მონოგრაფიებს, რომლებშიც განმარტებული იყო სამართლებრივი დებულებები. სამართლებრივი ნორმების კომენტარები ან *jus honorarium* და კეთდებოდა პრეტორების, ედიქტების და ენციკლოპედიური ხასიათის წიგნების კომენტარები. სამართალმცოდნეები წერდნენ აგრეთვე სახელმძღვანელოებს, ახალგაზრდებისა და სტუდენტებისთვის. თუმცა, სამართლის სწავლებისას რომელი იურისტები გაურბოდნენ ცნებებისა და ინსტიტუტების სამართლებრივ განსაზღვრებებს, რადგან მიაჩნდათ, რომ „ყოველგვარი განსაზღვრება“ სამოქალაქო სამართალში სახიფათოა, ვინაიდან იშვიათია განსაზღვრება, რომლის უარყოფა არ შეიძლება.“

რომაელ იურისტთა შრომები – მოტანილი კაზუსები (*casus*) ნამდვილი განძია იურისპრუდენციისათვის.<sup>1</sup>

იურისტები შრომებს ქმნიდნენ პრობლემების გულდასმითი ანალიზის, ტერმინოლოგიის შემუშავებისა და დასაბუთებული დასკვნების წარმოდგენის საფუძველზე) მათი შრომები უდავოდ შენაძენია კაცობრიობისათვის.

რესპუბლიკის პერიოდში მოღვაწე იურისტებს კლასიკური პერიოდის სამართალმცოდნეებს უწოდებდნენ. თავის მხრივ, მათ წინამორბედებს *Veteres*-ებად მოიხსენიებდნენ. ძველ რომაელ იურისტთა შრომებს ორიგინალის სახით მართალია, ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ მათი ნაშრომების ფრაგმენტებს კლასიკურ რომაელთა თხზულებებში და იუსტინიანეს კოდიფიკაციაში ვხვდებით. ძველ იურისტთა შორის უხუცესი იყო აპიუს კლავდიუსი, რომელმაც დაწერა წიგნი „*jus flavianum*“, რომელზეც მრავალი იურისტი გაიზარდა. იმდროინდელ მოღვაწეთა შორის უმნიშვნელოვანესია სექსტუს ლიბიუსი, რომელიც ავტორია წიგნისა „*Tri partitum*“ ანუ „*jus Aelianum*.“

ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეორე საუკუნის შუახანებიდან მწერალ იურისტთა რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა. მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უკავიათ მარკუს კატოს, ძველი ცენზორის, კატონის შთამომავალს, მარკუს იუნიუსს, მარკუს მანილიუსს და ფაბიუს მუციუს სცევილას.

პირველი საუკუნის (ძვ.წ) გამოჩენილი იურისტები არიან კვინტუს მუციუს სცევილა და ფილოსოფოსი და პრაქტიკოსი (*Cicero*) მარკუს ტულიუს ციკერონი, რომელსაც განსაკუთრებული ადგილი ეკუთვნის რომის ისტორიაში.<sup>2</sup>

<sup>1</sup> ლიგესტები 50,17,102

<sup>2</sup> იხ. ვ. აბაშაძე, ნარკვევები პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, თბ. 429-449

(მისი შეხედულებები სახელმწიფოსა და სამართალზე, ჩამოყალიბებულია შრომებში: 1) „სახელმწიფოს შესახებ“ 2) „კანონების შესახებ“, 3) „მოვალეობათა შესახებ“.)

ციცერონი სახელმწიფოს განმარტავს, როგორც ხალხის საქმეს (res publica). მაგრამ ხალხად მას მიაჩნია ადამიანთა არა ყოველგვარი ერთობა. ხალხი, მისი აზრით, წარმოადგენს ადამიანთა ისეთ გაერთიანებას, რომელიც დაფუძნებულია სამართლის ერთობასა და საერთო სარგებლიანობაზე. ციცერონის აზრით, სახელმწიფო დაფუძნებულია სამართლიანობაზე. იგი არ ეთანხმება მათ, ვინც აღნიშნავს, რომ სახელმწიფო ემყარება ძალმომრეობას. ციცერონი მიუთითებს, რომ თუ ხელისუფლება ეფუძნება ძალადობასა და თვითნებობას, მაშინ ასეთ შემთხვევაში არ არსებობს სახელმწიფო. იგი სახელმწიფოს წარმოშობის საკითხში ეხმაურება არისტოტელეს. ამ უკანასკნელის აზრით კი, სახელმწიფო არის შედეგი იმისა, რომ ადამიანებს ერთად ცხოვრებისა და ურთიერთობის ჩვევა აქვთ. ციცერონის აზრით, ყველა სახელმწიფოს დანიშნულებაა მოქალაქეთა ჯონებრივი ინტერესების დაცვა, ხოლო სახელმწიფო ხელისუფლების უპირველესი მოვალეობა პირადი საკუთრების დაცვაა.)

რაც შეეხება ციცერონის შეხედულებას სახელმწიფოს ფორმებზე, ის იზიარებს პოლიბიოსის შეხედულებას და უპირატესობას ანიჭებს სახელმწიფოს შერეულ ფორმას.

სამართლის არსის საკითხში იგი ეხმაურება ბერძენ ფილოსოფოსთა, კერძოდ, სტოელების შეხედულებას და ასაბუთებს, რომ პოზიტიური სამართალი ბუნებითი სამართლის შედეგია.<sup>2</sup>

ციცერონი დიდი მოაზროვნე და პოლიტიკური მოღვაწეა, მაგრამ ისევე, როგორც საბერძნეთში სოკრატე, ისიც ვერ გადაურჩა ტრაგიკულ დასასრულს და სამწუხაროდ, ისიც სიკვდილით დასაჯეს.<sup>3</sup>

1 იხ. История политических и правовых учений под ред. О.с Лисица М. 1999г. გვ 66

2 იხ. ვ. მეტრეველი, გ. დავითაშვილი, პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია თბ. 1997წ. გვ. 47-48

3 ძე.წ.ალ. 43 წელს ანტონიუსის ბრძანებით, ციცერონს თავი და მარჯვენა ხელი მოკვეთეს და რომში ფორუმზე გამოკიდეს..



## § 2. საბინელები და პროკულიანელები

სკოლების ჩამოყალიბების, შექმნისა და ფუნქციონირების პრაქტიკა ძველმა ბერძნებმა დანერგეს. მათ უფრო განავითარეს ფილოსოფიური აზროვნება, რადგან სკოლების უმრავლესობა სწორედ ფილოსოფიურ კანონებს ემსახურებოდა, საკმარისია დავასახელოთ ძვ.წალ მე-6 მე-4 საუკუნეებში შექმნილი ბერძნული ფილოსოფიური სკოლები, რომელთა სახელები ისტორიამ შემოინახა, ესენი იყო: ათენის კინიკური (კინიკოსების), კირენის, (კირინელების) ელეატების, მეგარის (მეგარელების) სტოიკოსების სკოლები. პლატონის სკოლა, არისტოტელეს სკოლა-ლიცეუმი, არქეზალას პლატონის საშუალო აკადემია, პითაგორელების სკოლა<sup>1</sup> და.ა.შ.

რომალებმა ბერძნების ფილოსოფიური, პოლიტიკური და სამართლებრივი მემკვიდრეობა პრაქტიკად გადააქციეს და გაცილებით მეტი სამართლებრივი სკოლები შექმნეს, მათ შორის აღსანიშნავია რესპუბლიკის ბოლოსა და პრინციპატის პერიოდში შექმნილი სკოლები, რომლებმაც იურისტები ორ ნაწილად გაყო.

საბინელების სკოლა დააარსა გაიუს ათეუს კაპიტომ, ხოლო პროკულიანების სკოლა ანთისტიუს ლაბემ<sup>2</sup>. კაპიტო იყო კონსერვატორი. პოლიტიკური თვალსაზრისით, მას იზიდავდა პრინციპატი, როგორც რესპუბლიკური მმართველობის თავისებური გაგრძელება. მისი თხზულებები ძირითადად ეხებოდა საჯარო სამართლის საკითხებს. ლაბეო უფრო პროგრესული იყო და აღიარებდა ახალ იდეებს არა მარტო სახელმწიფო მოწყობის, არამედ სამოქალაქო სამართლის სფეროშიც. ამ ორი სკოლის წარმომადგენელთა პოზიციებს შორის განსხვავება ეხებოდა არანაკლებ ოცდაათ საკითხს, ასე მაგ: საბინელები პრინციპატს ემხრობოდნენ, ხოლო პროკულიანელები რესპუბლიკას. პირველთა მიხედვით, მთავარი არის საკუთრება და არა შრომა, მეორეთა მოსაზრებით კი სწორედ უპირველესი შრომაა.<sup>3</sup> თუმცა მთლიანობაში ძნელი შესამჩნევი იყო დოქტრინალური სხვაობა მათ შორის.

პროფ. გ. ნადარეიშვილი თვლის, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში

1 იხ. ფილოსოფიური ლექსიკონი თბ. 1987წ. გვ 59,268,550

2 საბინელების სკოლას ეწოდა მისი იდეოლოგიის საბინეუსის სახელი, ხოლო პროკულიანელებისას, სამართალმცოდნის, პროკულუსის სახელი

3 იხ. О.А. Кудиннов, Римское право, М. 2008г. гв. 27

1902 წ. მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორმა პ. ე. სოკოლოვსკიმ გამოთქვა მოსაზრება, რომ რომაელ იურისტებზე ბერძნული ფილოსოფიის ზეგავლენით იყო გამოწვეული პროკულუსისა და საბინუსის მიმდევართა განსხვავებული მიდგომა სფეციფიკაციის პრობლემისადმი.

პროკულუსი და საბინუსი მაზურიუსი ახ. წ. პირველ საუკუნეში ცხოვრობდნენ და ამ დროს ბერძნული ფილოსოფიით გატაცება რომში ჩვეულებრივი მოვლენა იყო. პროკულუსის მიმდევრები განიცდიდნენ დიდი ბერძენი ფილოსოფოსის არისტოტელეს ზეგავლენას. არისტოტელე და პერიპატეტიკული სკოლა მიიჩნევდა, რომ მიუხედავად მატერიის (მასალის) დიდი მნიშვნელობისა, ახალი ნივთის „ნოვა სპეციეს“-ის შექმნაში მინც გადაწყვეტი იყო ახალი ფორმა, რომელიც მას ხელოვანმა მუშაკმა მისცა.

საბინუსი მაზურიუსი და მისი მიმდევრები, სტოიციზმის ზეგავლენით, გადამწყვეტ მნიშვნელობას აძლევდნენ მასალას, მატერიას. იმპერატორ იუსტინიანეს კანონმდებლობამ ეს საკითხი ასე გადაწყვიტა: თუ სპეციფიკატი არ იყო ბოროტგამზრახველი და თანაც შეუძლებელი იყო გადამუშავებული მასალის პირვანდელ მდგომარეობაში დაბრუნება, ყველაფერი თავდებოდა იმით, რომ ნივთი სპეციფიკანტის საკუთრებად ჩაითვლებოდა. რა თქმა უნდა, სპეციფიკანტს უნდა აენაზღაურებინა მასალის საფასური მესაკუთრისათვის.

### §3. კლასიკური ეპოქის იურისპრუდენცია

რესპუბლიკის ხანის ბოლო საუკუნე და იმპერიის პერიოდის პირველი ორი საუკუნე აღინიშნებოდა, როგორც რომის კლასიკური იურისპრუდენციის აყვავების ეპოქა. დავიწყებას ეძლევა იურიდიული ფორმალისში და მკვიდრდება პრინციპები „მხარეთა თანასწორობა“ „სამართლიანობა“, „კეთილი ნება.“

ამ პერიოდის სამართალმცოდნეებს უწოდებენ კლასიკური ხანის იურისტებს, ნობილების და ქვესტორების რიგებიდან გამოსულ ამ ადამიანებს შეეძლოთ ჩამოეყალიბებინათ სამართლებრივი პრინციპები, დასკვნები და იდეები, რომლებიც მთლიანობაში შეადგენენ რომაული ცივილიზაციის უმნიშვნელოვანეს მიღწევას. ცნობილი რომაელი იურისტი

1 З.Г. Черниловский, Всеобщая история государства и права М. 2002г. გვ/101

ულპიანე იურისპრუდენციას უწოდებდა „ჭეშმარიტ და აწა მოჩვენებით ფილოსოფიას.<sup>1</sup> ხოლო იურისტებს მოიხსენიებდა, როგორც „სამართლის ქურუმებს“. რომაელების მორალი არ ყოფიერებდა სამართლის გარეთ (მაშინ, როდესაც ქრისტიანული ეთიკა არ არის სამართლის იდენტური). სამართლიანობა რომაელებისათვის იყო იგივე სამართალი; ძველ რომში სამართლის კრიტიკა შეუძლებელი იყო სამართლიანობის თვალსაზრისით.<sup>2</sup>

სამართლიანობისა და სამართლის შესახებ მსჯელობისას იუსტინიანეს კონსტიტუციები ცალსახად აფიქსირებდა, რომ იურისპრუდენცია (სამართალცოდნობა) არის საღეთო და ადამიანური საქმეების შეცნობა, მეცნიერება სამართლიანისა და უსამართლოს შესახებ.<sup>3</sup> რომაული სამართლის მეცნიერებად შესწავლა ორი მიმართულებით უნდა წარმართულიყო, რადგანაც რომაელებისათვის სამართლის მეცნიერება ორ ნაწილად იყოფა: საჯარო და კერძო, საჯაროა (ის) სამართალი, რომელიც რომის სახელმწიფოს მდგომარეობას ეხება, კერძო სამართალი კი – კერძო პირების სარგებელს (ინტერესს). ამრიგად (ახლა), ჩვენ უნდა ვისაუბროთ კერძო სამართლის შესახებ, რომელიც სამნაწილიანია, ვინაიდან იგი შედგება ან ბუნებითი, ან ხალხთა და ან ცივილური დანაწესებისაგან.<sup>4</sup>

კლასიკური პერიოდის იურისტთა პლეადაში პირველმა ანთისტისუს ლაბეო; თეორიული აზროვნების მწვერვალი. მისი თანამედროვე და ფრიად ნაყოფიერი მწერალია ათეუს კაპიტო. იმ პერიოდის კლასიკურ იურისტთა შორის ცნობილია აგრეთვე საბინიუსი, შემდეგში საბინიანელთა სკოლის მეთაური. იგი გამოიკვეთა იურისტებს შორის თხზულების „Libri tres juris civilis“ წყალობით. მოგვიანებით ეს ნაშრომი გადამუშავდა მრავალი კლასიკური იურისტის მიერ, რომლებმაც დაწერეს კომენტარები ad sabinum-ის შესახებ. კასიუს ფილიუსი გამოირჩეოდა ნაშრომთა დიდი მოცულობით გონებამახვილური და სარკასტული სტილით.<sup>5</sup>

კლასიკური პერიოდის მეორე მწერალმა ოქტავიუს აემპლიუსმა შექმნა დიგესტების 90 წიგნი, მაგრამ უფრო ცნობილია მისი „კოდიფიკატორული შრომა, შექმნილი იმპერატორ ადრიანეს დროს – Ediktum perpetuum.

1 დიგესტები I.1.1

2 იხ. გ. ხუბუა, სამართლის თეორია, თბ. 2002წ. გვ. 67

3 იხ. რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს ინსტიტუციები, თბ. 2002წ. გვ. 12

4 იქვე გვ. 13

5 დიგესტები 28,1,27

ულპიანეს თანამედროვე იყო სექსტუს პომპონიუსი, რომელმაც მოკლედ გამოსცა რომაული სამართლის ისტორია, სადაც მოთხრობილია, თუ როგორ გაემგზავრა სწავლულ იურისტთა კომისია ათენში სოლონის კანონმდებლობის შესასწავლად.

კლასიკური პერიოდის იურისტთა შორის არის ორი მოღვაწე, რომელთა ცხოვრება და მოღვაწეობა ბუნდოვანებითაა მოცული. ესენია კაუკილიუს აფრიკანუსი და გაიუსი.)

კლასიკური ხანის იურისტთა პლეადაში შედიან ასევე ულპიუს მარცელიუსი და უპირველეს ყოვლისა – ემიდიუს პარენიანუსი. ამ უკანასკნელის შრომები წარმოადგენს კლასიკური სამართლებრივი აზრის უმაღლეს მიღწევას. ამ ნაყოფიერ მწერალს სამართლიანად უწოდეს „მიცვალებულთა სენატის მეფე“. კანონის ციტირებისთვის მან დაწერა *Questiones* -ი 37 წიგნად, *Responsa* 19 წიგნად, და *Definitiones*-ი 2 წიგნად.

პაპიანუსის მიმდევრები იყვნენ მისი მოწაფე იუდიუს პაულუსი, დომიტიუს ულპიანუსი და ულპიანეს მოწაფე მოდესტინიუსი, რომელმაც დაწერა მონოგრაფია „პრაქტიკიდან აღებული შემთხვევის შესახებ“.

## თავი მეხუთე

# კლასიკური პერიოდის სამართალგანვითარების ტენდენციები

### წ. კლასიკური პერიოდის სამართლის წყაროები

ჩვეულებითი სამართლის პირველ პერიოდში არსებული სამართლის წყაროების – Leges-ის, plebiscita-სა edicta -ს პარალელურად, რომის სახელმწიფოს მეორე პერიოდში სავალდებულო სამართლებრივი ნორმები იქმნებოდა სენატის გადაწყვეტილებების (senatus consulta), იურისტების მოლვაწეობის (responsa prudentum) და პრინციპის დადგენილებების (constitutiones principum) გზით. ამ პერიოდის, ისევე როგორც შემდგომისთვის, დამახასიათებელია, თითქმის ყველა ორგანოს მონაწილეობა როგორც სამართლებრივი ნორმების, ისე საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების განხორციელებაში.

ჩვეულებითი სამართალი ((mos, inveterata, consuetudo) განაგრძობდა არსებობას კანონმდებლობის მიღმა, მხოლოდ ხალხში განმეორებითი ხანგრძლივი გამოყენების გზით. მაგრამ სავალდებულო იყო მხოლოდ ის წესები, რომლებიც სახელმწიფო ორგანოებისათვის იყო მისაღები და აუცილებელი არსებული საკანონმდებლო სიცარიელის შესავსებად.

ადათის, როგორც სამართლის წყაროს, მნიშვნელობის შემცირება დომინატის პერიოდში გამოწვეული იყო იმით, რომ გაცხოველებული საკანონმდებლო მოლვაწეობის შედეგად დაგროვდა დიდძალი საკანონმდებლო მასალა. იმპერიის პერიოდში კანონი უკვე რომის სამართლის მთავარ წყაროს წარმოადგენს. ამასთან, ადათების გარკვეული ნაწილი შეტანილი იქნა ამ პერიოდის საკანონმდებლო აქტებში.<sup>1</sup>

ძვ. წ. პირველი საუკუნის ბოლოდან სახალხო კრებებს საკუთარი საკანონმდებლო უფლებამოსილების ჩარჩოებში შეეძლოთ მიეღოთ კანონები და პლებისციტები. საბოლოოდ, ისინი იღებდნენ საერთო სახელწო-

დებას Leges და ხდებოდნენ სავალდებულონი რომაელი ხალხისათვის.

კრებების მიერ მიღებული ყოველი კანონი სამი ნაწილისაგან შედგებოდა. რეკრიპცია იყო კანონის შესავალი ნაწილი, როგაცია გულისხმობდა მაგისტრატის მიერ პირველად შემოტანილ წინადადებას, რადგანაც, კანონის თანახმად, წინადადება არ ექვემდებარებოდა დისკუსიას, არამედ მას მხოლოდ კენჭი ეყრებოდა. ძმები გრაკხების დროიდან იკრძალვებოდა პეტროგენული შინაარსის მქონე კანონების მიღების შეთავაზება. სანქცია იყო კანონის საბოლოო ნაწილი. ის შეიცავდა ზომებს, რომლებიც უნდა მიღებულიყო კანონის დამრღვევ პირთა მიმართ.

სახალხო კრების მიერ მიღებული კანონები სავალდებულო ხდებოდა რომაელი ხალხისთვის კენჭისყრის შედეგების გამოცხადების მომენტიდან, რადგანაც გაუქმებული იყო სენატის უფლება კანონის ტექსტის რატიფიცირებასთან დაკავშირებით. არსებობდა კანონის ფორუმზე გამოტანისა და სახელმწიფო ხაზინაში შენახვის ტრადიცია. კანონის გაუქმება მხოლოდ ფორმალური, როგაციის გზით იყო შესაძლებელი. ტექსტის ნაწილობრივი გაუქმების შემთხვევაში კანონი იყო დეროგირებული; ხოლო როდესაც ადროგირებული კანონის საკითხები სხვა გზით რეგულირდებოდა, ეს კანონი უკვე ითვლებოდა სუბროგირებულად, რამდენადაც მისი ძირითადი დებულებები შეესებოდა იყო.

სახალხო კრების მიერ მაგისტრატების შეთავაზებით მიღებული კანონები რომის მოქალაქეთათვის იყო განკუთვნილი. ზოგჯერ იღებდნენ აგრეთვე კანონებს, რომლებიც აწესრიგებდნენ ურთიერთობებს ცალკეულ ჯგუფებს ან პირთა შორის იმ დროს, როდესაც პრივილეგირებულ პირთა მიმართ სპეციალური კანონები მიღებული იყო გაუმართლებელი მიზეზებით, რომლებითაც უმჯობესდებოდა მრავალთა შორის მცირეთა მდგომარეობა, ან ხდებოდა ცალკეულ პირთა დისკრიმინაცია სხვა მრავალთა მიმართ.

## §2. მაგისტრატების ელიქტები

რომის სამართლის წყაროების მიხედვით, კლასიკურ ხანაში ელიქტებს—გამოცემის უფლებით, რომლებსაც კანონის ძალა გააჩნდათ, ყველაზე მეტად სარგებლობდნენ პრეტორები, ცენზორები, კონსულები,

1 Ульпиан „Regulae“ 1.3

პლებსის ტრიბუნები და ედილები, აგრეთვე პროვინციების მმართველები და კვესტორები.<sup>1</sup>

სამართლებრივი ნორმები, რომლებსაც შეიცავდნენ რომაელ მაგისტრატთა ედიქტები, შეადგენდნენ *jus honorarium* -ს. ამ სამართალმა, რომელიც გამომდინარეობდა რომაელ მაგისტრატთა ედიქტებიდან, შეავსო ძველრომაული სამართალი *jus civile*, რომელიც ვერ პასუხობდა სამართლის სულ უფრო მზარდ მისწრაფებას, ყოფილიყო შესაბამისობაში რომაული სახელმწიფოს კონკრეტულ პირობებთან და მოთხოვნილებებთან.

ითვალისწინებდა რა კონკრეტულ გარემოებებს, ხელმძღვანელობდა რა სიკეთისა და სამართლიანობის იდეებით მონათმფლობელურ სამყაროში, მაგისტრატული სამართალი უპირისპირდებოდა *jus civile*-ს ფორმალისმს, სიხისტესა და სისასტიკეს, და თავისი არსით იყო ხალხის სამართალი – *jus honorarium*, რომელიც არსებითად განსხვავდებოდა *jus civile strictum* -ისაგან. რამდენადაც ერთი და იგივე ურთიერთობები შეიძლება სულ სხვადასხვაგვარად ყოფილიყო მოწესრიგებული, რომის მოქალაქეებს შესაძლებლობა ჰქონდათ გაეკეთებინათ არჩევანი, თუ რომელ სამართლებრივი ნორმების მიხედვით მოეგვარებინათ პრობლემები.

რომაელი მაგისტრატების, პრეტორების აქტიური მოღვაწეობით ახალი წესების შექმნა გრძელდებოდა ჩვ. წ. 130 წლამდე, როდესაც კვესტორმა იურისტმა იულიანუსმა იმპერატორ ადრიანეს მმართველობის დროს მოახდინა იმ სამართლებრივი ნორმების აღწერა, რომლებსაც მაგისტრატების ედიქტები შეიცავდა. ასე შეიქმნა *edictum perpetuum* – „მუდმივი ედიქტი“, რომელიც არსებითად იყო მაგისტრატული სამართლის კოდიფიკაცია.<sup>2</sup>

პრინციპატის პერიოდში სენატის გადაწყვეტილებები იქცა სამართლის წყაროდ, რამდენადაც მათ მიენიჭა ყველასათვის სავალდებულო ხასიათი, ჩამოყალიბდა გაიუსის აზრი – „სენატმა რაც უნდა გადაწყვიტოს და დაადგინოს, მას აქვს კანონის ძალა და არ შეიძლება ისინი იყოს დავის საგანი“<sup>3</sup>

სენატის სხდომებზე ხდებოდა პრინციპსის ან სხვა მაგისტრატების გადაწყვეტილებების განხილვა, იმართებოდა კამათი და კენჭისყრა. (*Senatus consulta*) სენატის გადაწყვეტილება ხდებოდა სავალდებულო მთელი რომაელი ხალხისათვის მისი გამოცხადებისა და დადგენილების სახელმწიფო ხაზინაში გადაცემის შემდეგ.)

<sup>1</sup> გაიუსი, 1.6

<sup>2</sup> იხ. О.А. Кудряшов, Римское право, М. 2008г. гл/ 18-25

<sup>3</sup> გაიუსი, 1.6.7

სენატის პოზიციების შესუსტებისა და პრინცეპსის მდგომარეობის გაძლიერების კვალდაკვალ სენატის გადაწყვეტილება უკვე აღარ გველი-ნება როგორც სამართლის წყარო, არამედ როგორც მხოლოდ მიმართვა, რომლებითაც პრინცეპსი გამოდიოდა სენატის წინაშე საზეიმო სხდო-მებზე და რომლებსაც იღებდნენ ყოველგვარი დისკუსიის გარეშე.)

მას შემდეგ, რაც ავგუსტუსმა სწავლულებს დართო ნება ღიად გამო-ეთქვათ პროფესიული აზრი, მათმა ვარაუდებმა შეიძინეს სავალდებულო ხასიათი. ეს უფლება მოიპოვეს ყველაზე ცნობილმა იურისტებმა სენა-ტორებისა და კვესორების რიგებიდან, რომლებიც მხარეების თხოვნით. იძლეოდნენ განმარტებებს ნორმების გამოყენების შესახებ ამა თუ იმ სადავო საკითხთან დაკავშირებით, მათი წინადადება სავალდებულო იყო მოსამართლისათვის.<sup>1</sup> როდესაც იურისტებს არ გააჩნდათ ერთიანი აზრი, რომელიმე საკითხთან დაკავშირებით, მაშინ მოსამართლეს ჰქონდა უფლება მიეღო ერთპიროვნული გადაწყვეტილება.

(მთელი პირველი საუკუნის მანძილზე პრინცეპსები აქტიურად მონაწი-ლეობდნენ ქცევის სავალდებულო წესების შექმნაში. გაჩნდა პრინცეპსის გადაწყვეტილებებიც, რომლებსაც ეწოდებოდა კონსტიტუციები.)

(იმპერატორის ზოგადი ხასიათის კონსტიტუციები იყო *edicta* „ედიქ-ტა“ და *mandata* „მანდატა“.)

ედიქტა იყო სახელმწიფოს მცხოვრებლებისადმი მიმართული ზო-გადი განკარგულებები, რომლებითაც იმპერატორი ქმნიდა იურიდიულ ნორმებს ზოგად და კერძო სამართლის სფეროში.

მანდატა მიმართული იყო პროვინციების მმართველებისა და სხვა ჩი-ნოვნეიკებისადმი დაკისრებული ფუნქციების შესასრულებლად.)

იმპერატორის კონსტიტუციები, რომლებითაც ის წყვეტდა ცალკეულ შემთხვევებს, იყო *decreta* – დეკრეტა და *rescripta* – რესკრიპტა.

*Decreta* – დეკრეტა იყო პრინცეპსის გადაწყვეტილება ცალკეულ შემთხვე-ვაზე – სასამართლოში განხილულ ადმინისტრაციულ ან სხვა საქმეებზე, რომლებსაც ჰქონდათ პრეცედენტული სამართლის ხასიათი.

*Rescripta* – რესკრიპტა იყო პრინცეპსის წერილობითი პასუხები ცალკე-ულ მოქალაქეთა მიმართ სახელმწიფო ორგანოების წინაშე დაყენებულ საკითხებზე. რესკრიპტებს ჰქონდა პრეცედენტის ძალა.<sup>2</sup> ასეთი იყო კლა-სიკური პერიოდის სამართლის წყაროთა სახეები, რომლებმაც შემდგომ პერიოდში სერიოზული ცვლილებები განიცადეს.

1 იხ. О.А. Кудинов, Римское право, М. 2008г. გვ. 27  
2 იხ. О.А. Кудинов, Римское право, М. 2008г. გვ. 16



### §3. კლასიკური ხანის რომაული სამართლის ზოგადი ნიშნები

კლასიკური ხანის პირველი, მეორე და მესამე საუკუნეები, ასევე, ბოლო პერიოდი, იყო რომის სამართლის კლასიკური იურისპრუდენციის აყვავების ხანა. უკანა პლანზე გადაიწია ძველმა იურიდიულმა ფორმალიზმმა, მკვიდრდება „სამართლიანობის“, „კეთილი რჩევების“ პრინციპები. XII ტაბულის კანონების ავტორიტეტს უპირისპირდება „საერთო სახალხო სამართალი“<sup>1</sup>, რომლის სახითაც მოიაზრებოდა სხვა ხალხების მიერ მოპოვებული უფლებები. ასევე, იგულისხმებოდა პერეგრინების პრეტორის თანამდებობის დაწესება.<sup>2</sup> აქედან გამომდინარე, კლასიკური ხანის რომაული სამართალი არსებითად განსხვავდება წინა პერიოდის სამართლისაგან, იგი ეფუძნებოდა კლასიკურ მონათმფლობელურ მეურნეობას, ლატფუნდიების, ხელოსნობისა და ვაჭრობის განვითარებას.

კლასიკური ხანის რომაული სამართალი თანდათანობით ვითარდებოდა მაგისტრატების და სამართალმცოდნე-იურისტების მოღვაწეობების წყალობით, რომლებიც ახდენდნენ ძველი რომაული სამართლის ადაპტირებას ახალ ზოგადეკონომიკურ ურთიერთობებთან.

არსებითად, რომის სახელმწიფოში შემოღებული იყო სამმაგი სამართლებრივი წესრიგი: რომის მოქალაქეთა შორის ურთიერთობების რეგულირების წესების ორი ვარიანტი – ძველი და ახალი, რომელიც ეფუძნებოდა სამართლიანობის, კეთილი ნების და პატიოსნების პრინციპს. სამართლებრივი ნორმები აწესრიგებდნენ ურთიერთობებს რომის მოქალაქეებსა და სხვადასხვა ეროვნების პერეგრინებს შორის, რაც სამართლებრივი ურთიერთობების რეგულირებისათვის იყო დაწესებული.

ახალი, პონორარული სამართლის არსებითი მახასიათებელი იყო სისასტიკისა და ფორმალიზმისაგან უკან დახევა, რაც წინა პერიოდის სამართალს ახასიათებდა. ახალ სამართლებრივ წესრიგში კონსესუსის გზით ხდებოდა მხარეთა ნების გამოხატვა. ამგვარად, აბსტრაქტული შეთანხმებები იცვლებოდა კაუზალურით.

ამოდიოდა რა *aequitas* –ის პრინციპიდან, კლასიკურ რომაულ სამართალში სასამართლო ორგანოები ახორციელებდნენ ნებისმიერ ურთიერთობის დასარეგულირებლად სამართლებრივ მოწესრიგებას, რომლებიც

<sup>1</sup> ფაქტობრივად, ეს იყო საერთაშორისო სამართლის საწყისი

<sup>2</sup> იხ. З.М. Черниловский, Всесообщая история Государства и права М. 2008г. გვ 101

ეხებოდა პირად და ქონებრივ უფლებებს, მიუხედავად იმისა, იყო თუ არა გათვალისწინებული სპეციალური სარჩელი ასეთი ურთიერთობების მოწესრიგებისათვის. მოქალაქეთა უფლებების ყოველმხრივი დაცვისათვის შემოღებული იყო *actiones in factum*.

მაშინ, როდესაც განვლილი პერიოდის იურისტები დაკავებულნი იყვნენ პრაქტიკული საქმიანობით და კაუზალური იურისპრუდენციით, კლასიკური პერიოდის იურისტები მისდევდნენ იურისპუდენციის მეცნიერულ დამუშავებას. მათი მოღვაწეობის შედეგი იყო ცალკეული იურიდიული ცნებების, ცალკეული იურიდიული დარგებისა და სამართლის სფეროების გამიჯვნა.

კლასიკური პერიოდის იურისტები ასევე ამუშავებდნენ სამართლის ფილოსოფიის საკითხებს, რადგანაც მათ ნაწილს გაცნობიერებული ჰქონდა საზოგადოებრივი ურთიერთობების და სამართლის კლასობრივი და ისტორიული განპირობებულობა,<sup>1</sup> მეორენი, სამართლის ფილოსოფიის გავლენით ქმნიდნენ სამართლის დეფინიციებს, ისინი ითვლებოდნენ იდეალისტური თეორიების გამავერცელებლად.<sup>2</sup>

მოკლედ, ასეთი იყო კლასიკური ხანის რომაული სამართლის ზოგადი ნიშნები, რაც მათ განასხვავებდა წინა პერიოდის სამართლისაგან.

---

1 იხ. Лукреций „De rerum natura“

2 დიკესტები I, I, I, 1

თავი მათე

## ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობები

### §1. კოლონატი ✓

სოციალურმა მღელვარებამ უკვე პრინციპატის მეორე ასწლეულში განაპირობა რომის სახელმწიფოს დასუსტება და სხვისი ტერიტორიების დაპყრობისაკენ მიმართული პოლიტიკის შეზღუდვა. სიტუაციას ართულებდა ბარბაროსების თავდასხმები და სახელმწიფოს თავდაცვითი მზადყოფნის აუცილებლობა, აგრეთვე, ბიუროკრატიული აპარატის შესანახი ფინანსების ნაკლებობა. სახელმწიფო სახსრების ხარჯვის ასანაზღაურებლად იზრდებოდა გადასახადები, რაც მძიმე ტვირთად აწევებოდა მთელ მოსახლეობას.

კლასიკური მონათმფლობელური მეურნეობის დაქვეითება მძიმე ეკონომიკური კრიზისის მიზეზი გახდა, რომელმაც მეურნეობის უმეტეს დარგში იჩინა თავი, რამაც გამოიწვია მიწათსარგებლობის დანიშნულების შეცვლა, რაც გამოიხატა ინტენსიური კულტურებიდან ექსპანსიურ მიწათმოქმედებაზე გადასვლაში. მსხვილი ლატიფუნდიები და პლანტაციები საძოვრებად გადააქციეს, შეიქმნა სამუშაო ძალის უკმარისობა და მასზე მაღალი ფასი, რასაც შედეგად მოჰყვა მონათა მასიური დაუმორჩილებლობა, ის იქცა ერთ-ერთ ძირითად მიზეზად მიწის დამუშავების ახალ მეთოდზე გადასასვლელად, რასაც მოჰყვა მცირე მიწის ნაკვეთების ცალკეული პირების პეკულიუმში გადაცემა და სასოფლო სამეურნეო ნაკვეთების საძოვრებად გამოყენება.

მონებისათვის დასამუშავებლად გადაცემულ ლატიფუნდიების ცალკეულ ნაკვეთებს პეკულიუმს უწოდებდნენ.<sup>1</sup> ამ ნაკვეთებზე მოჰყავდათ მონათმფლობელთა ოჯახების ან ქალაქის მომარაგებისათვის აუცილებელი ინტენსიური კულტურები.

<sup>1</sup> დიგესტები 1,5,3

მონები დანტერესებულნი იყვნენ მიწის დამუშავებით, რადგანაც მონაწილეობდნენ მოსავლის განაწილებაში და გამომუშავებული სახსრების წყალობით მონობას თავს აღწევდნენ<sup>1</sup>

სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებას მისდევდა აგრეთვე, მოსახლეობის თავისუფალი, ღარიბი ნაწილი, რომლებიც პროვინციაში ცხოვრობდნენ, როგორც ლატიფუნდიების ან ნაკვეთების არენდატორები. ნაკვეთების იჯარაზე ხელშეკრულებები იდებოდა ხანმოკლე ვადით, ხოლო შემდეგ აგრძელებდნენ მანამ, სანამ არ გადაიზრდებოდა ხანგრძლივ შეთანხმებებში, მიწის დამუშავებელსა და მესაკუთრე-ლატიფუნდიტს შორის. იმპერატორ კონსტანტინეს კონსტიტუციების მიხედვით, ისინი იქცნენ იურიდიული ძალის მქონედ, რომელიც გულისხმობდა, რომ არც ერთ მიწათმფლობელს servi casati-ს ან coloni-ს არ ჰქონდა უფლება, დაეტოვებინა ნაკვეთი, რომელსაც ის ამუშავებდა. ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით, მიწაზე დამაგრება მოხდა იმ პირთა ხარჯზე, რომლებიც ამუშავებდნენ მიწის ცალკეულ ნაკვეთებს, იმ არგუმენტებით, რომ საუკუნეების მანძილზე დამუშავებული მიწის დატოვება და სხვა ადგილებში გადასახლება გამორიცხული იქნებოდა. აქედან მოყოლებული, ის პირნი, რომლებიც ამუშავებდნენ მიწას, იყვნენ glebae adscripti – ითვლებოდნენ მიწაზე მიწერილად და წარმოადგენდნენ იმ ნაწილს, რომლებსაც არ შეეძლოთ მისი დატოვება.<sup>2</sup> მიწის იჯარით ამღებს, არენდატორს, ანუ წვრილ ფერმერს კოლონატი ეწოდებოდა: კოლონატი ანუ შიიჯარე დამოკიდებული იყო მიწის მესაკუთრეზე, რომელიც მკაცრად ადევნებდა თვალყურს მის საქმიანობას, გადასახადების გადახდას, მიწის დამუშავების პროცედურას და მის განწყობას, ხომ არ აპირებდა მიწის მიტოვებას, რაც კანონით აკრძალული ჰქონდა.<sup>3</sup>

იურიდიული თვალსაზრისით, servi casati კოლონები თანასწორი იყვნენ, მაგრამ მათ შორის რჩებოდა ეკონომიკური განსხვავება, თუმცა იმპერატორი იუსტინიანე სვამდა კითხვას: „რა განსხვავებაა მონებსა და კოლონებს შორის, თუ ერთიც და მეორეც პატრონის ძალაუფლების ქვეშ იმყოფება?“<sup>4</sup>

მონებს ჰქონდათ მოუწესრიგებელი და ბატონის ნებისაგან დამოკიდებული მოვალეობები, იმ დროს, როდესაც კოლონები იხდიდნენ წინას-

1 კონსტიტუციები II,50,2

2 იხ. ეპეტრეელი, რომის სამართალი (საფუძვლები) თბ. 2005წ.გვ.57

3 კონსტიტუციები II,48,21,1

წარ განსაზღვრულ რენტას ფულით ან ნატურით, ხორბლის, ქერის, ღვინისა და ა.შ მოსავლიდან 1/3 ასევე მებატონის სასარგებლოდ წელიწადში უნდა ემუშავათ ხვნაში 2 დღე, მკაში 2 დღე და თოხნაში 2 დღე-სულ ექვსი დღე.<sup>1</sup>

მონები არ იყვნენ პირადად თავისუფალნი, მათ განიხილავდნენ, როგორც ბატონის ნიეთს, ხოლო კოლონები იყვნენ პირადად თავისუფალნი, თუმც მიაჯავრებულნი მიწაზე, რომელსაც ამუშავებდნენ. კოლონები წარმოადგენდნენ დამაკავშირებელ რგოლს სოფლის თემთან, მომავალში ფეოდალური საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის ძირითად ინსტიტუტთან.

კოლონატის შექმნის პარალელურად, მსხვილი ლატიფუნდიები კიდევ უფრო ფართოვდებოდნენ. იმპერატორები სარგებლობდნენ რა განუსაზღვრელი ძალაუფლებით, ეპატრონებოდნენ მიწის ნაკვეთების უმეტესობას. იმპერატორთა უზარმაზარი მამულები – სალტუსები – იმყოფებოდნენ სპეციალური პროკურატორის მმართველობის ქვეშ. სალტუსების უმეტესობა ერთიანდებოდა ე.წ ტრაქტუსებში. იმპერატორის სალტუსების ნაწილი გადაეცემოდა იჯარით მდიდარ conductores –ს, რომლებიც ანაწევრებდნენ მას და სუბიჯარით sublocatio აძლევდნენ წერილ კოლონებს.

კოლონები ვალდებულები იყვნენ გადაეხადათ ფულადი, ნატურალური და შრომითი რენტა. შემდგომში ამას დაემატა დიდი გადასახადები, სახელმწიფო ორგანოების მხრივ უხეში ძალადობა, მდიდრების ტერორი მათ მიმართ, რომლებიც აიძულებდნენ წერილ მესაკუთრებს, დაედოთ ხელშეკრულებები, და ამ გზით ისინი გადადიოდნენ მიწის მესაკუთრეთა მფლობელობაში და ამავედროულად, გადასცემდნენ მათ საკუთარ ქონებას.<sup>2</sup> ეს ხელშეკრულება – patrocinium აფერხებდა უშუალო ურთიერთობებზე გადასვლას მიწის წერილ მესაკუთრებსა და სახელმწიფო ორგანოებს შორის, შესაბამისად, ბრკოლდებოდა გადასახადების გადახდის ვალდებულებათა შესრულება, ამიტომ „პატროსინიუმი“ აიკრძალა, მაგრამ იმპერატორის ეს აკრძალვა არ შესრულდა, მოხდა პირიქით: პატროსინიუმის შესახებ ხელშეკრულების დადებისას წერილი მიწათმფლობელები საკუთარ მამულებს გადასცემდნენ საკუთრებაში მსხვილ მიწათმფლობელებს, რომლებიც შემდეგ ამავე ნაკვეთებს მათვე უბრუნებდნენ precarium –ში, იღებდნენ რა ამისთვის ზომიერ რენტას.<sup>3</sup>

1 იხ. Е.М. Штагрман, Избранные латинские надписи ВЛМ, 1955 №3 გვ. 224-225

2 იხ. Р.А. Сафаров, римское право Р. Д. 2008г. გვ 47-48

3 იხ. Н.Л. Бондаренко Римское частное право. М. 2008г гვ 27

ხელოსნობის დაქვეითება; ხელოსნობის დაქვეითება განპირობებულია იყო კლასიკური პერიოდის მონათმფლობელური მეურნეობის რღვევით, სამხედრო ტყვეებისა და კონტრიბუციების სიმძირით, აგრეთვე, რომის სახელმწიფოს საერთო დასუსტებით. უზომო გადასახადებითა და სახელმწიფო ორგანოების თვითნებობით შეწუხებული ხელოსნები, რომლებიც მუშაობდნენ საჭირო დანადგარებით აღჭურვილ სახელოსნოში, სადაც შრომა იყო მეტად ძნელი, აუტანელი და ყველა ოპერაცია ხელით შრომაზე იყო დამყარებული, გარბოდნენ პროვინციებში, შემდეგ ბარბაროსებთანაც კი.<sup>1</sup> ამ მოძრაობას ქალაქიდან სოფლისაკენ, შედეგად მოჰყვა ქალაქის მოსახლეობის მკვეთრი შემცირება და საქალაქო მეურნეობის დაქვეითება. ამ პროცესებისათვის წინააღმდეგობის გაწევის მიზნით, იმპერატორები ატარებდნენ ღონისძიებებს, რომლებსაც შედეგად მოჰყვა ხელოსნების დამაგრება მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე. ამავე დროს, იქმნებოდა იმულებითი გაერთიანებები, რომელთა წევრებიც ხდებოდნენ წვრილი ხელოსნები და, უპირველეს ყოვლისა, ისინი, ვინც ქალაქის მომარაგებაზე ან სახელმწიფო საწარმოებში მუშაობდნენ. ხელოსნები და მათი შთამომავლები ვალდებულნი იყვნენ ემუშავათ თავიანთი ხელობის მიხედვით. გაჩნდა ხელოსანთა სავალდებულო გაერთიანებები ანუ კოლევები, ფეოდალური მეურნეობის საამქროების წინარე სახე. მისი წევრობა შუბლზე ან ხელზე აღინიშნებოდა სპეციალური დამლებით.

## §2. საზოგადოებრივი წყობა რომში

რომის იმპერია იყო ცენტრალიზებული სამხედრო ბიუროკრატიული მონარქია, რომელიც ითავსებდა ადგილობრივ ტრადიციებსა და აღმოსავლური მმართველობის ელემენტებს.

რომი თავისი სოციალური არსით, იყო იმპერატორთან ერთად მსხვილ მიწათმფლობელ და მდიდარ ვაჭარ-მეევახშეთა დიქტატურა. მთელი თავისუფალი მოსახლეობა მკაცრად იყო გამოიჯნული მონებისაგან და იყოფოდა წოდებებად (ordines), რომლებსაც გააჩნდათ მკაცრად განსაზღვრული უფლებები და მოვალეობები.

ანტონიანეს (212წ.ჩვ.წ.აღ) კონსტიტუციის თანახმად, რომის სახელ-

<sup>1</sup> იხ. მ. ალექსიშვილი, მონობა ანტიკურ ქვეყნებში, თბ. 1971წ. გვ. 277

მწიფოს ყველა თავისუფალი მცხოვრები, პენდერინების გარდა, ფისკალური საჭიროებებიდან გამომდინარე, იღებდა მოქალაქის სტატუსს ყველა მათგანს უნდა ეხადა გადასახადი, პერეგრინები ვერ იღებდა წინანდელი მოქალაქეების სტატუსს და გათანაბრებულნი იყვნენ ყოფილ უცხოელებთან. ღიდმა ნაწილმა იმათგან, ვისაც status civitatis გააჩნდა, დაკარგა მოქალაქის სტატუსი და გადაიქცა მოსახლეობის გაბატონებული ფენების ქვეშევრდომად.)

პოსტკლასიკურ პერიოდში მოსახლეობა იყოფოდა ადამიანთა ჯგუფებად, რომლებსაც ერთმანეთთან გათანაბრებული მდგომარეობა ეკავათ. ეს საზოგადოებრივი ფენა შედგებოდა მაღალი რანგის მოხელეების, სენატორების, მიწათმოქმედი არისტოკრატების უმაღლესი წარმომადგენლების და ადამიანთა ჯგუფებისაგან, როგორებიც იყვნენ წვრილი სახელმწიფო მოხელეები, ასევე რომის სახელმწიფოს სხვა თავისუფალი და არათავისუფალი მცხოვრებლები.

ამის გარდა, უმაღლეს ფენას შეადგენდნენ საიმპერატორო ბიუროკრატია, იმპერატორისა და მისი ოჯახის მეთაურობით. ბიუროკრატიას ჰქონდა მკაცრად ტიტულირებული განსაზღვრული იერარქიული სისტემა!

უმაღლესი ბიუროკრატია-ეს იყო ჩაკეტილი საზოგადოებრივი ფენა, რომელშიც მხოლოდ იმპერატორის ნება-სურვილით შეიძლებოდა ყოფილიყვნენ ჩართულნი მდიდარი სენატორებისა და პატრიციული არისტოკრატის წარმომადგენლები honestiores-ში შედიოდნენ აგრეთვე სენატორები, ან განსაკუთრებით მდიდარი მიწათმფლობელები, რომლებსაც ჰქონდათ მემკვიდრეობით არისტოკრატული წარმომავლობა. ბრძოლა მდიდარ ფენასა და ბიუროკრატიას შორის ატარებდა სასტიკ ხასიათს, გამარჯვებულები უფრო ხშირად გამოდიოდნენ სენატორები, რომლებიც იბრძოდნენ საკუთარი მამულების ავტონომიისათვის.

რომში ჩამოყალიბდა humiliores – ანუ შერეული საზოგადოებრივი ფენა. მასში შედიოდნენ მოხელეები, რომელთაც სახელმწიფო ბიუროკრატულ აპარატში უფრო დაბალი ადგილები ეკავათ. ასევე იყო Officiales, დაბალი სათემო არისტოკრატის წარმომადგენლები, რომლებიც ითვლებოდნენ სათემო სენატის წევრებად და საკუთარი შემოსავლებით ახერხებდნენ გადასახადების გადახდას. ესენი იყვნენ: კოლონები, წვრილი თავისუფა-

ლი გლეხები, ხელოსნები, ვაჭრები და გააზატებული მონები. კოლონებს განიხილავდნენ როგორც მიწის მონებს, თავისუფალ მიწაზე მიჯაჭვულ მოქალაქეებს, რომლებიც მწარმოებელთა უდიდეს მასას შეადგენდნენ. მონათა შრომის გამოყენება იმ პერიოდში აღარ იყო საკმარისი, რამდენადაც ისინი შეადგენდნენ მწარმოებელთა უმნიშვნელოვანეს ნაწილს.

( მონათა და ღარიბთა მდგომარეობა კიდევ უფრო დაძვირდა და მათი წინააღმდეგობა გამოიხატებოდა არაორგანიზებული ფორმით, ცალკეული საბოტაჟით, მკვლევობებით და იმ ბარბაროსების მხარდაჭერით, რომლებიც პერიოდულად თავს ესხმოდნენ რომის სახელმწიფოს ტერიტორიას.<sup>1</sup>

წერილი მიწათმფლობელები, რომლებიც არ იყვნენ დარწმუნებულნი საკუთარი მდგომარეობის სიმყარეში, ცდილობდნენ კოლონებთან დაედოთ ხელშეკრულებები. რის საფუძველზეც ნაწილობრივ მაინც ყოფილიყვნენ დაცულნი სახელმწიფო ორგანოების თვითნებობისაგან, იმიტომ, რომ მსხვილ მიწათმფლობელებსა და მიწის წვრილ მფლობელებს შორის ამ ხელშეკრულების ძალით იქმნებოდა პირადი და ქონებრივი დაცვის შესაძლებლობა, რომელიც ემსგავსებოდა ფეოდალიზმის დროის ვასალურ დამოკიდებულებას.

ხელოსნები, ვაჭრები, სახელმწიფო საბადოების და სახელოსნოების ბუშები მიჯაჭვულნი იყვნენ იმ პროფესიაზე, რომელსაც მისდევდნენ, რაც ზღუდავდა მათ პირად და ქონებრივ ინტეგრაციას. განიცდიდნენ სახელმწიფო ორგანოებისა და მიწათმფლობელთა მხრიდან ორმხრივ შევიწროვებას, ეს კი საფუძველი ხდებოდა, გამოეხატათ თავიანთი უკმაყოფილება სახელმწიფო ხელისუფლების მიმართ. კოლონების შესახებ უფრო დაწვრილებით ქვემოთ გვექნება მსჯელობა.

<sup>1</sup> იხ. მ. ალექსიშვილი, მონობა ანტიკურ ქვეყნებში, თბ. 1971წ. გვ. 376



## თავი მეთერთმეტე

# შიდა ბრძოლა და საბარეო პოლიტიკა კოსტკლასიკურ რომში

### § 1. შიდაპოლიტიკური ვითარება კოსტკლასიკურ რომში

III საუკუნიდან (ჩე.წ.ალ-მდე) რომში იწყება დემოკრატიული დაწესებულებების თანდათან შეზღუდვა და მათ ნაცვლად ცენტრალიზებული სტრუქტურების შექმნა. ეს გამოწვეული იყო შიდაპოლიტიკური და საგარეო ურთიერთობათა გამწვავებით. ხელისუფლება ამ გზით ცდილობდა შიდა დაპირისპირების აღკვეთას და თვალუწვდენელი იმპერიის მართვის მექანიზმის გაუმჯობესებას.

ღიარების შემდეგ რომის ისტორიაში იწყება მონარქიის პერიოდი. პრინცეპსი, როგორც დიქტატორი, მონათმფლობელთა გაერთიანებას ცდილობდა, მაგრამ ეს არც თუ ისე იოლად მიიღწეოდა. ბევრს ნიშნავდა ის, თუ ვინ ავიდოდა ტახტზე და ამიტომ, ბრძოლა სენატორებსა და ჯარების მეთაურებს შორის ტახტის დაკავებისათვის, გახდა კონფლიქტის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი. ჯარების გავლენა ტახტის დაკავების პროცესში იმის შემდეგ გაიზარდა, რაც სენატის დახმარებით პრეტედენტები ველარ მოდიოდნენ ხელისუფლებაში. მეომრები იმპერატორობის იმ კანდიდატებს უჭერდნენ მხარს, რომლებიც მათ მაღალ ხელფასებს ჰპირდებოდნენ, ან გულუხვად აჯილდოვებდნენ. ისინი მანამდე იყვნენ ქვეყნის სათავეში, სანამ მიცემულ დაპირებებს ასრულებდნენ.

იმპერატორის არჩევისას ჯარებისათვის გადამწყვეტი როლის წართმევას დიოკლეტიანე შეეცადა, მან საფუძველი ჩაუყარა ტახტის მემკვიდრეობითობას, მაგრამ მისმა ნაბიჯმა შედეგი არ მოიტანა და ჯარებს კვლავ გადამწყვეტი როლი ეკისრებოდათ მომავალში ტახტის მემკვიდრის არჩევის საქმეში.<sup>1</sup>

<sup>1</sup> ს.ხ. История Византии Т. I. М. 1967г. გვ 137

ამ პერიოდში დაპირისპირება იყო ცენტრალურ სახელმწიფო ორგანოებსა და მსხვილ მიწათმფლობელებს შორის.

მიწათმფლობელები თავიანთ მამულებში ქმნიდნენ დამოუკიდებელ ტერიტორიულ ერთეულებს, სადაც გაურბოდნენ სახელმწიფო ორგანოების გადასახადების ამკრეფების თვითნებობას და შველას ითხოვდნენ უფრო მსხვილ მიწათმფლობელთაგან. ეს ხალხი თანდათან იქცეოდა უფრო მსხვილ მიწათმფლობელთა ქვეშევრდომად. ამ პროცესებს მოჰყვა ბრძოლა, რომელმაც სოციალური ჯანყის ხასიათი მიიღო, ეს ბრძოლა გაჩაღდა ერთის მხრივ კოლონებს, ხელოსნებსა და მონებს შორის, და მეორეს მხრივ, სახელმწიფო ორგანოებსა და მსხვილ მიწის მესაკუთრეებს შორის. მესამე საუკუნეში ერთ-ერთი სერიოზული იყო ბაგუდების აჯანყება, რომელიც გალებში დაიწყო და იმპერიის სხვა ნაწილებიც მოიცვა. იგი დაიწყო მოსახლეობის თავისუფალი ნაწილის წარმომადგენლებმა მსხვილი მიწათმფლობელების, გადასახადების ამკრეფების და მეომრების წინააღმდეგ. აჯანყების ჩახშობა შეძლო იმპერატორმა მაქსიმილიანემ, რომელიც დიოკლეტიანესთან ერთად იყოფდა ტახტს.

მძაფრი იდეოლოგიური ბრძოლა ჯერ ქრისტიანებსა და წარმართებს შორის დაიწყო, ხოლო მოგვიანებით უფრო გაძლიერდა, როდესაც ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა.

მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიანობის გავრცელების პრობლემას ცალკე პარაგრაფი ეძღვნება, მის ძირითად არსს აქაც შევეხებით. თავიდან, ქრისტიანობა გაჩნდა, როგორც ჩაგრულთა რელიგია, რომელიც წინ აღუდგა რომის გაბატონებულ საზოგადოებრივ ფენას, იმ სახელმწიფოს, რომელშიც ფართოვდებოდა იმპერატორის ძალაუფლება. ქრისტიანების უმოწყალო დევნამ ვერ შეუშალა ხელი მის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას. ჯერ კონსტანტინემ გამოსცა მედიოლანის ედიქტი რწმენის პატივისცემის შესახებ, რომლითაც დაშვებული იყო ქრისტიანობის თავისუფალი ქადაგება, ხოლო 380 წელს თეოდოსიმ ქრისტიანობა ნებადართულ რელიგიად გამოაცხადა. სახელმწიფოსა და ეკლესიის ინტერესთა შერწყმამ აიძულა ქრისტიანობა, შეეცვალა საკუთარი ხასიათი, ჩაგრულთა იდეოლოგიიდან იგი გადაიქცა გაბატონებული კლასის ინტერესების იდეოლოგიად, რომელიც ამქვეყნიური სატანჯველის სანაცვლოდ ადამიანებს იმ ქვეყნად ნეტარებას აღუთქვამდა.<sup>1</sup> ეს პროგრამა

<sup>1</sup> იხ. მათეს სახარება, 5,38-39

არ იქნა მიღებული ყველა ქრისტიანის მიერ. ადრეულ ქრისტიანობაში ჩამოყალიბდა მემარცხენე ფრთა, ე.წ. აგნოსტიკოსებისა (ჭეშმარიტი სარწმუნოებისათვის მებრძოლები), რომელიც შედგებოდა ღარიბებისაგან, გაქცეული მონებისა და კოლონებისაგან, რომელიც მოქმედებდა აფრიკაში და ანადგურებდა მსხვილ სახელმწიფო და კერძო მამულებს, ათავისუფლებდა მონებს.

საბოლოოდ, დაპირისპირებათა მრავალგვარობას თან სდევდა მდიდრების მიერ ღარიბების მზარდი შევიწროება, კანონის დარღვევა და იურიდიული ნორმების აბუჩად აგდება.<sup>1</sup> პოსტკლასიკური პერიოდის და ზოგადად, იმპერიის ხანაში შიდაკლასობრივი დაპირისპირებები და ბრძოლები ძალიან შორს მიდიოდა. ამის ნათელი დასტურია იმპერატორთა მოღვაწეობის მოკლე ანალიზი, რომ სულ პირველი იმპერატორით, ავგუსტუსით დაწყებული და უკანასკნელ იმპერატორამდე, რომულუს ავგუსტუსით დამთავრებული, რომს ჰყავდა 97 იმპერატორი, ამათგან საგარეო ომებში დაიღუპა 3, ბუნებრივი სიკვდილით 38, თავი მოიკლა 4-მა, ხოლო შინაომების დროს ხელისუფლების შენარჩუნებისათვის ბრძოლაში დაიღუპა 52, აქედან დასკვნა – რომის იმპერიისათვის შინაომები ყოველთვის აქილევსის ქუსლს წარმოადგენდა.

## § 2. დაპყრობების შეწყვეტა და ბარბაროსების თავდასხმა

პოსტკლასიკურ პერიოდში შიდა პოლიტიკურ დაპირისპირებათა შედეგად შეწყდა რომის მზრიდან დაპყრობითი ომები, სამაგიეროდ, გახშირდა ბარბაროსთა ტომების თავდასხმები, რაც რომის იმპერიის საზღვრებს საფრთხეს უქმნიდა და მოითხოვდა თავდაცვის მეთოდების სრულყოფას. ამ პერიოდის რომის სახელმწიფოსათვის მთავარი იყო სასაზღვრო სიმაგრეების – limes-მშენებლობა, ბარბაროსთა იმ ტომებთან თანამშრომლობა, რომლებიც რომის საზღვრისპირა ტერიტორიაზე დასახლდნენ და წარმოადგენდნენ დამცავ ფარს ახალი თავდამსხმელებისაგან. რომის სახელმწიფოს იერარქიულ აპარატში გახშირდა ბარბაროსთა მმართველებისათ-

<sup>1</sup> მ. ალექსივილი, მონობა ანტიკურ ქვეყნებში. თბ. 1971წ. გვ. 376

ვის მაღალი წოდებების მინიჭება. ყოველივე ამას არ შეეძლო თავიდან აეცილებინა ქვეყნისთვის ტერიტორიების დაკარგვა და ახალი, ე. წ. ბარბაროსული სახელმწიფოების შექმნა. გერმანიის ბარბაროსმა მეფემ ოდოაკრმა 476 წელს ტახტიდან ჩამოაგდო უკანასკნელი დასავლეთ რომაელი იმპერატორი რომულუს აუგუსტუსი, აღიარა აღმოსავლეთ რომის იმპერატორის სუვერენული ძალაუფლება და მოიპოვა პატრიცის ტიტული. მოგვიანებით, ოსტგოთების ბელადმა თეოდორიხმა დაამარცხა ოდოაკრი. შემდგომში არაერთი იმპერატორის მცდელობა, დაებრუნებინა ძველი დიდება რომის იმპერიისათვის, რომლის დასუსტება და დაქვეითება სწორედ ბარბაროსთა შემოსევებმა გამოიწვია, უშედეგოდ დამთავრდა. მხოლოდ აღმოსავლეთ რომის იმპერიის იმპერატორმა იუსტინიანემ თავისი მხედარმთავრების - ველიზარის და ნაზარესისის დახმარებით, დროებით გააერთიანა აღმოსავლეთ და დასავლეთ რომის იმპერიები, მაგრამ იუსტინიანეს სიკვდილის (565წ) შემდეგ იტალიამ ვეღარ გაუძლო ბარბაროსების შემოტევას და დაეცა, დაიშალა,<sup>1</sup> ხოლო აღმოსავლეთ ნაწილმა განაგრძო არსებობა ბიზანტიის იმპერიის სახელწოდებით, რაზედაც უფრო დაწვრილებით შემდგომში გვექნება მსჯელობა.

1 მ. ცაცანაშვილი, სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია, წ. 1 1995წ. გვ. 85

## თავი მეორეა

# ცენტრალიზებული სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაცია

### §1. რომის სახელმწიფო მმართველობა დომინატის პერიოდში

რომი იმპერიის ისტორიის მეორე პერიოდის ნახევარში (III-V საუკუნეები ჩვ.წ.აღ.) სახელმწიფო მმართველობის ფორმით იყო ცენტრალიზებულ-ბიუროკრატიული, რომელსაც დომინატი ეწოდებოდა. მის სათავეში იდგა აბსოლუტური მონარქი-იმპერატორი ტიტულით „dominus ac deus“<sup>1</sup> (ბატონი და ღმერთი). დიქტატურამ იმპერატორ დიოკლეტიანეს დროს მაღალ დონეს მიაღწია, შექმნა ტიპიური დესპოტური მონარქია, რამაც გამოიწვია სენატის, როგორც პოლიტიკური ორგანოს უფლებამოსილების დაქვეითება. დაკანონდა ტახტის მემკვიდრეობით გადაცემის წესი, რეფორმები გატარდა არმიასა და სასამართლო სისტემაში.

გაუქმდა რესპუბლიკური პერიოდის მმართველობის ორგანოები და აღარც ხელისუფლების დემოკრატიულ მანტიაში მათი შეფუთვის კუცილებლობა იყო საჭირო. ქვეყანაში ღიად შემოდის აღმოსავლური სამეფო კარისათვის დამახასიათებელი ეტიკეტები. მმართველობით სტრუქტურებში უპირატესობა მიენიჭა სახელმწიფო საბჭოს-კონსისტორიას, საფინანსო და სამხედრო უწყებებს. ექმნება მრავალრიცხოვანი ჩინოვნიკური აპარატი, რომლის სათავეში დგას განუსაზღვრელი ძალაუფლების მქონე იმპერატორი. შესაბამისი წესებით ამოქმედდა უმკაცრესი იერარქიული კიბე. მნიშვნელოვანი სახელო იყო სასახლის კვესტორი, რომელიც ასევე ხელმძღვანელობდა კონსისტორიას (სახელმწიფო საბჭოს), თანამდებობათა მაგისტრი, პირადი დაცვის გვარდიის უფროსი და ა.შ. მართალია სენატი, როგორც ასეთი, შენარჩუნებული იყო, მაგრამ უმნიშვნელო ფუნქციით. მაგისტრატურები გადაკეთდა საპატიო წოდებებად. მათ შესახებ ქვემოთაც გვექნება მსჯელობა.

<sup>1</sup> იხ. О.А. Кудинов, Римское право, М. 2008г. гл. 39

მკაცრად განსაზღვრული იერარქიული წესის დაცვით, იმპერატორს სახელმწიფოს მართვაში დაქირავებული პირები ეხმარებოდნენ, რომელთა კომპეტენციასაც თვითონ განსაზღვრავდა. დანარჩენი მოსახლეობა კი გადაქცეული იყო ქვეშევრდომებად, განსაკუთრებით კი ეს პროცესი აისახა იმპერატორ ბასინუს კარაკლას (185-217) მიერ მიღებულ ედიქტებში, როდესაც რომის სახელმწიფოს ყველა თავისუფალი მცხოვრები და ყველა პერეგრინი იღებდა რომის მოქალაქეობას, რაც ფაქტობრივად აღიარებდა მათ თანასწორობას, როგორც ქვეშევრდომების, ისე იმპერატორის წინაშე. ეს კი ნიშნავდა თვითმართველობის უფლების დაკარგვას ცალკეული ხალხებისათვის.

ამასთან, მსხვილმა მიწათმფლობელებმა მაინც მოახერხეს მმართველობისა და სასამართლო წარმოების სფეროში ავტონომიის შენარჩუნება თავიანთ ტერიტორიაზე.

## §2. იმპერატორი

რომის იმპერიის ჩამოყალიბებამ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა მოვლენებმა დღის წესრიგში დააყენა უზარმაზარ ქვეყანაში მმართველობის ფორმის, პოლიტიკური რეჟიმის და მმართველის სახელწოდების გადახედვის საკითხიც. ტერმინი „იმპერატორი“ მოდის ლათინურიდან „dominus ac deus“ იმპერიის პირველ პერიოდს ანუ პრინციპატის ხანის დიარქიასაც (ორხელისუფლებიანობას) უწოდებდნენ, ეს იყო სენატსა და პრინცებს შორის ძალაუფლების ფორმალური განაწილება. სენატის მდგომარეობის დასუსტებით და პრინცების პოზიციების გაძლიერებით იწყება ცვლილებები სახელმწიფო მოწყობაში.

ხელისუფლებისა და მართვის უმაღლესი პირი იყო იმპერატორი, რომელსაც ჰქონდა აბსოლუტური მონარქის, ანუ დესპოტის უფლებამოსილებები. ავრელიანუსმა (270-275) აღმოსავლური ცერემონიალით დაიდგა დიადემა და მიიღო ტიტული „dominus ac deus“ (ბატონი და ღმერთი), აქედან წარმოიშვა დომინატის სახელწოდება.

(იმპერატორი) თანასწორთა შორის „პირველი კაცი“ გამოცხადებული იყო ღმერთად და მის წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენას საკრალული ხასიათის კვალიფიკაცია ეძლეოდა.<sup>1</sup>

<sup>1</sup> იხ. В.С. Сергеев, Очерки по истории древнего Рима 4 შპ, .с.335-336

დომინანტის დროს დამყარებულია იმპერატორის განუსაზღვრელი და შეუზღუდავი ძალაუფლება არა მარტო ფაქტობრივად, არამედ იურიდიულადაც. პროფ. ვ. მეტრეველს მიაჩნია, რომ რომში დომინანტი მყარდება იმპერატორ დიოკლეტიანეს რეფორმის შედეგად 284-305 წლებში.<sup>1</sup> ეს რეფორმები შეეხო ადმინისტრაციულ, სამხედრო, საგადასახადო და საფინანსო სფეროებს.

იმპერატორს ჰქონდა უმაღლესი საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო ხელისუფლება და მეთაურობდა ჯარს, მისი ძალაუფლება შეუზღუდავი იყო.

ბრძოლა ტახტისათვის და იმპერატორების ხშირი ცვლა იწვევდა სახელმწიფოში არასტაბილურობას, დიოკლეტიანემ ძალაუფლება გაუყო ავგუსტუს-მაქსიმილიანს და ორ კეისარს—გალერიუსს და კონსტანტინეს, ასე რომ, იმპერიაში იყო ოთხელისუფლებიანობა, ანუ ტეტრარქია.

მიუხედავად ამისა, ერთიანი კანონმდებლობის წყალობით, სახელმწიფოს მთლიანობა შენარჩუნებული იყო. კონსტანტინემ ხელმეორედ აღადგინა იმპერიის ერთიანობა და დედაქალაქი მაინც კონსტანტინეპოლისში გადაიტანა. რომის იმპერია საბოლოოდ გაიყო ორ ნაწილად ფეოდოსის სიკედილის შემდეგ (395 წელი). მან ხელისუფლება ვაჟიშვილებს გადასცა. არკადიუსს ერგო აღმოსავლეთი, ხოლო ჰონორიუსს — დასავლეთი.

იმპერიის ორ ნაწილს ერთიანი კანონმდებლობა ჰქონდა. იმპერატორების მიერ მიღებული კონსტიტუციები ორივე ნაწილში მოქმედებდა, თუ ისინი წერილობითი სახით ქვეყნდებოდა. როგორც ყველა დესპოტური სახელმწიფოსთვის იყო დამახასიათებელი, იმპერატორები პირადი და ოჯახის საჭიროებისათვის დიდ თანხებს ხარჯავდნენ. იმპერატორის სასახლე დიდი ფუფუნებით გამოირჩეოდა და ამ ფუფუნების წყაროს შესანარჩუნებლად უამრავი ადამიანი ზრუნავდა.

### §3. ცენტრალური სახელმწიფო ორგანოები

ცენტრალურ სახელმწიფო ორგანოებს შეადგენდნენ:

ა) უმაღლესი სახელისუფლებო მოხელეები, რომლებიც ეხმარებოდნენ იმპერატორს სახელმწიფო საქმეების მართვაში და რომლებიც თავმოყრილნი იყვნენ იმპერატორის კარზე. ისინი ეწოდებოდნენ, quaestor

<sup>1</sup> იხ. ვ. მეტრეველი, რომის სამართალი (საფუძვლები) თბ. 2005წ. გვ. 44

sacri palati კარის მმართველ კვესტორებად და ჰქონდათ იმპერატორის მდინის ან მართლმსაჯულების მინისტრის, სახელმწიფო ხაზინისა და იმპერატორის პირადი ქონების მმართველის, ასევე უმაღლესი ბიუროკრატიული მოსამსახურის სტატუსი, და განაგებდნენ ცენტრალურ საიმპერატორო დაწესებულებებს.

ბ) Consistorium sacrum - კონზისტორიუმ პრინციპის საფუძველზე შეიქმნა იმპერატორის უზენაესი საბჭო, იმპერატორის მუდმივმოქმედი სათათბირო ორგანო, რომლის წევრებად უმაღლეს სახელმწიფო მოხელეებს ირჩევდნენ.

გ) მხედართმთავრები – magistri militum – იყვნენ მოქმედი ჯარების მეთაურები. უმაღლესი მთავარსარდალი კი იყო იმპერატორი.

დომინატის პერიოდში რომის სახელმწიფო დაიყო ორ იმპერიად, რომლებსაც სათავეში ედგა ავგუსტუსი, ჩამოყალიბდა ოთხი პრეფექტურა, რომლებიც გაიყო 13 დიოცეზად, რომელსაც ხელმძღვანელობდა ვიკარიუსი. დიოცეზები, თავის მხრივ, იყოფოდნენ პროვინციებად. გარდა ამისა რომი და კონსტანტინეპოლი გარეუბნებით შეადგენდნენ საქალაქო პრეფექტურებს. პროვინციები თავის მხრივ იყოფოდნენ ოლქებად, რომელსაც დანიშნული ოლქის უფროსი მართავდა.

პრეფექტურების სათავეში იდგნენ პრეტორები, რომლებსაც ჰქონდათ მმართველობის და სამართალწარმოების ფუნქციები. საქალაქო პრეფექტურებიც აღჭურვილნი იყვნენ ანალოგიური უფლებამოსილებებით.

ვიკარიუსები ითვლებოდნენ პრეფექტის მრავალგვარებად, რომლებიც დამოუკიდებლად წყვეტდნენ გადასახადების, ადმინისტრაციულ და სამართლებრივ საკითხებს. პროვინციებს მართავდნენ რექტორები.<sup>2</sup> (rector)

დომინატის პერიოდში თვითმმართველობის უფლება მინიჭებული ჰქონდათ თემებს და იმპერატორის ხელქვეით მსხვილ მიწათმფლობელებს – სალტუსებს და ტრაქტუსებს.

თემების თვითმმართველობა (metrocomia, municipia) შეზღუდული იყო და მხოლოდ ადგილობრივ საქმეებს ეხებოდა. თემის სათავეში იდგა დეკურიონების სენატი ან კურიალები, ხოლო სენატის მუშაობას ხელმძღვანელობდა არჩეული ან დანიშნული *douvirii* -ი.

დეკურიები იწოდებოდნენ თემების თავმჯდომარეებად, რომლებიც დაკავებული იყვნენ აგრეთვე სახელმწიფო საქმეებით. თემებში შემოღებული

1 იხ. О.А. Кудинов, Римское право, М. 2008г. გვ. 40

2 იხ. ე.მეტრეველი, რომის სამართალი (საფუძვლები), თბ. 2005წ. გვ. 46



იყო სპეციალური სახელმწიფო სამსახური defensor civitatis, რომლის დანიშნულება იყო თემის დაცვა სახელმწიფო ორგანოების თვითნებობისაგან.

იმპერატორის მსხვილ სამფლობელოებს – სალტუსებს და ტრაქტუსებს მართავდნენ პროკურატორები.

თვითმმართველობა კქონდათ აგრეთვე მდიდარ სენატორთა მსხვილ მიწათმფლობელებს, რომლებიც უშუალოდ ექვემდებარებოდნენ პრეფექტს ან იმპერატორს.

იმის გამო, რომ ზემოაღნიშნული ადგილობრივი თვითმმართველობის განმახორციელებელი ორგანოები „ზემდგომ სახელმწიფო მოხელეებს ექვემდებარებოდნენ, ჭეშმარიტ თვითმმართველობის ორგანოებად ვერ ჩაითვლებოდა.“<sup>1</sup> ეს დამახასიათებელია იმპერიული-მონარქიული სახელმწიფო-სათვის.

## იურიდიული მეცნიერების განვითარება

### § 1. კოსტლასიკური პერიოდის იურისტები

კოსტლასიკურ ანუ დომინანტის ეპოქაში შემდგომ პერიოდებთან შედარებით, იურიდიული მეცნიერების განვითარებისათვის ზელშემწყობი პირობები არ იყო, ამის მიზეზი უნდა ვეძებოთ ქვეყნის ეკონომიკურ დაქვეითებაში, იმპერატორის დესპოტიზმსა და მკაცრ ცენტრალიზმში.

კოსტლასიკური ხანის იურისტებს შორის გამოყოფენ გრეგორიანუსსა და ჰერმოგენიანუსს, რომლებმაც შეადგინეს იმპერატორების კონსტიტუციათა კრებულები.

იმპერატორ დიოკლეთიანეს მმართველობის დროს მათ შექმნეს კრებულები *codex Gregorianus*-ს და *codex Hermogenianus*-ის სახელწოდებით. პირველი მათგანი შეიცავდა დიოკლეთიანემდე გამოცემულ კონსტიტუციებს, ხოლო მეორე—დიოკლეთიანეს მიერ 293 და 294 წლებში გამოქვეყნებულ კონსტიტუციებს. გამორჩეული მწერლების გარდა, იყვნენ, აგრეთვე, ანონიმი იურისტები, რომლებიც თხზულებებს ქმნიდნენ, მათ შორის 1821 წელს აღმოჩენილი იქნა *Fragmenta vaticana*—IV საუკუნის ბოლოს შედგენილი იმპერატორთა კონსტიტუციების და კლასიკური ხანის იურისტების შრომების კრებული.

კოსტლასიკურ პერიოდში გაჩნდა რომაული სამართლის განვითარების სახელმწიფო და კერძო იურიდიული სკოლები, სადაც ცნობილი იურისტები სამართალს ასწავლიდნენ. სწავლება ოთხ წელს გრძელდებოდა და სასწავლო პროცესი ოთხ მასწავლებელს მიჰყავდა. იუსტინიანეს დროიდან, სწავლების ვადა ხუთი წელი გახდა. მსმენელებს სწავლა ოცდახუთი წლის ასაკში უნდა დაესრულებინათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ ეკრძალებოდათ სტუდენტობის გაგრძელება.

რომის სამართლის მეცნიერებას მუდამ აინტერესებდა სამართლის განვითარების პრობლემა. იურისტების აზრით, იურისპუდენცია სხვა რა არის,

თუ არა მეცნიერება სამართლიანობისა და უსამართლობის შესახებ (ულპიანე). სამართალი დასაბამს იღებს სამართლიანობისაგან, როგორც დედისაგან; მაშასადამე, სამართალს წინ უძღვის სამართლიანობა (დი-გესტები). სამართლიანობა უნდა განვიხილოთ, როგორც მმართველობის აუცილებელი ნიშანი.<sup>1)</sup>

პოსტკლასიკური ხანის სამართლისათვის დამახასიათებელია დიქი-ტომია, - სამართლის დაყოფა jus-ად და Leges-ად

Jus შეადგენდა სამართლებრივი ნორმების ნაწილს, ე.ი. იმ იურიდი-ულ konceციებს-კონცეფციებს, რომლებიც წინა პერიოდში იყო შექმნილი (ადათი, კანონები, პლებისციტები, ედიქტები) და არ იყო გაუქმებული იმპერატორის მიერ. იგი შეიცავდა კლასიკური პერიოდის რომაელი იუ-რისტების ნააზრევსაც.

ხოლო Leges-ი შეადგენდა რომაელ იმპერატორთა სამართალს, რომე-ლიც კონსტიტუციების სახით იქმნებოდა.

## §2. კანონი ციტირების შესახებ

ძველ რომში სამართლის ცოდნა თითქმის სავალდებულო იყო რომა-ული საზოგადოების წარჩინებული ფენების, ელიტარული წარმომადგენ-ლების სენატორებისათვის, შემდგომში სასამართლო ფუნქციათა გაფარ-თობამ გამოიწვია მოსამართლეთა იურისტობა, რადგანაც აღიარებული იქნა სამართლის ნორმათა ინტერპრეტაციის სავალდებულო ძალა. მათი გაერცვლების არეალი მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული კონკრეტული მოხელის ავტორიტეტზე, რამაც ფაქტობრივად ძველ რომში საფუძველი ჩაუყარა ე.წ. „იურისტთა სამართალს“.

რომის სამართლის ისტორია იცნობს მისი განვითარების პერიოდთან შესაბამისობაში ბევრ ავტორიტეტულ იურისტს. ამის საუკეთესო მაგა-ლითს წარმოადგენს „იურისტების მოღვაწეობები“ საკანონმდებლო საქ-მიანობასა და კოდიფიკაციაში.

„იურისტთა სამართალი“ სხვა არაფერი იყო, თუ არა სწავლულ იურის-თა ან პრაქტიკოს სამართალმცოდნეთა შეხედულებების ერთობლიობა.

იმ ურთიერთობათა მოწესრიგებისათვის, რომლებიც არ იყო გადაწყვე-ტილი იმპერატორთა კონსტიტუციებით, კონკრეტული დავის გადაწყვე-

<sup>1</sup> იხ. გ. ხუბუა, სამართლის თეორია, თბ. 2000 გვ. 136

ტისას მხარეებს და მოსამართლეებს შეეძლოთ გამოეყენებინათ ხუთი რომელი იურისტის: გაიუსის, პავლუსის, პაპინიანუსის, ულპიანუსის და მოდესტინუსის შრომებში მოცემული შეხედულებები.

321 წელს კონსტანტინემ მიიღო კანონი ე.წ. „შეზღუდვების“ შესახებ, რომლის თანახმად, აკრძალული იყო პაპინიანუსის შრომებზე პავლუსის და ულპიანუსის კომენტარების გამოყენება, რათა უპირატესობა მინიჭებოდა პაპინიანუსის თხზულებებს.<sup>1</sup>

მოგვიანებით, ვალენტიანიან III და ფეოდოსიუს II-ს მართველობის დროს, 426 წელს მიღებულ იქნა კანონი ციტირების შესახებ – Lex citationis. ამ კანონის თანახმად, სამართლის წყაროებად აღიარებული იყო დასახელებული ხუთი იურისტის შრომები და იმ იურისტთა ნაშრომები, რომლებსაც ეს ხუთი სპეციალისტი იყენებდა. იურისტებს შორის შეუთანხმებლობის შემთხვევაში იმარჯვებდა ის, რომლის მხარეზეც იმყოფებოდა პაპინიანუსი, მაგრამ ორი სხვა იურისტის შეთანხმებული აზრი უფრო ავტორიტეტულად ითვლებოდა, ვიდრე პაპინიანუსის მოსაზრება. ამასთან, პაპინიანუსის აზრი ცალკეულ იურისტზე უფრო ავტორიტეტული იყო. თუ რომელიმე საკითხის ირგვლივ დასახელებულ იურისტთა შორის სხვადასხვა აზრი იყო გამოთქმული, მაშინ უპირატესობა ეძლეოდა უმრავლესობის აზრს, თანაბარ ხმათა შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭებოდა იმ მოსაზრებას, რომელიც პაპინიანუსს ჰქონდა გამოთქმული. პაპინიანუსის იურიდიული დებულებების გამოყენებისას, მოსამართლე ვალდებული იყო დამსწრესათვის გაეცნო დიდი ხნის წინათ გარდაცვლილი იურისტთა მოსაზრებები, რომლებსაც მათი შრომები შეიცავდა, ამიტომ ამ ინსტიტუტს „მიცვალებულთა სენატი“ ეწოდებოდა.

### § 3. კონსტიტუციები, ინსტიტუციები და ინტერდიქტები

იმპერიის პერიოდამდე საკანონმდებლო და ნორმატიულ აქტებს არაერთი სტრუქტურა და სახელმწიფო მოხელე დებულობდა.

დომინატის პერიოდში ქცევის საყოველთაო, ზოგად სავალდებულო ნორმების ერთადერთ აქტიურ შემოქმედად ითვლებოდა იმპერატორი, რომელიც იღებდა კონსტიტუციებს – Leges-ს, (ლეგეს) რაზედაც უკვე იყო საუბარი.

<sup>1</sup> იხ. ე. მეტრეველი, რომის სამართალი (საფუძვლები) თბ. 2005წ. გვ. 13

კონსტიტუციების მიღებისას იმპერატორი არ იყო ვალდებული, დევცა რაიმე ფორმალობა, რაც ევალუბოდა პრინცეპსს, რომელიც ედიქტების მიღებისას ფორმალურად, მაგრამ მაინც თანამშრომლობდა კვესტორებთან ან სენატთან.

წინა პერიოდში არსებული კონსტიტუციების გარდა, გაჩნდა ე. წ. პრაგმატიკული სანქციები (sanciones pragmaticae). ანუ აქტები, რომლის მიხედვით ახლად აღმოცენებული იმპერიის იმპერატორი იღებდა დასავლეთის, ანუ მეორე ნახევარის იმპერიის იმპერატორის მიერ მიღებული კონსტიტუციების საკუთარ ტერიტორიაზე გამოყენების მიზნით.

ინსტიტუციები Instituciones (ინსტიტუციონეს) არის იუსტინიანეს კანონთა კრებულის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი, რომელსაც ელემენტარული სახელმძღვანელოს დანიშნულება ჰქონდა, მას ცნობილი ჩეხი იურისტი, მილოშ ბარტოშეკი უწოდებდა „იუსტინიანუსს“, როგორც „კორპუს იურის ცივილის“ ყველაზე მოკლე ნაწილს.

ცნობილია, რომ რომაელი იურისტები თავიანთ მოსწავლეებთან ორი სახის მეცადინეობას ატარებდნენ: პრაქტიკულს და თეორიულს. თეორიული სწავლება აღინიშნებოდა ლათინური ტერმინით „instituire“, და ტერმინით „institutiones“ „ინსტიტუციები“, პროფ. ნ. სურგულაძე თვლის, რომ სწორედ სიტყვა „institutiones“ აღნიშნავდა „ელემენტარულ გადაცემას“ „სწავლებას“ ეს იყო რომის სამართლის საფუძვლები.<sup>2</sup>

იუსტინიანეს ინსტიტუციები 4 ნაწილისაგან შედგება. თითოეული წიგნი ტიტულებად, ხოლო ტიტულები პარაგრაფებად არის დაყოფილი. პირველი წიგნი ეხება რომის სამართლის სისტემას, სამართლის წყაროებს, პირებსა და საოჯახო სამართლის ინსტიტუტებს, მეორე წიგნში განხილულია ნივთები, საკუთრების უფლება, მფლობელობა და ა.შ. მესამე წიგნი ეხება მემკვიდრეობის სამართალს და ვალდებულებებს. მეოთხე წიგნი კი სარჩელებს და სასამართლო პროცესს.<sup>3</sup>

მას სპეციალისტები კომპილატურ ნაწილად მიიჩნევენ, რადგანაც შედგენილია გაიუსის და სხვა ცნობილი რომაელი იურისტების თხზულებებიდან ამოკრეფილი ნააზრევიდან, მიუხედავად ამისა, ინსტიტუციებს კანონის ძალა გააჩნდა, რომლის დანიშნულება იყო სამართლის საფუძვლის შესწავლა, არა მონათხრობის მიხედვით, არამედ ინსტიტუციებში ჩამოთვლილებული დებულებების საფუძველზე.

1. ი. ე. მეტრეველი, რომის სამართალი (საფუძვლები) თბ. 2002წ. გვ. 17

2. იხ. რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს ინსტიტუციები, თბ. 2002წ. გვ. 6

3. იხ. ე. მეტრეველი, რომის სამართალი (საფუძვლები) თბ. 2005წ. გვ. 17

როდესაც ზემოხსენებულმა სამმა სწავლულმა<sup>1</sup> – აღნიშნავს იმპერატორი იუსტინიანე – ჩვენ წარმოგვიდგინა (ეს წიგნები), რომლებიც შედგენილია ყველა ძველი „ინსტიტუციის“, განსაკუთრებით კი ჩვენი გაიუსის როგორც „ინსტიტუციების“, ასევე „ყოველდღიური საქმეების კომენტარებისა“ და სხვა ჩანაწერების საფუძველზე, ჩვენ ისინი წაეკითხეთ, მათ გაგეცანით და ჩვენი კონსტიტუციების სრული ძალა მივანიჭეთ.

ამიტომ დიგესტების ანუ პანდექტების ორმოცდაათი წიგნის გამოცემის შემდეგ, რომელშიც მთელი ძველი სამართალია თავმოყრილი, რომელიც ჩვენ შევადგინეთ იმავე გამოჩენილი ტრიბონიანესა და ასევე სხვა დანარჩენი სახელოვანი და მჭერმეტყველი პირების მეშვეობით, ჩვენ ვბრძანეთ, რომ იგივე ინსტიტუციები ამ ოთხ წიგნში გაენაწილებინათ და მათში მთელი სამართლის მეცნიერების საფუძველი გადმოეცათ, – ბრძანებს იუსტინიანე.

მათში (ამ წიგნებში) მოკლედ არის გადმოცემული როგორც ის კანონები, რომლებსაც წინათ იცავენენ, ასევე ისინიც, რომლებიც შემდგომში გამოუყენებლობის გამო დაივიწყეს, მაგრამ იმპერატორის მეშვეობით ისევ ხმარებაში შემოვიდა.<sup>2</sup>

აღნიშნული გამოწვეული იყო იმით, რომ იმპერიის პერიოდში კანონი უკვე რომაული სამართლის მთავარ წყაროდ იქცა, მართალია, ჩვეულებითი სამართლის გარკვეული ნაწილი შეტანილი იქნა იმ პერიოდის საკანონმდებლო აქტებში, მაგრამ 319 წელს გამოცემული იქნა განკარგულება, რომელიც ზღუდავდა ჩვეულებითი სამართლის მოქმედებას რომის იმპერიის პროვინციებში (ეგვიპტე, სირია, არაბეთი) და აგრეთვე კატეგორიულად იკრძალებოდა იმ ადათობრივი ნორმების გამოყენება, რომლებიც უპირისპირდებოდნენ დაწერილ კანონებს. ე.ი. სახელმწიფომ უკვე ბრძოლა გამოუცხადა იმ ჩვეულებით ნორმებს, რომლებიც მისთვის არ იყო მისაღები. ეს პროცესი ზედმეტ-ნაკლებად ერთნაირად მიმდინარეობდა სხვადასხვა ქვეყანაში, რადგანაც დროთა ვითარებაში კანონი კარგავდა ადათობრივ ხასიათს და იზრდებოდა განსხვავება ადათსა და კანონს შორის. უფრო სწორად, ერთმანეთს უპირისპირდებოდა მათი შინაარსი. კანონში უფრო მეტად პოლიტიკურ ნორმებს ეპოულობთ, რომლებიც არ იყო ჩვეულებით სამართალში, კანონი კიდევ უფრო მტკიცედ

<sup>1</sup> იგულისხმება თეოფილუსი, დოროთეუსი და გაიუსი

<sup>2</sup> იხ. რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს ინსტიტუციები, თბ. 2002წ. გვ. 49-11

იკავს გაბატონებული კლასების ინტერესებს, აქედან გამომდინარე, ადათის ბედი ბევრად გახდა დამოკიდებული იმაზე, იყო თუ არა მთავრობის გაძლიერებისათვის სასარგებლო. ადათს არ სდევნიან, თუ ხელისუფლების ინტერესებს არ ეწინააღმდეგება. პირიქით, მის განვითარებას ხელს უწყობენ, ხოლო თუ ადათი მთავრობის პრესტიჟს ძირს უთხრის, მას სდევნიან და ავიწროებენ.<sup>1</sup>

მაშინდელ რომში ამ პროცესმა უფრო მძაფრი ხასიათი მიიღო ვიდრე სხვაგან. რაც შეეხება ინსტიტუტებს, კაცობრიობისთვის მათი არსებობა ცნობილი არ იყო. იგი შემთხვევით აღმოაჩინა ისტორიკოსმა ნიბურმა 18 წელს, იტალიის ქ. ვერონაში, ნიბური ხელნაწერებს ასუფთავებდა, რომლის ქვეშ აღმოჩნდა გაიუსის და სხვათა „ინსტიტუციები“, მისი ტექსტებიც უფლის დიდებით იწყებოდა.

და ბოლოს, კონსტიტუციები არის იმპერატორის მიერ პირადად გამოცემული ნორმატიული აქტები, ხოლო ინსტიტუციები არის მისივე დავალებით შედგენილი კრებული, რომლის წყაროსაც წარმოადგენს გაიუსის „ინსტიტუციები“.

interdictum-ი, ინტერდიქტები იყო პრეტორების განკარგულებანი, იუსტინიანე იმპერატორის ინსტიტუციებში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი ინტერდიქტების მოქმედების სფეროების გარკვევას და მათ მნიშვნელობას წამოჭრილი პრობლემების გადაჭრაში.

ინტერდიქტების ძირითადი დაყოფა იმაში მდგომარეობს, რომ არსებობს ან აკრძალვითი (პროჰიბიტორული), ან აღდგენითი (რესტრუქტორული) ან წარდგენითი (ექსპიბიტორული) ინტერდიქტები, – ვკითხულობთ ინსტიტუციებში.) აკრძალვითია ინტერდიქტები, რომელთა მეშვეობით პრეტორი რამეს გაკეთებას კრძალავს, მაგალითად, ძალის გამოყენებას მანკიერების გარეშე მფლობელის წინააღმდეგ, ან ამის უფლება აქვს; ან კრძალავს წმინდა ადგილზე რამის აშენებას, ან საჯარო მდინარეზე თუ ნაპირზე ისეთი რამის გაკეთებას, რაც ნავიგაციას (მდინარეზე მიმოსვლას) აფერხებს. რესტრუქტორულია ინტერდიქტები, რომელთა მეშვეობით პრეტორი რამის აღდგენას ბრძანებს, მაგალითად, როდესაც იგი ბრძანებს, რომ მემკვიდრეს დაუბრუნონ ქონების მფლობელობა, რომელსაც მემკვიდრე ან როგორც უბრალო მფლობელი ფლობს, ან როდესაც

<sup>1</sup> იხ. გ. ლობჯანიძე, ნარკვევები არჩ. ჯორჯაძის მსოფლმხედველობრივ სამართლებრივ ნააზრევებიდან თბ. 1992 წ. გვ. 185

ბრძანებს, რომ მფლობელობაში აღდგინონ ის პირი, რომელსაც მიწის ნაკვეთის მფლობელობა ძალით წაართვეს. წარდგენითია (ექსპიბიტორულია) ინტერდიქტები, რომელთა მეშვეობით პრეტორი ბრძანებს, რომ სასამართლოში წარადგინონ, მაგალითად, ის პირი, რომლის თავისუფლების შესახებაც დავა წარმოებს, ან წარადგინონ ლიბერტი (გააზატებული), რომლის პატრონსაც სურს, რომ მას რამე გააკეთებინოს; ან ის ბავშვები, რომლებიც მშობლის ხელისუფლების ქვეშ იმყოფებიან, როცა მათ მშობელს იგივე სურს. მაგრამ არიან ისეთი იურისტებიც, რომელთა აზრით, საკუთრივ ინტერდიქტებად აკრძალვითი (პროკიბიტორული) ინტერდიქტები იწოდება, რადგან სიტყვა *inherdicere* „გამოცხადებას“ და „აკრძალვას“ ნიშნავს. ხოლო აღდგენით (რესტიტუტორულს) და წარდგენით (ექსპიბიტორულს) ინტერდიქტებს საკუთრივ, დეკრეტი ეწოდება, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც გადაწყდა, რომ მათ ყველას ინტერდიქტი ეწოდოს, რადგან ხალხში ეს ასე იხმარება.

ინტერდიქტების შესაძენად სახის დაყოფა მდგომარეობს იმაში, რომ ინტერდიქტები არსებობს ან მარტივი, ან ორმხრივი. მარტივია, მაგალითად, ის ინტერდიქტები, რომლებშიც ერთი მოსარჩელეა, მეორე კი — მოპასუხე. ასეთია ყველა რესტიტუტორული (აღდგენითი) და ექსპიბიტორული (წარდგენითი) ინტერდიქტი. სახელდობრ, მოსარჩელეა ის, ვინც ნივთის წარდგენას ან დაბრუნებას მოითხოვს. მოპასუხე კი ის, ვისგანაც ნივთის წარდგენას ან დაბრუნებას მოითხოვენ. ხოლო აკრძალვითი (პროკიბიტორული) ინტერდიქტებიდან ზოგი მარტივია, ზოგიც — ორმხრივი.<sup>1</sup> ასეთია მოკლედ ინტერდიქტების დიფერენციაცია იუსტინიანეს ინსტიტუციების მიხედვით, რამდენადაც ნაშრომში ხშირად ეხედებით ტერმინებს, — კონსტიტუციებს, ინსტიტუტებს, ინტერდიქტებს (და არა მარტო) ამიტომ გადავწყვიტეთ, ისინი ცალკე პარაგრაფში მოგვეთავსებინა, რათა უფრო გაადვილდეს ტექსტში მათი მნიშვნელობის გაგება.

<sup>1</sup> იხ. რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს ინსტიტუციები, თბ. 2002წ. გვ. 255-259



#### § 4. პოსტკლასიკური რომაული სამართლის ზოგადი დახასიათება

რომის სამართლის მკვლევართა აზრით, იურისტების მიერ პირველწყაროებიდან აღებული ცნებები და დეფინიციები, რომლებიც ძირითადად ერთმანეთთან წინააღმდეგობაში არ მოდიოდა, მაინც ხდებოდა, რომ სხვადასხვა იურისტს ერთსა და იმავე საკითხზე სხვადასხვა აზრი ჰქონდა გამოთქმული, გარდა ამისა, მთელი რიგი მიზეზების გამო იმპერატორმა, როგორც ხელისფლების და მმართველობის ძირითადმა ფიგურამ დომინატის პერიოდში მაგისტრატებისა და იურისტებისაგან მიითვისა მუდმივი სამართლის ადაპტაციის ფუნქცია და ახალ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ურთიერთობებს მორაგო, ამის გამო იმპერატორის კონსტიტუციები შეიცავდა ბევრ ისეთ სიახლეს, რაც არ იყო დამახასიათებელი კლასიკური პერიოდის რომაული სამართლისთვის.

რომის ეკონომიკამ დაკარგა კლასიკური მიწათმფლობელური მეურნეობისთვის დამახასიათებელი ნიშნები, რომლის ძირითადი მწარმოებელი იყო მონა. პოსტკლასიკურ პერიოდში დამკვიდრდა თავისუფალ და ნახევრადთავისუფალ მწარმოებელთა შრომაზე დამყარებული მეურნეობა, გამოჩნდა დაბალანსებული საზოგადოებრივი მოწყობის ნიშნები, რაც ფეოდალური საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციისთვის იყო დამახასიათებელი. სამართლით აკრძალული იყო იმ მიწის მიტოვება, რომელსაც ამუშავებდნენ, — ~~ხოლო—ხელოსნებს—არ შეეძლოთ—საცხოვრებლო—ადგილის ან პროფესიის შეცვლა; საოჯახო სამართლის სფეროში ქორწინება დაშვებული იყო მხოლოდ იმ პირთა შორის, რომლებიც ერთ საქმეს მისდევდნენ; ქონებრივ სამართალში მოკლევადიანი საიჯარო ხელშეკრულებების ნაცვლად იღებოდა გრძელვადიანი საიჯარო ხელშეკრულებები, რაც მოასწავებდა საკუთრების განაწილებას კლასიკური რომაული კერძო საკუთრების საპირისპიროდ. ვალდებულებით სამართალში იღებოდა ხელშეკრულებები პატროცინიუმის და პრეკარიუმის შესახებ, ხოლო სამემკვიდრეო სამართალში გაჩნდა უნივერსალური და სინგულარული ფიდეიკომისები. გაუქმდა სამართლის დაყოფა jus civile—და jus gentium—ად, რასაც მოჰყვა რომის იმპერატორის ქვეშევრდომთა ერთ მდგომარეობაში მოქცევა.~~

აღრინდელი სამართლებრივი წესრიგის jus—საგან განსხვავებით leges-ი, რომელიც ახალ სამართლებრივ ნორმებს წარმოადგენდა, შედგენი-

ლი იყო იმპერატორის კონსტიტუციებისაგან, რომელიც უკვე შეიცავდა ახალ ფეოდალურ და ქრისტიანულ ელემენტებს.

Leges-ის კანონებით დამყარებული სამართლებრივი წესრიგი შედგებოდა მთელი რიგი ინსტიტუტებისაგან, რომლებიც ეხებოდა არარომაულ მოსახლეობასაც, ამიტომ ჩნდებოდა პოსტკლასიკური სამყაროს სამართლისა და ფეოდალურ სამართალს შორის სინთეზის ელემენტები.

სამართლის სფეროში ცვლილებებით, უწინარეს ყოვლისა, სამართლებრივი—დაცვის—ფუნქციაზე უარი ეთქვა სახელმწიფო-ბიუროკრატიულ ორგანოებს, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებული იყვნენ პირამიდული სისტემით. რამაც ხელი შეუწყო სხვადასხვა სიახლეთა დანერგვას ცხოვრებაში. ასე, მაგალითად: საქმის წარმოება გაიყო ორ ნაწილად (in jure და apud judicem), შემოიღეს, აგრეთვე სამართლებრივ მტკიცებულებათა თეორია.

დომინანტის პერიოდში საკანონმდებლო მოღვაწეობის შედეგად დაგროვდა დიდძალი იურიდიული მასალა და იმპერიის პერიოდში კანონი უკვე რომის სამართლის მთავარ წყაროდ იქცა. თავისთავად, ამ პროცესმა გამოიწვია ადათის, როგორც სამართლის წყაროს მნიშვნელობის შემცირება, თუმცა, როგორც ითქვა, ადათების გარკვეული ნაწილი შეტანილ იქნა ამ პერიოდის საკანონმდებლო აქტებში:

იმპერიის პერიოდში (319წ) გამოცემულ იქნა განკარგულება, რომელიც ზღუდავდა ადგილობრივი ადათების მოქმედებას რომის იმპერიის პროვინციებში (ეგვიპტე, სირია, არაბეთი და სხვ.) და აგრეთვე კრძალავდა კანონსაწინააღმდეგო ადათებს!

წინააღმდეგობებმა jus-ს (წარსულიდან შემორჩენილი წესრიგი) და Leges-ს შორის (იმპერატორთა კონსტიტუციებში ასახული ახალი წესრიგი) წარმოშვა აუცილებლობა, მომხდარიყო რომაული სამართლის კოდიფიკაცია.

ნორმატიული აქტების სისტემატიზაციის უმაღლეს წერტილს წარმოადგენს იუსტინიანეს კოდიფიკაცია.

1 იხ. ი. დოლიძე, საქართველოს ჩვეულებითი სჯული, თბ. 1960წ. გვ. 18

## §5. რომაული სამართლის „კოდიფიკაციის“ დასაწყისი

რესპუბლიკის პერიოდის ბოლოსათვის საყოველთაო სავალდებულო ნორმათა სიმრავლეს, რომლებიც იქმნებოდა სხვადასხვა გზით, შედეგად მოჰყვა ორი გამოჩენილი მმართველის—პომპეუსისა და კეისრის მიერ სამართლის კოდიფიკაციის მცდელობა. თუმცა, მათ ვერ შეძლეს მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმა ამ თვალსაზრისით.

მიუხედავად ამისა, პრეტორთა აქტიური მცდელობა, მაინც მოერგო რომაული *jus civile*-ე მონათმფლობელური ურთიერთობებისათვის, ხელს უწყობდა არაკოდიფიცირებული რომაული სამართლის განვითარებას. იგი წარმატებით ართმევდა თავს დაკისრებულ ამოცანებს და მოქმედებდა, როგორც ერთიანი სისტემა. მიუხედავად ამისა, სამართლის კოდიფიკაცია აუცილებელი გახდა მაშინ, როდესაც კანონის მიმღებ და აღმასრულებელ ორგანოებს შორის გაჩნდა მკვეთრად გამიჯნვის აუცილებლობა.

პრეტორებს აღარ შეეძლოთ ახალი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ურთიერთობებისათვის შესაბამისი ფუნქციის შესრულება, სამართლის შექმნის უპირატესობა პრინციპსების ხელში მოექცა, რომლებიც სენატორთა სიებს ედგნენ სათავეში და ფაქტობრივად, მართავდნენ რომის იმპერიის დელ იმპერიას.

რომაული სამართლის ყველაზე ადრეულ „კოდიფიკაციად“ ითვლება XII ტაბულის კანონები, რის შემდგომაც ადრიანიუსმა მოახდინა საქალაქო და პერეგრინული პრეტორების ედიქტების კოდიფიკაცია. III საუკუნის ბოლოსა და IV საუკუნის დასაწყისში (Codex Grigorianus) წარმოადგინეს კრებული, რომელიც შედგებოდა 19 წიგნისაგან, წიგნები თავის მხრივ, იყოფოდა ტიტულებად, მაგალითებად და რუბრიკებად. პირველი 13 წიგნი დალაგებული იყო პრეტორების ედიქტების მიხედვით, მე-14 და დანარჩენი წიგნები ეძღვნებოდა სისხლის სამართალს და პროცესს. გრიგორიანუსის კოდექსს რომაული იურიუსპუდენცია ავტორიტეტულად მიიჩნევდა და ორი საუკუნის მანძილზე იყენებდნენ პრაქტიკაში, ხანამ იგი არ შეცვალა იუსტინიანეს კოდექსმა.

გრიგორიანუსის „კოდექსის“ დამატებად იყო მიჩნეული 295 წლიდან გერმოგენიუსის კოდექსი (Codex hermogenianus). ავტორმა ის სამჯერ გადაამუშავა, კონსტიტუციათა დიდი ნაწილი დაექვემდებარა რედაქტირებას. მის მიერ შეკრებილი იქნა 120 კონსტიტუცია, რომლებიც დაა-

გა 19 ტიტულად შინაარსის გათვალისწინებით და დაუმატა კონსტანტინე იმპერატორამდე IV ს. არსებული კოდექსი.<sup>1</sup>

აღსანიშნავია მესამე კოდექსი, რომელიც შეიქმნა აღმოსავლეთ რომის იმპერიაში 438 წელს იმპერატორ თეოდოს II-ის შედგენილ იურისტთა კომისიის მიერ, იგი 16 წიგნისგან შედგება, სადაც მოცემულია სამიათასამდე შემოკლებული და გადამუშავებული იმპერატორთა კონსტიტუციები, კონსტანტინე I-დან დაწყებული.<sup>2</sup> ეს კოდექსი 1631 წელს აღმოაჩინა იაკობ სირმონდიუსმა.

ამავე პერიოდში ჩნდება კერძო კრებულები, რომელთაგანაც ჩვენამდე რამდენიმე მოაღწია, მათ შორის აღსანიშნავია *Fregmenta Vaticana*, მისი ასეთი სახელწოდება დაკავშირებულია ვატიკანის ბიბლიოთეკაში მის აღმოჩენასთან. ეს კრებული ეხება IV საუკუნის ბოლოსა და V საუკუნის დასაწყისს და შეიცავს ნაწყვეტებს პაპინიუსის, პავლიუსის, ულპიანუსის და იმპერატორების კონსტიტუციებიდან. ცნობილია კრებული *Collatio legam Romanarum et Mosaicarum* ეხება V ს. ჩვ. წ. აღ. და შეტანილია გაიუსის, პაპინიუსის, პავლიუსის, მოდესტინიუსის თხზულებების ტექსტებში, იმპერატორების კონსტიტუციებსა და ებრაელი მოსეს ლოცვებში.

## §6. იუსტინიანოს კოდიფიკაცია

იუსტინიანე I (*Flavius Petrus sabbatius Justinianus*) დაბადებული უნდა იყოს 482 წელს ღარიბი გლეხის ოჯახში, ზემო მაკედონიის სოფელ ტაურისიაში, ბედერიანას მახლობლად. მისმა ბიძამ იმპერატორმა იუსტინემ, რომელსაც შვილი არ ჰყავდა, აღსაზრდელად ქალაქში ჩამოიყვანა, დისწული ძველი ბერძნული და რომაული კულტურის მდიდარ ტრადიციებზე აღზარდა და ბრწყინვალე განათლება მიაღებინა.

იუსტინე იმპერატორმა იგი თანამმართველად დანიშნა 518 წელს, ვიდრე გარდაიცვალებოდა. 527 წლის 1 აგვისტოდან იუსტინიანე რომის იმპერატორი ხდება. იმ დროს იგი 45 წლისა იყო და რომის იმპერიას 38 წელი, 7 თვე და 13 დღე მართავდა.<sup>3</sup> იმპერატორი იუსტინიანე (527-566)

1 იხ. О.А.Кудинов, Римское право, М. 2008 გვ/28

2 იხ. Р.А. Сафаров Римское право Р. иаД. 2008г. გვ 28

3 იხ. პროკოფი კესარიელი, საიდუმლო ისტორია, თბ. 1989. გვ.11

უკანასკნელია, ვინც მოახერხა აღმოსავლეთი და ყოფილი დასავლეთ რუმის იმპერიის დიდი ნაწილის გაერთიანება. ზოგიერთი ავტორის თანახმად, ეს არის რომის უკანასკნელი იმპერატორი, ხოლო სხვათა აზრით – პირველი ბიზანტიელი მმართველი. მის უმთავრეს მისწრაფებას წარმოადგენდა იმპერიის აღორძინება და ამ საქმეს მიუძღვნა მან მთელი თავისი მოღვაწეობა, იგი შრომობდა დღედაღამ, ხელმძღვანელობდა დევიზით „იმპერატორს არასოდეს არ სძინავს“ პირადად მონაწილეობდა უამრავ საქმეში, ადგენდა ბრძანებებს, აწარმოებდა გაცხოველებულ მიმოწერას, ერეოდა თავისი მხედარმთავრებისა და მინისტრების წვრილმან საქმიანობაშიც კი. ცხოვრობდა უბრალოდ, ცოტას ჭამდა და სვამდა, მისი ნახვა ხელმისაწვდომი იყო ყველასათვის. ყველას აოცებდა შრომის უნართა და ენერგიით, – გვაცნობს პროკოფი კესარიელი. იუსტინიანე აცნობიერებდა, რომ სამართლებრივი გაურკვეველობა წარმოადგენს რომაული ცხოვრების მოუწესრიგებლობას და უწინარეს ყოვლისა, jus-და Leges-ს შორის არსებული წინააღმდეგობების შედეგს. მას კარგად ესმოდა, რომ სახელმწიფო ემყარება არა მარტო იარაღის ძალას, არამედ - სამართალს. აქედან გამომდინარე, მან გადაწყვიტა განეხორციელებინა მთელი რომაული სამართლებრივი აქტები და jus-ი, და Leges-ის შემცველი წყაროების კოდიფიკაცია: განსაკუთრებით, სურვილი ჰქონდა, აღმოეფხვრა დიდი განსხვავება jus vetus-სა და jus novum-ს შორის. (ე.ი. კლასიკური სამართალმცოდნეობის შრომებში წარმოდგენილ ძველ რომაულ სამართალსა და რომის იმპერატორთა კონსტიტუციებიდან გამომდინარე, ახალ სამართალს შორის). ამ გზით სურდა შეექმნა ერთიანი სამართლებრივი სისტემა, რომლის წყალობითაც სტაბილურობა დაებრუნებინა სახელმწიფოსათვის.

რომის იმპერიაში საკოდიფიკაციო საქმიანობა ხორციელდებოდა იმ იურისტების დახმარებით, რომლებიც პრაქტიკული და თეორიული მოღვაწეობით იყვნენ დაკავებული. იურისპრუდენციას ქმნიდნენ სახელგანთქმული იურისტები, რომლებმაც მოახდინეს იმპერატორთა დადგენილებების კოდიფიცირება – Leges-ისა. კომისიამ შეიმუშავა Novus codex justinianus-იუსტინიანეს კოდექსი.

სავარაუდოდ, გადაწყდა სხვა ნორმატიული მასალის დამუშავებაც. უწინარეს ყოვლისა, იგულისხმება რომაული სამართლის ცნობილი კლასიკური იურისტების თხზულებები კრებულების სახელწოდებით – jus.

ასე შეიქმნა Digesta (pandectae). მოგვიანებით შეიქმნა სამართლის ოფიციალური სახელმძღვანელო – institutionise. ასე რომ, იმპერატორთა ძველ კრებულებს დაემატა ახალი და ამგვარად შეიქმნა kodex repetitae praeactionis. საბოლოოდ შედგენილ იქნა კონსტიტუციების კრებული – იუსტი-ნიანეს საკანონმდებლო მოღვაწეობის ნაყოფი, ნოველები – Novellae.

530 წლის 15 დეკემბერს იმპერატორის საგანგებო განკარგულების თანახმად, დიკესტების შესაქმნელად მუშაობას შეუდგა 15 იურისტისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც თავკაცობდა ტრიომონიანუსი, კომისიის შემადგენლობაში შედიოდა ტრიბინიუსის გარდა სამართლის ოთხი ცნობილი პროფესორი, თეოფილიუსი და გრაციანუსი კონსტანტინეპოლიდან, ღორეფეუსი და ანატილიუსი ბეირუთიდან, ერთი მაღალი რანგის მოხელე კონსტანტინუსი და II ადვოკატი, რომლებიც იმპერიის ადმინისტრაციაში მუშაობდნენ. ცოტა მოგვიანებით დიკესტების ავტორებს კომპილატორებად მოიხსენებდნენ, რადგანაც მათ კომპილაციის წესით გააერთიანეს რომაელ იურისტთა ნაშრომები. კომისიის წინაშე იყო უდიდესი შესასრულებელი სამუშაო, სისტემატიზაცია ესაჭიროებოდა დოკუმენტების მასას, იუსტინიანეს სიტყვებით, „ძველი კანონების უცოდინარობა ნიშნავს ახალი კანონმდებლობის შეუცნობადობას“. კომისიის წინაშე მდგარი ამოცანის გადაჭრა ნიშნავდა ორი ათასი წიგნის სისტემატიზაციას, ანუ 3 მილიონი სტრიქონის დაწერას. იუსტინიანე იმპერატორს კარგად ესმოდა ამ ზღვა მასალის დამუშავების სირთულე, რაც გამოიხატა სიტყვებში – „როგორც ღრმა ზღვაში, ისე შეიძლება ჩაძირულიყვნენ სწავლული იურისტები“ დასამუშავებელ მასალაში, მაგრამ მათთვის წლის სამუშაო 3 წელიწადში დაასრულეს და 533 წლის 16 დეკემბერს იმპერატორ იუსტინიანეს მიერ დამტკიცებული იქნა დიკესტები, რომელიც მთელი იმპერიის მოქმედ კანონმდებლობად იქცა.

დიკესტები იყოფოდა 7 ნაწილად და 50 წიგნად, მთლიანად მორიცავდა დაახლოებით 429-433 ტიტულს და 9200 ფრაგმენტს. გარდა ამისა დიკესტებში თავმოყრილი და სისტემატიზირებული იქნა 33 ცნობილი რომაელი იურისტის (I საუკ. ჩვ.წ.ად ვიდრე VI ს. ჩვ.წ.ად) რესპუბლიკური პერიოდის თხზულებათა ფრაგმენტები, როგორებიც იყვნენ კვინტუს მარცელიუს სცევიოდა, ელილია გალიუსი, ალფენ ვარიუსი (I ს. ჩვ.წ.ად) პრინციპატისა და იმპერიის პერიოდის იურისტები – პაპინიუსი, პავლუსი, ულპიანიუსი, გაიუსი და მოდესტინიუსი, დიკესტების 1/3 მოდის ულპი-

ნიანუსზე, ხოლო 1/6 ნაწილი პავლიუსზე. იუსტინიანეს სამართლებრივი რეფორმები არ შემოიფარგლებოდა კოდექსისა და დიგესტების შექმნით. მან საკმაო ადგილი დაუთმო სამართლებრივი სწავლების საკითხებს. ამ სფეროს ეწოდა „ინსტიტუციები“, რომლის მიზანი იყო უფრო გასაგები გამხდარიყო კოდექსი და დიგესტები. ამ სამუშაოს შესრულება მოემსახურებოდა ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს.

ამ შემთხვევაში, სამუშაოს შესრულება იმპერატორმა იუსტინიანემ მიანდო კვლავ ტრიბონიანუსს და ორ ცნობილ სამართლის პროფესორს თეოფილიანუსს და დოროთეუსს. დიგესტებზე არანაკლები სამუშაო სამი წლის განმავლობაში შესრულდა. კომისიამ საქმიანობა 530 წლის 21 ნოემბერს დაიწყო და დაასრულა 533 წლის ბოლოს. ინსტიტუციებიც კლასიკური სამართლის კომპილაციას წარმოადგენდა. იუსტინიანეს ინსტიტუციები, გაიუსის ინსტიტუციების მსგავსად, დაყოფილი იქნა 4 წიგნად: მოკლედ მათ შესახებ:

1. *Novus codex justinianus* (529წ) კოდექსი წარმოადგენდა იუსტინიანეს საკოდიფიკაციო მუშობის მხოლოდ დასაწყისს. კომისიას ტრიბონიანიუსი ედგა სათავეში და ხელმძღვანელობდა ადრე შექმნილი კოდექსებით და ახალი კონსტიტუციებით. ასე შეიქმნა იუსტინიანეს პირველი კოდექსი, რომელიც ძალაში 529 წელს შევიდა.

2. *Deigesta* დიგესტა ანუ *pandectae* – პანდექტა კოდიფიკაციის გარკვეული და მნიშვნელოვანი ნაწილია. შეიქმნა ახალი კომისია, რომელშიც შევიდნენ გამოჩენილი იურისტები, სამართალმცოდნეები, უმაღლესი სახელმწიფო მოხელეები და ადვოკატები ტრიბონიანუსის თავმჯდომარეობით. კომისიას მიზნად ჰქონდა დასახული მთელი *jus*-ის კოდიფიკაციის ჩატარება XII ტაბულის კანონებიდან დაწყებული პოსტკლასიკური პერიოდის რომის სამართლის წყაროებამდე. საბოლოო შედეგი იყო *Digesta* ანუ ბერძნულად *Pandectae*, *Jus*-ის დიდი კრებული, რომელიც ძალაში 533 წელს შევიდა. დიგესტები დაყოფილი იყო 50 წიგნად, რომლებშიც დამუშავებული იყო სამართლის ყველა საკითხი. წიგნები დაყოფილი იყო სათაურებად (ტიტულებად), ცალკეული ტიტულები - *titulus* იყოფოდა ფრაგმენტებად ავტორისა და იმ შრომების მითითებით, საიდანაც აღებული იყო ფრაგმენტი. ასეთმა სისტემამ მოგვიანებით შესაძლებელი გახადა, განხორციელებულიყო კლასიკური ეპოქის იურისტების ბევრი შრომის და პრეტორთა ედიქტების გადამუშავება. ამგვარად, კოდიფიკაციის ამ

ნაწილს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მთელი რომაული სამართლებრივი განვითარების ისტორიის შესწავლისათვის, ხოლო შინაარსის წყალობით, Digesta-ს ანუ Pandectae-ს აქვს ენციკლოპედიური ხასიათი.<sup>1</sup>

3. Institutiones ინსტიტუციები (533 წელი) ეს არის მოკლე ცნობარი, რომელსაც შესავლის ხასიათი აქვს და გათვალისწინებული იყო ახალგაზრდობისათვის („cupida legum juvenus“), მათთვის, ვისაც კანონების შესწავლის სურვილი ჰქონდა, რაზედაც უკვე გეჰონდა მსჯელობა.

4. იუსტინიანეს კოდექსი- Codex repetitae praelationis (534 წელი) იყო გადამუშავებული Novus codex justinianus-ის მიღებული იქნა Quinquaginta desisiones ორმოცდაათი დადგენილების საფუძველზე. ეს დადგენილებები გამოსცა იუსტინიანემ ტრიბონიანუსის გაელენით და მიზნად ისახავდა დიგესტებსა და ინსტიტუციებს ერთის მხრივ და იუსტინიანეს ახალ კოდექსს შორის არსებული წინააღმდეგობების აღმოფხვრას, მეორეს მხრივ. მაგრამ ეს გადაწყვეტილება პრაქტიკულად ვერ იქნა განხორციელებული და მის ნაცვლად დამუშავდა Codex repetitae praelationis. რომლებმაც ჩვენამდე მოაღწია. მისი მასალები დაყოფილია 12 წიგნად, ისინი, თავის მხრივ ტიტულებად იყოფა – ტიტულების ფარგლებში თავმოყრილი იყო კანონები (leges), კონსტიტუციები იმ ავტორთა აღნიშვნით, რომელთა ნააზრევს კოდიფიკატორები იყენებდნენ.

5. ნოველები. Novellae – ესაა გადამუშავებული ახალი მასალა, ანუ სხვადასხვა დარგის მოდერნიზაცია, რომლებიც იუსტინიანემ გამოაქვეყნა ინსტიტუციებზე, დიგესტებზე და კოდექსზე მუშაობის დამთავრების შემდეგ. ეს იყო 535-542 წლებში. კოდიფიკაციის ნაწილს წარმოადგენს იუსტინიანეს კანონშემოქმედებითი მოღვაწეობა, რომელიც სამართლებრივი ცხოვრების ყველა სფეროს მოიცავდა. მკვლევართა აზრით, „კორპუს იურის ცივილის“-ის ნაწილებთან შედარებით, „ნოველებში“ აშკარად იგრძნობოდა ქრისტიანული იდეების ზეგავლენა.

როგორც სჩანს, ქრისტიანული მოძღვრება იმ დროისათვის უკვე გადაქცეული იყო სამართლის იურიდიულ საფუძველად.

იუსტინიანეს კოდიფიკაციის ადგილი იურისპრუდენციაში უეჭველად

<sup>1</sup> იხ. И.С. Перетерский, Дигести Юстиниана. очерки по истории составления и общей характеристике м. 1954г



დიდია, თუ გავითვალისწინებთ მის შინაარსსა და იმ გავლენას, რომელიც ჰქონდა სამართლის შემდგომ განვითარებაზე, ეს არის უმნიშვნელოვანესი სისტემატიზირებული ნაშრომი არა მარტო ანტიკურ პერიოდში, არამედ სამართლის მთელი ისტორიის მანძილზე.

სისტემა, რომლითაც კომისია მუშაობდა, საშუალებას გვაძლევს, შევისწავლოთ მთელი რომაული სამართლის ისტორია ერთობლიობაში. ამასთან ერთად, სამართლებრივი მეცნიერების განვითარების დასაწყისი შუა საუკუნეებში დაკავშირებული იყო დივესტების შესწავლასთან, მათ უნდა უმაღლოდნენ თავიანთ წამოშობას გლოსატორების, პოსტგლოსატორების „ელეგანტური იურისპუდენციის“ და პანდექტიკების სკოლები.

რაც შეეხება იუსტინიანეს კოდიფიკაციას, „კორპუს იურის ცივილის“ სახელწოდება მოგვიანებით შეიძინა. 1583 წელს ფრანგმა პროფესორმა დენის (დიონიუსის) გოტოფრედუსმა (1549-1622), რომელმაც გამოსცა რომის სამართლის იუსტინიანესეული კრებული, მას უწოდა „Corpus Iuris Civilis“, „ადამიანის ხელით შექმნილი სამართლის ეს ბრწყინვალე ძეგლი, რომელმაც უდიდესი გავლენა იქონია თანამედროვე სამოქალაქო სამართლის ჩამოყალიბებაზე.“<sup>1</sup>

და ბოლოს, იუსტინიანეს ისტორიკოსის პროკოფი კესარიელის თხზულებაში „შენობათა შესახებ“ იუსტინიანე გამოყვანილია როგორც ღვთის ძაიერ წარმოგზავნილი დედამიწაზე, რომელსაც საიმპერატორო მისიის შესასრულებლად კავშირი ჰქონდა ღმერთთან, „საიდუმლო ისტორიაში“ კი იუსტინიანე წარმოდგენილია უკეთუ ბუნებრივ არსებად, რომელიც თეოლოგიური ტერმინოლოგიით შეიძლება ანტიქრისტესთან გაეაიგივოთ.<sup>2</sup>

მართლაც ასეა, როდესაც ეცნობი „საიდუმლო ისტორიას“, იგრძნობა იური სრულიად განსხვავებული პოზიცია, როდესაც იწერებოდა თხზულება „შენობათა შესახებ“. მას პირადად აკონტროლებდა იუსტინიანე იმპერატორი, პარალელურად, გასაიდუმლებულად პ. კესარიელი მუშაობდა „საიდუმლო ისტორიაზე“.<sup>3</sup> ჩვენი აზრით, ორივე თხზულებაში შეფასებები

1 იხ. ლ. ჭანტურია, შესავალი სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში თბ. 2000წ.გვ. II

2 იხ. B. Rubin, Das Zaitaiter Jus tivanus. Bertin. 1960 203-17; 440,545

3 ძველი რომის ისტორიის მკვლევარებს ვერ აუხსნიათ იმპერატორ იუსტინიანეს ნაბიჯი, როდესაც მან 529 წელს გააუქმა ათენის აკადემია, რომელიც ანტიკური აზროვნებისა და ფილოსოფიის უკანასკნელ საყრდენს წარმოადგენდა. იხ. И.А. Машкин, История Древнего Рима М 1947г.гვ 578

გადაჭარბებულია, მაგრამ თავის მოღვაწეობით და პრაქტიკული საქმიანობით, იმპერატორი იუსტინიანე I იმსახურებს შემდგომი თაობების პატივისცემას. შემთხვევითაც არ არის, რომ იუსტინიანესული კოდიფიკაციის დებულებები დიდი ხნის განმავლობაში გამოიყენებოდა ევროპაში, როგორც ბურჟუაზიული საზოგადოების სუბსიდიალური სამართლებრივი წესრიგის, აგრეთვე პირველი სამოქალაქო კოდექსების შემუშავების და ლიბერალური კაპიტალიზმის სასაქონლო ურთიერთობების დარეგულირების საშუალება. ამ მიმართებით მათ დღესაც არ დაუკარგავთ აქტუალობა.

## თავი მეთოთხეუბა

# როგაული საგართლისა და იუსტიანესული კოდიფიკაციის გავრცელება

### §1. იუსტიანესული კოდიფიკაციის ეპოლუსია ბიზანტიაში

თითქმის ორი საუკუნის მანძილზე, იუსტიანესული კოდიფიკაცია ბიზანტიაში მნიშვნელოვანი ცვლილებების გარეშე გამოიყენებოდა, მაგრამ რამდენადაც კოდიფიკაცია ლათინურ ენაზე იყო შესრულებული (სოველების გარდა), ხოლო ბერძნული ენა, მნიშვნელოვან სამსახურებრივ ენას წარმოადგენდა, იუსტიანიანემ ნებართვა გასცა, რომ მისი კოდიფიკაცია გადაეთარგმნათ ბერძნულ ენაზე) (Kata podes), რათა პარალელურად მომხდარიყო ინდექსების (indices) სისტემატიზირება და (paratitla) განმეორებათა აღმოფხვრა.

მიუხედავად იმისა, რომ იუსტიანიანემ აკრძალა, მისი თანხმობის გარეშე მოეხდინათ კოდიფიკაციის ტექსტის კომენტირება, ან გასწორება. იმდროინდელი და შემდეგი პერიოდის გამოჩენილი იურისტები თეოფილუსი, დოროთეუსი სტეფანიუსი, კირილუსი და სხვები, ახდენდნენ კოდიფიკაციის ნაწილის კომენტირებას და ეწეოდნენ ძველი ტექსტების ადაპტირებას ჰეოდალური წყობის ახალ პირობებთან, რაც ბიზანტიური ეპოქისათვისაა დამახასიათებელი.

„VI საუკუნეში შედგენილ კომპილაციებს ადაპტირება უნდა განეცადათ სხვა ეპოქის საზოგადოების მიმართ. აღმოსავლეთში, სადაც იმპერია დარჩა იუსტიანიანეს კომპილაციებზე, უარი თქვეს უფრო მარტივად და ხელმისაწვდომი ძეგლების სასარგებლოდ.“ მეორეს მხრივ, შემდგომი პერიოდის რომაული კომპილაციები ალარიხის გაუბრალოებელ გამოცემებშიც კი უკიდურესად რთული იყო. ამიტომ, ბიზანტიის მეფეებიც ცდილობდნენ იუსტიანიანესული კოდიფიკაციის დებულებების გამოყენებას. ამასთანავე, ქმნიდნენ ახალ კონსტიტუციებს და მთელ კრებულებსაც

კი ბიზანტიური საზოგადოების ახალი საზოგადოებრივ-ეკონომიკური პირობებისათვის მათი მორგების მიზნით.

ლეონ ისაურიელმა, ცნობილმა ხატმებრძოლმა, გამოსცა Eklogi ton nomen-ი (740წ) და სამი კრებული: nomos georgikos (სოფლის კანონი), (nomos Rhodion) (ზღვის კანონი) და nomos strategikon (სამხედრო კანონი)

მეფე ვასილ მაკედონელმა (867-886) იუსტინიანესული კოდიფიკაცია სამი კრებით შეცვალა: Proherion, Epanagoga და Vasiliki. მათგან უმნიშვნელოვანესი Vasiliki იყო, რომელიც ვასილ მაკედონელმა დაიწყო და ლეონ VI ბრძენმა (886-911) დაამთავრა. ბაზილიკები ეს არის იუსტინიანისეული კოდიფიკაციის მთლიანი გადამუშავებულ მასალათა ერთიანობა.

ამ კოდიფიკაციის შემდეგ იურისტებს და კომენტატორებს გაუჩნდათ ინტერესი იმ კრებულის შინაარსის მიმართ, რომელსაც მოჰყვა Heksabibios ანუ კონსტანტინე გერმანოპულოს 1345 წლის ექვსწიგნეული.

## §2. იუსტინიანისეული კოდიფიკაციის რეცეფცია დასავლეთში

იუსტინიანისეული კანონმდებლობა ძალაში შევიდა იტალიაში 554 წელს. ეს მოხდა განსაკუთრებული კოდიფიკაციით, რომელიც მიღებულ იქნა პაპ ვერგილიუსის თხოვნით, ე.ი. sanctio pragmatica pro petitione Virgili-ა. იტალია იუსტინიანეს გარდაცვალების შემდეგ მალე მოექცა ლანგობარდების ძალაუფლების ქვეშ. ლანგობარდი მეფეები და სხვა გერმანელი ხელმწიფეები ქვეყანაში ურთიერთობების მოსაწესრიგებლად ადგენდნენ საკუთარ კრებულებს. აღსანიშნავია, რომ იუსტინიანისეული კოდიფიკაციის გავლენა იგრძნობა არა მარტო ამ კრებულებში, არამედ კათოლიკური ეკლესიის კანონიკური სამართლის ფორმულირებაში, რომელსაც დიდი გავლენა და მნიშვნელობა ჰქონდა დასავლეთ რომის იმპერიის ტერიტორიაზე.

კერძო საკუთრებაზე ორიენტირებული იუსტინიანეს კოდიფიკაცია გავლენას კარგავს ფეოდალიზმის ეპოქაში, როდესაც სასაქონლო წარმოებისადმი ინტერესი არ არსებობდა და ეყრდნობოდა ნატურალურ ეკონომიკას. ამ დროს დაიწყო საქალაქო მეურნეობისა და ვაჭრობის განვითარება ბიზანტიასა და მეზობელ ქვეყნებს შორის, რამაც იუსტინიანეს კოდიფიკაციისა და რომის სამართლისადმი ინტერესი გაზარდა.

ღდასავლეთ ევროპაში კულტურული აღორძინების პერიოდი იწყება XI და XII საუკუნეების მიჯნაზე, საიდანაც ფაქტობრივად იწყება რომის სამართლის რეცეფცია. ამ პერიოდიდან მოყოლებული, ქალაქებისა და აღებ-მიცემობის განვითარებამ გამოიწვია რომის სამართლის რეცეფცია დასავლეთ ევროპის ქვეყნებში.<sup>1</sup> სწორედ ძველი თაობის ევროპელმა იურისტებმა ხელახლა აღმოაჩინეს რომის სამართალი და დაუკავშირეს პრაქტიკას.

ძირველები, ვინც იუსტინიანეს დიგესტების მეცნიერული შესწავლა დაიწყო, გლოსატორების სკოლა აღმოჩნდა. ამ სკოლის მოღვაწეობას საფუძველი ჩაუყარა ირნერიუსმა, რომელმაც ბოლონიის უნივერსიტეტში ხელი მიჰყო რომაული სამართლის შესწავლას მის სახელს უკავშირდება კოდიფიკაციის ორიგინალური განმარტებების შექმნა. მის მიმდევრებად ითვლებიან სამართლის დოქტორები: მარტინიუსი, ვულგარიუსი, იაკობუსი და ჰუგო.

რომის სამართლის აღორძინება დაბადებიდან თითქმის ხუთი საუკუნის შემდეგ მოხდა. ბოლონიის უნივერსიტეტის პროფესორებმა უნივერსიტეტის წიგნთსაცავში იპოვეს იუსტინიანეს კრებული, რომლის გერ კვლევით, შემდეგ კი იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლებით, საფუძველი ჩაუყარეს ფართომასშტაბიან პროცესს, რომელიც რომის სამართლის რეცეფციის სახელითაა ცნობილი.<sup>2</sup>

„საფრანგეთში, მაგალითად, რომაული სამართალი ყველგან აღიარებული იყო, როგორც „წერილობითი გონი“ მისი ავტორიტეტის გამო და არა იმიტომ, რომ მის უკან რაიმე ძალაუფლებრივი საწყისები იდგა.“<sup>3</sup>

ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან ბოლონიასა და იტალიის სხვა ქალაქებში ბევრი ახალგაზრდა ჩამოდიოდა რომაული სამართლის შესასწავლად. ამ სამართლის სკოლების სტუდენტები სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მშობლიური ქალაქების წესდებებში რომაული სამართლის იდეებს ათავსებდნენ. მათ შორის იყო გლოსატორების მიერ დამუშავებული იუსტინიანესული კოდიფიკაციის ნაწილები. იუსტინიანეს კოდექსის დამუშავების შემდეგ გაჩნდა ნაშრომი „Clossa ordinaria,“ რომელიც დაწერა აკურსიუსმა (XII ს. შუახანა).

1 იხ. შუა საუკუნეების სამართალი ტ. II თბ. 1962წ. გვ 4

2 იხ. ლ. ჭანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, 2000წ. გვ. 12

3 იხ. რ. დავიდი დას. ნაშრ. გვ. 59

გლოსატორების ძირითად ამოცანას წარმოადგენდა რომაული სამართლის შესწავლა იუსტინიანეს კოდიფიკაციის მოქმედ სამართლებრივ ჭრილში მისი პრაქტიკაში გამოყენებისათვის, მაგრამ XIII საუკუნის შუახანებიდან ვითარდება შექცევის ახალი მეთოდი, რომელსაც წარმატებით იყენებდა კომენტატორების, ანუ პოსტგლოსატორების სკოლა. ამ სკოლის წარმომადგენლებმა რომაული სამართალი მთარგმნეს ცხოვრების ახალ პირობებს, პრაქტიკულ საჭიროებებს, ქმნიდნენ რა აბსტრაქტულ იურიდიულ ცნებებს – კონკრეტული გადაწყვეტილებებიდან გამოქონდათ ღასკენები და ჩამოაყალიბეს ახალი დეფინიცია და კონცეფცია, თავიდან ამ საქმიანობას რომაელებს მიაწერდნენ, სინამდვილეში კი გლოსატორების და პოსტგლოსატორების სკოლების მოღვაწეობის ნაყოფს წარმოადგენდა.

„სამართლებრივ მეცნიერებას მთელს კონტინენტურ ევროპაში საუკუნეების განმავლობაში სამართლის შესწავლის ერთი და იგივე ბაზა ჰქონდა“ – რომაული და კანონიკური სამართალი. ამ მეცნიერების გამოყენების მეთოდები შეიძლებოდა სხვასასხვა დროსა და სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული ყოფილიყო. გლოსატორების სკოლა პოსტგლოსატორების ანუ კომენტატორების სკოლით შეიცვალა, რომლებიც თავის მხრივ, ჰუმანისტებმა და პანდექტისტებმა შეცვალეს.“<sup>1</sup>

პოსტგლოსატორების, ანუ კომენტატორების გამოჩენილი წარმომადგენლები არიან: ცინიუსი, ბართოლიუსი, ბალიუსი და სხვები.

რომაული სამართლის დანერგვა პრაქტიკაში უშუალოდ ზორციელდებოდა გერმანიაში, მმართველთა ბრძანებულებებით. ამას მრავალი მიზეზი ჰქონდა: ჯერ ერთი, გერმანელი მბრძანებლები საკუთარ თავს თვლიდნენ რომაელ იმპერატორთა კანონიერ მემკვიდრეებად, მეორე – მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ფეოდალური დაქუცმაცებულობა და ა.შ. იმპერატორ მაქსიმილიანე პირველის ბრძანებით, 1495 წელს, გლოსატორებისა და პოსტგლოსატორების მიერ დამუშავებული რომაული სამართალი რეცეფცირებული იქნა, – ამის შედეგად ჩამოყალიბდა ახალი სამართლებრივი ნორმები, რომლის თანახმადაც გერმანიის იმპერიის უმაღლეს სასამართლოს შექმლო ემოქმედა ისე, როგორც მხარეები მოითხოვდნენ. სამართალი, რომელსაც იუსტინიანეს კოდიფიკაცია შეიცავდა, განიხილებოდა როგორც სუფსიდიალური სამართალი (გამოიყენებოდა მხარეთა თხოვნით მაშინაც, როდესაც არ იყო სამართლებრივი ნორმები

<sup>1</sup> იხ. რ. დაეიდი დას. ნაშ. გვ. 86

კონკრეტულ ურთიერთობათა მოწესრიგებისათვის) და როგორც ზოგადი სამართალი, ერთიანი სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე. რომაული სამართალი, როგორც სუბსიდიური სამართალი, იქცა ძირითად სამართლად, რომელსაც უპირატესობას ანიჭებდნენ.

ამ სამართლებრივი ნორმების მიხედვით, მოდავე მხარეები ეგუებოდნენ აზრს, რომ სასამართლო მოქმედებდა რომაული სამართლით მაშინ, როდესაც იყენებდა იმპერატორის სამართალს. ვალდებული იყო დაემტკიცებინა არა მხოლოდ სასამართლოს მიერ განხილული ფაქტები, არამედ ელიარებინა მეფის შესაბამისი ბრძანებულებების შინაარსი.

რომის სამართლის სამეცნიერო-პრაქტიკული რეცეფცია დასავლეთ ევროპაში გაგრძელდა XIII -XIV საუკუნეებში. იმ პერიოდის იურისტებს უწოდებდნენ კომენტატორებს ანუ პოსტგლოსატორებს. რეცეფციის ახალი ეტაპის დასაწყისად იქცა ესპანეთის ფილოსოფიურ და იურიდიულ მეცნიერებაში რომაული სამართლის დეკლარირება. განსაკუთრებით აღსანიშნავია ესპანელი მოაზროვნის რაიმონდ დულიევესის (1235-1315)

ნაშრომები და შედარებით ახალი თაობის იტალიელ იურისტთა ბართოლიუსის (1314-1357წ.წ.) და ბალდოუსის (1327-1400წ.წ.) თხზულებები.

რომაული სამართლის ნორმები შედიოდა ახალ კრებულებში, რომელიც ევროპაში იქმნებოდა კაპიტალის პირველადი დაგროვების პერიოდში. რომაული სამართალი შესაბამისობაში მოდიოდა ახალგაზრდა ბურჟუაზიული კლასის ინტერესებთან, და ეს სამართალი მიღებულ იქნა არა მარტო გერმანიაში, არამედ ინგლისში, პოლანდიაში, საფრანგეთში და ევროპის სხვა ქვეყნებში. რომაული სამართლის ასეთი გავრცელება იწვევდა გლეხების გაღიზიანებას, რომლებიც ომების, აჯანყებების და უკმაყოფილების სხვა ფორმებით გამოხატვის გარდა, ეწეოდნენ ბრძოლას იმისთვის, რომ სამართლის ყველა დოქტორი განდევნილი ყოფილიყო სახელმწიფოს ტერიტორიიდან, „იურისტები ყველაზე ცუდი ქრისტიანები არიან“—ასკენიდნენ ისინი.

XV -XVI საუკუნეების მიჯნაზე გაჩნდა ახალი მიმართულება სამართლის მეცნიერებაში, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული იუსტინიანესეული კოდიფიკაციის ნორმებთან. ეს იყო ისტორიულ-სამართლებრივი ანუ „ელეგანტური იურისპრუდენციის“ სკოლა. ასე იმის გამო უწოდებდნენ, რომ მისი წარმომადგენლები მიისწრაფოდნენ ელევანტური სტილისაკენ. ისინი ემყარებოდნენ რა ჰუმანიზმის და რენესანსის იდეებს, სწავლობდნენ რომაული სამართლის ისტორიას და სამართლის ორიგი-

ნაღურ ანტიკურ წყაროებს. ამ სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენლები არიან იტალიელი ალკიატუსი, ფრანგი ბუდლიაუსი, გერმანელი ცასიუსი.

მათ შორის არიან ფრანგი იურისტები ჟ. კუიაციუსი (1522-1590წ.წ.) და დენის გოტოფრედუსი, (1549-1622წ.წ) რომელმაც პირველმა 1583წ. გამოსცა იუსტინიანეს კოდიფიკაცია სახელმწიფოებში *Campus iuris civilis*, (კორპუს იურის ცივილის) ამასთან, გამოიყენა ახალი გამოგონება-სტამბა.<sup>1</sup>

ასევე აღსანიშნავია გერმანელი ფილოსოფოსისა და იურისტის ი.გ. გეინეკის (1681-1741წ.წ) მოღვაწეობა, რომელმაც თავის ნაშრომებში გააძლიერა რომაული დოგმატები, რომელიც მთარგო თანამედროვე ფილოსოფიურ-სამართლებრივ კულტურას.

რომაული სამართლის დებულებათა პრაქტიკულ შესწავლას ხელი მიჰყევს კამერალისტებმა (უმაღლესი სასამართლოს დასახელებიდან) ანუ პანდექტიკებმა (*Pandectae* – იუსტინიანესეული კოდიფიკაციის უმნიშვნელოვანესი ნაწილის ბერძნული დასახელება). მათ დაამუშავეს კოდიფიკაციის უმთავრესი ნაწილები დროის მოთხოვნათა შესაბამისად.

ახლებურად ფორმირებული რომის სამართალი XVI საუკუნეში წამყვან ელემენტად იქცა იტალიის, საფრანგეთის, განსაკუთრებით გერმანიის, ესპანეთის იურიდიულ მეცნიერებაში. ამ ახალი სამართლის დასახელებად იქცა *usus moerum handectarum*. მაგ. გერმანიის სასამართლოებისათვის მითითებული იყო, რომ პირველ რიგში გამოეყენებინათ რომის პანდექტური სამართალი, რომელიც იყო ფორმულირებული გლოსატორებისა და კომენტატორების ნაშრომებში და შემდგომ – ნაციონალური.

საქ შეიქმნა ახალი პანდექტური სამართალი, რომელიც არ იყო რომაული, თუმცა გამომდინარეობდა მისგან. ამ სახით შემორჩა ისტორიას და ვითარდებოდა XIX და XX საუკუნეებშიც.<sup>2</sup>

ბუნებითი სამართლის სკოლა გაჩნდა XVII საუკუნეში, მისი დამფუძნებელია გრიციუსი. ეს სკოლა ცდილობდა ისეთი სამართლებრივი წესრიგის შექმნას, რომელიც დამყარებული იქნებოდა ადამიანის გონებისა და ადამიანური ბუნების პრინციპებზე. ეს წესრიგი უნდა ყოფილიყო მუდმივი და უცვლელი. მისი წარაფორმდნენ რა ერთიანი მოწესრიგებული რაციონალური სამართლებრივი ურთიერთობისაკენ, ცდილობდნენ, გვერდი აეველოთ საოჯახო და საჯარო რომაულ სამართალს შორის არსებული სხვაობისათვის. ამ სკოლის გავლენით XVII და XIX საუკუნეებში მი-

<sup>1</sup> იხ. О.А. Омельнико, Римское право, М. 2008г. გვ 41



დებულ იქნა სამართლის ნორმათა ერთობლიობა, რომელიც წარმოადგენს ლიბერალური კაპიტალიზმის პერიოდის ბურჟუაზიულ სამოქალაქო კანონმდებლობას. მათ შორის ყველაზე უფრო ცნობილია 1804 წლის ფრანგული სამოქალაქო კოდექსი – code civile. ამ კანონმდებლობით დაფიქსირდა პრაქტიკაში რომაული სამართლის უშუალო გამოყენება, განახლებული ისტორიული სკოლა თვლიდა, რომ სამართალი და სამართლებრივი წესრიგი არ წარმოადგენს ადამიანური ბუნების და ადამიანის გონების აბსტრაქტულ ანარეკლს, მაგრამ გამომდინარეობენ ცალკეული ხალხის ეროვნული ბუნების და ნაციონალური თვისებებიდან, რაც ხელს არ უწყობდა რომაული სახელმწიფოსა და რომაული სამართლის შესწავლის განვითარებას.

რომაული სამართლის, ანუ უფრო ზუსტად, იმ მეცნიერების პროგრესი, რომელიც რომაულ სამართალზე აიგო, მრავალ ქვეყანაში ოფიციალურად იქნა აღიარებული კერძო და ოფიციალური კომპილაციების წყალობით.<sup>11)</sup>

სწავლულები, ვინც მოვლენების განვითარებას ამგვარად ხედავდა, არიან: სავინი, პუხტა, იერინგი, მომზენი, ბრუნჩლი, ბონფანტი, არანგორუიზი, ვენგერი, კასერი და სხვები. რომაული სამართლის ისტორიის ის მკვლევარები, რომლებიც ამოდიან ისტორიულ-მატერიალისტური და დიალექტიკური მეთოდებიდან, ცდილობენ რა რომის სახელმწიფო და სამართალი განიხილონ საზოგადოებრივ-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების შესაბამისად.

სულ სხვა ღირებულებებს ხედავს რომაულ სამართალში რ. დავიდი, მის აზრით, „რომაული სამართლის შესწავლის აღორძინება ნიშნავდა, რომ სამართალში დაწყებულია რომაული სამართლის ტერმინების გამოყენება, მისი სტრუქტურით და ცნებებით სარგებლობა) სამართლის დაყოფა კერძო და საჯაროდ, უფლებების კლასიფიკაცია სანივთოდ და პირადულად, სარგებლობის, სერვიტუტის, ბრალის ცნებები, დებულებები წარმომადგენლობასა და ქირავნობაზე, შეითავსეს იმ იურისტებმა, რომლებიც რომაული სამართლის ბაზაზე აღიზარდნენ, რომაული სამართლის სწავლების აღორძინება–აი რა არის მთავარი.“<sup>12)</sup>

რ. დავიდი თვლის, რომ რომაული სამართლის აღორძინება ჯერ კიდევ არ ნიშნავს რომაული სამართლის რეცეფციას. მისი აზრით, უპირველეს

1 იხ. რ. დავიდი, თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები, თბ. 1993წ. გვ. 61  
2 იქვე გვ. 57

ყოვლისა, ეს ნიშნავს ევროპაში რომის იმპერიის დაცემის შემდეგ და-  
კარგული სამართლის გრძნობის, მისი-ღირსების, წესრიგის უზრუნველ-  
ყოფისა და საზოგადოების პროგრესისათვის მისი მნიშვნელობის აღდგე-  
ნას. შორეულ აღმოსავლეთში, პირველყოფილ საზოგადოებაში უფრო  
სამომრიგებლო პროცედურას. არბიტრაჟს, მორიგების და კომპრომისის  
ძიებას, სამართლიანობას ენდობოდნენ ვიდრე სამართალს, უნივერსიტე-  
ტებმა დაიჯერეს სამართლის მისია, ის შეუცვლელი როლი, რაც მას  
საზოგადოებაში უნდა შეესრულებინა.

ეს სწორედ დამოკიდებულია მისი რეცეფციისაგან. რომაული სამარ-  
თლის სწავლების აღორძინება კანონიერების იმ პრინციპის აღორძინებაა,  
რომელიც სამართალში სამოქალაქო წესრიგის საფუძველს ზედავს.<sup>1</sup>

„ბიზანტიის იმპერია, რომელმაც მთელი ათასი წელი იარსება, სამარ-  
თლის ისტორიაში სწორედ იმით არის ცნობილი, რომ აქ, ისე როგორც  
არსად შუა საუკუნეების ევროპისა და აზიის ფეოდალურ ქვეყნებში, სრუ-  
ლი კერძო საკუთრების პრონციპებმა თვით მოქმედ სამართალში ჰპოვა  
თავისი კლასიკური გამოხატულება და გაფორმება.“<sup>2</sup>

რ. დავიდი რომანულ-გერმანული ოჯახის ჩამოყალიბების საქმეში რო-  
მის სამართალს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა, მისი აზრით, გერმანი-  
აში განხორციელებული ცდები – შექმნილიყო გერმანული სამართლის  
სისტემა, რომელიც რომაულ სამართალს დაუპირისპირდებოდა, ნათლად  
მოწმობს ამგვარ განზრახულობათა სისტემატიზაციას. XVIII საუკუნიდან  
ცდილობდა ზოგიერთი ავტორი, რაც ძალიან გვიან გამოჩნდა საიმისოდ,  
რომ რომაული სამართლისათვის მეტოქეობა გაეწია.<sup>3</sup>

ასეთ მცდელობებს სხვა ევროპული სახელმწიფოების სამართალშიც  
პქონდა ადგილი, მაგრამ რომის სამოქალაქო სამართალმა ურყევად შეი-  
ნარჩუნა თავისი პოზიციები.

1 იხ. რ. დავიდი, თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები, თბ. 1993წ. გვ. 56

2 А. Н. Бернштам, Очерк истории Гуннов Л. 1951г гв 190

3 იხ. რ. დავიდი, თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები, თბ. 1993წ. გვ. 62

## თავი მეთხუთმეტი

# იმაკრიის პერიოდის რელიგია და საგარეო

### §1. რომის სახელმწიფო და რელიგია

რომი ათასი წლის წინათ ქრისტეს მოსვლამდე, მსოფლიოს ყველა ხალხი, გარდა იუდეველებისა, კერპებს სცემდა თავიანთს, მათ შორის კულტურულად ყველაზე დაწინაურებული ბერძნები და რომაელებიც კი. ქრისტეს მოსვლის წინ პოლიტიკურად ყველაზე ძლიერი სახელმწიფო რომაელებს ჰქონდათ. მათი რელიგია უგუნური კერპთაყვანის-მცემლობისა და უხეში და შესაბრალოსი ცრუმორწმუნეობის უცნაურ ნარევს წარმოადგენდა. დაპყრობილი ხალხის ძარცვის ხარჯზე გამდიდრებულ რომში, სადაც საკუთარი ღმერთების აღარ სჯეროდათ და მხოლოდ ტრადიციის ძალით ემსახურებოდნენ, ჭეშმარიტი ღმერთის ძიების სურვილიც კი ჩაზნობილი იყო. საკუთარი რელიგიისადმი გულგრილად განწყობილი რომაელები დაპყრობილი ხალხების რელიგიების მიმართაც გულგრილ დამოკიდებულებას ამჟღავნებდნენ,<sup>1</sup> – ვკითხულობთ ახლად გამოცემულ ქრისტიანული ეკლესიის ისტორიაში. წარმართობის გამო რომი გადაქცეული იყო ქანდაკებათა სამყაროდ,<sup>2</sup> სადაც ბერძნულ-რომაული მითოლოგიის პერსონაჟურ ღმერთთა გვერდით მთელი რიგი ეგვიპტური და სირიული წარმოშობის ღმერთთა ქანდაკებებიც იდგა. რომში ქრისტიანული მოძღვრების ქადაგება დაკავშირებულია პავლე მოციქულთან მხოლოდ ვაწეობასთან „ნა წელს იგი რომში როგორც ტყვე, ისე ჩავიდა, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია იმისათვის, რომ მის ქადაგებას თავისუფლად შეეღწია რომაელთა გულებში და წარმატებული რომის სულიერი და ზნეობრივი წყვდიადი სიყვარულითა და სათნოებით გაენათებინა.“<sup>3</sup> პავლე მოციქულმა იმპერატორ ნერონზეც კი მოახდინა გავლენა, ამით საშუა-

1 ქრისტიანული ეკლესიის ისტორია, შემდ. გ. კოლიტაძე თბ. 2007წ გვ.3

2 რომში 140 ღმერთსა და ქალღმერთს სცემდნენ თავიანთს.

3 სხვა ეერსიით, პავლე მოციქული სიყვდილით დასაჯეს

ლება მიეცა რომიდან კუნძულ კრეტაზე გამგზავრებულიყო სახარების საქადაგებლად.

ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნიდან, რომის იმპერიაში ქრისტიანობამ თავის განვითარების ორი ეტაპი განვლო „ეპისტოლური ეკლესია“ (I და II საუკ. საუკუნის დასარული) და „საეპისკოპო ეკლესია“ (II საუკუნის ბოლოდან დაწ.) II საუკუნიდან ქრისტიანობის გავრცელებამ გაცილებით ფართო და ორგანიზებული ხასიათი მიიღო, რამაც გამოიწვია საეკლესიო აპარატის ჩამოყალიბების აუცილებლობა, ერთის მხრივ, და, მეორეს მხრივ, შეცვალა ხელისუფლების დამოკიდებულება მის მიმართ, თუმცა რომში ქრისტიანობის გავრცელებას უმტკინეულოდ არ ჩაუვლია. თავიდანვე მას უფრო მეტი მოწინააღმდეგე ჰყავდა, ვიდრე მომხრე, უპირველეს ყოვლისა, ხელისუფლებაში, რადგანაც თავიდან რელიგია ჩაგრულთა იდეოლოგიად იქცა. თუმცა II საუკუნიდან, იგრძნო რა მისი ძალა და მნიშვნელობა ელიტამ და წარჩინებულთა ფენამ, რელიგია საკუთარი ინტერესების სფეროში მოაქცია.

თვითონ რომი მესამე საუკუნის დასასრულსა და მეოთხე საუკუნის დასაწყისში, როგორც მსოფლიო სახელმწიფო, მხოლოდ გარედან ინარჩუნებდა ერთიანობას, სინამდვილეში კი იგი უკვე ორ ნაწილად იყო გაყოფილი. აღმოსავლეთ რომში, ბოსფორის სრუტისა და მარმარილოს ზღვის შესაყარში, ძველი ბერძნული კოლონიის, ბიზანტიის ადგილზე, ახალი სატახტო ქალაქი ააგო იმპერატორმა კონსტანტინემ (306-337წწ). კონსტანტინეპოლის (კონსტანტინეს ქალაქი) კურთხევა შედგა 330 წლის II მაისს „დიდი ზორვითა და ზარზეიმით“.

IV საუკუნიდან, ეკლესია თვითონ ისწრაფვის ხელისუფლებასთან დაახლოებისაკენ. გაჩნდა მოწოდებები „ღმერთის გემინოდეს, მეფისაგან ისწავლეთ“, „მონებო ილოცეთ ღმერთისა და მეფისათვის“ და ა.შ.

რომის იმპერატორთაგან სწორედ კონსტანტინე იყო პირველი, რომელმაც გონივრულად შეაფასა ქრისტიანობის ძალა და სარგებლიანობა მონარქიული ხელისუფლებისათვის. მძლავრი კრიზისით შერყეულ იმპერიას ერთიანი მონოთეისტური რელიგიურ-იდეოლოგიური საძირკველი სჭირდებოდა, ხოლო ასეთ „ერთიან იდეოლოგიად“, მაშინდელი მრავალღმერთიანული რელიგიებისაგან განსხვავებით, ქრისტიანობა უნდა გამომდგარიყო, ამიტომ კონსტანტინემ დაგმო მის წინამორბედ იმპერატორთა პოლიტიკა და ქრისტიანობა მთელს იმპერიაში ნებადართულ მოძღვრებად გამოაცხადა, ხოლო 324 წელს იგი სახელმწიფო რელიგიად

ადიარა, მისივე ნებით 325 წელს ქალაქ ნიკეაში მოწვეულ იქნა პირველი მსოფლიო საეკლესიო კრება.)

მორწმუნეთა შორის IV საუკუნიდან ჩამოყალიბდა ორი მიმდინარეობა, პირველს ეკუთვნოდა ხალხის დიდი მასები, რომელთაც სჯეროდათ ღმერთის ძალით მათი ქვეყნიური პრობლემების მოგვარების, ეს იყო ძირითადად ღარიბი ფენა მოსახლეობისა.

მორწმუნეთა მეორე ჯგუფს შეადგენდა მცირე ჯგუფი მასწავლებლებისა, რომლებმაც წამოაყენეს რელიგიური დოგმატიების მტკიცედ შესრულების მოთხოვნები.

რომაული ეკლესიის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენდა ეპისკოპოსთა კრებები, რომლებიც ძირითადად ტარდებოდა კართაგენში, რომში, ალექსანდრიასა და ანტიოქიაში - ასეთ ქალაქებს უწოდებდნენ „დედაქალაქს“, დანარჩენი ქალაქების ეპისკოპოსები ემორჩილებოდნენ მიტროპოლიტ ეპისკოპოსს.

დიოკლეთიანეს რეფორმების შემდეგ ეკლესიამ მიიღო დიოცეზებად დაყოფის უფლება.

ეკლესიის ძირითადი დაფინანსების წყარო იყო შეწირულობანი. ფინანსურ და ბევრ სხვა საკითხთან დაკავშირებით, ეკლესიებს შორის არსებობდა შიდა წინააღმდეგობანი. ამას ემატებოდა რომის იმპერიის სიდიდე და მოსახლეობის სიჭრელე რწმენასთან მიმართებაში და არა მარტო.

ისტორიაში ცნობილია დიოკლეთიანეს სისასტიკე ქრისტიანული ეკლესიების მიმართ, ის ებრძოდა ქრისტიანულ მოძღვრებას და ანგრევდა ეკლესიებს, მაგრამ ვერ შეძლო ქრისტიანული ერთიანობის განადგურება. III წლიდან დიოკლეთიანეს მემკვიდრემ შეწყვიტა ეკლესიასთან ბრძოლა, მაგრამ იტალიასა და აფრიკის მმართველი მაქსენტუსი დიოკლეთიანეს პოზიციაზე რჩებოდა.

გალიის მმართველმა კონსტანტინემ ისარგებლა ქრისტიანთა დახმარებით და დაამარცხა მაქსენტუსი, გამარჯვების შემდეგ კონსტანტინემ და მცირე აზიის მმართველმა დიცინიუსმა ქ. მილანში შეხვედრაზე მიიღეს გადაწყვეტილება მმართველთა მხარდაჭერით, პალესტინაში სამართლებრივად ელიარებიანთ ქრისტიანული რელიგია, ამან საფუძველი ჩაუყარა რომის იმპერიის უდიდეს ნაწილში ქრისტიანული რელიგიის დამკვიდრებას.

(321 წელს კონსანტინე იმპერატორმა ეკლესიას მიანიჭა იურიდიული პირად სრული უფლებამოსილება. ამიერიდან, ეკლესიას შეეძლო მიეღო ქონება ანდერძით. ეკლესიის საკუთრების უფლება კიდევ უფრო განმტკიცდა 434 წ. თეოდოს II მიერ მიღებული კანონის საფუძველზე, რომლის მიხედვითაც, ეკლესიას რჩებოდა გარდაცვლილ მსახურთა ქონება, თუნდაც არ ყოფილიყო შედგენილი ანდერძი.)

IV საუკუნეში ეკლესია იქცა პრივილეგირებულ ორგანიზაციად, რამაც ხელი შეუწყო მისი ეკონომიკური პოტენციალის ზრდას, რომლის ერთ-ერთ ძირითად წყაროდ იქცა იმპერატორთა გულუხეობა ეკლესიის მიმართ.

ეკლესიის პრივილეგირებულობა აისახა კანონმდებლობაშიც. 318 წლის 29-ივლისს კონსტანტინე იმპერატორმა საეპისკოპოსო სასამართლო სახელმწიფო სასამართლოსთან გაათანაბრა, 321 წელს კი იმპერატორმა სამართლებრივი შუქი აუნთო საეპისკოპოსო სასამართლოს, რომლის გადაწყვეტილებაც სავალდებულოდ აქცია. როგორც ითქვა, მისივე ნებით 325 წელს ქ. ნიკიაში მოწვეულ იქნა პირველი მსოფლიო საეკლესიო კრება.<sup>1</sup> უფრო მეტიც, 333 წლის 5 მაისის იმპერატორის გადაწყვეტით, საეპისკოპოსო სასამართლოს უფლება მიეცა განეხილა სამოქალაქო სარჩელებიც, თუკი ერთი მხარეც ამის სურვილს გამოთქვამდა. იმ დროს, როდესაც თვითონ ღვთის მსახურებს არ ჰქონდათ უფლება, მიემართათ სამოქალაქო სასამართლოსათვის. რაც შეეხება თვითონ ეპისკოპოსებს, მათი მხრიდან დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში მათი საქმეები გადაეცემოდა საიმპერატორო სასამართლოს. 530 წლიდან ნებისმიერი საჩივარი საეკლესიო მსახურის მიმართ განიხილება საეკლესიო სასამართლოების მიერ.

სასამართლო პროცესზე ეპისკოპოსებს დიდი პრივილეგია გააჩნდათ. თუკი ეპისკოპოსი მისცემდა ჩვენებას საქმეზე, ასეთ შემთხვევაში საჭირო აღარ იყო სხვა მოწმეთა მოსმენა.

381წ. კონსტანტინეოლში შეკრებილმა მეორე საეკლესიო ყრილობამ კონსტანტინეოლის პატრიარქი აღიარა მეორე პირად საეკლესიო იერარქიაში რომის ეპისკოპოსის შემდეგ.<sup>2</sup> ამასთან, იმპერატორი თეოდორე ხელმძღვანელობდა რომის იმპერატორს ერთიან რელიგიას.<sup>2</sup>

ეკლესიის განსაკუთრებულ უფლებას წარმოადგენდა მონათა განთავი-

1 იხ. გ. ლაბკანიძე, ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია თბ. 2001წ. გვ 78  
2 იხ. Ю. А. Петросян Древний город на берегах Босфора М. 1991 ср 49

სუფლების საზეიმო ცერემონიალი. იმასთან დაკავშირებით, რომ ჯვრის-წერა საეკლესიო საიდუმლოს წარმოადგენდა, ლეთისმსახურს მონათა ჯვრისწერის რიტუალის შესრულების უფლება არ ჰქონდა. თუკი ასეთი აღმოჩნდებოდა, იგი უკანონოდ ცხადდებოდა. მონისა და მოსამსახურის ქორწინების რეგისტრაცია მხოლოდ ბატონის ნებართვით შეიძლება მომხდარიყო.

ეკლესიამ მიიღო „თავშესაფრის უფლება.“ თავშესაფრად მიიჩნეოდა ტაძარი და მის ირგვლივ ტერიტორია 50 ნაბიჯის რადიუსით. სასულიერო პერსონალს ჰქონდა უფლება, არ გადაეცა თავშეფარებული პირი ხელისუფლებისათვის, მაგრამ 338 წლიდან ეს უფლება შეზღუდული იქნა.

თავშესაფრის უფლება აეკრძალათ პირებს, რომლებიც თავს არიდებდნენ სამოქალაქო ვალდებულებას, ან არ შეასრულებდნენ სახელმწიფო ბეგარას.

შემდგომში, იუსტინიანეს დროს ყველა მოვალეს მოეხსნა თავშესაფრის უფლება. „რაც შეეხება რელიგიის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებებს, აღსანიშნავია: რწმენის (სარწმუნოების) და ეკლესიის წინააღმდეგ მიმართული ქმედებები, ასევე საეკლესიო ქონების მოპარვა“.

ქვეყანაში უმაღლესი საეკლესიო თანამდებობრივი იერარქიული სისტემა სხვადასხვა იყო. ნიკეას ტაძარში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მიტროპოლიტს. კონსტანტინეპოლის, ანტიოქიის, ალექსანდრიის ეკლესიებში შენარჩუნებული იყო არქიეპისკოპოსის მაღალი რანგი, რომელიც პატრიარქის ტიტულად გადაკეთდა. V საუკუნიდან გაჩნდა ეგსარხოის ცენზი, როგორც უმაღლესი საეკლესიო პირისა და უთანაბრდებოდა დიოცეზის სამოქალაქო თანამდებობას. პატრიარქის ტიტულის გამოყენება ანტიოქიაში, ალექსანდრიაში და იერუსალიმში დაიწყო V საუკუნიდან.

კიდევ უფრო დაწინაურდა ეპისკოპოსის სახელო, რის შემდეგაც ეპისკოპოსად ინიშნებოდნენ, როგორც წესი, წარჩინებული რომაელები, გაურცელდა აზრი: „ვისაც არ შეუძლია საკუთარი ოჯახის მართვა, მას ეკლესიაში არ აქვს ადგილი“. ეპისკოპოსთა ურთიერთობებმა წარმოშვა „სასოფლო ეკლესიების“ ფორმირება. „თუ არ არის ეკლესია, არ იქნება შენდობა“, „ეპისკოპოსის გარეშე არ არსებობს ეკლესია“, „ეპისკოპოსს ისე უნდა უყურებდე, როგორც ღმერთს“ ასე ასწავლიდნენ მორწმუნეებს. ეპისკოპოსობთან მიმართებაში პრობლემად იქცა მათი ცოლიანობის საკითხი. აღმოსავლეთის

ეკლესიამ ეპისკოპოსებს აუკრძალა ცოლის შერთვა, მხოლოდ მღვდლებმა და დიაკვნებმა შეინარჩუნეს ხსენებული უფლება.

პავლე მოციქული ეპისკოპოსების ცოლოსნობის მომხრე იყო. მისი აზრით, ეპისკოპოსი უნდა იყოს კარგი მეუღლე და სანიმუშო მორალური თვისების მქონე. პავლე მოციქულის წიგნში ტიმოთეს მიმართ, ნათქვამია:

1. ჯერ არს ეპისკოპოსისა, რათა უბრალო იყოს, ერთის ცოლის ქმარ, წმინდა შემკულ, სტუმართმოყვარე, სწავლული.

2. არა მეღვინე, არა ანგარ, არა საძაგელის შემძინელ, არამედ მყუდრო, უშარო, ვერცხლის უყუარულ.

3. თვისისა სახლისა კეთილად განმგებელ, შეილნიც უსხენ დამორჩილებულნი ყოვლითა ღირსებითა;

4. ზოლო უკეთუ ვინმე თვისისა სახლისა განგება არა იცის, ვითარმე ეკლესიათა ღმრთისათა, მოლუაწება აგოს?“.

იქვე დიაკვნების შესახებ ნათქვამი იყო: „დიაკონნიმც არნ ერთისა ცოლის ქმარ, შეილთა კეთილად ზედა-მდგომელ და თვისისა სახლისა“ (III,12).

ქმოსაველეთის ეკლესიამ ეპისკოპოსების ცოლოსნობა უფრო გვიან (აკრძალა) ადრეულ ხანაში ცოლოსნობის მიზეზით ეპისკოპოსობაზე უარს ვერ ეტყოდნენ პრეტენდენტს.

როგორც პავლე მოციქულის წერილის ზემოთ მოტანილი ადგილებიდან ჩანს, ეპისკოპოსის კარგი მეოჯახეობა მისი კარგი ეპისკოპოსობის ნიშნად ითვლებოდა. ოჯახის კარგი მეთაური კარგი საეკლესიო მოღვაწე იქნებაო, – ასე მსჯელობდა ადრეული ქრისტიანული რელიგიის გამოჩენილი პირი!

მსოფლიო საეკლესიო კრებაზე, ნიკეაში, ქრისტიანული ეკლესიის აღიარებიდან 15 წლის თავზე, დადგენილი იქნა წესი, რომლის მიხედვითაც დაუქორწინებელი პირი სასულიერო წოდებაში შესვლის შემდგომ ვერ დაქორწინდებოდა, მაგრამ თუ დაქორწინებული მიიღებდა ხელდასხმას, იგი ცოლს არ გაეყრებოდა.

ეკლესიის ისტორიკოსი სოკრატი, რომელიც V საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწეობდა, მოგვითხრობს, რომ მის დროს დაუქორწინებლობის პრინციპს სასულიერო პირები იცავდნენ მხოლოდ თესალიაში,

1 იხ. გ. ნადარეიშვილი, ძველი ქართული საოჯახო სამართალი, თბ. 1996წ გვ. 7-8



მაკედონიასა და საბერძნეთში; მაგრამ იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციებში, გვარწმუნებს სოკრატე იყვნენ ეპისკოპოსები, რომელნიც ცოლებთან ცხოვრებას განაგრძობდნენ და კანონიერი შვილებიც ჰყავდათ.

მხოლოდ VI საუკუნიდან დაიწყო სამოქალაქო კანონმდებლობამ განაწესის მიცემა, რომ ეპისკოპოსად ცოლიანი მამაკაცებიდან მხოლოდ ისეთნი აერჩიათ, რომელთაც არ ჰყავდათ შვილები და ძმისშვილები, რათა ეპისკოპოსი არ მომცდარიყო ამ უკანასკნელთა აღზრდაზე და სამწყსოზე მეურვეობა არ დავიწყნოდა. მხედველობაში მიღებული იყო ის გარემოებაც, რომ შვილებიანი და ძმისშვილებიანი ეპისკოპოსი საეკლესიო ქონებას მათ სასარგებლოდ მოიხმარდა.

შემდგომში ეპისკოპოსად არჩეულს აეკრძალა ცოლთან ცხოვრებაც. ხელდასმის წინ ეპისკოპოსი მოვალე იყო ცოლს გაჰყროდა. ეს მოთხოვნა განმეორებულია ტრულის საეკლესიო კრების დადგენილებაშიც.

პროფ. გ. ნადარეიშვილს მიაჩნია, რომ ქრისტიანული მოძღვრების და ქრისტიანული ეკლესიის გამარჯვების შემდეგ თანდათანობით დაძლეული იქნა მათთვის ადრინდელ ეპოქაში დამახასიათებელი უკიდურესობები. თანდათან ჩამოყალიბდა ქორწინების მიზნების შესახებ მწყობრი შეხედულება. ქორწინების, როგორც ღვთაებრივი დანაწესის მიზანი სამაგია. ესაა პირველყოვლისა, კაცობრიობის მოდგმის შენარჩუნება და გამრავლება (შესაქმე, 1,27-28), ამით ეკლესიის მსახურთა აღწარმოებაც უზრუნველყოფილია. გარდა ამისა, ქორწინების მიზანია მეუღლეების შეგობრობა, ურთიერთდახმარება და შემწეობა (შესაქმე II, 18). ქორწინების მესამე მიზანია ადამიანის ბუნებაში არსებული ხორციელი ცოდვისაკენ მიდრეკილების დაგმობა, ხორციელი ტკობისაკენ სწრაფვის შენელება!

ეპისკოპოსს ჰყავდა მრჩეველები, რომელთაგანაც სახელდებოდა მემკვიდრე. განსაკუთრებული მნიშვნელობის თანამდებობა იყო „აპოკრიისარი“ ანუ პატრიარქის სანდო პირი, რომელიც აწარმოებდა შიდამოლაპარაკებებს. პატრიარქს ჰყავდა იურისკონსულტი, რომელიც აფორმებდა სამოქალაქო სარჩელებს რომის სამართლის შესაბამისად.

ეპისკოპოსის ირგვლივ მნიშვნელოვან ფიგურებს წარმოადგენდნენ არქიდიაკონები და პროტოდიაკონები, რომლებიც ძირითადად ამზადებდნენ და უძღვებოდნენ პატრიარქის წირვა-ლოცვებს.

საბუთების გაფორმების პროცესებს ხელმძღვანელობდა ნოტარიუსი, ეკლესიის არქივს ხელმძღვანელობდა არქივარიუსი. „ნატოკიდაკი“ იყო პატრიარქის კანცელარიის მმართველი. ეკლესია ფლობდა საკმაოდ სერიოზულ ქონებას, ამიტომ შემოღებული იყო საზინადარის თანამდებობაც.

ადგილებზე ლოცვა – კურთხევას ალაველდნენ მღვდლები და დიაკვნები. არსებობდა დიაკვნის მოადგილის თანამდებობაც.

ტაძრებსა და მონასტრებს ჰყავდა საკუთარი დაცვის სამსახური, რომლებსაც „ედიტუი“ (aeditu ai cumtur) ეწოდებოდათ, რომლებიც უზრუნველყოფდნენ წესრიგს, ასევე დიაკვნები ხელმძღვანელობდნენ და ასრულებდნენ საეკლესიო ანონიტუალურ ფუნქციებს. აღნიშნული სასულიერო თანამდებობრივი იერარქია ერთნაირი არ იყო იმპერიის ყველა კუთხეში.

IV-V საუკუნეებში შემოვიდა მონაზვნების ინსტიტუტიც, რამაც დიდი როლი ითამაშა რომის ეკლესიის ისტორიაში. სამონაზვნო ინსტიტუტის შემოღების იდეოლოგიური პრინციპი იყო ამქვეყნიური ადამიანური სიამოვნებისთვის უარის თქმა, იქმნებოდა სამონასტრო კომპლექსები, სადაც მონაზვნები ცხოვრობდნენ და ეწეოდნენ მეურნეობას. სამუშაოთა შესრულება განაწილებული იყო მონაზვნებს შორის შესაძლებლობათა მიხედვით. სამონასტრო კომპლექსებს იცავდა მტკიცედ აგებული კედლები, სადაც ჩაშენებული იყო მონაზონთა საცხოვრებელი სენაკები. იუსტინიანეს კანონმდებლობამ მტკიცე ლეგალური ბაზა შექმნა ბერმონაზვნობის შესახებ. აღსანიშნავია, რომ იუსტინიანეს ეს კანონი შემდგომში შევიდა კანონიკის კრებულებში, როგორც 50 ტიტულოვანი, ისე 14 ტიტულოვანიც. მონასტრებში მოქმედებდა მკაცრი წესები, რომელთა დაცვა სავალდებულო იყო თითოეული მონაზვნისათვის. მონასტრები ძირითადად ორ ნაწილად იყოფოდა: (მამაკაცების) ბერმონაზვნების და (ქალების) მონაზონთა მონასტრებად. ასევე არსებობდნენ „შერეული მონასტრები“, ერთ კომპლექსში მოთავსებული, მაგრამ ერთმანეთისაგან განცალკავებული, რომელიც ემორჩილებოდა საერთო ხელმძღვანელობას.

(მიუხედავად იმისა, რომ ადრე რომაელებს არ ჰქონდათ საკუთარი ფილოსოფია და მაღალგანვითარებული რელიგია, და ისტორიაში მხოლოდ მოგვიანებით გამოჩნდნენ სტოელები და კიდევ უფრო გვიან, ქრისტიანები, ამიტომ რომისათვის დამახასიათებელი იყო პრიმიტიული რელიგია და გრანდიოზული სამართალი.<sup>1</sup> იურისპრუდენცია იყო რომაელების ჭეშ-

<sup>1</sup> იხ. Rehbiner, M. Einführung in die Rechtswissenschaft. 8. Auflage, 1995, S 155 გვ. 67

მარიტი და „საკუთარი“ რელიგია, თუმცა „ქრისტიანობის გავრცელებამ კიდევ უფრო გააქეთილშობილა რომის სამართალი) ბიზანტიის იმპერიაში შესაძლებელი გახდა ანტიკურობისა და ქრისტიანობის ერთმანეთთან შერწყმა“.<sup>1</sup> ხდებოდა პირიქითაც, „იუსტინიანეს კოდიფიკაციებმა მისი ნორმები ლათინურ ენაზე გამოსცეს, რომელიც შეინარჩუნა და გაამარტივა ეკლესიამ, რომლითაც მთელი საკანცლერო და ყველა მეცნიერი სარგებლობდა. რომაული სამართალი იყო ხმელთაშუა ზღვიდან ჩრდილოეთის ზღვამდე, ბიზანტიიდან ბრეტანამდე გადაჭიმული ბრწყინვალე ცივილიზაციის სამართალი, და იგი თანამედროვეთა სულში ქრისტიანულ სამყაროში დაკარგული ნოსტალგიის მაგვარ ერთიანობის გრძნობას იწვევდა.“<sup>2</sup>

რომაულ სამართალს, რომლითაც ეკლესია ხელმძღვანელობდა და რომელიც საფუძველი იყო კანონიკური სამართლისა, მცირეოდენი სიახლეების და დამატებების შეტანისათვის დიდხანს აკრიტიკებდნენ, ამბობდნენ, რომ იგი წარმართული სამყაროს შექმნილია, ნაყოფია ცივილიზაციისა, რომელიც არ იცნობდა ქრისტეს, დაკავშირებულია სახარების, ეკლესიისა და ქრისტიანობის შეხედულებათა საპირისპირო ფილოსოფიასთან, სამოქალაქო საზოგადოების აშენება რომის სამართლის საფუძველზე, მისი ნიმუშად მიღება ხომ არ ნიშნავდა ღვთიური კანონის დარღვევას, სამართლიანობის ძიებას გულმოწყალების ხარჯზე და სამართლიანობის საზიანოდ?

თომა აქვინელმა XIII საუკუნის დასაწყისში ბოლო მოუღო ამ კრიტიკას. მისი წიგნები, სადაც არისტოტელეს შრომები იყო გამოყენებული, აცხადებდნენ, რომ გონებაზე დაფუძნებული ქრისტიანობამდელი ფილოსოფია ღვთიურ კანონს შეესაბამებოდა; ეს ხელს უწყობდა რომაული სამართლიდან „ემშაკების განდევნას“, თომა აქვინელის შემოქმედება მოასწავებდა საბოლოო უარს მოციქულთა ნიმუშების მიხედვით სამოქალაქო საზოგადოების შენებაზე. ვიღეიმ თომა აქვინელის შრომები საერთო სამართლის საფუძველად მიიჩნია, რომლის მოძღვრებამაც რომის სამართლის შესწავლის გზაზე უკანასკნელი წინააღმდეგობა მოსპო.<sup>3</sup>

ბიზანტიური საეკლესიო ცხოვრების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა ჯვრის აღმართვის საკითხი. ბიზანტიურ ეკლესიაში

1 იხ. Корсев. Н. Введение в курс Истории средних веков (романо-Германский мир в V-XV в.в. СПб 1895г. გვ 12

2 იხ. რ. დავიდი, დას. ნაშ. გვ. 48

3 M. Villey, Lecons d'histoire de la philosophie dud roil, 1963,2 kd.p.43-49:203-219 (ციტირება რ.დავის ნაშრომიდან)

ჯვარი თავისი ჩვეულებრივი თეოლოგიურ-სოციალური ფუნქციის გარდა, კისრულობდა იერარქთა კანონიკურ-საიურისდიქციო და ამასთან ერთად, გარკვეული ეკონომიკური უფლებებისა და ხელისუფლების გამოხატვის მოვალეობასაც. ეპისკოპოსის ჯვრის აღმართვა ავტოდესპოტიურ (თვითმმართველ) მონასტრებში იყო გარეგანი ნიშანი ამ მონასტრების დამორჩილებისა ეპისკოპოსის კანონიკურ იურისდიქციისადმი, რასაც თან სდევდა უაღრესად მნიშვნელოვანი ნივთიერი შემოსავალი. ამიტომ, ჯვრის აღმართვის სტავეროპიგიური უფლების განხორციელების გარშემო მწვავე ბრძოლები იმართებოდა პატრიარქებს, მიტროპოლიტებსა და ეპისკოპოსებს შორის.<sup>1</sup>

იუსტინიანეს 535 წ. გამოცემული ინსტრუქციები ადგილობრივი მმართველობისადმი ამ დაპირისპირების აღმოფხვრას ითვალისწინებდა. ბიზანტიაში მას „ტიტულად“ მოიხსენებდნენ.

არსებობს მოსაზრება, რომ ეს ჩვეულება საქართველოშიც დიდად იყო გავრცელებული, ბიზანტიურ „ტიტულს“ ჩვენში „ხელი“ შეესიტყვებოდა. „ხელი“ სხვადასხვა სახისა იყო. უბრალო ქვებით დაწყებული, გათავებული გამოსახულებიანი და წარწერებიანი ქვებით, ადამიანის ხელის მტევანით ამოტვიფრული.<sup>2</sup> უნდა ვივარაუდოთ, რომ აქედან შემოვიდა „ხელის აღმართვის“ მრავალმნიშვნელობა ქართულ საეკლესიო და საერო ცხოვრებაში.

„ქრისტიანობამ თავისი ხასიათი მისცა იურისპრუდენციასაც, რადგან სახელმწიფო ყოველთვის მიმართებაშია სარწმუნოებასთან. ამაში რომ დაერწმუნდეთ, წერდა შ.ლ. მონტესკიე, საკმარისია, გადავხედოთ თეოდოსიუსის კოდექსს, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა ქრისტიან იმპერატორთა დადგენილებების კომპილაცია.“<sup>3</sup>

და ბოლოს, ძველი რომის ეკლესიამ დიდი როლი ითამაშა სახელმწიფოებრივი აზრის ჩამოყალიბება-განვითარებაში. ეკლესია თვითონ ქმნიდა საეკლესიო სამართალს, რომელიც ხშირად ითავსებდა საერო ცხოვრების საკითხებსაც. რომი გემს ჰგავდა, რომელსაც ქარიშხლის დროს ორი ღუზა აკავებდა – რელიგია და ზნენი.<sup>4</sup> ძველი რომისა და ბიზანტიის საეკლესიო სამართლის გავლენა შეიმჩნეოდა ქართული ეკლესიისა და სამართლის განვითარებაშიც.

X-XI საუკუნეების გამოჩენილმა მოღვაწემ ექვთიმე მთაწმინდელმა თარ-

1 К.Н.Успенский. Очерки истории Византии м. 1917 с.192

2 იხ. ს. ჯანაშია, საქართველო აღრინდელი ფეოდალიზმის გზაზე, თბ. 1937წ. გვ.102

3 იხ. შ. ლ. მონტესკიე, კანონთა გონი, თბ. 1994წ. გვ. 513

4 იქვე გვ. 148

გმნა ბიზანტიის საკანონმდებლო ძეგლები, რომლებიც საეკლესიო ცხოვრებაში მოქმედ სამართლად იყო მიჩნეული, საიდანაც დაიწყო საეკლესიო სამართლის მეცნიერული დამუშავება და საერო კანონმდებლობასთან დაახლოება.

## §2. იმპერიის სამართალი

რომის იმპერიის სამართლის განვითარების დიდი გზა ფართო მნიშვნელობით შეიძლება პირობითად, სამ მონაკვეთად დავყოთ. ა) XII ტაბულის კანონებიდან იუსტინიანეს მოღვაწეობამდე. ბ) იუსტინიანეს სამართალმემოქმედება და კოდიფიკაცია. გ) იუსტინიანეს შემდგომი პერიოდი, რომელთა ერთიანობა ქმნის რომის სამართლის ისტორიას. იურიდიულ სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ რომის სახელმწიფოსა და სამართლის მკვლევართა შორის გავრცელებულია აზრი: „რომმა სამგზის დალაშქრა მსოფლიო, პირველად ლეგიონებით, მეორედ – რელიგიით და მესამედ – სამართლით.“<sup>2</sup>

რომის იურისპრუდენციის აყვავება იწყება ადრეული იმპერიის პერიოდში (I–III საუკუნეებში ჩვ.წ. აღ.). რომელი იურისტები მიიჩნევენ, რომ სამართლის დანაწესება: პატიოსნად ცხოვრება, სხვისთვის ზიანის არმიყენება, თითოეულისათვის თავისის მიზლვა. რომელი სამართლის მეცნიერება (შესწავლა) ორ ნაწილად იყოფოდა: საჯარო და კერძო. საჯარო იყო ის სამართალი, რომელიც რომის სახელმწიფოს მდგომარეობას ეხებოდა. კერძო სამართალი კი კერძო პირების სარგებელს (ინტერესს). ამრიგად, საუბრობდნენ კერძო სამართლის შესახებ, რომელიც სამნაწილიანი იყო:<sup>3</sup>

- 1) ბუნებითი სამართალი (ius naturalic)
- 2) სახალხო (ხალხთა) სამართალი (ius gentium)
- 3) სამოქალაქო სამართალი (ius civile)

ბუნებით სამართალში მოიაზრებდნენ როგორც ადამიანებს, ასევე ცხოველებს, მის დებულებებში მოცემულია ქორწინება, ოჯახი და ბავშვების აღზრდა, ბუნებითი სამართალი უძველესია, რადგან იგი ბუნებამ თავად ადამიანთა მოდგმასთან ერთად წარმოშვა.

1 იხ. ა. ეაჩიშვილი, ვახტანგ VI-ის კანონმდებლობის ზოგიერთი საკითხი, თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები XXVI სერია B თბ. 1944წ.გვ 1

2 იხ. З.М. Черниловский, Всеобщая история Государства и права, М 2002г.гვ 94

3 იხ. რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს ინსტიტუციები, თბ. 2002წ.გვ. 15

ბუნებითი სამართალი, რომელიც ბუნებამ ყველა ცხოველს ასწავლა, ვინაიდან ეს სამართალი დამახასიათებელია არა მარტო ადამიანთა მოდგმისათვის, არამედ ყველა ცხოველისათვის, რომელიც ან ცაში, ან მიწაზე და ან ზღვაში იბადება. აქედან მომდინარეობს მამაკაცისა და ქალის კავშირი, რასაც ჩვენ ქორწინებას ვუწოდებთ, აგრეთვე-ბავშვების გაჩენა და აღზრდა. მართლაც, ჩვენ ვხედავთ, რომ (ადამიანის გარდა) ამ სამართლის ცოდნას ავლენენ სხვა ცხოველებიც.<sup>1</sup>

ბუნებითი სამართლისაგან განსხვავებით, სახალხო სამართალი მოიცავს წესებს; რომელიც კაცობრიობის აზროვნებამ შექმნა ადამიანებისათვის. ისინი ამ წესებს იყენებდნენ დაყრობილი და მეზობელი ხალხების მიმართ, სახალხო სამართლით გათვალისწინებულია ომები, მონობა, ბატონობა სხვებზე, საერთაშორისო ვაჭრობა და ა.შ.

ხოლო ცივილური და ხალხთა სამართალი შემდეგნაირად იყოფოდა: ყოველი ხალხი, რომელსაც კანონები ან ჩვეულებები მართავს, ნაწილობრივ თავის საკუთარ სამართალს იყენებს და ნაწილობრივ-ყველა ადამიანისათვის საერთო სამართალს. ვინაიდან ის სამართალი, რომელიც თითოეულმა ხალხმა თავად დაიდგინა საკუთარ სამართლად, არის თავად ამ სახელმწიფოს საკუთარი სამართალი და მას ეწოდება ცივილური სამართალი, ე.ი. თავად ამ სახელმწიფოს (civitas) საკუთარი სამართალი. ხოლო სამართალს, რომელიც ბუნების გონმა ყველა ადამიანს შორის დააწესა, თანაბრად იცავს ყველა ხალხი და მას ეწოდება ხალხთა სამართალი („jus gentium“), ე.ი. სამართალი, რომელსაც ყველა ხალხი იყენებს. ამრიგად, რომელი ხალხი ნაწილობრივ იყენებს თავის საკუთარ სამართალს, ნაწილობრივ კი - ყველა ადამიანისათვის საერთო სამართალს. თუ როგორია ცალკეული სამართალი, ამას ქვემოთ განვიხილავთ.<sup>2</sup>

სამოქალაქო, ანუ ცივილური სამართალი აწესრიგებს სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებს თავისუფალ რომაელებს შორის. გაიუსის თქმით, ცივილური სამართალი წარმოადგენს „სახელმწიფოს საკუთარ სამართალს“ ცივილური სამართლის წყარო, პაპინიუსის აზრით, არის კანონები, სენატის დადგენილებები, პრინციპალების დეკრეტები და „ბრძენთა აზრები.“<sup>3</sup>

სამართალმცოდნეთა „პასუხები“ („რესპონსა“) წარმოადგენენ იმ პირთა შეხედულებებსა და მოსაზრებებს, რომლებსაც სამართლის შექმნის ნება მიეცათ. ვინაიდან, ძველთაგან დაწესებული იყო, რომ არსებულიყვნენ პი-

1 იხ. რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს ინსტიტუციები, თბ. 2002წ.გვ 13

2 იქვე გვ 13

3 იხ. История Политических и правовых учений М. 1992г.გვ69

რები, რომლებიც სამართალს საჯაროდ განმარტავდნენ და რომლებსაც ცეზარმა (იმპერატორმა) იურიდიულ საკითხებზე კონსულტაციების მიცემის უფლება მიანიჭა და მათ იურისკონსულტებს უწოდებდნენ. მათ ყველა შეხედულებებსა და მოსაზრებას ისეთი ავტორიტეტი ჰქონდა, რომ, მიღებული წესის თანახმად, მოსამართლეებს არ შეეძლოთ მათი პასუხისათვის თავის არიდება.<sup>1</sup>

რომაული სამართალი იყოფოდა ორ ნაწილად: კერძოდ და საჯაროდ. ულპიანეს ცნობილი ფორმულის თანახმად, საჯარო სამართალი ეხება სახელმწიფოს, კერძო კი – ცალკეულ პირებს, მისი აზრით კერძო სამართალი აერთიანებს ბუნებით, სახალხო და სამოქალაქო სამართალს.

აქედან გამომდინარე, რომაელი იურისტები განსაკუთრებით ყურადღებას ცივილისტიკას უთმობდნენ სამოქალაქო დაეების გადაწყვეტის საქმეში. ისინი ანსხვავებდნენ ხელშეკრულების სახეებს, შეიმუშავეს სარჩელის სახეები, ჩამოაყალიბეს საკუთრების ფორმები, განსაზღვრეს სამართალ-სუბიექტურობა და ა.შ. თუმცა, ბოლო პერიოდში იმპერიის მსვეურები თანდათან იშორებდნენ რესპუბლიკური ხანისთვის დამახასიათებელ დემოკრატიულ სამართლებრივ დაწესებულებებს, სანაცვლოდ იმპერატორი ქმნიდა საკუთარ სამოხელეო აპარატს, რომელსაც შეეძლო ხელისუფლების განხორციელება (უფლებამოსილება) უშუალოდ და ძველი წესების მხედველობაში მიუღებლად. ამ გზით, ბიზანტიურმა სამართალმა განვითარების ახალ საფეხურზე აიყვანა ცივილისტიკა.<sup>2</sup>

იუსტინიანეს ინსტიტუციების თანახმად, „სამართალს, რომლითაც რომაელი ხალხი სარგებლობს, ჩვენ ვუწოდებთ რომაელთა (რომის) ცივილურ სამართალს. ეი სამართალს, რომელსაც კვირიტები იყენებენ, ვინაიდან რომაელები კვირინიუსის მიხედვით კვირიტებად იწოდებიან.“<sup>3</sup>

თანამედროვე სამეცნიერო სასწავლო ლიტერატურაში აღიარებულია, რომ სამოქალაქო სამართალი, როგორც თავის წარმომავლობას, ასევე სახელწოდებას, რომის იმპერიის ეპოქას უმადლის. *Ius civile*, რომელიც რომში გამოიყენებოდა ამა თუ იმ ხალხის მიერ შექმნილი სამართლის აღსანიშნავად, მკვიდრად შემოვიდა თანამედროვე სამართალში. სწორ დასკვნას აკეთებს პროფ. ლ. ჭანტურია, როდესაც უპირისპირდება აზრს, თითქოს *ius civile* რომის მოქალაქეთა სამართლის აღსანიშნავად

1 იხ. რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს ინსტიტუციები, თბ. 2002წ. გვ. 15

2 იხ. ბ. ზოიძე, ძველი ქართული შემკვიდრებითი სამართალი, თბ. 2000წ. გვ. 104

3 იხ. რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს ინსტიტუციები, თბ. 2002წ. გვ. 14

იყო შემოღებული და იშველიებს თვითონ იუსტინიანეს ინსტიტუტებს, სადაც სამოქალაქო სამართლის შემდეგ განსაზღვრებას ეპოულობთ – „ის, რაც ყოველმა ხალხმა თავისთვის სამართლად დანერგა, არის მისი Civitas-ის მოქალაქეების, საკუთარი სამართალი და იწოდება ცივილურ სამოქალაქო სამართლად“.<sup>1</sup> ე.ი იგი ყოველი ხალხის სამართალია. თანამედროვე მსოფლიოს ყველა ქვეყანა სამოქალაქო ურთიერთობათა მოსაწესრიგებლად იყენებს „სამოქალაქო კოდექსს“, რაც რომაელების დიდ დამსახურებად უნდა მივიჩნიოთ.

Ius civile Romanorum, რომელიც საუკუნეების მანძილზე იქმნებოდა რომაელი იურისტების მიერ და რომის თითქმის უძლეველი იმპერიის ძლევამოსილების იურიდიული დასტური იყო, თავის კოდიფიცირებულ და სისტემაში მოქცეულ ფორმას სწორედ ამ იმპერიის დაშლის შემდეგ იღებს.

სხვა რომ არაფერი გაეკეთებინა იუსტინიანეს და არც რომის იმპერიის აღდგენისათვის დაედო თავი, ნაპოლეონის მსგავსად მასაც შეეძლო ეთქვა, რომ ისტორიას შემორჩებოდა მის მიერ შესრულებული კოდიფიკაცია. ეს უბრწყინვალესი კრებული იუსტინიანეს სახელით, შევიდა ისტორიაში, ზოლო მისი რეალური შემქმნელის, იუსტიციის მინისტრის (Quaestor sacri Palatii) ტრიბონიანუსის სახელი მხოლოდ მკვლევარ მეცნიერთა ვიწრო წრის კუთვნილება გახდა<sup>2</sup> – წერს პროფ. ლ. ჭანტურია.

რომის სამართლის სისტემის ერთ-ერთ სერიოზულ სფეროს წარმოადგენდა პროფესიონალი მწერალ-იურისტის (ნოტარიუსის) ინსტიტუტის შემოღება, რომელიც ნაწარმოებია სიტყვებისაგან „tabelia“ „tabellio“ (ტაბელიონი) ესენი იყვნენ ადამიანები, რომლებიც სამართალურთიერთობის მონაწილე მხარეების თხოვნით ადგენდნენ (წერდნენ) მათთვის საჭირო ფორმალურ საბუთებს, რისთვისაც ისინი გასამრჯელოს იღებდნენ. იგი არ წარმოადგენდა საჯარო ინსტიტუტს, ისინი იყვნენ კერძო პირები. გარდა საბუთების შედგენისა, ტაბელიონს უხდებოდა მის მიერვე გაფორმებული საბუთების დამოწმება და ამის გამო, ეს პროფესია განსაკუთრებულ კეთილსინდისიერებას მოითხოვდა. სწორედ ამიტომ, იუსტინიანე იმპერატორმა ამ საქმიანობისთვის ოფიციალური ნებართვაც დააწესა. პარალელურად, დომინატის პერიოდში ჩნდება საჯარო ნოტარიუსის თანამდებობაც, რომელსაც „ტაბულარუსი“ (Tabularius) ეწოდებოდა.<sup>3</sup>

1 იხ. ლ. ჭანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში თბ. 2000წ გვ 6

2 იხ. ლ. ჭანტურია დას. ნაშ. გვ. 9-10

3 იხ. რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს ინსტიტუტები, თბ. 2002წ. გვ 450



იმპერატორ იუსტინიანეს გარდაცვალების შემდეგ ბიზანტიის იმპერიაში დიდი საკანონმდებლო მოღვაწეობა აღარ მიმდინარეობდა, ეს პროცესი გრძელდებოდა VII საუკუნიდან VIII-საუკუნემდე, თითქმის ორი საუკუნის სიღარიბე იგრძნობოდა საკანონმდებლო ძეგლების შექმნის თვალსაზრისით, ამ პერიოდის სახელმწიფო აპარატის და მათი ადმინისტრაციული საქმიანობის შესახებ უფრო მეტად, საეკლესიო წყაროები იძლევა ინფორმაციას.<sup>1</sup>

(729 წელს გამოიცა „ეკლოგას“ სახელით ცნობილი საკანონმდებლო კრებული, რომელიც ასრულებდა იმპერიისათვის კანონმდებლობის ფუნქციას. თუმცა, მკველვართა აზრით, ამ კრებულში ძნელი იყო იმის გარჩევა - სად იწყებოდა ძველი ნორმების ინტერპეტაცია და სად - იუსტინიანისეული შედარებები, მაგრამ მის გამოცემას იმ პერიოდისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ბიზანტიის იმპერიის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა „მნიშვნელოვანების კანონს“, იგი ფაქტობრივად წარმოადგენდა მოკლე იურიდიულ კრებულს, რომელიც აწესრიგებდა ურთიერთობას სოფელში. ეს კრებული ხელნაწერის სახით შენარჩუნებული იქნა. მეცნიერთა შორის დავა გამოიწვია მისი შექმნის თარიღთან დაკავშირებით საკითხის გაურკვეველობამ. მეცნიერთა ნაწილი (ვონლიგეტალი ვ. ვასილევსკი) თვლის, რომ იგი „ეკლოგასთან“ ერთად შეიქმნა, ნაწილი თვლის, (გ. ვერნარდსკი, გ. ოსტროგორსკი), რომ იგი შეიქმნა იუსტინიანე II-ის დროს, VII საუკუნის ბოლოს. არის მესამე ვერსიაც (ფ. დალგერი), რომელიც ამტკიცებს, რომ მეცნიერთა დავა კიდევ რამდენიმე საკითხზე გამოიწვია.

1) იგი საჯარო სამართლის თუ კერძო სამართლის სფეროს მიეკუთვნება და 2) ჩაითვლება ის საკანონმდებლო აქტად თუ ჩვეულებითი სამართლის ლეგალიზაციად. მეცნიერთა მხრიდან მსგავსი დამოკიდებულებები ჩნდება „ეკლოგასთან“ და სხვა საკანონმდებლო ძეგლების მიმართაც, როგორცაა „როდოსული საზღვაო კანონი“, ასევე „სამხედრო კანონი“, რომელთა შექმნა ივარაუდება VII-VIII საუკუნეებში და თვლიან ტრადიციათა (ადათების) ლეგალიზაციად.<sup>2</sup>

IX საუკუნის ბოლოს ბიზანტიის სამართლის ისტორიაში იწყება ახალი

1 V. Laurent, Bullctinac sigi Ilographic Byzantine Byg. V. 1929-1930p. 571-654

2 იხ. История Византии Т.3. М. 1967г. გვ.9

ხანა. IX-X საუკუნეებში იქმნებოდა საკმაოდ დიდი რაოდენობის სამართლის წყაროები, მათ შორის, სამართლის ოფიციალური კრებულები და კერძო იურიდიული კომპილაციები!

ბიზანტიის იმპერიისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საკლესიო სამართლის ძეგლებს, განსაკუთრებით, მსოფლიო საეკლესიო კრებების დადგენილებებს, რომელთა მნიშვნელობა საერო ცხოვრებაზეც ვრცელდებოდა.

ბოლო იმპერატორების დადგენილებები და წერილები თავმოყრილია „დალგერის რეგესტებში, რომელიც რამდენიმე ტომად გამოვიდა და ზედმეტ-ნაკლებად გვიქმნის წარმოდგენას იმპერიის სრულ განადგურებამდე გამოცემული ნორმატიული აქტების შესახებ.

---

1 იხ. Е.А. Липшиц, Законодательство и Юриспруденция в Византии в IX-XI В. В. М. 1981г.

## თავი მეთექვსმეტი

# კველი რომის, ბიზანტიისა და საქართველოს პოლიტიკურ-სამართლებრივი ურთიერთობის ასაქტები

### §1. პოლიტიკური ურთიერთობის ძირითადი მომენტები

დაპყრობითი ომების შედეგად რომის იმპერიის კონტროლის ქვეშ აპენინის ნახევარკუნძულის გარდა, უზარმაზარი ტერიტორია მოექცა, მის შემადგენლობაში შევიდა ესპანეთი, საფრანგეთი, ბალკანეთის ნახევარკუნძული, მცირე აზიის უდიდესი ნაწილი, სირიის, პალესტინის, აფრიკის ჩრდილოეთ ნაწილი, ცოტა მოგვიანებით, გავლენის სფეროში მოექცა კავკასიაც, მათ შორის, მაშინდელი ქართული მიწა-წყლის უმეტესი ნაწილი. კველი რომის, შემდგომში ბიზანტიისა და საქართველოს ურთიერთობებს არა ერთი ნაშრომი მიუძღვნეს ძველმა ბერძენმა და ბიზანტიელმა მოაზროვნეებმა, თანამედროვე ქართველმა და უცხოელმა ისტორიკოს-მკვლევარებმა. რაც შეეხება იურისტებს, მათი დაინტერესება ამ კუთხით, შედარებით ნაკლებია, თუმცა საკითხს შეუსწავლელს, ხელშეუხებელს ვერ ვუწოდებთ, მაგრამ თემა იმდენად აქტუალურია, რომ ნამდვილად იმსახურებს სერიოზულ ყურადღებას.

ამჟამად, ჩვენს მიზანს წარმოადგენს, ხაზგასმა გავაკეთოთ იმ ძირითად მომენტებზე, რითაც ხასიათდებოდა რომაულ-ბიზანტიური და ქართული ურთიერთობა ანტიკური ეპოქიდან დაწყებული.

ისტორიულად ცნობილია, რომ ძვ.წ. აღ. III საუკუნეში შავი ზღვის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროზე ჩამოყალიბდა პონტოს სამეფო, რომლის გავლენა საქართველოს ძირითად ტერიტორიაზეც ვრცელდებოდა, ამ პერიოდში რომის იმპერია იმდენად გაძლიერდა, რომ მისი ძლევამოსილება გადაწედა მთელ მცირე აზიას და პონტოს სამეფოსაც საფრთხე დაემუქრა. პონტოს მეფემ მითრიდატე VI-მ რომს ომი გამოუცხადა (88-65წ.წ.), რომელიც თითქმის ოცი წელი გრძელდებოდა. 66 წელს რომაელ-

მა სარდალმა პომპეუსმა დაამარცხა მითრიდატე და მისი მოკავშირეები დახარკა, მათ შორის, არმენოს, კოლხეთისა და იბერიის სამეფოები. (ამის თაობაზე სტრაბონი მოგვითხრობს, „პომპეუსმა ხელთ იგდო ეს ქვეყანა, აღწერილ საზღვრებში მოქცეული ადგილები არმენიასა და კოლხეთთან მან გაუყო თავის თანამოსაგრნე დინასტიებს, დანარჩენი თემები კიბითინიას შეურთაო.“<sup>1</sup> პომპეუსს კოლხეთში მმართველად თავის კაცი, ვინმე არისტრახი დაუდგენია (ამ რეალობას ამტკიცებს, კოლხეთში მოჭრილი ბერძნულწარწერიანი ფული, რომლის ნიმუშები ჩვენამდეა მოღწეული. პომპეუსი თავის მოწინააღმდეგეებს იმისდა მიხედვით ექცეოდა, თუ როგორ დამოკიდებულებაში იმყოფებოდნენ ისინი რომის მთავარ მტერთან, მითრიდატე ევპატონთან.<sup>2</sup>

პირველი საუკუნის 35 წელს სომხეთს პართიელები დაესხნენ თავს და დაიპყრეს. კავკასიაში მყოფი რომის ჯარი საკმარისი არ იყო პართიასთან საბრძოლველად, ამიტომ რომის იმპერატორმა ტიბერიუსმა იბერიელებს შესთავაზა სომხეთის საქმეების მოწესრიგება. იბერიის მეფე ფარსმან პირველ დიდძალი ჯარით შეიჭრა სომხეთში,<sup>3</sup> პართიელები დაამარცხა და ღელაქალაქი დაიკავა. პართიასთან მეორე შეტაკება კვლავ ფარსმანის გამარჯვებით დამთავრდა.

ფარსმანმა სომხეთის ტახტზე მისი ძმა მითრიდატი დასვა, როგორც ამას რომაელებსა და იბერიელებს შორის მოლაპარაკებან ითვალისწინებდა. მითრიდატე არც თუ ისე ურიგოდ განაგებდა სომხეთს, მაგრამ რომის იმპერატორმა გაიუს კალიგულამ (37-41) ის რომში გაიწვია და დააპატიმრა. შემდგომ იმპერატორმა კლავდიუსმა (41-54წ.წ.) გაათავისუფლა და კვლავ სომხეთის ტახტზე აიყვანა. ახ. წ. აღ. I საუკუნიდან, პლინიუსის ცნობით, მდ. ჭოროხის შესართავთან იდგა ციხე-სიმაგრე აფსაროსი (გონიოს ტერიტორიაზე), სადაც II საუკუნიდან იყო რომაული სამხედრო ბაზა.<sup>4</sup>

ყველა მონაცემით, იგი ტიპიური რომაული ციხესიმაგრე „Castellum“-ი იყო — სადაც, არიანეს ცნობით, 5 კოპორტა მდგარა (მათ შორის Cohors II clarudapo) რაც კაპადიკოს ლეგიონის ერთ მეოთხედს უდრიდა.<sup>5</sup> რომაულ-ბიზანტიური ხანის ციხე ქალაქი იყო ციხისძირი, სადაც რომაული

1 იხ. სტრაბონი, გეოგრაფია XII თ.3 №1

2 ს. ჯანაშია საქართველო აღრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, თბ. 1937წ. გვ. 46

3 C. Tacitus Annales, VI.32-36

4 piin, NHVI, 11, 12, 14

5 დან. იხ. ო. ლანჩავა, ქუთაისი ეგრის-ლაზიკის ციხე ქალაქთა სისტემაში, 1996წ. გვ. 7

გარნიზონი იდგა (II-III სს.). ისტორიული წყაროები მოიხსენიებენ რიონის შესართავთან გაშენებულ უჭადრატული ფორმის კუთხეებში ჩაშენებული კოშკებით ფაზისის სიმაგრეს, რომელიც II საუკუნიდან რომაულ კარტელად იწოდებოდა. მდ. ოქუმის შესართავთან (გალის რ-ნი) ყოფილა გულავა, სტრატეგიული პუნქტი, რომელიც შემდგომი ხანის წყაროებით, ბიზანტიის იმპერიის საეპისკოპოსო კათედრების სიებშია შეტანილი.

ასევე, საინტერესოა ბათუმის ციხის აგების ისტორიაც. კლ. ლექკანაძე მას VI საუკუნით ათარიღებს, თვლის, რომ იუსტინიანეს მიერაა აგებული და რომაული კასტელას ტიპის სიმაგრეა.<sup>1</sup>

სებასტოპოლისი (სოხუმის ციხე) მოხსენებულია პლინიუსის, კესარიელის ნაშრომებში და იუსტინიანეს ნოველებში. ისტორიული წყაროები მიუთითებენ ანაკოფიის, როგორც მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტის მნიშვნელობაზე. ბიჭვინთა-პიტიუნტი, ბერძნულ-რომაული წყაროების მიხედვით, არსებობდა ანტიკურ ხანაშიც, ხოლო ახ.წ.აღ. I-IV საუკუნეებში იგი ტიპური რამაული ციხე-სიმაგრე იყო. პროფ. ო. ლანჩავა თავის გამოკვლევაში წერს, „აღმოსავლური ექსპანსიის დაწყებისთანავე რომაელებს კარგად ჰქონდათ შეგნებული კოლხეთის ზღვისპირა ქალაქების სტრატეგიული მნიშვნელობა და ამიტომ იყო, რომ ჯერ კიდევ ძვ. წ.აღ. 37 წელს ის ვასალური სამეფოს „პოლემონის პონტოს“ (კაბადოკიის) შემადგენლობაში შეიყვანეს, ხოლო ახ.წ.აღ. 63 წლიდან კოლხეთი თვით იმპერიის ნაწილად აქციეს, სანაპირო ზოლის სხვადასხვა პუნქტებში თავიანთი გარნიზონები ჩააყენეს და ხანგრძლივი დროისათვის გამიზნული მძლავრი სამხედრო ბანაკები – კასტელიუმები მოაწყვეს.

ახ. წ. აღ. I საუკუნეების II ნახევრიდან, რომის იმპერიის აღმოსავლეთში სასაზღვრო ზოლს აწესრიგებდა სამი ძირითადი პრინციპი: 1) სამხედრო უშიშროება. 2. საგადასახადო სისტემის მოწყობა-მოწესრიგება. 3. აღმინისტრაციული მართვისა და მართლმსაჯულების შემოღება. აღმოსავლეთის სასაზღვრო ხაზის მოდერნიზაცია და მისი დაცვის სისტემის რეორგანიზაცია, ძირითადად, ვესპაზიანის სახელთანაა დაკავშირებული (70-79) და მის შემდეგ სისტემატიური კომუნიკაციის სახე მიიღო.

რომაელები ცდილობდნენ, კეთილმეზობლური ურთიერთობები ჰქონოდათ კავკასიურ ქვეყნებთან, მათ შორის, კოლხეთსა და იბერიასთან. ეს პოლიტიკა გრძელდება იმპერატორ ადრიანეს (117-138) დროსაც. გამორჩეული ურთიერთობები იკვეთება ანტონიუს პიუსის (138-161წ.წ) იმპერატო-

1 2. Лекванадзе В.А. Обоюмй Бизантиской крепости. сообщ. Ан сср XV-VII.2

რობის პერიოდში, რომელიც განსაკუთრებულ პატივს სცემდა ფარსმან მეორეს, „ქველად“ წოდებულს.<sup>1</sup> ღონ კასიუსის ცნობით, ფარსმან II თავისი ცოლ-შვილით და ამალით რომში სწევევია იმპერატორს ძვირფასი საჩუქრებით. რომაელები „ბარბაროსებს“ რომის ტაძარ კაპიტოლიუმში მსხვერპლშეწირვას უკრძალავდნენ, ამის უფლება კი ფარსმან II-ს მიუღია. ფარსმან II-ს ცხენზე ჯდომის ხელოვნებით მოუხიბლავს რომაელები და მის საპატივცემულოდ მარსის მოედანზე ცხენზე ამხედრებული მისი ქანდაკებაც კი დაუდგამთ. რომიდან ფარსან II საჩუქრებით და ნაბოძები მიწა-წყლით დაბრუნებულა. ქართველთა მიმართ რომის იმპერატორთა ეს განწყობა შემდგომშიაც გრძელდებოდა. დასავლეთ საქართველო ძვ. წ. აღ. I საუკუნიდან რომის იმპერიის ხელქვეით ქვეყანას წარმოადგენდა.)

IV საუკუნის მიწურულისათვის, მთელი დასავლეთ საქართველო აფხაზეთ-კოლხეთ-სვანეთ-ლენჩხუმის ჩათვლით, გაერთიანებულ სამეფოს წარმოადგენდა ეგრისის (ლაზთა) სახით, რომელიც რომის ვასალად ითვლებოდა.<sup>2</sup>

(I-IV საუკუნეებში რომაელთა სამხედრო პოლიტიკა კავკასიაში ნაკლებ აგრესიული იყო. ურთიერთობა ადგილობრივ მოსახლეობასთან, უფრო მშვიდობიანი და ურთიერთსასარგებლო ჩანს. ალბათ, არსებობდა სათანადო შეთანხმება მათსა და ეგრისს შორის. I-V საუკუნეებში აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში რომაელთა სიმაგრეები ზღვის სანაპირო ზოლს არ გასცდენია.<sup>3</sup> ბიზანტიურ-ქართულ პოლიტიკურ და კულტურულ ურთიერთობებს ასახავს IV საუკუნეში ფაზისის აკადემიის არსებობა, სადაც ქართველთა გარდა, განათლებას ბერძენი და რომაელი მოქალაქეებიც ღებულობდნენ, მათ შორის აღსანიშნავია მამა-შვილი, ევგენიოსი და თემისტოსი. ბერძენი ფილოსოფოსი და რიტორი (იურისტი) ევგენიოსი მოხიბლული დარჩა კოლხეთის მოსახლეობით და ქართველი სწავლულებით. სამშობლოში დაბრუნებული ერთ-ერთი გამორჩეული რიტორი გახდა და ამყობდა იმით, რომ განათლება სწორედ კოლხეთის აკადემიაში მიიღო.<sup>4</sup>)

1 იხ. ს. ჯანაშიას მონოგრაფია, საქართველო აღრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე“ (თბ. 1937წ) ავტორი 69-ე გვერდზე მიუთითებს რომ „ფარსმანი-ცოლშვილით აღრიანე კეისარს (117-138) რომში ეწვია.“

2 იხ. ნ. ლომოური, საქართველოსა და ბიზანტიის ურთიერთობა V საუკ. თბ. 1986 გვ. 65

3 ი. ლანჩავა, დას. ნაშ. გვ. 37

4 იხ. ს. ყაუხჩიშვილის თარგმანი, გეორგია I გვ. 50

ბიზანტიური და ისტორიული წყაროების მიხედვით, ირანსა და რომს შორის წარმოებული ომი 298 წელს 40 წლიანი ხელშეკრულებით დამთავრდა, რითაც ირანი იძულებული გახდა<sup>1</sup> დაეთმო თავისი პოზიციები იბერიაში და ამის შემდეგ ქართლის მმართველები სამეფო ნიშნებს რომაელებისაგანღებულბდნენ.

აღსანიშნავია რომის იმპერატორის, იუსტინიანეს, ურთიერთობა საქართველოსთან, რომელსაც გააჩნდა დიდი პოლიტიკური დატვირთვა, რადგანაც ირანსა და ბიზანტიას შორის წარმოებული ომების ბედის გადაწყვეტა ბევრად იყო დამოკიდებული ქართველების პოზიციასთან. იმდროინდელ ბიზანტიურ წყაროებში აღნიშნულია, რომ ირანსა და ბიზანტიას შორის სომხეთის განაწილების შემდეგ ჯერი საქართველოზე მიდგა.

ლაზიკა რომის გავლენის სფეროდ იქნა აღიარებული, ხოლო ქართლი ირანს ერგო. ამ განაწილებით არცერთი მხარე არ დარჩა კმაყოფილი. ირანს თვალი კვლავ ლაზიკაზე ეჭირა, სადაც მდებარეობდა საზღვაო პორტები. ამის გამო ირან-ბიზანტიის ბრძოლები ქართულ მიწაზე კვლავაც გრძელდებოდა. მან სისტემატიური ხასიათი მიიღო მე-5 საუკუნეში.

ლაზთა მეფე წათე კონსტანტინეპოლში ჩავიდა, სადაც კეისარს გაქრისტიანება და ეგრისის სამეფო ტახტზე დამტკიცება სთხოვა. (ის ბიზანტიის ვასალია!) კეისარი სიხარულით ნათლავს წათეს და მის შვილს (მამასადაძმე, მეფის ოჯახიც წარმართია), უბოძებს მას სამეფო გვირგვინსა ძვირფას სამოსელსა და სამკაულებს, თანაც, ცოლად რთავს ერთ-ერთი თავისი დიდუბულის, ჯარისკაცთაგანის, ასულს.<sup>1</sup> ცხადია, ქრისტიანობა, იყო ერთ-ერთი პირობა იმისათვის, რომ იმპერატორს თავისი ვასალი ტახტზე დაემტკიცებინა. წათეს მეორე ცოლიც ბიზანტია-ეგრისის პოლიტიკური კავშირის განმტკიცების იარაღი უნდა ყოფილიყო.

კეთილმეზობლური ურთიერთობა შემდგომშიც გრძელდებოდა, რაც გამოიხატებოდა იმით, რომ სუვერენული საქართველოს მეფეები გარკვეულ წყალობას ბიზანტიის ხელისუფლებისაგან იღებდნენ. გიორგი II-ს პატივი ბიზანტიის კეისართან ჰქონდა მიღებული და ამის გამო მის „კეისრობას“ ქართული პოლიტიკური აზრი უფრო ფართოდ განიხილავდა, ვიდრე ბიზანტიის უმაღლესი საკარისკაცო პატივი იყო ამის დასტურია ის, რომ ქართულ პოლიტიკურ ტრადიციაში „კეისრობა“ უმაღლეს ხელისუფლად, „თვითმკყრობელად“ განიხილებოდა.<sup>2</sup>

<sup>1</sup> თეოფანე, ქრონოგრაფია, I 68

<sup>2</sup> იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია წ. II ნაკ. II გვ. 122-123

აკად. ივ. ჯავახიშვილი საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის განხილვის დროს ერთ ფაქტზე ამახვილებს ყურადღებას, „ბიზანტიელი მწერლები არასდროს ხმარობდნენ სახელწოდებას „მეფე“ (ბაზილევს), არამედ მხოლოდ „მთავარი“ (არზონ) ან არა და „ექსუსიასტუს“, ე.ი. „მფლობელი“-ო. ის რომ ამით (ბიზანტიელებს გ.ლ) გარკვეული პოლიტიკურ-უფლებრივი აზრის გამოთქმა სურდათ, იმითაც მტკიცდება, რომ წინანდელი ისტორიკოსები, როგორც მაგ. პროკოპი კესარიელი და აგათიასი იბერთა და ლაზთა მეფეებს ამ ტიტულით მოიხსენებდნენ“<sup>1</sup>. მიუხედავად ამისა „კეისრის უფლება საქართველოში არასდროს უბრალო მფარველობისა და გავლენის საზღვარს არ გადასცილებია, სამეფოს შინაურ საქმეებში ჩარევის უფლება არ ჰქონია.“<sup>2</sup>

აკად. ივ. ჯავახიშვილის აზრით, ბიზანტიის მთავრობას სურდა ეთქვა, რომ ბიზანტიასთან შედარებით საქართველოს, სომხეთს და სხვა სახელმწიფოებს საერთაშორისო ცხოვრებაში უფრო დაბალი ადგილები ეკავათ. არც ის არის უცხო, რომ მათი აზრით რომაელების გარდა ირგვლივ ყველა ხალხი „ბარბაროსია“. და ბოლოს, საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობა ყოველთვის ერთნაირი არ ყოფილა, „სხვადასხვა გარემოებათა მიხედვით, ხან უფრო მჭიდრო იყო, ხან უფრო გარეგნული“.

შემდგომში ირანული ტირანიით შეწუხებული ლაზები მტკიცედ დაადგინენ ბიზანტიასთან მოკავშირეობის გზას. ეს პროცესი დააჩქარა ირანელთა მცდელობამ, მოეკლათ კოლხეთის მეფე გუბაზ II. ამას ემატებოდა ირანელების მზადება (ფლოტის შექმნა) ბიზანტიაზე თავდასხმისათვის. იუსტინიანე იმპერატორმა სასწრაფოდ 7000-იანი მხედრობა გაგზავნა ლაზეთში. ბიზანტია-ირანის ბრძოლის ობიექტად გადაიქცა პეტრას ციხე, რომელიც სტრატეგიულ ცენტრს წარმოადგენდა. ამ ბრძოლებში აფხაზები და სვანები ირანის მხარეს იჭერდნენ. 551 წელს ბიზანტიელთა სამოკავშირეო ძალებმა დაამარცხეს ირანელები და გაათავისუფლეს პეტრას ციხე.

კოლხეთის მეფე (ლაზების) გუბაზ II მტკიცედ იცავდა იუსტინიანე იმპერატორთან დადებულ შეთანხმებას, მაგრამ ბიზანტიელი სტრატეგოსების თავხედობამ, სიხარბემ და ბილწსაქმიანობამ აღაშფოთა იგი და ამის შესახებ იმპერატორს აცნობა, რითაც გაანაწყენა ნაწილი სტრატეგოსებისა. ძმები იოანე და რუსტიკე მტრად გადაეციდნენ გუბაზს, რასაც

<sup>1</sup> იხ. ივ. ჯავახიშვილის თხზულებანი თორმეტ ტომად ტ. II თბ.1983წ. გვ.110-111

<sup>2</sup> იქვე გვ.112



მოკვეა კოლხთა მეფის მუხანათური მკვლელობა. ბიზანტიური წყაროები ამ ფაქტს ასე აღიქვამდნენ—„ღალატით მოიკლა იმპერიის ერთგული მოკავშირე.“<sup>1</sup>

ამ აქტის გამო კოლხთა მღელვარება იუსტინიანემ ჩააცხრო ლაზეთში ცნობილი იურისტისა და მოსამართლის, ათანასის ხელმძღვანელობით საგამომძიებლო ჯგუფის გაგზავნით. სასამართლომ სიკვდილით დასაჯა მეფის მკვლელები,<sup>2</sup> ხოლო იმპერატორმა სამეფო ტახტი გადასცა გუბაზის ძმას წათეს და ამით ლაზები კვლავ გაიერთგულა.

555 წელს ლაზიკაში ირანმა კვლავ დიდი ძალები შეიყვანა. ქ. ფაზისთან (ფოთი) მოხდა სისხლისმღვრელი ბრძოლა ირანსა და ბიზანტიას შორის, სადაც ირანის ჯარმა მარცხი განიცადა. ამის შემდეგ 561 წლამდე, ირანის მხრიდან აქტიურ საომარ მოქმედებებს ადგილი არ ჰქონია. ამავე წელს მოხდა მეომარ მხარეთა შეთანხმება 50 წლის ვადით, ირანი (ხოსრო) უარს ამბობდა ლაზიკაზე, (კოლხეთზე) ხოლო სვანეთი და იბერია მისი გავლენის ქვეშ რჩებოდა. ეს იყო ორივე მხარისთვის დათმობაზე წასვლა, რადგანაც ხოსროს ოცნება იყო შავი ზღვა და სამხედრო ფლოტის შექმნა.

საინტერესო ქართველი მეფის ბაგრატ IV-ის ბიზანტიასთან ურთიერთობის ძირითადი მომენტები. საქართველოს ისტორიიდან ცნობილია, რომ 1027 წელს გიორგი I გარდაიცვალა და ტახტზე ავიდა მცირეწლოვანი ბაგრატი, რომელიც ბიზანტიიდან ახალი ჩამოსული იყო. მას ქვეყნის საშინაო და საგარეო ურთიერთობები დალაგებული არ დახვედრია. ტაოელებმა 1027 წელს ყველა ციხე-სიმაგრე ბიზანტიელებს გადასცეს. ამ უკანსაკნელმა-ისარგებლა ბაგრატ IV-ის მცირეწლოვანებით, შინაური დიდგვაროვანთა გაორებით და ქვეყნის აოხრება დაიწყო.)

მართალია, მტერი და მოშურნე, შინაური თუ გარეული, არ აკლდა საქართველოს, მაგრამ ღალატს ერთგულება და თავდადება სძლევდა ყოველთვის.

ამ ეტაპზეც ასე მოხდა. ეპისკოპოსმა საბა მტბეუარმა ტბეთში სიისკრე ააგო, მეფის და ქვეყნის ერთგულები დარაზმა და მომხდურ მტერს მდგრად დაუდგა.<sup>3</sup> კეისარმა იგრძნო ქართველების ძალა, დათანხმდა სამშვიდობო მოლაპარაკებაზე, რომელსაც მეფე ბაგრატის დედა მარია-

1 იხ. История Византии Т. I. М. 1967г. 332-333

2 ამ ფაქტს უფრო ვრცლად ქვემოთ შევხებით

3 იხ. ივ. ჯავახიშვილი, თხზ, ტ II თბ. 1983წ, გვ. 323

მი აწარმოებდა. ეს იყო ქალის პირველი ოფიციალური დიპლომატიური მისია, რომელსაც დედოფალმა თავი შესანიშნავად გაართვა. ქართული დიპლომატიის მკვლევარები დადებითად აფასებენ მარიამ დედოფლის მოღვაწეობას: „მარიამ დედოფალმა ბიზანტიასთან დაამყარა ისეთი ურთიერთობა, რომლის წინააღმდეგ მთელი სიცოცხლე იბრძოდა მისი თანამეცხედრე გიორგი I, რასაკვირველია. არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ მარიამის „სამშვიდობო ინიციატივა“ ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი ვითარებით იყო გამოწვეული, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ საქართველოს დედოფლის სხვა დიპლომატიურ ნაბიჯს (კერძოდ, მის აქტივობას XI ს-ის 50 წლებში), როდესაც ბაგრატ IV-ს ასევე სჭირდებოდა დათმობაზე წასვლა ბიზანტიასთან ურთიერთობებში და ამის მისაღწევად დედის ავტორიტეტი გამოიყენა, უნდა ვიფიქროთ, რომ მარიამის ვიზიტი კონსტანტინეპოლში ახალი პოლიტიკური კურსის მაჩვენებელი იყო“. ბიზანტიის კეისარმა ბაგრატ IV-ეს თავისი ასული ელენე მისცა ცოლად და ქვეყნებს შორის მშვიდობაც დამყარდა.

ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობაში მნიშვნელოვანი მომენტია XII საუკუნეში ტრაპიზონში მესამე ბერძნული სახელმწიფოს (ტრაპიზონის იმპერიის) ჩამოყალიბება. ეს იყო ტერიტორია შავის ზღვის სანაპიროზე, მცირე აზიაში, სადაც თავისდროზე სახლდებოდნენ ხალიბების ქართული ტომების წინაპრები. აქ შემდგომში აღმოჩნდნენ ჯვაროსანთა რიგებიდან დარჩენილი ადამიანები. ძირითადად, აღნიშნული ტერიტორია დასახლებული იყო სხვადასვა ხალხის წარმომადგენლებით, ბერძნები ეთნიკურ უმრავლესობას არ წარმოადგენდნენ. ძირითადი ნაწილი იყვნენ ლაზები.

ბერძნულ-ბიზანტიური წყაროების მიხედვით, ტრაპიზონის სახელმწიფოს ჩამოყალიბება მაშინდელი საქართველოს სამეფო კარის აქტიური ჩარევით მოხდა. საქართველოს მეფემ თამარმა(1184-1213), რომელიც ენათესავებოდა კომნენების გვარს, დიდი როლი ითამაშა ახალი იმპერიის შექმნაში.

კონსტანტინეპოლის იმპერატორი ისაკ II ანგელოსი 1202 წელს შეთქმულებმა საიმპერატორო ტახტიდან ჩამოაგდეს, მისმა შვილმა ალექსიძე კომნენის პაპს სთხოვა დახმარება, შემდეგ თავის სიძეს, დის ქმარს ფილიპე შვაბელს შეევედრა. ამ უკანასკნელის მეშვეობით ჯვაროსნებმა 1203 წელს ისაკს ტახტი დაუბრუნეს, მაგრამ 1204 წლის იანვარში კონსტანტი-

ნეპოლის აჯანყებულმა მოსახლეობამ კვლავ დაამხო იმპერატორი. 1204 წლის 13 აპრილს ჯვაროსნებმა აიღეს კონსტანტინეპოლი და დაანგრიეს არქიტექტურული ძეგლები, სასტიკად გაუსწორდნენ მოსახლეობას.

საქართველოს სამეფო კარმა ისარგებლა ბიზანტიის დასუსტებით, ლაშქარი შავი ზღვის სამხრეთ ტერიტორიებს შეუსია და ადვილად დაიპყრო. ამის საბაბი ის გახდა, რომ სავანების წარმომადგენლები თამარ მეფემ მიიღო და შეწირულებანი გადასცა, მაგრამ ბიზანტიის კეისარმა ალექსიმ უკან დაბრუნებულ ქართველ ბერებს ფული და ძვირფასეულობა ჩამოართვა. შეიტყო თუ არა თამარ მეფემ ამის შესახებ, ჯარი შეკრიბა და საომარი ოპერაციები შავი ზღვის სანაპიროზე განახორციელა. დაიპყრო ჭანეთი ანუ ლაზისტანი, ტრაპიზონი, ლიმონი, სამსონი, სინოპი, კერასუნდი, კოტიორა, აგასტრია, ერაკლი და, ყოველი ადგილნი ფებლადონისად აპოსტოსანი.“

„მეფე თამარმა დაპყრობილი ხალხებისაგან შექმნა ერთი სახელმწიფო, რომლის სათავეში ჩააყენა ბაგრატიონთა ნათესავი (მეფე თამარი მისთვის მამიდად ითვლებოდა) ალექსი კომნენოსი (1204-1222წ.წ), ასე შეიქმნა ტრაპიზონის სამეფო 1204 წელს.“

კომნენებისა და ქართველ ბაგრატიონთა ნათესაობის შესახებ სხვადასხვა ვერსიები არსებობს<sup>2</sup>, მაგრამ ეს ურთიერთობა დაიწყო XII საუკუნის პირველ ნახევარში, რასაც თითქმის ყველა მკვლევარი აღიარებს. რაც შეეხება ქართულ ისტორიოგრაფიას, ამ ნათესაობის ირგვლივ ჩამოყალიბებულია შემდეგი აზრი, კომნენოსების სამი თაობა საქართველოში ცხოვრობდა და ნათესაობდა სამეფო კართან. დავით აღმაშენებლის შვილი კატაი საბერძნეთში იყო გათხოვილი ალექსი I-ის შვილ ისაკ კომნენოსზე. კატაის და ისაკის შვილი იყო ანდრონიკე, რომელიც 1185 წელს ტახტიდან ჩამოაგდეს და მოკლეს. არ დაინდეს იმპერატორ ანდრონიკეს შვილი მანოელიც, გადარჩნენ მანოელის შვილები ალექსი და დავითი, რომლებმაც თავშესაფარი საქართველოში თამარ მეფის კარზე პოვეს. სწორედ ეს ალექსი გახდა ტრაპიზონის იმპერიის პირველი მმართველი.

„ტრაპიზონის სამეფოს ძირითად ტერიტორიას შეადგენდა ქართული ქვეყანა — ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთი (ლაზეთი, ჭანეთი), რომელიც მოიცავდა შავი ზღვის სანაპიროს ქ. სოტიროპოლიდან, (რკი-

1 იხ. რ. მეტრეველი, მეფე თამარი, თბ. 1971წ. გვ. 135

2 On the Relationship between the founder of the empire of Trebisonda and the Georgian Queen

ნის პალოსოლიქიდან) ვიდრე მდინარე თერმოლონამდე (ძველ-ქართული მხარეები ქალდეა და ხალიბია-ტიბარენია). საჭიროა აღვნიშნოთ,—წერს პავლე ინგოროყვა,—რომ კომნენტა დაყენებას ტრაპიზონის სამეფოს სათავეში საქართველოს მფარველობის ქვეშ მეფის ტიტულით, გარკვეული პოლიტიკური მნიშვნელობა ენიჭებოდა, ეს იყო მაჩვენებელი იმისა, რომ საქართველო არის შემკვიდრე და შემცვლელი ბიზანტიის იმპერიისა, რამდენადაც ბიზანტიის იმპერატორთა ძველი დინასტიის წარმომადგენელი, კომნენი, კეისარი, საქართველოს პროტექტორატს აღიარებდა.“

საბოლოოდ, ტრაპიზონის იმპერია საქართველოს საბაჟო პოლიტიკის ნაწილს წარმოადგენდა, რომელიც, ერთის მხრივ, უპირისპირდებოდა კონსტანტინეპოლს, ლათინთა იმპერიას, ხოლო, მეორეს მხრივ, აზიის სელჩუკთა სახელმწიფოს და მაშინდელი საქართველოს სიძლიერის ერთ-ერთ დასტურს და გარანტს განაპირობებდა.

ტრაპიზონის იმპერია საქართველოს ქვეშევრდომი, მისი ყმადნაფიცი ქვეყანა იყო. მან იარსება 1204-წლიდან-1461-წლამდე. კომნენოლები საქართველოს სამეფო კარის ერთგულები იყვნენ, მაგრამ მონღოლთა შემოსევებისა და საქართველოს დასუსტების შემდეგ რეგიონში პოლიტიკური სურათი შეიცვალა.

## §2. რომაული სამართლის რეცეფცია საქართველოში

რაც შეეხება რომაულ-ბიზანტიური სამართლის რეცეფციას ევროპის ქვეყნებთან ერთად, იგი ქართულმა სამართლებრივმა აზროვნებამაც განიცადა, რაც დადებით მოვლენად უნდა შეეაფასოთ. ეს ბუნებრივიცაა, რადგანაც იმდროინდელ საქართველოს მჭიდრო კავშირ-ურთიერთობა გააჩნდა არა მარტო ბიზანტიასთან, არამედ მთელ ქრისტიანულ სამყაროსთან. ამ ურთიერთობებზე უკვე გვქონდა მსჯელობა წიგნის წინათავე. მაგრამ აქაც აღვნიშნავთ, რომ რომის სამართლის ცალკეულმა დებულებებმა და პრინციპებმა ასახვა კპოვეს, როგორც საერო, ისე საეკლესიო ქართული სამართლის ძეგლებში. მათი შესწავლა-ანალიზი იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ რომის სამართლის გავლენა დიდი იყო ცალკეული სამართლის წყაროთა მიმართ, რომლებმაც ფაქტობრივად, თავი მოიყარა ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულში, სადაც

1 იხ. პ. ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, ტ IV, 1978 წ. გვ. 20-21

ბერძნული სახელწოდებით გადმოტანილი სამართალი ფაქტობრივად რომის სამართალია და ამ ფაქტს სადავოდ არავინ ხდის. უფრო მეტიც, ამ კანონებს ბერძნულ-რომაულ სამართალს უწოდებენ.<sup>1</sup>

(მკვლევართა აზრით, მცირე სჯულის კანონს, რომელიც საქართველოში მოქმედებდა, ასევე ბევრი რამ კქონდა შეთვისებული რომაული სამართლიდან. გასაზიარებელია შეხედულება იმის თაობაზე, რომ ვახტანგ VI-ის კოდექსში ბერძნული სამართლის ქართული ვერსია უნდა წარმოადგენდეს XIV საუკუნის ცნობილი სასულიერო მოღვაწის, მათე ვლასტარის 1335წ. სინტაგმის შემოკლებას. ასევე, სამართლის ქართული ვერსია უნდა ეყრდნობოდეს სალონიკელი მოსამართლის კონსტანტინე არმენოპოლოს 1345 წლის „ექვსწიგნეულს“ რომელიც თავის მხრივ, საუკუნის ბიზანტიური სამართლის პროხეირონის შემოკლებული და გადამუშავებული რედაქცია იყო.

ჩვეულებითი სამართალი დაუწერელი სამართალია, *jus non scriptum*. ბიზანტიური სამართლის ქართული ვერსია „სამართალი ბერძნული“ ასე განსაზღვრავს ადათობრივი სამართლის დამახასიათებელ ნიშნებს: „ერთის რისმე საქმისათვის რომე დაწერილი სამართალი არ იყოს, რომე კაცს იმისი სამართალი უყონ, სჯულთა იმ ალაგის წესი, რომელიც იყოს, ის უნდა იკითხოს და ის სამართალი უნდა უყოს. იმ სამართალს ეწოდების სჯულის კანონის მაგიერი სამართალი.“<sup>2</sup>

(ქართველ მკვლევართა შორის ჩამოყალიბდა აზრი იმის თაობაზე, რომ ვინც კი შეხებია ბერძნული სამართლის ქართულ თარგმანს, ყველა, ვლ. სოკოლოვის გარდა, ერთხმად აღიარებს, რომ ეს კანონები ბიზანტიური კანონებია.)

ბიზანტიურ კანონებს კი უწოდებენ ბერძნულ-რომაულ სამართალს, სხვადასხვა კუთხეში ბერძნული სამართალი ზოგჯერ „იუსტინიანე მეფის“ სამართლად მოიხსენიება.<sup>3</sup> ამავე მოსაზრებისაა რომის სამართლის მკვლევარი ვ. მეტრეველი, რომელსაც კომენტარის გარეშე მოჰყავს თ. ბრეგამის ზემოაღნიშნული მოსაზრება. მართალია, იუსტინიანე იმპერატორის საკანონმდებლო მოღვაწეობა კოდიფიკაციის სახელით მოიხსენიება, მაგრამ სამართალმცოდნეობა XVIII საუკუნემდე არ იცნობს კოდიფიკაციას, შუა საუკუნეების სახელგანთქმული და საყოველთაოდ

1 იხ. ვ. მეტრეველი, რომის სამართალი (საფუძვლები), თბ. 2005წ. გვ. 20-21

2 იხ. ი. დოლიძე, საქართველოს ჩვეულებითი სჯული, თბ. 1960წ. გვ. 12

3 იხ. ვ. მეტრეველი, რომის სამართალი (საფუძვლები), თბ. 2005წ. გვ. 20-21

გავრცელებული აქტები (მათ შორის Corpus Iuris Civilis) არ წარმოდგენდნენ კოდექსებს (კანონებს) თანამედროვე გაგებით. ცხადია, იგივე ითქმის ვახტანგის სამართლის წიგნზე, რომელიც ქართული სამართლის უმნიშვნელოვანესი ძეგლია. აღნიშნული აქტები შეადგენენ სხვადასხვა ეპოქაში და სხვადასხვა საკითხებზე გამოცემულ ცალკეულ ნორმებს, გადაწყვეტილებებს, და კანონთა კრებულებს, თუმცა იურიდიული თვალსაზრისით, ყველაზე სრულყოფილი მაინც იუსტინიანეს კრებულია, რომელშიც სისტემატიზირებულია რომის იმპერიაში სხვადასხვა დროს მიღებული კანონები, გადაწყვეტილებები, თეორია და სასამართლო პრაქტიკა.

გერმანელი მეცნიერი კ. პელმუტი იუსტინიანეს დიგესტების შესახებ წერს, „თანამედროვე კოდიფიკაციის პირველი მცდელობები, რომლებიც ავსტრიასა და პრუსიაში განხორციელდა, ბაძავენენ იუსტინიანეს ნიმუშს: მათ ჰქონდათ კანონის ძალის მქონე სახელმძღვანელოს ფორმა, როგორც ეს იუსტინიანეს კანონმდებლობის ინსტიტუტებშია მოცემული.“<sup>1</sup>

„ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენებით გამოჩნდა ქართული მემკვიდრეობითი სამართლის დიდი მსგავსება ბერძნულ-რომაულ მემკვიდრეობით სამართალთან. იურიდიული პრაქტიკის განხილვამ კი დაადასტურა, რომ ვახტანგ VI სამართლის წიგნთა კრებულში შესული ბერძნულ-რომაული სამართლის ნორმები, რითაც მემკვიდრეობითი ურთიერთობანი წესრიგდებოდა, ჩვენში მეტწილად სამოქმედო ნორმებს შეადგენდნენ. დაახლოებით ასეთივე მდგომარეობაა მოსეს სჯულისა და მხითარ გომის სამართლის ნაწილშიც.“<sup>2</sup>

ლ. ჭანტურია წერს, „მართალია, გაბატონებული და საყოველთაოდ გავრცელებული შეხედულებების თანახმად, რეცეფციას და კერძოდ, რომის სამართლის რეცეფციას სამართლის ისტორიის ერთი მონაკვეთის გამოსახატავად იყენებენ და ადგილს, როგორც წესი, სამართლის წყაროების თავში მიუჩენენ ხოლმე, მაგრამ ისტორიულად, რეცეფცია განათლებისა და მეცნიერების განვითარებასთან არის დაკავშირებული. თავის წარმოშობას იგი უმადლის იტალიელ იურისტებს, რომლებმაც XI-XII საუკუნეებში ბოლონიის უნივერსიტეტში „მეცნიერულად კვლავ აღმოაჩინეს რომის სამართალი“ რომის სამართლის „გაცოცხლება“ მიიჩნევა იმ დიდი ისტორიული მიღწევების ნაწილად, რომელსაც XII საუკუნის რენესანს, უწოდებენ.

1 Coing Helmut, Europaisches Privatrecht B. II 13 Jahrhundert, Munhen 1989s/7 (ციტირება ლ. ჭანტურიას დას. ნაშ.).

2 იხ. ბ. ზოიძე, ძველი ქართულის მემკვიდრეობითი სამართალი თბ. 2000წ. გვ. 12

მკვლევარები ასეთ დასკვნას აკეთებენ: „საერო სასამართლოს ეთიკური საფუძველი ისეთივეა, როგორც იუსტიციის სამართლის. მისი ძირითადი დებულებები: პიროვნების თავისუფლება, საკუთრების თავისუფლება, მისი თავისუფალი განკარგვის უფლება და ა.შ. „როდესაც ბერძნულ-რომაული სამართლის რეცეფციაზე ვსაუბრობთ, უნდა გავითვალისწინოთ ამ რეცეფციის დონე, რადგანაც არ არსებობს ქვეყანა, სადაც რომაული სამართლის რეცეფცია ტოტალური იყოს, როგორი სრულყოფილი რეცეფციაც არ უნდა მოხდეს, იგი მაინც ვერ შეცვლის მთლიანად ეროვნულ სამართალს“ და მათ შორის საქართველოშიც. ანტიკური ხანის რომთან ქართველი ხალხის კონტაქტებზე საუბრობს გ. ნადარეიშვილი კ. თოფურიასა და მ. ქაღდანის სვანურ ლექსიკონებზე დაყრდნობით და მიიჩნევს, რომ ძველი რომაულის გამოხატულებაა სვანურში შემორჩენილი სიტყვა „ფამლი“ შინამოსამსახურის, ლაქიისა და შინაყმის მნიშვნელობით. ლათინურ ენაზე „ფამელუს“ ნიშნავდა მსახურს, მონას, ხოლო „ფამულა“ მსახურ ქალს და მხევალს.

„ჩვენ ვიცი, რომ ბიზანტიური სამართლის გავლენა საკმაოდ ღრმად იყო. რომ ავიღოთ, მაგალითად, ისეთი დიდი საკითხი, როგორიცაა განზრახვისა და გაუფრთხილებლობის საკითხი, ჩვენ შეგვიძლია დანამდვილებით ვთქვათ, რომ მისი დამუშავება საქართველოში ბიზანტიური სამართლის მიხედვით წარმოებდა. ბიზანტიურ სამართალში შემუშავებული ცნებების გადმოტანა და შეთვისება ჩვენი იურიდიული ცნობიერებისათვის უეჭველად ხელსაყრელი და სასარგებლო იყო. ამგვარად, რეცეფციის შედეგად ხდებოდა იურიდიული აზროვნების გარდაქმნა და გაღრმავება, ჩამორჩენილი იურიდიული წესების ახალი თვალსაზრისით უფრო მაღალი კულტურის გამოხატველი ინსტიტუტების შემოღება.“<sup>2</sup> – წერდა პროფესორი ა. ვაჩიშვილი.

ვიგივე აზრს ავითარებს პროფ. გ. ნადარეიშვილი, მას მიაჩნია, რომ ბიზანტია საქართველოსათვის უბრალო მეზობელი არ ყოფილა. ის იყო შუა საუკუნეების მსოფლიო ცივილიზაციის მესაკუთრე და ამავე დროს, აღმოსავლეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ცხოვრებისათვის ტონის მიმცემი.<sup>3</sup>

1 იხ. ბ. ზოძე, ძველი ქართლის მემკვიდრეობითი სამართალი, თბ. 2000წ. გვ.64

2 იხ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები XXVI სერია B თბ. 1944 გვ. 54055

3 იხ. გ. ნადარეიშვილი, ძველი საოჯახო სამართალი თბ. 1996 წ. გვ. 68

გ. ნადარეიშვილს მიაჩნია, რომ „ბიზანტიის სამოქალაქო სამართალი სხვადასხვა დროს გავლენას ახდენდა ქართულ სამართალზე, ძველი ქართული სამართალი, როგორც ე.წ. „ხალხთა სამართლის“ ერთ-ერთი ნაწილი, შექმლებისამებრ გავლენას ახდენდა რომის სამოქალაქო სამართალზეც,“

სამწუხაროდ, ამ საინტერესო მოსაზრებას იგი მხოლოდ ვარაუდის დონეზე ტოვებს, მაგრამ იმდენად საყურადღებო აზრია გამოთქმული, რომ ამ პრობლემას სერიოზული კვლევა სჭირდება მომავალში.

ისტორიულად დამტკიცდა, რომ ამა თუ იმ ერისათვის ძალზე მნიშვნელოვანია არა მარტო საკუთარი ქვეყნის პოლიტიკურ-სამართლებრივი თუ ეკონომიკური პოტენციალი, არამედ ის, თუ როგორი ქვეყნის გვერდით სახლობს ხალხი, როგორ სახელმწიფოებს ესაზღვრება შენი ქვეყანა.

---

1 იხ. გ. ნადარეიშვილი, ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბ. 2003. გვ. 133



## თავი მარვილმება

# რომისა და ბიზანტიის მონათმფლობელური იმპერიის დასასრული

### §1. რომის იმპერიის დასაბა

ისტორიულად, ყველა იმპერიას აქვს დასაწყისი და დასასრულიც. ასე მოხდა რომის სინამდვილეშიც. სამოქალაქო ომებმა, ტრიუმფირატებმა, პროსკრიპციებმა, ყოველგვარ ომზე უფრო მეტად დააუძლურეს რომი.<sup>1</sup> IV საუკუნის 70 წლებიდან—იმპერიის მდგომარეობა თანდათან არასახარბიელო ხდებოდა. დასავლეთიდან ძალზე გააქტიურდნენ ვესტგოთები. 378 წელს რომის შეიარაღებული ძალები ადრიანოპოლისთან გოთებთან ბრძოლაში დამარცხდნენ. დაიღუპა კეისარი ვალენტინიც, ამ პერიოდს ემთხვევა ქვეყანაში მონების, კოლონების და გლეხების უკმაყოფილება. იმპერატორის მემკვიდრემ თეოდოს I-მა (379-395) შეძლო გოთებთან ზავის დადება. გარდა ამისა, მან მოახერხა ზოგიერთი გოთი ბელადის მოსყიდვაც და მის მხარეზე გადმობირება, რითაც დროებით მშვიდობა დაამყარა. თეოდოს I იყო რომის ერთიანი სახელმწიფოს უკანასკნელი კეისარი და ქრისტიანობის მფარველი. 334წ. მან ქრისტიანობა გამოაცხადა, როგორც ერთადერთი რელიგია რომის იმპერიაში. სიცოცხლის ბოლოს თეოდოსიმ რომის იმპერია-ორ ნაწილად გაყო. დასავლეთი სამართავად გადასცა ერთ შვილს ჯონორეუსს, აღმოსავლეთი კი მეორე შვილს—არკადიუსს.

დასავლეთ რომის იმპერია მ-ვერა შეძლო დიდხანს არსებობა. ჯერ კიდევ 410 წლის 24 აგვისტოს ბარბაროსების არმია ალარიხის ხელმძღვანელობით შეესია რომს და სამი დღე არბევდნენ მოსახლეობას. 476 წელს კი გერმანელმა ბარბაროსებმა ოდოაკრის მეთაურობით დაამარცხეს იმპერატორ რომულუს ავგუსტულუსის შეიარაღებული ძალები და ფაქტობრივად, დასავლეთ რომის იმპერია არსებობა შეწყვიტა.<sup>2</sup>

1 იხ. შლ. მონტესკიე, კანონთა გონი თბ. 1994წ. გვ. 507

2 იხ. Ю.А. Петросян Древний город на берега Босфора М. 1991г. ст. 49

ასე დამთავრდა ძველი რომის ისტორია, იგი დაიწყო ლეგენდარული რომულით და დამთავრდა უმწურო რომულუსით.<sup>1</sup>

პროფ. ლ. სანიკიძის აზრით, ასე დასრულდა ანტიკურობისა და კაცობრიობის უდიდესი ცივილიზაციის ისტორია.

შემდგომ პერიოდში არაერთი კეისარი შეეცადა რომის იმპერიისათვის ძველი დიდება და სიძლიერე დაებრუნებინა, მაგრამ ამაოდ. ერთადერთი იმპერატორი იუსტინიანე იყო, რომელმაც შეძლო ორივე იმპერიის დიდი ნაწილის გაერთიანება, მაგრამ ისიც დროებით. ისტორიის დიდ განაჩენს ვერ გადაურჩა ერთ დროს უდიდესი და უმდიდრესი მონათმფლობელური ძველი რომის იმპერია; აი, რას წერდა თავის დროზე დიდი მოაზროვნე შ. ლ. მონტესკიე: „როდესაც სულამ მოისურვა, თავისუფლება დაებრუნებინა რომისთვის, რომს უკვე აღარ შეეძლო მისი მიღება, მას ძალიან უფერული კვალიღა შერჩენოდა უწინდელი ქველობისა და ვინაიდან ეს კვალიც თანდათან ქრებოდა, ამიტომ ნაცვლად იმისა, რომ გამოფხიზლებულიყო, ტიბერიუსის, კასიუსის, კლავდიუსის, ნერონის, დომიციანეს მმართველობის შემდეგ რომი უფრო და უფრო ეფლობოდა მონობაში, ყველა დარტყმა ტირანებს და ტირანიას“ ხვდებოდა.

შ.ლ. მონტესკიე საინტერესო შედარებას აკეთებს, თუ რა შეუძლია ქვეყანას მოუტანოს ერთი და იგივე დროს მმართველობაში ორ განსხვავებულ დამოკიდებულებას, ანუ ორმაგი სტანდარტებით ცხოვრებას, იგი ამაში ხედავს ხელისუფლების ცვალებადობას სამართლებრივ და პოლიტიკურ სფეროში, ეკლექტიკურ პოზიციას, რაც საბოლოოდ ქვეყნის მომავალზე უარყოფითად მოქმედებს. ასე მაგ: „რომის ყველაზე ცუდი იმპერატორები ისინი იყვნენ, ვინც ყველაზე მეტი გასცა. მაგ. ასეთებია: კალიგულა, კლავდიუსი, ნერონი, ოთონი, ვიტელიუსი, კომოლუსი, პელიოგაბლესი და კარაკალა. საუკეთესო იმპერატორები კი, როგორც იყვნენ: აგუსტუსი ვესპასიანე, ანტონიუს პიუსი, მარკუს ავრელიუსი და პერტინაქსი, მომჭირნენი გახლდნენ, კარგი იმპერატორების ხელში სახელმწიფო უბრუნდება თავის პრინციპებს, ღირსება ამ დროს ყველა დანარჩენ განძზე აღმატებული განძია,“<sup>2</sup> მაგრამ ამასაც აღარ შეეძლო რომის ერთიანი იმპერიის გადარჩენა.

<sup>1</sup> იხ. ლ. სანიკიძე, რომის იმპერია, თბ. 1984წ. გვ. 326

<sup>2</sup> იხ. შ. ლ. მონტესკიე, კანონთა გონი, გვ. 50

ბიზანტია შედარებით ილბლიანი აღმოჩნდა, ვიდრე რომი. კონსტანტინეპოლი გადაიქცა აღმოსავლეთ იმპერიის დედაქალაქად, რომელიც იქცა მაშინდელ მსოფლიოში ერთ-ერთ ძლიერ სახელმწიფოდ, (ბიზანტიის იმპერიამ შეძლო 10 საუკუნე ეარსება, რომელსაც თვითონ „რომაელთა სამეფოს“ ანუ „რომანიას“ უწოდებდნენ.)

რას წარმოადგენდა ყოფილი რომის დიდი იმპერია და ევროპა შუა საუკუნეებში? „ოდესღაც ძლიერი რომის საღეთო იმპერია XV საუკუნის პირველ ნახევარში წარმოადგენდა მსხვილ, წვრილ და უწვრილეს სამთავროთა კონგლომერატს. ამ სამთავროებს შორის გაუთავებელი ქიშპი, შუღლი და ომი წარმოებდა.

- მაშინდელი გერმანიის მთელ ტერიტორიაზე ანარქია ბატონობდა. ყოველივე ამას გაძლიერებული ფეოდალური ჩაგვრა ემატებოდა, რომელსაც გერმანელი გლეხობა მწვავე ბრძოლებით პასუხობდა. ამის მაგალითებია გლეხების გამოსვლები 1406, 1431, 1433 წლებში. ანალოგიური მდგომარეობა შეიქმნა მაშინდელი და ყოფილი იმპერიის უმრავლეს პროვინციებში. კლასობრივ ბრძოლას თან სდევდა ჩეხი ხალხის ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლა, რომელიც ჰუსიტთა მოძრაობის სახელითაა ცნობილი (1419-1439).

საფრანგეთი XIII საუკუნის დასასრულს და XIV საუკუნის დასაწყისში უკვე ადგა ცენტრალიზაციის გზას, რომელიც შეაფერხა ინგლისთან ასწლიანმა ომმა (1337- 1453) მასობრივად გაანადგურა ქვეყნის მწარმოებლური ძალები და მოსახლეობის დიდი რაოდენობა. შემდეგ ქვეყანა რამდენიმე ფეოდალურ ერთეულად დაიყო და ტახტისთვის ბრძოლა დიდხანს გაგრძელდა.

იტალია XIV საუკუნის დასასრულს და XV საუკუნის დამდეგს არ წარმოადგენდა ერთიან სახელმწიფოს. იგი 20-მდე სახელმწიფოებრივი წარმონაქმნისაგან შედგებოდა. მათ შორის სერიოზული წინააღმდეგობანი არსებობდა როგორც პოლიტიკაში, ასევე ვაჭრობის სფეროშიც.)

საფრანგეთისა და გერმანიის დასუსტებით ისარგებლა ბუნდუნდის საჰერცოგომ, რომელიც გაძლიერდა და, მართალია, მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებაში XV საუკუნის 70-იან წლებამდე, მაგრამ დიდი პოლიტიკისათვის ის არაფერს წარმოადგენდა!

1 იხ. ქართული სამეფო სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან I. თბ. 1970 გვ. 6-11

საკუთრივ ბიზანტიის (XIV-XV სს) ისტორია იყო გადატრიალებების, სოციალური და რელიგიური წინააღმდეგობების, ფინანსური და სამხედრო დაუძღვრების პერიოდი: გარდა ამისა, XIV საუკუნის დასასრულისთვის ბიზანტიამ დაკარგა თავისი ტერიტორიის უმეტესი ნაწილი.

სულთან ბაიზეთ I ემზადებოდა კონსტანტინეპოლის ასაღებად, მაგრამ 1401 წ. როდესაც იგი გარს შემოერთა კონსტანტინეპოლს, თურქეთს შეეჯახა მეორე, უფრო ძლიერი ძალა თემურ ლენგის სახით. ამას დაემატა თვით თურქეთში ატეხილი ბრძოლა მეძკვიდრებს შორის. 1402 წელს თემურლენგმა ანკარასთან გამართულ ბრძოლაში დაამარცხა ბაიზათი, რამაც მას ხელი ააღებინა კონსტანტინეპოლის შეტევაზე, მაგრამ 1421 წელს სულთანმა მურად II კვლავ დაიწყო შეტევები ბიზანტიაზე. 1422 წელს ალყის მიუხედავად კონსტანტინეპოლი ალებას გადაურჩა ერთი მიზეზით, მურად II-ს საკუთარი ძმა მუსტაფა, ტახტს შეეცვლა.

ბიზანტიის მაშინდელი იმპერატორი იოანე პალეოლოგი იძულებული გახდა თურქეთთან ხელშეკრულება დაედო, რომლის ძალითაც ბიზანტიამ მნიშვნელოვანი ტერიტორიები დათმო და იკისრა ყოველწლიურად 30 000 ლუკატის გადახდა. 1430 წელს მურადმა თესალონიკა დაიკავა. ბიზანტია დარჩა კონსტანტინეპოლის ამარა, თუ არ გავითვალისწინებთ ახლო მდებარე პატარა ოლქებს სულიმბრიანამდე, ტორკასამდე და ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე გაფანტულ რამდენიმე ტერიტორიულ ერთეულს.

არასახარბიელო მდგომარეობა იყო ეკლესიაშიც. 1054 წელს მართლმადიდებლობა (აღმოსავლეთში) და კათოლიკობა (დასავლეთში) საბოლოოდ გაეშორა ერთმანეთს, რასაც მოჰყვა თითოეული მათგანის უფრო მცირე მიმდინარეობად დაშლა. 1378 წელს პაპი გრიგოლ XI-ის შემდეგ დაიწყო ე.წ. „დიდი განხეთქილება“, მის ადგილზე არჩეული იქნა ორი პაპი, ერთი რომში – ურბან VI და მეორე ავინიონში – კლიმენტი VII, დამკვიდრდა ორპაპიანობა და მათ შორის ბრძოლამ 40 წელს გასტანა.

1414-1418 წლებში კონსტანტინის საეკლესიო კრებამ შეძლო ეკლესიის მთლიანობა აღედგინა და აირჩია პაპი მარტინ V. 1439 წლის ივლისს მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელთა უმრავლესობამ ხელი მოაწერა ეკლესიის გაერთიანების აქტს, მაგრამ ამით ბიზანტიას რაიმე დახმარება პაპისაგან არ მიუღია.

ოსმანთა იმპერიის მაშინდელი მმართველი სულთან მურად II შეცვალა მისმა შვილმა მუჰამედ II-მ (1451-1481), რომელიც ისტორიაში შევიდა „დამპყრობელის“ სახელწოდებით. იგი იყო ძლიერი სტრატეგი, მკაცრი

და დაუნდობელი, რომელიც დასახული მიზნის მიღწევისათვის ყველა საშუალებას იყენებდა, სპობდა და ანადგურებდა ყველას, ვისაც კი თავის კონკურენტად მიიჩნევდა. მისი ბრძანებით მოკლეს 9 თვის მისივე უმცროსი ძმა ამურატი და მასთან ერთად რამდენიმე ახლო ნათესავი. მის სიმკაცრეზე მიუთითებს მასზე შეთხზული ლეგენდები. ასე მაგ. მან მისი ბალიდან ერთი ნესვის დაკარგვის გამო ბრძანა 14 მონისთვის მოეკეთათ თავები, სხვა შემთხვევაში, საკუთარი ხელით მოკვება თავი მონას იმისათვის, რომ სიძლიერე ერევნებინა მხატვარ ჯენტილი ბელინისათვის, რომელიც მის პორტრეტს ხატავდა. სწორედ მან შეკრიბა 1453 წელს 200 000-იანი არმია და გაემართა ბიზანტიის იმპერიის დასაქცევად. იმპერატორმა კონსტანტინე XI პალეოლოგოსმა საიდუმლო აღწერა ჩაატარა ქალაქში, რათა გაეგო, თუ რა ძალას დაუპირისპირებდა სულთნის მრავალრიცხოვან არმიას. კონსტანტინეპოლში ჩატარებულმა საიდუმლო აღწერამ აჩვენა, რომ ვისაც იარაღის ხელში ალება შეეძლო, აღმოჩნდა სულ 4373 კაცი, აქედან 2000 უცხოელი მოქალაქე. გარდა ამისა, ჰყავდა 25-მდე საზღვაო გემი, რომელიც ზღვიდან იცავდა კონსტანტინეპოლს. მაშინ, როდესაც მუჰამედ II-ს 150-ზე მეტი ხომალდი გააჩნდა. მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა, რამდენიმე დღის ალყისა და შეტევის შემდეგ 1453 წლის 29 მაისს დაეცა მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი და უძველესი ქალაქი კონსტანტინეპოლი, რითაც თავისი არსებობა დაამთავრა ბიზანტიის იმპერიამ, რომელსაც თავისი ისტორიის მანძილზე 88 იმპერატორი (კეისარი) მართავდა!

ბიზანტიის განაგურების შემდეგ თურქეთი იქცა ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფოდ შუა საუკუნეების მსოფლიო ისტორიაში. მუჰამედ II-ის მიერ აღებული კონსტანტინეპოლი გახდა ოსმალთა იმპერიის დედაქალაქი სტამბულის სახელწოდებით.<sup>2</sup> ასე დაასრულა არსებობა მსოფლიოში ერთ-ერთმა უძლიერესმა იმპერიამ, საქართველომ კი დაკარგა ცივილიზაციის ფლაგმანი მეზობელი,<sup>3</sup> რომელსაც ჩაენაცვლა საშიში და სასტიკი ძალა თურქეთის სახით.

1 იხ. დიდი სამაგიდო ენციკლოპედია, თბ. 2007წ. გვ 56-57

2 იხ. История Византии, М. 1968г. Т.3. გვ 184-198

3 იხ. История Византии, М. 1968г. Т.3. გვ 208

მსოფლიო ისტორიამ 1453 წლის მაისის მოვლენები ბოსფორის სრუტეში (ბიზანტიის დაცემა) ტრაგედიად შეაფასა, რამაც შეაშფოთა მაშინდელი ევროპის ყველა სახელმწიფო. მანამდე არც ერთ რომელიმე მოვლენას, რომის იმპერიის არსებობის მანძილზე, იმდენი ინტერესი არ გამოუწვევია ისტორიულ წყაროებში, როგორც ეს მოხდა კონსტანტინეპოლის დაცემით. ამ ფაქტმა ასახვა კპოვა ისტორიულ თხზულებებში, ქრონიკებში, თანამედროვეთა მემუარებში, ეპისტოლურ ნაწარმოებებში და სხვა ჟანრებში.

მიუხედავად ამ მოვლენისადმი მკვლევართა სხვადასხვა დამოკიდებულებისა, გულგრილად ვერავენ აღწერდა ბიზანტიის დაცემას. ისტორიოგრაფიაში მრავალი აზრი გამოითქვა იმ ძირითად მიზეზებზე, რამაც რომის იმპერიის განადგურება გამოიწვია.<sup>1</sup>

სპეციალისტები ამ მიზეზებს ძირითადად ორ ჯგუფად ჰყოფენ—შინაგან და გარეგან ფაქტორებად. მაგრამ მომეტებულად სწორედ შინაგანი მიზეზები განიხილებოდა. პირველი, რამაც გამოიწვია რომის იმპერიის დაცემა, ეს იყო ისტორიული გარდუვალობა, არსებობის ყველა რეზერვის ამოწურვა, რაც ზოგადად ელოდებოდა მსოფლიო იმპერიებს და აჩქარებდა ამ პროცესს, რაც შეიძლება ტექნიკურ მხარედაც მივიჩნიოთ. (ბიზანტიის შემთხვევაში უპირატესად მიიჩნევა კრიზისის დაწყება მთელს იმპერიაში, მოსახლეობის ორ ნაწილად. — სოფლისა და ქალაქის მცხოვრებლებად გახლეჩა. ქვეყნის ეკონომიკაზე უცხოური გავლენის გაფართოება და საზღვაო პოლიტიკაში გენუასა და ვენეციასთან კონკურენციაში პოზიციების დათმობა. ცნობილი მოაზროვნე პლიფონიუსი მოუწოდებდა ხელისუფლებას, გადასულიყო პროტექციონისტურ პოლიტიკაზე, რათა გადარჩენილიყო სამამულო წარმოება იტალიურთან მიმართებაში. „ჩვენთვის მთავარი და ღირსეული იქნება — წერდა იგი, — თუ შევძლებთ და ჩვენზე დამზადებული ქსოვილით დავაკმაყოფილებთ ბაზარს, უარს ვეტყვით სხვა ქვეყანაში დამზადებულ პროდუქციას“<sup>2</sup>

კლასობრივი ბრძოლის გაძლიერებას თან სდევდა მდიდრების მიერ ღარიბების მზარდი შევიწროება, კანონის დარღვევა და იურიდიული ნორმების აბურხად აგდება.<sup>3</sup>

1 იხ. З.В. Удалысова внутренних причинах падения Византии в XV. 1953

2 იხ. a. Ellissen, Analecten der mittel-und negriechischen Literatur, piv, 11 s 22

3 იხ აპულეუსი „ოქროს ვირი“ IX35-38

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ასევე ფეოდალების შეუზღუდავ გავლენას პოლიტიკასა და ქვეყნის მართვაზე. ექსპლუატაციამ და თვითნებობამ უკიდურესად გაამწვავა სოციალური ფონი. თურქების შემოსევის წინ, მოსახლეობისათვის უკვე სულ ერთი იყო, ვინ ჩაენაცვლებოდა ხელისფლებას. ამან დააქვეითა პატრიოტიზმისა და ქვეყნის ერთგულების დონე.

როცა რომაელები გაიხრწნენ, მათი სურვილები უსაზღვრო გახდა. ამის შესახებ ფასების ზრდის მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ. ერთი დოქი ფალერნული ღვინო ასი რომაული დინარი ღირდა, ერთი პატარა კასრი დამარილებული პონტური ხორცი-ოთხასი დინარი, კარგი მზარეული – ოთხი ტალანტი. ახალგაზრდა მსახურ ბიჭებს ფასიც კი არ ჰქონდათ. მაგრამ როცა ფუფუნების დაუოკებელმა სურვილმა ყველა მოიცვა, რა დღეში ჩავარდებოდა იმპერია?

კიდევ ერთი მიზეზის შესახებ – „სხვა ხალხების განადგურებით რომაელებმა საკუთარი თავიც გაანადგურეს. მუდმივ სამხედრო მოქმედებაში, ძალისხმევისა და ძალადობის მდგომარეობაში მყოფნი, ისინი ისევე ცვდებოდნენ, როგორც რაიმე იარაღი ცვდება მუდმივი ხმარებით, რამაც ქვეყანა ეკონომიკურ კრიზისშიც შეიყვანა, შ.ლ. მონტესკიეს ხატოვანი ფრაზით თუ ვიმსჯელებთ, „ფუფუნება ღუპავს რესპუბლიკას, ხოლო სიღატაკე – მონარქიას.“<sup>2</sup> ყველაფერ ამას დაემატა ვაჭრებისა და მრეწველთა გამყიდველური პოლიტიკა და ორმაგი სტანდარტით ცხოვრების წესი. უფრო მეტიც, მდიდართა ნაწილი ამზადებდა სახალხო გამოსვლებს თურქეთის მხარდასაჭერად და ბიზანტიის საწინააღმდეგოდ. ასეთ შემთხვევას ადგილი ჰქონდა თრაკიაში.

გრძნობდა რა ბიზანტია XIV-XV საუკუნეებში თურქების გაძლიერებას და მათი მხრიდან დიდ საფრთხეს, ცდილობდა, მოკავშირე ეძებნა მეზობელ ქვეყნებში, მაგრამ ამაოდ. ევროპის ქვეყნების მიერ პერიოდული ჯვაროსნული ლაშქრობანი შედეგს არ იძლეოდა მათი გათიშულობის გამო. ბიზანტიელი ისტორიკოსი ფრანდიზიუსი მიუთითებს იმ ძირითად მიზეზებზე, რის გამოც ევროპამ ვერ შეძლო ბიზანტიისათვის სათანადო დახმარების გაწევა. მისი აზრით, „მრავალხელისუფლებიანობა იტალიასა და სხვა დასავლეთ რეგიონებში, რომლებსაც არ ჰყავთ ერთი ხელმძღვანელი და მათ შორის არ არის აზრთა ერთიანობა... ისინი ბევრს თათბირობენ, ბჭობენ, კა-

1 იხ. შ. ლ. მონტესკიე, კანონთა გონი, თბ. 1994წ. გვ. 506

2 იქვე გვ.128

მათობენ, მაგრამ საქმეს არ აკეთებენ.“ გარდა ამისა, ბიზანტიელებისთვის დაუხმარებლობა განაპირობა იმპერიისადმი ძველმა მტრულმა განწყობამ, იმათგან, ვინც ვალდებული იყო ეზრუნა იმპერიის გადარჩენისთვის, საკუთარი თავის გადარჩენა ამჯობინეს, მაგრამ ბევრმა მათგანმა მაინც ვერ შეძლო.

ბალკანეთის ნახევარკუნძულზე განლაგებულ სლავურ სახელმწიფოებთან ბიზანტიის კავშირი ატარებდა პერიოდულ ხასიათს, ამას ემატებოდა ორმხრივი უნდობლობის ფაქტორი. საერთაშორისო მდგომარეობა აღმოსავლეთში კი თურქეთის წისქვილზე ასხამდა წყალს.

მრზეხთა შორის განიხილება არასტაბილურობა ქვეყნის შიგნით პოლიტიკურ და სამართლებრივ სფეროში, სახელმწიფო სტრუქტურებში დამკვიდრებული მექრთამეობა, უსამართლობა, უქონელთა ჩაგვრა. ამას ემატებოდა საეკლესიო ცხოვრებაში არასახარბიელო ტენდენციები, რაც მოსახლეობის გათიშვის საფუძველი გახდა.

ყველაფერმა ამან გამოიწვია ზნეობრივი დაცემაც, რაც ქვეყნის ბედზე ყველა დროში და ყველა ხალხის ცხოვრებაში ცუდად ისახებოდა. აქედან გამომდინარე, ერთ-ერთ მიზეზად იურისტები საზოგადოების სამართლებრივ ნიჰილიზმს და მორალურ დაცემას მიიჩნევენ. ასე მაგ: „რომში დაშვებული იყო, რომ ერთ მოქალაქეს ბრალი დაედო მეორისათვის, ეს დადგენილი იქნა რესპუბლიკური სულისკვეთების შესაბამისად, სადაც ყოველ მოქალაქეს უსაზღვრო გულმოდგინება უნდა ჰქონდეს საზოგადოებრივი კეთილდღეობის სამსახურისათვის და სადაც ყოველი მოქალაქე გრძნობს, რომ სამშობლოს ყველა უფლებები მის ხელშია. იმპერატორების დროსაც რომაელები მიჰყვებოდნენ ამ რესპუბლიკურ მაქსიმებს, რამაც მაშინვე წარმოშვა შეებნელ ადამიანთა თავისებური სახე. დამბეზღებელთა ხროვა. ნებისმიერი ადამიანი, რომელსაც მანკიერება და საკმარისი პატივმოყვარეობა ჰქონდა, „ეძებდა დამნაშავეს, რომლის დასჯაც სახელმწიფოს სიამოვნებას მოჰგვრიდა. ეს იყო გზა პატივისა და ქონებისაკენ, რაც გახდა ღალატისა და იმპერიის გაყიდვის ერთ-ერთი მიზეზიც.

მსგავსი პროცესების უარყოფით შედეგებზე მსჯელობს ი. ჭავჭავაძე, მას მიაჩნია, რომ მახეზლობის პატივით ყოფნა საზოგადოებისადმი უტყუარი ნიშანია თვით საზოგადოების სისუსტისა, დაუძღურებისა და დარღვევისა.. როდესაც ხელისფლება ახალისებს და ლუკმა პურს აწვდის

1 იხ. შლ. მონტესკიე გვ. 110



მაგზღარს, მაშინ პირდაპირ შეგვიძლიან ვთქვათ, რომ საზოგადოებას წყობას საძირკველი შერყევია და აღსასრულიც მოახლოვებია.“

რომის სამართლის მკვლევარები მარტო ცეზარებს როდი ადანაშაულებენ ცილისმწამებელთა წახალისებაში, „მათ პირველებს არ მოუგონიათ ის სამწუხარო კანონები, რომლებიც შექმნეს. ცილისმწამებლები ხომ არ უნდა დაესაჯათ, ეს მათ სულამ ასწავლა. მალე ამ ცილისმწამებელთა დაჯილდოებამდეც კი მივიდნენ.<sup>2</sup> გარდა ზემოაღნიშნული მიზეზებისა, შლ. მონტესკიე რომის იმპერიის დაცემის ერთ-ერთ მიზეზად კომერციის (ისედაც განუვითარებლის გლ) მოშლას<sup>3</sup> ასახელებს თავისი მძიმე შედეგებით. და რაც მთავარია, სამწუხაროდ, მაშინდელმა ევროპამ თავის ღროზე ვერ გაითავისა, თუ რა შეიძლება მოჰყოლოდა თურქეთის გაძლიერებასა და ბიზანტიის დაცემას. ამიტომ, ისინი სერიოზულად არ უყურებდნენ კონსტანტინეპოლისთვის დახმარების გაწევას. საბოლოოდ, ამ მდგომარეობამ თურქეთს საშუალება მისცა, თავის ხელში აეღო როგორც სახმელეთო, ისე საზღვაო სავაჭრო გზებზე კონტროლი, რითაც პრობლემები შეექმნა ევროპას, ერთის მხრივ, მაგრამ მეორეს მხრივ, „ის გახდა მიზეზი XV საუკუნის დიდი საზღვაო გზების და ახალი მიწების აღმოჩენისა.

რომის იმპერიის არსებობის პირველ ხანებში რომაელი ხალხი, რომელმაც ეს იმპერია შექმნა, სიამამაცით და სამშობლოს მხურვალე სიყვარულით გამოირჩეოდა. ძველი რომაელი ყველაზე უფრო მაღლა საერთო საქმეს აყენებდა, მამული, მისი დიდება და პატივი საკუთარ სიცოცხლეზე უფრო ძვირად ფასობდა, მაგრამ ქრისტიანობის წარმოშობის წლებში საზოგადოებრივი ყოფის უკვე სხვა სრულიად საპირისპირო სურათს ეხედავთ. გაუთავებელ დაპყრობით ომებში მოპოვებულმა გამარჯვებებმა ერში ამპარტავენობა აღაზევა.

ხოლო დამარცხებული ქვეყნების გამარცხის გზით შექმნილმა სიმდიდრემ რომაელთა ზნეობრივი იდეალები მიწიერმა, მატერიალურმა იდეებმა შეცვალა. უაზრო ფუფუნებაში ნებიერობამ წინაპრის სიამამაცე და ამტანობა წარსულის კუთვნილებად აქცია, ზრუნავდნენ რა არა სახელმწიფოს, არამედ საკუთარი ხელისუფლების განმტკიცებაზე, რომის ხელისუფალნი ხალხის კეთილი განწყობის მოპოვებას ბრწყინვალე სანახაობისა

1 იხ. ი. ჭავჭავაძე, ტ. VIII გვ. 7

2 იხ. შლ. მონტესკიე, კანონთა გონი, თბ. 1994წ. გვ 227

3 იქვე გვ. 425

და უფასოდ დარიგებული პურით ცდილობდნენ. ამ სანახაობებით ისინი ადამიანის არსებაში ყველაზე ბნელსა და წერილმან ვნებებს აღვიძებდნენ და აქეზებდნენ, რათა ზნეობრივად დაცემულსა და გარყვნილ ქვეშევრდომებზე შეუზღუდავი მმართველობა ჰქონოდათ,“ ამან მომაკვლინებელი როლი ითამაშა იმპერიისათვის.

( ბიზანტიის იმპერიის დაცემის მიზეზები ისტორიოგრაფიასა და სამეცნიერო ლიტერატურაში საკმაოდაა დამუშავებული, ჩვენ მხოლოდ იმ სპეციფიკურ საკითხებზე შევჩერდით, რაც უნდა იცოდეს სტუდენტმა და მომავალმა იურისტმა, თემა იმდენად ღრმა და დიდია სამართლებრივი თვალსაზრისით, რომ ცალკე კვლევის საგნად შეიძლება იქცეს მომავალში.

მეტი

### § 3. ბარბაროსთა სამართალი

ძველი ბერძნები და რომაელები ყველა არაბერძენ და არარომაულ ხალხებს ბარბაროსებად მოიხსენიებდნენ. ამ ტერმინს ალბათ ბევრის მიმართ პირდაპირი მნიშვნელობით ხმარობდნენ და ზოგიერთი ხალხის მიმართ „სიმბოლურად“. ბარბაროსების შემოსევის დროიდან როგორც რომაელები, ასე თავდამსხმელები ერთხანს თავიანთი კანონებით განაგრძობდნენ ცხოვრებას.

რაც შეეხება ბარბაროსების მიერ გამოყენებულ ნორმებს, ისინი უმთავრესად ჩვეულებებში გამოიხატებოდა, რომლებიც სხვადასხვა ტომში (ხალხში) სხვადასხვანაირად ვლინდებოდა, რის გამოც არასტაბილურობით ხასიათდებოდა. ამიტომ ისინი რომელიმე ერთ წიგნში ან კომპილაციაში არ გაერთიანებულან. მკვლევართა აზრით, ჩვენ მხოლოდ ზოგიერთ ჩვეულებას ვიცნობთ, ისიც სხვადასხვა ლიტერატურული ნაწარმოების მიხედვით.

ბარბაროსების კანონები (Leges Barbarorum) მხოლოდ იმ საზოგადოებრივი ურთიერთობის უმნიშვნელო ნაწილს აწესრიგებდნენ, ახლა რომ სამართლის მიერ დარეგულირებულად მიგვაჩნია, — წერდა რ. დავიდი.

ბარბაროსების ქრისტიანულად მოქცევის შემდეგ მოსახლეობამ თანდათანობით იწყო ერთმანეთთან დაახლოება, მოხდა მათი ნაწილობრივი შერწყმა. VI საუკუნიდან გერმანული ტომების უმრავლესობას უკვე საკუ-

1 იხ. ქრისტიანული ეკლესიის ისტორია I-XI სს. I მეთხედი შემდ. გ. კოპლატაძე თბ. 2007წ. გვ. 39-40

თარი, ბარბაროსების კანონები აქვთ. ამ კანონების შექმნის პროცესი XII საუკუნემდე გრძელდებოდა და სხვა ტომებზეც ვრცელდებოდა.<sup>1</sup>

როდესაც დასავლეთ რომის ტერიტორიაზე ადრეფეოდალური სახელმწიფოები შეიქმნა, რომაული მოსახლეობის ბარბაროსი მმართველები არ იყვნენ ტრადიციულ სამართალს, არამედ შექმნეს რომაული სამართლის სისტემატიზაციის ერთგვარი ნაირსახეობა, რომელიც იქცა ბარბაროსული წარმოშობის რომის ქვეშევრდომთა სამართლის წყაროდ. მოცულობით და შინაარსით ეს კრებულები მოკრძალებული იყო და კლასიკური პერიოდის ნიშნებისაგან შორს იდგა, ისტორიაში ისინი ცნობილია საერთო სახელწოდებით – *Lex romanae barbarorum* – ბარბაროსთა მიერ შედგენილი რომაული სამართლის კრებულები.<sup>2</sup>

რომის მონათმფლობელური იმპერიის ნანგრევებზე გერმანელმა ტომებმა შექმნეს ახალი, ე.წ. „ბარბაროსული“ სახელმწიფოები, რომელთა საზოგადოებრივი წყობილება ძირითადად იყო პირველყოფილი თემური, მონათმფლობელური და ფეოდალური.

დაახლოებით 475 წელს ვესტგოთი მეფის ელრიხის ბრძანებით, შედგენილი იყო კოდექსი, *Codex Eureci* (*Codex Euricianus*), როგორც ედიქტი. ჩვენამდე მოღწეულია მისი მხოლოდ მცირე ნაწილი, თუმცა თვითონ ედიქტიც არ იყო დიდი მოცულობის, რომელიც შეიცავდა ადრე შედგენილი კოდიფიკაციების ნაწილებს.

506 წელს ვესტგოთების მეფის ალარიხ II-ის ბრძანებით შედგენილია *Lex romana Visigothorum* ან *Breviarum Alaricianum*-ის შეიცავს ადრე გამოქვეყნებული გაიუსის, პაულიუსის, პაპინიანუსის შრომების ფრაგმენტებს და კოდიფიკაციის ნაწილებს.

ბურგუნდიის მეფემ გუნდობადმა, მიიღო ბარბაროსთა კრებული *Lex Romana Burgundionum* ადრე მიღებული კოდექსების-პაულუსის სენტენციების და გაიუსის კონსტიტუციების საფუძველზე.

ოსტგოთების მეფე თეოდორიხი 507 წელს აქვეყნებს კანონთა კრებულს *Edictum Teodorici*, რომელიც შედგენილი იყო რომაული კოდექსების და პაულუსის სენტენციების და ინსტიტუციების ბაზაზე.

VI-VIII საუკუნეებში შედგენილ იქნა ე.წ. „ბარბაროსული კანონები“-

1 იხ. რ. დაიდი, თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები, თბ. 1993წ. გვ. 42

2 იხ. ი. დოლიძე, ქართული ჩვეულებითი სჯული, თბ. 1960წ. გვ. 18

leges Barbarorum, რომლებიც რომის სამართლისაგან განსხვავებით, რომაელებისათვის „ბარბაროსული,“ ანუ უცხო კანონები იყო; ეს კანონები შეადგენდნენ გერმანელი ტომების ადათ-ჩვეულებების ჩანაწერს.

ბარბაროსული სამართლის წიგნებს შორის აღსანიშნავია: სალიელი ფრანკების სამართალი—Lex Salica, რიპუარელი ფრანკების სამართალი—Lex Ripuaria, ბურგუნდების სამართალი—Leges Burgundionum.

ვესტგუთების სამართალი—Leges Wisigothorum, ალამენების სამართალი Leges Alamannorum, ბავარიელების სამართალი—Leges Baiuvariorum, საქსონელთა სამართალი—Leges Saxonum, ფრიზების სამართალი Lex Frisionum, ტიურინგების სამართალი—Lex Thuringorum და ფრანკ-ხამავეების სამართალი—Lex Francorum Chamavorum.

ზემოთ დასახელებული სამართლის წიგნები ადათობრივი სამართლის კრებულებს წარმოადგენდნენ. ამ კანონებს შორის ყველაზე უფრო ტიპიურ, ბარბაროს ტომთა ყოფა-ცხოვრების დამახასიათებელ სამართლის წიგნს წარმოადგენს სალიკური სამართალი—Lex salica, რომელიც შედგენილია VI საუკუნის დასაწყისში მეფე ხლოდვიგის დროს. (511წ).<sup>1</sup> უნდა დავეთანხმოთ პროფ. ი. დოლიძეს იმაში, რომ აღნიშნული სამართლის წიგნები ადათობრივი სამართლის კრებულებს წარმოადგენდნენ და ასახავდნენ ბარბაროს ტომთა ყოფა-ცხოვრებისათვის დამახასიათებელ ძირითად ასპექტებს.

6

---

<sup>1</sup> იხ. ი. დოლიძე დას. ნაშ, გვ. 18

## თავი მეთორმეტი

# სასამართლო ხელისუფლება და პროცესი რომის სახელმწიფოში

### §1. სასამართლო ხელისუფლება

✓ სახელმწიფოსა და სამართლის ჩამოყალიბებამდე პირად ქონებრივ თუ არაქონებრივ ურთიერთობებს ადამიანები თვითონ აწესრიგებდნენ. მაგრამ საზოგადოების განვითარების გარკვეულ ეტაპზე, როცა უკვე ჩნდება პოლიტიკური წარმონაქმნები სახელმწიფოს სახით, იქვე იწყებს სამართალიც ფორმირებას და სახელმწიფო თავის ხელში იღებს ადამიანებს შორის სადაო საკითხების მოწესრიგებას. ამ პროცესებს ნებისმიერი ხალხის ცხოვრებაში დიდი დრო დასჭირდა და ბუნებრივია, ვერც რომის საზოგადოების განვითარება ასცდებოდა მსგავს ურთიერთობებს. ✓

✓ ძველ რომში აღიარებული იყო პრინციპი – „ძალდატანება, ძალადობა აცილებელი უნდა იქნეს ძალით“ ძალადობის თავიდან აცილება მიჩნეულ იქნა სამართლიანობის დაცვის საშუალებად! მაგრამ, შემდგომში, რომის სამართალი კრძალავდა უკვე დარღვეული უფლების აღდგენას ძალის გამოყენებით! და უპირატესობა ენიჭებოდა სამართალს, მაგრამ ანგარიშსწორება დაიშვებოდა იმ შემთხვევაში, თუ კი ძალის გამოუყენებლობა გამოიწვევდა დიდ ზიანს. შველევართა აზრით, რექსების ხანაში სახელმწიფოს ინტერესებს იცავდა რექსი(მეფე), სანალხო კრება, თუმცა დასაბუთება იმისა, არსებობდა თუ არა დარღვეული უფლების გასაჩივრების რაიმე სპეციალური წესი, ძალზე ძნელია. შ.ლ. მონტესკიეს მიხედვით, სასამართლო ხელისუფლება მიცემული ჰქონდა ხალხს, სენატს, მაგისტრატებს, განსაზღვრულ მოსამართლეებს, რომელთა შორის განაწილებული იყო ფუნქციები.<sup>2</sup> ✓

1 იხ. ე. მებრეელი, რომის სამართალი (საფუძვლები) თბ. 2005წ. გვ. 120

2 იხ. შ. ლ. მონტესკიე კანონთა გონი თბ. 1994 წ. გვ. 205

✓ კონსულები მოსამართლეობას ეწეოდნენ მეფეების შემდეგ, ისევე როგორც პრეტორები კონსულების შემდეგ. სერვიუს ტულიუსის რეფორმებით, სახელმწიფო არ ერეოდა სამოქალაქო საქმეების განხილვაში, გარდა იშვიათი შემთხვევებისა, რაზედაც ქვემოთ გვექნება მსჯელობა.

✓ მეფეები უფლებას იტოვებდნენ, განესაჯათ სისხლის სამართლის საქმეები. ეს უფლება შემდეგ კონსულებზე გადავიდა. ასე მაგალითად, კონსულმა ბაუტუსმა საკუთარი შვილები და ტარკვინიუსების წინააღმდეგ შეთქმული ყველა მონაწილე სიკვდილით დაასჯევინა. კონსულების სასამართლო ხელისუფლება უსაზღვრო შეიქნა სამხედრო ძალაუფლების წყალობით, რაც მათ საშუალებას აძლევდა სამოქალაქო საქმეების გარჩევაშიც ჩარეულიყვნენ. ეს ხშირად ძალდატანებაში უფრო გადადიოდა, ვიდრე სასამართლო განხილვაში. წმდენად შორს წავიდა კონსულთა ჩარევები სადაო საკითხების განხილვისას, რომ ვალერიუსმა შექმნა კანონი, რომლის ძალითაც უნდა მომხდარიყო კონსულთა ყველა კანონის გასაჩივრება, რაც კი საფრთხეში აგდებდა მოქალაქის სიცოცხლეს. კონსულებს აეკრძალათ რომელიმე მოქალაქისათვის სასიკვდილო განაჩენის გამოტანა ხალხის თანხმობის გარეშე.

ამის მაგალითია, რომ უკვე იმავე პერიოდში მეორე შეთქმულების დროს დამნაშავეთა გასასამართლებლად სენატსა და სახალხო კრებებს იწვევდნენ.

✓ იმის გამო, რომ პლებები მოსახლეობის უმეტეს ნაწილს წარმოადგენდნენ, მათ დიდი პრეტენზიებიც გააჩნდათ და მათ წინაშე დათმობაზე წასვლას ნიშნავდა „პლებსის ტრიბუნის“ დაწესება, რომელთაც შექმნეს კორპუსი, ისინი ითხოვდნენ, გადაწყვეტილებათა აპელირება მომხდარიყო მათ წინაშე, რასაც მოყვა პრეტენზია მათ მიერ პატრიციების გასამართლების შესახებ/ მიუხედავად იმისა, რომ ამ მოთხოვნებმა დიდი დავა გამოიწვია, მათ მაინც შეძლეს კირიონალუსის (პატრიცის) გასამართლება.

✓ XII ტაბულის კანონებმა შეცვალეს ვალერიუსის კანონი და დადგინდა, რომ მოქალაქის სიცოცხლის საკითხი უნდა გადაეწყვიტა მხოლოდ ხალხის დიდ თავყრილობას. ამრიგად პლებების კორპუსი მხოლოდ ისეთ საქმეებს იხილავდა, რომელიც ფულადი ჯარიმით ისჯებოდა, რისთვისაც პლებისციტიც საკმარისი იყო.

✓ შეკვლევართა აზრით, XII ტაბულის კანონთა ამგვარი მიდგომა გონიერული იყო, რადგანაც პლებების კორპუსსა და სენატს შორის თანხმობა

გახდა შესაძლებელი. მათი კომპეტენციების განხორციელებას განსახლერავდა დანაშაულის ხასიათი და სასჯელის ზომა. ✓

თავდაპირველად, სასამართლო განსჯის თვალსაზრისით, დანაშაულებანი ორ ნაწილად გაიყო. პირველს კერძო დანაშაულებანი ეწოდა, მეორეს კი – სახალხო. სახალხო დამნაშავეებს ხალხი თვითონ ასამართლებდა. კერძო დანაშაულების გამოსარკვევად ხალხის მიერ საგანგებოდ ინიშნებოდა კვესტორი მაგისტრატების წრიდან, ან კერძო პირი. მათ XII ტაბულის კანონი „მამისმკვლელობის კვესტორის“ სახელით მოიხსენიებს.

✓ კვესტორები ნიშნავდნენ ე.წ. მოსამართლეებს. ის თითოეულ საქმეზე, რომელიც კენჭის ყრით ირჩევა მსაჯულს (les iuges), ქმნიდა ტრიბუნალს და თავმჯდომარეობდა სასამართლო პროცესს. ✓

სასამართლოთა საქმიანობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა სენატის გადაწყვეტილებებს კვესტორების არჩევის გზით. ზოგიერთ შემთხვევაში სენატი დიქტატორს აარჩევინებდა კვესტორის ფუნქციის შემსრულებლად. ზოგჯერ, სენატის გადაწყვეტილებით, ტრიბუნს დაევალებოდა, მოეწვია ხალხის ყრილობა კვესტორის დასასახელებლად. ხშირად ხალხი ავალებდა მაგისტრატს, სენატისათვის მოეხსენებინა რომელიღაც დანაშაულის თაობაზე.

✓ წყაროებში მითითებულია, რომ რომის დაარსებიდან 604წ. დროებითი დაკავებები მუდმივად აქციეს, დანაშაულთა სახეები ცალკეულ ჯგუფებად დაყვეს. ამის მიხედვით ნიშნავდნენ პრეტორებს და თითოეულ მათგანს მიანდეს ერთი – კონკრეტული საქმე. აღნიშნული დანაშაულების ჩამდენ პირთა გასასამართლებლად ეძლეოდათ ერთი წელი, შემდეგ ისინი მიდიოდნენ თავიანთი პროვინციების სამართავად.

✓ კართაგენში ასთა სენატი შედგებოდა მოსამართლეებისაგან, რომლებიც ამ თანამდებობას სიკვდილამდე ინარჩუნებდნენ.

ძმები გრაკუსების მმართველობამდე მოსამართლეებს სენატორთა წრიდან ირჩევდნენ. ტიბერიუს გრაკუსის ბრძანებით, მოსამართლეებს მხედართა წრიდან ირჩევდნენ. ეს იყო სენატისათვის დიდი დარტყმა, გავრცელდა აზრი, „ამ ერთმა ღონისძიებამ სენატს ვენის ძარღვი გადაუჭრაო“. „მე სენატი ერთი დარტყმით გაუანადგურე,“ ბრძანა გაიუსმა 122წ. „სასამართლოს შესახებ“ კანონის მიღების შემდეგ. ✓

შეკვლევარები სენატის საქმიანობაში უფრო აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელებას ხელაძლენ, თუმცა მნიშვნელოვნად საკანონმდებლო საქმიანობის ერთ განშტოებაზე<sup>1</sup> წშირად მოსახლეობა სენატისაგან სასამართლო ფუნქციასაც ითხოვდა და ამ მოთხოვნას პასუხობდა გრაკუსებამდე სენატების დასიდან მოსამართლეთა არჩევით. თუ როგორ იცვლებოდა მოსამართლეთა რიგები, ნათლად სჩანს შ.ლ. მონტესკიეს მიერ მოყვანილ მაგალითში.<sup>2</sup>

ღრმში მოსამართლეებს სენატორთა რიგებიდან ირჩევდნენ. გრაკუსებამა ეს პრეროგატივა მხედრებზე გადაიტანეს, დრუზუსმა იგი ერთთაგ მისცა და მეორეთაგ, სულამ მხოლოდ სენატორთ, კოტამ-სენატორთ, მხედართ და სახალხო დანაზოვის ხაზინდართ. ცეზარმა გამორიცხა ეს უკანასკნელნი. ანტონიუსმა სენატორთაგან, მხედართაგან და ცენტურიონთაგან დეკურიები შექმნა.<sup>3</sup>

სასამართლოებში სამართალწარმოება გამოირჩეოდა თავისი კლასობრივი უსამართლობით, რასაც ხელს უწყობდა არასწორი ორგანიზაცია სამართალწარმოების სტრუქტურაში. ერთმანეთში არეული საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება არ იძლეოდა მოქალაქეთა თანასწორობის რაიმენაირ საშუალებას, მდიდრებსა და ღარიბებს, თავისუფალ მოქალაქეთა და მონებს შორის<sup>4</sup> შეუზღუდავი დესპოტობა და სოციალური უთანასწორობა გამორიცხა და სასამართლოს მხრიდან კანონიერების, სამართლიანობისა და ჰუმანურობის პრინციპებს.

მოსამართლეთა მდგომარეობას განაპირობებდა ხელისუფალთა პოლიტიკური ნება, მათი ძალაუფლება ხან იკვეცებოდა, ხან შედარებით ფართოვდებოდა. ამ მოსაზრების რეალურობას ადასტურებს პროკოფი კესარიელი, რომელიც წერს: „ადრე სასახლის კარზე ძალზე ცოტა ხალხი იყო, მაგრამ, როდესაც იუსტინიანეს დროს მოსამართლეებს ჩამოერთვათ მართლმსაჯულების წარმოების უფლება, მათი სასამართლოები დაცარიელდა, ხოლო ხელმწიფის სასახლე აივსო მოდავეთა გოდებით, რომლებიც საქმეთა განხილვას იხვეწებოდნენ.“<sup>5</sup>

ზოგიერთი რომაელი იმპერატორი თვითონ იყო შეპყრობილი მოსამართლეობის სურვილით და სწორედ მათ გააოცეს ყველაზე მეტად სამყარო თავისი უსამართლობით.

1 იხ. შ.ლ. მონტესკიე კანონთა გონი, თბ. 1994წ. გვ. 208

2 იხ. შ.ლ. მონტესკიე, დას. ნაშ. გვ.148

3 იხ. პროკოფი კესარიელი, საიდუმლო ისტორია, თბ. 1988წ. გვ.109



ტაციტუსი ამბობს, რომ კლავდიუსმა, მიისაკუთრა რა სასამართლო საქმეთა განსჯის უფლება და მაგისტრატის ფუნქციები, გზა გაუხსნა ყველა სახის დატაცებებს. ასევე, კლავდიუსის მომდევნო იმპერატორმა ნერონმა, სურდა რა გონებათა განწყობა თავის სასარგებლოდ, განაცხადა, რომ არასოდეს გახდებოდა ყველა საქმეთა მოსამართლე, რათა ბრალმდებლები და ბრალდებულები ერთი და იმავე სახლის კედლებში არ აღმოჩენილიყვნენ რამდენიმე გააზატებული უსამართლო ძალაუფლების გამო.<sup>1</sup>

სხვა დონის სასამართლოებშიც ანალოგიურ მდგომარეობას ჰქონდა ადგილი/

ერთპიროვნული მაგისტრატის არსებობა მხოლოდ დესპოტურ მმართველობაშია შესაძლებელი. რომის ისტორიაში ვხვდებით, თუ სადამდე შეიძლება მივიდეს ერთპიროვნული მოსამართლის მიერ ძალაუფლების ბოროტად გამოყენება, როგორ არ აძგდებდა მასხრად აპიუსი თავის სასამართლოში კანონებს, თუ კი, ისიც კი შელახა, რომელიც თვითონ შექმნა.

ტიტუს ლივიუსი მოგვითხრობს ამ დეცემვირის ერთი უსამართლობის შესახებ. მან შეაგულიანა კაცი, რომელმაც, მისი სამსჯავროს წინაშე მოითხოვა ვირგინია, როგორც თავისი მხევალი. ვირგინიას ნათესავეებმა აპიუსს მოსთხოვეს, მისივე კანონის თანახმად, მიეცა მათთვის ვირგინია საბოლოო განაჩენის გამოტანამდე. მან განაცხადა, რომ კანონი მხოლოდ მამის სასარგებლოდ იყო გამოცემული და რადგანაც ვირგინიუსი აქ არ იმყოფებოდა, ამდენად, ეს კანონიც არ შეიძლება გამოყენებულიყო.<sup>2</sup> შ. ლ. მონტესკიე სახელმწიფო მოხელეთა გატაცებას, მოგვევლინონ მოსამართლის როლში, ხსნის მონარქიული სახელმწიფოს ბუნებით, მისი აზრით: „კიდევ ერთი დიდი შეუსაბამობა წარმოიშობა მონარქიაში მაშინ, როცა ხელმწიფის მინისტრები თვითონ სჯიან სადავო საქმეებს. დღესაც ვხვდებით სახელმწიფოებს, სადაც აურაცხელი მოსამართლენი არსებობენ ფინანსურ საქმეთა გადასაწყვეტად და სადაც მინისტრებს—ეინ დაიჯერებს ამას?—მაინც სურთ თვითონ განსაჯონ ეს საქმეები. ამის შესახებ ბევრის თქმა შეიძლებოდა, მაგრამ მხოლოდ ერთს ვიტყვი—დასძენს შ.ლ. მონტესკიე. მონარქიის საბჭოსა და მის სასამართლოებს შორის ერგვარი კონსტრასტი არსებობს, რაც თვითონ მოელენათა ბუნებიდან გამომდინარეობს: ხელ-

1 იხ. შ.ლ. მონტესკიე, კანონთა გონი, თბ. 1994წ. გვ. 108

2 შ.ლ. მონტესკიე, დას. ნაშ. გვ. 110

მწიფე ის საბჭო უნდა შედგებოდეს ადამიანთა მცირე რაოდენობისაგან, ხოლო სასამართლოები მოსამართლეთა დიდ რაოდენობას მოითხოვდნენ. მისი აზრით, ამის მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ საქმის დაწყებას და წარმართვას ერთგვარი გატაცება სჭირდება, რასაც მხოლოდ ოთხი-ხუთი ადამიანისაგან თუ შეიძლება მოველოდეთ, რომელიც ამას თავის საქმედ გაიხდიდა. სასამართლო საქმიანობის საწარმოებლად კი, პირიქით, ცივი გონების ადამიანები არიან საჭირო, რომლებისთვისაც ყველა საქმე, გარკვეული აზრით, ინდიფერენტული იქნება.<sup>1</sup>

ცქედან გამომდინარე, სასამართლო სისტემაში პრობლემათა სიმრავლე სწორედ იმპერიის პერიოდში შეიქმნა.

ჩვენს მიერ მოტანილი მაგალითებიც საკმარისია, დავასკვნათ, რომ არც ერთ იმპერიაში სასამართლო ხელისუფლება თავისუფალი არ ყოფილა პოლიტიკური გავლენისაგან, რომშიც სასამართლო, იშვიათი გამოწაკლისის გარდა, ემსახურებოდა უმაღლეს ხელისუფალთა ნებას და მაშინდელი იურისტებიც ოცნებობდნენ დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის ჩამოყალიბებაზე.

## §2. იუსტინიანეს კანონმდებლობა მოსამართლეთა ფუნქციების შესახებ

(რომაელ იურისტებს არ გამორჩენიათ მოსამართლეთა მოვალეობების (ფუნქციების) ჩამოყალიბება, იუსტინიანეს ინსტიტუციების შესაბამისად, მოსამართლემ პირველ რიგში საქმეები მხოლოდ კანონების, კონსტიტუციებისა და ჩვეულებების დანაწესების თანახმად უნდა გადაწყვიტოს, ეს იყო საერთო წესი, რომლებსაც მოსამართლეებისაგან ითხოვდნენ.)

მოსამართლე ვალდებული იყო, გადაწყვეტილება სარჩელების საფუძველი-სა და ბუნებითი სამართლის მიხედვით გამოეტანა. ინსტიტუციების მეორე წიგნის XVII ტიტული მოსამართლისაგან ითხოვდა ნოქსალური სარჩელის შემთხვევაში დაეცვა წესი, რომლის მიხედვითაც თუ მოსამართლის აზრით მსჯავრი მესაკუთრეს უნდა დასდებოდა, მას ეს შემდეგი სიტყვებით უნდა გამოეხატა – „კუმლიუს მევიუსს ვუსჯი, რომ მან ლიციუს ტაციუსს ათი ოქრო უნდა გადაუხადოს ან დამნაშავე გადასცეს.“<sup>2</sup>

<sup>1</sup> იხ. შ. ლ. მონტესკიე, კანონთა გონი, თბ. 1994წ. გვ. 109

<sup>2</sup> იხ. რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს ინსტიტუციები თბ. 2002წ. გვ. 262

თუ კი მოსამართლე სანივთო სარჩელს არჩევდა და საქმეს მოსარჩელის საწინააღმდეგოდ გადაწყვეტდა, მაშინ მფლობელი უნდა გაენთავისუფლებინა, თუკი პირიქით, მფლობელის საწინააღმდეგოდ გადაწყვეტდა, მაშინ მას ნივთთან ერთად მისი ნაყოფიც უნდა დაებრუნებინა. მაგრამ თუ მფლობელი კეთილსინდისიერად განაცხადებდა, რომ ნივთის დაბრუნება დათქმულ დროში არ შეეძლო, მოსამართლეს ნება უნდა მიეცა, ოღონდ თავდებთა მეშვეობით და სასამართლო პროცესის ღირებულების გადახდის უზრუნველყოფით.)

(თუკი სარჩელი მემკვიდრეობას ეხებოდა, მაშინ ნაყოფთან დაკავშირებით იგივე წესი ვრცელდებოდა, რაც ცალკეული ნივთის თაობაზე სარჩელის წარდგენისას. მფლობელის არაკეთილსინდისიერების შემთხვევაში, ნაყოფი ორივე შემთხვევაში ერთი და იმავე წესით უნდა გამოთვლილიყო.

მფლობელის კეთილსინდისიერებაში დარწმუნებული მოსამართლე მხედველობაში არ მიიღებდა არც დახარჯულ (გამოყენებულ) და არც აღებულ ნაყოფს, მაგრამ სარჩელის აღძვრის შემდეგ უნდა გათვალისწინებულყოფიყო, როგორც მფლობელის დანაშაულით არ იქნა აღებული ან აუღებელი იქნა, მაგრამ შემდეგ დაიხარჯა.

(თუკი სასამართლოში ნივთის წარდგენის თაობაზე შევიდოდა სარჩელი, საჭირო იყო ნივთთან ერთად ნაყოფის წარდგენაც. ამ შემთხვევაში, მოსარჩელეს ნივთი უნდა მიეღო ნაყოფთან ერთად ისეთ მდგომარეობაში, რაც თავიდან ჰქონდა, თუ კი მფლობელი ნივთს მფლობელობის ხანდაზმულობით შეიძენდა, მსჯავრს მაინც ვერ გადაურჩებოდა. მოსამართლე ვალდებული იყო მხედველობაში მიეღო ნაყოფის აღებასთან დაკავშირებით შუალედი, საქმის აღძვრიდან გადაწყვეტილების მიღებამდე. იმ შემთხვევაში, თუ პირი, რომელსაც ნივთის წარდგენის სარჩელი წაუყენეს, კეთილსინდისიერად დაამტკიცებდა, რომ მას ნივთის მაშინვე წარდგენა არ შეეძლო, მოსამართლე ამის ნებას აძლევდა შემდგომში ნივთის წარდგენის გარანტიით. თუკი ამ ვადასაც დაარღვევდა, მაშინ მას იმ ოდენობით გადახდას მიუსჯიდნენ, რამდენის პრეტენზიაც მოსარჩელეს ექნებოდა<sup>1</sup> (ნივთის თავიდან წარდგენის მოთხოვნიდან).

მოსამართლეებს იგივე წესით უნდა ეხელმძღვანელათ მრავალ ნივთთან დაკავშირებით, როდესაც სარჩელი საერთო ქონების გაყოფის თაობაზე აღიძვრებოდა. იმ შემთხვევაში, თუ ღაჯა ერთ ნივთს, მაგალითად მიწის

<sup>1</sup> იხ. რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს ინსტიტუციები, თბ. 2002წ. გვ. 263

ნაკვეთს ეხებოდა და ეს ნაკვეთი ნაწილებად დაყოფის საშუალებასაც იძლეოდა, მაშინ მოსამართლეს თითოეული მათგანისათვის ცალკე ნაწილი უნდა მიეკუთვნებინა. მაგრამ თუკი აღმოჩნდებოდა, რომ ერთი ნაწილი ჭარბობდა სხვებს, მაშინ ვისაც ეს შეზღუდებოდა, მას ფულადი კომპენსაციით უნდა დაეფარა მათ შორის განსხვავება.

(მაგრამ თუ სარჩელი მონას ან ჯორს ეხებოდა, მაშინ ნიეთი (მთლიანად) ერთს უნდა მიეკუთვნებოდა და მეორისათვის განსაზღვრული თანხა გადაეხადა.)

თუ სარჩელი ნაკვეთის საზღვრის დადგენას ეხებოდა, მაშინ მოსამართლეს უნდა გაერკვია, იყო თუ არა ამ საკითხის განხილვა სასამართლოს კომპეტენცია. საჭირო იყო იმის დადგენა, როგორ გამოიყენებოდა საზღვრები ადრინდელთან შედარებით, ასევე უნდა დადგენილიყო, თუ განსაზღვრული თანხის გადახდა ვის უნდა დაკისრებოდა. მოსამართლეს ასევე უნდა გაეთვალისწინებინა ის, თუ რა მიზეზით მოხდა საზღვრების მოშლა—სამიჯნო ქვების მოპარვით, სასაზღვრო ხეების გაჩეხვით და ა.შ. ასევე ამავე სარჩელით, მოსამართლეს ბრალი უნდა დაედო იმ პირისთვისაც, რომელიც მოსამართლის გადაწყვეტილებას არ დაემორჩილებოდა, მაგ. მიწის გაზომვას შეუშლიდა ხელს და ა.შ. მოსამართლის გადაწყვეტილებით, პირი ხდებოდა ნიეთის მესაკუთრე.

ღსეთი იყო იმ წესების ერთობლიობა, რომლებიც აუცილებლად უნდა გაეთვალისწინებინა და ფაქტობრივად განსაზღვრავდა მოსამართლის ფუნქციის განხორციელებას.

### § 3. სარჩალები

რომის სამოქალაქო სამართალში მნიშვნელოვანი იყო სარჩალების (actio) საკითხი. რომაელმა იურისტებმა სხვა მიმართულებებთან ერთად ჩამოაყალიბეს სარჩალების ინსტიტუტი, ასევე მოგვცეს სარჩელის ზოგადი ცნებაც. იუსტინიანეს კონსტიტუციებით, სარჩელი სხვა არაფერია, თუ არა პირის უფლება, რომ სასამართლო წესით მოითხოვოს ის, რაც მისი მართებთ, (რაც მას ეკუთვნის)! ✓

ქართველი ცივილისტები თავიანთ ნაშრომებში მეტ-ნაკლებად ეხებიან სარჩალებს. ყველაზე მეტი ყურადღება ამ პრობლემას მიაქცია პროფ. გ. ნადარეიშვილმა, რომელმაც თავის ნაშრომში სარჩალები, სასამარ-

1 იხ. რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს ინსტიტუციები. თბ. 2002წ. გვ. 224

თლოს სახეებსა და პროცესს დაუკავშირა. ჩვენ ცალკე განვიხილავთ სარჩელების სისტემას რომის სასამართლოში, რაც უფრო გაგვიადვილებს მასთან დაკავშირებული სხვა საკითხების შესწავლას. იუსტინიანეს ინსტიტუციებით, სარჩელები არის ან სანიუთო, ან პირადი, (action in personam), რადგან მათი მეშვეობით მოსამართლეებსა და არბიტრებს (შუაქაცებს) უადვილდებათ პრობლემების გადაჭრა; ვინაიდან ნებისმიერი მოსარჩელე დავას აწარმოებს იმ პირთან, რომელსაც მის წინაშე, ან ხელშეკრულებიდან და ან დელიქტიდან გამომდინარე, ვალდებულება აქვს, რა შემთხვევაშიც წარმოიშობა პირადი სარჩელები, რის საფუძველზეც მოსარჩელე ამტკიცებს, რომ მოწინააღმდეგე მხარემ მას რაიმე უნდა მისცეს, ან რაიმე გაუკეთოს.. რაც შეეხება დავას იმ პირთან, რომელსაც მის წინაშე არავითარი სამართლებრივი (ხელშეკრულებით) ვალდებულება არა აქვს, მაგრამ მასთან რაიმე ნიუთის თაობაზე დავას აწარმოებს, ამ შემთხვევაშიც წარმოიშევა სანიუთო სარჩელი.

სანიუთო სარჩელებს („აქციონეს ინ რემ“) იყენებდნენ იმ შემთხვევაში, თუ შესაკუთრე არამფლობელი აღძრავდა სარჩელს მფლობელი არამესაკუთრის წინააღმდეგ<sup>1</sup> ვალდებული პირის სარჩელი („აქსიონ პერსონონამ“) მიმართული იყო იქითკენ, რომ გარკვეულ დებიტორს შეესრულებინა კრედიტორის წინაშე ნაკისრი ვალდებულება.<sup>1</sup>

სანიუთო სარჩელების რიგს მიეკუთვნებოდა სარჩელი უზურფრუქტი მიწის ნაკვეთზე, ან მეზობლის ნაკვეთზე გავლის, პირუტყვის გადევნის, ან წყლის გამოყვანის უფლებაზე, იგივე სარჩელი მოქმედებდა საქალაქო ადგილ-მამულების სერვიტუტებზე<sup>2</sup> რომაული სამართალი განარჩევდა კანონიერ და ცივილურ საფუძველზე აღმოცენებულ სარჩელებს, კრედიტორის მიერ დაწესებული სანიუთო და პირადი სარჩელებისაგან. კრედიტორებმა თავისი იურისდიქციით პირადი სარჩელებიც დააწესეს, რომლებსაც „რეცეპტიციური“ სარჩელები უწოდეს. ამ სახის სარჩელები იუსტინიანეს კონსტიტუციებით, გაერთიანებული იქნა ვალის აღიარების სარჩელში. რომელიც აღიძვრებოდა იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებიც აცხადებდნენ, რომ ისინი საკუთარ ან სხვის ვალს გადაიხდიდნენ.

კრედიტორებმა ასევე დააწესეს პეკულიუმიდან გამომდინარე სარჩელი, რადგანაც პეკულიუმის ფარგლებში შვილებს და მონებს ერთგვარი ქონება გააჩნდათ. გარდა ამისა, კრედიტორების მიერ შემოღებული იქნა საჯარიმო სარჩელები იმ პირთა მიმართ, ვინც შეცვალა კრედიტორის

<sup>1</sup> იხ. გ. ნადარეიშვილი, რომის სამოქალაქო სამართალი, თბ. 2001წ.გვ 36

ედიქტის ტექსტი. ან იმ პირის წინააღმდეგ, რომელმაც უნდა მოითხოვოს პატრონის ან მშობლის სასამართლოში გამოძახება, ან პირიქით, სასამართლოში გამოძახებული პირი იქ ძალით არ დაუშვას, ან იგივე ექნა მოტყუების გზით.

სანიეთო სამართლის სფეროში შედიოდა პრევიუდიციური (დადგენითი) სარჩელებიც.

რომის სამართალი სანიეთო სარჩელებს „ვინდიკაციებს“ უწოდებდა. ხოლო პირად სარჩელებს – „კონდიქციებს“. კონსტიტუციებით, ასეთი დაყოფა ემსახურებოდა სარჩელის ხასიათის განსაზღვრას რაც ნიეთის სასამართლო „დეენისათვის“, ჯარიმისათვის, ან კიდევ ორივესთვის იყო გამეზნული.

ვგანვიხილოთ თითოეული მათგანი. ყველა სანიეთო სარჩელი ემსახურებოდა სასამართლო „დეენას“, მაგრამ პირადი სარჩელები, რომლებიც წარმოშობილი იყო ხელშეკრულებიდან, უმრავლესობა ნიეთის მოთხოვნისათვის იყო დაწესებული ასე მაგ: სარჩელები, რომელთა მეშვეობით მოსარჩელე სესხად მოცემულ ან სტიპულაციაში გადაყვანილ ფულს მოითხოვდა. ამასთანავე იყო ნათხოვრობის, შენახვის (დეპოზიცია) დავალებით, ამხანაგობის, ნასყიდობის და გირავენობის ხელშეკრულებებიდან გამომდინარე სარჩელები.

შაც შეეხება დელიქტებიდან, ანუ სასამართლო დარღვევებიდან აღმოცენებულ სარჩელებს, მათი ნაწილი ემსახურებოდა ჯარიმების ამოღებას ნაწილი კი – ნიეთებისას, რის გამოც ისინი შერეულად იწოდებოდნენ.

სარჩელების პრობლემის გარკვევისას აღმოჩნდა, რომ რომაელები ქურდობას განიხილავენ როგორც ფარულს, ასევე აშკარას. პირველის შემთხვევაში ოთხმაგი ჯარიმა იყო დაწესებული. მეორე შემთხვევაში – ორმაგი. როგორც სჩანს, აშკარა ქურდობისათვის ჯარიმების მეტი რაოდენობა აიხსნებოდა იმით, რომ მათ თან ახლდა მესაკუთრის დამცირება და აბუჩად აგდებაც, ვიდრე ფარული ქურდობის დროს. მაგრამ ორივე შემთხვევაში დავა წარმოებდა ჯარიმისათვის, რადგანაც ნიეთის მოსარჩელე განსაკუთრებული სარჩელით მოითხოვდა. მნიშვნელობა არ ჰქონდა ნიეთი ქურდთან იყო თუ სხვა პირთან. ამის გარდა, ქურდის წინააღმდეგ ცალკე არსებობდა ნიეთის კონდიქცია.

რომაული სამართალი იცნობდა შერეული ბუნების სარჩელებს, რაც გულისხმობდა როგორც სანიეთოს, ასევე პირადს. მაგ. სარჩელი სამკვიდროს გაყოფის თაობაზე, ასევე სარჩელი საერთო ქონების გაყოფის შესახებ, საზღვრების დადგენის და სხვა.

რუსტინიანეს კონსტიტუციები სარჩლების შემდეგ დაყოფასაც იცნობდა: ა) უბრალო ბ) ორმაგი გ) სამმაგი და ე) ოთხმაგი.

რომაელი იურისტები უბრალო სარჩელად მოიაზრებდნენ სპეკულაციის, სესხის მიცემის, ნასყიდობის, ქირავნობის, დადების და ხელშეკრულებათა საფუძველზე სხვა სარჩლებს.

ორმაგ სარჩელად მიჩნეული იყო ფარული ქურდობის, ანუ აკვილიუსის კანონი გათვალისწინებული 'უკანონო ზიანის მიყენებისა' და შენახვის (დეპოზიტის) ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ შემთხვევაში. ასევე, მონის გაქცევაში წაქეზებისა ან რჩევა-დარიგების მიცემის შემთხვევაში და ა.შ.

სამმაგი სარჩელი იმ შემთხვევაში აღიძვრებოდა, როდესაც ვინმე სასარჩელო არხაში ნივთს მის ღირებულებაზე გაცილებით უფრო მეტად შეაფასებდა და სასამართლო ბაჟის სახით მეტად დიდ თანხას ამოიღებდა.

ოთხმაგი სარჩელი გამოიყენებოდა აშკარა ქურდობისათვის აგრეთვე იმისათვის, რაც მუქარის საფუძველზე გაკეთდებოდა, თანხისათვის, რომელსაც ესა თუ ის პირი მიიღებდა, რომ ყალბი ბრალდებით სასამართლო საქმე ეწარმოებინა და ან პირიქით, არ ეწარმოებინა. კონსტიტუციები მკაცრად სჯიდა სასამართლო აღმასრულებელს, თუ იგი კანონსაწინააღმდეგოდ რაიმეს ამოიღებდა, ეს იქნებოდა ფული თუ ნივთი. რომის სამოქალაქო სამართალი ასხვაგვარად ორგვარ სარჩელს: „აქციო ბონაე ფიდეი“-ს (კეთილსინდისიერებაზე დაფუძნებული სარჩელი), მკაცრი სამართლის სარჩელის საფუძველი იყო მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც გარკვეულწილად ზღუდავდა მოსამართლეს. ხოლო კეთილსინდისიერებაზე დაფუძნებული სარჩელი პირიქით, მოსამართლეს აძლევდა შესაძლებლობას, გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში მიეღო სამართლიანობა და ზნეობრივი მომენტები.

„კეთილსინდისიერებაზე“ დაფუძნებული სარჩელებია: ნასყიდობის, ქირავნობის, დავალების გარეშე სხვისი საქმეების წარმართვის, დავალების (მანდატეს), შენახვის (დეპოზიტის), ამხანაგობის, მეურვეობის, ნათხოვრობის, გირავნობის, მემკვიდრეობის გაყოფის, საერთო საკუთრების გაყოფის, ასევე გაცვლის და მემკვიდრეობის მოთხოვნის საფუძველზე წარმოქმნილი სარჩელები. იუსტინიანეს კონსტიტუციებით, მემკვიდრეობასთან დაკავშირებული სარჩელები „კეთილსინდისიერ“ სარჩელებს მიეკუთვნება. რომის სამოქალაქო სამართალი საუბრობდა „არბიტრალურ“ სარჩელზეც. რომელიც მოსამართლის ნება-სურვილზე (შეხედულებაზე)

იყო დამოკიდებული. „არბიტრალური“ სარჩელები იყო როგორც სანივ-  
თო, ასევე პირადი. კონსტიტუციების მიხედვით, სანივთაა მაგ. პუბლი-  
ციუსის და სერვიუსის სარჩელები. კოლონთა ნივთების თაობაზე, ასევე  
კვაზი სერვიუსის სარჩელი, ანუ „იპოთეკის სარჩელი.“ პრეტორმა თა-  
ვისი იურისდიქციით პირადი სარჩელებიც დააწესა. პირადია მაგ. სარჩე-  
ლი, როდესაც სასამართლო საქმე შიშის გავლენით (მუქარით ან ბოროტი  
განზრახვით) ჩადენილ სამართალდარღვევას ეხება. პრეტორს მისთვის  
მინიჭებული ძალაუფლების ფარგლებში შეეძლო „ინტერდიქტების“ ანუ  
ამკრძალავი ნორმების გამოცემა, რისი საშუალებითაც ხდებოდა თავდა-  
პირველი მდგომარეობის აღდგენა ანუ „რესტიტუციო ინ ინტეგრუმ.“  
თუკი პირმა ხელშეკრულება დადო მუქარის ან მოტყუების ვითარებაში,  
პრეტორს შეეძლო ასეთი ხელშეკრულების გაბათილება და თავდაპირ-  
ველი მდგომარეობის აღდგენა.<sup>1</sup> რომის სამართალი იცნობდა ასევე ე.წ.  
სარჩელს ანალოგიით, და ფიქციით („action fiction“). ძველი რომაული სა-  
მართალი იცნობდა კონდიქციურ სარჩელს. ეს იმ შემთხვევაში ხდებოდა,  
როდესაც ვინმე შეცდომით გადაუხდიდა ვალს თითქოს „მსესხებელს“,  
მაშინ ნივთის მიძცემს უფლება ეძლეოდა ნივთის დასაბრუნებლად.<sup>2</sup>

ვერბალური (სიტყვიანი) ვალდებულებებიდან გამომდინარე, არსებობდა  
ასევე სტიპულაციური (მყარი, stipulum) სარჩელი.

(ინიურია) სარჩელის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენდა კანონით ან პრეტო-  
რის ედიქტით დაწესებული ნოქსალური სარჩელი, რომელიც აღიძვრებოდა  
მონის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში, მაგ. თუ მონამ  
ქურდობა ან ქონების ძარცვა ჩაიდინა, ან ვინმეს ზიანი ან შეურაცხყო-  
ფა (ინიურია) მიაყენა, წარმოიქმნებოდა ნოქსალური სარჩელი, რომლის  
მეშვეობით მონის მესაკუთრეს ნება ეძლეოდა ან შეფასებით დადგენილი  
სადაო საგნის ფასი გადაეხადა, ან უკვე ზიანის მიძყენებელი მონა დაზა-  
რალებულიისათვის გადაეცა.<sup>3</sup>

რომის სამოქალაქო სამართლის მეკვლეეარები გამოყოფენ action  
publiciano-s, რომელიც აწესებდა ბონიტარულ-პრეტორიული მესაკუთ-  
რეების ურთიერთობებს, რომელიც ითვალისწინებდა სასარჩელო ხან-  
დაზმულობას. მეორეს მხრივ, სარჩელები წარმოადგენდა საპროცესო  
საშუალებას, რომლის დახმარებითაც ხორციელდებოდა უფლებებისა და  
კერძო მესაკუთრის ინტერესების დაცვა. ცნობილი იურისტი პარლიუსი

1 იხ. გ. ნადარეშილი, რომის სამოქალაქო სამართალი, თბ. 20012-გვ 39

2 იხ. რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს ინსტიტუციები, თბ. 2002წ-გვ 169

3 იხ. რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს ინსტიტუციები, თბ. 2001წ-გვ 243



სარჩელის გამოყენებას შემდეგნაირად აყალიბებდა. „მტკიცების ტვირთი აწევა მას, ვინც აცხადებს და არა იმას, ვინც უარყოფს.“<sup>1</sup>

რომის სამოქალაქო სამართალი იცნობდა სარჩელებს, რომლებიც დაკავშირებული იყო ცხოველებთან, რომელთაც ქონება არა აქვთ, მაგრამ თავიანთი ანცობით, ან ველურობით ვინმეს ზიანს მიაყენებენ. ასეთ შემთხვევაში ჯერ კიდევ XII ტაბულის კანონები აწესებდნენ სარჩელებს. იუსტინიანეს ინსტიტუციებით, სარჩელის უფლება წარმოიშობოდა იმ შემთხვევაში, მაგ. როდესაც ცხენი, რომელმაც წიხლის კერა იცის, ხარმა, რომელმაც რქენა იცის და ეს პატრონისათვის კარგად ცნობილია. ამ შემთხვევაში სარჩელი არსებობს, მაგრამ თუ დათვი პატრონს გაექცა და შემდეგ ვინმეს ზიანი მიაყენა,“ პატრონის საწინააღმდეგოდ სარჩელის აღძვრა არ შეიძლებოდა.

შართლაც არ შეიძლება ითქვას, რომ ცხოველმა „უსამართლობა“ (ინურია) ჩაიდინა, რადგან მას აზროვნების უნარი არა აქვს. აი ყველაფერი ის, რაც ნოქსალურ სარჩელს შეეხება.“<sup>2</sup> ე.ი. ცხოველთა მესპატრონის მიმართ აღძრულ სარჩელებს რომის კანონმდებლობა ნოქსალურ სარჩელთა რიგში მოიხსენიებს.

რომაული კანონმდებლობით, ნებისმიერ პირს შეეძლო სარჩელის აღძვრა, როგორც თავისი, ასევე სხვისი სახელით. სხვისი სახელით სარჩელის აღძვრა შეეძლო პროკურორს (რწმუნებულს), მეურვეს ან მზრუნველს. არსებობდა ისეთი სახის სარჩელები, რომლებიც გარანტიით (satisdatio) იყვნენ უზრუნველყოფილი/ასეთ უზრუნველყოფას ეწოდებოდა „მისჯილის გადახდის გარანტია.“ ეს ნიშნავდა, თუ პირი სანიეთო სარჩელს თავისი სახელით წარადგენდა, გარანტიის წარდგენა არ ევალდებოდა, ხოლო თუ სანიეთო სარჩელს პროკურატორი (რწმუნებული) წარადგენდა, ბრძანების თანახმად, მას უნდა წარედგინა იმის გარანტია, რომ „საქმის პატრონი“ სასამართლო გადაწყვეტილებას დაეთანხმებოდა, რადგან არსებობდა იმის საფრთხე, რომ ამ უკანასკნელს იმავე საქმეზე სარჩელი ხელმეორედ წარედგინა.<sup>3</sup>

რომის სამართალი იცნობდა მუდმივ და დროებით სარჩელებს (ვადიანი), რომლებიც მემკვიდრეების სასარგებლოდ ან მათ წინააღმდეგ გადადიოდა.<sup>4</sup>

1 ი. გ. ნადარეიშვილი, რომის სამოქალაქო სამართალი, თბ. 200წ. გვ. 39

2 იხ. რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს ინსტიტუციები, თბ. 200წ. გვ. 246

3 იქვე გვ. 247

4 იქვე გვ. 249

რომაელმა იურისტებმა იზრუნეს მათ დასაცავად, ვის წინააღმდეგაც აღძრული იყო სარჩელი და ამას „შესაგებლის შესახებ“ უწოდეს. ასეთი სარჩელი ემსახურებოდა იმ პირთა დაცვას, რომელთა მიმართ აღძრული სარჩელი იყო არასამართლიანი. იურისტები იმდენად წინდახედულნი იყვნენ, რომ „სარჩელი შესაგებლის შესახებ“ ბოროტად არავის გამოეყენებია, დაუშვეს „სარჩელი რეპლიკაციების შესახებ,“ რომელსაც შემდეგ ახსნას აძლევენ, „ზოგჯერ ხდება, რომ შესაგებელი, რომელიც ერთი შეხედვით სამართლიანი ჩანს, (მოსარჩელეს) უსამართლოდ ზიანს აყენებს, რა შემთხვევაშიც მოსარჩელის დასახმარებლად საჭირო ხდება სხვა საშუალება, რომელსაც რეპლიკაციას უწოდებენ, ვინაიდან მისი მეშვეობით ხდება შესაგებლის ძალის მოგერიება და მისი მოსპობა. მაგალითად, თუ ვინმე (კრედიტორი) თავის მოვალეს შეუთანხმდება, რომ ფულს მისგან არ მოითხოვს, და თუ ისინი ამის შემდეგ საწინააღმდეგო რამეზე შეთანხმდებიან, ე.ი. რომ კრედიტორს ფულის მოთხოვნის უფლება ეძლევა, მაშინ თუ კრედიტორი სარჩელს აღძრავს, მოვალე კი მას შესაგებელს დაუპირისპირებს იმ მოთხოვნით, რომ მას კრედიტორმა ფული არ უნდა მოთხოვოს, მაშინ შესაგებელი კრედიტორს ზიანს აყენებს, რადგან, მართლაც, ასე იყო შეთანხმებული. იმის გამო, რომ ეს მაინც ჭეშმარიტად რჩება, თუმცა შემდგომში საპირისპირო შეთანხმება იქნა დადებული. მაგრამ, ვინაიდან კრედიტორის სარჩელის აცილება უსამართლობა იქნება, ამიტომაც მას შემდეგ დადებული შეთანხმების საფუძველზე რეპლიკაცია ეძლევა.<sup>1</sup>

რომაელ იურისტებს არც ის სარჩელები დავიწყებით, რომელიც იმ გარიგებებიდან წარმოიშობოდა, „სხვისი ხელისუფლების ქვეშ მყოფ პირებს“ რომ ეხებოდა. მსგავსი სარჩელები პრეტორის გამგებლობაში იმყოფებოდა, მათ ორ სახედ ყოფდნენ - ერთს ეგზერციტორულს, მეორეს ინსტიტორულს უწოდებდნენ. სარჩელი ეგზერციტორული მაშინ იქნებოდა, როდესაც ვინმე თავის მონას გემის კაპიტნად დანიშნავდა და სხვა მასთან ხელშეკრულებას დადებდა საქმესთან დაკავშირებით, ხოლო ამ სარჩელის დასახელება მოდის იმ ყოველდღიური შემოსავლიდან, რომელსაც ღებულობდა - „ეგზერციტორული“, რაც შეეხება ინსტიტორიულს მაგ. თუ ვინმე მონას დანიშნავდა ღუქნის ან ნებისმიერი სავაჭრო ობიექტის მმართველად, მას ინსტიტორს უწოდებდნენ. პრეტორმა ასევე დააწესა „ტრიბუტორული, ანუ განაწილების სარჩელი.

<sup>1</sup> იხ. რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს ინსტიტუციები, თბ. 2002წ. გვ 254

რომის სამოქალაქო სამართალში გამოკვეთილი იყო დროის ფაქტორი და მნიშვნელობა, უფრო ზუსტად, გარკვეულ ვითარებას, პირობებს—დროში დაცულს, შეეძლო სამსახური გაეწია ფაქტისათვის, ფაქტობრივი მდგომარეობისათვის. ფაქტი შეიძლება გადაქცეულიყო უფლებად. დროის გარკვეულ მონაკვეთს შეეძლო უფლების გაქარწყლებაც. მაშასადამე, გარკვეული ურთიერთობის გათვალისწინებით, დრო ერთს ართმევდა უფლებას და აღჭურავდა ამ უფლებით მეორეს. რიგ შემთხვევაში დროის ფაქტორი ხელს უმართავდა ნივთის ფაქტობრივ მფლობელს, გადაქცეულიყო მის მესაკუთრედ. აქედან მივიღეთ შეძენითი ხანდაზმულობის ცნება.

სასარჩელო ხანდაზმულობის შესახებ ზოგადი სამართლებრივი ნორმის არსებობის შემთხვევაში, თუ მოსარჩელეს რაიმე საპატიო მიზეზით არ შეეძლო მოქმედება, მას გაუგრძელებდნენ სარჩელის აღძვრის ვადას, მაგრამ ვადიანი სარჩელების შემთხვევაში ასეთი რამ არ დაიშვებოდა.<sup>1</sup>

მეზუთე საუკუნეში ჩვ.წ.აღ. გამოჩნდა სასარჩელო ხანდაზმულობის 30-წლიანი ვადა. კლასიკური რომის სამართალმა იცოდა ზოგიერთი სარჩელის აღძვრისათვის დაწესებული კანონიერი ვადები. მაგალითად, თავდებობის ზოგიერთ სახეობას ძალა ჰქონდა მხოლოდ ორი წლის განმავლობაში. სასარჩელო ხანდაზმულობა პირველად დაფიქსირდა 424 წელს იმპერატორის კონსტიტუციებში, რომელმაც ასახვა ჰპოვა სამართლის სისტემაში (ეკლესიისათვის და საქველმოქმედო ორგანიზაციებისათვის დაწესდა 40 წელი.)<sup>2</sup> რომაელმა იურისტებმა კერძო სამართალი სასარჩელო სისტემად აქციეს და სარჩელი ითვლებოდა წამყვან კომპონენტად. პროფ. ს. მურომცევის სიტყვებით, ისინი ზედმიწევნით პრაქტიკული „ხელოსნური თვალთახედვით“ უდგებოდნენ ნორმათა განვითარებას და სასარჩელო ხანდაზმულობის ცნება ჩამოაყალიბეს.

იგი იწყებოდა იმ დღიდან, როდესაც უფლებამოსილ პირს მიეცა საშუალება, წარედგინა სარჩელი. (Facultas agendi).

საბოლოოდ ახ.წ. აღ. VI საუკუნეში იმპერატორ იუსტინიანეს საკანონმდებლო რეფორმის შემდეგ ბიზანტიაში უძრავი ქონების საკუთრების შესახებ სარჩელის აღძვრა 30 წლის განმავლობაში შეიძლებოდა. პრეტორს სარჩელით მიმართავდა დახმარებისათვის დაინტერესებული პირი

<sup>1</sup> იხ. გ. ნაღარიშვილი, რომის სამოქალაქო სამართალი, თბ. 2001წ. გვ. 41

<sup>2</sup> იხ. P.A. Сафаров, Римское право Р-на Д. 2008г. გვ. 113

იმ შემთხვევაში, როდესაც მოქმედი ცივილური სამართალი შესაბამისი ნორმებით ვერ აწესრიგებდა მათი წარმოშობის სადაო საკითხებს. აქედან გამომდინარე, სარჩელის წარდგენის საფუძველი იყო შემთხვევა, ფაქტი (factum concepta), რომელიც შემდგომში ხდებოდა სასამართლო განხილვის საგანი.

#### §4. კანონის ახსნა-განმარტების პრობლემა რომის სამართალში

სამართლის რეალიზაციის, ანუ სამართლის ნორმათა შეფარდების პროცესთანაა დაკავშირებული ნორმის ახსნა-განმარტების საკითხი.<sup>1</sup>

რომის სამართლის ისტორიის მკვლევარები ერთხმად აღიარებდნენ, რომ ძველი იურისტები და რომაული იურისპრუდენცია დაინტერესებული იყო არა იმდენად იმით, რომ სახეზეა თუ არა სამოქალაქო უფლება ამა თუ იმ განსახილველ შემთხვევაში, არამედ უპირატესად იმით, თუ რა შეიძლება განხორციელებულიყო სასამართლო პროცესში, როგორ უნდა წარმართულიყო პროცესი, როგორ ახდენდა ნორმების ინტერპრეტაციას მოსამართლე.

ლ. დენბერგი თავის „ჰანდექტებში“ ი. პოკროვსკი „რომის სამოქალაქო სამართალში“, ე. შტაერმანი, ნაშრომში „რომის სამართალი“ მიუთითებდნენ, რომ რომაელი იურისტების გარკვეული ნაწილი მხარს უჭერდა კანონის არსის დაცვას და არა მისდამი ანბანურ მიდგომას. ციცერონი არ მიიჩნევდა აუცილებლად კანონის სიტყვასიტყვით სკრუპულიოზურ გაგებას. იგი თვლიდა, რომ კანონის სიტყვების გამოდევნებამ შეიძლება გზაზე აგვაცდინოს და უსამართლობამდე მიგვიყვანოს. უმაღლესი კანონიერება საშიშია არ გადაიქცეს უმაღლესი უკანონობად“.

რომაელი იურისტები უშვებდნენ კანონის კომენტირებას, მაგრამ ციცერონს მიაჩნდა, რომ ორატორი კანონის ტექსტს არ უნდა დაშორდეს, მაგრამ მას აქვს უფლება კანონის ახსნა-განმარტებისა. იურისტ ორატორმა შეიძლება კანონი განმარტოს საქმის მოვების ინტერესებისათვის, მაგრამ აუცილებლად მიიჩნევს იმის გათვალისწინებას, რაც მხოლოდ კანონშია მითითებული, ხოლო დანარჩენი პიროვნების ცოდნასა და დონეზეა დამოკიდებული. ე.ი. მისი აზრით, „უნდა მივდიოთ არა კანონის სიტყვას, არა-

<sup>1</sup> იხ. გ. ლობჯანიძე, სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია, თბ. 2003წ. გვ. 474

მედ კანონმდებლობის ნებას.“ კანონთა ინტერპრეტაციისას, ანუ განმარტების დროს კანონმდებლობის ნება უნდა დადგინდეს, თუ კანონს აქვს „თავისი საკუთარი ცხოვრება“ ის უნდა იქნეს საზომად მიჩნეული.<sup>2</sup>

(ციცერონის აზრით, „ის რაც ერთ კანონში წერია, შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს იმას, რაც მეორე კანონითაა დაწესებული, ან შესაძლებელია, კანონი ეწინააღმდეგებოდეს წეს-ჩვეულებას, ბუნებას, სამართლიანობას და სიკეთეს.

ცნობილი ადვოკატი ანტონიუსი, რომელიც უარყოფდა კანონის ზედმიწევნით ცოდნის აუცილებლობას, დამაჯერებლად ამტკიცებდა კანონის აზრის უპირატესობას კანონის სიტყვასთან შედარებით და იგებდა კიდევ საქმეებს, რომლებიც მხოლოდ სამართალს ეყრდნობოდნენ და გამომდინარეობდნენ სამართლიანობისა და სიკეთის ქმნიდან.

მსგავსი ეკლექტიკური დამოკიდებულების ახსნას იძლევა ე. შტერმანი, რომელმაც მიიჩნია, რომ „წინააღმდეგობა ამ ორ მიმართულებას შორის იმდენად აქტიური იყო, რომ თვით სკოლებშიაც კი, სადაც მომავალი სასამართლო ორატორები იზრდებოდნენ, შემოთავაზებული კაზუსების თემაზე სიტყვების წარმოთქმაში მოვარჯიშეთაგან ერთნი კანონის სიტყვას იცავდნენ, ხოლო მეორენი - სამართლიანობას.“

სამართლიანობისა და პოზიტიურ სამართალს შორის ეს „შეჯიბრება“ მათი თანაარსებობა, სრულიადაც არ უშლიდა ხელს რომში კანონის უზენაესობის იდეის დამკვიდრებას—წერს პროფ. გ. ნადარეიშვილი.

აღნიშნულ პრობლემაზე ციცერონი წერდა: მეტისმეტი სიბრიყვე იქნებოდა, კანონიერად „იუსტა“-ად ჩაგვეთვალა ყველაფერი ის, რასაც ხალხის მიერ მიღებული კანონები შეიცავდნენ. ასეთი ადამიანების მიერ თვითნებურად მიღებული კანონები უპირისპირდება ბუნების კანონებს, ბუნების სამართალს, ადამიანის ბუნებას, სადაც სამოქალაქო სამართალს მხოლოდ მცირე ადგილი უკავია.

ჭოროტებასა და სიკეთეს ციცერონი განახვევებდა არა კანონის, არამედ იმ ბუნებითი საზომის მიხედვით, რომელსაც „ნატურაე ნორმა“-ს ეძახდა. აღნიშნული ნორმა გაცილებით მნიშვნელოვნად მიაჩნდა, ვიდრე პოზიტიური კანონი. )

(ციცერონის აზრით, ნამდვილი კანონმცოდნე იურისტი ის არის, ვინც იცნობს კანონებსა და ადათობრივ სამართალს, ვისაც შეუძლია რჩევების

1 Schnitzer, Adolf F. Vergleichende Rechtschere. Band II 2 Aufl. 1961 გვ 451

2 იხ. ლ. ჭანტურია დას.ნაშ. გვ 109

მიცემა, საქმისწარმოება და კლიენტის ინტერესების დაცვა.<sup>1</sup> რაც თავისთავად უკავშირდებოდა კანონის ახსნა-განმარტებასაც. ამაში მდგომარეობდა მათი კონსულტაციების უნაკლო ხარისხი.)

## §5. პროცესი კველ რომში

რამდენადაც რომის სამართალი ორ – საჯარო და კერძო ნაწილებად იყოფოდა, ამიტომაც სასამართლო განხილუებები ორი მიმართულებით ხორციელდებოდა. ეს იყო საჯარო საქმეთა პროცესი (IUDICIA PUBLICA) და კერძო პირების საქმეთა პროცესი (IUDICIA PRIVATA). სპეციალისტები თვლიან, რომ ორივე პროცესი ემსახურებოდა უფლების დაცვას (იუს დიცერე). ისტორიულად ცნობილია, რომ სამართლის ჩამოყალიბება კერძო პირთა ურთიერთობების მოწესრიგებით დაიწყო. ამდენად, გასაზიარებელია კერძო პირების ურთიერთდაცვის პროცესის სიძველის კონცეფცია, რომლის არსებობა სახელმწიფოს ჩამოყალიბებასაც კი უსწრებდა. ამ პროცესის პრიმატი რომში რესპუბლიკის პერიოდშიც გრძელდებოდა და მან ორი დამოუკიდებელი მიმართულება შეიძინა. მკვლევართა ნაწილი თვლის, რომ ეს იყო სტადიები. პირველს ეწოდებოდა ius (იუს), მეორეს - iudicium (იუდიციუმ). თუკი სტადიებზე ვიმსჯელებთ, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ ორივე სტადია ერთი მთლიანი პროცესის შემადგენელი ნაწილებია. ამავედროულად მათ თვლიან დამოუკიდებელ პროცესებად. ამის დასამტკიცებლად რომის სისხლის სამართლის მკვლევარი ვ. მეტრეველი თვლის, რომ ius (იუს) პროცესის საბოლოო სტადიაა. XX საუკუნის 30-იან წლებში აღმოჩენილ იქნა გაიუსის ინსტიტუტების მანამდე უცნობი ფრაგმენტი, სადაც დასტურდება ზემოაღნიშნული. ფრაგმენტში იკითხება შემდეგი: “მოსარჩელე მიმართავს მოპასუხეს – მითხრას „ჰო“ ან „არა“ სარჩელზე. თუ მოპასუხე იტყოდა „ჰოს“ პროცესი დამთავრებული იყო.”<sup>2</sup>

მეორე სტადია, იუდიციუმ, გულისხმობდა საქმეზე შეგროვილი მასალების კანონიერებას და გადაწყვეტილების გამოტანას პროცესის დაწყების შესახებ, სადაც ხდებოდა მხარეთა განცხადებების, დამამტკი-

<sup>1</sup> იხ. ვ. მეტრეველი, რომის სამართალი (საფუძვლები) თბ. 2005წ. გვ. 12

<sup>2</sup> იხ. ვ. მეტრეველი, რომის სამართალი (საფუძვლები) თბ. 2005წ. გვ. 120

ცბელი საბუთების განხილვა, მოწმეთა მოსმენა, რის შემდეგაც მოსამარ-  
თლე ღებულობდა გადაწყვეტილებას.

რესპუბლიკის დასაწყის პერიოდში საქმეებს იხილავდნენ კონსულები.  
შემდგომში (IV საუკუნეში) ამ ფუნქციას პრეტორები ასრულებდნენ ინ  
იურეს წესით, რაც ნიშნავდა საქმის შემდგომ ინსტანციაში გადასვლის  
შესაძლებლობას, ანუ ეს იყო საქმის მომზადება, წინასწარი განხილვა.  
შემდგომ ინსტანციაში საქმის არსებითი განხილვა ხდებოდა ერთპიროვ-  
ნულად, განსაკუთრებულ სიაში შეტანილი პირებისაგან არჩეული მოსა-  
მართლის მიერ.

პროფესორი გ.ნადარეიშვილი რომის სამოქალაქო პროცესის თავი-  
სებურებას იმაში ხედავს, რომ სამართალწარმოება ორ სტადიად იყო  
გაყოფილი. სამოქალაქო პროცესის პირველ სტადიას ერქვა „ინ იურე“  
მეორეს „ინ იულიციუ“. პირველ სტადიაში მონაწილეობდნენ მოსარჩე-  
ლე, მოპასუხე და მაგისტრატი. ამასთან, ეს უკანასკნელი – სასამართლო  
მაგისტრატი არ გამოდის მოსამართლის როლში, ის მხოლოდ მხარეთა  
საზეიმო-იურიდიულ აქტში მონაწილეობს და წარმოთქვამს სათანადო რი-  
ტუალით გათვალისწინებულ სიტყვებს. როგორც სჩანს, მოსარჩელეც და  
მოპასუხეც ასრულებდა სამართლით გათვალისწინებულ სამართლებრივ  
რიტუალს. მოსარჩელე აცხადებდა თავის მოთხოვნას, თავის მხრივ, მო-  
პასუხეც გამოთქვამდა თავის საწინააღმდეგო მოსაზრებას. თუ მოპასუხე  
მოსარჩელის საზეიმო განცხადებას სამართლიანად ჩაბუღიდა და და-  
თანხმდებოდა, საქმე ამით მთავრდებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში მა-  
გისტრატი მოწმეების დასწრებით დაადასტურებდა შექმნილ ვითარებას  
და მოსამართლეს დანიშნავდა. თუ ამ გადაწყვეტილებას ისინი არ და-  
თანხმდებოდნენ, მაშინ მაგისტრატს შეეძლო მათი სურვილის გაუთვა-  
ლისწინებლად დაენიშნა მოსამართლე.<sup>1</sup>

მეცნიერთა აზრით, ამ ეპოქაში სამართალზე დიდი მნიშვნელობა არბიტ-  
რაჟს ენიჭებოდა, „რომელიც მოწოდებული იყო არა იმისათვის, რომ  
თითოეულისათვის მიეკუთვნებინა ის, რაც სამართლიანობის მიხედვით  
ეკუთვნოდა, (suum cuiusque tribuere – თითოეულს თავისი), როგორც ამას  
სამართალი ითხოვდა, არამედ იმისათვის, რომ ჯგუფის სოლიდარობა  
შენარჩუნებინა, მოქიშპე ჯგუფებს შორის უზრუნველყო მშვიდობიანი  
თანაარსებობა და მშვიდობა დაემყარებინა საზოგადოებაში. ამ შემთხვე-

<sup>1</sup> იხ. გ. ნადარეიშვილი, რომის სამოქალაქო სამართალი, თბ. 2001წ. გვ 25

ვაში უკუგდებულია თვით იდეალი სამართალზე დაფუძნებული საზოგადოებისა. ქრისტიანული საზოგადოება კი უფრო ძმობასა და შეწყალებას ემყარებოდა. წმინდა პავლე თავის პირველ ეპისტოლეში კორინთელთათვის, სამართლიანობის ნაცვლად შეწყალებას განადიდებდა და მორწმუნეებს ურჩევდა, სასამართლოსათვის კი არ მიემართათ, არამედ თავიანთი პასტორებისა და მათი წმინდა ძმების შუამავლობას დამორჩილებოდნენ. წმინდა ავეუსტინეც იგივე თეზისს იცავდა: „იურისტები ცუდი ქრისტიანები არიან“<sup>1</sup>

~~სასამართლო პროცესში მტკიცებულებათა შორის და საერთოდ, რომაელთა ცხოვრებაში მნიშვნელოვანი იყო ფიცის ძალა, ისინი დიდხანს სცემდნენ თავყვანს პატიოსნებას და ხილარობეს, წერს შ.ლ. მონტესკიე, მისი აზრით, ფიცს ამ ხალხში უდიდესი ძალა ჰქონდა, ვერაფერი ისე ვერ აიძულებდა მას კანონთა დაცვას, როგორც ფიცი. ამ ხალხმა—წერს იგი—მრავალი კანონი შეიმუშავა ამის თაობაზე და მრავალი ისეთი რამ ქმნა ფიცის არგასატეხად, რასაც არასოდეს არ იქმოდა არც დიდებისათვის და არც სამშობლოსათვის.<sup>2</sup>~~

ამის მაგალითია, როდესაც კანესთან ბრძოლის შემდეგ შეშინებულ ხალხს სიცილიაში გახიზვნა სურდა. სციპიონმა მათ ფიცი დაადებინა, რომ დარჩებოდნენ. ამ ფიცის დარღვევის შიში ყველა შიშზე ძლიერი აღმოჩნდა და ხალხი ადგილზე დარჩა.

ერთპიროვნული მოსამართლეებისაგან განსხვავებით, არსებობდა კოლეგიური შემადგენლობის სასამართლოები. რომი იცნობდა 3-დან დაწყებულ 105 კაციან კოლეგიურ სასამართლოებს. იმისდა მიხედვით, თუ ქვეყანა რამდენ ტრიბად იქნებოდა დაყოფილი (თითოეული ტრიბიდან სამ-სამი კაცი ირჩეოდა).

პირთა შორის სამოქალაქო დავის საკითხებს სასამართლოს გარდა წყვეტდნენ არბიტრებიც, რომელთაც ხშირად მედიატორებადაც მოიხსენებდნენ, მათ მხარეები ირჩევდნენ, ისინი კი საქმეების განხილვისას პირადი შეხედულებებით ხელმძღვანელობდნენ.

~~ძველი რომის სამართლის ისტორიისათვის ცნობილი იყო სასამართლო პროცესის სამი ფორმა: ლეგისაქციური, ფორმულარული და ექსტრარდინალურად, რომლებიც სხვადასხვა პერიოდისათვის იყო დამახასიათებელი. ლეგისაქციური პროცესი ძველი დროსათვის იყო ნიშანდობლივი~~

1 იხ. რ. დავიდი, დას. ნაშ. გვ. 44

2 იხ. შ. ლ. მონტესკიე, კანონთა გონი, თბ. 1994წ. გვ 149



XII ტაბულიდან II საუკუნის შუა წლებამდე ჩვენ წაღმდე, ფორმულარული პროცესი მოქმედებდა ჩვ.წ.აღმდე 17 წლიდან 342 წლამდე ჩვენი წელთაღრიცხვით, ხოლო ექსტრა-ორდინალური პროცესი იმპერიის მთელ ხანას მოიცავდა.<sup>1</sup> ლეგისაქციური პროცესისათვის მთავარი იყო მხარეების მიერ კანონისმიერი მოქმედებებისათვის უპირატესობის მიანიჭება. ამ ფორმის სასამართლო პროცესი გავრცელებული იყო რესპუბლიკის პერიოდში. legis actio ნიშნავდა, რომელი მოქალაქის მიერ კანონის ზუსტი განსაზღვრებიდან გამომდინარე, საჯარო განცხადებას მაგისტრატის წინაშე.

ლეგისაქციური პროცესი, თავის მხრივ, სხვადასხვა სახეს იცნობდა.

1. ყველაზე გავრცელებული სახე იყო ლეგისაქციო პერ საკრამენტუმ, რაც გულისხმობდა მხარეების მიერ მოსამართლისათვის სადავო ნიუთის წარდგენას. თუ კი საქმე სადაო მიწას ეხებოდა, მხარეები იმ მიწიდან ერთ ბელტს მიიტანდნენ, პროცესის ფორმებზე დაწვრილებით შემდეგ პარაგრაფში გვექნება მსჯელობა. პროცესზე „რომის მოსამართლეები მხოლოდ იმას აცხადებდნენ, თუ რა დანაშაული მიუძღოდა ბრალდებულს, ხოლო სასჯელს თავად კანონი შეიცავდა.“<sup>2</sup> რომელი და ბერძენი მოსამართლეები აზრს სამი ფორმულის მიხედვით გამოთქვამდნენ,—გამართლებ, ვამტყუნებ, ვეჭვობ.<sup>2</sup>

რომაული სამართლით, მოპასუხეს სასამართლოში იმის გარანტია უნდა წარედგინა, რომ იგი სასამართლო გადაწყვეტილების გამოცხადების დროს სასამართლოში მივიდოდა.<sup>3</sup> თუ მხარე არ გამოცხადდებოდა სასამართლო პროცესზე, საქმე განუხილველად გამოცხადებული მხარის სასარგებლოდ წყდებოდა.

რ. დავიდი თვლის, რომ განსხვავებით რომაელებისაგან „ევროპის კონტინენტელ იურისტებს ტრადიციულად მატერიალური სამართალი უფრო აინტერესებდათ. სასამართლო პროცედურას, ისე როგორც ყველაფერს, რაც მტკიცებულებებსა და სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულებას შეეხება, ისინი ნაკლებ ყურადღებას აქცევენ.“<sup>4</sup> მისი აზრით, ტრადიცია, რომ უნდა იდგეს პროცესზე მაღლა, შორეულ წარსულში ჩამოყალიბდა. ჯერ კიდევ რომში მკვეთრად განასხვავებდნენ იურისკონსულტებსა და ადვოკატებს, რომლებიც პირველებზე დაბალ რანგად იყ-

1 იხ. შლ. მონტესკიე, კანონთა გონი, თბ, 1994წ. გვ.105

2 იხ. М.П.Морев, Римское право, М. 2008г.გვ 642

3 იხ. რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს კონსტიტუციები, თბ. 2002წ. გვ. 453

ვნენ მიჩნეულნი. ეს ტრადიცია შემდგომში კიდევ უფრო ძლიერ გამოიკვეთა, განსაკუთრებით იურისტების უნივერსიტეტებში მომზადების გამო. რ. დავიდის აზრით, იურისტი ისაა, ვინც „კონის ნიძუში“ – რომაული სამართალი შეისწავლა, და გააჩნია ზოგადი სამართლებრივი კულტურა ისეთ პრაქტიკოსს, რომელსაც დიპლომი არ აქვს და „პრინციპები“ არ იცის, ცოტა არ იყოს, აბუჩადაც იგდებენ“<sup>1</sup>. ამ ტიპის „იურისტს“ პროცესის სრულყოფილ მონაწილედ (მოსამართლედ, ბრალმდებლად) რ.დავიდი ვერ აღიქვამდა.

## §6. ფორმულარული პროცესი

რომში საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარებასა და გართულებას მოჰყვა სასამართლო პროცესის გაუმჯობესების საჭიროება. მკვლევარები აზუსტებენ ლეგისაქციური პროცესის შეწყვეტას და ვარაუდობენ, რომ ფორმულარული პროცესის დაწყების თარიღად სახელდება 150 წელი ჩვ.წ.აღ-მდე, რომელიც საბოლოო სახით ჩამოყალიბდა 17 წელს ჩვ.წ.აღ-მდე.<sup>2</sup>

ფორმალურმა პროცესმა საგრძნობლად გააადვილა მხარეებისთვის საქმეთა განხილვა. აღარ იყო საჭირო მაგისტრატებისა და მხარეთა მიერ კანონით გათვალისწინებული საზეიმო აქტების შესრულება და ფორმულების წარმოთქმა, რომელთა შეუსრულებლობა იწვევდა არასრულ შედეგებს. გარდა ამისა, ცალკეული კატეგორიების საქმეებზე, რაზედაც უკვე გვქონდა მსჯელობა, აუცილებელი იყო მოწმეთა გარკვეული რაოდენობა და სხვა პირთა მონაწილეობა პროცესში. ასე. მაგ. XII ტაბულის კანონების მიხედვით, ნივთის გასხვისება უნდა მომხდარიყო ხუთი მოწმისა და მესასწორის თანდასწრებით. ყოველივე ეს აფერხებდა პროცესის სწრაფ ჩატარებას. ფორმულარულ პროცესში პირველივე სტადიიდან აქტიურად იყო ჩაბმული მაგისტრატი.<sup>3</sup>

ფორმალურმა პროცესმა შეცვალა რა ლეგისაქციური პროცესი, ბოლო მოუღო არა მარტო მის ფორმალიზმს, არამედ მის რიტუალურობასაც. მოსარჩელე და მოპასუხე განთავისუფლდა უფლების გამოყენებისა და წინასწარგანსაზღვრული სიტყვების წარმოთქმისაგან. ფორმულარული პროცესის სახელწოდება პრეტორის ფორმულამ დაამკვიდრა, სადაც

1 იხ. რ. დავიდი, დას. ნაშ. გვ. 252

2 იხ. М.П. Морев, Римское право, М. 2008г. გვ. 661

3 იხ. მ. ცაცანაშვილი, დას. ნაშ. გვ. 94, 95

წოხი ელემენტი ფიგურირებდა: ა) პირველ ნაწილში ხდებოდა მოსამართლის დანიშვნა („იულიცის დომინაციო“), ბ) მეორე ნაწილში მოცემული იყო სარჩელის მიზეზების საფუძვლები. გ) მესამე ნაწილი ითვალისწინებდა სარჩელის მოთხოვნის დადებული პირობის დასაბუთებას „ინტენციო“. დ) მეოთხე ნაწილი „კომდემნაციო“ ითვალისწინებდა მოსამართლის მოქმედების ფარგლებს სარჩელის დადასტურების შემთხვევაში.<sup>1</sup> ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიუხედავად გარკვეული ნაკლოვანებებისა, ფორმულარული პროცესი წინ გადადგმული ნაბიჯი იყო ლევისაქციურ პროცესთან მიმართებაში.

„ფორმულარული პროცესის ძალით, კრედიტორს უფლება ჰქონდა დაეპატიმრებინა ურჩი მოპასუხე“.<sup>2</sup>

ფორმულარული პროცესი ორი სტადიისაგან შედგებოდა. „ინ იურე“ სტადიის მიზანი იყო პროცესში პრეტორის ფორმულის მიღება. იმისათვის, რომ პერეგრინებისათვისაც მისაწვდომი ყოფილიყო პროცესზე საქმეთა განხილვა, სახელმწიფომ შექმნა მათთვის სპეციალური „პერეგრინუსის პრეტორის“ თანამდებობა, ამით გაფართოვდა იმ პირთა წრე, რომელთა ინტერესებსაც სამოქალაქო სამართლის პროცესი იცავდა. პროცესის მეორე „ინ იუდიციუს“ სტადიაზე, მოსამართლე ახდენდა პრეტორის ოთხი ფორმულის შესწორებას, შემდეგ კი ხდებოდა მოსარჩელისა და მოპასუხის მოსმენა. მკვლევართა აზრით, პროცესში უპირატესობა პრეტორს ეკავა, რადგანაც პრეტორი ადგენდა სარჩელის იურიდიულ შინაარსს, ხოლო მოსამართლე ძირითადად იკვლევდა საქმის ფაქტობრივ მხარეს. ფორმულარული პროცესის ბატონობის ხანაში, მოსამართლე ვალდებული იყო გადაწყვეტილება ამ ფაქტების ფარგლებში გამოეტანა, რომელიც პრეტორის ფორმულაში იყო ჩამოყალიბებული. თუ პრეტორის ფორმულაში უზუსტობა ან შეცდომა გაიპარებოდა, მოსამართლეს უკვე აღარ შეეძლო მისი გამოსწორება.

აქედან გამომდინარე, ხშირად პრობლემა გადაუჭრელი რჩებოდა. მას ისიც ემატებოდა, რომ მოსარჩელეს აღარ ჰქონდა უფლება მეორედ მოეთხოვა მისი სარჩელის განხილვა. პრეტორი ამ დროს დიდი უფლებებით სარგებლობდა და იგი ყოველთვის იხრებოდა სახელმწიფო ინტერესებისაკენ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც კანონი ხარვეზიანი იყო. პროცესის გარკვეულად არასრულყოფილებამ ხელი შეუწყო იურისპრუდენციის

<sup>1</sup> იხ. გ. ნადარეიშვილი რომის სამოქალაქო სამართალი, თბ. 2001 წ. გვ. 30  
<sup>2</sup> იხ. ვ. მეტრეველი დას. ნაშ. გვ. 131

განვითარებას. საჭირო გახდა განათლებული იურისტების აღზრდა, რომლებიც შეძლებდნენ სარჩელის დასაბუთებასა და სასარჩელო მოთხოვნათა დაზუსტებას, რაც, ერთგვარი გარანტია იქნებოდა პრეტენზიის (სარჩელის) დაკმაყოფილებისათვის.

ქროფ. ვ. მეტრეველს მიაჩნია, რომ ფორმალური პროცესის ღირსება და წინ გადადგმული ნაბიჯი იყო, რომ პრეტორი, ეს ერთ-ერთ ძლიერი მაგისტრატი, გამოსცემდა სავალდებულო ედიქტებს, რაც უზრუნველყოფდა ვალდებულების შესრულებას. პრეტორი გამოსცემდა სხვადასხვა სახის ედიქტებს, ამასთან, მხარეებს აიძულებდა, ერთმანეთთან დაედოთ ზეპირი ხელშეკრულება, რომ წინასწარ შეეტანათ საწინდარი, რაც ვალდებულების შესრულების გარანტია ხდებოდა.

ბ) პრეტორი ნებას რთავდა კრედიტორს, მოსარჩელეს, წინასწარ დაუფლებოდა იმ მოვალის ქონებას, რომელსაც არ სურდა სამართალში მისვლა ან არ ასრულებდა სასამართლო გადაწყვეტილებას. ამას მისიონ ინ პოსესიონემ, ინ ბინა ეწოდებოდა.

გ) პრეტორი ზოგიერთ შემთხვევაში პირდაპირ გამოიკვლევდა საქმეს და თუ დარწმუნდებოდა, მხარეს მოუვიდა ზარალი, აუქმებდა ყოველგვარ აქტს და აღადგენდა პირვანდელ მდგომარეობას რესტრუქციო ინ ინტეგრუმი-ს მეშვეობით.

დ) პრეტორის ბრძანება (ინტერდიქტა) იყო ამა თუ იმ მოქმედების შესასრულებლად ან მოქმედებისაგან თავის შესაკავებლად მიმართული და სავალდებულო ძალა ჰქონდა.<sup>1</sup>

ე.ი. პრეტორი იყო ის უმაღლესი თანამდებობის პირი, რომელსაც ჰქონდა უფლება, ზეგავლენა მოეხდინა სამართალშემოქმედებაზე, რადგანაც მის მიერ გამოცემული განკარგულებები შესასრულებლად ყველასათვის სავალდებულო იყო. უპირველეს ყოვლისა, ისინი ემსახურებოდნენ სახელმწიფო ინტერესებს, ამავე ინტერესებში შედიოდა კანონებში ზარეზების შევსება, რითაც იცავდა სახელმწიფო და ქვეყნის უსაფრთხოებას. ამ პროცესს თავისებურ ახსნას აძლევს შ.ლ. მონტესკიე, რომელსაც მიაჩნდა, რომ რომაელებმა, ბერძენთა მაგალითის მიხედვით, შემოიღეს პროცესის (une action) ფორმულები და დაადგინეს, რომ ყოველი საქმე აუცილებლად მათი მიხედვით წარმართულიყო. საჭირო იყო სასამართლო შეკითხვის რაღაც ფორმის შემოღება, რათა ხალხს იგი მუდამ თვალწინ ჰქონდა. სხავგვარად რომელიმე დიდი საქმის მსვლელობის დროს შეკითხვის

<sup>1</sup> იხ. ვ. მეტრეველი დას. ნაშ. გვ. 128

ფორმის დაუსრულებლად შეიცვლებოდა ხოლმე ისე, რომ მას ვეღარც კი იცნობდნენ,-წერს შ.ლ. მონტესკიე.<sup>1</sup>

პრეტორი ფორმულებით ამარაგებდა მოსამართლეს, ის კი ვალდებული იყო შეესრულებინა ისინი, ისე როგორც მას ავალებდა მოცემული ინსტრუქცია.<sup>2</sup> სწორედ აქედან გამომდინარეობს ის, რომ რომელიც მოსამართლეები ღებულობდნენ მხოლოდ ზუსტ თხოვნას ყოველგვარი დამატების, შემცირების ან ცვლილებების გარეშე. მაგრამ შემდგომში პრეტორებმა პროცესის სხვა ფორმულები გამოიგონეს, რომელთაც კეთილსინდისიერებისა (de bonne foi) უწოდეს. ეს ფორმულები მოსამართლეს დიდ თავისუფლებას აძლევდნენ განაჩენის გამოსატანად.<sup>3</sup> საბოლოოდ, ~~ფორმალურად ორივე მხარე პროპორციული თვალსაზრისით თანაბარ მდგრძარეობაში იმყოფებოდა.~~

## §7. ლეგისაქციური პროცესი რომში

~~ლეგისაქციური სასამართლო პროცესი დამახასიათებელი იყო რესპუბლიკური პერიოდიდან.~~<sup>4</sup> „ლეგისაქციო“ ნიშნავდა მხარეების მიერ კანონისმიერი მოქმედებისათვის უპირატესობის მინიჭებასა და თვითნებობაზე უარის თქმას. ის ითვალისწინებდა მაგისტრატის წინაშე მოქალაქის განცხადებას, ზუსტად ეპასუხა კანონის მოთხოვნისათვის.

~~ლეგისაქციური პროცესის შესახებ იურისტი გაიუსი, იძლევა ინფორმაციას სარჩელთა სხვადასხვაობის, ასევე სასამართლო დავის, სასამართლო პროცესის, საბრალდებო სიტყვის, სასამართლო დავის აღძვრის უფლებამოსილების შესახებ.<sup>5</sup>~~

სასამართლო პროცესი ორ სტადიად იყოფოდა: „ინ იურე“ და „ინ ინლიციო“. პირველ სტადიაზე ირკვეოდა სასამართლო სარჩელის მიღების საფუძვლები, მისარჩელე და მოპასუხე თავთავიანთ პრეტენზიებს წარუდგენდნენ მაგისტრატს და მოსამართლეს, მაგრამ მხარეთა მოთხოვნებს იხილავდა მხოლოდ მაგისტრატი. მის ფუნქციას თავიდან ასრულებდა კონსული, შემდგომში კი პრეტორი. თუ პროცესში უცხოე-

1 იხ. შ.ლ. მონტესკიე, კანონთა გონი, 194წ. გვ. 106

2 იხ. З.М. Черниловский, Всеобщая История Государства и права М.2002г გვ 102

3 შ.ლ. მონტესკიე დას. ნაშ. გვ 106

4 იხ. შ. ცაცანაშვილი, დას. ნაშ. გვ. 94

5 იხ. გ. ნადარეიშვილი, რომის სამოქალაქო სამართალი თბ. 200წ.გვ.28

ლიც მონაწილეობდა, მაშინ „პერეგრინუსების“ პრეტორი იხილავდა საქმეს, თუკი მასში მხოლოდ ქ. რომის მცხოვრებლები გამოდიოდნენ, მაშინ საქმეს არჩევდა „ურბანიუსის“ პრეტორი<sup>1</sup>

სამოქალაქო სასამართლოს პროცესის მცირე სტადიაზე „ინ იულიციოს“ ხდებოდა საქმის ფაქტობრივი მხარის შემოწმება, ამას აკეთებდა ერთპიროვნული მოსამართლეც, რომელსაც გამოჰქონდა „სენტენცია“- გადაწყვეტილება.

თვითონ ლეგისაქციური პროცესი 5 სახედ იყოფოდა (ხუთი სახის სარჩელის აღძვრა). ეს სარჩელები იყო: ა) ლეგის აქციო საკრამენტუმ, ანუ მოსარჩელის მიერ გარკვეული თანხის შეტანა და მისი მოთხოვნა მოპასუხის მიერ იმდენივე თანხის შეტანის თაობაზე.

ბ) ლეგის აქციო პენმანუს ინქციონემ, როდესაც მოსარჩელეს ხელის დადებით მიჰყავს მოპასუხე სასამართლოში. გ) ლეგის აქციო პერ იუდიცის პოსტულაციონემ, სარჩელის გამოყენება ქონების გაყოფის დროს. დ) ლეგის აქციო პერ პიგნორის კაპიონემ, როდესაც ხდებოდა დებიტორის ნიკეის ხელში ჩაგდების შემდეგ სარჩელის აღძვრა. ე) ლეგის აქციო პერ კონდიციონემ, როდესაც მოსამართლე და მოპასუხეები ერთდროულად მიმართავდნენ პრეტორს, დაენიშნა მათი საქმის განხილვისათვის მოსამართლე.

ლეგისაქციური პროცესი ითვალისწინებდა გარკვეული წესების დაცვას. 1. სასამართლო პროცესებზე აუცილებელი იყო მოსამართლისა და მოპასუხის მონაწილეობა. წინააღმდეგ შემთხვევაში საქმის განხილვა არ მოხდებოდა. 2. სასამართლოზე მოპასუხის მოყვანა მოსარჩელეს ევალებოდა, სასამართლო ინსტანციას ამ შემთხვევაში პასიური პოზიცია ეკავა, მოსარჩელეს უფლება ჰქონდა, იძულებითი მეთოდებით წარედგინა სასამართლოსათვის მოპასუხე (იკრძალებოდა „ძალით მიყვანა“ იმ პირების, რომლებიც რელიგიურ რიტუალში მონაწილეობდნენ, მაგისტრატის, საქმროს, ჯვრისწერის მომენტში და ა.შ.) 3. პროცესში მონაწილე მოპასუხეს საქმის განხილვის დროს თავდებად უნდა ჰყოლოდა მესამე პირი, რომელიც სიტყვიერად ან მატერიალურად გირაოთი დააზღვევდა მის გამოცხადებას.<sup>1</sup>

<sup>1</sup> იხ. О.А. Кудинов, Римское право М. 2008г. გვ 65

ძველი რომის საპროცესო სამართალი, მართალია, ისეთი დამოუკიდებელი ტენდენციებით არ ხასიათდებოდა, როგორც შემდგომ პერიოდში, მაგრამ გაოცებას იწვევს იმ გადასახედიდან რომაელი იურისტების განსწავლულობა, კანონიერი და სამართლებრივი წესრიგის დამყარებისათვის გაწეული ძალისხმევა. ისიც გადაჭარბებულად მიმაჩნია, როცა მკვლევარები რომაელ იურისტებს ძალიან მკაცრად აკრიტიკებენ ზოგიერთი სამოქალაქო სამართლებრივი ინსტიტუტების ცნებების ჩამოუყალიბებლობაში.

მიუხედავად გარკვეული ნაკლოვანებებისა, რომაელმა იურისტებმა მსოფლიოს უბიძგეს, შეექმნათ სამართლიანი სამოქალაქო სამართალი.

მკვლევართა აზრით, ლეგისაქციური პროცესისათვის დამახასიათებელი იყო სისასტიკე და არაპრაქტიკული ფორმალიზმის მოთმენა. იგი ეყრდნობოდა მეტისმეტად ძუნწად შედგენილ და ხარვეზებიან კანონებს. ამ კანონების შევსების შესაძლებლობა კი არ არსებობდა. გაიუსის ინსტიტუციებში (IV,2) საუბარი იყო იმის შესახებ, რომ, თუ ვინმე სარჩლობდა თავის მამულში ვაზის აჩეხვის გამო, სარჩელში მას ეენახისათვის ხეები უნდა ეწოდებინა, სხვანაირად ის სარჩელს (საქმეს) წააგებდა, რადგანაც სარჩელის საფუძველი უნდა ყოფილიყო XII ტაბულის კანონები, ხოლო ამ კანონებში კანონიერ მოტივად აღიარებული იყო ხეების აჩეხვა სხვის ადგილ-მამულში.

ლეგისაქციურ პროცესში უცხოელების, „პერეგრინების“ უფლებების დაცვა შეუძლებელი იყო, რადგანაც მათ არ შეეძლოთ ამ პროცესში მონაწილეობის მიღება.<sup>1</sup> სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება საბოლოო იყო და გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა.

<sup>1</sup> იხ. გნადარიშვილი, დას. ნაშ. გვ. 31

## §8. ექსტრაორდინალური პროცესი

რომის სამართლის ისტორიის მკვლევარები ვერ ადგენენ, ზუსტად როდის ჩამოყალიბდა ექსტრაორდინალური პროცესი. თუმცა, მკვლევართა ნაწილი თვლის, რომ იმპერიის პერიოდის დასაწყისში ფორმულარული სასამართლო პროცესის გვერდით ვხვდავთ ექსტრაორდინალურ პროცესსაც. ზოლო III საუკუნის ბოლოსათვის ექსტრაორდინალური პროცესი უკვე ძირითადი და ერთადერთი იყო. ამის მიზეზი გახდა არჩეულ მოსამართლეთა უნდობლობა. „ექსტრაორდინარია კოგნაციო“, ანუ „საგანგებო პროცესი“, სტადიებად აღარ იყოფოდა.<sup>1</sup> მისი საგანგებო ბუნება მდგომარეობდა მაგისტრატის მიერ იურისდიქციის საკუთარ ხელში აღებაში. იგი უსმენდა ორივე მხარეს, როგორც მოსარჩელეს, ისე მოპასუხეს. პოზიციების დასასაბუთებლად ისინი ასახელებდნენ პირებს, მათი პრეტენზიების დასადასტურებლად. ასეთ პირებს ეწოდებოდათ *cognitores* (კოგნიტორეს) და *procuratores* (პროკურატორეს).

იმპერიის პერიოდში შეუზღუდავ მონარქს ცენტრალიზებული სასამართლო სჭირდებოდა. ამიტომ, არჩეული მოსამართლეები მიუღებელნი აღმოჩნდნენ და სასამართლო ხელისუფლება სახელმწიფო მოხელეთა ქალაქებში პოლიციის უფროსების, ზოლო პროვინციებში გამგებლების, ანუ რექტორების ხელში გადავიდა. შეიქმნა სასამართლოსთან არსებული თანამდებობები, მოსამართლის დამხმარე ასერსორებისა და კონსილარების სახით ჩამოყალიბდა ადვოკატთა კორპორაცია.

მკვლევარები ექსტრაორდინალური პროცესის დამახასიათებელ ნიშნებზე საუბრობენ, რაც არ გააჩნდა მანამდე არსებულ პროცესებს.

„იმპერია თანდათან იშორებდა რესპუბლიკური ხანისათვის დამახასიათებელ დემოკრატიულ სამართლებრივ დაწესებულებებს“<sup>2</sup>

ექსტრაორდინალური პროცესის ძალით გადაწყვეტილებას ასრულებდა სახელმწიფო თავისი მოხელეების მეშვეობით. მხარეთა ინიციატივა მნიშვნელოვნად შეიზღუდა, მოსამართლე ერთპიროვნულად განაგებდა პროცესს.<sup>3</sup> გადაწყვეტილების იძულებით შესრულებას სახელმწიფო იწყებდა ორი თვის შემდეგ, ე.ი. მას შემდეგ, რაც მოპასუხე ნებაყოფლობით არ შეასრულებდა გადაწყვეტილებას.

1 იხ. O.A. Кудинов, Римское право М. 2008г. გვ 65

2 იხ. გ. ნადარეიშვილი, რომის სამოქალაქო სამართალი, თბ. 2001წ.გვ. 33

3 იხ. მ. ცაცანაშვილი დას. ნაშ. გვ. 35



„თუ ფორმულარული პროცესის ძალით კრედიტორს უფლება ჰქონდა დაეპატიმრებინა ურჩი მოპასუხე, ექსტრაორდინალური პროცესით, კრედიტორს არ შეეძლო მისი დაპატიმრება. დაპატიმრების უფლება გადადიოდა სახელმწიფოს კომპეტენციაში.“

კიდევ ერთი თავისებურების შესახებ. სასამართლო გადაწყვეტილების შესრულების ძირითადი საშუალება იყო ქონების გამოყენება. ამ ქონებას სახელმწიფო ყადაღას ადებდა, რაც იმის მაჩვენებელი იყო, რომ თუ მოვალე არ შეასრულებდა სახელმწიფო გადაწყვეტილებას, ორი თვის შემდეგ მისი ქონება გაიყიდებოდა.

ექსტრაორდინალურმა პროცესმა დააწესა ყველა გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება, გარდა იმპერატორისა. გადაწყვეტილების გასაჩივრების შემდეგ მიმართავდნენ აპელაციას (და არა კასაციას), რაც გულისხმობდა საქმის ხელახლა, არსებითად განხილვას.

საჩივარი გადაწყვეტილების ხელმეორედ განსახილველად შედიოდა საქმის განმხილველ სასამართლოში იმ პირთან, ვინც საქმეს განიხილა. და. გასაჩივრების ვადა იყო 2-3 დღე, დომინატის პერიოდში ეს ვადა 10 დღემდე გაიზარდა. საჩივარს უნდა დართოდა დასაბუთებული არგუმენტები. უსაფუძვლო საჩივრისათვის მომჩივანი ისჯებოდა სარჩელის 1/3 ღირებულებით, ხოლო უფრო გვიან, ამისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაც კი დაწესდა.“

„ექსტრაორდინალური პროცესის დამახასიათებელი ერთი მეტად მნიშვნელოვანი მომენტი არსებობს: თუ მოსამართლე ვერ მიდიოდა კატეგორიულ დასკვნამდე, ე.ი. ვერ წყვეტდა საქმეს, მას უფლება ჰქონდა, არ გამოეტანა გადაწყვეტილება და საქმე ზემდგომ ინსტანციაში გადაეგზავნა.“<sup>2</sup>

„ექსტრაორდინალური პროცესი მიმდინარეობდა შეჯიბრებითობის გარემოში. სასამართლო მხარეებს ევალებოდა საქმესთან დაკავშირებით საჭირო ფაქტებისა და მასალების შეგროვება. სასამართლო პროცესს გამჭირვალეობა არ ახასიათებდა, პირიქით, საიდუმლო რეჟიმში ტარდებოდა. სასამართლო გადაწყვეტილება ყოველთვის ფორმალურ ხასიათს ღებულობდა (წერილობითი ფორმა). სასამართლო ხარჯები მოპასუხესა და მოსარჩელეს უნდა დაეფარათ. სასამართლო პროცესს სახელმწიფო აკონტროლებდა.

1 იხ. ე. მეტრეველი, დას, ნაშ. გვ 131

2 იხ. ლ. ჭანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ. 2000წ.გვ 114-115

რომის სამართლის ისტორიის მკვლევარები ექსტრაორდინალური პროცესის ერთ თავისებურებაზე მსჯელობენ, პროცესი შეიძლება გამართულიყო მოპარჩელესა და მოსაპუხის მონაწილეობის გარეშე (მათი სანდო პირების მონაწილეობით). თუმცა ასეთი პროცესი შეიძლება გამართულიყო იმ შემთხვევაში, როდესაც დავა იყო მცირე თანხებზე და საკმაო დამამტკიცებელი საბუთების წარდგენის პირობებში, ასეთ პროცესს ლიბერალურს უწოდებდნენ.<sup>2</sup>

ექსტრაორდინალური პროცესის ერთ-ერთი დიდი ნაკლი იმაში მდგომარეობდა, რომ ერთხელ დაწყებული საქმე შეიძლებოდა უსასრულოდ გაგრძელებულიყო, დაბალი ინსტანციიდან უფრო მაღალში გადატანილიყო და ასე თვით იმპერატორის კანცელარიაში მიეღწია.<sup>3</sup>

იმპერიის ბოლო პერიოდში გამოჩნდა პროცესის განსაკუთრებული სახე, როდესაც მხარეებს უფლება ეძლეოდათ, საერთოდ არ მიემართათ სასამართლოს დაბალი ინსტანციებისათვის, რასაც უარყოფითად აფასებს პ. კესარიელი თავის ნაშრომში „საიდუმლო ისტორია.“

საბოლოოდ, ექსტრაორდინალური და ლიბერალური პროცესის სახეები კლასიკური ეპოქისთვის დამახასიათებელ ძირითად ფორმად იქცა, რომელმაც გავლენა იქონია პროცესზე რომის სამართლის რეცეფციის ხანაში.

## §9. რომაული სამოსამართლო სამართლის ეპოქისათვის

როდესაც უკვე გავეცანით ძველი რომის სასამართლო სისტემას, სასამართლოების სტრუქტურას, იუსტიციანეს მიერ მოსამართლეთა ფუნქციებს და პროცესს, საჭიროდ ჩავთვალეთ ამ პრობლემის განხილვაც, რაც ხელს შეუწყობს საკითხების სრულყოფას.

არაერთი ავტორია დაინტერესებული ამ თემით, მათ შორის პროფ. ლ. ჭანტურიაც, რომელიც სპეციალურ თავს უძღვნის აღნიშნულ თემას,<sup>1</sup> ანალიზს უკეთებს XIX საუკუნეში მიმდინარე პროცესებს, კერძოდ, ბრძოლას „ხალხის სამართალსა“ და „იურისტების სამართალს“ შორის, რომელსაც რაიმე პოზიციური და ხელმოსაკიდი შედეგი არ მოჰყოლია, თუმცა, ამის შემდეგ დაიწყო კანონების ნაციონალურ ენაზე და არა ლათინურად დაწერა, თავისი დადებითი, ასევე უარყოფითი შედეგებით, რადგანაც საუკუნოვანი მცდელობები, რომ კანონები ყველსათვის გასაგები

ენით დაწერილიყო, უშედეგო აღმოჩნდა. ლ. ჭანტურიას აზრით, როგორც ექიმს სჭირდება სპეციალური განათლება და ტერმინოლოგია, რომელიც მისი პაციენტისათვის ხშირად უცხოა, ასევე სჭირდება იურისპუდენციას სპეციალური განათლება და ტერმინოლოგია. როგორც ექიმმა უნდა დაიცვას ადამიანის ჯანმრთელობა და ამით გამოიყენოს მისთვის ხელმისაწვდომი ყველა საშუალება, ასევე უნდა დაიცვას იურისტმა ადამიანის უფლებრივი მდგომარეობა გაუმართლებელი ხელყოფისაგან, გაარკვიონ ისინი თანამედროვე რთულ სოციალურ და საკანონმდებლო ლაბირინთებში.<sup>1</sup> მართო ლოგიკა და ენის კარგად ფლობა ამისათვის სრულიად არ არის საკმარისი.“<sup>2</sup>

იმის უარყოფა, რომ ეპოქასთან მიმართებაში რომაელებმა შეძლეს დიდი საკანონმდებლო აქტის ცხოვრებაში დანერგვა, რომელმაც შემდეგ დიდი რეცეფცია განიცადა მთელს ევროპაში, არ შეიძლება, მაგრამ „იმდენად თავდაჯერებულნი იყვნენ, რომ სამართლის მოცემული სფეროს მოწესრიგებას დასრულებულად მიიჩნევდნენ. იუსტინიანემ აკრძალა კანონთა კრებულის კომენტირება, ნაპოლეონი კი ამბობდა, რომ როცა გაჩნდებოდა ნაპოლეონის კოდექსის კომენტარები, მაშინ შეძლება ეს ქმნილება დაკარგულად ჩაითვალოსო. ფრიდრიხ დიდმა თავის პოლიტიკურ ანდერძში ჩაწერა: „ხელმწიფე არ უნდა ჩაერიოს სამართლის საკითხების გადაწყვეტაში, მხოლოდ კანონები უნდა ბატონობდნენ!“ ისიც წინააღმდეგი იყო კანონთა კომენტარების.“<sup>3</sup>

იმპერატორ იუსტინიანეს ინსტიტუციები იწყება ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს სახელით, იმპერატორის ცეზარ ფლავიუს იუსტინიანე ალმანების, გოთების, ფრანკების, გერმანელების, ანცების, ალანების, ვანდალების, აფრიკელების ღვთისმოსავი, ბედნიერი, სახელოვანი, გამარჯვებული და ძლევამოსილი, მუდმივად ამაღლებული (უავგუსტოესი) – ეს მიმართვა ეკუთვნის კანონთა მოტრფიალე ახალგაზრდობას, ხოლო საიმპერატორო უდიდებულესობას შეპყდრის, რომ იყოს არა მართო იარაღით შემკული, არამედ აგრეთვე კანონებით შეიარაღებული. რათა ორივე (შემთხვევაში) როგორც ომის, ასევე მშვიდობის დროს, სათანადოდ მართვა შეძლოს და რომ რომის პრინცეპსი (იმპერატორი) არა მართო მტერთან ბრძოლაში გამარჯვებული გამოვიდეს, არამედ მზაკვართა

1 იხ. ლ. ჭანტურია დას. ნაშ. გვ 104-105

2 Schnitzer. Adolf F. Vergleichende Rechtlehre B.D. Fuff 1961 s 443 (ციტირება ლ. ჭანტურიას წიგნიდან)

3 იხ. ლ. ჭანტურია დას. ნაშ. გვ 105

უსამართლობის კანონიერი გზით მდევნელიც გახდეს და შექმნას როგორც სამართლის უკეთილსინდისიერი დამცველი, ასევე დამარცხებულ მტრებზე გამარჯვებული.<sup>1</sup> ლ. ჭანტურიას მოჰყავს სამოქალაქო კოდექსის შექმნით აღფრთოვანებული ნაოლღონის ფრთიანი გამოთქმა – „ყველა ჩემს გამარჯვებას ერთი ვატერლოოს დამარცხება წაშლის, მაგრამ რაც დაუეიწყარი დარჩება, ესაა სამოქალაქო კოდექსი.“<sup>2</sup> აქედან გამომდინარე, თითქოს შექმნილმა კანონებმა მომავლის პრობლემებიც გადაწყვიტა.

იუსტინიანეს ინსტიტუციები სასამართლო პროცესსა და მოსამართლის ფუნქციების შესრულებასთან დაკავშირებით, ითვალსიწინებდა რა საქმეთა სხვადასხვაობას, მოითხოვდა კანონთა მიხედვით გადაწყვეტილების კონკრეტიზაციას, სამარლიანობას და მისდამი დამორჩილებას, რადგანაც „სამართლიანობა არის უცვლელი და მუდმივი ნება თითოეულისათვის“, რადგან „იურისპრუდენცია (სამართლიანობა) არის საღვთო და ადამიანური საქმეების შეცნობა, მეცნიერება სამართლიანისა და უსამართლოს შესახებ.“<sup>3</sup> რომის სამართლის სიკეთით სარგებლობა დამოკიდებული იყო ადამიანის სამართლებრივ მდგომარეობაზე, სტატუსზე, მაგრამ მისი ერთგვაროვანი გაგება ყველას არ შეეძლო, ამიტომ წარმოიშვა ისტორიულად კანონების ინტერპრეტაციის აუცილებლობა. რომის სამართალთან დაკავშირებით ამგვარი კომენტარების თვალსაჩინო მცდელობა იყო გლოსატორების საქმიანობა, რაც ნიშნავს მოსამართლისათვის იმის საშუალების მიცემას, რომ საჭიროების შემთხვევაში ინტერპრეტაციის გზით განავითაროს, შეავსოს სამართალი. რა იქნებოდა თანამედროვე სამოქალაქო სამართალი, რომ სასამართლოებს არ ჰქონოდათ სამოსამართლო სამართალშემოქმედების უფლება? – კითხვას სვამს ლ. ჭანტურია. რა თქმა უნდა, მრავალი ინსტიტუტი, რომლის გარეშე წარმოუდგენილია თანამედროვე სამოქალაქო სამართალი, სწორედ სასამართლო პრაქტიკის შედეგად დამკვიდრდა.

პროფ. ლ. ჭანტურია ევროპული ქვეყნების სამოქალაქო სამართლის ანალიზის ფონზე მხარს უჭერს და წინა პლანზე წევს სასამართლო პრაქტიკის მნიშვნელობას. მაგალითად მოჰყავს დიდერიქსენის სიტყვები, წარმოთქმული გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მიმართ, რომ მხოლოდ ამ კოდექსით პრაქტიკულად შეუძლებელია სწორი წარმოდგენა შეგვექმნას გერმანიის სამოქალაქო სამართალზე, თუ მთელს სასამართლო პრაქტიკას არ მივიღებთ მხედველობაში.<sup>4</sup>

1 იხ. რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს ინსტიტუციები, თბ. 2002წ. გვ. 9

2 იხ. ლ. ჭანტურია დას.ნაშ. გვ. 106

3 იხ. რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს ინსტიტუციები, თბ. 2002წ. გვ. 12

4 Diederichsen, Uwe, Zur Begriffstheorie richterlicher Rechtsfortbildung im zivilrecht, in FSF

რომის სამართალზე ორიენტირებულმა სწავლულმა იურისტებმა დიდი როლი შეასრულეს კონტინენტური ევროპის სამართლის ფორმირების პროცესში. შემთხვევითი არაა, რომ კონტინენტური ევროპის იურიდიულ აზროვნებას ახასიათებს მეცნიერული სტილი. ინგლისში კონტინენტური ევროპისაგან განსხვავებით, ბატონობდა აზროვნების სამოსამართლეო სტილი. ბრიტანელი მოსამართლე კონცენტრირებული იყო ზოგადი საკითხების და არა კონკრეტული შემთხვევის ანალიზით.<sup>1</sup>

ქართული სამოქალაქო კოდექსის ავტორებმა გაითვალისწინეს დასავლეთ ევროპის ქვეყნების დიდი გამოცდილება და სასამართლოს პრაქტიკისა და საკანონმდებლო წესით განამტკიცეს იგი და მიიჩნიეს, რომ სამოსამართლეო სამართალი თანამედროვე სამართლის შემადგენელი ნაწილია და სამართლის განვითარება მის გარეშე წარმოუდგენილია.

ისიც გაითვალისწინეს, რომ დასაშვებია კანონში ხარვეზი, რომელსაც ყველაზე კარგად მოსამართლე ხედავს და მასზე უკეთ არავინ იცის მისი შევსების თუ გასწორების გზები.

ე.ი. კანონში არსებული ხარვეზების ამოცება შეადგენს მოსამართლის ამოცანას კანონის ანალოგიური ნორმის ინტერპრეტაციის საფუძველზე. ამ გზით მოსამართლე ახალ ნორმას ქმნის, რომელიც სამართლის განვითარებისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფუძველია. სწორედ ასეთ ნორმებზე საუბრობს რ. დავიდი, რომლებსაც „მეორად ნორმებს“<sup>2</sup> უწოდებს, რომელიც დამახასიათებელია რომანულ-გერმანული (და არა მარტო) სამართლებრივი ოჯახისათვის, რომლის ნაწილსაც წარმოადგენს ქართული სამართლის სისტემა. საბოლოოდ, მკვლევართა მიერ შემოთავაზებული კონცეფციით, კონკრეტული შემთხვევების გადაწყვეტის დროს კანონის საფუძველზე მისი ცალკეული ნორმების კომენტირების შედეგად მოსამართლის მიერ ქვეყნის ახალი წესების ჩამოყალიბებას სამოქალაქო სამართალშემოქმედება ეწოდება, ხოლო ამ გზით მიღებული სამართლის ნორმათა ერთობლიობას–სამოსამართლო სამართალი.

---

wicacker zum 70 Geburtstag. 1978 s 325 (ლ. ჰანტურის ნაშრომიდან)

1 იხ. გ. ხუბუა, სამართლის თეორია თბ. 2004წ.გვ 219

2 იხ.გ. ლობჯანიძე, სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია, თბ. 2003 წ.გვ 353

# თავი მაცხარაჲბა სისხლის სამართალი

## §1. რომის სისხლის სამართლის ზოგადი პრინციპები

რომაელ იურისტებს არ უზრუნიათ სისხლის სამართლის ცალკე დარგად ჩამოყალიბებისათვის, მაგრამ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმდინარე პროცესები ხელისუფლებას და კანონმდებლებს აიძულებდა, ამ სფეროს მოსაწესრიგებლად მიეღოთ შესაბამისი ზომები. სისხლის სამართლის კანონმდებლობას საფუძველი ჩაუყარა XII ტაბულის კანონებმა. მიუხედავად იმისა, რომ კანონები შედგენილი არ იყო დარგების მიხედვით. რომაული სისხლის სამართალი ასევე ეყრდნობოდა დიქტატორებისა და იმპერატორების ინიციატივით გამოცემულ ნორმატიულ აქტებს, რომელთა უმრავლესობა პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა და მიმართული იყო პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა მიმართ, რომელიც რომის სისხლის სამართლის ძირითად პრინციპს წარმოადგენდა.

კანონები პრინციპულად არ გამოირიცხავდნენ როგორც იმპერატორების, ასევე მაგისტრატების თვითნებობას. მათ შორის იმის გარჩევას, თუ რა ჩაითვლებოდა დანაშაულად და როგორ დაისჯებოდნენ ამისათვის. ძალიან ხშირ შემთხვევაში იმპერატორები ცდილობდნენ სასამართლოს გვერდის ავლით გასწორებოდნენ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს ან ეჭვიმითანილ პირებს.

სულას დიქტატორობის პერიოდში, პირველად რომის ისტორიაში, შედგა შავი სიები, პროსკრიპციები (პოსკრიპტიონეს სულლანაე), სადაც ადამიანები ხალხის მტრებად ცხადდებოდნენ და მათ ფიზიკურად ანადგურებდნენ, მათი ქონება კი სახელმწიფოს ხელში გადადიოდა, ნაწილი კი დამსმენს რჩებოდა. სულას ბრძანებით, სასამართლოს გარეშე დაისაჯა 90 სენატორი და 2500 მხედარი. 6000 კაცი დახოცეს დღისით-მზისით ცირკის არენაზე, რომლებიც ძალით შეყარეს შეიარაღებულმა რაზმებმა.

მასიური დასჯის საფუძვლად იქცა კანონი ე.წ. „უდიდებულესი რომაელი ხალხის შეურაცხყოფის შესახებ“. მისი შინაარსი ისე იყო ფორმირებული, რომ თუკი ხელისუფლება მოინდომებდა, ნებისმიერ პიროვნებას წაუყენებდა ბრალს.

ყრველგვარი ბრალდება ითვლებოდა სისხლის სამართლის დანაშაულებად. პოეტს ასამართლებდნენ იმის გამო, რომ მან გაბედა და ტრაგედიაში აგემემნონი გაკიცხა, ისტორიკოსს ასამართლებდნენ იმის გამო, რომ ბრუტუსსა და კასიუსს, ცეზარის მკვლელებს, უკანასკნელი რომაელები უწოდა. ორივე იმ დღესვე დასაჯეს სიკვდილით და მათი თხზულებები მოსპეს.<sup>1</sup>

რომის სისხლის სამართალი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ისეთი დანაშაულების სახეობაზე, როგორცაა (მექრთამეობა) ხაზინის კუთვნილი თანხების მითვისება, სახელმწიფო ქონების დატაცება და.ა.შ. დამნაშავეებს ამ სახის დანაშაულის ჩადენისათვის ემუქრებოდათ სიკვდილით დასჯა, გადასახლება და სხვა სახის სასჯელები.

სენატის ერთ-ერთი დადგენილება „მისი უდიდებულესობის შეურაცხყოფა“ ეხებოდა იმპერატორის „სტატუი“-ს ცუდად ხელის ზღებასაც. რომაელი იურისტები იმპერიის მთელი პერიოდის განმავლობაში მსჯელობდნენ, -შეიძლება თუ არა დაისაჯოს კაცი, რომელმაც შემთხვევით ნასროლი ქვა მოახვედრა იმპერატორის „სტატუი“-ს.

რომის იმპერატორები იმდენად გამხეცდნენ თავისი მღვდმარეობის შენარჩუნებისათვის, რომ უნდოდათ სიკვდილზე რალაც მეტი სასჯელი მოეგონებიათ. სვეტონიუსი წერდა, რომ „სიკვდილი ტიბერიუსს მიაჩნდა ერთობ მსუბუქ სასჯელად: როცა მან შეიტყო, რომ ერთ-ერთმა ბრალდებულმა სახელად კარნულმა ველარ იცოცხლა სიკვდილით დასჯამდე, მან წამოიძახა: დახეთ: „კარნული როგორ გამისხლტა ხელიდანო.“<sup>2</sup>

რომის სისხლის სამართლის ზოგიერთ შემთხვევაში ინარჩუნებდა ძველი ადამ-წესების გადმონაშთებს. ტალიონის პრინციპს და კომპოზიციებს, ასევე წინაპართა მიერ შემოღებულ დასჯის შეთოდებს, რაზედაც უფრო დაწერილებით შემდეგ პარაგრაფებში ვისაუბრებთ.

1 სვეტონიუსი, ტიბერიუსი 61

2 სვეტონიუსი, ტიბერიუსი 61.

ისტორიულად ცნობილია, რომ ძველი რომის სამართლის სისტემაში სისხლის სამართალს არ უჭირავს ისეთი ადგილი, როგორც სამოქალაქოს. რომის სამართლის ისტორიის მკვლევარი ი. პოკროვსკი წერდა, რომ თვით თეოდორ მომზენს, რომელმაც შეისწავლა ძველი რომის სახელმწიფო და სისხლის სამართალი, მიაჩნდა რომ რომის სისხლის სამართალი არა მარტო საჯარო სამართლის დამატებაა, არამედ ის კერძო სამართლის განუყოფელი ნაწილიცაა, ამიტომაც, რომელი იურისტები ნაკლებად აქცევდნენ ყურადღებას სისხლის სამართლის, როგორც დარგის განვითარებას, აქედან გამომდინარე, სისხლის სამართალი სამოქალაქოსთან შედარებით ნაკლებადაა დამუშავებული, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ რომელი კანონმდებლები ამ სფეროს საერთოდ არ აქცევდნენ ყურადღებას. აქ აღსანიშნავია ერთი გარემოება, იგი იცვლებოდა იმ ისტორიული პერიოდის შესაბამისად, რადაც შედგება თვითონ რომის ისტორია. რომის სამართლის ისტორიის კვლევის საქმეში დიდი დამსახურება აქვს თ. მომზენს, რომლის კვლევის საგანი ძირითადად იყო რომის სახელმწიფო და სისხლის სამართალი. სამოქალაქო სამართლიდან სისხლის სამართლის კანონმდებლობის გამოყოფა სცადა ცნობილმა ბიზანტოლოგმა პროფ. ზ. ვ. უდალცოვამ, ხოლო პირველად ქართველ მეცნიერთა შორის პროფ. ვ. მეტერეველმა ნაშრომში „რომის სამართალი“ ცალკე გამოყო სისხლის სამართლის ინსტიტუტები, სადაც ისტორიული პერიოდების მიხედვით მოკლედ განიხილა ამ სფეროში შემავალი საკითხები.

ისევე, როგორც ყველგან, რომის სამართალშიც, თავდაპირველად შენარჩუნებული იყო გვაროვნული წყობილების ნიშნები. საპროცესო კანონმდებლობის შექმნამდე ადგილი ჰქონდა ადამიანთა მიერ თვითნებობით საკუთარი ინტერესების დაცვას, მაგრამ როდესაც სახელმწიფო გაძლიერდა და თავის თავზე აიღო ადამიანებს შორის წარმოშობილი ურთიერთობათა მოწესრიგება, თვითნებობის გამოვლენა. *anu leges juliae jovi publica et devī private-*ს თანახმად (საკუთარი უფლებების თვითნებურად დაცვის მცდელობა) სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლებოდა. შემდგომში, წერს შლ. მონტესკიე, მეფეთა კანონები ლტოლვილთა, მონათა და ყაჩაღთაგან შემდგარი ხალხისათვის განკუთვნილი, ძალზე მკაცრი იყო.

1 იხ. История Византии, Т, I М. 1967 с. 262-267



ალების დიქტატორი მეციუს სუფეციუსი პოსტილიუს ტულუსის ბრძანებით ორი ეტლით შუაზე გახლიჩეს. XII ტაბულის კანონები საესეა უადრესად უღმობელი ნორმებით. 'თორმეტი ტაბულის კანონები მართლაც ადასტურებენ რომაელი დაკაბალებული პირის მძიმე მდგომარეობას. ეს კანონები ითვალისწინებდნენ არა მარტო დაკაბალებული პირის მონად გაყიდვას, არამედ სიკვდილით დასჯის უფლებასაც იმ შემთხვევაში, თუ ამ პირს რამდენიმე კრედიტორის ვალი ჰქონდა და ვერც ერთს ვერ უხდიდა. ასეთი ვითარების დროს, წერია კანონში, „მესამე საბაზრო დღეს დაე დავალიანებული პირი გააკეთონ ნაჭრებად, და თუ მას ან მეტს ან ნაკლებს მოსჭრიან, დაე ეს არ ჩაეთვალოთ მათ (კრედიტორებს) ბრალადო“.<sup>2</sup> როგორც აქედან ჩანს, კრედიტორებს დაკაბალებული პირის სხეული ვალის პროპორციულად უნდა დაეყოთ, მაგრამ თუ ეს წესი დაირღვეოდა, კანონი მათ ამაში ბრალს არ სდებდა. რა თქმა უნდა, არავითარი ღირებულება არ ჰქონდა სიკვდილით დასჯილი პირის გვამის ნაჭრებს კრედიტორებისათვის და მას მდ. ტიბრში ყრიდნენ.

ძველი რომაელი მწერალი ა. გელიუსი (ახ.წ. I სს) თავის „ანტიკურ ლამებში“ ამ კანონის შესახებ წერდა: თუ მოვალეს სასამართლო გადასცემდა რამდენიმე კრედიტორს და ეს კრედიტორები მოისურვებდნენ, მაშინ დეცემვირები ნებას აძლევდნენ მათ დაეჭირათ და დაენაწილებინათ მოვალის სხეული. მაგრამ მე არც წამიკითხვას დ არც მსმენია, რომ ძველად ვინმე ნაჭრებად აეკუწათ.“<sup>3</sup> მაგალითად, სიკვდილით დასჯა ემუქრებოდა როგორც ცალკეულ დანაშაულების ჩამდენთ, როგორც ღმერთის ნების წინააღმდეგ მიმართულ ქმედებას, ასევე, სასჯელის უმაღლესი ზომა ვრცელდებოდა ტრიბუნების ხელმყოფი პირების, ფიცის დამრღვევთა, სარიტუალო საგნების ხელმყოფთა და სხვათა მიმართ.

ასე თუ ისე, რომის სისხლის სამართალი ერთმანეთისგან მიჯნავდა სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულსა და კერძო პირთა მიმართ ჩადენილ დანაშაულს.)

(რომის სამართლის ფორმირების პროცესში კერძო ხასიათის დანაშაულებებს დიდხანს შემოეყვა ტალიონის და კომპოზიციის პრინციპები, რაც თავისთავად გულისხმობდა სასჯელთა დიფერენციაციას სოციალური მდგომარეობის ნიშნის მიხედვით.)

1 იხ. შლ. მონტესკიე, კანონთა გონი, თბ. 1994წ გვ 118

2 XII tab. III (იხ. хрестоматия по истории древнего Рима, 19626)

3 Авл. Геллий, Антическое право, XX, 1.48 (ХИДР, 1962.с63)

〔XII ტაბულის კანონებით, ქურდობის ჩამდენ მონას ჯერ გაშოლტავდნენ, ხოლო შემდეგ კლდიდან აგდებდნენ. მსგავსი დანაშაულისთვის თავისუფალ მოქალაქეს გაშოლტავდნენ და გადასცემდნენ დაზარალებულს.

ქურდს, რომელსაც დანაშაულის ადგილზე წაასწრებდნენ, თუ იგი წინააღმდეგობას გასწევდა და იარაღს გამოიყენებდა, ადგილზე კლავდნენ ჩვეულებრივად, ქურდს ეკისრებოდა ქონებრივი ზარალის ანაზღაურება.<sup>1</sup>

სადმიანის სხეულის სხვადასხვა სახის დაზიანება იწვევდა ტალიონის პრინციპით პასუხისმგებლობას. სხვისი ქონების დაზიანებისათვის შესაძლებელი იყო სიკვდილით დასჯაც. უფრო ხშირად გამოიყენებოდა ფულადი ანაზღაურება.)

დეცემვირის კანონები კრიტიკული აზრების გამოხატვის შემთხვევაში პოეტებისა და პამფლეტთა ავტორებისათვის სიკვდილით დასჯას ითვალისწინებდა, რაც არ ახასიათებდა რესპუბლიკის ხანის კანონებს. მართალია დეცემვირების განდევნის შემდეგ ისინი არავის გაუუქმებია, მაგრამ მათი გამოყენება არ ხდებოდა. პორაციუსის კანონებმა აკრძალა რომაელ მოქალაქეთა დასჯა. შემდგომში რომაელ მოქალაქეთათვის უფრო მსუბუქი სასჯელი წესდებოდა, ვიდრე ბერძნებისათვის.

სასჯელები სამ ჯგუფად იყოფოდა: ა) სასჯელი, რომელიც გათვალისწინებული იყო სახელმწიფოს მაღალი წოდების ადამიანებისთვის, საკმაოდ მსუბუქი იყო; ბ) ნაკლები რანგის ადამიანებისთვის უფრო მკაცრი.

გ) ხოლო მდამბო ადამიანებისთვის ყველაზე მკაცრი. რომის-სისხლის სამართალმა შემდგომში განასხვავა ბრალის ფორმები: განზრახვა და გაუფრთხილებლობა. რესპუბლიკის პერიოდში განზრახვი მკვლელობა ისჯებოდა, გაუფრთხილებლობით კი — სასჯელს არ ითვალისწინებდა. „გარდა ამისა, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დადგინდა ობიექტური შერაცხვის შემთხვევაშიც.“<sup>2</sup>

აღსანიშნავია წინასაარჩევნო კორუფციული გარიგებანი ანუ crimen ambitus. ქ. რომში გაჩნდა საეციალური კანონები leges de ambitu, რომლის მიზანი იყო შეეზღუდა მოქალაქეთა დიდი ინტერესი მაგისტრატების თანამდებობის დაკავებისათვის, რაც დაკავშირებული იყო ხმების მოსყიდვასთან, თუმცა რესპუბლიკის პერიოდის ბოლო წლებში ამ ბრძოლას შედეგი არ მოჰყოლია. leges de ambitu-ს კანონებს თავისი შექმნის ისტორია გააჩნია. მათ შორის ყველაზე ადრინდელი კანონი დაკავშირებული იყო

1 იხ. ვ. მეტრეველი, რომის სამართალი (საფუძვლები) თბ. 2005წ. გვ. 42

2 იხ. მ. ცაცანაშვილი, სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია თბ. 1995წ. გვ. 34

„თეთრების ფორუმთან“ (candida) – საიდანაც წამოვიდა ტერმინი კანდიდატი, რასაც მოყვა 358წ. პეტელიუსის კანონი, რომლითაც კანდიდატს ეკრძალებოდა სოფლებისა და დასახლებული ადგილების მონახულება, რათა არ მოეხდინა ხალხის გადაბირება და ამ გზით ხმების მოპოვება, მენიუსის კანონი კრძალავდა საარჩევნო კლუბების ჩამოყალიბებას. 181წ. გამოცემული კანონი – აგენტების (divisores) მიერ ფულით მოსყიდვას ებრძოდა. კორნელიუსის კანონით, ამ დანაშაულისათვის მხილებულ პირს ეკრძალებოდა 10 წლის განმავლობაში სახელმწიფო სამსახურში თანამდებობის დაკავება. 70 წელს ავრელიუსის მიერ გამოცემული კანონით 5 წლით ეკრძალებოდა მხილებულ პირს არჩევნებში მონაწილეობა.

lex caplurnia – atilia (67წ.) აწესებდა ფულად ჯარიმას და განუსაზღვრელი ვადით არჩევნებში მონაწილეობის უფლების ჩამორთმევას, არჩევნებში ხმის მოსყიდვის შემთხვევაში ითვალისწინებდა ირიბ სასჯელებსაც.<sup>2</sup>

რესპუბლიკის პერიოდში მცდელობასა და დამთავრებულ (ჩადენილ) დანაშაულს კანონი ერთნაირად უდგებოდა. პრინციპატის პერიოდის კანონმდებლობაც მათ ერთმანეთისაგან არ ასხვავებდა, ორივეს ერთნაირად სჯიდა. დასჯადად გამოცხადდა თანამონაწილეობაც. სისხლის სამართლის პროცესით, როგორც დანაშაულის შემადგენლობის განსაზღვრის, ასევე სასჯელის დადგენის თვალსაზრისით, გავლებული იყო დიდი ზღვარი არა მარტო თავისუფალ მოქალაქეებსა და მონებს შორის, არამედ პრივილეგირებულ (honestiores) და დაბალ (humiliores) ფენებს შორის. განსაკუთრებული პრივილეგირებული მდგომარეობა ეკავათ მეომრებს.

აღრე ჩადენილი დანაშაულისათვის ცნობილ ადამიანებს და სამხედრო პირებს ეკისრებოდათ შედარებით დაბალი სასჯელი, ვიდრე დაბალი საზოგადოებრივი ფენის წარმომადგენლებს.

დომინანტის პერიოდში წინა პლანზე წამოიწია სისხლის სამართლის კლასობრივმა ხასიათმა, რამაც გამოიწვია სისხლის სამართლის წესით დასჯად ქმედებათა წრის გაფართოება. გაჩნდა ექსტრა ორდინალური (საგანგებო) დანაშაულებები, რასაც მოყვა იმპერატორთა ედიქტების და კანონების შემოღება. მკვლევარები ყურადღებას ამახვილებდნენ პრინციპატის პერიოდში სასჯელთა ტერიტორიულ და მწამებლურ ხასიათზე. ფართოდ გავრცელდა ქონების კონფისკაცია, სასჯელის დანიშნულება სამაგიეროს მიზლისა და დაშინების საშუალებად გადაიქცა.<sup>3</sup>

1 სენატორები თეთრად იმოსებოდნენ

2 იხ. М. П. Морев, римское право, М. 2008г. გვ.541

3 იხ. მ. ცაცანაშვილი, სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია თბ. 1995წ.გვ 94

ასე მაგ. ადამიანის გატაცება (plagium- crimen legis Fabiae) ითვლებოდა მის ფაქტიურ მონურ შდგომარეობაში ჩაყენებად, მამის ძალაუფლებაში მოქცევის გზით, თუნდაც ის თავისუფალი მოქალაქე ყოფილიყო. ან სხვის მონის-შემთხვევაში დამნაშავეს ან თანამონაწილეს ედებოდა ჯარიმა 50 000 აასის ოდენობით. ამ სახის სანაშაულის სამართლებრივი ბაზის განვითარების საფუძველი იყო lex Fabia იმპერიის პერიოდის დასაწყისში სენატის ზოგიერთი გადაწყვეტილებით შემოღებული იქნა ამ დანაშაულის ახალი შემადგენლობა კარაკალასა და დიოკლეტიანეს პერიოდში. ამ სახის დანაშაული მოექცა საჯარო სამართლის სფეროში.<sup>1</sup>

/ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ სასჯელებმა შედარებით ლიბერალური ხასიათი მიიღო, გაუქმდა სისხლიანი სანაზაობები, თუმცა ზოგიერთ დანაშაულზე კვლავ მკაცრი იყო სასჯელთა ზომები, ასე მაგ. სიკვდილით დასჯა შენარჩუნდა ქალის გატაცებისათვის, საზოგადოების გარყვნისათვის, თავისუფალი რომაელი ქალებისათვის. ვენც-მონასთან სქესობრივ კავშირს დაიჭერდა, სიკვდილით ისჯებოდა. მოღალატე მეუღლე ქალი, სიკვდილით ისჯებოდა სისხლის აღრევა.<sup>2</sup>

იმპერიის ხანაში ზოგიერთი კერძო სამართალდარღვევა გამოცხადებული იქნა საჯარო დარღვევად. დაზარალებულ მხარეს ეძლეოდა არჩევანი: მიემართა სახელმწიფო ორგანოსათვის დამრღვევის სისხლის სამართლის წესით დასჯის შესახებ.

რომის სამოქალაქო სამართალში „ინიურია“, რომლის თავდაპირველი მნიშვნელობა იყო სამართალდარღვევა ადამიანის, პიროვნების წინააღმდეგ, გულისმობდა როგორც ფიზიკურ, ასევე მის სიტყვიერ შეურაცხყოფას. იმპერიის ხანაში „ინიურია“-ს ყველაზე საშიში შემთხვევები სახელმწიფო მნიშვნელობის დარღვევად გამოცხადდა. ასეთი დელიქტები სისხლის სამართლის წესით იდევნებოდა.<sup>3</sup>

მკველავართა აზრით, „ინიურია (სამართალდარღვევა) ფართო მნიშვნელობით ნიშნავს „უხომართლობას“, „უკანონობას“, ნებისმიერ მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, ვიწრო მნიშვნელობით კი „შეურაცხყოფას,“ რაც აღნიშნავდა მეორე პირის წინააღმდეგ მიმართულ ნებისმიერ განზრახ შეურაცხმყოფელ ქმედებას, რომელიც შეიძლება ჩადენილიყო როგორც რეალური მოქმედებით, ასევე სიტყვიერად (სიტყვიერი ფორმით).<sup>4</sup>

1 იხ. М П. Морев, римское право, М. 2008г. გვ 536

2 იხ. ვ. მეტერეველი, რომის სამართალი (საფუძველები) თბ. 2005წ. გვ.116-117

3 იხ. გ. ნადარეიშვილი, რომის სამოქალაქო სამართალი თბ. 2001წ. გვ. 120

4 იხ. რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს ინსტიტუციები თბ. 2002წ. გვ 452

(იუსტინიანეს კანონმდებლობა განსაკუთრებული სიმკაცრით გამოირჩეოდა—დაბალი ფენების წარმომადგენლების მიერ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის უმრავლეს შემთხვევებში მათ ემუქრებოდათ სიკვდილით დასჯა. მონებსა და უპოვართა მხრიდან ჩადენილი დანაშაულის შემთხვევაში იყენებდნენ დამამცირებელ და მკაცრ სასჯელებს, როგორც იყო ჯვარზე გაკერა, თავით ქვეით დაკიდება, ჩამოხრჩობა, დაწვა, მტაცებელი ცხოველებისათვის მიგდება, გაშოლტვა სიკვდილამდე და ა. შ. პრივილეგირებული კლასის წარმომადგენლების მხარეს მძიმე სახის დანაშაულის შემთხვევაში უწყესებდნენ თავის მოკვეთას ან ქვეყნიდან გაძევებას.

დანაშაულის შემთხვევაში პირადად აგებდნენ პასუხს მონები და არა მათი ბატონები. მონები და თავისუფალი ღარიბები მკაცრად ისჯებოდნენ ცეცხლის წაქიდების და შეიარაღებული ბუნტის შემთხვევაში. ძირითადად, ასეთებს ჯვარზე აკრავდნენ. ყაჩაღებს (lectones), რომლებიც თავს დაესხმებოდნენ წარჩინებულთა სახლებს ან აგარაკებს, ემუქრებოდათ სიკვდილით დასჯა.<sup>1</sup>

ტაციტუსი გადმოგვცემს, რომ როცა ნერონის დროს, 61 წელს, ერთმა მონამ მოკლა რომის პრეფექტი პედანიუს სეკუნდუსი, მაშინ არსებული კანონის მიხედვით, სიკვდილით დასაჯეს ბრალდებულთან ერთად ერთ ჭერქვეშ მყოფი პედანიუს სეკუნდუსის 400 მონა.<sup>2</sup>

მონებს არა მარტო ბატონის მკვლელობის მცდელობისათვის, არამედ სურვილისთვისაც კი, თუ ამას დაუმტკიცებდნენ, კოცონზე წვაავდნენ. ასეთივე ბედი ეწეოდა იმ მონას, რომელსაც ბატონი საშველად მოუხმობდა და მასზე რეაგირებას არ მოახდენდა. მონა, რომელიც თავისუფალ ქალს ან გოგონას მოიტაცებდა, ან მათ სიყვარულს გაამჟღავნებდა, სიკვდილით ისჯებოდა, რომის კანონმდებლების შესაბამისად, ყველა მოწმე მონის მიმართ სასამართლო პროცესზე დაშვებული იყო წამება. მოსამართლე პასუხს არ აგებდა, თუ პროცესზე წამების შედეგად მონა გარდაიცვლებოდა. პროკოფი კესარიელის “საიდუმლო ისტორიიდან” ნათლად სჩანს, რომ იუსტინიანეს ეპოქაში ამ პრაქტიკას ფართო მასშტაბები გააჩნდა.

იმპერიის მოსახლეობისათვის ძნელი ასატანი გახდა მისი უდიდებულესობის შეურაცხყოფისათვის დადგენილი კანონები. ამ კატეგორიის დანაშაული ითვლებოდა სახელმწიფო ღალატად, მძიმე სისხლის სამართლის

<sup>1</sup> იხ. История Византии Т. I М. 1967г. გვ.263

<sup>2</sup> Тацит, летопись, XIV, 42

დანაშაულად, რომელსაც ითვალისწინებდა დიგესტების 48-ე წიგნი. სახელმწიფო მოღალატედ ჩაითვლებოდა პირი, ვინც შეიარაღებულ გამოსვლას მოაწყობდა როგორც ქალაქში, ასევე პროვინციაში, გამოვიდოდა იმპერატორის წინააღმდეგ, იმხილებოდა მისი სიცოცხლის ხელყოფის მცდელობაში, მოკლავდა მაგისტრატს, მოამზადებდა ხელისუფლების გადატრიალებას, ვინც სახელმწიფოს მტრებთან კავშირს დაამყარებდა. სახელმწიფო ღალატად ჩაეთვლებოდა პირს იმპერატორისათვის ისეთი რჩევა-დარიგების მიცემა, რომელიც რაიმე ზიანს მიაყენებდა სახელმწიფოს და ა. შ.

(ყველაზე უსამართლო და მკაცრი იყო კანონი, რომლის ძალითაც მშობლის მიერ ჩადენილი დანაშაული ვრცელდებოდა შვილებზე. სახელმწიფო დანაშაულისათვის გასამართლებული ყველა პირის შვილები დანაშავეებად ითვლებოდნენ მშობლებთან ერთად. ასეთი პირის სიკვდილით დასჯაც კი ვერ შეელოდა შვილებს იმ შემთხვევაშიც კი, თუ დანაშაულს ვერ დაუდასტურებდნენ. სახელმწიფოს წინაშე ჩადენილი დანაშაულისათვის ყოველთვის სიკვდილით სჯიდნენ და მათ ქონებას კონფისკაცია ელოდა.)

„იულიუსის კანონი, – ვკითხულობთ იუსტინიანეს ინსტიტუციებში (მისი), უდიდებულესობის შესახებ თავის სიმკაცრეს იმ პირებზე ავრცელებს, რომლებსაც იმპერატორის ან სახელმწიფოს წინააღმდეგ რაიმე განიზრახეს, რისთვისაც სიცოცხლის წართმევა და სიკვდილის შემდეგ მისი ხსოვნის წაშლაა დაწესებული.“

მკაცრი იყო კანონები თავისუფალი მოქალაქის მკვლელობისათვისაც. ასეთები ისჯებოდნენ თავის მოკვეთით ან ჩამოზრჩობით. პომპეუსის კანონით, „ნათესავთა მკვლელობის შესახებ“ სიკვდილით ისჯებოდნენ მშობლებისა და ახლობლების მკვლელობისათვის. ასეთებს ჩასვამდნენ ტომარაში გველებთან ან საშიშ ცხოველებთან ერთად და აგდებდნენ მდინარეში ან ზღვაში.<sup>2</sup>

(ამ პროცესს იუსტინიანეს კონსტიტუციები შემდეგნაირად აყალიბებს: ვისაც ახლო ნათესავის მკვლელობისათვის დაწესებული სასჯელი დაედებოდა, მას „ძაღლთან, მამალთან, გველთან და მაიმუნთან ერთად თავმოკრული ტყავის ტომარაში სვამენ და ამ მომაკვდინებელ სივიწროვეში ჩამწყვდევულს, რეგიონის (ბუნებრივი) თვისებების შესაბამისად, უახლოეს

1 იხ. რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს ინსტიტუციები, თბ. 2002წ. გვ. 265  
2 იხ. История Византии Т. I М. 1967г. გვ. 264

ზღვაში ან მდინარეში აგდებდნენ, რათა მან სიცოცხლისათვის აუცილებელი ელემენტები დაკარგოს და ცოცხალს ცა (ჰაერი) მოაკლდეს და მკვდარს კი მიწა.“<sup>1</sup>

რომაელმა იურისტებმა შეძლეს შერაცხადობის ცნების განსაზღვრა გამოეკეთათ. გაჩნდა აუცილებელი მოგერიების კონცეფციაც.

„იირი არ ისჯებოდა, თუ იგი მოქმედებდა აუცილებელი მოგერიების ფარგლებში.“<sup>2</sup>

რესპუბლიკის ხანაში რომაელებს საერთოდ არ ჰქონდათ კანონი თვითმკვლელთა დასაჯელად. პირველი იმპერატორების დროს სასამართლო განაჩენებით დაუსრულებლად ანადგურებდნენ რომაელ დიდგვაროვანთა ოჯახებს. ასეთი განაჩენის თავიდან ასაცილებლად ნებაყოფლობითი სიკვდილი ჩვეულებად იქცა. ასეთ ქცევას დიდი უპირატესობა ჰქონდა:

უფლება ეძლეოდათ მიცვალებულისთვის დაკრძალვის პატივი მიეგოთ, მისი ანდერძი კი იურიდიულ ძალას ინარჩუნებდა. ყოველივე ეს იმის შედეგი იყო, რომ რომში არ ჰქონდათ სამოქალაქო კანონი თვითმკვლელთა წინააღმდეგ, მაგრამ როდესაც იმპერატორთა სიხარბე მათსავე სისასტიკეს ტოლს აღარ უდებდა, მათ საკუთარი ქონების განმგებლობის უფლება ჩამოართვეს ყველას, ვისი თავიდან მოცილებაც ეწადათ და თვითმკვლელობა გამოაცხადეს დანაშაულად, როგორც სხვა ჩადენილი დანაშაული.<sup>3</sup>

სასჯელები იმისდა მიხედვით განისაზღვრებოდა, თუ რომელი კატეგორიის სამართალდარღვევასთან ექნებოდა შეხება, ეს იყო „დელიქტა პუბლიკა“ თუ „დელიქტა პრივატა“. საჯარო კანონდარღვევად ჩაითვლებოდა ისეთი კანონსაწინააღმდეგო ქმედება, რომელიც ხელყოფდა სახელმწიფო ინტერესებს. კერძო დანაშაულად ითვლებოდა ისეთი სახის სამართალდარღვევა, რომელიც ცალკეულ ადამიანთა ინტერესებს ლახავდა.

იმპერიის ხანაში კერძო სამართალდარღვევა გამოცხადდა საჯარო დარღვევად, რამაც გამოიწვია სახელმწიფო ორგანოების აქტიური ჩართვა კერძო დანაშაულებათა სფეროში.

რომაულ სამართალს ქურდობასთან მიმართებაში განსაკუთრებული მდგომარეობა გააჩნდა. ქურდობად ჩაითვლებოდა როგორც სხვისი ნივთით არაკანონიერი სარგებლობა, ასევე სხვისი ნივთის მიტაცებაც. არსებობდა

1 იხ. რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს ინსტიტუციები, თბ. 2002წ.გვ 266

2 იხ. М.П. Морев, Римское Право, М. 2008г.гვ 512

3 იხ. შლ. მონტესკიე, კანონთა გონი, თბ. 1994წ.გვ.659

„ფურტუმ პოსესიონის“ პრინციპი, რაც გულისხმობდა შემთხვევას, როდესაც მესაკუთრე თავის იმ ნივთს იპარავდა (მაგალითად, დაგირავებულს), რომელიც გადაცემული ჰქონდა სხვას მფლობელობაში.

მკვლევარები ადასტურებენ, რომ ქურდობას რომის სასამართლო გაცილებით ფართო ფორმატით განიხილავდა. ქურდობად ითვლებოდა სხვისი უფლების განზრახვი და არაკეთილსინდისიერი მითვისება. მიუხედავად იმისა, გამოიხატებოდა ის ქონების მთლიანად მითვისებაში თუ არა. რომაული სამართალი იცნობდა სარგებლობის ქურდობის ცნებასაც.)

რომის სამართლის მიხედვით, კერძო დანაშაულად ითვლებოდა კერძო პირთა ინტერესების შემლახავი ქმედებანი. თუკი ესა თუ ის ქმედება სახელმწიფო ქონებას არ ხელყოფდა, არ ითვლებოდა საჯარო დანაშაულად და კერძო სამართლის არეალში რჩებოდა. კერძო სამართლით აღიარებული დამნაშავენი ფულად ჯარიმას იხდიდნენ დაზარალებულთა სასარგებლოდ.

მკაცრი იყო „რომის კანონები, რომელიც მოითხოვდა მრუშობისათვის საჯაროდ ბრალდებას, რომელიც ჩადებული იყო ზნეთა სიწმინდის დასაცავად. ეს კანონები შიშის ზარს სცემდა არა მარტო ქალებს, არამედ ზედამხედველთაც.“ ამის გამო იგი საბოლოოდ საჯარო ხასიათის დანაშაულად იქცა. ლევ ფილოსოფოსმა თავის 32-ე ნოველაში განაცხადა, რომ მრუშობა ისევე სასტიკად უნდა ისჯებოდეს, როგორც მკვლევლობა. მკვლელი, – მიაჩნდა ლევ ფილოსოფოსს, ძალით ართმევს სიცოცხლეს მხოლოდ ერთ ადამიანს, მრუში კი ერთბაშად სიცოცხლეს უწამლავს ქმარს, შვილებსა და ნათესავებსო. სასჯელის ზომად დაწესებული იყო ცხვირის მოჭრა და შემდგომში ქორწინების აკრძალვა.<sup>2</sup>

იუსტინიანეს კონსტიტუციების მიხედვით, რომელიც ეყრდნობოდა იულიუსის კანონს მრუშობის დასჯის შესახებ, – „მახვილით“ (თავის მოკვეთით ისჯებიან, არა მარტო სხვისი ქორწინების წამბიწველები, არამედ აგრეთვე ის პირები, რომელბიც გაუგონარი სქესობრივი ლტოლვის (ავზორცობის) დაკმაყოფილებას მამრობითი სქესის პირებთან ბედავენ. ამავე იულიუსის კანონით ისჯება აგრეთვე პატივის (ნამუსის) ახდაც, როდესაც ვინმე ძალადობის გარეშე ქალწულს ან პატიოსნად მცხოვრებ ქვრივ ქალს შეაცდენს, ხოლო (ამისათვის) იმავე კანონით (შემდეგი) სასჯელია დაწესებული: თუ პირი მაღალი ფენის წარმომადგენელია (honesties)-ქონების ნახევრის კონფისკაცია, ხოლო თუ იგი მოქალაქეთა

1 იხ. შ.ლ. მონტესკიე, კანონთა გონი, თბ. 1994წ. გვ. 79

2 იხ. გ. ნადარეიშვილი, ძველი საოჯახო სამართალი, თბ. 1999წ. გვ. 198



დაბალ კატეგორიას მიეკუთნება – სხეულებრივი სასჯელი გასახლებით (relegation).<sup>1</sup>

XII ტაბულის კანონთა VII ტაბულაში ლაპარაკია ქურდობის შესახებ, VIII–IX ტაბულები ეხება სისხლის სამართლის საკითხებს, სადაც გათვალისწინებულია ცალკეული დანაშაულებანი, როგორცაა: მკვლელობა, სხეულის დაზიანება, შეურაცხყოფა, ქურდობა და სხვ. სასჯელებიდან გათვალისწინებულია სიკვდილით დასჯა, გამათრახება და ჯარიმები რომის სისხლის სამართლის კანონმდებლობა აწესებდა სასჯელებს ცოლქმრული ღალატის შემთხვევაში. დიგესტებში განხილულია ასეთი საქციელისათვის გასატარებელი ღონისძიებანი. განსაკუთრებით, ხაზი ესმებოდა ფაქტებს, როდესაც ქმარი ცოლს გაყიდდა პროსტიტუციაში ჩაბმის მიზნით. განსაკუთრებული სიმკაცრით სჯიდა კანონი თავისუფალი ადამიანისა და მონის სამარცხვინო კავშირს. კეთილშობილი ქალის მონასთან კავშირი ითვალისწინება ცეცხლზე დაწვას.

იუსტინიანე იმპერატორმა კანონით აკრძალა მამათმავლობა. ისჯებოდა არა მარტო ის, ვინც ამ საქმეს კანონის გამოცხადების შემდეგ სჩადიოდა, არამედ ისიც, ვინც ადრე იყო შემჩნეული.<sup>2</sup>

სოდომური ცოდვისათვის ბიზანტიაში სასჯელის უმაღლესი ზომა სიკვდილით დასჯა იყო დაწესებული.<sup>3</sup>

შ.ლ. მონტესკიეს აზრით, „დამნაშავეს სიკვდილით დასჯას ის გამართლება აქვს, რომ კანონი, რომელიც მას სჯის, მისსავე სასარგებლოდ იყო შექმნილი, მაგ. მკვლეელი ნასარგებლევია იმ კანონით, რომელიც მას სჯის, ეს კანონი ყოველ წუთს იცავდა მის სიცოცხლეს და მაშასადამე, მას არ შეუძლია ამ კანონის მიმართ პრეტენზიის ქონა. მონის შემთხვევაში საქმე სხვაგვარადაა: მონებს კანონი არასოდეს გამოდგომა.“<sup>4</sup>

რომის სისხლის სამართლის კანონმდებლობა ცდილობდა, შესაბამისობაში ყოფილიყო დანაშაული და სასჯელი, მაგრამ რომის ისტორიის ყველა მონაკვეთში ეს ასე არ ხდებოდა, „ერთმა თვითმარქვიამ, რომელმაც თავი კონსტანტინე დუკად გამოაცხადა, დიდი ამბოხება მოაწყო კონსტანტინეპოლში. იგი შეიპყრეს და გამოლტეს.

მაგრამ, ვინაიდან მას ბრალს სდებდნენ მაღალი მდგომარეობის პირნი, როგორც ცილისმწამებელს, დაწვა მიესაჯა. „ამ ფაქტის უცნაურობას

1 იხ. რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს ინსტიტუციები თბ. 2002წ.გვ 265

2 იხ. პ. კესარიელი, საიდუმლო ისტორია, თბ. 1989წ.გვ.58

3 (k.e. zacharia von Rechts III Aufl 1892 Berlin. გვ. 341

4 შ. ლ. მონტესკიე, კანონთა გონი, თბ.1994წ.გვ 268

უსვამს ხაზს შ. ლ. მონტესკიე, მისი აზრით, „ფრიად უცნაური გახლავთ სასჯელის ამგვარი განაწილება ხელმწიფური უდიდებულესობის შეურაცხოვასა და ცილისწამებას შორის. „ან კიდევე, „სამოცდაათმა კაცმა შეთქმულება მოაწყო იმპერატორ ბასილის წინააღმდეგ, იმპერატორმა მათი გამათრახება ბრძანა, და მართო თმა და კანი დაუწვეს. იმპერატორს სიკვდილით შეთქმულების ორგანიზატორიც არ დაუსჯია. ერთხელ, ირემმა რქები გამოსდა იმპერატორს და პაერში აიტანა. ვილაცამ მისი ამალიდან დაშნა იშიშვლა, გადაჭრა ქამარი და იხსნა იმპერატორი. ამ უკანასკნელმა ბრძანა თავი მოეჭრათ ამ კაცისათვის, რადგან მან იმპერატორის სიტყვით, დაშნა მის წინააღმდეგ აღმართა.“ ვინ იტყვის, რომ ეს განაჩენი ერთი და იმავე იმპერატორის მიერ იქნა გამოტანილი?”

იმპერატორმა პირადი პატივმოყვარეობა ანაცვალა სამართალს და სიმართლეს, ასე რომ, ხშირად, თანამდებობის პირის ნება განსაზღვრავდა დანაშაულისა და სასჯელის უთანაბრობას.

რომის სამართლის მკვლევართა აზრით, სამართალგანვითარების ბოლო სტადიაში იუსტიციანეს სისხლის სამართლის კანონმდებლობა უფრო რეაქტიული ხასიათით გამოირჩეოდა, ვიდრე სამოქალაქო სამართალი. მასში ასახული იყო კლასობრივი უთანასწორობისა და მონათმფლობელობის მკაცრი ბუნება, რომელიც მოქცეული იყო პოლიტიკურ მარწუხებში.<sup>2</sup>

ერთი და იგივე დანაშაულისათვის „მონები ისჯებიან უმაღლესი სასჯელით, თავისუფალი პირები კი – გადასახადებით.“<sup>3</sup>

ძველ რომში სისხლის სამართლის კანონმდებლობა არ იყო ისეთი სისტემატიზირებული, როგორც სამოქალაქო კანონმდებლობა, ამიტომაც მკაცრად არ იყო გამიჯნული ერთმანეთისაგან სისხლის სამართლის დანაშაულები და სასჯელები, რაც ხელს უწყობდა ძლიერთა იმა ქვეყნისა შეხედულებისამებრ დაერღვიათ ისინი. ამისი თქმის უფლებას იძლევა პროკოფი კესარიელის წიგნში „საიდუმლო ისტორია“ მოყვანილი მაგალითები.

„თუკი პრეტორი ნაქურდალ ნივთებში ძვირფას და ყურადსაღებ ნივთს მიაგნებდა, აუცილებლად თვითმპყრობელს მიმართავდა, თითქოსდა იმიტომ, რომ ნივთის პატრონს ვერ მიაგნო.“<sup>4</sup> ასეთ ნივთებს თვითონაც

1 იხ. შ. ლ. მონტესკიე, კანონთა გონი, თბ. 1994წ. გვ. 120

2 იხ. История Византии Т. I М. 1967г. გვ. 265

3 იხ. რომის სამართლის ძეგლები, იუსტიციანეს ინსტიტუციები, თბ. 2002წ. გვ. 454

4 იხ. პ. კესარიელი, საიდუმლო ისტორია, თბ. 1989წ. გვ. 84

ითვისებდა და ქრთამის სახით ზემდგომეხსაც მიართმევდა ხოლმე.

ამ გზით „ბაზილევს უძვირფასესი ნივთები ერგებოდა ხოლმე, ხოლო ე.წ. კვესტორი კი მის მიერ ხელში ჩავარდნილ ნივთებს ბასილევსსაც უნაწილებდა და თვითონაც დაუსჯელად ითვისებდა სხვის ქონებას“<sup>1</sup> - წერს პროკოფი კესარიელი.

ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ნათლად სჩანს, რომ ისეთი სახის დანაშაულს, როგორც იყო მექრთამეობა, მიუხედავად კანონმდებლობით დასჯადი ხასიათისა, მასიური ხასიათი ჰქონია, მაგრამ ხელისუფლება ამას მალავდა და თანამდებობის პირებს არც ბრალს დებდნენ და არც სასამართლოში იბარებდნენ იმ შემთხვევაში, თუკი საქმე სკანდალური გახდებოდა მომხდარი ამბის გახმაურების შემთხვევაში „ბრალდებულთ, გამოძიებისა და გასამართლების გარეშე, მალულად კლავდნენ და ქონებას ართმევდნენ“<sup>2</sup>

რომის კანონი, რომელიც თანამდებობების პირებს ნებას რთავდა მიეღოთ მცირე საჩუქრები, რომელთა ღირებულებაც არ გადააჭარბებდა ას ეკიუს წელიწადში, ძალიან ცუდი კანონი იყო. წერს შ.ლ. მონტესკიე, ვისაც არაფერს აძლევენ, იმას არც არაფერი სურს, ვისაც ცოტას აძლევენ მალე მეტს მოისურვებს, შემდეგ-კიდევ უფრო მეტს. ამასთანავე, უფრო ადვილია იმის შეგონება, ვინც არაფერს არ უნდა იღებდეს, მაგრამ ცოტას იღებს, ვიდრე იმისი, ვინც უფრო მეტს იღებს, ვიდრე უნდა იღებდეს და ვინც ყოველთვის პოულობს ამისათვის გამართლებას, მიზეზს და დამაჯერებელ საფუძველს.<sup>3</sup>

იუსტინიანე იმპერატორმა კანონი გამოსცა თანამდებობის პირთათვის, მათ უნდა დაეფიცათ, რომ სამსახურის დროს ძარცვაში არ მიიღებდნენ მონაწილეობას, არც ქრთამს აიღებდნენ და არც მისცემდნენ ვინმეს.

ვალერიუსის კანონი მაგისტრატებს უკრძალავდა ყოველგვარი ძალის გამოყენებას იმ მოქალაქის მიმართ, რომელიც ხალხს სიტყვით მიმართავდა, ერთადერთი სასჯელი მისი მოქმედებისათვის იყო ბოროტი ადამიანის რეპუტაცია.<sup>4</sup>

ბიზანტიის კანონმდებლობა იცნობდა საბუთების გაყალბების ცნებასაც. ცალკე კანონი არსებობდა მომწამვლელების მიმართაც „რომლებმაც (თავიანთი საზიზღარი ხელობის საშუალებით, საწამლავეთ ან შელოცვით

1 იქვე გვ. 84

2 იქვე გვ. 84

3 იხ. შ.ლ. მონტესკიე, კანონთა გონი, თბ. 1994წ. გვ. 96

4 იქვე გვ. 113

ადამიანები მოკლეს ან მკენებელი წამლები საჯაროდ გაყიდეს.<sup>1</sup> ასეთ პირებს სიკვდილით დასჯა ელოდათ. ვინმე პრისკე ებესელი, რომელსაც პატრიკიოსის თანამდებობა ეჭირა, წარმატებით იყო დაუფლებული სხვისი ხელმოწერის მიმსგავსებას. გულდასმით იძიებდა მდიდართა სახლებისა და სიმდიდრის წარმომავლობას, აყალბებდა ძველ ხელნაწერებს და ადგენდა საბუთებს, სადაც მიცვალებულნი ამტკიცებდნენ, რომ ვალდებულნი იყვნენ დიდი თანხა გადაეხადათ მისთვის, რომელთანაც თითქოს დაგირაგებული ჰქონდათ ქონება. ამ გზით კი უამრავ ქონებას აგროვებდა. ხშირ შემთხვევაში ამ სახის დანაშაული დაუსჯელი რჩებოდა. ასეთ გამყალბებლებს რომაელები „ტაბელიონს“ უწოდებდნენ, თუმცა ამ ტერმინს სხვა მნიშვნელობაც გააჩნდა.

არსებობდა კორნელიუსის კანონი გაყალბების შესახებ, რომელსაც „ანდერძის შესახებ კანონსაც უწოდებდნენ, ამ კანონის შესაბამისად, სასჯელი ედებოდა იმ პირს, რომელმაც ყალბი ანდერძი ან რაიმე საბუთი დაწერა, დაბეჭდა, საჯაროდ წაიკითხა ან მათში რაიმე შეცვალა, აგრეთვე იმ პირსაც, რომელმაც შეცნობილი განზრახვით ყალბი ბეჭედი დაამზადა, ამოკვეთა და ამოტვიფრა.“<sup>2</sup>

იმპერიის ხანამდე ძარცვა („რაპინა“) – კერძო დარღვევად, კერძო დანაშაულად ითვლებოდა. მძარცველს აანაზღაურებინებდნენ ნამარცვი ნივთის ორმაგ ღირებულებას, რომელსაც „ინფამია“ არ ასცდებოდა. იმპერიის პერიოდში ძარცვა გადავიდა პიროვნების (მოქალაქეთა) წინააღმდეგ მიმართული საჯარო განხილვის დანაშაულებების რიგში, როგორც იყო: მკვლელობა, ცეცხლის წაკიდება, იძულება, უკანონოდ დამონება, სხვისი მონის უკანონოდ მისაკუთრება, ცრუმოწმეობა, პროცენტის ხელოვნურად გადიდებული ოდენობის აღება, შენობა-ნაგებობებში შეღწევა, აბანოში ქურდობა, პირუტყვის ქურდობა, იარაღის შეძენა და ტარება ქურდობისა და მკვლელობის მიზნით, ცრუ ჩვენების მიცემა და ა. შ. ბევრი მათგანი სიკვდილითაც კი ისჯებოდა. სასჯელთა სახეებიდან ეხვედებით გადასახლებასაც. ამ მხრივ ყურადღებას იმსახურებს ავეუსტუსის მიერ გამოცემული კანონი, რომლის მიხედვითაც იმ პირს, რომელსაც გადასახლება ჰქონდა მისჯილი, არ შეეძლო პირადი სამსახურისათვის თან წაეყვანა 20 მონაზე მეტი.<sup>3</sup> აქედან ჩანს, რომ წინათ, ამ კანონის გამოცემამდე, უფრო მეტი მონა მიჰყავდათ მათ.

1 იხ. რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს ინსტიტუციები, თბ. 2002წ. გვ. 266

2 იხ. რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს ინსტიტუციები, თბ. 2002წ. გვ. 266

3 იხ. A. Валлон, История рабства в античном мире, М 1941г. стр. 249

რ. დავიდის აზრით „სრულიად სხვაგვარადაა საქმე საჯარო სამართლის სფეროში (ვიდრე სამოქალაქო გ.ლ) აქ რომაული სამართლის პრონციპები არასოდეს ითვლებოდა ნიმუშად. რომში არ არსებობდა არც კონსტიტუციური, არც ადმინისტრაციული სამართალი: მთავრობისა და ადმინისტრაციული საქმიანობის სფერო, ერთი მხრივ და სამართალი მეორე მხრივ, ყოველთვის განცალკავებული იყო, ისე როგორც რომის სისხლის სამართალი, ნაკლებ დამუშავებული იუსტინიანეს კომპილაციებში“<sup>1</sup>

„რომაელები, ჩვეულებრივ, ცამდე აკყავთ, როგორც ისეთი ხალხი, რომელიც იურისპრუდენციისადმი არნახული ნაბიჯით იყო დაჯილდოებული და მათი საუცხოო კანონმდებლობით გაოცებულნი არიან, როგორც რალაცნაირი ზევიდან მოვლენილი საჩუქარით; – წერს თ. მომზენი – „ეს ალბათ იმიტომ ხდებოდა, რომ საკუთარი კანონმდებლობის გამო სირცხვილით არ გაწითლდნენ. მაგრამ საკმარისია მიეუთითოთ რომაელების უმაგალითოდ მერყევ და განუვითარებელ სისხლის სამართლის კანონმდებლობაზე, რომ დეარწმუნოთ ამ აზრების უსაფუძვლობაში ისინიც კი, რომელთაც სრულიად უბრალოდ უნდა მოსჩვენებოდათ ძირითადი დებულება, – ჯანსაღ ხალხს ჯანსაღი კანონმდებლობა აქვს, ავადმყოფს კი ავადმყოფური.“<sup>2</sup>

ამ აზრს ავითარებს შ.ლ. მონტესკიეც, არ შეიძლება მკაცრი სასჯელების გატარება და მამასადამე დიდი ცვლილებებიც, ისე, რომ რამდენიმე მოქალაქეს ხელში არ ჩაუვდოთ დიდი ძალაუფლება. ამიტომ ასეთ შემთხვევაში უმჯობესია მრავლის პატიება, ვიდრე მრავლის დასჯა, უმჯობესია ცოტას გასახლება, ვიდრე მრავლისა, ქონების შენარჩუნება მის პატრონთათვის, ვიდრე კონფისკაციათა გამრავლება. რესპუბლიკაში შურისძიების საბაბით შეურისმგებელთა ტირანია დამყარდებოდა.<sup>3</sup>

მიუხედავად იმისა, რომ რომაელმა და ბიზანტიელმა იურისტებმა ვერ ჩამოაყალიბეს ისეთი სისხლის სამართლის დარგი, როგორიც სამოქალაქო კანონმდებლობაა, მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან მაინც გადაჭარბებულად გვეჩვენება მომზენის ასეთი შეფასება რომაელი იურისტებისა და სისხლის სამართლის კანონმდებლობისადმი დამოკიდებულებაში. როდის იყო ერთ ეპოქას, ერთი სახელმწიფოს იურისტთა

1 იხ. რ. დავიდი, თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები თბ. 1935წ. გვ 53

2 იხ. თ. მომზენი, რომის ისტორია ტ. შ მოსკ. 1936წ. გვ. 410

3 იხ. შ.ლ. მონტესკიე, კანონთა გონი, თბ. 1994წ.

კოპორტას, მითუმეტეს, ანტიკური პერიოდიდან, ყველა დარგში სრულყოფილი სამართალი შეექნა, მაშინ როდესაც XXI საუკუნეში დღემდე არც ერთ დაწინაურებულ სახელმწიფოს არ გააჩნია ისეთი სტაბილური და მყარი სისხლის სამართლის კანონმდებლობა, რომელიც შესწორებებს და ცვილებებს არ განიცდიდეს და, რომ მომავალში ოცი საუკუნის შემდეგ, ის გახდეს გლობალური კანონმდებლობის თუნდაც დარგის საფუძველი, როგორც ეს შეძლო რომის სამოქალაქო სამართალმა.

### §3. საჯარო სისხლის სამართლის პროცესი

რომის სამართალი განარჩევა საჯარო სასამართლო პროცესებს სხვა დანარჩენთან. საჯაროობის ტერმინის შემოტანა ცნობიერებასა და სამეცნიერო მიმოქცევაში რომაელთა დამსახურებაა. ამ ტერმინის მიღმა მოიაზრება ნებისმიერი რომელიც მოქალაქის შესაძლებლობა-საქმე აღედგა და მის წარმართვაში აქტიური მონაწილეობა მიეღო. ზოგიერთ იურიდიულ ლიტერატურაში, რომელიც რომის სამართალს ეხება, საჯარო პროცესი დაკავშირებულია სისხლის სამართლის-საქმეთა წარმოებასთან, სინამდვილეში კი რომაელი იურისტები საჯაროობაში უფრო ფართო სამართლებრივ მოვლენებს ითვალისწინებდნენ.

იუსტინიანეს ინსტიტუციებში ხაზგასმითაა მითითებული, – „საჯარო პროცესთაგან ზოგი სისხლის სამართლისაა, ზოგიც სისხლის სამართლის არ-აბის. სისხლის სამართლისას ეუწოდებთ იმ პროცესებს, რომლებიც უმაღლეს სასჯელს (სიკვდილით დასჯას) ან „წყლისა და ცეცხლის აკრძალვას“ ან გადასახლებას და ან მალაროში მუშაობას უსჯიან. დანარჩენი პროცესები; თუ კი მათ „სახელის გატეხა (infamia) ფულად ჯარიმასთან ერთად მოჰყვება, ასევე საჭიროა, მაგრამ არა სისხლის სამართლის.“

რომაულ სამართალში, რადგანაც სისხლის სამართალი არ იყო დამუშავებული, იგივე პოზიცია ჰქონდათ რომაელ იურისტებს სისხლის სამართლის პროცესის მიმართაც, მაგრამ რამდენადაც რომაული სამართალი განასხვავებდა კერძო პირის საქმის (იუდიცია პრივატა) და საჯარო, ანუ სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე საქმეების განხილვას (იუდიცია პუბლიკა), ამდენად, სისხლის სამართლის პროცესის კონტურები მაინც ისახებოდა და ამასთან ერთად, განვითარებასაც განიცდიდა.

1 იხ. რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს ინსტიტუციები თბ. 2002წ. გვ. 264

რომის სახელმწიფოს ფორმირებასთან ერთად ყალიბდებოდა იმ უწყებათა და თანამდებობის პირთა სისტემა, ვისაც უფლება ჰქონდა განეხილა საქმეები. მკვლევარები ამ პერიოდს რექსების ხანას უკავშირებენ. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხებოდა სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ ქმედებას, აჯანყებას, გადატრიალების მცდელობას, ჯაშუშობას, ღალატს და ა.შ.

სისხლის სამართლის პროცესი შედარებით განვითარებას იწყებს ჯერ რესპუბლიკის, შემდეგ კი იმპერიის პერიოდში, როდესაც გამიჯვნა ხდებოდა იმ საქმეებისა, რომელიც ექვემდებარებოდა სისხლის სამართლის პროცესს.)

რესპუბლიკის პერიოდში მოქალაქეთა სისხლის სამართლის დანაშაულის საქმეებს იხილავდნენ უმაღლესი მაგისტრატები, რისთვისაც კითხავდნენ მოწმეებს. ატარებდნენ დამამტკიცებელი საბუთების გამოკვლევას, წარმოქვამდნენ დაცვის სიტყვას. ამის საფუძველზე მაგისტრატები აყალიბებდნენ ბრალდებას და აცხადებდნენ თუ რა სასჯელი შეიძლება შეფარდებოდა დამნაშავეს.<sup>1</sup>

იმპერიის ეპოქაში და იუსტინიანეს კანონმდებლობაში ასახვა ჰპოვა კლასობრივმა და პოლიტიკურმა ბრძოლებმა, რამაც უპირველეს ყოვლისა, დაღი დაასვა სისხლის სამართალს და მის პროცესს) იუსტინიანეს კოდექსის შესაბამის მუხლებში გამკაცრდა სანქციები დამნაშავეთა მიმართ.

სისხლის სამართლის პროცესში, როგორც დანაშაულის განსაზღვრის, ასევე სასჯელის დადგენის თვალსაზრისით, გაივლო დიდი ზღვარი არა მარტო თავისუფალ მოქალაქეთა და მონებს შორის, არამედ პრივილეგირებულთა (honesti ores) შორისაც. პროცესში განსაკუთრებული შეღავათებით სამხედრო პირები სარგებლობდნენ. მდიდრები და სამხედროები გაცილებით დაბალ სასჯელს ღებულობდნენ. სისხლის სამართლის დანაშაულისათვის დაბალი ფენების წარმომადგენლებს უმრავლეს შემთხვევაში, სიკვდილით სჯიდნენ.<sup>2</sup>

პრეტორის სასამართლოს გარდა „საჯარო საქმეთა განხილვისთვის იქმნებოდა სპეციალური და საგანგებო სასამართლოები, რომლებსაც სახალხო კრება ქმნიდა. თავმჯდომარეებს კი სენატი ნიშნავდა, რომელთა მიერ გამოტანილი განაჩენი არ საჩივრდებოდა.

1 იხ. ე. მეტრეველი, რომის სამართალი (საფუძვლები), თბ. 2005 გვ. 133

2 იხ. История Византии Т. I М. 1967г. გვ. 262-263

ერთი წლის ვადით ირჩეოდა 300-470-მდე მოსამართლე, ერთი საქმის განხილვაში მონაწილეობდა დაახლოებით 30-40 მოსამართლე.

სასამართლოებში საქმის აღძვრის ინიციატორად გვევლინებოდა ნებსიმი-ერი რომაელი მოქალაქე, მაგრამ საქმის აღსაძრავად და ბრალმდებლად გამოსვლისათვის საჭირო იყო პრეტორის ნებართვა. პროცესის მომზადების შემდეგ ხდებოდა საქმის მოსმენა, ბრალმდებლის გამოუცხადებლობის შემთხვევაში მას ფულადი ჯარიმა ეკისრებოდა. სისხლის სამართლის საქმეთა განხილვა ძირითადად ხდებოდა კოლეგიების მიერ, რომელთა შემადგენლობასაც იმპერატორი განსაზღვრავდა. სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვის დროს ფართოდ გამოიყენებოდა ინკვიზიციის წესები,<sup>1</sup> რომლისთვისაც დამახასიათებელია მოსამართლის ხელში საგამოძიებო სასამართლოს ფუნქციის თავმოყრა.

საქმის წარმოება ხასიათდებოდა შემდეგი ნიშნებით: საქმე იწყებოდა დასმენით ან რაიმე ცნობის საფუძველზე, რომ აღგილი ჰქონოდა დანაშაულს. პროცესი იწყებოდა საქმის მოკვლევით, მტკიცებათა შეგროვებით, მოწმეების დაკითხვით და ამას აკეთებდა ერთი პირი ე.ი. იგი იყო გამოძიებელი; ბრალმდებელი და მოსამართლე. მის მიერ გამოტანილი განაჩენი შეიძლებოდა გასაჩივრებულიყო იმპერატორთან.<sup>2</sup>

მკვლევარები თვლიდნენ, რომ რესპუბლიკის პერიოდის შედარებით ლიბერალური სასამართლო და საგამოძიებო ორგანოების საქმიანობა იმპერიის ხანაში შეიცვალა მკაცრად ადმინისტრირებული და ექსტრაორდინალური გამოძიებით და პროცესით.

რამდენიმე სიტყვით შევეხებით იმ მექანიზმებს, თუ რით შეეძლო თავის დაცვა რომაელ მოქალაქეს. ცნობილია, რომ დიქტატორის განაჩენი საერთოდ არ საჩივრდებოდა. რაც შეეხება მაგისტრატების განაჩენებს, მათი გასაჩივრება შეიძლებოდა სახალხო კრებაზე, რომელიც შეესებას იწყებდა მზის ამოსვლისას და მზის ჩასვლისას მუშაობას ამთავრებდა. საქმეზე ორი მანდატი ღებოდა, ერთი აღინიშნებოდა ასო - L-ით, მეორე ასო - D-თი, რომელიც ურიგდებოდა კრების მონაწილეებს და ყუთში ჩაშ-

<sup>1</sup> იხ. მ. ცაცანაშვილი, სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია თბ. 1995წ. გვ. 95

<sup>2</sup> ე. მეტრეველი დას. ნაშ. გვ. 135



ვებით აძლევდნენ ამა თუ იმ გადაწყვეტილებას ხმას. ასო ლ (ლიბერო) ნიშნავდა გამართლებას, ასო დ (დამნო) ნიშნავდა გამტყუნებას.

რომის მოქალაქე მაგისტრს თხოვნით მიმართავდა, რათა დაეცვა მისი უფლებები ადმინისტრაციული წესით. იმ შემთხვევაში, თუ მაგისტრის მოქალაქის თხოვნას ყურადღების ღირსად ჩათვლიდა, მაშინ ის საქმესაც განიხილავდა და მიღებულ გადაწყვეტილებასაც მოიყვანდა სისრულეში.<sup>1</sup> ამით, როგორც უკვე აღინიშნა, იმპერია მთლიანად თავისუფლდებოდა დემოკრატიული სამართლებრივი დაწესებულებებისაგან და გამარტივებული წესით ადმინისტრირების მეთოდებს მიმართავდა.

საჯარო სასამართლო პროცესის საინტერესო მაგალითს წარმოადგენს 554 წელს რომაელი სტრატეგოსების ძმების იონანეს და რუსტიკუს მიერ კოლხეთის მეფის გუბაზ II-ის მკვლელობის ფაქტი და მასთან დაკავშირებული სასამართლო, რომელიც გაიმართა. კოლხეთში, მაგრამ ბიზანტიური საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად, იმპერატორ იუსტინიანეს გადაწყვეტილებით, მკვლელობის საქმე გამოიძია ბიზანტიიდან ჩამოსულმა იურისტების ჯგუფმა, რომელსაც ხელმძღვანელობდა იმ პერიოდისათვის საკმაოდ ცნობილი პრაქტიკოსი-სამართალმცოდნე ათანასი. გამოძიების ჩატარების შემდეგ დამნაშავე სტრატეგოსები წინასწარ პატიმრობაში აიყვანეს.

სასამართლო პროცესს მემატრიანე დაწერილებით აღწერს, ათანასი, როგორც მოსამართლე, შემალღებულ ადგილზე მრგვალ სავარძელზე დაჯდა ქლამიდაში გამოწყობილი, მასთანვე იყვნენ კაცნი, რომლებმაც იცოდნენ სწრაფი წერა და დაწერილის კითხვა სხაპა-სხუპით, იყვნენ სხვა მოსამართლეებიც მკაცრნი და ამაყნი და სასამართლოს მიმდინარეობის საუკეთესო მცოდნენი, ბოხხშიანი მაუწყებელნი და გამმათრახებელნი, იმით, ვისაც ეს დაუალემა პქონდათ, მოიტანეს რკინის ჯაჭვები, კისერზე დასადები, აგრეთვე ბადესაკრავები და სხვა იარაღები საწამებლად.

რუსტიკე და იონანე მოყვანეს სატუსალოდან და დააყენეს მარცხნივ, როგორც ბრალდებულნი. მეორე მხარეზე დადგნენ ბრალმძებელნი, დარბაისელი კოლხები, რომელთაც უკვე კარგა ხანია შეესწავლათ ბერძნული ენა.

<sup>1</sup> იხ. გ. ნადარეიშვილი, რომის სამოქალაქო სამართალი თბ. 2001 წ. გვ. 33

მოსამართლემ მოუსმინა მოწმეებს, შეაფასა მტკიცებულებანი, მოისმინა ბრალდებულთა და ბრალმდებელთა სიტყვები, განაჩენის გამოტანისას გაითვალისწინეს მეფის წერილობითი მითითებაც, თუ კი დანაშაული დაუმტკიცდებოდათ, რაც შეიძლება მალე დაესაჯათ ისინი.

დამნაშავეებს სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოუტანეს თავის მოკვეთით. მანამდე შესხეს ჯორებზე და ისე ჩაატარეს ქუჩაში, შემზარავი ყვირილით „გეშინოდეთ კანონებისა და თავი შეიკავეთ უსამართლო მკვლელობისაგანო, შემდეგ კი ყელეები გამოსჭრეს.“<sup>1</sup> ამ პროცესის პოლიტიკური დატვირთვა მედლის მეორე მხარეა, რომლის განხილვა აქ საჭიროდ არ მიგვაჩნია.

---

<sup>1</sup> იხ. გ. ლობჯანიძე, ნარკვევევი ქართული საზოგადოებრივი პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან თ. 1998წ.გვ.57-72

✓  
თავი მეოცა  
**რომის საზინანსო სამართალი**

**§1. ფულად-საზინანსო სისტემა რომში**

მსოფლიოში დღემდე არც ერთ ქვეყანას და სახელმწიფო ხელისუფლებას არ უარსებია მკაცრად განსაზღვრული საზინანსო პოლიტიკის გარეშე. ფინანსურ სფეროში უპირველესი ადგილი უკავია ფულად მოქცევას ხალხში. ფული არის ნიშანი, რომელიც გამოხატავს ყველა საქონლის ღირებულებას, როდესაც რომაელებმა არ იცოდნენ მეტალის გამოყენება ფულად ერთეულად, მისი ადგილი ეკავა ცხვარს (ათენში ხარს), მაგრამ როდესაც ფულადი ნიშნის დამზადება დაიწყო, იღებდნენ ძვირფას ლითონებს, რათა ადვილი ყოფილიყო ნიშნის გადატანა.<sup>1</sup> თეორიულად ცნობილია, რომ სწორედ ფულადი ერთეულის გაჩენამ გამოიწვია საზოგადოების ქონებრივი დაყოფა, ასე მოხდა რომის სინამდვილეშიც. ფულადი ერთეულის შემოღება უკავშირდება საზოგადოებაში სავაჭრო პოლიტიკის და სხვა აღებ-მიცემასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს. ამიტომ სახელმწიფო ხელისუფლება განვითარების რა დონეზეც არ უნდა ყოფილიყო, უნდა შეექმნა ნორმები, რომლებითაც მოწესრიგდებოდა მონეტების მოჭრის რეგალიები და ჩარჩოები. მრავალეროვან და სხვადასხვა ეკონომიკური პოტენციალის ხალხთა კონგლომერატში არ იქნებოდა იოლი ფულადი სისტემის ორგანიზება, ამიტომაც არც თუ ისე იშვიათად, პროვინციებში ადგილი ჰქონდა კრიზისებს, ამიტომაც რომაელმა ეკონომისტებმა ამ კრიზისული სიტუაციების გამომწვევი მიზეზების შესწავლა დაიწყეს.

იმპერიის პერიოდში განსაკუთრებით იგრძნობოდა მონეტების ღეფიციტი, ამის მიზეზი იყო ის, რომ ისინი ძვირფასი მეტალისაგან იყო დამზადებული და მდიდართა ფენა მას დაგროვების საშუალებად იყენებდა. და ამასთან, გაედინებოდა აღმოსავლეთ პროვინციებში და საზღვრებს

<sup>1</sup> იხ. შლ. მონტესკიე, კანონთა გონი, თბ. 1994წ. გვ 465

გარეთ. ამ უკანასკნელის მიზეზად მიჩნეული იყო იტალიური საქონლის იმპორტის გადიდება ექსპორტთან შედარებით).

სახელმწიფო ხაზინის შევსების მიზნით, იმპორტიორები წაყიდნენ ძვირფასი ლითონების (ოქრო, ვერცხლი) რაოდენობის შემცირებაზე მონეტების ჩამოსხმის დროს, რამაც გამოიწვია ფულის ინფლაცია, ფასების ავარდნა და კვების პროდუქტებზე სპეკულაცია.

რომში იყენებდნენ შემდეგ მონეტებს—aureus (ოქროს) რომელიც შედგებოდა 25 დინარისაგან, დინარი შესაბამისად, თავის მხრივ სესტერცია შედგებოდა 10 ასისისაგან, თუმცა ინფლაციის დროს იგი 16 ასს უდრიდა. შემცირდა მონეტის წონაც. ცეზარის დროს aureus-ი იწონიდა 8 გრამს, ხოლო დიოკლეთიანეს (284–305 წწ.) დროს, 5 გრამს. ყველაზე საშიში ნაბიჯი რომის საფინანსო სისტემაში გადაიდგა მაშინ, როცა I საუკუნეში aureus-ი შეიცვალა 0,9 გ. ოქროთი. 267 წლიდან იმპერატორ ავრელიუს დროს მონეტაში საერთოდ აღარ იყო ოქრო და იგი მხოლოდ 18% ვერცხლს შეიცავდა, დანარჩენი კი იყო სპილენძი. ვერცხლის მონეტა ღირდა ათი ასი, ანუ ათი გირვანქა სპილენძი, მაშინ ვერცხლი ისეთ თანაფარდობაში იყო სპილენძთან, როგორც 1 – ია 960-თან. რომაული დინარი, რომელიც ტოლფასი იყო ათი ასისა ანუ ათი გირვანქა სპილენძისა, ღირდა 120 ვერცხლი, რაც ქმნის ზემოაღნიშნულ თანაფარდობას.

როდესაც რომი გაბატონდა იტალიის იმ ნაწილში, რომელიც უფრო ახლოსაა საბერძნეთსა და სიცილიასთან, იგი თანდათანობით აღმოჩნდა ორ მდიდარ ხალხს შორის, მხედველობაშია ბერძნები და კართაგენელები.

რომში გაიზარდა ვერცხლის რაოდენობა და ვერცხლისა და სპილენძს შორის არსებული 1-960-თან თანაფარდობის შენარჩუნება შეუძლებელი შეიქნა, რომმა სხვადასხვა სამონეტო ოპერაციები ჩაატარა, რომლებიც ჩვენთვის უცნობია. მხოლოდ ის ვიცით, რომ მეორე პუნიკური ომის დასაწყისში რომაული დინარი არ ღირდა ოც უნცია სპილენძზე მეტი.) ამგვარად, თანაფარდობა ვერცხლსა და სპილენძს შორის აღარ უდრიდა 1-960-ს. დაკლება მნიშვნელოვანი იყო, რადგან რესპუბლიკამ მოიგო ხუთი მეექვსედი ყოველი სპილენძის მონეტაზე. მაგრამ მათ მხოლოდ ის გააკეთეს, რასაც თვითონ საგანთა ბუნება მოითხოვდა – აღადგინეს თანაფარდობა მონეტად გამოყენებულ ლითონებს შორის.

ზაემა, რომლითაც დამთავრდა პირველი პუნიკური ომი, რომაელები

სიცილიის ბატონად გახდა. მალე ისინი შევიდნენ სარდინიაში, დაიწყეს ესპანეთის ათვისება, ვერცხლის რაოდენობა რომში კვლავ გაიზარდა. აქ ჩაატარეს ოპერაცია, რომელმაც შეამცირა ვერცხლის ღირსების ღირებულება ოცი უნციიდან თექვსმეტამდე. ამას შედეგად მოჰყვა ახალი თანაფარდობის დადგენა ვერცხლსა და სპილენძს შორის, ეს თანაფარდობა ტოლი გახდა 1-128-თან 1-160 თან შეფარდების ნაცვლად.<sup>1</sup>

შემდგომში განვითარებულმა მოვლენებმა ფულის ერთეული იმდენად გააუფასურა, რომ რომაელი მოქალაქეები გაცვლა-გამოცვლის პროცესში ნატურით ურთიერთობას ამჯობინებდნენ და უარს ამბობდნენ ფულზე. ფასების ზრდის და ფულის ინფლაციის შეჩერება სცადა იმპერატორმა დიოკლეტიანემ, ფულადი საფინანსო რეფორმის გატარების გზით. მან მოჭრა მონეტები სანახევროდ ოქროსა და ვერცხლის შემადგენლობით, მაგრამ ისინი განმად აქცია მდიდართა ფენამ და მალე გაქრა მიმოქცევიდან, ასე რომ მისმა რეფორმამ ფასების დაბალანსება მაინც ვერ გამოიწვია. 301 წელს მან გამოსცა ედიქტი საქონელზე მაქსიმალური ფასების დაწესების თაობაზე. ამით განისაზღვრა საქონელზე ფასები მთელ იმპერიაში, მაგრამ არ იყო გათვალისწინებული ადგილობრივი პირობები.

ედიქტით, ასევე განისაზღვრა სახელფასო სარგოები სხვადასხვა პროფესიის ადამიანებისათვის. მაგ. ლათინური ან ბერძნული ენის მასწავლებლებისათვის თვიური ანაზღაურება იყო 50 დინარი, იურისტის მიერ სასამართლოში შეტანილი სარჩელი კლიენტის ინტერესების დასაცავად ღირდა 250 დინარი, ზოლო საქმის გამოძიება და წარმოება 1000. ამ ნორმატიული აქტის შეუსრულებლობა ისჯებოდა სიკვდილით.<sup>2</sup>

რესპუბლიკის დროს ჩატარებული სამონეტო ოპერაციები განახორციელეს მონეტის წონის შემცირების გზით. სახელმწიფო თავის საჭიროებებს აგებინებდა ხალხს და არ ცდილობდა მის მოტყუებას. იმპერატორების დროს ეს ოპერაციები განახორციელეს მინარევების საშუალებით, ეს ხელმწიფეები – თავიანთივე ხელგაშლილობის გამო, გამოუვალ გასაჭირში ჩავარდნილნი, იძულებული შეიქნენ მონეტის გაყალბებისათვის მიემართათ. ეს არაპირდაპირი გზა იყო, რომელიც ამცირებდა უბედურებას და თითქოს მას არ ეხებოდა. საბოძვარის ერთ ნაწილს ფარულად უკან იბრუნებდნენ; გასამრჯელოსა და ხელგაშლილობის შემცირებაზე სიტყვასაც კი არ ძრავდნენ, მაგრამ ფაქტიურად, ორივეს კვეცავდნენ.<sup>3</sup>

1 იხ. შ. ლ. მონტესკიე, კანონთა გონი, თბ. 1994წ. გვ. 481  
2 იხ. Н.А. Машкин, История Древнего Рима М. 1947г. гв. 547  
3 იხ. შ. ლ. მონტესკიე, კანონთა გონი, თბ. 1994წ. გვ. 482

შემდეგი ფულად-ფინანსური რეფორმა ჩაატარა იმპერატორმა კონსტანტინე I დიდმა (307–337). მან ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა და წარმართულ ტაძრებს მასიურად ჩამოართვა ოქროსა და ვერცხლის ნივთები, რისგანაც ასხამდა ოქროს მონეტებს, სოლიდებს (4,55 გ) და ვერცხლის ფულს. გარდა ამისა, მოსახლეობას დაეკისრა გადასახადების გადახდა მხოლოდ ოქროს მონეტებით. არ მიიღებოდა საერთოდ სპილენძის მონეტები, რაც მოსახლეობისათვის სასარგებლო არ იყო. ამან გამოიწვია მონეტის გაუფასურება. ერთ ოქროს სოლიდი რამდენიმე ათასი სპილენძის მონეტა ღირდა. კონსტანტინე დიდის რეფორმამ გარკვეული დადებითი შედეგები მოიტანა, მაგრამ პრობლემები მთლიანად მაინც ვერ გადაჭრა.

ნერონმა, გადასახადთა ამკრეფთა გამოძალკელობით აღშფოთებულმა, მონიღომა ყველა გადასახადის გაუქმების შეუძლებელი და დიდსულოვანი პროექტის განხორციელება. მას არ მოუგონებია ხაზინა, მაგრამ გასცა ოთხი ბრძანება, რომ მოიჯარადრეთა წინააღმდეგ შექმნილი ყველა კანონი, რომელიც მანამდე საიდუმლოდ ინახებოდა, სახალხოდ გამოცხადებულიყო, რომ მოიჯარადრეებს ჩამორთმეოდათ უფლება, სათანადო ფორმალობის შეუსრულებლად მოეთხოვათ ის, რაც მოუთხოვიათ წინა წელიწადს; რომ დანიშნულიყო პრეტორი, რათა განეხილა მათი მოთხოვნები ყოველგვარი ფორმალობის გარეშე, რომ ვაჭრებს არაფერი გადაეხადათ გემებისათვის.<sup>1</sup> ეს იყო ამ იმპერატორის მეფობის პერიოდში დადებითი ნაბიჯების გადადგმის მცდელობა.

პრინციპატის პერიოდში ოქტავიანე ავგუსტუსმა სახელმწიფო ხაზინიდან გამოყო და დააარსა ხაზინა იმპერატორო ხაზინა, რისთვისაც სენატის მხარდაჭერაც მოიპოვა. (Fiscus saecularis) რომლის განკარგვა ერთპიროვნულად შეეძლო პრინციპსს. ამავე დროს, მოხდა პროვინციების გადანაწილება, 34 მოექცა პრინციპსის დომინატის ქვეშ, ხოლო – 11 სენატის. ტერმინი „ტრიბიტუმ“ (tributum) ეწოდებოდა საადგილმამულო გადასახადს, რომელიც იმპერატორის პროვინციებში იკრიბებოდა, ხოლო „სტიპენდია“ (stipendia) კი აღნიშნავდა სენატის პროვინციებში მიწაზე დადებულ გადასახადს.<sup>2</sup> თავისთავად, შემოსავლებიც შესაბამისი პროპორციით შედიოდა ხაზინებში, მაგრამ მით გაცილებით მეტი პრინციპსის ხაზინებში, ვიდრე - სენატის. ხაზინის შევსების პრობლემებზე მუშაობდა კვესტორი

1 იხ. შლ. მონტესკიე, კანონთა გონი, თბ. 1994 წ. გვ. 251

2 იხ. რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს ინსტიტუტები, თბ. 2002 წ. გვ. 444

და პრინციპის დანიშნული ფისკის მმართველი, ანუ პროკურატორი. დროთა ვითარებაში, პრინციპის ხაზინა იქცა მისი ქონების სიმბოლოდ. ულპიანეს სიტყვებით, სალაროები, რომლებიც იმყოფებოდნენ პრინციპის მფლობელობაში, იყო *ciasi propriae etprivatae*“ „როგორც საკუთრება“, „როგორც პირადი“. იმპერატორ სეპტიმიუს სევრიის (193–211წწ) დროს ფისკმა გადააჭარბა საერთო სახელმწიფოებრივ ხაზინას, ხოლო სენატის შემოსავალი უფრო დაბალი გახდა, ვიდრე ქ. რომის სალაროს.

( იმ დროს, როდესაც სენატი დაჟინებით იცავდა მევახშეობას, „რომაელი ხალხი გამოირჩეოდა უზომო სიყვარულით სიღარიბის, თავდაჭერილობისა და ზომიერებისადმი, მაგრამ სახელმწიფო წყობა ისეთი იყო, რომ თავად მოქალაქეების ეკისრებოდათ სახელმწიფოს მთელი ხარჯები.“)

ალბათ, ეს იყო რომის ელიტარული საზოგადოების სიმდიდრისაკენ სწრაფვის ერთ-ერთი მიზეზი.

ყველაზე უფრო ტიპიური იმ დროისათვის, ქონების დაგროვებაში მეთოდების განურჩევლობის, მხრივ მაინც მარკუს კრასუსია, რომელსაც ზედმეტ სახელად *Dives* (მდიდარს) უწოდებდნენ. იგი პირველი ტრიუმვირის მონაწილე, ცნობილი სარდალი, სპარტაკის დამამარცხებელი და სახელმწიფო მოღვაწე იყო. ჩვენ იძულებული ვართ, ქონების დაგროვების მისი მეთოდების ცხადყოფისათვის არ მოვერიდოთ გრძელი ციტატების მოტანას პლუტარქეს მიერ დაწერილი ბიოგრაფიიდან-წერს პროფ. მ ალექსიშვილი.

„რომაელები ამტკიცებენ, – ამბობს პლუტარქე, – რომ მისი მრავალგვარი სათნოების ბრწყინვალებას აბნელებს მხოლოდ ერთი მანკი – გამდიდრების წყურვილი. მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ეს მანკი მასში სხვა დანარჩენებზე უფრო ძლიერი იყო, რამაც ისინი ნაკლებ შესამჩნევი გახადა. მისი ანგარების საუკეთესო დამამტკიცებელი არის მისი სიმდიდრის უდიდესი მასშტაბიც და ხერხებიც, რომლითაც იგი იძენდა ფულსა და ქონებას. თავდაპირველად, კრასუსს ჰქონდა არა უმეტეს 300 ტალანტისა, როდესაც ის სახელმწიფოს მოექცა სათავეში და პერკულესს შესწირა თავისი ქონების ნახევარი, თითოეულ რომაელს კი სამი თვის სურსათი, ქონების გადათვლისას პართეთთან ომში წასვლის წინ. მაინც აღმოჩნდა, რომ მათი ღირებულება უდრიდა შვიდი ათას ას ტალანტს. თუ სიმართლეს ვიტყვით, რომელიც მას სრულიადაც არ სდებს პატივს, უნდა ვაღიაროთ, რომ ამ ქონების უდიდესი ნაწილი მან ამოქაჩა ხანძრიდან

და ომებით გამოწვეული უბედურებიდან, როგორც უზარმაზარი მოგების მიღების საშუალება. მ. ალექსიშვილს კრასუსის მაგალითი დამახასიათებლად მიაჩნია იმდროინდელი რომაული პოლიტიკური ელიტისათვის.

შემდეგ პლუტარქე წერს, რომ კრასუსისათვის გამდიდრების ერთ-ერთი ასეთი ხერხი იყო სულას მიერ სიკვდილმისჯილ პირთა ქონების შესყიდვა ჩალის ფასად. „ამის გარდა, – აგრძელებს პლუტარქე, – მას ყოველთვის თვალწინ ჰქონდა რომის მუდმივი უბედურება – ხანძარი და სახლების დაქცევა“<sup>1</sup> რასაც იწვევდა შენობების გადატვირთულობა და ერთმანეთთან მათი ძლიერი სიახლოვე. ეს ხანძარი და დანგრევა ემუქრებოდა მეზობელ სახლებსაც. კრასუსს ჰყავდა 500 მშენებელი და მეხანძრე მონა და თითქმის მუქთად ყიდულობდა ამ სახლებს იმ დროს, როცა მათ ხანძარი მოდებოდა ჰქონდა ან ინგრეოდა (ან ამგვარი საფრთხის უშუალო მუქარის ქვეშ იყო). ის თავისი მონებით იწყებდა ხანძრის ჩაქრობას ან სახლების დანგრევას. „ამგვარად, – ასკენის პლუტარქე, – რომის დიდი ნაწილი მის საკუთრებად იქცა“.

როგორც ვნახეთ, კრასუსს თავისი მოღვაწეობის დასაწყისში ერთი მილიონი ქონებაც არ ჰქონდა, მაგრამ სულ რაღაც 29 წლის მანძილზე, სულას პროსკრიპციებიდან (83წ.) პართების წინააღმდეგ ომის დაწყებამდე (54 წ.) მან თავისი ქონება ასეთი ბინძური მეთოდებით 29 მილ. მანეთზე მეტით გაზარდა. ამ სიმდიდრის კიდევ უფრო მეტის ნდომის სურვილით, კრასუსმა ომი წამოიწყო პართების წინააღმდეგ, მაგრამ ამ ომში მან დაღუპა რომის არმია, საკუთარი შვილიც და სიცოცხლაც. მისი მოკვეთილი თავი და ხელი დიდხანს დაჰქონდათ პართელებს როგორც ხარბ რომაელებზე თავიანთი გამარჯვების სიმბოლო. ასეთი იყო კრასუსის გამდიდრების მეთოდები, რომლებიც სრულიადაც არ წარმოადგენდა გამონაკლისს რომში მაშინ დაშვებული და მიღებული წესებიდან.

რომის ფულადი საფინანსო სისტემა ისე ჩამოყალიბდა, რომ საზოგადოებაში გაჩნდა ორი დიდი პოლუსი – უმდიდრესი ადამიანები და უღარიბესი მასიური ფენები, რომლებიც, როგორც ტიბერიუს გრახუსის თავის სიტყვაში ამბობდა, ნადირზე უარეს მდგომარეობაში არიან, რადგან ამ ნადირებს ბუნაგები და სოროები მაინც აქვთ თავშესაფრად, ღარიბებს კი ესეც არ გააჩნიათ, მათ იტალიაში არაფერი აქვთ გარდა ჰაერისა და სინათლისაო.<sup>2</sup>

რომში უმდიდრესი ადამიანები ცხოვრობდნენ, მაგრამ ისედაც ნათელია, გამდიდრება შეეძლოთ მხოლოდ იმ ადამიანებს, ვის ხელშიც იყო

1 მ. ალექსიშვილი, მონობა ანტიკურ ქვეყნებში, თბ. 1971 წ. გვ. 302.



ეკონომიკური ბერკეტები და შეეძლოთ დაუსჯელად დაერღვიათ კანონები. რომის ისტორიის და სამართლის მკვლევარები ყურადღებას სწორედ ამ მომენტზე ამახვილებდნენ, ამ პრობლემას, „რომში უცაბედი გამდიდრების“ შესაძლებლობას თავის დროზე ნაშრომები მიუძღვნა პლუტარქემ, რომელსაც არაერთი მაგალითი მოჰყავს უკანონო და უცაბედი გამდიდრების შესახებ, მაგრამ გამორჩეულია მარკუს კრასუსი, (და არა მარტო).

( რომში უცაბედი გამდიდრების მაგალითია ასევე ციცერონი, *Homos novus* („ახალი ადამიანი“), რომლის წინაპრებიც ქ. არპინუმის (სადაც ციცერონი დაიბადა) გარეუბანში მეცერცვეობას ეწეოდნენ და საინადაც ციცერონმა *Congitium*-ად (გვერდით გვარად) თავისი ნამდვილი გვარის (*Tullius*-ის) ნაცვლად მიიღო ციცერონი – *Cicero* (*Cicero* – ეერცეს ნიშნავს). აი, ამ არპინემელმა მეცერცვემ რომში გადმოსახლების შემდეგ 10 მილიონ მანეთამდე ქონება დააგროვა! ასე უცაბედად რომში მრავალი ადამიანი მდიდრდებოდა, მაგრამ მათგან აქ მხოლოდ ორს – იულიუს ცეზარს და მარკუს კრასუსს შევხებით.

ცეზარს, პლუტარქეს გადმოცემით, როცა ის პოლიტიკური მოღვაწეობის ასპარეზზე გამოვიდა, 1300 ტალანტი (დაახ. 3 მილ. მანეთი) ვალი ჰქონდა. ამის გამო მას შეუძლებელი არ უშვებდნენ ესპანეთში, სადაც ის პროპრეტორად დაინიშნა, ამიტომ ისეხსება 830 ტალანტი ყველაზე აბეზარი კრედიტორების დასაკმაყოფილებლად. შემდეგში ცეზარმა არა მარტო ეს ვალდებულება დაფარა (უმთავრესად გალიაში და ეგვიპტეში მოპოვებული ნადავლით), არამედ მან 10 მილიონ მანეთამდე ქონებაც დააგროვა!

როგორც აპულეუსი გადმოგვცემს თავის „აპოლოგიაში“, როცა მან ცოლად შეირთო მდიდარი ქერივი პუდენცილა, ამ უკანასკნელმა თავის შეილებს (პირველი ქმრიდან) პონტიანეს და პუდენტს, რომელნიც აპულეუსთან ვერ რიგდებოდნენ, თავისი ქონების ნაწილი და 400 მონა მისცა. დიოდორე სიცილიელის გადმოცემით, 400 მონა ჰყავს ვინმე ტიტე მინიციუსს. პლინიუს უფროსის გადმოცემით, ვინმე გაიუს ცეცილიუს კლავდიუს ისიდორეს ანდერძით დაუტოვებია 4116 მონა. იგი მეტად მდიდარი ყოფილა და, როგორც პლინიუსი იმავე წიგნში წერს, მონების გარდა, მას ანდერძით დაუტოვებია 3 600 უღელი ხარი, 257 ათასი წვრილფეხა საქონელი და ფულად 60 მილ. სესტერციუმი.

1 იხ. მ. ალექსიშვილი, მონობა ანტიკურ ქვეყნებში თბ. 1971წ. გვ 298

აქვე ერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება, ძველი ბერძნული საზოგადოების მაღალი ფენა გაცილებით მეტ ზომიერებას იჩენდა ქონების შექმნასთან დაკავშირებით, ვიდრე რომის საზოგადოების მაღალი ნაწილი, მათ გაცილებით დიდი სწრაფვა გააჩნდათ ფუფუნებისაკენ, როგორც ამას ყოველთვის ხაზს უსვამს შლ. მონტესკიე. რაც ჩვენმა დაკვირვებებმაც დაადასტურა.

## §2. საფინანსო სისტემის კონტროლი

როგორც წინა პარაგრაფში აღვნიშნეთ, იმპერატორმა ოქტავიანე ავგუსტუსმა ფინანსებზე კონტროლი პროკურატორებს დაავალა. იმპერატორ კლავდიუსის (41-54 წწ) დროს იმპერიის უწყებებში გაჩნდა ახალი დეპარტამენტი, რომელსაც ევალებოდა უძრავი ქონების და ფინანსების მართვა და (res summa). შემოიღო „rationis reissumae“ – ხაზინადარის თანამდებობა.

ამ დეპარტამენტის უფლებამოსილებას ძირითადად წარმოადგენდა:

- აკონტროლებდა იმპერატორის ყველა ფულადი სახსრების მოძრაობას დედაქალაქში.

აწარმოებდა პურის მარცვლის აღრიცხვას, რომელიც შემოდიოდა და საჭირო იყო დედაქალაქის გამოსაკვებად.

ეწეოდა თანხების ასიგნაციას, რომელიც საჭირო იყო საკვები პროდუქტების შესაძენად რომის მცხოვრებთათვის და წყალგაყვანილობის უზრუნველყოფისათვის.

ამზადებდა ჩიგანკურ მონეტებს.

უხდიდა თანხებს იმპერატორის სამსახურების ჩინოვნიკებს.

იმპერატორის მიერ დანიშნულმა პროკურატორებმა იმპერატორ კლავდიუსის დროს მოიპოვეს ფინანსური იურისდიქციის უფლება, რომელიც დაამტკიცა სენატმა სპეციალური გადაწყვეტილებით. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ პროკურატორს შეეძლო შეეთავსებია „ნამესტნიკის“ უფლებამოსილებანი.

ამ პოლიტიკურ პერიოდში ფუნქციონირებდა სამი საფინანსო უწყება ა) პრეტორიული პრეფექტი, წმინდა წყალობა (sacrae largitiones) და კერძო ქონების უწყება (res privata) ამ უწყებებს შორის ყველაზე მაღლა იდგა წმინდა წყალობის უწყება, რომლის ფუნქციასაც შეადგენდა ლეგი-

ონერების ფულადი თანხებით უზრუნველყოფა და მათი წახალისება, იმპერატორის სურვილის შესაბამისად, რომელსაც, სამართლებრივი თვალსაზრისით, საჩუქრის ფორმა გააჩნდა, შემდგომში კი იგი სისტემატური ანაზღაურების სახედ გადაიქცა.) უწყების ხელმძღვანელს ეწოდებოდა კომიტუსი, რომელიც თანამდებობრივად ითვლებოდა იმპერატორის კარზე არსებული სათათბირო ორგანოს კონსისტორიის წევრად.

### §3. სახელმწიფო შემოსავლის წყაროები ძველ რომში

ძველი რომის სახელმწიფო შემოსავლების მნიშვნელოვან წყაროებს წარმოადგენდა: 1) ომის წარმოების შედეგად ხელში ჩაგდებული ნადავლი, სამხედრო კონტრიბუციები, 2) სოფლისა და ქალაქის მოსახლეობისაგან შემოსული თანხები გადასახადებისა და დაბეგვრისაგან; 3) საზოგადოებრივი მიწების კერძო პირებზე გაყიდვით; 4) სახელმწიფო საბაღოებიდან და სხვა ობიექტებიდან შემოსული სიმდიდრე; 5) კანონდამრღვევთა ქონების კლასიფიკაცია; რომელიც სახელმწიფო საკუთრებაში გადადიოდა 6) პროსკრიპირებული ქონების კონფისკაცია, რომელიც სახელმწიფო საკუთრებაში გადადიოდა. 7) სახელმწიფო ქონების გაყიდვის გზით მიღებული თანხები. 8) ჩამორთმეული ქონება, რომელიც სახელმწიფო ხაზინაში შედიოდა.

ავგუსტუსმა სახელმწიფო ხაზინის კუთვნილებად გამოაცხადა იმ პირთა მემკვიდრეობა და ანდერძით დატოვებული ქონება, ვისაც კანონი მათი მიღების ნებას არ რთავდა. ამგვარად, ეს კანონები უმაღლესი კალური იყო, ვიდრე პოლიტიკური და სამოქალაქო. სიძულვილი, რომელიც ადამიანებს ჰქონდათ გადასახადებისადმი, კიდევ უფრო გაიზარდა იმით, რომ ისინი თავს გრძნობდნენ სახელმწიფო ხაზინის სიხარბის მსხვერპლად, ძალადობის ობიექტად, ამის შედეგი იყო ის, რომ ტიბერიუსის დროს იძულებული გახდნენ, შეექმნათ სხვა სახის კანონები, ნერონმა შეამცირა სახელმწიფო დასმენათა ჯილდოს ოდენობა, ტრაიანემ შეაჩერა მათი ყაჩაღობა, სევერუსმა რადიკალურად შეცვალა ეს კანონები, რომლებსაც რომაელი იურისტები ოდიოზურად მიიჩნევდნენ და თავიანთ გადაწყვეტილებაში გაურბოდნენ მათ ზუსტ დატყუებას.<sup>2</sup>

1 იხ. მ. ალექსიშვილი, მონობა ანტიკურ ქვეყნებში, თბ. 1971წ. გვ. 302

2 იხ. შლ. მონტესკიე, კანონთა გონი, თბ. 1994წ. გვ. 512

განსაკუთრებით ხაზგასასმელია გადასახადებისა და ბეგარის როლი, პროვინციებიდან წამოსული ფულადი სახსრები, როგორც ბიუჯეტის შევსების წყარო. რესპუბლიკის პერიოდის პროვინციები განიხილებოდა, როგორც „რომაელი ხალხის ადგილ-მამული“. იმპერიის პერიოდში ბევრი მათგანი ნებაყოფლობით ჩაერთო კლიენტურ ურთიერთობაში რომთან. რომის სახელმწიფოს მხრიდან პატრონაჟმა კლიენტ-პროვინციებს მიანიჭა გარკვეული უპირატესობა, მაგრამ ამას დიდი გავლენა არ მოუხდენია ფულად-საგადასახადო პირობებზე. ზემოაღნიშნულ წყაროთა გარდა, რომს კიდევ გააჩნია სხვა შემოსავლის წყაროები, როგორცაა aurum tironium ფულადი კომპესაცია, რომლებსაც იხდიდნენ ის პირები, რომლებიც ეკუთვნოდნენ რეკრუტირებულ ხალხს, მაგრამ არ შეეძლოთ მოეხადათ სამხედრო ბეგარა. თითოეული რეკრუტის გადასახადი აღწევდა 30-მდე სოლიდს.

არსებობდა სხვა სახის გადასახადებიც, ასე მაგ: რენტა-გადასახადი საზოგადოებრივ საკუთრებაში მყოფი მიწის გამოყენებისათვის, არმიის შესანახად გამიზნული გადასახადების (სამხედრო გადასახადი), ნატურის სახით გაგზავნა. მაგ. იმპერატორ მაქსიმინუსის (235-238)დროს დაწესდა, იმპერატორის კარზე ჩრდილოეთ იტალიიდან გაეგზავნათ პროდუქტები, გადასახადები ვაჭრობასა და ხელოსნობაზე, ვაჭრები და ხელოსნები შეყვანილი იყვნენ ფისკალურ სიებში და იხდიდნენ გადასახადებს.

კონსტანტინე დიდმა ყველა ვაჭარს და მეწარმეს დააკისრა გადასახადი. პროვინციებზე დაკისრებული იყო შემდეგი გადასახადები - stipendium სტიპენდიუმი იყო გადასახადის სახე, რომელსაც იხდიდნენ სენატის გადაწყვეტილებით და ეხებოდა სენატზე რიცხულ პროვინციებს და tributum -ს, ასე ეწოდებოდა სტიპენდიუმის ანალოგს; რომელსაც იხდიდა იმპერატორის დომინიონი პროვინციები. არსებობდა განსაკუთრებული გადასახადი, რომელსაც ეწოდებოდა „ფული გვირგვინისათვის,“ (curum coronarium), რომელიც, ერთი შეხედვით, არ იყო იძულებით გადასახადი, ის ნებაყოფლობით ხასიათს ატარებდა, მაგრამ კონტროლდებოდა, ვინც არ გადაიხდიდა, ამიტომ ყველა ცდილობდა მის გადახდას.)

სახელმწიფოს მიერ წარმოებული დიდი მშენებლობებისათვის მოსახლეობა იხდიდა ნატურით შეწირულობებს, ე.ი. საკვებ პროდუქტებს დასაქმებულთა გამოსაკვებად. ირიბი გადასახადებიც არსებობდა პირდაპირი გადასახადების გვერდით. რომელიც მოხმარების საგნებით გადაიხდებოდა. ამას იხდიდნენ მჭედლები, კერძო მოვაჭრეები და ა.შ.

საბაჟო გადასახადები (Portoria) და სამემკვიდრეო გადასახადი, რომელიც ავგუსტუსის დროს 1/20 ნაწილი იყო თითოეული მემკვიდრეობიდან. და ბოლოს, სხვა გადასახადები, რომლებშიც შედიოდა სხვადასხვა რელიგიის მიმდევრობისათვის დაწესებული გადასახადები. მაგ. „ებრაელთა გადასახადები“, რომელიც 2 დრახმის რაოდენობით განისაზღვრებოდა. იმპერატორმა ავგუსტუსმა შემოიღო დაუქორწინებელთა გადასახადი, რომელიც ეხებოდა რომაელ მოქალაქეებს 25 დან 60 წლამდე.<sup>1</sup>

გვიანდელი იმპერიის პერიოდში ყველა მოქალაქე-მიწათმფლობელი იხდიდა გადასახადს, ხოლო ვისაც მიწის ნაკვეთი არ ჰქონდა, პირად (სულის) გადასახადს იხდიდა. ასე რომ, რომის იმპერიაში მცხოვრები ხალხი უამრავი სახის გადასახადს იხდიდა, რომლის დიდი ნაწილი, სამწუხაროდ, დანიშნულებისამებრ არ იხარჯებოდა. მოსახლეობას კი გადასახადები მძიმე ტვირთად აწვა.

რომის სამართლის მკვლევარები ერთხმად აღიარებდნენ, რომ კომერციის განვითარებას ხელისუფლება ნაკლებ ყურადღებას უთმობდა და, აქედან გამომდინარე, სამეურნეო ცხოვრებაში მასშტაბურად მცირე იყო. კომერციისადმი რომაელთა დამოკიდებულება კარგად სჩანს ციცერონის სიტყვებში „მე –არ ვისურვებდი, რომ ერთი და იგივე ხალხი ერთდროულად მსოფლიოს ბატონიც იყოს და მსოფლიო ვაჭარიც.“<sup>2</sup> ამის გამო ქვეყანა საკმაოდ სოლიდურ ფინანსურ შემოსავლებს კარგავდა, რამაც ასახვა ჰპოვა იმპერიის საბოლოო ბედზე.

#### §4. საფინანსო გასაპლავი ახელ რომში

რესპუბლიკის პერიოდში სახელმწიფო დიდ თანხებს ხარჯავდა ხალხის შეკრებებზე, არმიის შენახვისათვის, გემთმშენებლობაში, საზოგადოებრივი შეკრების ადგილების მოწყობასა და გზების მშენებლობაში.

იმპერიის პერიოდში ფინანსურ საშუალებათა ხარჯვა აბსოლუტურად შეიცვალა, პირველ რიგში, თანხების სერიოზული მასა იხარჯებოდა ჩინოვნიკური აპარატების შესანახად. ხარჯთაღრიცხვაში განსაკუთრებული ადგილი ეკავა საიმპერატორო კარისა და მისი მრავალრიცხოვანი მოსამსახურეების დაფინანსებას. იმპერიის პერიოდში არმიის შენახვისათვის

1 იხ. რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს ინსტიტუციები, თბ. 2002წ.გვ 444

2 იხ. შლ. მონესკიე, კანონთა გონი, თბ. 1994წ.გვ 352

გაცილებით მეტი იხარჯებოდა, ვიდრე რესპუბლიკის პერიოდში. სამასთან, უფრო ხშირად გახდა საჭირო უფასოდ პურისა და კვების პროდუქტების დარიგება, ხშირად, ფულად – სახსრებსაც ურიგებდნენ რომის უღარიბეს მოსახლეობას, რომელთა რიცხვმა 300 ათას გადააჭარბა. მათი რაოდენობა, მართალია, პერიოდულად იცვლებოდა, მაგ. ცეზარის დროს 300 ათასიდან 150 ათასამდე ჩამოვიდა. ავგუსტუსის დროს მათი რაოდენობა 200 ათასამდე გაიზარდა. ავრელიუსის დროს მოსახლეობა უფასოდ არა მარტო პურს, არამედ ხორცსაც იღებდა.

სახელმწიფოს გარდა, მოწყალეობას კერძო პირებიც არიგებდნენ. მაგ. მაგისტრატები და ისინი, ვისაც სურდა მაგისტრატი გამხდარიყო, დიდ ხარჯებს ითხოვდა სატუსალოების შენახვა, გზების მშენებლობა და მათი შეკეთება. ამფითეატრების მშენებლობა, ხალხის გართობები, და ა.შ.

იმპერატორმა ვესპასიანემ (69-79 წწ. ჩ.წ. აღ) ააშენა კაპიტოლეუმის ტაძარი და კოლიზეუმის ამფითეატრი. რესპუბლიკის პერიოდში სახელმწიფოს ხარჯზე არსებობდა საფოსტო სისტემა.

რომის იმპერიაში ფინანსურ სფეროში ხარჯვითი ნაწილი ყოველთვის იყო მაღალი და არასოდეს არ შეესაბამებოდა ხაზინაში მოზიდულ სახსრებს, ამიტომაც არსებობდა ფინანსური დეფიციტი, ამის გამო იმპერატორები ზრდიდნენ გადასახადებს, რაც იწვევდა ხალხის მღელვარებას, თუ ამცირებდნენ გადასახადებს და ეკონომიას წვედნენ, ფაქტობრივად, ხდებოდა სამხედრო ხარჯების შემცირების შედეგად, რაც ლეგიონერთა უკმაყოფილებას და ბუნტს იწვევდა. აქედან გამომდინარე, რომის არაერთი ხელისუფალი გამოუვალ მდგომარეობაშიც აღმოჩენილა.

პროვინციებიდან მიღებული შემოსავლები გადასახადების, საბაჟო შემოსავლების, პორტებისა და ნავსადგურების, სახელმწიფო დომინიონებიდან და საბადოებიდან მოზიდული ფულადი სახსრები და სხვა ქონებრივი სიკეთეები მიედინებოდნენ სახელმწიფო ხაზინაში, რომელიც ხმარდებოდა ჩინოვნიკური აპარატის, არმიისა და ფლოტის შენახვას. საზეიმო ღონისძიებებს, სწავლობებს, თამაშებს და ფართო მასშტაბიან მშენებლობებს. თავისი პირადი დაცვისა და მებრძოლებისაგან შემდგარი ლეგიონები ცეზარს დაბანაკებული ჰყავდა სხვადასხვა ადგილას, მათ შორის სიცილიასა და სარდინიაში, ესპანეთში და გალიაში, ილირიაში, აფრიკასა და ეგვიპტეში, სირიაში. საბრძოლო დანაყოფები ჰყავდა მაკედონიაში. ყველა ისინი ემსახურებოდნენ როგორც ცეზარის, ასევე რომის

1 იხ. E. A. Скриплев, Основы римского права, М. 2002г. გვ. 80

კეთილდღეობას. რადგანაც აღმოსავლური ლაშქრობანი ითხოვდა გარკვეული დროით რომის დატოვებას, ცეზარი პროვინციების მმართველებად, სახალხო კრების მონაწილეობის გარეშე, სენატის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე ნიშნავდა 2-3 წლით ერთგულ ადამიანებს.<sup>1</sup>

## §5. იუსტინიანე იმპერატორის საჟინანსო პოლიტიკა

(იმპერიის ეკონომიკური ზრდის ტემპები დაიწყო იმპერატორ ანასტასიუსის დროს, რომლის მოღვაწეობამაც გარკვეული პირობები შექმნა ფულად-საფინანსო პოლიტიკის გაუმჯობესებისათვის.<sup>2</sup> სახელმწიფო ხაზინაში დიდძალი ოქრო დაგროვდა. წყაროთა მონაცემებით, მათმა ოდენობამ 320 ათას ლირას მიაღწია.<sup>3</sup> ეკონომიკური სიძლიერე ბიზანტიის იმპერიას აძლევდა უფლებას, კვლავ პრეტენზია კქონოდა მთელ იმპერიაზე *ortis Romana*. ამ იდეის არსებობას ხელს უწყობდა ეკლესიაც და მისი რეალური განხორციელების მცდელობა იმპერატორ იუსტინიანეს დროს მოხერხდა. ორსტინიანეს ეპოქის მკვლევარები აღიარებენ, რომ მისი მმართველობის პერიოდში აქილევსის ქუსლი იყო საფინანსო პოლიტიკა. იუსტინიანეს ხელისუფლებაში მოსვლა დაემთხვა ხაზინაში არსებული ფინანსების სიჭარბეს, რამაც მისცა საშუალება, დაეწყო ქველმოქმედება და ცდილობდა გულუხვი ხელისუფლის სახელი მოეხეცა. დედაქალაქში აწყობდა მოსახლეობისათვის სანახაობებს, რაშიც დიდ თანხებს ხარჯავდა. ხაზინის დიდი თანხები ხმარდებოდა აღმოსავლეთ პროვინციების ქალაქების მშენებლობას, რომლებიც მიწისძვრის შედეგად იყო დანგრეული. აშენებდა მოხუცთა სახლებს, საავადმყოფოებს, აღადგენდა გზებს. ხიდებს, წყალსაცავებს და ა.შ.

დიდმა ხარჯებმა იუსტინიანე მალე დააყენა ფინანსური პრობლემის წინაშე, ამიტომ, ყველა ღონეს ხმარობდა მოსახლეობისაგან გადასახადების ამოსაღებად. ამიტომ დაიწყო ფიქრი საფინანსო რეფორმის გატარებისათვის.

ამის განხორციელებას ხელი შეუწყო უდიდესი ფინანსისტის აღმოჩენამ, როგორც იყო იოანე კაბადოკიელი, რომელიც სათავეში ჩაუყენა პრეტორების პრეფექტურას.

1 იხ. E. Stein Histoire av Bas. Empire II Paris-Bruxelle

2 იხ. Procop N. a. xix. 5,7.

3 იხ. История Византии Т I М. 1967 გვ. 234-235

(იოანე კაბადოკიელი წარმომავლობით დიდგვაროვანი არ იყო, მას არც სათანადო კლასიკური განათლება გააჩნდა, მაგრამ შეძლო დიდი ქონების დაგროვება არც თუ კანონიერი გზით, — იუწყება პროკოფი კესარიელი.

იოანე კაბადოკიელი საკმაოდ დიდხანს იყო საფინანსო და ადმინისტრაციული უწყების სათავეში და, მიუხედავად იმისა, რომ პროკოფი კესარიელი არ წყალობდა მას, იგი მაინც ვერ უარყოფდა მის დიდ ნიჭს) შესაძლებლობებსა და ენერგიას, რომელიც მან სახელმწიფო საქმეებს მოახმარა.

იოანე კაბადოკიელის საფინანსო რეფორმა გადაეჯაჭვა ადმინისტრაციულ ღონისძიებებს, რათა გადასახადებს და შემოსავლებს თავი იმპერატორის ხაზინაში მოეყარა.<sup>1</sup>

(მსხვილ მიწათმფლობელებს ევალებოდათ, შეეძინათ მიტოვებული და დაუმუშავებელი სახელმწიფო მიწები, რა გზითაც სერიოზულ შემოსავალს ღებულობდა ხაზინა. 528 წლის კანონით, პროვინციაში მოღვაწე ჩინოვნიკებს აეკრძალათ დიდი მამულების შექმნა, 529 წელს გამოცემული კანონით, აღდგა ადგილობრივი ციხეები, რაც ადგილებზე საფინანსო ჩინოვნიკების მხრიდან კორუფციის აღკვეთას ემსახურებოდა.) არა იმიტომ, რომ გულით სურდათ საფინანსო სისტემაში კორუფციის აღკვეთა, არამედ იმიტომ, რომ ხაზინას არ დაეკარგა შემოსავლები. დამატებითი შემოსავლების წყაროდ იქცა არაპირდაპირი გადასახადების გაზრდა, რომელსაც ექსტრაორდინალური მდგომარეობით ხსნიდნენ. გადასახადები გაიზარდა ვაჭრობის სფეროში, გაიხსნა ახალი საბაჟოები და გაიზარდა გადასახადები იმ საქონელზე, რომელზედაც ბაზარზე დიდი მოთხოვნა იყო.

დაწესდა შემოტანილ საქონელზე მონოპოლია (monopolium) განსაკუთრებით მძიმე იყო პურის პროდუქტებზე მონოპოლია. პროკოფი კესარიელის სიტყვებით, „სახელმწიფო ძარცვავდა მოსახლეობას“,<sup>2</sup> პურზე მონოპოლიით წელიწადში შემოდირდა 320 ათასი ლიბი ოქრო.)

შემოღებული იქნა ახალი წესი „ეპიბოლე“, რაც ნიშნავდა, თუ ვინმე მიწას მიატოვებდა ან მიწათმფლობელის გვერდით არსებობდა დაუმუშავებელი ადგილი, იგი თუნდაც უვარგისი ყოფილიყო, უნდა მიერთებოდა მის ნაწილს. ამაში, რა თქმა უნდა, სერიოზულ თანხას იხდიდა, თუ არა და, ჯარიმდებოდა.

1 იხ. История Византии I М. 1967 გვ. 234

2 იხ. პ. კესარიელი, საიდუმლო ისტორია, გვ. 91



განსაკუთრებულ უკმაყოფილებას იწვევდა გადასახადი „პურის გამო“ „აერიკონა“, თუმცა ამ გადასახადის შესახებ ძალიან მწირი ინფორმაცია მოგვეპოვება. იოანე კაბადოკიელის მოღვაწეობის პერიოდში შემცირდა სახელმწიფო ფოსტის, სამხედრო ხარჯები, შეიზღუდა სამხედრო წოდებების მინიჭება, რათა არ გაზრდილიყო ხარჯები და ა.შ. პარალელურად იზრდებოდა მსხვილ ბანოეანთა შემოსავლები და მათ შორის თვით იოანე კაბადოკიელისაც. პრ. კესარიელი გადმოგვცემს, „იუსტინიანე თავიდან თითქოს არაფრად აგდებდა ამ ძარცვას, ხელსაყრელ დროს ელოდა და როგორც კი დიდძალი ქონება დაუგროვდებოდა, უცილობელ ბრალდებას წაუყენებდა და მთელ მათ ქონებას მიითვისებდა. ასე მოექცა იოანე კაბადოკიელს.“<sup>1</sup>

როგორც უკვე ითქვა, შ.ლ. მონტესკიე აკრიტიკებს რომისა და ბიზანტიის საფინანსო პოლიტიკაში კომერციისადმი ხელისუფლების ნიპილისტურ დამოკიდებულებას. რომაელებსა და პართიელებს შორის მეტოქეობის ერთ-ერთ მიზეზად ასახელებს კომერციის განუვითარებლობას. „მათ შორის არა კომერცია, არამედ საერთოდ, არავითარი ურთიერთობა არ იყო. პატივმოყვარეობა, შუღლი, რელიგია, სიძულვილი, ზნეები ერთმანეთისაგან აცილებდა ყველაფერს. ამგვარად, დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის კომერციას, რომელსაც მრავალი გზა ჰქონდა, მხოლოდ ერთიღა შემორჩა, ალექსანდრია იქცა ერთადერთ საპატიო პუნქტად, რამაც მისი ზრდა გამოიწვია. რაც შეეხება საშინაო ვაჭრობას საბოლოოდ, ეს იყო უპირველესად მმართველობის საგანი, ვიდრე კომერციისა.“<sup>2</sup>

საბოლოოდ, იუსტინიანეს ფულადი საფინანსო პოლიტიკა ემსახურებოდა ერთადერთ მიზანს, სავსე ყოფილიყო იმპერატორის ხაზინა. როგორც ვხედავთ, იუსტინიანეს მიერ ამ სფეროში ჩატარებული რეფორმები გაჭრილი ვაშლივით ჰგავს მის წინამორბედთა მიერ ჩატარებულ რეფორმებს, აქედან მოყოლებული, ხალხი, ნებისმიერი ქვეყნის მცხოვრებთა უმრავლესობა, ყოველთვის ნატრულობდა ისეთ ხელისუფლებას, რომელიც მათ ხარჯზე არ გამდიდრდებოდა და საკუთარ მოქალაქეებზეც იზრუნებდა, მაგრამ ამაოდ.

1 იხ. Haury, Prokop und der Kaiser Justinian BZ. 37 1937 გვ. 1-9

2 იხ. შ.ლ. მონტესკიე, კანონთა გონი, თბ. 1949 გვ. 452

## თავი ოცდამეერთე

# რომის სამხედრო სამართლის ძირითადი ინსტიტუტები

### §1. სამხედრო წყობილება კველ რომში

ბოლო პერიოდში გამოცემულ იურიდიულ ლიტერატურასა და რომის სამართლის მკვლევართა ნაშრომებში ნაკლებ ყურადღებას უთმობენ სამხედრო სამართლის სფეროში შემაჯავლი საკითხების განხილვას, იმის გათვალისწინებით, რომ რომის ისტორიაში ერთ-ერთი მასშტაბური სახელმწიფო რეფორმა უფრო სამხედრო მნიშვნელობისა იყო, ვიდრე სამოქალაქო ხასიათის. (იგულისხმება სერვიუს ტულიუსის მიერ ჩატარებული ღონისძიებები), რასაც შედეგად მოჰყვა მთელი საზოგადოების დაყოფა ცენტურიებად და ტრიბებად. მეორე – რომის იმპერია თავისი არსებობის მანძილზე იდგა არმიის (ლეგიონების) სიძლიერეზე. რომელიც აქტიურ როლს თამაშობდა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. მესამე – როდესაც რომისა და ბიზანტიის სამხედრო მანქანა მოიშალა, იმპერიამ არსებობაც შეწყვიტა, ამიტომ სამხედრო სამართლის საკითხების განხილვას უფრო მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს.

ძველი რომის სამხედრო მშენებლობა წესრიგდებოდა შემდეგი ნორმების საფუძველზე:

ა) სამართლის ნორმები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ არმიის დაკომპლექტებას. ეს იყო რომაელ მოქალაქეთა ვალდებულება – ემსახურათ არმიაში, რაც ითვლებოდა თითოეული მოქალაქის ღირსებად. სამხედრო სავალდებულო სამსახურს ექვემდებარებოდა 17-დან 45 წლამდე რომაელი მამაკაცი მოქალაქე. ქონების არმქონე პროლეტარს ჯარში არ ამსახურებდნენ. სანამდე რეგულარული არმია ჩამოყალიბდებოდა, მანამდე თითოეული მოხალისე ვალდებული იყო გამოცხადებულიყო გასაწევვ პუნქტში იარაღითა და ლაშქრობის პერიოდისთვის სამყოფი საკვებით.<sup>1</sup>

<sup>1</sup> იხ. З.М.Черниговский, Всеобщая история государства и права М.2002г. გვ 87

სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან თავისუფლდებოდნენ ის პირები, ვინც კავალერიაში მსახურობდა და 10 სამხედრო ექსპედიციაში მონაწილეობდა, ხოლო ვინც ქვეითებში მსახურობდა, მას მონაწილეობა 20 ექსპედიციაში უნდა ჰქონოდა მიღებული. 45 წელს მიღწეული პირები სამსახურს ამთავრებდნენ ზურგში. 46 წელს მიღწეულები, ვინც თავს გამოიჩინდა ბრძოლებში, თავისუფლდებოდა სამხედრო სამსახურისგან და მობილიზაციას აღარ ექვემდებარებოდა. სენატორებს უფლება ჰქონდათ, არ ემსახურათ არმიაში, მაგრამ თუკი ასეთი სურვილი გაჩნდებოდა, ამას კანონი არ კრძალავდა. რომაული სამხედრო აღჭურვილობა ძალიან ძვირი ჯდებოდა, ამიტომ სერეიუს ტულიუსმაც ქონებრივი ცენზის შესაბამისად დაავალდებულა რომის მოქალაქეები, თუ ვის რა აღჭურვილობა უნდა ჰქონოდა სამხედრო სამსახურში გამოცხადების დროს. ამ პროცესს ცენზორები ადევნებდნენ თვალს, რომელსაც თავიანთ სიებში შეჰყავდათ მოქალაქეები ქონების შესაბამისად. ამ სიებში შეტანის სამართლებრივი ძალა იურის მარცელიუსის სიტყვით „სენატის მიერ დადგენილი იყო, რომ ცენზი და სახელმწიფო სამართლებრივი აქტები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მოწმეები“. ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ სიები გადამოწმებას ექვემდებარებოდა.

ბ) სამართლის ნორმები, რომელიც უზრუნველყოფდა არმიაში მობილიზაციას, - დანიშნულების ადგილზე გამოუცხადებლობა იწვევდა დაჯარიმებას, ზოგჯერ, ქონების კონფისკაციას, სახელმწიფოებრივ სასჯელებს, გაყიდვას და მონად ქცევას.

გ) სამართლის ნორმები, რომლებიც სამხედრო სამსახურის აუცილებლობის მოტივაციებს ეხებოდა:

სხვადასხვა სახეობის ჯარში სამსახურისათვის ხელფასის რაოდენობა ერთი და იგივე იყო.

- ნორმები, რომლებითაც, სამხედრო სამსახურის გამო პიროვნებას შეეძლო მიეღწია რომის მოქალაქეობისათვის.

- ნორმები, რომლებიც აწესრიგებდნენ სამხედრო წოდების მიღებას, სამკერდე ნიშნებისა და დამსახურებების აღნიშვნას, რაც აისახებოდა სოციალურ მდგომარეობაზე.

- ნორმები, რომლებიც განსაზღვრავდნენ ლეგიონერების იმუნიტეტს, მხედველობაში მიიღებოდა და არ შეიძლებოდა დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში მათი გაგზავნა შახტებში, ჩამოხრჩობა და ჯვარზე გაკერა.

- ისეთი ნორმები, რომელთა მოტივაციით, სამხედრო მოსამსახურე

ლეგიონერი გადაყვადთ სადამსჯელო ნაწილებში, სადაც გარკვეული პერიოდი უნდა ემსახურათ. (ლეგიონერებს—20 წელი, პრეტორებს—6 წელი).

და ბოლოს, ნორმები, რომლებიც განსაზღვრავდნენ წოდებით უფროს ხელმძღვანელებთან დამოკიდებულებას, ბრძანების შესრულების წესებს, ფიცის მიღების ვალდებულებას და ა. შ. რომაელებმა სამართლებრივი ნორმების გარდა საბრძოლო ხელოვნებაც შექმნეს.

„არმიის ცალკეული ნაწილების სამართავად და გამოსარჩევად ბაი-რალებისა და ნიშების გამოყენება რომაელებმა აიყვანეს ძველი სამყაროსათვის მიუწვდომელ სიმაღლეზე“<sup>1</sup>

მტერს, როდესაც ალყას შემოარტყამდნენ, გასაქცევს აუცილებლად უტოვებდნენ. ამის ახსნა სხვადასხვაგვარი იყო. ეს მეთოდი იულიუს კეისრისათვის იყო დამახასიათებელი.<sup>2</sup>

რომაელ ლეგიონერთა სამხედრო ხელოვნებას დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა და მათ მიერ შემუშავებულ ცალკეულ მეთოდებს იყენებს სახელმწიფოს სხვადასხვა უწყება. რომაელმა სტრატეგებმა იმ ეპოქისათვის დამახასიათებელი პროგრესული სტერიოტიპებისა და ტაქტიკის შემუშავება ისწავლეს. გამარჯვებისათვის იყენებდნენ ყველაფერს, რაც მათ ირგვლივ არსებობდა.

„დაკვირვებულ სარდლებს ძველთაგანვე შემჩნეული ჰქონდათ ფრინველთა ქცევა მოწინააღმდეგის სიახლოვეს. სექტუს იულიუს ფსონტონი, რომელი სამხედრო მოღვაწე თავის „სტრატეგიებში“ ორ მსგავს შემთხვევას აგვიწერს: 1) ეტრუსკებთან ომის დროს კონსულმა ემილიუს პავემ ჩასაფრებული მოწინააღმდეგე ტყიდან ერთბაშად აფრენილი მრავალი ჩიტის საშუალებით აღმოაჩინა და გაანადგურა. 2) მზვერავთა შეცდომის მიუხედავად, ჩიტების აფრენის საშუალებით დაადგინა მტრის ადგილსამყოფელი“<sup>1</sup>

ძვ. წელთაღრიცხვის 211 წელს რომაელებმა ალყა შემოარტყეს კართაგენის მოკავშირე ქალაქს – კაპუსას, მტრისათვის რომ ალყის მოხსნა ეძიებინა, ჰანიბალმა არმია, დემონსტრაციულად, მათი დედაქალაქისაკენ – რომისაკენ დაძრა. მიუხედავად რომში ატეხილი პანიკისა (იმდროინდელი გამოთქმა „ჰანიბალ ანტი პორტას!“ „ჰანიბალი კართანაა!“ რაც დღეს იხმარება მოახლოებული საშიშროების გამოსახატავად), რომელი სარდლები ანკესს არ წამოეგნენ და ალყა არ მოხსნეს, რაც მნიშვნელოვ-

<sup>1</sup> იხ. ნ. კონარდი, სუნ-ძი. თბილისი, 2000წ. გვ52

ნად იმანაც განაპირობა, რომ მათ ჭარბი ძალები ჰყავდათ და შესძლეს რომის დაცვა და კაპუის ალყის გაგრძელება.<sup>1</sup> რომაელი სარდლები ხშირად მიმართავდნენ პარიკებს, რათა გადაცმულებს საშუალება ჰქონოდათ, ევლოთ მებრძოლებს შორის იმისათვის, რომ სცოდნოდათ ჯარში არსებული სიტუაცია, რათა შემდგომში შესაბამისი ზომები მიეღოთ. 405 წ. ჩვ.წ.ალრიცხვამდე მარკუს კამიდიუსმა ჩაატარა სამხედრო რეფორმა, შეიქმნა დაქირავებული არმია და სამსახურისათვის დაწესდა ხელფასი.<sup>2</sup>

როგორც წყაროები იტყობინება, თავიდან რომაელებმა შექმნეს 4 ლეგიონი, რომელთა შემადგენლობაში ირიცხებოდა 16000 პროფესიონალი მეომარი, ე.ი. თითოეული ლეგიონი ითვლიდა 4 000 მებრძოლს. ლეგიონი შედგებოდა ასეულებისაგან (ცენტურია), რომელსაც თავისი მეთაური ჰყავდა. რომაელი ხელისუფალნი ცდილობდნენ, მთელ შეიარაღებულ ძალებს ერთი სარდალი არ ჰყოლოდა, მაგრამ ეს ყოველთვის არ ხერხდებოდა. ამის მიზეზი იყო ჯარების სწრაფვა, ხელისუფლებაში მათთვის სასურველი პირი ყოფილიყო. გარდა ამისა, როგორც ვიცით, ჯარში სამსახურის უფლება ყველას არ ჰქონდა და იქ ღირსების მატარებელი რომაელი მოქალაქეები მსახურობდნენ. რაც დრო გადიოდა, დაპყრობითი წარმატებული ომები ლეგიონების გაზრდასაც ითხოვდა და ბოლოს, მათი რიცხვი ორჯერ და მეტჯერ გაიზარდა. რომის არმია შემდეგი დანაყოფებისაგან შედგებოდა:

1. ცხენოსნები
2. მძიმედ აღჭურვილი ქვეითები
3. მსუბუქად შეიარაღებული ქვეითები
4. მშვილდოსნები და ე.წ. არტილერია
5. საინჟინრო მოწყობილობათა უზრუნველყოფის დანაყოფი
6. ზურგის დამხმარე პერსონალი

სამხედრო მექანიზმების სისტემაში შედიოდა დამზვერავი სამსახური, რომლის ორგანიზაცია კარგად ისწავლა რომის სამხედრო ელიტამ. ოდითგანვე ზრუნავდნენ რომაელი თვითმპყრობელები, დროულად და ყოველგვარი შეფერხების გარეშე მიეღოთ ინფორმაცია, თუ რას ფიქრობდა მტერი, როგორი იყო მისი სამხედრო შეიარაღება, მეომართა რაოდენობა და საბრძოლო სულისკვეთება. ასევე, ხელქვეით ქვეყნებში სახელმწიფო მოხელეთა ხელშეწყობით ხომ არ მზადდებოდა აჯანყება,

<sup>1</sup> იქვე გვ 182

<sup>2</sup> იხ. О. А. Кудинов, Римское право, М. 2007г гв 112

ან სხვა გაუთვალისწინებელი მოვლენები. ამისათვის საიდუმლო სამსახურის მზევარები სახელმწიფოსაგან გასამრჯელოს ღებულობდნენ და მათი საქმიანობა უადრესად გასაიდუმლოებული იყო, მათ მიერ მიწოდებული ინფორმაცია კი კონფიდენციალური, რაზეც ხელი ბევრს არ მიუწვდებოდა!

კართაგენტან ომის დაწყებამდე რომის შეიარაღებული ძალები შედგებოდა:

ქვეითები - 293 200

ცხნოსნები - 26100

325 300 კაცი

მოკავშირეთა ძალები:

ქვეითები - 360 000

ცხნოსნები - 63 000

432 000 კაცი

რომის არმიაში ფიცის დაცვა უპირველეს მოვალეობად ითვლებოდა.

კონსულმა კვინქციუს ცინცინატიუსმა მოისურვა, ქალაქში ჯარი შეეკრიბა ეკვებისა და ვოლსკების წინააღმდეგ. ტრიბუნებმა მას მხარი არ დაუჭირეს. „კარგი - თქვა მან - ყველა, ვინც ფიცი მისცა გასული წლის კონსულს, გამოჰყვება ჩემს დროშებს, ტრიბუნები ამოდ ღალატდებდნენ, ეს ფიცი არავისათვის სავალდებულო არ არისო, იგი მაშინაა დადებული, როცა კვინციუსი კერძო პირი იყო. ხალხი იმათზე უფრო მორწმუნე აღმოჩნდა, ვინც მის ბელადობას ცდილობდა, ყური არ ათხოვა არც ტრიბუნთა ამ სიტყვებს და არც თავისი ფიცის მათებურ ინტერპრეტაციას.

კანესთან ბრძოლის შემდეგ შეშინებულ ხალხს სიცილიაში გახიზვნა სურდა. სტიპიონმა მათ ფიცი დაადებინა, რომ რომში დარჩებოდნენ: ამ ფიცის დარღვევის შიში ყველა სხვა შიშზე ძლიერი აღმოჩნდა. როცა იმავე ხალხმა წმინდა მთაზე გასვლა მოინდომა, იგი დააკავა კონსულებისადმი მიცემულმა ფიცმა და აიძულა გაჰყოლოდნენ მათ საომრად. ხალხმა განიზრახა კონსულთა მოკვლა, მაგრამ მათ როდესაც აუხსნეს, რომ ამით ფიცი არ უქმდებოდა, განზრახვაზე ხელი აიღეს. მათ მიერ ჩაფიქრებული ქმედების მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, თუ როგორ უყურებდნენ ისინი ფიცის დარღვევას.

1 იხ. პ. კესარიელი, საიდუმლო ისტორია, თბ. 1983წ. გვ. 112

ცოტა მოგვიანებით, ლეგიონი ითვლიდა 45000 მებრძოლს, აქედან 3000 იყო მძიმედ შეიარაღებული, 300 – ცხენოსანი მხედარი და 1200 – მსუბუქად შეიარაღებული. მძიმედ შეიარაღებულები თავის მხრივ იყოფოდნენ სამ ჯგუფად: უმცროსებს ეწოდებოდა გასტატები (პასტატე); საშუალო ასაკის ადამიანებს – პრინციები (პრინციკეს) და უფროსი ასაკის მებრძოლებს – ტრიარიები (ტრიარიი). გასტატები და პრინციები ლეგიონში 1200 კაცს შეადგენდნენ, ხოლო ტრიარიები 600-ს. თავიდან, ლეგიონი შედგებოდა ასეულებისაგან; შემდგომში კი 30 მანიპულიებისაგან; თავის მხრივ, მანიპული შედგებოდა ორი ცენტურიისაგან. ცენტურიებს მეთაურობდა ასმეთაური, ე.ი. მანიპულში შემავალ მარცხენა და მარჯვენა ფრთების ასეულებს ორი ასმეთაური ხელმძღვანელობდა. ზოგიერთ შემთხვევაში, ორი ასმეთაური ხელმძღვანელობდა მანიპულსაც. თითოეული ლეგიონის ცხენოსნები იყოფოდნენ ათეულებად, თითოეული 30 ცხენოსნით. <sup>1</sup>

ჯარს მეთაურობდა სამხედრო ტრიბუნი, რომელსაც თავიდან კონსული ნიშნავდა, შემდეგ კი სახალხო კრება ირჩევდა. ბრძოლის ველზე შეტევას იწყებდა მსუბუქად შეიარაღებული ფეხოსნები (ელიტეს), რომლებიც მოტივირებულნი იყვნენ, მიეღოთ პირველი დარტყმა და შემდეგ განაწილებულიყვნენ ფლანგებზე, სადაც განთავსებული იყო ცხენოსანი ნაწილები. შემდეგ, ბრძოლებში ებმებოდნენ გასტატები, შემდეგ, პრინციები და განსაკუთრებულ შემთხვევაში – ტიარიები.

საბრძოლო აღჭურვილობაში შედიოდა მახვილი, ცხენები. თავდაცვისათვის გამოიყენებოდა ფარები, ლითონის ჩაფხუტები და მუზარადი.

რომის შეიარაღებული ძალებისათვის დიდ როლს თამაშობდა დაბანაკებული ჯარის გამაგრების ორგანიზაცია, შემუშავებული, წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით. ეს ემსახურებოდა უკან დახევის შემთხვევაში, ღამის გათევის ფუნქციას და ასევე, წარმოადგენდა საყრდენ-სამართავ პუნქტს ყველა სამხედრო ოპერაციის დროს.<sup>2</sup>

რომაული არმიისათვის დამახასიათებელი იყო მკაცრი დისციპლინა. ის არ ებმებოდა რომში მიმდინარე პოლიტიკურ და სოციალურ ბრძოლებში. ლაშქრობების დროს ჯარისკაცი ემორჩილებოდა მისი უშუალო უფროსის ბრძანებას. დისციპლინა შენარჩუნებული იყო მკაცრი სასჯელების წყალობით. ჩვ.წ. აღრიცხვით ტექტობუნის ტყეში გერმანელ ტომებთან რო-

<sup>1</sup> იხ. В. С. Сергеев, Очерки по истории Древнего Рима М. 1938г. გვ 75

<sup>2</sup> იხ. Н. А. Машкин. История древнего Рима. М. 1937г. ст. 131.

მაელთა მარცხის შემდეგ პუბლიუს კვანტილიუსის გადაწყვეტილებით, ნებით განთავისუფლებულ პირებს სამხედრო სამსახურებში გასვლის უფლება მიეცათ, რომლებსაც რომის მოქალაქეობა არ გააჩნდათ, ეს გამოწვეული იყო ლეგიონთა შემცირებით, არმიის მეთაურს, იქნებოდა ეს კონსული, პრეტორი, მით უმეტეს, დიქტატორი, შეეძლო თავისი სურვილისამებრ, სიკვდილით დაესაჯა ყველა დამნაშავე პირი. რომის საზღვრების გარეთ მყოფებს არ შეეძლოთ აქელაციით მიემართათ სახალხო კრებისათვის. ძველი სამართლის წყაროებში მითითებულია, რომ რომის არმიას ზმირად უერთდებოდნენ თავისუფალი ადამიანები, რომლებიც დაინტერესებულნი იყვნენ რომის ბედით ან პირადი გამორჩენის სურვილით, როგორც ამას სტრაბონი ამბობს, ცდილობდნენ გამდიდრებას.<sup>1</sup>

ლიტერატურულმა წყაროებმა შემოგვინახა ცნობები, საიდანაც ირკვევა, რომ არმიას ომის დროს თან მოჰყვებოდნენ დიდი რაოდენობით სახელმწიფო მონები. მათი მოვალეობა იყო: სამხედრო ადალის მონახულება, ომის დროს გზებისა და ხიდების მშენებლობა, სამხედრო დანიშნულების პირუტყვის მოვლა და სხვა საერთო საქმეთა შესრულება არმიაში, მაგრამ ამ სახელმწიფო მონების გარდა იყვნენ კერძო მონებიც, რომელნიც რომაელ მოქალაქეებს თან ახლდნენ ლაშქრობაში და იქ მათ პირად სამსახურს უწევდნენ: მიჰქონდათ პატრონის საბრძოლო იარაღი და სამხედრო კარავის მოწყობილობა, ხელის წისქვილზე უფქვადნენ ხორბალს და უცხობდნენ პურს, უვლიდნენ მის ცხენს (თუ ბატონი მხედარი იყო), მის მაგიერ მუშაობდნენ სამხედრო ბანაკის აგებაზე და უწევდნენ ბატონს სხვა წვრილმან პირად სამსახურს.

როგორი რაოდენობით ახლდნენ კერძო მონები თავიანთ პატრონებს ლაშქრობაში, ამის შესახებ ცნობას გვაწვდის ახ. წ. I ს. მცხოვრები ვალერიუს მაქსიმე, იგი წერს, რომ თუ კატონ უფროსს (234-149წწ.), როცა ის ესპანეთში იბრძოდა, სამი მონა ჰყავდა თან, კატონ უმცროსს (95-46წწ.) სამოქალაქო ომის დროს თან ახლდა 12 მონა. მონების ეს რიცხვი, წერს იგი, მართალია, მეტია, ვიდრე კატონ უფროსს ჰყავდა, „მაგრამ, თუ ჩვენ იმ დროის ჩვეულების მიხედვით ვივარაუდებთ, მეტად მცირეა.“

იუსტინიანეს იმპერატორობის დროს სახელმწიფო საზღვრებს იცავდა „სასაზღვრო ნაწილები, ხოლო სასახლეს იცავდა 3500 კაცი, რომლებსაც „სქოლარიოსებს“ უწოდებენ.

<sup>1</sup> Strabon-Geographick. V, 3,1



პროვინციების ექსპლუატაციამ ნობილიტეტთან ერთად წარმოშვა რომის „მესამე წოდება“ – მხედრობა. II ს. ჩვ. წ. აღ-მდე მათ თითქმის შეცვალეს ცენტურიები. „მხედარი“ შეიქმნა მდიდარი კაცის სინონიმად და არა არისტოკრატის. მხედრობის ისტორიის წარმოშობა, ისევე როგორც სენატის ოლიგარქიისა, დაკავშირებული იყო რესპუბლიკის პერიოდის რომის ტერიტორიული გაფართოებით და ეკონომიკური გაძლიერებით. მხედრების მოღვაწეობას ეკონომიკურ სფეროში ეწოდებოდა (ფენერდითო) მევახშეობა, საიდანაც იღებდნენ საკმარაო რაოდენობის პროცენტებს.

სოციალურ კიბეზე ნობილები და მხედრები აღმოჩნდნენ მონათმფლობელურ რომში უმაღლეს საფეხურზე. „მხედრების“ პოლიტიკურმა პრეტენზიებმა ბუნებრივად გამოიწვია მათი სენატთან დაპირისპირება. სულ მალე, ნობილებსა და მხედრებს შორის წარმოიშვა უთანხმოება სასამართლო კომისიების გამო (ქულისტიონეს პერპეტუერე). ამ დაპირისპირებებში უპირატესობა მოიპოვეს მხედრებმა და ხელში ჩაიგდეს სასამართლო ხელისუფლება, რომელიც ადრე სახალხო კრებებს ეკუთვნოდა.

143 წელს ჩვ. წ. აღ-მდე სახალხო ტრიბუნის ლუციუს პიზონის ინიციატივით შეიქმნა მუდმივი სასამართლო კომისიები, პროვინციებისა და ამ მიმართულების საქმეების საწარმოებლად. 145 წელს შეიქმნა ანალოგიური კომისიები სისხლის სამართლის საქმეების საწარმოებლად (მკლელობების, მოწამვლების, მექრთამეობის, გაფლანგვების და ა.შ.). ყველაფერმა ამან, რა თქმა უნდა, სენატის ფუნქციები შეასუსტა და გააძლიერა ნობილები და მხედრები.

122 წ. გაიუს გრაკუსმა სახალხო კრებას წარუდგინა კანონპროექტი სასამართლოების შესახებ, რომელიც ითვალისწინებდა „მუდმივ კომისიებში“ თანაბარ ადგილებს ნობილებსა და მხედრებს შორის, ანუ 300 კაცს თითოეულის მხრიდან. ამის შემდეგ გაიუს გრაკუსი უფრო შორს წაიდა და სენატორები საერთოდ გამორიცხა ნაფიც მსაჯულთა რიგებიდან და სასამართლო მთლიანად გადავიდა მხედრების ხელში, რაც ნობილებისა და სენატისათვის უდიდესი დარტყმა იყო. „მე ერთი დარტყმით მოვსპე სენატი“ ეს სიტყვები ეკუთვნის გაიუს გრაკუსს.<sup>1</sup>

„მხედრების“ გავლენა და ავტორიტეტი შემდგომ პერიოდშიც ვრცელდებოდა. მათ განიხილავდნენ როგორც ქ.რომის „წოდებას“. ისინი წარ-

<sup>1</sup> იხ. В.С.Сергеев. Очерки по истории Древнего рима М.1938г. გვ 181

მოადგენდნენ მხედრობის ცნობილი გვარების შთამომავლებს. იმპერიის პერიოდში კი მოხდა მათი შერწყმა როგორც პროვინციებში, ასევე იტალიის კეთილშობილთა გვარებთან. ამ პერიოდში მხედართა წოდებას ეკუთვნოდნენ არა მარტო ის მოქალაქენი, რომელთაც ხაზინა აძლევდა ცხენს (equites equeo publico) და არჩევნებში ცალკე მონაწილეობდნენ, არამედ ყველა ის მოქალაქე, რომელსაც მხედრებისათვის დაწესებული ცენზი, კერძოდ 4000 000 სერტერციუმის ქონება გააჩნდა.<sup>1</sup> მხედრობის უდიდესი ნაწილი წარმოადგენდა რომის არმიის შევსებას. გარდა ამისა, ისინი მრავალ თანამდებობას იკავებდნენ იმპერიის კანცელარიაში. მხედრის წოდებას ღებულობდნენ ისეთი თავისუფალი პროფესიის ადამიანები, როგორც იყო იურისტი, რიტორი და საზოგადოებრივი დარგის ესა თუ ის მეცნიერი. ამის მაგალითია დიდი იურისტი და მოაზროვნე ციცერონი, რომელიც ძვ.წ.აღ. 90 წელს სამხედრო სამსახურშია, მონაწილეობს ომებშიც, თავდაპირველად პომპეუს სტრაბონის, ხოლო შემდეგ სულას სამხედრო ნაწილებში.<sup>2</sup>

მხედრის ყველაზე მაღალ კარიერად ითვლებოდა პრეფექტად დანიშვნა. ავგუსტიუსის დროს ასევე ითვლებოდა პრეტორისა და ეგვიპტის პრეფექტის თანამდებობა.<sup>3</sup>

მხედრობის წოდება ხშირად მოიაზრებოდა, როგორც საფეხური სენატორის გზაზე. იმპერიის პერიოდში კიდევ უფრო იზრდება “მხედრების” ავტორიტეტი და მნიშვნელობა, რადგანაც საიმპერატორო ხელისუფლების განმტკიცების ერთ-ერთ გარანტიად იქცა. მათი სამოქალაქო დევიზი იყო, რომ „საკითხი ეხება არა იმის დამხობას, ვინც ბატონობს, არამედ ბატონობის დამხობას. საჭიროა ხელისუფლება რაც შეიძლება მალე დაუბრუნდეს მმართველობის ჩვეულებრივ წესს, რომლის დროსაც კანონები ყველაფერს იცავენ და არავის წინააღმდეგ არ მხედრდებიან.“<sup>4</sup>

უფრო მეტიც, მხედრობის გზამ მიიყვანა იუსტინე I იმპერატორის სავარძლამდე (და არა მარტო იუსტინე). წყაროები 199-235 წლებს „ჯარისკაცი იმპერატორების“ ეპოქად მოიხსენიებს, იმის გამო, რომ ხელისუფლებას არმია აკომპლექტებდა.

1 იხ. ვ. აბაშმაძე, ნარკვევები პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან თბ. 1997წ.გვ 413

2 იქვე

3 იხ[ H. A. Машкин, История Древнего Рима. 1947г. ст. 48

4 იხ. შ.ლ. მონტესკიე, კანონთა გონი თბ.1994წ.გვ 228

ძველი რომის სახელმწიფო, რადგანაც თავიდანვე სამხედრო ძალას ეყრდნობოდა, თავად იყო დაინტერესებული, შეექმნა შესაბამისი სამართლის ნორმები,<sup>1</sup> რადგანაც ამ სფეროში აღრინდელი წესები ნამდვილად არ გამოდგებოდა. შეიძლება ასეთი აზრის შემოტანაც, სახელმწიფოს მიერ საჯარო სამართალში მიღებული პირველი ნორმები სწორედ სამხედრო სამართალთან იქნებოდა დაკავშირებული. გარდა ამისა, სახელმწიფო სტრუქტურები ხომ თითქმის ნახევრად სამხედრო დანიშნულებისა იყო და მათი „სამართლიანობით შემოსვა“ საჭირო იყო თავისუფალ რომაულ მოქალაქეთა თვალში. (ე.ი. (აქ საუბარია თვითონ სახელმწიფოს მიმართებაზე სამხედრო კანონებთან დაკავშირებით.) მაგ. რომის წინააღმდეგ მებრძოლი არმიის სარდლის მოწამელის გზით თავიდან მოცილება კანონით იყო აკრძალული, თუმცა, ამ მეთოდს რომი მაინც იყენებდა. პომპინიუსის აზრით, არ შეიძლებოდა მოწინააღმდეგე მხარის პარლამენტიორთა მიმართ რაიმე სახის ძალადობის გამოყენება, მტრისადმი მიცემული სიტყვის გატეხვა, მითუმეტეს ფიცის დარღვევა. ფიცს ამ ხალხში უდიდესი ძალა ჰქონდა, ვერაფერი ისე ვერ აიძულებდა მას კანონთა დაცვას, როგორც ფიცი. ამ ხალხმა მრავალი კანონი შეიუშუშა ამათ თაობაზე და მრავალი ისეთი რამ ქმნა ფიცის არგასატეხად, რასაც არასოდეს არ იქმნოდა არც ღიღებისათვის და არც სამშობლისათვის,<sup>1</sup> —წერს შ.ლ. მონტესკიე.

(სამხედრო სამართლის ნორმების შემუშავებაში აქტიურ როლს ასრულებდნენ სწავლული იურისტები. ამიტომ ისინი გულწრფელად ცდილობდნენ, რომის სამხედრო სამართალი სამართლიანი ყოფილიყო, თავისი მოსაზრებები ნათლად აქვს ჩამოყალიბებული ციცერონს, რომელიც ერთმანეთისაგან განარჩევდა სამართლიან და უსამართლო ომებს. რომაელი ისტორიკოსები, ლიბიური, პლუტარქე, პოლიდიუსი და სხვები, რომლებიც გვაძლევენ ცნობებს არა მარტო საბრძოლო ხერხებისა და მხედართმთავართა ნიჭის შესახებ, არამედ იმ დროის ტექნიკური აღჭურვილობისა და ინჟინრული აზრის შესახებ. ამიტომაც, ძველ რომში ომებთან დაკავშირებით არა მარტო სამართლის ნორმები, არამედ საინტერესო კონცეფციებიც ჩამოყალიბდა. ასე მაგ.: ბიზანტიელ მხედართმთავარს ველისარიუსს მიაჩნდა, რომ „ყველაზე სრული და საინტერესო

<sup>1</sup> იხ. შ.ლ. მონტესკიე, კანონთა გონი, თბ. 1994წ. გვ. 148

გამარჯვება მდგომარეობს იმაში, რომ ყოველგვარი დანაკარგის გარეშე უარი თქვა საკუთარ მიზნებზე.“<sup>1</sup>

ციცერონი „ტრაქტატში ვალდებულებების შესახებ“ ყურადღებას ამახვილებს შემდეგ პრიორიტეტებზე, რაც უნდა გაეთვალისწინებინა რომის ხელისუფლებას რომის სახელმწიფოს აგრესიული პოლიტიკის გამართლების მიზნით. ციცერონი იმასაც აღნიშნავს, რომ სახელმწიფო არ უნდა იყოს სამართლიანობის მონა, რომ საჭიროების შემთხვევაში არ უნდა მოერიდოს უსამართლო მოქმედებასაც.

ამრიგად, ერთი სახელმწიფოს მიერ მეორის დაპყრობა და სხვა ხალხების დამონება, ციცერონს სავსებით ნორმალურ მოვლენად მიაჩნია, თუმცა იგი წინააღმდეგია ბარბაროსული ომებისა, როცა ნადგურდება ქალაქები, მშვიდობიანი მოსახლეობა, ტაძრები და ა.შ. ამგვარად, ომები ღმერთების შეურაცყოფაა. წინააღმდეგობანი სახელმწიფოთა შორის, როგორც წესი, მშვიდობიანი გზით უნდა გადაწყდეს: „არსებობს დავის გადაწყვეტის ორი საშუალება, ერთი—მოლაპარაკების გზით, მეორე— ძალით, ამასთან ერთად, პირველი დამახასიათებელია ადამიანებისათვის, მეორე, ველური მხეცებისათვის. მეორე საშუალებას უნდა მივმართოთ მაშინ, როცა პირველის გამოყენება შეუძლებელია.“<sup>2</sup> ომის მიზანია მშვიდობის დამყარება.

(ციცერონი ერთმანეთისაგან ასხვავებს სამართლიან და უსამართლო ომებს.) სამართლიანი ომების ცნებას განსაზღვრავს შრომებში „სახელმწიფოს შესახებ“ და „ვალდებულებათა შესახებ“. (მისი მტკიცებით, „სამართლიანი შეიძლება იყოს მხოლოდ ომი, რომელსაც აწარმოებენ მოთხოვნათა წარდგენის შემდეგ, ანდა, როცა ომი წინასწარ გამოუცხადეს და აცნობეს ერთმანეთს.<sup>3</sup> არცერთი ომი არ ითვლება სამართლიანად მისი წინასწარ გამოცხადებისა და შეტყობინების გარეშე და ამასთან ერთად, თუ იგი დაწყებული არ არის მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ შეუსრულებელი მოთხოვნების გამო.)<sup>4</sup>

(რაც შეეხება უსამართლო ომებს, ასეთად უნდა ჩაითვალოს „ომები, რომლებიც უსაფუძვლოდ იწყება) რადგან, თუ არ არსებობს საფუძველი შურისძიებისა, ანდა მტრის თავდასხმის მოგერიების აუცილებლობისა, მაშინ შეუძლებელია სამართლიანი ომის წარმოება.“<sup>4</sup>

1 Цицерон, Об обязанностях, I, 36

2 Цицерон, О Государстве, III, 35

3 იხ. Цицерон, О Государстве, III, 35

4 იხ. ვ. მეტრეველი გ. ღაიითაშვილი, პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია, თბ. 1994წ გვ. 48.

„ეკლდებული ხარ ომის დაწყების შემთხვევაში გქონდეს სამართლიანი მიზანი“ – ცოსუს ბელლი (ომის საბაბი).<sup>1</sup>

<sup>1</sup> – საომარ ოპერაციებში ჩაბმა შეიძლება მაშინ, როცა აუცილებლად გამოაცხადებ საომარ მდგომარეობას.

– ომის წარმოების პროცესში არ უნდა ჩაიდინო კანონსაწინააღმდეგო ქმედებები (მაგ. არ უნდა დაარღვიო მტრისთვის მიცემული პირობა).

– ომის დამთავრების შემდეგ დამარცხებულ მოწინააღმდეგეს არ უნდა წაართვა სიცოცხლე, თუ იგი ომის დროს არ იყო სასტიკი.

– რომის სამხედრო სამართალში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ნორმებს, რომლებიც აწესრიგებდნენ დამარცხებულთან ურთიერთობებს.<sup>5</sup> მაგალითად, კანონის თანახმად, ქალაქი, რომელსაც რომაელები დასაპყრობად მიადგებოდნენ და თავისი ნებით ჩაბარდებოდა, აღარ ექვემდებარებოდა დარბევას.<sup>1</sup>

– რომაული სამხედრო სამართლით, თუკი მოწინააღმდეგე გადავიდოდა პარტიზანულ თავდასხმებზე, მათ მოქმედებას უტოლებდნენ ყაჩაღურ თავდასხმებს და მათი დევნა ხდებოდა სისხლის სამართლის კანონმდებლობით.

ციცერონის აზრით, დაპირისპირებულ მხარეთა შორის „არსებობს დავების გადაწყვეტის ორი საშუალება, რაზედაც უკვე ითქვა. ციცერონის ამ მსჯელობიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ იგი ომის წინააღმდეგია, მაგრამ არ გამორიცხავს რომაელებში დამკვიდრებულ აზრს, რომელსაც იურიისტი ულპიანეც უსვამს ხაზს – „ძალას უნდა დაეუპირისპიროთ ძალა.“<sup>1</sup>

იგივე ციცერონი ამბობს, „ომის დროს კანონები დუმს.“ ამ და სხვა კითხვების ამოხსნას ეცადა „საერთაშორისო კუმანიტარული სამართლის“ ავტორი ჰანს-პეტერ გასერი, რომელიც ასკვნის, ომი ძალადობის უხეში და პრიმიტიული გამოვლინებაა. როდესაც სახელმწიფოებს არ ძალუმთ, ან არ სურთ უთანხმოებისა და დავის მოლაპარაკების გზით გადაწყვეტა, მაშინ იარაღს მიმართავენ. ტანჯვა და მძიმე მატერიალური ზარალი ომის უცილობელი შედეგია. იგი თავისი არსით ბოროტებაა,<sup>2</sup> რა დროსა და ეპოქაშიც არ უნდა წარმოებდეს ის მისი უარყოფითი და საშინელი შედეგებით. სახელმწიფოებს ავალდებულებს, არ დაუშვას ომების შესაძლებლობა, რადგან იგი უმართავი და უკონტროლო შეიძლება გახდეს, რასაც შეიძლება მოჰყვეს დედამიწის, როგორც პლანეტის ყოფნა-არყოფნა, ამიტომაც, თა-

<sup>1</sup> იხ. Цицерон, Марк. Об обязанностях-кн.2 XIV, 48

<sup>2</sup> იხ. პ.პ. გასერი, საერთაშორისო კუმანიტარული სამართალი, თბ. 1999წ. გვ II

ნამედროვე საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი კატეგორიულად კრძალავს ომის დაწყებას საერთოდ ან წინაწარ გამოცხადების გარეშე, რომელსაც სამხედრო მოქმედების დაწყების შესახებ მოტივირებული განცხადების ან ულტიმატუმის სახე უნდა ჰქონდეს. აგრესორების მიერ ომის გამოუცხადებლად დაწყება ამძიებს მის დანაშაულს. სახელმწიფოს მიერ ომის გამოცხადება დაიშვება, მხოლოდ როგორც აგრესიის საპასუხო აქტი. ამ შემთხვევაში არ ვმსჯელობთ მის იურიდიულ შედეგებზე, ასე რომ თანამედროვე ჰუმანიტარული სამართლის ნიშნები მოიძებნება ჯერ კიდევ ძველი რომის სამხედრო სამართალში.

გვინდა ერთი ვარაუდიც გამოეთქვათ, საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში ვხედებით „სამხედრო მოქმედების თეატრის“ კონცეფციას, რაც გულისხმობს, რომ „სამხედრო მოქმედებანი მხარეთა შორის შეიძლება წარმოებდეს მხოლოდ მათი ტერიტორიის ფარგლებში.“<sup>1</sup> ბუნებრივია, იმ სახელმწიფოების ტერიტორია, რომლებიც ომში არ მონაწილეობენ, ხელშეუხებელია მეომარი სახემწიფოებისათვის. ძველმა რომაელებმა ისეთი ტერიტორიებიც განსაზღვრეს, სადაც ლეგიონებს შესვლა და ყოფნა ეკრძალებოდათ, ასევე, სამხედრო ხელოვნება სწორედ თეატრალურ სანახაობამდე აიყვანეს და გასაკვირიც არ არის, რომ ამ კონცეფციის სათავე სწორედ ძველი რომის სამხედრო სამართალში ვეძებოთ.

---

<sup>1</sup> იხ. ლ. ალექსიძე, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბ. 1998წ.გვ 306

#### §4. სამხედრო დანაშაული და პასუხისმგებლობის სახეები

სამხედრო დანაშაულის განსაზღვრებას რომის სამართალში ვხვდებით დიეგესტების 49-ე წიგნის მე-16 ტიტულში. რომაელ იურისტებს სამხედრო დანაშაულად მიაჩნდათ „ყველაფერი, რაც არღვევს საერთო წესრიგის მოთხოვნებს. როგორცაა: დანაშაულებრივი სიმხდალე, უღირსობა.“ სამხედრო დანაშაულის სისტემაში განსხვავდებოდა: ა) ქმედებანი, რომლებიც წარმოადგენდა სისხლისსამართლებრივ დანაშაულს, თუ მას ჩაიდენდა სამხედრო მოსამსახურე. ბ) უშუალო სამხედრო დანაშაული, რომელსაც ჩაიდენდა მხოლოდ და მხოლოდ სამხედრო მოსამსახურე, როგორც დანაშაულის სპეციალური სუბიექტი. გ) ჩადენილი დანაშაული, რომელიც მიმართული იყო სამხედრო დისციპლინის წინააღმდეგ არა სამხედრო მოსამსახურის მიერ (მაგ. შვილის არ გაშვება სამხედრო სამსახურში მშობლის მიერ).

სამხედრო დანაშაულის სახეებად ითვლებოდა 1) სამხედრო სამსახურში უკანონო მოწყობა. 2) სამხედრო სამსახურისათვის თავის არიდება. 3) შუამდგომლობა სამხედრო სამსახურისათვის თავის ასარიდებლად. 4) თვითნებური წასვლა. 5) დეზერტირობა. 6) ღალატი და მტრის მხარეზე გადასვლა. 7) საქციელი, რომელიც უტოლდება მტრის მხარეზე გადასვლას. 8) დაუმორჩილებლობისაკენ სამხედროების წაქეზება. 9) ზემდგომი უფროსის ბრძანების შეუსრულებლობა და დაუმორჩილებლობის სხვა გამოვლენა. 10) თანამებრძოლისათვის სხეულის დაზიანების მიყენება. 11) ბრძოლის ველიდან გაქცევა.

შესაბამისად, გათვალისწინებული იყო აკრძალვები და სასჯელები:

1. სამხედრო სამსახურში შესვლის უფლება არ გააჩნდათ მონებს, შინამოსამსახურე პირებს, კოლონებს, სისხლის სამართლის დამნაშავეებს, გაურკვეველი წარმომავლობის მქონე პირებს. პირები, რომლებიც ტყვეობაში იმყოფებოდნენ, პირები, რომლებიც მოპასუხის რანგში ემალებოდნენ სასამართლოს.

2. დასჯილთა სპეციალურ სამსახურებში ჩართვა.

3. ემუქრებოდათ გაძევება და ქონების კონფისკაცია.

1. გათანაბრებული იყო მაწანწალობასთან და ზდებოდა მათი ნაწილებში დაბრუნება.

2. გაიგივებული იყო ნაწილიდან სამუდამო გაქცევასთან ომის პერიოდში და განმეორებითი გაქცევა ისჯებოდა სიკვდილით. დეზერტირობას უთანაბრებოდა მეომრის მიერ მისი აღჭურვილობის დაკარგვის შემთხვევა.

3. უთანაბრდებოდა მტრის სტატუსს, დაკავების შემთხვევაში ელოდებოდა წამება და სიკვდილით დასჯა, იმ მეთოდების გამოყენებით, რაც მტერთან მოქცევისათვის იყო დაშვებული.

4. ასეთი საქციელის ჩადენად ჩათვლებოდა საყარაულო სამსახურის შეუსრულებლობა, ძილი საგუშაგოზე, ამ მიზეზით ტყვედ ჩაყარდნა.

5. ამ ბრალდების კვალიფიკაციის საფუძველი იყო მოწოდება სამსახურის შეუსრულებლობაზე, ამბოხებაზე, ცენტურინის მოთხოვნის შეუსრულებლობა და ა.შ. ასეთი ქმედებები ისჯებოდა სიკვდილით.

6. აქსიომად ითვლებოდა ბრძანების შეუსრულებლობა და თვითნებობა, თუნდაც ასეთი ქმედება გამარჯვებით დამთავრებულიყო. ასე მაგ: ცნობილმა რომაელმა ტიტმანდიუსმა 340წ. ჩვ.წ.აღ-მდე სიკვდილით დასაჯა საკუთარი შვილი. მისი დანაშაული იყო საბრძოლო რიგის დატოვება და მტრის ერთ-ერთ ხელმძღვანელთან შებმა. დიქტატორმა კურსორმა სიკვდილით დასაჯა ფაბიუს რულლა, ცხენოსანთა მეთაური, რომელმაც არ შეასრულა მისი ბრძანება და თვითნებურად ჩაერთო მტერთან ბრძოლაში და გაიმარჯვა. თანამდებობით ის მეორე იყო დიქტატორის შემდეგ.

7. სამხედრო საიდუმლოების გაცემა გათანაბრებული იყო ღალატთან და ისჯებოდა სიკვდილით.

8. ბრძოლის ველიდან გაქცეულებს სჯიდნენ მწყობრის წინ. ნებისმიერი გაქცევა კვალიფიცირდებოდა როგორც პირველი გაქცევა, რამაც დანარჩენების ბრძოლისუნარიანობა დააქვეითა. თუ პირმა გადალახა ბრძოლის პირველი ხაზი, ასევე სარეზერვო ხაზი და მთლიანად არ დაუტოვებია ბრძოლის ველი უწესებდნენ სხეულებრივ სასჯელს.

არმიის სარდალს ჯარიაკაცისა და ოფიცრის სიკვდილით დასჯის უფლება ჰქონდა. განსაკუთრებულ შემთხვევაში სამხედრო დისციპლინის დაღვევისათვის გამოიყენებოდა „დეციმაციის“ პრინციპი, სჯიდნენ ყოველ მეთე ჯარისკაცს დამღვევის დანაყოფიდან,<sup>1</sup> რაც თავისთავად, „დისციპლინის“ განმტკიცებას ემსახურებოდა, რათა სხვის გამო თითონაც არ დასჯილიყვნენ. და ბოლოს, რომაული ხელოვნების თეორიულ საყრდენს წარმოადგენდა სპეციალურად დაწერილი ტრაქტატები, რომელთაგან განსაკუთრებული მნიშვნელობისაა რომაელი მოაზროვნის, იოანე ლავრენტიუს ლიდიელის თხზულება „მაგისტების შესახებ.“ „ე. მაგისტრატებუს ოპული ღომანი“ რომელიც 559 წელს დაამთავრა, მას ისტორიკოსები პროკოფი კესარიელის „საიდუმლო ისტორიას“ ადარებენ. ტრაქტატს ადმინისტრაციულ-სამხედრო მნიშვნელობა გააჩნდა.

<sup>1</sup> იხ. З.М. Черниловский, Всеобщая история государства и права М. 2002г. გვ 86-87



ბიზანტიური არმიისათვის ფასდაუდებელი იყო VI-VII საუკუნეებში შექმნილი ტრაქტატი სამხედრო ხელოვნების შესახებ, „სტრატეგიკონის“ სახელწოდებით, რომლის შემქმნელი არის ფსევდონიუს-მაერიკიოსი, რომლის შესახებაც ბევრი არაფერია ცნობილი. მის ნაშრომში მრავალი საინტერესო მოსაზრებაა გამოთქმული, რომლითაც ხელმძღვანელობდნენ ბიზანტიელი სტრატეგოსები. ამ ნაშრომის ღირსებას წარმოადგენს ის, რომ შედარებითი მეთოდის გამოყენებით განხილულია სპარსელების, ავარიების, თურქების, ფრანკების, ლანგობარდების და სხვა ბარბაროს ხალხთა ბრძოლის მეთოდები, ეს მათი ანალიზის ფონზე ბიზანტიური არმიისათვის იძლევა სტრატეგიის შემუშავების ძირითად პოსტულატებს, რაც უნდა გამხდარიყო ბარბაროსებთან ომის შემთხვევაში გამარჯვების გარანტი, ასევე, იძლევა რეკომენდაციებს, თუ როგორ უნდა იქნას შესწავლილი ყველაზე საშიში მტრის სამხედრო პოტენციალის დონე.

ნაშრომის გარკვეული ნაწილი ეძღვნება ბიზანტიური არმიის ფორმირებას, სწავლებასა და შეიარაღების საკითხებს. ავტორს მხედველობიდან არ გამოორჩენია სამხედრო თვალსაზრისით ციხე-სიმაგრეთა დაცვის საშუალებანი და მხედარმთავართა სამოქმედო გეგმები, უკან დახვევისა და შეტევაზე გადასვლის ტაქტიკა. სპეციალისტები თელიან, რომ ფსევდონიუს მაერიკიოსის „სტრატეგიკონი“ ერთგვარი „სამხედრო კოდექსია“, რომლის ასახვა ეყრდნობა რომაული და ბიზანტიური არმიის ისტორიულ გამოცდილებას და დროსთან მიმართებაში, ახალი სამხედრო ხელოვნების დამკვიდრებას და იმას თუ შემდგომში როგორი ეფექტურობით გამოიყენებდნენ ამ ტრაქტატით გათვალისწინებულ დოქტრინებს. ეს პრობლემის მეორე მხარეა, რაზედაც საბოლოო შედეგები ლაპარაკობს.

## §5. ომის სამხედრო პოლიტიკა და საქარტიველო

დიდი გეოგრაფი სტრაბონი აღწერს, თუ როგორ დაიპყრო პომპიუსმა (65 წელს ჩვენს ერამდე) მითრიდატე VI ევპატორის ქვეყანა და მისი გავლენის ქვეშ მოქცეული ხალხები, მათ შორის კოლხეთი, სადაც თავისი კაცი, ვინმე არისტრახი დასვა მმართველად, ამას ადასტურებს ბერძნულ-წარწერიანი ფულის მონეტები, რომელიც მას მოუჭრია. ამ საკითხზე ხასგასმა უკვე გაკეთდა. შემდგომში კოლხეთი ფოსფორსა და პონტოსთან არის დაკავშირებული. რაც შეეხება იბერიას, მისი დამოკიდებულება

რომისადმი მოიხსენიება წყაროებში, როგორც „მეგობრობა.“ თუმცა, მკვლევარები თვლიდნენ, რომ იგი „მაინც ერთგვარი იძულებითი ხასიათის ურთიერთობას გულისხმობდა, რადგანაც რომაელთა „მეგობრები“ ხშირად აჯანყებას აწყობდნენ თავიანთი მაღალი მეგობრის წინააღმდეგ.“

აპიანეს ცნობით, რომისა და იბერიის „მეგობრობა“ „სიმაქიაში,“ ე.ი. სამხედრო კავშირში გამოიხატებოდა. იბერიის ეს სამხედრო კავშირი რომის აღმოსავლეთ სანაპიროს სამხედრო ინტერესებს ემსახურებოდა.

აკად. ს. ჯანაშიას აზრით, „რომისაგან დამოუკიდებლობა გამოხატავს იბერიისათვის „სიმაქიაში“ „იძულებით სამხედრო კავშირში, ხოლო კოლხეთისათვის განსაზღვრული ფორმის ვასალობაში“<sup>1</sup> ყოფნას. აღნიშნულმა პროცესებმა დიდი გავლენა მოახდინა მაშინდელი საქართველოს შინაგან „ერის“ შემდგომ დიფერენციაციაში, რაც ნიშნავდა „მეომრებს“ და „მიწის მოქმედებათა“ შორის გამყოფი ხაზის გაკლებას, რომელიც ემყარებოდა „ეკონომიკურ ნიადაგს,“ ანუ ქონებრივ ცენზს, როგორც ეს რომაელებში დამკვიდრდა. სტრაბონის ცნობით, იბერიის ლაშქარს, რომელიც მხოლოდ ომის შემთხვევაში იკრიბებოდა და შეადგენდა 60 000 ჰობლიტსა და 22 000 ცხენოსანს, იბერიის ლაშქარი 60-70 ათასამდის აღიოდა. თავდაპირველად, ეს იყო მთელი „ერი“ ე.ი. მესამე გენეში მოქცეული გვაროვნული საზოგადოების ნაშთი,<sup>2</sup> მაგრამ როგორც მკვლევარები ვარაუდობენ, შეიარაღება „ერის“ საკუთარ ხარჯზე ხდებოდა. (მეფის ხარჯზე მხოლოდ მისი „მონა-სპა“ იარაღდებოდა) საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების შედეგად, შეიარაღების გაძვირებასთან დაკავშირებით ხდებოდა მებრძოლთა დიფერენციაციაც. სოციალურ დიფერენციაციას გულისხმობს ჯარის ორგანიზაცია. მაღალი წრის წარმომადგენლებს გარეგნული ნიშნებითაც განსხვავებული აღჭურვილობა ჰქონდათ. როდესაც ქსნის ერისთავობა მიიღო როსტომ ბიბილურმა, მემატიანეს ცნობით, შეიმოსა იგი და შეაცვა ბეჭედი და საყურე და სარტყელი თავისი, საჭურველი და ცხენი თოროსანი, დროშა და შუბიო.<sup>4</sup> რკინის იარაღის შემოღებასთან ერთად, ძნელდებოდა სრული შემოსევა, იგულისხმება „ჯაჭვური“ (მუზარადი და ჯაჭვის პერანგი) ს. ჯანაშია თვლის, რომ მეომრისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნებოდა ცხენის დაცვას ლითონისგან გაკეთებული განსაკუთრებული სამოსით.

1 იხ. ს. ჯანაშია, საქართველო აღრინელი ფეოდალიზმის გზაზე, თბ. 1937წ. გვ 47

2 იხ. ს. ჯანაშია, საქართველო აღრინელი ფეოდალიზმის გზაზე, თბ. 1937წ. გვ 56

3 იქვე გვ. 58

4 იხ. ქრონიკები II 4

ს. ჯანაშიას გამოთქმული აქვს ერთი მეტად საყურადღებო მოსაზრება. იგი თვლის, რომ იარაღი ყველაზე ადრე იქცევა კერძო საკუთრების, მტკიცე მემკვიდრეობის (მამიდან შეილზე) საგანი.<sup>1</sup> მისი მოსაზრება განმტკიცებულია შემდეგი პერიოდის ფეოდალური სამართლის ძეგლებშიც.

ასე მაგ. ბექა-ალბულას კანონებით, ქალის დაქვრივების შემთხვევაში მზითევი ქალს ან მის მშობლებს ეკუთვნოდა, მხოლოდ აბჯარი უთუოდ უნდა დარჩენოდა რომელიმე ვაჟს, თუ რომელს, ამას მამა ინდივიდუალურად წყვეტდა.

სტრაბონის ცნობებში კარგად სჩანს იბერიელთა შეიარაღება. ისინი ომობენ ოროლებითა და მშვილდ-ისრებით და შეჭურვილნი არიან ჯაგშნითა და ფარით, აგრეთვე, ნადირის ტყავის მუზარადით, ცხენოსან ჯართან ერთად ნახსენებია კიდევ ექვსი ათასი შეჯაგშნული ცხენი. ასეთ შეიარაღებას იბერიელების გარდა იყენებდნენ ალვანები და სომხები.

შეჯავშნული ცხენის შესახებ აგრეთვე საყურადღებო ცნობები მოიპოვება ძველ ქართულ მწერლობაშიც. ვახტანგ გორგასლის მემატიანე აღწერს, რომ ერთ-ერთ ბრძოლაში მეფე „აღჯდა ტაიჭსა, შეჭურვილსა ჯაგშნითა და აღიღო ფარი მისი ვიგრის ტყავისა, რომელსაც ვერა კკეთდა მახვილი.“<sup>2</sup> შეჯავშნული ცხენი მოიხსენიებოდა ქართულში, როგორც „თოროსანი ცხენი“. ოსეთში სალაშქროდ მიმავალ გორგასალს ახლდა, ცხენტოროსანნი და ჯაჭვ-ჩაბალახიანნი წინათ –კერძო (ე.ი. წინა მხარეს) და მათს უკან ქვეითნი და ქვეითთა უკანით – სიმრავლე. მხედართა ბრძოლაში ფიქსირდება მშვილდოსნები, მცირე ჯარი კარგად გაწურთნილი, რომელიც მეფის დაცვის როლს თამაშობდა.

აქედან ნათლად ჩანს, რომ ვახტანგს საბრძოლად ახლდა მძიმედ აღჭურვილი სპანი, გარდა ამისა, მხედარნი და ქვეითნი. ომის შემდეგ ვახტანგმა „წარჩინებულ ქმნა მხედარნი,“ ეს ადგილი ისე უნდა გავიგოთ, რომ ვახტანგს თავისი მსახურნი მხედარნი, რომელნიც ახლდნენ ბრძოლაში, დაუსაჩუქრებია, მათთვის საეარაუდოდ მამულები უბოძებია და აზნაურებად გაუხდია.<sup>3</sup>

რომაელთა შემოსვლას საქართველოს ტერიტორიაზე, თან მოჰყვა სამხედრო ხელოვნების დახვეწა. მკვლევარები სამართლიანად აღნიშნავენ, რომ მათ მოსვლას მოჰყვა უფრო მეტად შფოთიანი დრო, ბევრად

1 იხ. ს. ჯანაშია დას.ნაშრომი, გვ. 58

2 ჯუანშერი, შრ, 137

3 იხ. ა. ბოგვერაძე, ქართული ადრეფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობის ისტორიდან, თბ. 1961წ.გვ 105

უფრო დაჭიმული, საომარ მოქმედებათა და სამხედრო საჭიროებებით სავსე ხანა, ვიდრე ეს იყო მანამ, გულისხმობდნენ მანამდე არსებულ ომებს, რომლებიც არ ატარებდა მასშტაბურ ხასიათს, რომლებიც არსებითად განსხვავდებოდა მაშინდელი მსოფლიო ომებისაგან. არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ს. ჯანაშიას, რომელსაც მიაჩნია, რომ „თვით რომის მთავრობის რეჟიმი, ჩვენს ქვეყანაში დამყარებული, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც აქ რომაელებმა მტკიცედ მოიკიდეს ფეხი, ბორკავდა და აფერხებდა ქვეყნის განვითარებას.“<sup>1</sup> მეცნიერი გულისხმობდა, რომ „ომს არ შეუძლია არაფრისაგან ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობების შექმნა, რადგანაც ხშირი ომები ანადგურებს ქვეყნის საწარმოო ძალებს და კიდევ უფრო აგვიანებს ახალი ეკონომიკური ეპოქის დადგომას. უნდა ვივარაუდოთ, რომ ასე მოხდა მაშინდელი საქართველოს სინამდვილეშიც.“

---

<sup>1</sup> იხ. ს. ჯანაშია, დას. ნაშრომი გვ. 64

## თავი ოცდამეორე

# ადამიანის სამართლებრივი მდგომარეობა რომში

### §1. სტატუსის ცნება რომის სამართალში

სამართლის ისტორიის მკვლევარები მიიჩნევენ, რომ ქრისტეს დაბადებამდე მეხუთე-მეოთხე საუკუნეებში რომის სამართალი თავისი განვითარების დონით ჩამორჩებოდა ძველ ბაბილონურ სამართალს. ეს იმას ნიშნავს, რომ შემდგომში ბაბილონურმა სამართალმაც გარკვეული როლი ითამაშა რომის სამართლის განვითარებაზე (იგულისმხება პამპურაბის კანონები). ფაქტია, რომ რომის სამოქალაქო სამართალზე გარკვეული კეთილისმყოფელი ზეგავლენა მოახდინა ბერძნულმა ფილოსოფიამ და სამართალმა. მაგრამ დროთა ვითარებაში პერსპექტივა რომის სამოქალაქო სამართლის სასარგებლოდ შეიცვალა და მან განვითარების მაღალ დონეს მიაღწია. სანამ უშუალოდ სამოქალაქო სამართლის სტრუქტურასა და შინაარსზე ვიმსჯელებთ, საჭიროდ მიგვაჩნია, განვიხილოთ სტატუსის ცნება, რომელსაც მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა რომის სამოქალაქო სამართალში.

სტატუსი-Status- მდგომარეობას, ხოლო jus quod ad personam as pertinet კი კერძო პირთა სამართლებრივ სტატუსს ნიშნავს.<sup>1</sup> რომელ სამართალმცოდნეთა შრომებში სამართლებრივი ნორმები დაყოფილია ორ ძირითად ჯგუფად: სამართლებრივი დებულებები, რომლებიც აწესრიგებენ სამართლის სუბიექტების, როგორც რომაული საზოგადოებრივი და კერძო ცხოვრების მონაწილეთა უფლებაუნარიანობისა და ქმედუნარიანობის საკითხებს და სამართლებრივი ნორმები, რომლებიც აწესრიგებენ ცალკეულ პირთა მდგომარეობას ოჯახში,<sup>2</sup> ანუ ყოველ კერძო და საოჯახო სამართლით მინიჭებულ სტატუსად. რომის სამართალი საბოლოოდ განამტკიცებდა მოძღვრებას „სამი სტატუსის“ შესახებ. ადამიანი იყო ან თავისუფალი, ან არა, იყო

<sup>1</sup> იხ. გ. ლობჯინძე, ადამიანის უფლებათა სამართალი, თბ. 2005წ.გვ.57

<sup>2</sup> გაიუსი 1,3,4,8,

მოქალაქე, ან არამოქალაქე, ოჯახის წევრი ან არაწევრი, თითოეული ეს სტატუსი განსაზღვრავდა მის სამართლებრივ მდგომარეობას საზოგადოებაში.“<sup>1</sup>

სამართლის სტატუსის პირველ ჯგუფს წარმოადგენდნენ ცალკეული პირები (persona, caput) და რომის მოსახლეობის მთელი ჯგუფები, როგორც საზოგადოებრივი და კერძო ცხოვრების სამართლებრივი მდგომარეობის და უფლება-მოვალეობათა მატარებლები. ე.ი. სხვა სიტყვებით, სტატუსი იყო სამართლებრივ ნორმათა ერთობლიობა, რომელიც აწესრიგებდა სამართლის სუბიექტების უფლებაუნარიანობისა და ქმედუნარიანობის საკითხებს.<sup>2</sup>

სრულყოფილ უფლებაუნარიანობაში მოიაზრებოდა რამდენიმე ელემენტი: 1) ius conubii, რაც გულისმობდა პიროვნების კანონიერ ქორწინებაში შესვლის უფლებას. 2) ius commercii-კომერციულ საქმიანობაში ჩართვისა და მონაწილეობის უფლება, ე.ი. სამართალსუბიექტურობა, როგორც ქონებრივ ვალდებულებით სფეროში მონაწილეობის უფლება. 3) testamenti factio- სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება დარღვეული უფლების აღდგენის და კვირიტული საკუთრების დაცვის მიზნით.<sup>3</sup>

ცალკეულ პირთა (სამართლის სუბიექტების) სამართლებრივი მდგომარეობის განსაზღვრისთვის რომელი იურისტები განასხვავებდნენ უფლებაუნარიანობასა და ქმედუნარიანობას (capacitas juridica და capacitas agendi), თუმცა უფლებაუნარიანობის ცნება არ იყო ჩამოყალიბებული რომაელ იურისტთა შრომებში.

„თანამედროვე სამოქალაქო სამართლის წინაშე რომის სამართლის უდიდესი დამსახურების მიუხედავად, ერთიანი უფლებაუნარიანობის ცნებას იგი არ იცნობს“,<sup>4</sup> მაგრამ ჩვენამდე მოღწეული მრავალრიცხოვანი ფრაგმენტები მოწმობენ, რომ ამ ცნებაში რომაელები გულისხმობდნენ პირთა (სუბიექტების) თვისებას – ყოფილიყვნენ უფლებებისა და მოვალეობების მატარებელნი.

იმის გამო, რომ ქმედუნარიანობის ცნებაში შემავალი უფლებები და მოვალეობები მიეკუთნებოდა სხვადასხვა საგანსა თუ მოვლენას, მიღებულ

1 იხ. ლ. ჭანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ისტორიაში თბ. 2000წ. გვ.126

2 იხ. О.А. Омелыченко, Римское право М.2008г.гვ122

3 იხ. О.А. Омелыченко, Римское право М.2008г.гვ123

4 ხ. ლ. ჭანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში თბ. 2000წ. გვ.126

იყო დაყოფა, უფლებაუნარიანობა საჯარო სამართალში (*jus publicum*) და უფლებაუნარიანობა კერძო სამართალში (*jus privatum*).<sup>1</sup>

უფლებაუნარიანობა საჯარო სამართლის სფეროში (პოლიტიკური უფლებაუნარიანობა) შედგებოდა ცალკეული სუბიექტების ნაწილობრივი ან სრული შესაძლებლობისაგან, მონაწილეობა მიეღოთ რომის სახელმწიფოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, როგორც აქტიური და პასიური საარჩევნო უფლების მატარებლებს (*jus suffragii* და *jus honorum*), ემსახურათ რომის ლეგიონებში, ყოფილიყვნენ მონაწილეები რელიგიურ და საერო დღესასწაულებში და უფლებამოსილება ჰქონოდათ სახელმწიფო საქმეების გადაწყვეტაში. გაიზრდებოდა თუ შემცირდებოდა უფლებამოსილება, დამოკიდებული იყო მათ ეთნიკურ კუთვნილებაზე, სოციალურ მდგომარეობაზე, სქესზე და თითოეული ინდივიდის პირად შესაძლებლობებზე.

უფლებაუნარიანობა კერძო სამართლის სფეროში (კერძო-სამართლებრივი უნარი) შედგებოდა ცალკეულ სუბიექტთა შესაძლებლობებისაგან, ყოფილიყვნენ ნაწილობრივი ან სრული უფლების მატარებელნი კერძო ცხოვრებაში, რაც ნიშნავდა მათი შესაძლებლობების აღიარებას, ესარგებლათ საოჯახო სამართლის (*jus connubii*) რომაული დებულებებით, ქონებრივი სამართლის (*jus commucii*) და საპროცესო სამართლის (*legitimatiao activa et passiva*) ნორმებით.

ცალკეული სუბიექტების უფლებამოსილების მოცულობა კერძო სამართლის სფეროში ძირითადად განისაზღვრება ოჯახში მისი მდგომარეობით, აგრეთვე იმ მიზეზებით, რომლებზეც იყო დამოკიდებული მისი უფლებამოსილება საჯარო სამართლის სფეროში.

მართალია, რომაელ იურისტთა შრომებში ქმედუნარიანობის ცნებაც არ იყო განსაზღვრული, მაგრამ ქმედუნარიანებად აღიარებდნენ იმ პირებს, რომელთაც შეეძლოთ საკუთარი სახელით და საკუთარი გონებით შეესრულებინათ სამართლებრივი ქმედებები, პირადად ეგოთ პასუხი აღებული ვალდებულებებისათვის. ამ თვალსაზრისით, ქმედუნარიანობა იყოფოდა ორ ჯგუფად: ქმედუნარიანობა ვიწრო გაგებით, ე.ი. უნარი საკუთარი სახელით და საკუთარი გონებით სამართლებრივი ქმედების შესრულებისა და უნარი, პირადად ეგო პასუხი თავის მართლსაწინააღმდეგო ქმედებისათვის დელიქტური პასუხისმგებლობის შესაბამისად. ქმედუნარიანობა, დიდი თუ მცირე – დამოკიდებული იყო ძირითადად სუბიექტის ასაკზე, მსჯელობის უნარზე და სქესზე.

სამართლის სუბიექტები, რომაული სამართლის თანახმად, მხოლოდ

<sup>1</sup> იხ. О.А. Омельченко, Римское право М.2008г. გვ. 123

ადამიანები შეიძლება ყოფილიყვნენ, რადგან სამართალი სწორედ მხოლოდ ადამიანებისთვის არსებობს.<sup>1</sup>

ამასთან, ეს არ ნიშნავდა, რომ რომში მხოლოდ ინდივიდები შეიძლებოდა ყოფილიყვნენ აღიარებულნი სამართლის სუბიექტებად. იურიდიულ პირებად შეიძლებოდა მიჩნეული ყოფილიყვნენ აგრეთვე, იურიდიულად გაფორმებული კოლექტივები და ცალკეული ქონებრივი გაერთიანებები, რომლებიც იქმნებოდნენ პირთა განსაზღვრული წრის მოთხოვნილებების ხანგრძლივი დაკმაყოფილებისთვის.<sup>2</sup> აქედან გამომდინარე, სამართლის სუბიექტები იყოფოდნენ ფიზიკურ პირებად ან იურიდიულ პირებად.

## §2. ფიზიკურ პირთა ღიშპარენციაცია

ფიზიკური პირის ადგილი სამართალში უკავშირდება მის უფლებათუ-ნარიანობას, მართალია რომაელ იურისტებს არ ჩამოუყალიბებიათ უფლებათუნარიანობის ცნება, მაგრამ მათ შეძლეს, სტატუსის მეშვეობით ღიშპარენციაცია მოეხდინათ ფიზიკურ პირთა შორის. თავიდან ფიზიკური პირები, ინდივიდთა ერთობლიობა ანუ ხალხი, არ განიხილებოდა სამართლის სუბიექტად, ასეთი გახლდათ გვაროვნული მოწყობის პერიოდი, როდესაც სამართალი ჩამოყალიბების პროცესში იყო და ურთიერთობები წესრიგდებოდა ადათებით, რომლის თანახმადაც მხოლოდ გვარის წარმომადგენლებს, როგორც გვარის თანასწორუფლებიან წევრებს, შეეძლოთ ესარგებლათ ერთობლივი ცხოვრების (თანაცხოვრების) სიკეთებით და საჭირობოროტო პრობლემების გადაწყვეტაში მონაწილეობის ერთნაირი შესაძლებლობებით. როგორც წესი, სხვა გვარების წარმომადგენლები მიიჩნეოდნენ მტრებად. ეს პირები ითვლებოდნენ მხოლოდ ობიექტებად, რომელთა მიმართ შეიძლებოდა ძალადობის განხორციელება, საკუთარი შესაძლებლობიდან გამომდინარე. გვაროვნული ორგანიზაციის გაფართოების და სახელმწიფო ფორმად მისი გადაქცევის პარალელურად, სახელმწი-

<sup>1</sup> დოგესტები I,5, 2.

<sup>2</sup> იხ. Н.И. Бондаренко, Римское частное право М. 2008г. გვ 28



ფოს ტერიტორიაზე თავისუფლად ცხოვრების უფლება აღიარებული იყო არა მარტო გვაროვნული კავშირის წევრების და იმ პირების მიმართ, რომლებიც ეთნიკური წარმომადგენლობით ამ სახელმწიფოს დამაარსებლებს მიეკუთნებოდნენ. ზოგიერთ შემთხვევაში, დაპყრობილ და შემოერთებულ ხალხებსაც ენიჭებოდათ უფლება. ამასთან, დაპყრობილი ტომები, მათთვის მინიჭებული უფლებების თვალსაზრისით, იმყოფებოდნენ უარეს მდგომარეობაში, ვიდრე სახელმწიფოს დამაარსებელი ტომების წარმომადგენლები. თავისუფალ მცხოვრებთა ამ ჯგუფების გარდა, რომის მონათმფლობელური საზოგადოების მთელი არსებობის მანძილზე იყვნენ ისეთი ადამიანებიც, რომლებიც მოკლებულნი იყვნენ სიცოცხლის უფლების აღიარებასაც კი. ესენი იყვნენ მონების მგომარეობაში მყოფი ფიზიკური პირები.<sup>1</sup> ამ მიმართულებით გამოყოფენ ადამიანთა სამ ჯგუფს, რომელთაგან ერთნი სარგებლობდნენ სამართლებრივი ნორმებით გარანტირებული ყველა უფლებით, მეორენი—მხოლოდ სიცოცხლისა და თავისუფლების უფლებით, ხოლო მესამე ჯგუფს არ ჰქონდა არავითარი უფლებები.

პირთა უფლებების შესახებ ინსტიტუციები ცალსახად აფიქსირებს, რომ „ყოველი ადამიანი ან თავისუფალია და ან მონა,“ მაგრამ როდესაც რომაელი იურისტები ფიზიკურ პირთა დიფერენციაციაზე მსჯელობენ, მათი დებულებით, „თავისუფლება“ (libertis) „არის ბუნებრივი შესაძლებლობა იმისა, რომ თითოეულმა აკეთოს ის, რაც (მას) სურს, თუ ეს ძალით ან სამართლით არ არის აკრძალული.“<sup>2</sup>

აქ ერთი მომენტია გასარკვევი—სამართლით აკრძალვა გასაგებია. მაგრამ რას გულისხმობენ ძალაში? ძალაში მოიაზრებოდა „პატერ ფამილიას“ ძალაუფლებაში მყოფ პირთა შეზღუდვები. ამიტომაც, სამართლის წყაროებში ეს ჯგუფები შემდგენიარად იყვნენ წარმოდგენილი: მოქალაქეობის უფლებით მოსარგებლე პირთა წრე (status civitatis), თავისუფლების უფლებით მოსარგებლე პირები, უცხოელი „პერეგრენუსები“ რომის მოქალაქეთა უფლებებით არ სარგებლობდნენ. თავისუფლების სტატუსი (status libertatis) და (Status familiae) „სტატუს ფამილია“, რომელიც განსაზღვრავდა მოქალაქის მდგომარეობას ოჯახში. ასევე პირთა წრე, ვინც შესაბამისად მონების მდგომარეობაში იმყოფებოდნენ (in status

1 Н. А. Машкин, История Древнего Рима, М. 1947г. გვ90

2. იხ. რომის სამართლის ძეგლები იუსტინიანეს ინსტიტუციები, თბ. 2002წ. გვ. 16

servitutis).<sup>1</sup> ამიტომ, ფიზიკურ პირთა უფლებაუნარიანობის საკითხებზე მსჯელობისას რომაელები განიხილავდნენ ამ სამი სახის დეფინიციას (კაპიტოს დემინუციო”), რაზედაც მსჯელობას კვლავ დაკუბრუნდებით.

### გვ. რომის მოქალაქეობის შექმნის გზები და უფლებები

ისტორიულად, ძველ რომში მოქალაქეობის ცნება უკავშირდება სამართლის წარმოშობას. რომის მოქალაქეობა ადამიანის თავისუფლების სინონიმად გამოიყენებოდა და სამოქალაქო უფლებები მხოლოდ რომის მოქალაქეებს მიენიჭებოდათ.<sup>2</sup>

რომის მოქალაქეები (status civitatis), ანუ ფიზიკური პირები არ იმყოფებოდნენ ერთნაირ მდგომარეობაში. მათი უფლებები სხვადასხვაგვარი იყო არა მარტო რომის სახელმწიფოს განვითარების ცალკეულ პერიოდში, არამედ ეს დამოკიდებული იყო იმაზეც, თუ ცალკეულ ინდივიდებს კონკრეტულ სიტუაციაში საზოგადოებრივ ფენაში რა ადგილი ეკავათ.

რომის მოქალაქეობის შექმნა ხდებოდა დაბადებით (jus sanguinis) ან ნატურალიზაციით (naturalisatio).<sup>3</sup>

გარდა ამისა, არსებობდა კიდევ ერთი გზა რომის მოქალაქეობის შექმნისა, ეს იყო მონისათვის თავისუფლების მინიჭება, რაც ძირითადად გათვალისწინებული იყო იმპერატორ კონსტანტინეს 321 წლის (ჩვ.წ.ად) ბრძანებულებაში, რომელსაც არც თუ ისე იშვიათად იყენებდნენ. ბრძანებულება ითვალისწინებდა განთავისუფლებას იმ შემთხვევაში, თუ მონა ამხელდა თავის ბატონს ყალბი მონეტების მოჭრაში.<sup>4</sup>

შემდეგ, რომის სამართლის თანახმად, აიკრძალა დეფექტიანი ბავშვების მოკვლა და იმ ბავშვის მიტოვება, რომელთაც აშკარად არ ჰქონდათ სიცოცხლის უნარი,<sup>5</sup> რომის მოქალაქის უფლებას სხვადასხვა სიტუაციაში იღებდნენ ის ბავშვები, რომლებიც რომის მოქალაქეთა ქორწინების შედეგად იბადებოდნენ, შემდგომ რომის მოქალაქეთა ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვები და ბავშვები, გაჩენილები იმ ქალის მიერ, რომე-

1 იხ. P.A. Сафаров, Римское Право р.11а.Д 2008г. გვ 152

2 იხ. ლ. ჭანტურია დას. ნაშ. გვ. 138

3 იხ. Н.Л. Бондаренко. Римское частное право м. 2008г.გვ24

4 იხ. А.Л. Сафаров, Римское Право Р-наД 2008г.გვ 165

5 დიგესტები 1,5,7,9

ლიც მშობიარობის მომენტში მონა იყო, მაგრამ ორსულობის პერიოდში, თუნდაც გარკვეული დროის მანძილზე, სარგებლობდა სამოქალაქო უფლებებით, როგორც გამონაკლისი. ბავშვები, გაჩენილი პერეგრინთან ქორწინებებში მყოფი ქალის მიერ, დებულების შესაბამისად, აღწევდნენ პერეგრინის მდგომარეობას.

ბავშვის უფლებაუნარიანობა იწყებოდა მაშინ, როდესაც მშობიარობა დასრულებული იყო. ე.ი. როდესაც ბავშვი ჭიპლარს წყდებოდა (*partu perfectus*). კლასიკური პერიოდის სამართალში არსებობდა დავა იურისტების ორ სკოლას – საბინიანელებსა და პროკულიანელებს შორის იმის თაობაზე, თუ როდის უნდა ჩაითვალოს ცოცხლად ბავშვი, როცა ის სიცოცხლის რაიმე ნიშანს ავლენს, თუ მხოლოდ ის, რომელმაც მშობიარობის შემდეგ იტირა. გაიმარჯვა საბინიანების აზრმა და საკმარისი აღმოჩნდა სიცოცხლის ნიშანი.

როგორც წესი, უფლებაუნარიანობა არ გააჩნდა დაბადებამდე ბავშვს, გამონაკლისი არსებობდა იმ ბავშვისათვის, რომლის მამა გარდაიცვალა ჩასახვის შემდეგ მშობიარობამდე. არსებობდა წესი, რის მიხედვითაც მშობიარობამდე ბავშვს ორი პირობის შემთხვევაში ენიჭებოდა სამემკვიდრეო და ზოგიერთი სხვა ქონებრივი უფლება; ბავშვი მამის სიკვდილის შემდეგ უნდა დაბადებულიყო ცოცხალი და მამის სიკვდილის შემდეგ უნდა გაჩენილიყო არა უმეტეს 9 თვეში, იყო 10 თვის ვადაც.<sup>1</sup>

პირები, რომლებიც არ იყვნენ რომის მოქალაქეები დაბადებით, შეეძლოთ მოქალაქეობის მიღება ნატურალიზაციის გზით. ნატურალიზაციის ორი გზა არსებობდა: საჯარო და კერძო.

მოქალაქეობის არმქონე პირთა კერძო ნატურალიზაცია დასაშვები იყო ყოველი „პატერ ფამილიას“-ს მიერ ადაპტაციის, ანუ რომაული ოჯახის გარეთ დაბადებული პირის შევილად აყვანის გზით. ასეთივე წესი ვრცელდებოდა მანუმისების მიმართ, მაგრამ კლასიკურ პერიოდში რომის მოქალაქეობას ყველა გათავისუფლებული მონა ვერ იღებდა.

*Lex Aelia Sentia*-ს მოთხოვნათა თანახმად, მხოლოდ პოსტკალიტიკურ პერიოდში გაჩნდა აზრი, რომ ბატონის მიერ გათავისუფლებულ ნებისმიერ მონას, განთავისუფლების ფორმის მიუხედავად, უნდა მიეღო სამოქალაქო უფლებები. საჯარო ნატურალიზაცია გულისხმობდა სახელმწიფო ორგანოების (სენატი, კონსულები, პრეტორები, პროვინციის მმარ-

<sup>1</sup> დივესტები 1,5,7,9

თველები, პრინციპის ან იმპერატორი) გადაწყვეტილებების მიხედვით მიღებულ თავისუფლებას, როგორც გამოწვევის.

ჩვეულებრივი ნატურალიზაცია ეძლეოდა იმას, ვინც გარკვეულ პირობებს აკმაყოფილებდა. ეს პირობები უფრო გაიოლებული იყო ლათინებისთვის, ვიდრე პერეგრინებისათვის. ნატურალიზაცია გამოწვევის სახით ეძლეოდათ იმ პირებს, ზოგჯერ მთელი ქალაქის მოსახლეობას და ცალკეულ ხალხებსაც კი, ვისაც განსაკუთრებული დამსახურება ჰქონდა რომის სახელმწიფოს წინაშე. ძვ.წ.აღ. 89 წლის კანონით, რომის მოქალაქეობას იღებდა იტალიის ყველა მოქალაქე, ხოლო ანტონიანეს კონსტიტუციებით და კარაკალას ედიქტით, ჩამოყალიბდა მოქალაქეობის ცნება და მას ღებულობდა (212 წ. ჩვ.წ) აგრეთვე იმპერიის ყველა თავისუფალი მცხოვრები, იმით გარდა, ვინც დაპყრობილის მდგომარეობაში იმყოფებოდა. საბოლოოდ, იუსტინიანეს კონსტიტუციების მიხედვით, მოქალაქეობას დაპყრობილი ქვეყნების მაცხოვრებლებიც იღებდნენ და აქედან მოყოლებული, რომის სახელმწიფოს ყველა თავისუფალი მცხოვრები ამავე დროს მოქალაქე იყო.

უფლებამოსილების მიხედვით, რომის მოქალაქეობის მიღების პრინციპი სახელმწიფოს შემდგომი განვითარების პროცესში ჩამოყალიბდა და ორი მიმართულება მიიღო; საჯარო-სამართლებრივი და კერძო – სამართლებრივი, რომლებმაც რომის სამოქალაქო სამართლის შინაარსი შეადგინა. საჯარო სამართლის სფეროში სამოქალაქო უფლებებად თვლიდნენ: აქტიურ საარჩევნო უფლებას, მოქალაქეთა ხმის მიცემის უფლებას კრებებზე. პასიურ საარჩევნო უფლებას (მოქალაქეთა უფლება – ყოფილიყვნენ არჩეული საჯარო სამსახურში), ლეგიონში ჩარიცხვის უფლებას, რელიგიურ ან საჯარო დღესასწაულებში სამსახურის და სახელმწიფოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლებას.<sup>1</sup>

სამართლის ასეთი მიდგომა არსებობდა ძველ რომში და რესპუბლიკის პერიოდში. ამასთან, პრინციპატის ხანაში, როდესაც გაუქმდა კრებები და რომში შეიქმნა დაქირავებული ჯარი, გაქრა როგორც აქტიური, ასევე პასიური საარჩევნო უფლებები და აგრეთვე, ლეგიონებში სამსახურის უფლება. უფრო ზუსტად რომ ითქვას, დომინატის დროს რომის მოქალაქენი დარჩნენ საჯარო ან პოლიტიკური უფლებების გარეშე. ამ თვალსაზრისით, რომის მოქალაქეობამ ყოველგვარი შინაარსი დაკარგა.

<sup>1</sup> იხ. М.П. Морев, Римское право Мю 2008г. გვ 113

კერძო სამართლის სფეროში რომის მოქალაქეებს ჰქონდათ ქორწინების უფლება და რომაული საკუთრების სამართლის დებულებებით, საკუთრებით სარგებლობის უფლება და სხვა ქონებრივი უფლებები და ვალდებულებები სამართლებრივ გარიგებებში შესვლით, მემკვიდრეობის და სამართლებრივი დაცვის უფლება, როგორც რომის მოქალაქეთა განსაკუთრებული სტატუსი.

ყველა ჩამოთვლილი უფლება საჯარო-სამართლებრივი და კერძო-სამართლებრივი ხასიათისაა, მაშინაც კი, როდესაც მათ მიიჩნევდნენ და აღიარებდნენ მხოლოდ სამოქალაქო სამართლად. წარმოდგენილი უფლების მთელი მოცულობით სარგებლობა შეეძლოთ მხოლოდ რომის მოსახლეობის უმალეს ფენას. რომის მოსახლეობის ხელქვეით ფენებს, როგორც წესი, არ გააჩნდათ პასიური საარჩევნო უფლება, არასდროს ჰქონდათ აქტიური საარჩევნო უფლება, ე. ი ეს უფლებები დამოკიდებული იყო არა მარტო რომის სახელმწიფოს განვითარების კონკრეტულ ეპოქაზე, არამედ ინდივიდის სოციალურ და საზოგადოებრივ მდგომარეობაზე.

#### §4. უფლებაუნარიანობის შეზღუდვა

რომის ქვეშევრდომ მოქალაქეთა მიმართ სამართალში არსებობდა, აგრეთვე, სპეციალური ნორმები, რომლებითაც ცალკეულ პირებს ან მოქალაქეთა მთელ ჯგუფებს ეზღუდებოდათ სამოქალაქო უფლებათა წრე (Capitis aeminutio), რაც დამოკიდებული იყო ერთ-ერთი სტატუსის ქონაზე.<sup>1</sup>

1) ნორმები, რომლებითაც ნაწილობრივ იზღუდებოდა მცხოვრებთა სხვადასხვა ფენა, იყო უფლებაუნარიანობა სამოქალაქო სფეროში, რომელიც ვრცელდებოდა ბავშვებზე, ქალებზე, ერეტიკოსებზე, ბარბაროსებზე, რწმენის უარმყოფელებზე, ებრაელებზე, კოლონებზე. ქალები სქესის გამო, რომაულ სამართალში, არ იყვნენ მამაკაცთა თანასწორუფლებიანი, თუმცა უკვე კლასიკური პერიოდის ცალკეული იურისტები ხაზს უსვამდნენ, რომ არასწორი და უსამართლოა ქალთა სქესის წარმომადგენელთა შესაძლებლობების ჯეროვნად შეუფასებლობა. ამ თვალსაზრისმა

<sup>1</sup> იხ. ლ. ჭანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში. თბ. 2000წ. გვ. 126

რამდენამდე გააუმჯობესა ქალთა მდგომარეობა კერძო სამართლის სფეროში, ისინი თითქმის გაუთანაბრდნენ მამაკაცებს, მაგრამ პოლიტიკურ სფეროში ქალთა და მამაკაცთა უფლებები არასდროს ყოფილა თანასწორი. ქალებს პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის ყოველგვარი უფლება ჰქონდათ ჩამორთმეული, რაზედაც უფრო დაწვრილებით გვექნება მსჯელობა. პირები, რომლებიც იმყოფებოდნენ ოჯახის უფროსის ძალაუფლების ქვეშ, თუ ისინი იყვნენ სრულწლოვანი მამაკაცები, სარგებლობდნენ თავიანთი საზოგადოებრივი ფენის პოლიტიკური უფლებებით, მაგრამ არ ფლობდნენ პასიურ საარჩევნო უფლებას. თუმცა კლასიკურ პერიოდში, მათ ეს უფლებაც მიიღეს. პოსტკლასიკური პერიოდის სამართლამდე (ქრისტიანობის გამარჯვებამდე) რელიგიური კუთვნილება არ იწვევდა სამოქალაქო უფლებების შეზღუდვას. ხოლო ქრისტიანული რელიგიის გამარჯვების შემდეგ ერეტიკოსები, უარყოფელები, ებრაელები და ბარბაროსები არა მარტო ექვემდებარებოდნენ სისხლის სამართლებრივ დევნას, არამედ შეზღუდულნი იყვნენ სამოქალაქო სამართლებრივი თვალსაზრისითაც, განსაკუთრებით მემკვიდრეობითი სამართლის სფეროში.<sup>1</sup>

ამ პერიოდში სამოქალაქო სამართლის სპეციალური შეზღუდვები იქნა შემოღებული კოლონებისა და სხვა პირებისთვისაც, რომლებიც გარკვეულ საქმიანობას მისდევდნენ (ხელოსნები, ვაჭრები). პროფესიების ქონე პირებს არ ჰქონდათ უფლება, შეეცვალათ საქმიანობის სფერო და დაქორწინებულნი იყვნენ სხვა ხელობის ადამიანებზე. სხვა სიტყვებით, ამ პირებისთვის შეზღუდული იყო როგორც აქტიური, ასევე პასიური საარჩევნო უფლება.

2) შეზღუდვები ცალკეული მოქალაქეების მიმართ ხორციელდებოდა სხვადასხვა მეთოდებით.

სამოქალაქო უფლების შეზღუდვის ერთ-ერთი გარემოება იყო, ეგრეთწოდებული, სავალო მონობა. სავალო „მონები“ (*nexi* და *addicti*) იყვნენ პირები, რომლებიც ნებაყოფლობით თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით ითვლებოდნენ მოვალედ და იხდიდნენ ვალს. ამ პირებს ვალის გადახდამდე არ გააჩნდათ არც საჯარო-სამართლებრივი, არც კერძო-სამართლებრივი უფლებამოსილება. იმათი გამოკლებით, ვისაც სერვიუსის ელიქტის თანახმად შეეძლო ლეგიონში ჩარიცხვა. ყოველ შემთხვევაში, ამ სახის მონების მდგომარეობა გაცილებით უკეთესი იყო, ვიდრე მუდმივი მონებისა, რამდენადაც, ვალის დაფარვის შემთხვევაში კანონით თავი-

<sup>1</sup> იხ. М.П. Морев, Римское право, М. 2008г. გვ. 121

სუფლდებოდა და უბრუნდებოდა იმ საზოგადოებრივი ფენის სამოქალაქო უფლებები, რომლებსაც მიეკუთნებოდნენ.<sup>1</sup>

In mancipio პირები იყვნენ alieni juris პირები, რომლებიც mancipatio-ს, გზით გაძევებული იყვნენ „პატერ ფამილიას“ pater familias-ის მიერ, როგორც წესი, ხუთი წლით და იმ პირობით, რომ „პატერ ფამილია“ იღებდა ამ პირთა ანაზღაურებას ახალი ბატონის სახლში გაწეული შრომისათვის. მათ გარდა, in mancipio პირებად მიჩნეულნი იყვნენ ოჯახის უფროსის ძალაუფლების ქვეშ მყოფი ის პირებიც, რომლებსაც „პატერ ფამილია“ გადასცემდა რაიმე დანაშაულისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების სანაცვლოდ. In mancipio პირების მდგომარეობა შეესაბამებოდა პრიმიტიული დაქირავებული მუშახელის მდგომარეობას და ზოგჯერ უთანაბრდებოდა მონათა ყოფას.

Auctorati (gladiatores) გლადიატორები იყვნენ პირები, რომლებიც, საჯარო თამაშების ორგანიზატორების წინაშე დებდნენ ფიცს, რომ იბრძოდებდნენ მათი ბრძანების მიხედვით და გლადიატორთა ბრძოლის ყველა წესის შესაბამისად. ასეთი ვალდებულების აღების შემდეგ გლადიატორები კარგავდნენ გადაადგილების შესაძლებლობასა და პირად თავისუფლებას, შესაბამისად—სამოქალაქო უფლებებით სარგებლობის საშუალებასაც.

რომის მოქალაქეები, მტრის მიერ ხელში ჩაგდების შემთხვევაში, კარგავდნენ მოქალაქეობას და თავისუფლებას და ითვლებოდნენ მონებად. გეაროვნული წყობილების დროს ტყვეთა გამოსყიდვის მოვალეობა გეარის წევრებზე ვრცელდებოდა, შემდგომში არსებობდა ტყვე კლიენტების გამოსხნის ტრადიციაც. კლასიკურ და პოსტკლასიკური პერიოდის სამართალში ტყვეთა გამოსყიდვის ვალდებულება არ იყო მოწესრიგებული. ამ დროს ტყვეობიდან თუ რომელიმე რომაელის გამოსყიდვა მოხდებოდა, იგი იბრუნებდა ძირითად სამოქალაქო უფლებებს, იმ უფლებათა გარდა, რაც განსაკუთრებით პირად ხასიათს ატარებდა. ნორმები ემყარებოდა Postminium-ის ფიქციას, რომ მონობა თითქოს არ არსებობდა. ყოველ შემთხვევაში, ასეთ პირთა ქონებრივი მდგომარეობის გარკვეული შეზღუდვა ზორციელდებოდა გამოსასყიდის გადამხდელის ინტერესების შესაბამისად. ამ თანხის გადახდამდე გამოსყიდული რომაელი იმყოფებოდა გასხვისებულ in mancipio-ს პირთა მსგავს მდგომარეობაში.<sup>2</sup> ასე მაგ. ვინმე მარკუს ატილიუს რეგული ტყვედ ჩაუვარდა კართაგენელებს, ის რომა-

<sup>1</sup> ამ პრობლემაზე უფრო დაწერილებით ქვემოთ გვექნება მსჯელობა.

<sup>2</sup> იხ. P.A. Сафаров Римское право р-над. 2008г. გვ 167

ელებმა ტყვეებში გაცვალეს, იმ შემთხვევაში, თუ მას სენატში გამოსვლის უფლებას მისცემდნენ და მოითხოვდა პატიებას, შეინარჩუნებდა მოქალაქეობას. სენატი გამოვიდოდა, როგორც *Capitis deminutio*, რაზედაც უარი მიიღო, როგორც ტყვედჩაყვარდნილმა, რის გამოც შეეზღუდა სამოქალაქო უფლებებუნარიანობა.<sup>1</sup>

ზოგიერთი სამოქალაქო უფლების დაკარგვის სხვა შემთხვევა განიხილებოდა, როგორც იმ პირთა ქცევაზე დაკისრებული სანქცია, რომლებიც, საერთო აზრით ან სამართლებრივი ნორმების თანახმად, მიიჩნეოდა არაკეთილსინდისიერად. ასეთი პირები ცენზორს სპეციალურ წიგნში შექქონდა, ასევე ფიქსირდებოდა ვალის ჯიუტად არგადამხდელი, რომელიც შემდგომში ამოირიცხებოდა სენატორთა და კეთილშობილთა სიიდან.

ასევე არაკეთილსინდისიერნი იყვნენ მოქალაქეები, რომლებმაც უღირსი საქციელი ჩაიდინეს. არაკეთილსინდისიერება ღებოდა მაშინ, თუ ადგილი ჰქონდა ყალბ გაკოტრებას, ორცოლიანობას, გლოვის ვადის გასვლამდე ქორწინებას და ა. შ. არსებობდა ირიბი უპატიოსნობა, რომელიც იყო შედეგი გადაცდომისათვის გამოტანილი განაჩენისა, რაც მოჰყვებოდა არაკეთილსინდისიერ მზრუნველობას, უსაფუძვლო განქორწინებას და უღირს კომპანიონობას. *Infamia juris*-ის საფუძველზე არაპატიოსანი პირები კარგავდნენ საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებას, ხოლო კერძო-სამართლებრივი სტატუსი შეზღუდული ჰქონდათ.

არაკეთილსინდისიერი პირები, *infamia facti*-ს მიხედვით, იყვნენ ისეთები, რომლებიც მისდევდნენ კეთილშობილი რომაელებისათვის შეუფერებელ უღირს პროფესიას, ან ისეთი პირნი, რომლებიც რაიმე სხვა სახით ზიზღს იწვევდნენ კეთილშობილი ხალხის მხრიდან.<sup>2</sup>

რომის მოქალაქეობა იკარგებოდა ცალკეული პირის ბუნებრივი სიკვდილის ან სამოქალაქო უფლებების დაკარგვის შედეგად.

1. ბუნებრივი სიკვდილი ღებოდა ადამიანის ორგანიზმის ფიზიოლოგიური ფუნქციის უკანასკნელი ნიშნების გაქრობის შემდეგ. სიკვდილის ფაქტის დადგენა მნიშვნელოვანი იყო სხვა მიზეზთა გამოც, ამ მომენტში წყდებოდა მოქალაქის ყველა უფლება და ქვეყნდებოდა ანდერძი. სამკვიდროს არსებობის შემთხვევაში დელაციის მომენტიდან აკვიდიციის

1 იხ. P.A. Сафаров Римское право р-наД. 2008г. გვ 167

2 XII ტაბულის კანონები, 8,22



დრომდე, მემკვიდრეობის მიღებამდე ძალაში იყო შემდეგი ფიქცია.<sup>1</sup> ე.ი. გარდაცვლილის (de cuius) უფლებაუნარიანობა გრძელდებოდა იმდენ ხანს, რაც საჭირო იყო მემკვიდრის დადგენისა და მის მიერ სამკვიდროს მიღებისათვის. სიკვდილის მომენტის – დღისა და საათის დადგენის დიდი მნიშვნელობის პარალელურად, კლასიკური პერიოდის იურისტები ცდილობდნენ გადაეწყვიტათ კომორიენტებთან<sup>2</sup> მიმართებაში დაკავშირებული საკითხები, რისთვისაც შექმნეს ფიქცია, რომლის მიხედვითაც მამასთან ერთად დაღუპული ვაჟიშვილი იგულისხმებოდა, რომ მამაზე უფრო გვიან დაიღუპა, მაგრამ ანალოგიურ შემთხვევაში ასევე გულისხმობდნენ, რომ მამა მცირეწლოვან შვილზე უფრო გვიან დაიღუპებოდა. ეს ფიქცია არ გამოიყენებოდა თანმიმდევრულად: როცა საქმე ეხებოდა კომორიენტებს გააზატებულთა მხრიდან, ითვლებოდა რომ მამა და სრულწლოვანი ვაჟი დაიღუპნენ ერთდროულად, ამგავარად დაცული იყო პატრონის უფლებები.<sup>3</sup>

2. „სამოქალაქო სიკვდილი“, ე.ი. რომელიმე პირის მიერ სამოქალაქო უფლებების დაკარგვას შეიძლებოდა გამოეწვია მოვლენათა ან იურიდიული ფაქტების მთელი რიგი, რომლებიც რომაულ სამართალში სამ ძირითად ჯგუფად ნაწილდებოდა და რომლებსაც მოჰყვებოდა *capitis deminutio maxima*, *capitis deminutio media*, *capitis deminutio minima*.<sup>4</sup>

„კაპიტოს დემინუციო მაქსიმა“ დგებოდა მაშინ, როდესაც რომის მოქალაქე ვარდებოდა ტყვედ, იყიდებოდა მონად, მიესჯებოდა სიკვდილი, სამუდამო მუშაობა მალაროებში ან მხეცებთან ბრძოლა. ასეთ შემთხვევებში რომის მოქალაქეები კარგავდნენ არა მარტო მოქალაქის სტატუსს, არამედ თავისუფლებას და უთანაბრდებოდნენ მონებს. (*Extra legem positus est civiliter mortuus*).<sup>5</sup>

„კაპიტოს დემინუციო მედია“ რომის მოქალაქის ლათინთა, პერეგრინების თემში გადასახლებისას, მტრის მხარეზე გადასვლით, რომიდან გაძევების გამო, ან დეპორტაციის ან რელიგიატაციის (გადასახლების) მისჯით. ჩამოთვლილ შემთხვევებში რომის მოქალაქეები კარგავდნენ მოქალაქეობას, მაგრამ ინარჩუნებდნენ თავისუფლებას და უფლებას. ფლორენტინი ხშირად თავისუფლების პრობლემას ბუნებით სამართალს უკავ-

1 დიგესტები 41,1,34

2 კომორიენტებს უწოდებდნენ კატასტროფების დროს მასიურად დაღუპულებს

3 დიგესტები 34,5,9,2

4 იხ. P.A. Сафаров Римское право р-наД. 2008г. გვ 166

5 იხ. Цицерон в рсчи «В защиту Авла Клуциция Габинта» (IX25)

შირებდა. მისი აზრით, თავისუფლება არის თითოეულის ბუნებრივი უნარი აკეთოს, რაც სურს, თუკი ეს აკრძალული არ არის ძალაუფლებით ან კანონით. ასეთი თავისუფლება მათ აძლევდათ საშუალებას, ყოფილიყვნენ გათანაბრებულნი პერეგრინებთან ან ლათინებთან, ან კიდევ განმეორებით მოქალაქეობის მიღწევისას, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ მოქალაქეობის დაკარგვა დაკავშირებული არ იყო სისხლის სამართლებრივ დანაშაულთან. „კაპიტოს დემინუციო მინიმას“ შემთხვევაში, ადამიანი კარგავდა თავის მდგომარეობას ოჯახში, მაგრამ ინარჩუნებდა პირველი ორი სტატუსით გათვალისწინებულ უფლებებს.<sup>1</sup>

სხვა შემთხვევებში მოქალაქეობის ხელმეორედ მოპოვება (რინტეგრაცია) შესაძლებელი იყო მხოლოდ სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებით.

### **§5. ლათინების, პერეგრინების და პროპრიეტარების სამართლებრივი მდგომარეობა (status libertatis)**

დაპყრობილი და შემოერთებული თემებისა და სახელმწიფოების მცხოვრებლები მთლიანად არ იყვნენ მონებთან გათანაბრებული. რომთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე ბევრი მათგანი ინარჩუნებდა თავისუფლებას, რასაც რომაელები საკმაოდ ძვირადღირებულ „ფუფუნებად“ თვლიდნენ. რამდენადაც საზოგადოებრივ ცხოვრებაში უნარჩუნდებოდათ თვითმმართველობის და კერძო სამართლის ნორმებით სარგებლობის უფლება.

თავისუფალი სტატუსის მქონე რომის მოსახლეობის სამართლებრივი მდგომარეობა ერთგვაროვანი არ იყო. ისინი იყოფოდნენ ლათინებად და პერეგრინებად.

ლათინები იყვნენ ეთნიკურად რომაელთა მონათესავე ტომების წარმომადგენლები, ხოლო ლაციუმში (ცენტრალური იტალია) ანუ ლათინთა კავშირში<sup>2</sup> შემაველ ხალხებს ეწოდებოდათ *latini veteres* ანუ *latini prisci*. ეს ლათინები ძვ. წ. 494 წელს გაფორმებული ცნობილი ხელშეკრულების

<sup>1</sup> იხ. О.А. Омельченко, Римское право, М.2008г. гл.130

<sup>2</sup> ლათინთა კავშირში შედიოდა ლაციუმის 30 ქალაქი, რომელიც წარმოიშვა 1 ათასწლეულში ჩვ.წ.-ად-მდე, და ცნობილია აპიციანის ფედერაციის სახელით(ქაპიტაციასთან დაკავშირებით)

საფუძველზე, შეყვანილ იყვნენ რომის სახელმწიფოს შემადგენლობაში.<sup>1</sup> მათი მდგომარეობა თითქმის უტოლდებოდა რომის მოქალაქეთა მდგომარეობას.<sup>2</sup> მათ ჰქონდათ ყველა უფლება, გარდა *jus honorum*-ისა და რომის ლეგიონებში სამსახურისა. ისინი სამხედრო სამსახურს გადიოდნენ რომაული ჯარის დამხმარე ქვედანაყოფებში, (მოქალაქის მდგომარეობა) რომში გადასახადების შემთხვევაში, საკუთარ ტომს დაუტოვებდნენ ერთ ვაჟიშვილს მაინც. ძველ ლათინთა აღნიშნული სამართლებრივი მდგომარეობა გაქრა მაშინ, როდესაც იტალიის ყველა თავისუფალ მცხოვრებს მიენიჭა რომის მოქალაქეობა. (90 წ. ძვ. წ) *latini coloniarii*-ს მსგავსი სამართლებრივი მდგომარეობა ჰქონდათ რომის და ლათინთა იმ მოსახლეობას, რომლებიც ძვ. წ. აღ. 338 წლამდე იყო დაარსებული. ამ პერიოდის შემდეგ რომაული და ლათინური კოლონიების მცხოვრებთა უფლებები შეზღუდულ იქნა. ამის შემდეგ მათ უწოდებდნენ ახალ ლათინებს *latini novi*-ს, რომლებსაც შეუნარჩუნდათ მხოლოდ უფლება ესარგებლათ ქონებრივი ხელშეკრულებების გაფორმების შესაძლებლობით. იმისდა მიხედვით, თუ როგორი სახით აღწევდნენ მოქალაქეობას, ახალ ლათინებად იწოდებოდნენ ისინი, რომლებსაც შეეძლოთ მიეღწიათ რომის მოქალაქეობისთვის, თუ თავიანთ თემებში ასრულებდნენ დეკურიონის ან თემის სენატის წევრის მოვალეობებს, ხოლო *latini minores*-ის მქონე მცხოვრებლებს-მხოლოდ ამ პირობით, თუ თავიანთ თემში ასრულებდნენ მაგისტრატის მოვალეობას. გარდა ამისა, ლათინ კოლონებს, ანუ ახალ ლათინებს შეეძლოთ მიეღწიათ რომის მოქალაქეობისთვის, თუ აკმაყოფილებდნენ საამისოდ გათვალისწინებულ პირობებს. გარდა წარმოშობით რომაელთა მონათესავე ლათინების აღნიშნული ორი ფენისა, რომის ისტორიის მანძილზე უცხოური წარმომავლობის ბევრი თემი იტალიაში, გალიაში, ესპანეთში, მაკედონიაში, საბერძნეთში და მცირე აზიაში, აგრეთვე რომის იმპერიის სხვა ნაწილებში იპოვებდნენ ისეთ სამართლებრივ მდგომარეობას, როგორც ჯილდოს რომთან კავშირისათვის, რომელსაც ლათინური თემები ფლობდნენ, მოგვიანებით კი (286 წ. ძვ. წ.აღ) მათი მდგომარეობა გაუთანაბრდა ახალი ლათინების მდგომარეობას.

<sup>1</sup> სხვა წყაროებში მითითებულია ჩვ. წ.აღ-მდე 493წელი „სპურია-კასიას“ სამოკავშირეო ხელშეკრულების დადების იარაღად.

იხ. В. С. Сергеев Очерки по истории древнего мира М. 1938г. გვ 60

2 იხ. О. А. Кудинов Римское право М. 2008г. გვ 86-87

პერეგრინები. ძველ დროში რომის სახელმწიფოს ტერიტორიაზე დატყვევებული ნებისმიერი უცხოელი ითვლებოდა მტრად, თუ, როგორც კლიენტი, არ იმყოფებოდა რომის რომელიმე მოქალაქის დაცვის ქვეშ, და თუკი არ სარგებლობდა თავშესაფრის უფლებით მოქალაქეობის მიღების მიზნით. ყოველი ასეთი უცხოტომელი ითვლებოდა სამართლის ობიექტად, ე.ი. *res nullius*-ად, და რომის ნებისმიერ მოქალაქეს შეეძლო მისი მონად გადაქცევა. მხოლოდ დიდი დაპყრობების შემდეგ დაიწყო რომაელებმა ლიბერტინების სტატუსის მინიჭება მათგან განსხვავებული ეთნიკური ტომებისათვის უფლების აღიარებით. არარომაული და არალათინური თემების წარმომადგენლები იწოდებოდნენ პერეგრინებად, რომლებიც ტრიბუნ გაიუსის პაპინიუსის 65წ.(ჩვ.წალ-მდე) კანონით იწოდებოდნენ უცხოელებად.<sup>1</sup> გარდა ამისა, პერეგრინებად ითვლებოდნენ რომის ის მცხოვრებნი, რომლებმაც დაიბრუნეს თავისუფლება და ზოგიერთი გათავისუფლებული მონა. პერეგრინებს შორის თვალსაჩინო ადგილი ეკავათ იტალიური ტომების წარმომადგენლებს, რომლებმაც ძვ. წ. 90 წელს, სამოკავშირეო ხელშეკრულების დადების შემდეგ მოიპოვეს მოქალაქეობა.

ძირითადი უფლება, რომელიც *status libertatis*-ის საფუძველზე ჰქონდათ პერეგრინებს, იყო უფლება, ესარგებლათ თავისი საკუთარი სამართლებრივი მდგომარეობით, განსაკუთრებით შიდა ურთიერთობების მოწესრიგებისას. ამ თვალსაზრისით, შეზღუდულნი იყვნენ მხოლოდ ძალით დაპყრობილი პერეგრინები. ისინი ვალდებულნი იყვნენ დამორჩილებოდნენ მათთვის დაწერილ კანონებს. გარდა ამისა, პერეგრინები არ ფლობდნენ არც ერთ იმ უფლებამოსილებას, რომლებიც გამომდინარეობდა *jus civis*-ის დებულებებიდან. პერეგრინებისთვის მოქალაქეობის მიღწევა ლათინებთან შედარებით უფრო რთული იყო. ძირითადი გზა, რომლითაც პერეგრინები აღწევდნენ მიზანს, იყო შეწყალება (*beneficium*) რომის სახელმწიფო ორგანოების მხრივ<sup>2</sup> (კრება, სენატი, კონსული, პრეტორი, პრინციპსი). მოქალაქეობას ანიჭებდნენ დამსახურებულ-პერეგრინებს ან პერეგრინთა დამსახურებულ მთელ თემებს.

1 იხ. Р.А. Сафаров, римское право Р.над.2008г.гვ 164

2 იხ. Римское Право под ред. В.Томсинова. М1999г.гв79

რომში ქალთა მდგომარეობა დამოკიდებული იყო მმართველობის ფორმებსა და პოლიტიკურ რეჟიმზე, მაგრამ სამართლებრივად ქალები არ გამოირჩეოდნენ კარგი მდგომარეობით. უპირველეს ყოვლისა, მათ სტატუსს განაპირობებდა საზოგადოებრივ მდგომარეობათა სხვაობა.

როდესაც რომში მყარდებოდა დესპოტური მმართველობა, ქალები ხდებოდნენ ფუფუნების საგანი. ქალს არ შეეძლო განეგო რაიმე ქონება, რადგანაც თვითონ წარმოადგენდა ქონებას. საზოგადოებაში არსებობდა აზრი, რომ მათ „ქალების თავისუფლებამ თავსატეხი არ გაუჩინოს. მათი ქიშპობა, ენის ჭარბი მათი სიმპატიანტიპატიები, ეჭვიანობა და კინკლაობა—მთელი ეს ხელოვნება, რომელიც გააჩნია პატარა სულელებს დიდი სულელების დასაინტერესებლად, აუცილებლად გამოიღებდა თავის სამწუხარო ნაყოფს“— წერს შ.ლ. მონტესკიე. რომაელთა ინსტიტუტების თანახმად, ქალები მუდმივი მეურვეობის ქვეშ იყვნენ (თუკი ქმრის ხელისფულების ქვეშ არ იმყოფებოდნენ). რომაელთა ეს დამოკიდებულება იგრძნობა შემდგომი პერიოდის ბარბაროსულ სამართალში. მაგ. ძველ გერმანელებში ქალები ასევე მუდმივ მეურვეობაში იმყოფებოდნენ, ასეთმა დამოკიდებულებამ ასახვა კპოვა მონარქთა კანონებში. რომელიც ხელისუფალნი ცდილობდნენ კანონებით შეევიწროებინათ ქალები. იულიუსის კანონებმა დაადგინა სასჯელი ცოლქმრული ღალატისათვის, მაგრამ ეს მხოლოდ ქალის მიმართ ვრცელდებოდა. მიუხედავად კანონთა სიმტკიცისა, რომმა ქალთა უზნეო თავგადასულობა თავიდან მაინც ვერ აიცილა.

ამ პრობლემას შ.ლ. მონტესკიე ასე ხსნის, „ზნეთა საშინელი გარხრწნა იმპერატორებს აიძულებდათ, შეექმნათ კანონები, რომლებიც როგორღაც შეაჩერებდნენ ურცხვობის ზრდას, მაგრამ მათ სურვილს არ შეადგენდა ზნეთა გამოსწორება, საერთოდ პოზიტიური ფაქტები, რომელთაც ისტორიკოსები გვაცნობენ, უფრო დამაჯერებლად მოწმობენ ამას, ვიდრე ყველა ამ კანონს ძალუძს საწინააღმდეგოში დაგვარწმუნონ.“<sup>1</sup>

ავგუსტუსმა და ტიბერიუსმა კანონთა სიმტკიცე თავიანთი ნათესავი ქალების მიმართ გამოიყენეს, მაგრამ არა იმისათვის, რომ ზნეობა დაეცვათ, არამედ მკრეხელობისათვის და იმპერატორის შეურაცხყოფისათვის.

რომში ძირითად ინსტიტუტებს გარდა, რომლებიც ქალთა საკითხებს ეხებოდნენ, ცენზორებმა მაგისტრატებს მრავალი კერძო კანონი დაად-

<sup>1</sup> იხ. შ.ლ. მონტესკიე, კანონთა გონი, თბ. 1994 წ. გვ. 135

გენინეს, რათა ქალები ზომიერების საზღვრებში ჰყოლოდათ. ამ მიზანს ემსახურებოდა ფანიუსის, ლატინმიუსის და ოპიმიუსის კანონები, რომლებიც ასევე აწესრიგებდნენ სუფრასთან ქალთა ურთიერთობის საკითხებს.

მეულეების პირად ურთიერთობასთან დაკავშირებით საინტერესოა ის ყოფაცხოვრებითი დეტალები, რომელთაც ბიზანტიელ მწერალთა თხზულებებში ვხვდებით. ანონიმი ავტორის სტრატეგიკონი, შედგენილი XIII საუკუნის დასაწყისში, ამ მხრივ ყურადღებას იმსახურებს. ხსენებული თხზულების §101-ში ასეთ დარიგებას ვპოულობთ: „თუ შენი მეგობარი იმ ქალაქში გამოივლის, სადაც შენ ცხოვრობ, ნუ მოათავსებ მას შენ სახლში, დაე იგი სხვაგან ჩამოხტეს: „შენ გაუგზავნი მას ყოველივე საჭიროს და ისიც მადლობელი დაგრჩებათ. თუ შენ მას საკუთარ სახლში გააჩერებ, აქედან მრავალი უსიამოვნება შეიძლება შეგხვდეთ. პირველყოფლისა, ვერც შენი ცოლი, ვერც შენი რძალი და ვერც შენი ქალიშვილი თავის ოთახიდან თავისუფლად ვერ გამოვა და როგორც საჭიროა, ისეთ განკარგულებას ვერ გასცემს სახლში. თუ კი ისინი ეზოში გამოვლენ, თქვენი მეგობარი კისერს წაიგრძელებს და თვალს არ მოაშორებს მათ. როცა შენ მასთან ერთად იქნები, მაშინ, რასაკვირველია, იგი თვალთმაქცურად თავს ძირს დახრის, მაგრამ მაინც ჩაათვალიერებს, თუ როგორი სიარული, მიზერა-მოხერა და გამოხედვა აქვთ მათ.

უბრალოდ რომ ვთქვათ, ის თავიდან ფეხებამდე ჩაათვალიერებს მათ და შემდეგ მათ თავისიანების წინაშე დასცინებს და გამოაჯავრებს. სწორედ ასევე იგი ცუდად მოიხსენებს შენს მსახურებს, შენს მაგიდას, მთელ წესრიგს. ამასთანავე, იგი გამოიკითხავს შენი ქონების შესახებ, გაქვს თუ არა ის, მაგრამ რაღა ბევრი ვილაპარაკოთ ამის შესახებ? თუ იგი მოხერხებულ შემთხვევას იპოვის, შენს ცოლს სასიყვარულო ნიშნებით მიმართავს, შეხედავს მას უსირცხვილო თვალებით. თუ ვერ შეძლებს, მაინც დაიტრატავს, უხამსად მან არაფერიც რომ არ თქვას, როდესაც მტერი წაგეჩხუბება, იგი ხმამაღლა წამოგძახებს ამის შესახებ.<sup>1</sup>

რომაელი იურისტები სამოქალაქო სამართლის ცალკეულ ინსტიტუციებში აფიქსირებდნენ ქალისა და მამაკაცის თანასწორობას, მაგრამ (მაგ. ქორწინების ცნებაში) სინამდვილეში არასოდეს ყოფილა რომში ქალი მამაკაცის თანასწორი.<sup>2</sup>

ქალის დაყენება ოჯახის უფროსად რომში გამორიცხული იყო, მაგრამ

1 იხ. Византия и византийцы конца X века, по Шлюмберже, М.М. Ремезова, М 1898г ud127-128

2 იხ. ვ. მეტრეველი, რომი სამართალი (საფუძვლები) თბ. 2005 წ. გვ. 101

ამას უშვებდა ეგვიპტური კანონმდებლობა, ისინი უფრო შორს მიდიოდნენ, ქალები განაგებდნენ იმპერიას.

ანალოგიურ მდგომარეობას ვხედავთ ინდოეთშიც, სადაც დადგენილი იყო, რომ თუ ვაჟები დედით სამეფო სისხლისანი არ არიან, მაშინ ტახტზე ადის ქალი, რომლის დედაც მეფეთა შთამომავალია. რომაულ სამართალში „ქალის უფლებაზე“ ძალიან გვიან დაიწყეს ლაპარაკი ამიტომაც ფ. ენგელსთან ქალის უფლება მატრიარქატის გათანაბრებული მნიშვნელობით ხასიათდებოდა, ხოლო ი. ბახოფენთან, რომელმაც დაწერა წიგნი „Das Mutterrecht,“ „დედის სამართალს“ ნიშნავდა.<sup>1</sup> ხოლო რომში დედის სამართალი არასოდეს ჩამოყალიბებულა. ქალთა ასეთ მდგომარეობას ცნობილი ქართველი მოაზროვნე არჩ. ჯორჯაძე შემდეგნაირად ხსნის: ქალის უფლებები ოდითგანვე შეიზღუდა, ჯერ კიდევ ხალხური წეს-ჩვეულებებით, შემდეგ რელიგიით, არსებული „მორალით“ მთავართა და მეფეთა შემოღებული კანონებით იგი იქცა სამართლის ნაწილობრივი ობიექტი და სუბიექტი, რამაც სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობაში ზედმეტნაკლებად კპოვა ასახვა.<sup>2</sup>

ანალოგიურ პოზიციაში იყო ქალი სამართლებრივად ძველ რომში, თუმცა იმპერიის ბოლო ხანაში შედარებით უმჯობესდება ქალის სამართლებრივი მდგომარეობა სამოქალაქო სამართლის ცალკეულ სფეროში, რაზედაც შემდგომში გვექნება მსჯელობა.

რაც შეეხება ქალის მდგომარეობას ვალდებულებითი სამართლის სფეროში, ნაწილობრივ გაუმჯობესდა მას შემდეგ, როდესაც აღიარებული იქნა ქალის ქმედუნარიანობა, მიუხედავად ამისა, რომაელები მაინც ფიქრობდნენ, რომ ქალს არა აქვს უფლება დადოს თავდებობის ხელშეკრულება, ამიტომ 46 წელს გამოცემული კანონებით (ჩვ.წ.ალ-მდე) ქალს აეკრძალა ყველა სახის ინტერცესია. ქალები არ დაუშვეს არც კუმულიატიურ და არც სუბსიდიალურ ინტერცესიაზე განსაკუთრებით კი მათ ეკრძალებოდათ ე.წ. *intercessio tacita*, ანუ დუმილით ინტერცესია და ხელშეკრულების დადება მისი სახელით. გამონაკლისის სახით იუსტინიანეს მიერ ქალს უფლება მიეცა ქმრის სასარგებლო ინტერცესიისათვის მხოლოდ წერილობითი ფორმით ან სამი მოწმის თანდასწრებით.

წყაროების შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ ისტორიულად ქალის სა-

<sup>1</sup> იხ. გ. ლობჯინიძე, ნარკვევები, არჩ. ჯორჯაძის მსოფლმხედველობაში სამართლებრივი ნააზრევებიდან, თბ. 1992 წ. გვ. 207

<sup>2</sup> იხ. გ. ლობჯინიძე, ნარკვევები, არჩ. ჯორჯაძის მსოფლმხედველობაში სამართლებრივი ნააზრევებიდან, თბ. 1992 წ. გვ. 207

მართლებრივი მდგომარეობა ძველ საქართველოში გაცილებით უკეთესი იყო, ვიდრე მაშინდელ მსოფლიოში. საქართველოში ქალი სარგებლობდა მემკვიდრეობის უფლებით, ლეზულობდა მზითევს და ყმა-გლეხობის, თუ მდაბიოთა წრის გამოკლებით, მფლობელობის და საკუთრების სუბიექტია და არა ობიექტი.<sup>1</sup> მათი მდგომარეობა გაცილებით უკეთესი გახდა თამარ მეფის ეპოქაში მრავალ მიზეზთა გამო.

## §7. მონათა სამართლებრივი მდგომარეობა

ძველმა რომმა და სხვა რიგმა ქვეყნებმა მონურ შრომაზე დაყრდნობით მიაღწიეს მატერიალურ, სოციალურ და კულტურის ისეთ მაღალ დონეს, რომელიც დღესაც გაოცებას იწვევს. ანტიკურ ეპოქაში დაახლოებით 10 საუკუნის განმავლობაში თანაცხოვრობდა მეცნიერება და მონობა, მაგრამ ამ დროს არც ერთ მონაკვეთში არავინ დაინტერესებულა მონათა ფაქტოლოგიური ისტორიის შესწავლით. ამის თაობაზე ამერიკელი ისტორიკოსი უილიამ უესტერგანი წერდა: „არც ერთ ანტიკურ მწერალს არ დაუწერია ცალკე ნაშრომი არც მონობაზე, არც მონობის პრობლემაზე.“<sup>2</sup>

ამ მხრივ, ერთი გამონაკლისი არსებობს, ვინმე ცელიუსი (caecilius), რომელსაც ათენაიოსის ცნობით, უცხოვრია ძვ.წ.აღ. I ს. დაუწერია არა საერთოდ მონობის ისტორია, არამედ მონათა აჯანყების ისტორია.<sup>3</sup>

ქართველ მეცნიერთა შორის ფუნდამენტური გამოკვლევა მონობას ანტიკურ ხანის ქვეყნებში მიუძღვნა პროფ. მ. ალექსიშვილმა ამავე სახელწოდების წიგნში, სადაც დიდი ადგილი აქვს დათმობილი მონათა მდგომარეობას ძველ რომში.<sup>3</sup>

რომაული სამართლის მიხედვით, „მონებს არ გააჩნიათ არავითარი უფლება“.<sup>4</sup> მათ ადამიანებად არ თვლიდნენ. იურისტის, გაიუსის მიხედვით, ისინი იყვნენ „res“ – ნივთები, მოლაპარაკე იარაღი, (insrmentum vocale). იმყოფებოდნენ ბატონის განუსაზღვრელი ძალაუფლების ქვეშ.<sup>5</sup> მათი მძიმე მდგომარეობის და ნივთთან მონის გათანაბრების მაჩვენებელია ნივთის დაყოფა ორ კატეგორიად, მონა მოქცეული იყო res mancipi-ს კატეგორ-

1 იხ. გ. ნადარეიშვილი, ქართული საოჯახო სამართლის ისტორიიდან, თბ. 1965წ. გვ. 14

2 იხ. Realencycloparie pauly-Wissowa-kroll. Supplement banf. 6 1935, 891

3 იხ. მ. ალექსიშვილი მონობა ანტიკურ ქვეყნებში, თბ. 1971წ

4 დიგესტები 4, 5, 3, 1

5 გაიუსი 1, 52



რიაში, რომელზედაც კერძო საკუთრების უფლების გასხვისებისათვის (გაყიდვისათვის) საჭირო იყო ფორმალური ცერემონიალის შესრულება. გაიუსი წერს, რომ *res mancipi*-ს კატეგორიაში მონებთან ერთად შედის მიწა, ხარები, ცხენები, ჯორები, ვირები და სხვა.<sup>1</sup>

1.2. Athenaei Deipnosophistarum VI, 272 (ციტ. მ. ალექსიშვილის ნაშრომიდან)

მონობის წყაროები – რომის ისტორიაში პირველი მონები გაჩნდნენ გვაროვნული მოწყობის დაშლისთანავე. იმ დროს საწარმოო ძალების განვითარება შრომის ნაყოფიერებას იმდენად აღემატებოდა, რომ მარტო გვაროვნული სამუშაო ძალის გამოყენება მეურნეობაში არარენტაბელური გახდა. რომაული მეურნეობის განვითარებასთან ერთად გაიზარდა საჭიროება მუშა ხელის მიმართ. ამ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად მონებს იძენდნენ სხვადასხვა გზით.

თავდაპირველად, მონათა ტყვედ აყვანა ომის დროს დაიწყო. რეს-პუბლიკის პირველ საუკუნეებში ყველა ტყვე ითვლებოდა სახელმწიფოს საკუთრებად, ე.ი. *servi publici*. შემდეგ ეს ტყვეები იყიდებოდნენ საჯარო ვაჭრობით და გადადიოდნენ მოქალაქეთა საკუთრებაში, მეორე მნიშვნელოვანი გზა იყო საკუთარ მოქალაქეთა დამონება. ძველი სამართლის თანახმად, მონად ცხადდებოდა ყველა მოქალაქე, რომელიც არ დარეგისტრირდებოდა საგადასახადო უწყებაში და თავს აარიდებდა სამხედრო ვალდებულებების შესრულებას (*incensi*); მონებად ცხადდებოდნენ ის პირებიც, რომლებიც ლოიალურად და დროულად არ შეასრულებდნენ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, აგრეთვე ქურდობაში მხილებულნი.

ლატიფუნდიების წარმოშობას და მონების მიმართ მოთხოვნის ზრდას მოჰყვა ხალხის გატაცებისა და დამონების არნახული მასშტაბები მთელ ხმელთაშუა ზღვისპირეთში. მეკობრეები მონებით ამარაგებდნენ დელოსის, როდოსის, ათენისა და თვით, რომის ბაზრებს. მეკობრული გზით მოპოვებულ და ბაზარზე გაყიდულ ადამიანებს არ შეეძლოთ მონობისაგან გათავისუფლების თაობაზე დავის დაწყება, როგორც წარმომავლობისაც უნდა ყოფილიყვნენ ისინი.<sup>2</sup>

<sup>1</sup> გაიუსი II,146

<sup>2</sup> იხ. Муромца С.А. Гражданское право Древнего Рима М. 1883г.გვ 35-36

მონა ქალის მიერ გაჩენილი ბავშვები, მიუხედავად იმისა, თუ ვინ იყო მამა, ზღებოდნენ მონები. დაბადების მომენტში ისინი ექცეოდნენ დედის პატრონობის ქვეშ. ამ წესიდან ერთადერთი გამონაკლისი იყო ე.წ. favor libertatis-ი – ბავშვი მონა ქალისა, რომელიც ორსულობის თუნდაც რომელიმე მომენტში იყო თავისუფალი, იბადებოდა როგორც თავისუფალი. მარტივანე პრობლემას შემდეგნაირად წყვეტდა, – თავისუფალი დედისაგან შობილი თავისუფალშობილია; საკმარისია, ბავშვის გაჩენის დროს დედა იყოს თავისუფალი, თუნდაც ბავშვი მონობაში ჩაისახოს, ან პირიქით, ბავშვი ჩაისახოს დედის თავისუფლების დროს, ხოლო დედა მშობიარობისას გახდეს მონა, ბავშვი მიიჩნევა თავისუფალ ადამიანად, მიუხედავად იმისა, კანონიერ ქორწინებაში ჩაისახა იგი, თუ ქორწინების გარეშე, რადგან დედის უბედურება არ უნდა ენებდეს მას, ვინც საშობია.

დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში მონებად ცხადდებოდნენ: 1) მალა-როებში მუშაობამისჯილი (ad metalla), ან ველურ მხეცებთან (ad bestias) ბრძოლამისჯილი პირები. 2) მოქალაქენი, რომლებიც შეუთახმდნენ ვაჭრებს, რომ თანახმანი იყვნენ მონად გაყიდულიყვნენ, იმ პირობით, რომ vindicatio in libertatem-ის მიხედვით მიიღებდნენ გაყიდვის შედეგად მიღებული ფულის ნაწილს (venditio preti participandi causa) და 3) რომელი ქალები, რომლებიც მონებთან ინტიმურ კავშირში შევიდნენ ბატონების ნების გარეშე.

დიგესტებში ულპიანე მიუთითებდა, თუ ორსულ ქალს მიესაჯა სიკვდილი, ის ვინც მან უნდა შეას, ითვისებდა თავისუფალ ადამიანად და არსებობს წესი – დედას შეუნარჩუნდეს სიცოცხლე, ვიდრე ბავშვს გააჩენს. რადგან ბუნებითი სამართლით ყველა იბადება თავისუფალი, არ არსებობს განთავისუფლება იქ, სადაც არ არის მონობა.

ძველი რომაული სამართლის მიხედვით, გარანტირებული იყო ბატონობის უფლება თავიანთი მონების სიცოცხლესა და სიკვდილზე. ეს უფლება გაიგივებული იყო ბატონის უფლებასთან – ესარგებლა, გამოეყენებინა ან გაენადგურებინა მონა, როგორც რომელიმე ნივთი. ბატონის ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული, თუ როგორი იქნებოდა მონის ფაქტობრივი მდგომარეობა. მონების მდგომარეობა პატრიარქალურ პერიოდში იყო შედარებით მსუბუქი, რამდენადაც მონები მიწის მცირე ნაკვეთებს თავის ბატონთან ერთად ამუშავებდნენ და ცხოვრობდნენ როგორც ერთი „ოჯახი“. აგრეთვე ის, რომ აღრეული მონები იყვნენ რომის ადათითა და მორალით მსგავსი მონათესავე ტომების წარმომადგენლები. იმ გარე-

მოების გათვალისწინებით, რომ ომის შემთხვევაში ბატონსა და მონას შორის შეიძლებოდა როლების გაცვლა მომხდარიყო, ეს განაპირობებდა შედარებით ნორმალურ ყოფას შემდგომი პერიოდის მონათა მდგომარეობასთან მიმართებაში.

ის ფაქტი, რომ მონა, ყველაფრის მიუხედავად, იყო ადამიანი, აისახებოდა ძველ სამართალში; მონების სასაფლავო ითვლებოდა წმინდად. XII ტაბულის კანონებში დაფიქსირებული იყო მონების პასუხისმგებლობა გადაცდომებისათვის; მონებს შეეძლოთ ემოქმედათ, როგორც თავიანთი ბატონების წარმომადგენლებს, ცოტა მოგვიანებით მათ ჰქონდათ ანდერძის საფუძველზე მემკვიდრეობის მიღების უფლება.

როდესაც ლათინურენოები გაჩნდა და რომაული ოჯახები დაიყვნენ სასოფლო *familia rustica*-დ და საქალაქო ოჯახებად *familia urbana*-დ, მონათა ფაქტობრივი მდგომარეობა გაუარესდა. ისინი სასტიკ ექსპლუატაციაში მოექცნენ (კლასიკური მონების ხანა). როდესაც მონათა უკმაყოფილების შეკავება სანქციების გაძლიერებითა და არნახული ტერორით, შეუძლებელი გახდა, რომელი პრინციპები იძულებულნი გახდნენ რამდენადმე გაეუმჯობესებინათ მონათა მდგომარეობა.<sup>1</sup>

ბატონებს აეკრძალათ მონების (თავისი და სხისი) მოკლა, მხეცებთან ბრძოლის იძულება, ზღვარგადასული წამება. მაშინ გაჩნდა წესი, დაუძლეველი და პატრონისაგან მიტოვებული მონები ხდებოდნენ თავისუფალნი, ეი რომის სახელმწიფოს განვითარების მხოლოდ კლასიკურ პერიოდში მიიღეს მონებმა პირველი და ძირითადი უფლება სიცოცხლეზე.

კლასიკური პერიოდის სამეურნეო აქტივობისა და სამართლებრივი მოღვაწეობის გამოცოცხლებას თან მოჰყვა მონათა მდგომარეობის გაუმჯობესება კერძო სამართლის სფეროშიც. მონებმა მიიღეს უფლება არა მარტო შეეძინათ ბატონისათვის გარკვეული ღირებულებების საქონელი ან სხვა ფასეულობა, არამედ აეღოთ აგრეთვე, მასზე ვალდებულება დადებული ხელშეკრულების შესაბამისად სრული ღირებულების გადახდის ჩათვლით (ბატონის თუნდაც უსიტყვო თანხმობის შემთხვევაში). მონათა მხრიდან სამეურნეო საქმიანობის დამოუკიდებლობა იმდენად მაღალი იყო, რომ განსაკუთრებულ შემთხვევაში შეეძლოთ მონობიდან თავის გამოსხნა საკუთარი ფულით და საკუთარი მონების შეძენაც კი. ცხადია, არც ერთ ამ შემთხვევაში მონები არ ხდებოდნენ უფლებაუნარიანი და ქმედუნარიანი პირები. კანონის თანახმად, ისინი მაშინაც საკუთარი ბატონ-

<sup>1</sup> იხ. М.П. Морев, Римское право М.2008г. გვ. 155

ნის საგნად, ues —ად ითვლებოდნენ. მართალია, მონათა სამეურნეო აქტივობა აიძულებდა რომაელებს, დაეფასებინათ ისინი, როგორც ხალხი, ასეთ თვალსაზრისს მხარს უჭერდნენ იურისტებიც. ნეტარ ავგუსტინეს (354-430) მონობა უსამართლოდ მიაჩნდა, მაგრამ, მისი აზრით, იგი დაწესებული იყო ცოდვების საზღაურად და მის არსებობას კანონზომიერად მიიჩნევდა. შემდგომში მონის მიერ აღებული ვალდებულება „ნატურალურად“ ითვლებოდა.

შ. ლ. მონტესკიე მონობის ორ სახეს—რეალურს და პირადს განიხილავდა. მისი აზრით, რეალური იყო ის მონობა, რომელიც მონას ბატონის მიწას ამაგრებს, პირადი მონობა გულისხმობს სახლის სამსახურს და უფრო ბატონის პიროვნებასთანაა დაკავშირებული. შ. ლ. მონტესკიე თვლის, რომ „მონობა უკიდურესი ბოროტებაა, როდესაც იგი ერთდროულად პირადიცაა და რეალურიც“, მაგრამ რა ბუნებისაც არ უნდა იყოს მონობა, სამოქალაქო კანონები უნდა ეცადონ, ააცილონ, ერთი მხრივ მისი ბოროტად გამოყენება, მეორე მხრივ კი, მასთან დაკავშირებული საფრთხე, რადგანაც რომაელებმა ბატონთ თავშეუკავებლობას სადავე მიუშვეს.<sup>2</sup>

მონათა სამართლებრივი მდგომარეობა უმჯობესდებოდა პოსტკლასიკურ პერიოდშიც. მუშახელის ნაკლებობის გამო ლათინურენოვან რეგიონებში უკიდურესად აღარ მახვილდებოდა.

სასოფლო ოჯახები და მონები შრომობდნენ ინდივიდუალურად, ამუშავებდნენ ცალკეულ ნაკვეთებს. ასეთი მონები სამართლებრივი მდგომარეობით კოლონებს უახლოვდებოდნენ. ეს გათანაბრება იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ იუსტინიანემ კითხვაც კი დასვა: რაში მდგომარეობს განსხვავება მონებსა და კოლონებს შორის, თუ ორივე თავისი ბატონის ძალაუფლების ქვეშ იმყოფება?

ამის შემდეგ მოხდა მონათა საქორწინო კავშირების სანქცირება, მაგრამ მათი სამართლებრივი მდგომარეობის ამ გაუმჯობესების მიუხედავად, რომის ისტორიის ვერც ერთ პერიოდში ვერ მიიღეს თავისუფალი შრომის ძირითადი უფლება. მონის შრომის შედეგად მიღებული დოვლათი მიდიოდა მონათმფლობელთა ხაზინაში და ისინი თავისი შეხედულებით წყვეტდნენ, თუ რა ნაწილი უნდა დაეტოვებინათ მონის განკარგულებაში.

მონები, მაგალითად, ფართო უფლებით სარგებლობდნენ ძველი ეგვიპტის სახელმწიფოში. სადაც თავიანთი ოჯახი და ქონება ჰქონდათ.

<sup>1</sup> დივესტები 1,6,2

<sup>2</sup> იხ. შ. ლ. მონტესკიე, კანონთა გონი, თბ. 1994წ. გვ. 274-275

დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში მათ სახელმწიფო საპატიმროში ამწყვდედენ და სახელმწიფო ორგანოები სჯიდნენ. სასტიკი მოპყრობის შემთხვევაში უფლება ენიჭებოდათ, თავშესაფარი ეძიათ ტაძრებში და ბატონზე შეეტანათ საჩივარი, რის შედეგადაც მონა შეიძლებოდა ტაძრის მსახურად, ღმერთებისათვის შეწირულ არსებად გადაქცეულიყო.“ მონას ბაბილონშიც შეეძლო ჰქონოდა თავისი ქონება, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ პატრონის ხელში გადადიოდა. ჰამურაბის კანონებით, სასახლისა და მუშკენუს მონის სიკვდილის შემთხვევაში მისი ცოლი, თუ იგი თავისუფალი ქალი იქნებოდა, თავის სასარგებლოდ ინარჩუნებდა მზითევს, ხოლო ქმრის ნახეარ ქონებას შეიღების აღსაზრდელად ღებულობდა. ათენში სახელმწიფო მონებს შეეძლოთ საკუთრების შექმნა და თავისუფლად მოხმარება. აქ ბატონს მონის მხოლოდ გამათარახების უფლება ჰქონდა; სიკვდილით დასჯა კი მარტოოდენ სასამართლოს განაჩენით იყო შესაძლებელი.

რომაელი იურისტის ფლორენტინუსის აზრით, მონობა სხვადასხვა ხალხის პოზიტიური სამართლის დანაწესია, რომლის მეშვეობით ერთი, ბუნებითი სამართლის წინააღმდეგ, მეორის ძალაუფლებას ემორჩილება.<sup>1</sup> მონის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში, მაგალითად, თუ მათ ქურდობა ან ქონების ძარცვა ჩაიდინეს, ან ვინმეს ზიანი ან შეურაცხყოფა (ინურია) მიაყენეს, წარმოიქმნება ნოქსალური სარჩევები, რომელთა მეშვეობით მონის მესაკუთრეს ნებართვა ეძლეოდა ან შეფასებით დადგენილი სადავო საგნის ფასი გადაეხადა, ან კიდევ ზიანის მიმყენებელი მონა (დაზარალებულისთვის) გადაეცა, ხოლო „noxā“ ნიშნავდა პირს, რომელმაც ზიანი მიაყენა, ე.ი. მონას. „noxia“ კი-თავად სამართალდარღვევას (maleficio)-მაგალითად, ქურდობას, ზიანის მიყენებას, ძარცვას, შეურაცხყოფასაც კი (ინურია).<sup>2</sup>

იმპერატორმა ტაციტუსმა გამოსცა ბრძანება, რომლის თანახმადაც მონებს უფლება არ ჰქონდათ მოწმედ გამოსულიყვნენ თავიანთი ბატონის წინააღმდეგ, თვით უდიდებულესობის შეურაცხყოფის დანაშაულის შემთხვევაშიც კი, ეს კანონი შეტანილი არ იქნა იუსტინიანეს კომპილაციაში.<sup>3</sup>

1 დიგესტები, I, 5, 43

2 იხ. რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს ინსტიტუციები თბ. 2002წ. გვ. 243

3 იხ. შლ. მონტესკიე, კანონთა გონი, თბ. 2004წ. გვ. 226

მონათა რიგების შევსების წყაროებზე ნაწილობრივ გვექონდა მსჯელობა, თუმცა მონობა, როგორც პრობლემა, უფრო ვრცლად განხილვას საჭიროებას, რადგანაც ძველი რომი თავისი არსებობის დიდი ხნის მანძილზე კლასიკურ მონათმფლობელურ სახელმწიფოს წარმოადგენდა. რომაელი ისტორიკოსი სენეკა წერდა, „სენატმა ოდესღაც დაადგინა, რომ მონები გარეგნულად უნდა განსხვავდებოდნენ თავისუფალი ადამიანებისაგან, შემდეგ დარწმუნდნენ, რომ ასეთი მიდგომა ძალიან სახიფათო იყო. თუ მონები დათვლას დაიწყებენ და თავის რიცხოვნობას დაადგენენ, ვერაფერი გადაგვარჩენსო. აქედან შეიძლება დასკვნის გაკეთება, თუ რა როდენობის მონები იყვნენ რომის იმპერიაში.“<sup>1</sup>

## §8. მონათა რიგების შევსების წყაროები

წინა პარაგრაფიდან გამომდინარე, მონობას, როგორც სოციალურ მოვლენას, ასაზრდოებდა რამდენიმე წყარო. მათ შორის: 1) ომი, 2) მონობა ნექსუმი (nexum) 3) მონების ბუნებრივი გამრავლება, 4) მეკობრეობა, 5) რაიმე დანაშაულისათვის თავისუფალ ადამიანთა მონებად გადაქცევა, 6) ნებაყოფლობითი მონობა, 7) მშობლების მიერ შვილების მიტოვება. მკვლევარები ამ წყაროთა მიმართ სხვადასხვა მოსაზრებას გამოთქვამენ, მათი უმრავლესობა პირველ სამს მონობის ძირითად წყაროდ მიიჩნევს.<sup>2</sup>

ზოგიერთი მკვლევარი მონობის შევსების წყაროდ თვლის ადამიანებით ვაჭრობას, რაზედაც განსხვავებული აზრიც არსებობს. „როცა ადამიანს მონად ჰყიდიან, ამ გაყიდვამდე, ის უკვე გადაქცეულია მონად. ამის გამო ვაჭრობა მონების არსებული რაოდენობის მარეგულირებელია მონების ბაზარზე და არა თვითონ მონობის წარმოშობის წყარო“.<sup>3</sup>

მონობის ძირითადი წყარო რომის ისტორიის მეფეთა პერიოდში ომები იყო, რა დროსაც ხდებოდა არა მარტო ტერიტორიული გაფართოება, არამედ ნადავლისა და ტყვეების (მონების) ხელში ჩაგდება. პლუტარქეს მიხედვით, თავდაპირველად რომის სახელმწიფო ძალიან მცირე იყო და შემდგომში დიდი ნაწილი რომაელებმა ომით შეიერთეს, მათ დაიპყრეს რომის ჩრდილოეთით საბინელთა ქალაქები-ფიდენე (Fidenae) და კამერია (Cameria), საიდანაც დიდძალი ტყვეები წაასხეს. ისტორიულად

1 იხ. P.A. Сафаров, Римское Право р-на-Д.2008г გვ 158

2 იხ. А.Валлон История рабства В. античном мире 1941. გვ 17-18

3 იხ. მ. ალექსიშვილი, მონობა ანტიკურ ქვეყნებში, თბ. 1971 წ. გვ. 17

ცნობილია, რომ მეორე მეფე ნუმა პომპილიუსი მშვიდობიან პოლიტიკას ატარებდა, ხოლო რომის მესამე მეფე ტულიუს პოსტალიუსი და მეოთხე მეფე ანკუს მარციუსი ამარცხებენ ქ. ალბალონგას და ლათინებს და ამით ავსებენ მონათა რიგებს. რომაელებმა დიდძალი მონა წაასხეს პუნიკური ომების დროს.

nexum – ნექსუმი იყო მონობის ძირითადი წყარო. ძველმა რომაელებმა ეკონომისტმა ვარონმა ცნებაც კი ჩამოაყალიბა nexum-ის ირგვლივ, „ნექსუმი ეწოდება თავისუფალ ადამიანს, რომელიც თავისთავს მონობაში აძლევს იქამდე, ვიდრე იგი არ გადაიხდის იმ ვალს, რომელიც მას აღებული ჰქონდა“. პროფ. მ. ალექსიშვილი თვლის, რომ ადამიანი მონად იქცეოდა ასეთივე ვალის ნატურით აღების ან საიჯარო გადასახადის გადაუხდელობის გამოც. თუ ნექსუმი ვალს დროზე ვერ გადაიხდიდა, კრედიტორი მონად გაყიდდა, ამიტომ იყო ნექსუმი მონობის მთავარი წყარო, წარმოქმნილი დაკაბალების ნიადაგზე, როცა თანამემამულეების და თანამეტომეების დამონება ხდებოდა.<sup>1</sup>

სხვა ქვეყნებთან შედარებით, ნექსუმს მძიმე და აუტანელი ხასიათი ჰქონდა რომში. ლივიუსის მიხედვით, რომში ნექსუმი იწყება რომის უკანასკნელი მეფის ტარკვინიუს ამაყის დროიდან.

XII ტაბულის კანონების მიხედვით, ვალაუვალი მოვალე სასამართლოს გადაწყვეტილებით მონად იქცეოდა. კანონები კრედიტორს უფლებას აძლევდა:

1) თუ პირს რამდენიმე კრედიტორის ვალი ჰქონდა და ვერც ერთს ვერ უხდიდა, „მესამე საბაზრო დღეს დაე დავალიანებული პირი გაკვეთონ ნაჭრებად და თუ მას მეტს ან ნაკლებს მოსჭრიდნენ, და ეს არ ჩაეთვალოთ მათ (კრედიტორებს) დანაშაულად.<sup>2</sup> „მართებულია ერთი ავტორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ შემდგომი დროის არც ერთ კანონმდებლობას მოვალე ისე შეუბრალებლად და დაუნდობლად არ დაუნარცხებია კრედიტორის ფეხქვეშ, როგორც ეს ძველი ათენისა და ძველი რომის კანონმდებლობამ ჩაიდინა.“<sup>3</sup> ნექსუმი არსებობდა რესპუბლიკის დროსაც, ხოლო იმპერიის პერიოდში, კერძოდ 326წ. ნექსუმი გაუქმდა.

მონების ბუნებრივი გამრავლება განიხილება, როგორც მონობის შეუსების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო, რომელიც დამახასიათებელი იყო იმპერიის პერიოდისათვის. ამ აზრს იზიარებენ რომის სახელმწიფოს

1 იხ. მ. ალექსიშვილი, მონობა ანტიკურ ქვეყნებში, თბ. 1971წ. გვ. 29

2 Хрестоматия по истории древнего рима М. 1962г. уд 62-63

3 იხ. გ. ნადარეიშვილი რომის სამოქალაქო სამართალი თბ. 2001წ. გვ. 18

ისტორიის მკვლევარები ვ. ხვოსტოვი და ვ. უესტერმანი. მონა ქალის მიერ დაბადებული ბავშვი მონად ითვლებოდა.

ამით კი ბატონს ახალი მუშახელი ემატებოდა. მკვლევართა ნაწილი თვლის, რომ მონათა ბუნებრივი გამრავლება მონობის მთავარი წყარო იყო.

მკვლევართა ნაწილს, მათ შორის მ. ალექსიშვილს მიაჩნია, რომ ბუნებრივი გამრავლება მთავარი წყარო ვერ იქნებოდა, თუნდაც იმ მიზეზით, რომ არარენტაბელური იყო, ბავშვის აღზრდა ხარჯებთან იყო დაკავშირებული და შრომითი ასაკის მიღწევამდე დიდი დრო სჭირდებოდა.

მეკობრეობა – რომის მთელი ისტორიის მანძილზე მეკობრეობას ეწეოდნენ სხვადასხვა სოციალური მდგომარეობის ადამიანები, მათ შორის მაღალი წრის პირები. მეკობრეობა უფრო ფართო ხასიათით არსებობდა რესპუბლიკის ბოლო პერიოდში. ისტორიკოსთა განმარტებით, მარტო ხმელთაშუა ზღვაში დაცურადა 20000-ზე მეტი მეკობრე 1000 ხომალდით. თუმცა სახელმწიფო ებრძოდა მეკობრეობასა და ადამიანის გატაცებას.

ძველ რომში, ფაბიუსის კანონით (დაახ. ძვ. წ. აღ. 183წ), თავისუფალ ადამიანთა და სხვისი მონების გატაცება ზოგჯერ სიკვდილითაც ისჯებოდა.

თ. მომზენის მიხედვით, დანაშაულისათვის მონად გადაქცევა, „მონობა მისჯილი,“ როგორც მონობის შევსების წყარო, მეორეხარისხოვანი იყო. მაგრამ წყაროდ მაინც იყო მიჩნეული. რომში მონად აქცევდნენ მოქალაქეებს კანონის დარღვევისათვის ჯერ კიდევ მეფეთა პერიოდში. ისტორიკოს ლამპიდიუსის გადმოცემით, როცა იმპერატორმა ალექსანდრე სევერუსმა (222-235წ.წ) „გაიგო, რომ ერთმა ჯარისკაცმა შეურაცხყოფა მიაყენა რომელიღაც მოხუც ქალს, ჩამოართვა მას სამხედრო წოდება, აქცია შეურაცხყოფილის მონად და დაავალა მისი რჩენა.“ რომის ისტორიაში ცნობილია, რომ მონად აქცევდნენ იმ პირებს, რომლებსაც მისჯილი ჰქონდათ სიკვდილი, ანდა უვადო საკატორღო მუშაობა მალაროებში, ასევე იმ ადამიანებს, რომელთაც სიკვდილით დასჯა მონობით შეუცვალეს.

საინტერესოა, მაგრამ სადაოდ რჩება ნებაყოფლობით მონად გადაქცევის საკითხი. ისტორიაში დაფიქსირებულია, რომ ზოგჯერ თავისუფალი ადამიანები საკუთარი სურვილით მონად უხდებოდნენ სხვას. აქ ყურადღება მახვილდება ფსიქოლოგიურ ფაქტორზე. ასეთი ადამიანი, ვიდრე იგი მონის ფაქტიურ მდგომარეობაში შევიდოდა, სულიერად უკვე წინას-

---

1 „Poene servus effectus“ „სასჯელით მონად ქცეული“, რომელიც გულისმობდა მალაროებში მუშაობას, მხეცებთან ბრძოლას ან გლადიატორობას



წარ იყო „მონა“. ეს შედეგია უაღრესად მძიმე მდგომარეობისა, რომელიც სხვადასხვა მიზეზით შეიძლება ყოფილიყო გამოწვეული. ასეთ პირებს მიაჩნდათ, რომ „მონობა სიკვდილზე უკეთესია“.

თავისუფალი ადამიანები ზშირად იძულებულნი იყვნენ, სხვისი მონები გამხდარიყვნენ. იუსტინიანეს კოდექსზე დაყრდნობით, მკვლევარები აკეთებდნენ დასკვნას, არაიშვიათად ძლიერი ადამიანები მუქართა და იძულებით სუსტებს საკუთარ მონად აცხადებდნენ.

მონობის შევსების არამნიშვნელოვან, მაგრამ ყურადსაღებ წყაროს წარმოადგენდა მშობლების მიერ შვილების გაყიდვა. ძველი რომის ისტორიის მიხედვით, მამების მიერ შვილების მონად გაყიდვა ცნობილი იყო ჯერ კიდევ მეფეთა პერიოდიდან. რომის მეორე მეფემ ნუმამ აუკრძალა მამებს, რომ მათ მონად გადაექციათ და გაეყიდათ შვილი, რომელიც ცოლიანი იყო, დანარჩენი შვილების მიმართ კი მათ ეს უფლება დაუტოვა. შემდეგ პერიოდში მამის ეს უფლება იზღუდებოდა.

მონობის შევსების ერთ-ერთ უმნიშვნელო წყაროს წარმოადგენდა მშობლების მიერ მიტოვებული ბავშვები, ამ პრობლემას სამი მიზეზი ჰქონდა, ერთი, როცა მამა რაიმე იურიდიული მოტივით ხელს იღებდა ბავშვზე, როცა ეჭვი ეპარებოდა მის შვილობაში, ან ცნობდა მას, მაგრამ არ სურდა მისი აღზრდა.

მოკლედ, ასეთია რომში სხვადასხვა პერიოდში მონობის მასაზრდოებელი ძირითადი ტრადიციული წყაროები.

შ. ლ. მონტესკიე მონობის წარმოშობის სხვა წყაროებზეც საუბრობს: „რელიგია თავის აღმსარებლებს უფლებას ანიჭებს, მონად აქციოს ისინი, ვინც მას არ აღიარებს, რათა თვითონ უფრო ადვილად გავრცელდეს.“<sup>1</sup> გარდა ამისა მონტესკიეს აზრით, „მონობის უფლება გამომდინარეობს ზიზლიდან, რომელსაც ერთი ერი განიცდის მეორე ერის მიმართ ადათთა სხვაობის გამო.“<sup>2</sup> ძირითადად, ასეთი იყო მონათა რიგების წყაროები რომის იმპერიაში.

## §9. მონათა მდგომარეობა იმპერიის პერიოდში

მონათმფლობელობამ VI საუკუნეშიც შეინარჩუნა თავისი ეკონომიკური მნიშვნელობა. ბიზანტიის იმპერიის სხვადასხვა პროვინციაში, მონათმფლობელობა სხვადასხვა დონეზე იყო შენარჩუნებული. კლასიკური

<sup>1</sup> იხ. შ.ლ. მონტესკიე, კანონთა გონი, თბ. 1994წ.გვ 268

<sup>2</sup> იქვე გვ. 269

ფორმით საბერძნეთში, მცირე აზიაში, სირიაში, ეგვიპტეში და ქვეყნის სხვა მთიან რეგიონებში. იუსტინიანე იმპერატორის დაპყრობითმა პოლიტიკამ მონათა დიდი ნაკადების შემოდინება გამოიწვია ქვეყანაში.

ისტორიკოს პროკოფი კესარიელის ინფორმაციით, ბიზანტიელი მეომრები ტყვე მამაკაცებს სასტიკად ეპყრობოდნენ, სცემდნენ და ფიზიკურ ტკივილს აყენებდნენ, ხოლო ბავშვებს და ქალებს მონებად აქცევდნენ.

ტყვეებითა და მონობით ვაჭრობა პიკს აღწევს VI საუკუნეში. მონათა ძირითადი მასა შემოპყავდათ შავი ზღვისპირა ქვეყნებიდან; აღმოსავლეთ ევროპიდან და კავკასიიდან. მონათა ვაჭრობის გაფართოებამ დღის წესრიგში დააყენა ბაზრის მოწესრიგება. იუსტინიანეს კანონდებლობით, დაწესდა მონებზე ფასები 20 დან 70 ნომისამი, გამომდინარე მონის კვალიფიკაციიდან. პროკოფის ცნობით, ერთ-ერთი სამხედრო ტყვე სამხრეთ აფრიკაში გამოისყიდეს 50 ოქროს ნომისმად.

ბაზარზე მონის გამყიდველი ვალდებული იყო ეჩვენებინა მისი წარმომავლობა, ფიზიკური მდგომარეობა და პროფესია, მონის მყიდველები უპირატესობას ანიჭებდნენ თავისუფლებისმოყვარე და მეომარი ბარბაროსი ქვეყნებიდან დამონებულთ. ძველი წყაროების მიხედვით, განსაკუთრებით ფასობდნენ კავკასიელები, შავისზღვისპირეთიდან და ეგეოსის ზღვის კუნძულებიდან გასაყიდად მოყვანილი მონები.

მონის შრომა შენარჩუნებული იყო როგორც სოფლის მეურნეობაში, ასევე სამეწარმეო სფეროში. იუსტინიანეს კანონმდებლობით, ერთმანეთისგან გამიჯნულია სასოფლო და საქალაქო მონები. თანამედროვენი აღწერენ მონებს, რომლებიც დასაქმებულები იყვნენ წისქვილებში. ასევე მოიხსენიებენ საქონლის გადამრეკ და მეცხვარე მონებს. ასევე მონებს, რომლებიც თავისი ბატონებისათვის ამზადებდნენ სამკაულებს, ქსოვილებს, საუველირო ნაწარმს, ტანსაცმელსა და ფეხსაცმელს. მონათმფლობელი ვალდებული იყო აღწერის დროს ეჩვენებინა მის მფლობელობაში მყოფი ყველა მონა, რაც შემდეგ გათვალისწინებული იქნებოდა გადასახადების დაწესების დროს!

დიდ ქალაქებში არსებობდა სახელოსნოები, სადაც დასაქმებული ჰყავდათ ასეულობით მონა. ხელოსნებს სათავეში ედგა მონა-თამქარი, რომლის ფუნქციებში შედიოდა საწარმოო პროცესის თვალისდევნება და ამ პროცესთან დაკავშირებული სხვა საკითხების მოგვარება. უკვე დიდი ყურადღება ექცეოდა მონათა პროფესიონალიზმს; მონის ფასი იწევდა

1 იხ. მ. ალექსიშვილი მონობა ანტიკურ ქვეყნებში, თბ. 1971წ.გვ. 256-257

იმისდა მიხედვით, თუ რომელ იმეიათ პროფესიას ფლობდა იგი. ასე მაგ. მონა-ნოტარიუსი, რომელიც კარგად ფლობდა რომაულ სამართალს, ღირდა 56 ნომისი, ექიმები და ბებიაქალები 60 ნომისი. კარგი ხელოსანი -70 ნომისი. იოანე მილოსლაველის ცნობით, ახალგაზრდა მონა, რომელიც საიუველირო საქმეს ეუფლებოდა, 30 ნომისად ფასობდა.

კანონმდებლობა კატეგორიულად კრძალავდა მონების სამხედრო სამსახურში გაყვანას, მაგრამ როდესაც ბიზანტიის იმპერიას გაუჭირდა (523 და 531 წლები), იმპერატორთა დადგენილებით, თუ მონა მფლობელის თანხმობით არმიაში ჩაირიცხებოდა, ავტომატურად ღებულობდა თავისუფლებას და მონათმფლობელი მასზე ყოველგვარ გავლენას კარგავდა.

ქალაქებზე მტრის მოულონდელი თავდასხმის შემთხვევაში, მონებს იყენებდნენ თავდაცვით ღონისძიებებში მოქალაქეთა მეთვალყურეობის ქვეშ. მონათა დიდი ნაწილი რჩებოდა შინამოსამსახურედ. პროფიკი კესარიელის ინფორმაციით, მონათა მდგომარეობა დამოკიდებული იყო მათ მფლობელთა ნებაზე. მისივე ცნობით, სარდლის ველისარის მეუღლე ანტონინა უსასტიკესად მოექცა იმ მონებს, რომლებმაც ქმარს მისი ღალატი აუწყეს, „ყველა მათგანს ჯერ ენები დააჭრა, შემდეგ კი ნაკუწ-ნაკუწ ააჩხინა, ტომრებში ჩააყრევინა და უშიშრად ზღვას მისცა.“<sup>1</sup>

VI საუკუნეში მონების მიმართ დამოკიდებულება შეიცვალა. მონის ქორწინება და ნათესაობის აღიარება ბოლო პერიოდში დასაშვები რომ იყო, ამაზე მეტყველებს იუსტინიანეს ინსტიტუციების X ტიტული, სადაც „ცნობილია ისიც, რომ მონების ნათესაობაც ქორწინებისათვის დაბრკოლებას წარმოადგენს, თუ დაეუშვათ „მამას და ქალიშვილს ან ძმას და დას გააზატებენ.“<sup>2</sup> ასევე, იუსტინიანეს კანონმდებლობით, მათ მიეცათ პეკულის უფლება. (პეკუს –pecus) პეკული არის მონათმფლობელის ის ქონება, რომელიც სამართავად და სარგებლობის მოსატანად ჩაბარებული ჰქონდა მონას. პეკული შეიძლება ყოფილიყო მიწის ნაკვეთი, ფული და სხვა.

იუსტინიანეს ინსტიტუციებში ვკითხულობთ, „თუ მონას „ვიკარიუსის“ რამე მართებს, ამას მის პეკულიუმს არ გამოაკლებენ.“<sup>3</sup>

მონისათვის შეიძლებოდა ჩაებარებინათ სავაჭრო, საწარმო, ხომალდი და ა.შ. ასეთ შემთხვევაში მონა ღებდა გარიგებებს, მაგრამ პასუხისმგებლობას კისრულობდა მისი პატრონი, რომლის სახელითაც მონა გამოდიოდა.<sup>4</sup> ასეთი მიდგომა მონათმფლობელებსაც აძლევდათ ხელს, ქონების

1 იხ. ა.კესარიელი, საიღუმლო ისტორია, 1999წ. თბ. გვ.24

2 იხ. რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს ინსტიტუციები, თბ. 2002წ. გვ. 27

3 იხ. რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს ინსტიტუციები, თბ. 2002წ. გვ. 453

4 ე. მეტრეველი, რომის სამართალი (საფუძვლები) თბ. 2005წ. გვ.55-56

დასაგროვებლად დაეწყოთ მათი დასაქმება, როგორც სოფლად ისე ქალაქად. პეკულის ინსტიტუტმა მეურნეობისადმი მონათა დამოკიდებულება და ინტერესი გაზარდა. ხელისუფლება კი შეეცადა, ამ ურთიერთობის სამართლებრივ მოწესრიგებას, საჭირო გახდა შესაბამისი სტატუსის დადგენა, რასაც კოლონებთან დაახლოება მოჰყვა.

## §10. კოლონები იმპერიის ხანაში

იმპერატორმა კონსტანტინე პირველმა თავისი კონსტიტუციებით ფაქტობრივად დაამთავრა კოლონატის, როგორც სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტის ფორმირების პროცესი. კოლონები ადრეც ითვლებოდნენ, როგორც თავისუფალნი *de jure*, მათ შეეძლოთ ქორწინება, ჰქონდათ თავისი ქონება, ანდერძით გადაცემის უფლებით, მაგრამ ძალაში რჩებოდა მოთხოვნა, არ მიეტოვებინათ ის მიწა, რომელსაც ამუშავებდნენ.<sup>1</sup>

იმპერიის ხანაში გამოცემულმა კანონებმა კოლონატს, ანუ თავისუფალ მოიჯარადეს აუკრძალა იჯარით აღებული მიწის მიტოვება, ამის პარალელურად, მიწის მფლობელსაც აუკრძალა კოლონატისათვის მიცემული მიწის გასხვისება.<sup>2</sup>

VI საუკუნის შუა წლებიდან იწყება და კიდევ უფრო ფართოვდება სოფლის „კოლონების“ მოსახლეობის ნაწილის რაოდენობა. ფაქტობრივად, ისინი წარმოადგენდნენ რომის იმპერიის მიერ შემოერთებული ქვეყნების ტეროტორიაზე დასაქმებულ ადამიანებს, რომლებმაც მიიღეს კოლონების სტატუსი, მათი რაოდენობა გაიზარდა იმათ ხარჯზე, რომლებსაც „მიწის მონები“ დაერქვა.

VI საუკუნის კანონმდებლობით მკვიდრდება არა მარტო ენაოგრაფიების (უომრად შემოერთებული მოსახლეობის მდაბიო ნაწილი), არამედ თავისუფალი კოლონების ქონებრივი უფლებების გაფართოების ტენდენცია.

იუსტინიანეს კანონმდებლობის შესაბამისად, თავისუფალი კოლონების საკუთრების უფლება შეზღუდული იყო. თუკი კოლონს არ ჰყავდა პირდაპირი მემკვიდრე და ანდერძის გარეშე გარდაიცვლებოდა, მთელი მისი ქონება გადადიოდა პარტნიორის (ბატონის) ხელში. თუკი მიწაზე დავა

1 იხ. О развитии колоната Виппер Р.Ю. Очерки по истории Римской Империи-Р-на. Д. 1995г. გვ 332-335

2 იხ. ვ. მეტერეველი რომის სამართალი (საფუძვლები) თბ. 2005წ. გვ. 57

წარმოიშეებოდა ბატონსა და კოლონს შორის, სასამართლო ყოველთვის ბატონის სასარგებლოდ წყვეტდა საკითხს. 529 წლის კანონი პირდაპირ მიუთითებდა მიწაზე ბატონის უპირატესობას.

კოლონები ზოგიერთ ქვეყნებში გარკვეულ პერიოდში ფლობდნენ საკუთრებაში წარმოების იარაღებს და საწარმოო ძალებს. მათ ჰყავდათ საკუთარი მონებიც, რომლებსაც ასაქმებდნენ. მეურნეობაში გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში კოლონებს ართმევდნენ წარმოების იარაღებს, საწარმოო ძალებს, მონებს და საქონელს. მიწათმფლობელს უფლება ჰქონდა, თუკი კოლონი ვერ უძღვებოდა მეურნეობას, მისი ფუნქცია გადაეცა მემკვიდრისათვის. თუკი ასეთიც არ იყო, მაშინ სხვა კოლონისათვის.

კოლონები იბრძოდნენ საკუთარი ინტერესების დასაცავად. სხვადასხვა პროვინციაში მათი სამართლებრივი მდგომარეობა სხვადასხვაგვარი იყო. მაგ. VI საუკუნის ეგვიპტეში, პაპირუსების თანახმად, კოლონებს შეეძლოთ ქონებრივი ხელშეკრულების გაფორმება და სასამართლოს მეშვეობით იღებდნენ ქონებრივ გარანტიებსაც.

კოლონი თავისუფლდებოდა იმ შემთხვევაში, თუ მიწათმფლობელი დათანხმდებოდა მის კარისკაცობას, დეფურიანობას, ასევე თუ იგი სასულიერო სამსახურში ჩადგებოდა.<sup>1</sup>

იუსტინიანეს კანონმდებლობით, მამულების გაყიდვა შეიძლებოდა მასზე მცხოვრებ კოლონებთან ერთად, მაგრამ იკრძალებოდა კოლონი-ენაპოგრაფის გაყიდვა უმიწოდ. მამულის გაყიდვის ან გაჩუქების შემთხვევაში მასზე მცხოვრები კოლონებიც გადაეცემოდა მის ახალ მფლობელს. ახალ მფლობელს ეკრძალებოდა კოლონებისა და მონების განდევნა ახლადშემძენილი მამულებიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთი საქციელი ისჯებოდა შეძენილი მამულის კონფისკაციით.

კოლონების მიერ დამოუკიდებლად ქვეყნის ბიუჯეტში შეტანილი გადასახადები სერიოზული ფინანსური წყარო იყო, ამიტომაც, მათი შრომის ფარგლებსა და გადასახადების ზომას სახელმწიფო აწესებდა. თუმცა, მსხვილ მიწათმფლობელთა ზეწოლის შედეგად, 545 წელს იუსტინიანემ უფლება მისცა ბატონებს, აეკრიფათ გადასახადები არა მარტო ქვეშევრდომებში, არამედ თავისუფალ კოლონებშიც.

<sup>1</sup> იხ. О развитии колоната Винпер Р.Ю. Очерки по истории Римской Империи-Р-на.Д.1995г. 33 332-335

კოლონები ვალდებულნი იყვნენ, ბატონისათვის გადაეხადათ მიწის სარგებელი გადასახადი ნატურით ან ფულადი სახით. დიკესტებში დაფიქსირებულია, რომ ზოგიერთ პროვინციაში მოწეული მოსავლის მეხუთედი, ზოგან მეშვიდედი უნდა გადაეცათ ბატონებისთვის. ეგვიპტის პაპირუსებით, ვალის გადახდა შეიძლება გადავადებულიყო მომავალი წლისათვის, თუ ამის რეალური საბაბი არსებობდა.

იუსტინიანეს კანონმდებლობით, კოლონების სტატუსი არ განირჩეოდა მიწის მონისა და ენაპოგრაფის მდგომარეობისგან. ერთ-ერთ ნოველაში პირდაპირ იყო მითითებული, რომ ენაპოგრაფის შვილები იწოდებოდნენ „მონად დაბადებულად.“ დროთა განმავლობაში იზღუდება თავისუფალი კოლონების უფლებებიც. იუსტინიანეს კანონმდებლობა, მართალია, მათ აღიარებდა როგორც „თავისუფალ ადამიანად.“ მაგრამ სამართლებრივად მიჯაჭვული რჩებოდნენ მებატონეზე და ფაქტობრივად, წართმეული ჰქონდათ თავისუფალი მოქალაქის უფლება.

იუსტინიანეს კანონმდებლობამ კიდევ უფრო შეუზღუდა კოლონებს საოჯახო-სამართლებრივ სფეროში უფლებები.

კოლონებს ეკრძალებოდა ბატონის ნებართვის გარეშე სამხედრო სამსახურში ჩადგომა, ან სახელმწიფო სამსახურში თანამდებობის დაკავება. გამონაკლისი იყო დაშვებული მხოლოდ იმ კოლონების მიმართ, ვინც 30 წელი იმსახურა კურიასა და კორპორაციაში. მათ უფლება ჰქონდათ ბატონებისაგან დამოუკიდებლად სამსახურის გაგრძელების.

დაპირისპირება თავისუფალ კოლონებსა და მიწათმფლობელთა შორის ხშირად უკიდურეს ხასიათს ღებულობდა, ეს იუსტინიანე იმპერატორს აიძულებდა, მკაცრი ზომები მიეღო, რაც ხშირად კლასობრივ ბრძოლასა და დაპირისპირებაში გადადიოდა.

## §11 მონობიდან გათავისუფლების გზები

რომის სამართლის მიხედვით, მონობა ძალაში იყო სიცოცხლის ბოლომდე. ბატონის მიერ მონაზე ერთხელ დაწესებული ძალაუფლება (dominica potestas), როგორც წესი, მონის სიკვდილამდე გრძელდებოდა, სიკვდილი იყო ბუნებრივი მარეგულირებელი მოვლენა, რომელიც წყვეტდა მონობას. ბატონს არ ჰქონდა უფლება გარდაცვლილი მონის სხეულზე, პირიქით, ის იყო ვალდებული, დაემარხა ცხედარი, ხოლო საფლავს გაფრთხილებოდა როგორც (locus religiosus)-ს სიწმინდეს.

გარდა ბუნებრივი სიკვდილისა, მონობა შეიძლებოდა შეწყვეტილიყო ზოგიერთი სხვა იურიდიული ფაქტის საფუძველზე. რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში მოქმედებდა ბატონის ნებისაგან დამოუკიდებლად და ამ ნების საწინააღმდეგოდაც.

ბატონის ნების წინააღმდეგ განთავისუფლებულად ითვლებოდა მონა, რომელიც მოახერხებდა რომის სახელმწიფოს ტერიტორიის დატოვებას და თავის თანატომელებთან დაბრუნებას. „რომელ სამოქალაქო კანონს ძალუმს გაქცევა აუკრძალოს მონას, რომელიც საზოგადოების წევრი არაა და რომელზეც, მაშასადამე, არცერთი სამოქალაქო კანონი არ ვრცელდება.“<sup>1</sup> ამით ამართლებდა მონათა გაქცევას შ.ლ. მონტესკიე. კანონის მეშვეობით ან სახელმწიფო ორგანოს გადაწყვეტილების საფუძველზე თავისუფლდებოდნენ ის მონები, რომლებიც დაასმენდნენ პირებს აჯანყების ან ბუნტის მზადების შესახებ.

ავგუსტუსმა დაადგინა, რომ იმ ბატონთა მონები, რომლებიც შეთქმულებას მოაწყობდნენ მის წინააღმდეგ, საჯაროდ გაიყიდებოდნენ, რათა მათ შესაძლებლობა მისცემოდათ, ჩვენება მიეცათ თავიანთი ბატონის წინააღმდეგ. პრინციპი ასეთი იყო: „არ უნდა უგულვებლევყოთ არაფერი, რაც დიდი დანაშაულის გახსნას შეგვაძლებინებს.“<sup>2</sup> ვინდექსმა გასცა ტარკვინიუსის სასარგებლოდ მოწყობილი შეთქმულება, მაგრამ ვერ შეძლო, მოწმედ გამოსულიყო ავგუსტუსის ვაჟიშვილების წინააღმდეგ. ის გაანთავისუფლეს მონობისაგან, სამშობლოსათვის დიდი სამსახურის გაწევის გამო. ასევე, შესაძლებელი იყო იმ მონის გათავისუფლება, ვინც მიუთითებდა ან აღმოაჩენდა თავისი ბატონის მკვლელებს. ხოლო იმპერატორის ელიქტის თანახმად, თავისუფლდებოდნენ მოხუცი და ავადმყოფი, აგრეთვე რომის წინაშე დამსახურების მქონე მონები. გარდა ამისა, ძალაში რჩებოდა წესი, რომლითაც თავისუფლად ცხადდებოდა მონა, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში სარგებლობდა ფაქტიური თავისუფლებით.

ძველი რომაული სამართლის მიხედვით, ბატონებს უფლება ჰქონდათ გაეთავისუფლებინათ მონები, თუ ეს ხდებოდა დადგენილი ფორმით. მონების განთავისუფლებისთვის არსებობდა სამი წესი: უძველეს ფორმას წარმოადგენდა ე.წ. manumissio vindicta, ანუ განცხადება თავისუფლების შესახებ უსიტყვო დავის ფორმით, რაც შემდეგნაირად ხდებოდა: ბატონი ცხადდებოდა მაგისტრატთან მონის და რომის სრულწლოვანი მოქალა-

1 იხ. შ.ლ. მონტესკიე, კანონთა გონი, თბ. 1994წ. გვ. 226

2 იქვე გვ. 268

ქის თანხლებით. მაგისტრატის თანდასწრებით რომის მოქალაქე (adsertor libertatis) დაადებდა მონას „vindicta-ს, ძალაუფლების სიმბოლოს შუბის ფორმით და საზეიმოდ აცხადებდა: ვადასტურებ, რომ ეს ადამიანი თავისუფალია (93). მონის ბატონი ამ განცხადებისას ან დუმდა, ან აცხადებდა მას განთავისუფლებულად. შემდეგ მაგისტრატი მონას ანიჭებდა რომის თავისუფალ მოქალაქეობას.

მონობისაგან ნებაყოფლობით გათავისუფლების მეორე ფორმა იყო manumissio testamento. უკანასკნელის ნების ან ანდერძის მიხედვით, მონა შეიძლებოდა ყოფილიყო გათავისუფლებული პირობების გარეშე და დროებით (servus orcinus), ან პირობით, როდესაც იღებდა თავისუფლებას მისი შესრულების შემდეგ.

მესამე ფორმა იყო „manumissio censu“, ე.წ. მანუმისსიო ცენსუ: ცენზორის წიგნში მონის შეყვანა, როგორც გადასახადების გადამხდელი სამხედრო ვალდებულისა. იღებდა რა რომის მოქალაქის ძირითად ვალდებულებებს, მონა ამასთან ერთად სიაში შეყვანისას იღებდა სამოქალაქო უფლებებსაც.

კლასიკური ხანის რომაულ სამართალში მონათა გათავისუფლების წესები გადმოღებული იყო ძველი სამართლიდან, გარდა ამისა, შემოღებულ იქნა ახალი, არაფორმალური მანუმისიები, რომლის თანახმად, მონა იღებდა თავისუფლებას ჩვეულებრივი ხელწერილის საფუძველზე, რომელშიც ბატონი აცხადებდა, რომ მონა გაათავისუფლა, ეს ხდებოდა უბრალო შეტყობინებით, რომელსაც ბატონი იძლეოდა მისი თანდასწრებით.

კლასიკური პერიოდის სამართალში შეტანილ იქნა რიგი შეზღუდვები, რომელთა გათვალისწინება სავალდებულო იყო მონათმფლობელთათვის მონების გათავისუფლებისას. პრინციპატის პერიოდში მონათმფლობელებმა დაიწყეს მონების მასობრივი გათავისუფლება, რაც ორი მიზეზით იყო გამოწვეული: პირველი, ეს იყო მონების ხშირი აჯანყებები, და მეორე, უფრო მეტი სარგებლის მიღება ამ საქმისაგან, ვიდრე ლატიფუნდიებში მონების მუშაობისას შეიძლებოდა მიეღოთ. ამით, რა თქმა უნდა, ფერხდებოდა ლატიფუნდიებში შემავალი მიწების დამუშავება და უარესდებოდა რომის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა, რაც პოლიტიკურ ამინდზეც ახდენდა გავლენას. ამ პროცესებს რომ წინ აღდგომოდა, ხელისუფლება შეეცადა საკანონმდებლო გზით შეეშალა ხელი მონების მასობრივი გათავისუფლებისთვის. ცნობილია ფუფიუს კანინიუ-



სის კანონი (Lex Fufia Caninia), რომელიც ახ.წ. დასაწყისშია მიღებული და ეხება მონათა განთავისუფლების საკითხს. ძველი რომაელი იურისტი გაიუსი წერს, რომ ამ კანონით „...იმას, ვისაც ორზე მეტი, მაგრამ არა უმეტეს ათი მონა ჰყავს, ნება ეძლევა გაათავისუფლოს მათი ნახევარი, იმას კი, ვისაც ათზე მეტი, მაგრამ არა უმეტეს ოცდაათი მონა ჰყავს, შეუძლია გაათავისუფლოს მათი მესამედი ნაწილი, ვისაც ოცდაათიდან ას მონამდე ჰყავს-მათი ერთი მეოთხედი ნაწილი. დაბოლოს, ვისაც ასიდან ხუთას მონამდე ჰყავს-მათი ერთი მეხუთედი ნაწილი“<sup>1</sup>; ვისაც ხუთასზე მეტი მონა ჰყავს, ერთბაშად მაინც არ შეუძლია ას მონაზე მეტის განთავისუფლება.

აქედან ჩანს, რომ რომში საკმაოდ ყოფილან ისეთი მონათმფლობელები, რომელთაც ჰყოლიათ 10, 30, 100, 500 და უფრო მეტი მონა.

რომში, ვისაც უსარგებლო კვება-მკურნალობის ხარჯის გაწევა არ უნდოდა თავის სნეულსა და დაძაბუნებულ მონაზე, მდ. ტიბრის ე.წ. ესეუდაპეს კუნძულზე აგდებდა ზოლმე. იმპერატორი კლავდიუსი ასეთ მონებს, თუ მოიკეთებდნენ, თავისუფლად აცხადებდა.<sup>2</sup> იმის გამო, რომ lex Fufia caninia-მ სასურველი შედეგი არ მოიტანა, 6 წლის შემდეგ ავგუსტუსმა მოამზადა lex Alalia Sentia. ამ კანონის მიხედვით, მონათა გათავისუფლება იკრძალებოდა: 1) თუ ბატონი 20 წელზე უფრო ახალგაზრდა იყო; 2) თუ მონა 30 წელზე უფრო ახალგაზრდა იყო, 3) არ შეიძლებოდა გათავისუფლება in fraudem creditorum – კრედიტორის ინტერესების საწინააღმდეგოდ.

პოსტკლასიკურ პერიოდში მონობისაგან გათავისუფლების ძირითად გზად გამოიყენებოდა manumissio vindicta, განსხვავებული გზით, ანუ მონის განთავისუფლება სახელმწიფო ორგანოს წინაშე ბატონის ნების გამოხატვის შედეგად. როდესაც პატრონატი გათავისუფლებულ პირებზე გადადიოდა ნდობით აღჭურვილ კომისარზე (ფიდეიკომისართან). პოსტკლასიკური პერიოდის სამართალმა გადაიღო მონობისაგან გათავისუფლების არაფორმალური ხერხები, რომლებიც კლასიკურ პერიოდში გაჩნდა. გარდა ამისა, შემოღებულ იქნა ახალი მეთოდები: მონის გათავისუფლება ოჯახის საერთო მაგიდასთან მიერთებით, მონის გათავისუფლება საეკლესიო წესის შესრულებისას ტაძარში ბატონის ნების გამოხატვის გზით. 531 წელს იუსტინიანემ გამოსცა კანონი, რომლის ძალითაც

<sup>1</sup> გაიუსი, 43

<sup>2</sup> Ган Светонии Транквиლ Жізнѣ двенадцати Цезарей 1964 с.139

ბატონს შეეძლო მონისთვის მონასტერში წასვლის უფლება მიეცა. სამი წლის გასვლის შემდეგ კი მასზე ყველა უფლებას კარგავდა და მონაღებულობდა თავისუფლებას ეპისკოპოსის კურთხევით, ასეთ შემთხვევაში ყოფილ მონას შეეძლო სასამართლოში გამოსულიყო, როგორც მხარე განსხვავებით ადრე არსებული სასარჩელო წესებისა, რომელიც ხალხის სახელით ან „თავისუფლების დასაცავად“ იყო აღძრული.<sup>1</sup>

ფიდეიკომისის მეშვეობით, მონისათვის თავისუფლების მინიჭებაც იყო შესაძლებელი იმგვარად, რომ მის გააზატებას სთხოვდნენ მემკვიდრეს ან ლეგატებს და ან ფიდეიკომისარს და ამ შემთხვევაში არ ჰქონდა მნიშვნელობა, მოანდერძე თავისი საკუთარი მონის განთავისუფლებას ითხოვდა თუ თავად მემკვიდრის, ლეგატის, თუნდაც გარეშე პირის. აქედან გამომდინარე, მონა უნდა გამოესყიდათ, გაეაზატებინათ.<sup>2</sup>

პოსტკლასიკური ხანის სამართალმა უარი თქვა ბატონის ნების შეზღუდვაზე მონის გათავისუფლების პროცესში. ბატონის უფლებები გაფართოვდა და მოესხნა შეზღუდვები, რომელთაგანაც მხოლოდ ორი დარჩა: ბატონი უნდა ყოფილიყო არანაკლებ 20 წლისა და გათავისუფლება არ უნდა მომხარყო კრედიტორის ინტერესის საწინააღმდეგოდ.

ამრიგად, მონობიდან განთავისუფლების მოტივი იყო მრავალგვარი და ნებით განთავისუფლებულთა ხარჯზე იქმნებოდა რომის საზოგადოების კიდევ ერთი შესამჩნევი ფენა.<sup>3</sup> გააზატებულთა ანუ განთავისუფლებულ მონათა ერთობა.

## §12. განთავისუფლებულ მონათა (გააზატებულთა) სამართლებრივი მდგომარეობა

იუსტინიანეს ინსტიტუციებით, მონები გათავისუფლების აქტების თანახმად, გააზატებული, ანუ *Libertini* ხდებოდნენ. ესენი ის პირებია, რომლებიც კანონიერი მონობიდან განთავისუფლდნენ. ხოლო გააზატება კი თავისუფლების მიცემაა, ვინაიდან ვიდრე ვინმე მონობაშია, იგი (სხვის) ხელსა და ხელისუფლებას ექვემდებარება. ეს საქმე სათავეს ხალხთა სამართლიდან იღებს, ვინაიდან, ბუნებითი სამართლის თანახმად, ყველა თავისუფალი იბადება და არ იყო ცნობილი მონის განთავისუფლება (გაა-

1 იხ. რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს ინსტიტუციები, თბ. 2002წ.გვ 246

2 იქვე გვ. 131

3 DuFF, *freeen in the Early Roman Empire* 1928 გვ 31

ზატება), რადგან უცნობი იყო თავად მონობა. მას შემდეგ, რაც ხალხთა სამართლით მონობა იქნა შემოღებული, ამას მოჰყვა გააზატების წყალობაც და მაშინ, როდესაც ბუნებითი სამართლით ჩვენ ერთი სახელით „ადამიანებად“-ვიწოდებით, ხალხთა სამართლით, ადამიანების სამ კატეგორიად დაყოფა დაიწყო. თავისუფალნი, მათ საპირისპიროდ—მონები და მესამე კატეგორია-გააზატებულნი, ე.ი. ის პირები, რომლებმაც მონად ყოფნა შეწყვიტეს.<sup>1</sup> მათი სამართლებრივი მდგომარეობა დამოკიდებული იყო ბატონების სტატუსზე. პერეგრინების მიერ გათავისუფლებული მონები იღებდნენ პერეგრინების შესაბამის სტატუსს, ლათინების მიერ გათავისუფლებულები—ლათინების სამართლებრივ მდგომარეობას. რომის მოქალაქეთა მიერ გათავისუფლებულ მონებს შეეძლოთ მიეღოთ ან მოქალაქის სტატუსი (Status civitatis), ან მოქალაქეობის გარეშე თავისუფალი მდგომარეობა (status libertatis).

იუსტინიანემდე გააზატებულთა სტატუსი სამი სახის იყო: ვინაიდან ისინი, ვინც თავისუფლებოდნენ, აღწევდნენ ან უფრო მეტი ხარისხის და კანონიერ თავისუფლებას და რომის მოქალაქეები ხდებოდნენ, ან ნაკლები ხარისხისას და იუნიუს ნორბანუსის კანონით ლათინები ხდებოდნენ, ან იღებდნენ უდაბლესი ხარისხის თავისუფლებას და ელიუს სენციუსის კანონით, „დანებებულად“ ითვლებოდნენ.<sup>2</sup>

იურიდიული ნორმების თანახმად რომის მოქალაქეთა სამართლებრივ მდგომარეობას მხოლოდ ისინი იღებდნენ, რომლებიც გაათავისუფლა იმ მესაკუთრემ, რომელიც იყენებდა lex Fufia caninia —სა და Lex Aelia Sentia-ს ნორმებს. პოსტკლასიკური პერიოდის სამართალში ის, ვინც გაანთავისუფლებდა, 20 წელზე უფროსი მოქალაქე უნდა ყოფილიყო, მაგრამ გათავისუფლება არ უნდა მომხდარიყო კრედიტორის საზიანოდ. მაგრამ ყველა მსურველისათვის მონის განთავისუფლება (გააზატება) არ არის ნებადართული, ვინაიდან ის, ვინც მონას კრედიტორის საზიანოდ ათავისუფლებს, ვერაფერს აღწევს, რადგან ელიუს სენციუსის კანონი ასე მიღებულ თავისუფლებას ეწინააღმდეგება.<sup>3</sup> ვკითხულობთ იუსტინიანეს ინსტიტუციებში.

რომის განთავისუფლებულ მოქალაქეთა სამართლებრივი მდგომარეობა არსებითად განსხვავდებოდა რომის იმ მოქალაქის სამართლებრივი

1 იხ. რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს ინსტიტუციები, თბ. 2002წ. გვ. 18

2 იქვე. გვ. 18

3 იქვე. გვ. 19

მდგომარეობიდან, რომელიც თავისუფლებაში დაიბადა. ამ განსხვავებას ეფუძნებოდა რომაული კერძო სამართლის ერთ-ერთი არსებითი ინსტიტუტი.<sup>1</sup> *libertini*, ანუ განთავისუფლებულები რომის მოქალაქეებისაგან ორი ასპექტით განსხვავდებოდნენ: 1) განთავისუფლებულთა სამართლებრივი მდგომარეობა საჯარო და კერძო სამართალში იმ *minuto jure* მოქალაქეთა მდგომარეობაზე უარესი იყო, ვინც თავისუფლებაში დაიბადა; 2) ლიბერტინები მანუმიისის, ანუ გათავისუფლების აქტიმაც კი რჩებოდნენ ძველ ბატონებთან გარკვეულ დამოკიდებულებაში, ისინი კვლავ მათ პატრონებად ითვლებოდნენ.

განთავისუფლებულთა უარესი მდგომარეობა იმათთან შედარებით, ვინც თავისუფლებაში დაიბადა, იმაში გამოიხატებოდა, რომ განთავისუფლებულებს არ გააჩნდათ საჯარო საარჩევნო ფუნქციის შესრულების უფლება და ეკრძალებოდათ ქორწინება უმაღლესი საზოგადოებრივი რანგის პირებთან (სენატორის ოჯახის წევრებთან).

რომაული სამართლებრივი ნორმები, მანუმიისის აქტების მიხედვით, განთავისუფლებულს გარკვეულ ვალდებულებებს აკისრებდა. პატრონატის საფუძველზე უწინდელი ბატონი იბრუნებდა ძველ მდგომარეობას, ხოლო განთავისუფლებული უწინდელი მონა, მისი კლიენტის მდგომარეობას. კლიენტი ვალდებული იყო გამოეხატა პატივისცემა პატრონისადმი, სხვა სიტყვებით, იგი ისე უნდა მოქცეოდა პატრონს და მისი ოჯახის წევრებს, რომ არავის გასჩენოდა ეჭვი მის მაღლიერებაში გათავისუფლების შემდეგ. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელი იყო მისი კვლავ მონად გადაქცევა. პატრონის მიმართ მაღლიერების გამოხატვა შეიძლებოდა: დღესასწაულებზე საჩუქრების მირთმევით, ოჯახისადმი დახმარების გაწევით პატრონის არყოფნის დროს, დახმარება მონობისგან პატრონის გამოსყიდვისას, სარჩელის უფლებაზე უარის თქმა, მაშინ, როდესაც ეს დასაშვები იქნებოდა თავისუფლებაში დაბადებულ პირთა შორის. გარდა ამისა, განთავისუფლებულებს, მანუმიისის აქტის საფუძველზე, შეიძლებოდა დაკისრებოდათ ზოგიერთი სხვა ვალდებულებები, *operae*, ანუ *officiales* -დ და *operae fabriles*-ად. პირველი მათგანი ავალდებულებდა ნებით გაშვებულს, დახმარებოდა მას საოჯახო საქმეების შესრულებაში, რისი ღირებულებაც, არ შეიძლებოდა ზუსტად ყოფილიყო განსაზღვრული. პირიქით, *operae fabriles* ავალდებულებდა ნებით გაშვებულს, გარკვეული დროის მანძილზე ეწარმოებინა პროდუქ-

<sup>1</sup> გაიუსი 1.10

ცია პატრონისათვის სოფლის მეურნეობაში მუშაობით, სახელოსნოში, ან რაიმე სხვა სამეურნეო საქმიანობის გზით უსასყიდლოდ.<sup>1</sup>

პატრონის უფლებამოსილების შესამე ჯგუფს ეწოდებოდა „bona“. პატრონს ჰქონდა ინტესტატური სამემკვიდრეო უფლება იმ ნებით გაშვებულის ქონებაზე, რომელიც შთამომავლობის გარეშე გარდაიცვალა, მაგრამ დაბადებული იყო რომაული ქორწინების შედეგად, რაც გაფორმებული იყო გათავისუფლების აქტის შესაბამისად და ჰქონდა უფლება აუცილებელ ნაწილზე. თუ განთავისუფლებული ანდერძის მიხედვით განკარგავდა თავის ქონებას მონადერძის გარდაცვალების მომენტში, ასეთი პატრონატული დამოკიდებულება, როგორც წესი, განთავისუფლებულის გარდაცვალებამდე გრძელდებოდა.

განთავისუფლებულის შთამომავლებს მხოლოდ „obssequium“-ით გათვალისწინებული ვალდებულებები გადაეცემოდათ. პატრონის სიკვდილის შემდეგ ზოგიერთი პატრონატული უფლება გადადიოდა ინტესტატური მემკვიდრეებზე (operae fabriles).

კლასიკური ეპოქის სამართლით, რომის განთავისუფლებულ მოქალაქეთა მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, მათ იმპერატორის განკარგულების საფუძველზე უფლება ჰქონდათ მიეღოთ ე.წ. ოქროს ბეჭდის ტარების უფლება. ამ პრივილეგიით, ისინი იმ პირთა თანაბარ უფლებებს იღებდნენ, რომლებიც თავისუფლებაში დაიბადნენ.

ეს ვალდებულებებიც შეიძლებოდა ყოფილიყო შეზღუდული იმ პირთა უფლებების გამოყოფით, რომლებიც თავისუფლებაში დაიბადნენ. ამ მომენტში პრინციპსები პატრონისაგან იღებდნენ თანხმობას. გარდა ამისა, პატრონატული ურთიერთობები შეიძლებოდა შეწყვეტილიყო კანონის ძალით იმ შემთხვევაში, თუ პატრონი განთავისუფლებულს უკიდურეს უბედურებაში მიატოვებდა, შეიტანდა სარჩელს მის წინააღმდეგ სიკვდილით დასჯის მოთხოვნით, როდესაც მანუმიისის აქტისათვის მოითხოვდა ფულად გასამრჯელოს და მაშინ, როდესაც ფიცს იღებდა განთავისუფლებულისაგან, რომ ის არ დაქორწინდებოდა, რათა შეენარჩუნებინა სამემკვიდრეო უფლება.

შემდგომში კანონებმა ბევრი სიახლე შეიტანეს პატრონებსა და კლიენტებს შორის ურთიერთობაში. მათი მიხედვით, რომის მოქალაქეთა მიერ განთავისუფლებული ზოგიერთი მონა აღწევდა მოქალაქის მდგომარეობას, სხვები იღებდნენ ლათინის სტატუსს, ხოლო ზოგიერთი ხდებოდა დაპ-

<sup>1</sup> დიგესტები 38,16

ყრობილი პერეგრინების სტატუსის მატარებელი, რომლებიც თავისუფლდებოდნენ კვირიტული მესაკუთრის მიერ ფორმალური გზით იმ მოთხოვნების დაცვით, რაც დაკავშირებული იყო გათავისუფლებულთა და გამათავისუფლებელთა ასაკთან.

ლათინის სტატუსს ის მონები იღებდნენ, რომლებიც კვირიტული ან ბონიტარული მესაკუთრის მიერ თავისუფლდებოდნენ, თუ გათავისუფლება მოსდა რაიმე არაფორმალური გზით, ან რომელიმე ფორმალური გზით, თუ გათავისუფლებისას არ მოხდა დასახელებულ კანონთა რესკრიპციები. peregrin dediticii-ის სტატუსს იღებდნენ მონები, რომლებიც მონობის დროს ექვემდებარებოდნენ დადაღვას, წამებას, ბორკილებს, გლადიატორულ ბრძოლებს ან მხეცებთან ბრძოლას.

ლათინები ე.ი. მონები, გათავისუფლებულნი რაიმე არაფორმალური გზით, ან კანონების რესკრიფციის გარეშე, იღებდნენ მხოლოდ jus commercii-ს შეზღუდული მოცულობით, რომლის საფუძველზე მათ თავისუფლად შეეძლოთ დაედოთ ქონებრივ-უფლებრივი ხელშეკრულებები სიცოცხლეში, მაგრამ არ ჰქონდათ თავიანთი ქონების თავისუფლად განკარგვის უფლება სიკვდილის შემთხვევაში, ისინი ცხოვრობდნენ როგორც თავისუფალნი, მაგრამ კვდებოდნენ (იხოცებოდნენ) როგორც მონები, მათი სიკვდილის შემდეგ მთელი ქონება გადადიოდა პატრონის ხელში.

ლათინების არასახარბიელო მდგომარეობა იმით იყო შერბილებული, რომ ისინი ფართოდ იღებდნენ მოქალაქეობას პრინციპსის სურვილით ქორწინების შედეგად დაბადებული ბავშვის, განმეორებითი მანუმიისის აქტის წყალობით, სამხედრო სამსახურის ან რომის მომარაგების საქმეში მონაწილეობის წყალობით<sup>1</sup> ლათინები, რომლებიც რომის მოქალაქეობას რომელიმე დასახელებული გზით აღწევდნენ, ფლობდნენ რომის მოქალაქის მსგავს სტატუსს.

სასჯელის მოხდის შემდეგ გათავისუფლებული მონები მოიპოვებდნენ ისეთ სამართლებრივ მდგომარეობას, რომელშიც იმყოფებოდნენ სამხედრო ინტერვენციის შედეგად დაპყრობილი მტრული ტომების წარმომადგენლები. მათ გააჩნდათ შეზღუდული თავისუფლებით (libertas)-მინიჭებული უფლებები, ისინი ვალდებულნი იყვნენ, დაეტოვებინათ რომი და მისი მიდამოები (100 მილი ქალაქის კედლებიდან), ამასთანავე, ვერასდროს მი-აღწევდნენ მოქალაქეობას ან ლათინთა სტატუსს.<sup>2</sup> ამ აკრძალვათა ყოველგვარი დარღვევა ისჯებოდა.

<sup>1</sup> ულპიანე 3.1

<sup>2</sup> გაიუსი 1,15

